

თეიმურაზ კომახიძე

ღვანულმოსილნი



ს. ს. „გამომცემლობა აჭარა“
ბათუმი — 2001

არც სტუმარი ვარ მე აქ,
არც მეგობარი, არამედ ძმა ვარ

**ლუის არამბურუ
(ბასკი პოეტი)**

**წიგნი ეძღვნება გამოჩენილი მეცნიერისა და
საზოგადო მოღვაწის აბელ სურბულაძის
ნათელ ხსოვნას**

ბიორბი წერეთელი

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა ყველაზე მეტად ქობულეთის რეგიონს აენო და დააზიანა, რამდენადაც იგი ამ ომის ერთ-ერთ მთავარ ასპარეზად იქცა და სწორედ აქ გაიმართა უმთავრესი საომარი ბატალიები.

ომის დამთავრების შემდეგ, ომისაგან აოხრებულ-გაპარტახებულ მხარეში საშინელმა შიმშილობამ და სილატაკემ დაისადგურა. ამიტომაც საჭირო შეიქმნა სასწრაფო, გადაუდებელი ღონისძიებების გატარება ქობულეთის მცხოვრებთა საშველად და გადასარჩენად.

როგორც ყოველთვის, ყველაზე ადრე ეს დიდმა ილიამ იგრძნო, რომლის მოწოდებამაც ქართველი ერისადმი, ძმური დახმარების ხელი გაეწოდებინათ ქობულეთელებისათვის, მართლაც რომ სწრაფი და მეტად დადებითი შედეგი გამოიღო.

ომის დამთავრებიდან არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ – 1879 წლის თებერვალში, ილია ჭავჭავაძე თავის გაზეთ „ივერიაში“ აღნიშნა: „ყოველ მხრიდან ისმის, რომ ჩვენი მოძმენი, აჭარლები და ქობულეთელები ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან და ნუგეშსაც ვერ აქამომდე არსაიდან მოელიან. წარსულმა ომებმა თუმცა ყველას მიაყენა აურაცხელი ზარალი, მაგრამ აჭარა და ქობულეთი ყველაზე მომეტებულად დაისაჯა.

...ამიტომაც უფრო იმედი გვაქვს, რომ ყველაფერში გულუხვი ქართველი, ყველა საქმეში უფრო გულუხვობას გასწევს და არ დაიზარებს გაჭირვებულ ძმათათვის შესაწირავს.

...აბა ქართველობავ, ახლა შენ იცი, როგორ დაანახებ თავს შენს ახლად შემოეარებულ ძმასა! ეხლა შენ იცი როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათა ანდერძს: „ძმა ძმისთვისა და შავი ღლისთვისაო!“ ახლა გამოჩნდება, ეს ანდერძი შენთვის ცარიელი სიტყვაა, თუ სავსე საქმეა! – ახლა გამოჩნდება – შენ მარტო დღევანდელ დღეზე ხარ მიბმული თუ ხვალისათვის სწუხ და ფიქრობ“.

მიუხედავად იმისა, რომ თვით საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობა არსებითად დიდ ეკონომიკურ სიღუხჭირეს განიცდიდა, ილია ჭავჭავაძის ეს მოწოდება საქართველოს მთელმა მოსახლეობამ აიტაცა, გაითავისა, გულთან ახლოს მიიტანა, ყოველი ქართველი ბოლო, უკანასკნელ მანეთს სდებდა დახმარების ფონდში, ხოლო ისინი, რომელთაც ეს უკანასკნელი მანეთიც არ გააჩნიათ, სხვა საშუალებებს ეძიებდნენ, რათა თანამოძმეთ გულით დახმარებოდნენ. ამის სამაგალითოდ ქართველი გოგონების დასახელებაც კმარა, რომლებიც საკუთარი თმის ნაწნავებს იჭრიდნენ, ყიდდნენ და იქედან აღებულ ფულს დახმარების ფონდს სწირავდნენ.

ხაარქივო მასალებში მკითხველს შეუძლია ამოიკითხოს ათასობით ქართველის გვარი, რომლებიც დახმარების ხელს უმართავდნენ ჩვენი კუთხის – აჭარის მოსახლეობას.

თვალსაჩინოებისათვის წარმოვიდგენთ ზოგიერთი საზოგადო მოღვაწის გვარს:

აკაკი წერეთელი – 10 მან.

სერგეი მესხი – 10 მან.

ალექსანდრე სარაჯიშვილი – 10 მან.

გიორგი წერეთელი – 10 მან.

გრიგოლ ორბელიანი – 10 მან.

გ. ქართველიშვილი – 25 მან.

თ. ქართველიშვილი - 15 მან.

ო. ბატონიშვილი - 20 მან. და ასე შემდეგ.

მაშინდელ ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა შორის, რომელმაც გულით გაიზიარა ჩვენი კუთხის მცხოვრებთა მაშინდელი მდგომარეობა, რომელსაც დიდად შესტკიოდა გული ჩვენს კუთხეზე, უპირველესად გახლდათ ცნობილი მწერალი, ჟურნალისტი, რედაქტორ-გამომცემელი და საზოგადო მოღვაწე, გიორგი წერეთელი, რომელიც როგორც გაზეთ „გოლოსის“ კორესპონდენტი, მოწმე გახლდათ ყოველივე იმისა, რაც ამ კუთხეში ხდებოდა ხსენებული სასტიკი ომის დღეებში...



გიორგი წერეთელი დაიბადა 1842 წელს სოფელ გორისაში, ზემო იმერეთში, შორაპნის მაზრაში. მამა მისი ექვთიმე, მაშინდელ სოფლის თავად-აზნაურობაში გონება გახსნილი კაცი იყო. ის იყო მეტათ ღვთისმოყვარე, გულკეთილი და ცდილობდა, შეძლებისდაგვარათ, ყველასათვის სარგებლობა მოეტანა. სწავლის მნიშვნელობა მას კარგათ ესმოდა და ამიტომაც მეცადინეობდა, რომ განათლების გზაზე გამოეყვანა როგორც თავისი მონათესავენი, ისე სხვებიც. გიორგის დედა არ ახსოვდა, ადრე გარდაეცვალა. პატარა გიორგის ჯერ მამა ასწავლიდა, შემდეგ ის ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარეს. კურსის დასრულების შემდეგ გიორგი გაემგზავრა პეტერბურგის უნივერსიტეტში, რადგანაც მესამოცე წლებში ახალთაობაში ძალიან გავრცელებული იყო ბუნებისმეტყველება, ამიტომ გიორგიც გაიტაცა ამ სიყვარულმა და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი აირჩია. უნივერსიტეტში გიორგი ცალკე მეცნიერებას ეწაფებოდა, ამავე დროს შორიდან-



გიორგი წერეთელი

ვე გაფაციცებით აღევენება ჩვენ ცხოვრებას თვალყურს; მომავალი მოღვაწის ძარღვი და ნიჭი მაშინვე ეტყობოდა. უნივერსიტეტში ის განსაკუთრებული ყურადღებით ემბრიოლოგიას სწავლობდა და ოცნებობდა, მეცნიერებისათვის შეეწირა თავი, მაგრამ მისი მუღამ მოძრავი, მგრძნობიარე ბუნება, რომ კაბინეტური შრომით ვერ დაკმაყოფილდებოდა, ეს მალე გამოაშკარავდა. 1861 წელს სტუდენტობის არეულობა მოხდა; ამ მოძრაობაში გიორგიმ მიიღო მონაწილეობა, რის გამო დაიჭირეს, ორი კვირე პეტრეპავლოვის ციხეში დაამწყვდიეს და იქიდან გამოშვების შემდეგ უნივერსიტეტში შესვლა აუკრძალეს. სალიტერატურო ასპარეზზე გიორგი სტუდენტობის დროსვე გამოვიდა: 1862 წელს „ერთი თერგდალეულის“ სახელით „ცისკარში“ დაბეჭდა პოლემიკური შინაარსის წერილი, 1863 წელს კი ილია ჭავჭავაძის ახალ ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა მისი „ცისკარს რა აკაკანებს“ გ - თელის ფსევდონიმით. 1863 წლის მიწურულს გიორგი დაბრუნდა სოფელში, 1864 წელს თფილისში ჩამოვიდა და ნ. ჯაბადარის პანსიონში ქართული ენის მასწავლებლად დაიწყო მოღვაწეობა. 1865 წელს თფილისში გაიმართა სტეფანე მელიქიშვილისა და ამხანაგობის სტამბა, რომლის მოთავთ იყვენ ნიკ. ლოლობერიძე, ვახტ. თულაშვილი და განსვენებული მეისტორიე დიმ. ბაქრაძე. მათ განიზრახეს გაზეთის გამოცემა და ამიტომ გიორგი რედაქტორათ მოიწვიეს.

გამოვიდა „დროებას“ პირველი ნომერი. ამ დროიდან იწყება გიორგის მუდმივი შრომა სალიტერატურო ასპარეზზე.

პირველ წლებში გაზეთს ცოტა ჰყავდა ხელის მომწერა, რადგანაც გაზეთი ჩვენში ახალი ხილი გახლდათ. თანამშრომლებიც ცოტანი იყვნენ და ამის გამო რედაქტორს დიდი შრომა ადგა. სტამბა და გაზეთი ძალიან ნაკლებ შემოსავალს იძლეოდენ, ასე რომ რედაქტორს თვეში ოცდაათ მანეთზე მეტი

არ ეძლეოდა ჯამაგირი. ასეთი მცირე ჯამაგირით გიორგის რასაკვირველია არ შეეძლო თფილისში ეცხოვრა და გაზეთსაც გაძლოლოდა. ამიტომ ის იძულებული იყო კერძო გაკვეთილებით დაეკმაყოფილებინა თავისი მოთხოვნილება. 1867 წელს გიორგის რედაქტორობით გამოვიდა „ვეფხისტყაოსანი“ და გიორგი ერისთავის სრული თხზულება ორ წიგნათ. ეს იყო პირველი გამოსვლა ერისთავის ნაწერების. 1968 წ. გიორგიმ დააფუძნა საკუთარი „სასოფლო გაზეთი“ სოფლის მცხოვრებთათვის. ასეთ ჯაფაში და შევიწროებაში იყო გიორგი 1869 წლის ზაფხულამდე, როდესაც მეტის შრომით დასუსტდა, დასწუღდა და იძულებული გახდა, გაზეთი გარდაეცა სერგეი მესხისათვის. ამავე წლის ბოლოს ის გაემგზავრა პეტერბურგში, იქ უნივერსიტეტში ჩააბარა გამოცდები ქართული ენის მასწავლებლობაზე. სამშობლოში დაბრუნებისთანავე განწესებული იქნა თბილისის რეალურ სასწავლებელში და საქალაქო ინსტიტუტში მასწავლებლათ. იმავე დროს მან იჯარით აიღო სტამბა, რათა ლიტერატურული შრომა უფრო გაეადვილებია. 1871 წელს მან დაიწყო „კრებულის“ ბეჭდვა, რომელშიაც მასთან ერთად მონაწილეობას იღებდა ნ. ნიკოლაძე.

გიორგის იდეალი დასავლეთი ევროპა იყო; ის დარწმუნებული იყო, რომ ჩვენი ცხოვრება ევროპული ცხოვრების გზაზე მიდიოდა და ღონეს და ნიჭს არ ზოგავდა, რომ ხალხი გამოეფხიზლებია და საზოგადოებისათვის ახალი დროის მოთხოვნილება და მიდრეკილება დაენახებია. მისი შრომა რომ უფრო ნაყოფიერი ყოფილიყო, მან განიზრახა ევროპის ცხოვრების შესწავლა, 1873 წელს იგი წავიდა საზღვარგარეთ; „კრებული“ გადასცა კირ. ლორთქიფანიძეს და „სასოფლო გაზეთი“ პეტ. უმიკაშვილს. რამდენისამე ხანს ციურიხში იყო, შემდეგ ჟენევაში გადავიდა; რადგანაც ფული შემოაკლდა, ჟენევიდან საქართველო-

ში დაბრუნდა, დააგირავა თავისი ადგილ-მამული და ისევ შვეიცარიაში წავიდა. შვეიცარიიდან გადავიდა მიუნხენში, აქ 1875 წელს შეირთო პირველი ცოლი ოლიმპიადა ნიკოლაძის ასული; ამის შემდეგ უმთავრესათ ფრანკფურტსა და მიუნხენში ცხოვრობდა. ამ დროს განმავლობაში გიორგი გაჭირვებულათ ცხოვრობდა და იძულებული იყო მიემართა სხვა და სხვა საშუალებათათვის თავის სარჩენათ; სხვათა შორის ის ატარებდა გერმანულ წიგნებს გასაყიდათ და ავრცელებდა ახალ დაარსებულ ნახატებიან გაზეთს („über fonder menr“), რაშიაც, თითო ხელის მომწერზე, ებღოდა თითო მარკა (45 კ.). იგი თვალყურს ადევნებდა და სწავლობდა ევროპულ ცხოვრებას, მეცნიერებას, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას ისტორიას და არქეოლოგიას აქცევდა. საზღვარგარეთიდან გიორგი 1877 წლის დამდეგს ჩამობრუნდა და პირველ ხანებში თავისი ცოლ-შვილით ქუთაისში ცხოვრობდა. როდესაც რუსეთ-თურქეთის ომი ატყდა, გიორგი ოსმალეთში გადავიდა; იქედან რუსულ გაზეთს „Голосъ“-ს, რომელიც პეტერბურღში გამოდიოდა, კორესპონდენტციებს უგზავნიდა. ერთ ხანს ის ცხოვრობდა ბათუმში; 1879 წლიდან Тифлисский „Вестник“-ში მუშაობდა. ამგვარ ლიტერატურულ შრომაში ოთხი წელი გაატარა ე. ი. 1883 წლამდე. 1881 წელს ის შეუამხანაგდა ივ. მუხრანსკის და ზემო იმერეთში ჭალის მთაში ნავთის წარმოება დაიწყო. ჭალის მთიდან დაუწმენდელი ნავთი ტფილისში ჩამოჰქონდათ და აქ წმენდავდნენ. წარმოების რიგიანათ წაყვანა და გაფართოვება დიდი სასარგებლო იქნებოდა მთელი ზემო იმერეთისთვის. მაგრამ საქმე ძალიან ბევრ ფულს ითხოვდა, უამისოდ საქმის რიგიანათ წაყვანა შეუძლებელი იყო, ამიტომ გიორგიმ ნავთის წარმოებას ზემო იმერეთში თავი დაანება. ამ დროს მას მოუკვდა პირველი

ცოლი და სამი პატარა შვილებით ქუთაისს დაბრუნდა და მსახურებდა რამოდენიმე ხანს. 1883 წელს იგი დაინიშნა რკინის გზის აგენტად და ცდილობდა, ხონში რკინის გზა გაეყვანა. ამ დროს განმავლობაში მან დაწერა „ლომკაცი“, „მამიდა ასმათი“ გარდა ამისა თანამშრომლობდა თფილისის ქართულსა და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში.

1886-1889 წელს გიორგი გაზ. „ივერიის“ თანამშრომელი გახდა. რედაქციამ აღუთქვა გონორარი ყოველ სტრიქონში; გიორგი ხშირად უგზავნიდა ნაწერებს, მაგრამ რედაქცია იშვიათად ბეჭდავდა მის ნაწერებს. სხვა შემოსავალი გიორგის არსაიდან ჰქონდა და ამიტომ გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო. ამ დროს ივერიაში იბეჭდებოდა მისი მოთხრობა „ედიშერ ქველბაქიანი“. 1890 წელს ბათომში დაარსდა ქართველების არტელი და გიორგი მიიწვიეს, რომ არტელისათვის დაწყობილება მიეცა და პატრონობა გაეწია. ქართველების არტელს ბედი არ უღიმოდა, რადგანაც ბევრი მეტოქე ჰყავდა და თავად არტელის წევრები კი ასეთ საქმეში სრულებით გამოუცდელი იყვნენ და მიტომ საქმესაც ვერა შოულობდნენ არტელისათვის. გიორგიმ მიაშურა არტელს. მას დაუნიშნეს თვეში ასი მანეთი და არტელის მთელი არსებობა მას მოახვიეს თავზე. გიორგის პირველ ხანებში დიდი შრომა დაჭირდა; სამუშაოს მიცემა ქართული არტელისათვის ყველას ეძნელებოდა. პირადი თავდებობით რამოდენიმე კვირაში არტელს გიორგიმ სამუშაო უშოვნა; მალე საქმე ნელ-ნელა გაიჩარხა და არტელს შემოსავალი რიგიანი გაუხდა. არტელის წევრებმა როცა ეს დაინახეს, იფიქრეს, აწი მარტო ჩვენც აღარა გვიჭირსაო. ეს რომ გიორგიმ გაიგო, არტელს თავი დაანება. ამავე დროს ის მონაწილეობას იღებდა „ჯეჯილში“, სადაც წერდა ისტორიულ მოთხრობებს. 1891 წელს გიორგი

თფილისში გადმოვიდა თავისი შვილებით. აქ მეორეთ დაქორწინდა ანასტასია თუმანიშვილის ქალზე, ამავე წელს მან განიზრახა ქართულ ჟურნალის დაარსება. მისმა მეუღლემ, რომელიც 90 წლიდან საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილს“ სცემლა, 1893 წელს საყოველ-კვირაო გაზეთი „კვალი“ დააარსა და ამ გვართ გიორგის საშუალება მიეცა, ისევე ძველებური ენერგიით მოეკიდა ხელი ლიტერატურული შრომისათვის. 1897 წლამდე მას ბევრი შრომა გაუწევია, რომ კვალისათვის მოეპოვებია როგორც მწერლები, აგრეთვე მკითხველები. განსაკუთრებით იგი ცდილობდა, მოეზიდნა ახალგაზრდა მწერლები, რომლებსაც ნიჭსა და წერის ხალისს ატყობდა. 1892 წ. ის აირჩიეს თფილისის ქალაქის გამგეობის წევრათ და მონაწილეობას ღებულობდა ქოლერასთან ბრძოლაში. მარტო თეორიული მუშაობით ის ვერასოდეს ვერ კმაყოფილდებოდა და ამიტომ უკანასკნელი ხუთი წელიწადი ის შეუდგა მთამადნების საქმეს ზემო იმერეთში, ჭალის მთაში. ჭალის მთაში წარმოების დაწყებით ის ცდილობდა ხალხის ქონებრივათ წინ წაწევას, რადგანაც სულ ხშირათ იცოდა ხოლმე იმისი თქმა: სანამ ჩვენი ხალხი ქონებრივათ ცოტა არ მოჯობინდება, სურვილიც რომ დაებადოს, მაინც ვერ დაწინაურდება გონებრივათო. თუ რუსეთში დადიოდა გიორგი ამ საქმისათვის, თუ ჭალის მთაში, დაჰყავდა სპეციალისტები მადნების საკვლევათ. ასეთმა შრომამ ის დაასწეულა და ბოლოც მოულო.

ლიტერატურულ შრომის გარდა იგი მონაწილეობას იღებდა თეატრის საქმეშიც, სანამ სამუდამო სცენა დამკვიდრდებოდა: გარდა იმისა, რომ პიესებს წერდა თანამედროვე ცხოვრებიდან, სცენაზედაც თამაშობდა ხოლმე. გიორგი იყო მრავალმხრივი განვითარების პატრონი მოღვაწე. არ ყოფილა არცერთი დარგი მწერლობისა, რომ მას მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს და

კვალი არ დაეჩნიოს. წერდა ლექსებს, მოთხრობებს, რომანებს, ფელეტონებს, დრამებს, ისტორიულს და საბუნებისმეტყველო წერილებს, არაკებს, პოლიტიკურ მიმოხილვას, კრიტიკულ წერილებს, ფილოლოგიურსა და არქეოლოგიურ გამოკვლევებს როგორც ქართულათ, ისე რუსულათაც (მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების წევრი იყო და ხშირათ ათავსებდა ამ საზოგადოების გამოცემაში თავის გამოკვლევებს).

როგორი მიმართულებისაც უნდა ყოფილიყო, ქართველი ყველა აღიარებდა, რომ ორმოცი წლის განმავლობაში გიორგი წერეთელი იყო ქართული მწერლობის და ცხოვრების ერთი იმ თავგამოდებულ მოჭირნახულეთაგანი, რომელთაც ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვა და თავგანწირული შრომა დაუსახავთ ცხოვრების მიზნათ. უნივერსიტეტის სკამიდანვე ცდილობდა იგი ქვეყნის სამსახურს; გამოვიდა თუ არა ცხოვრებაში, მთელი ორმოცი წელიწადი სიღარიბე, სიცივე და მრავალი სხვა გაჭირვება აიტანა თავისი ერის სიყვარულის გულისათვის, თავისი ერის კეთილდღეობისათვის შრომას შეაღია თავისი ჯანმრთელობა და მოისწრაფა დღე: 58 წლის კაცს ჯერ კიდევ შეეძლო სიცოცხლე, ჯერ კიდევ შეეძლო შრომა, სარგებლობის მოტანა, სიკვდილის დროსაც თავისი თავი და ცოლშვილი კი არ ახსოვდა, არამედ საზოგადო საქმე; გარდაცვალების წინ ამას ამბობდა: ნეტავი პატარა ხანს კიდევ დამცლოდა შრომად. მას სიკვდილის უკანასკნელ ჟამამდესაც კი ქვეყნის სვე-ბედი აინტერესებდა. როგორც გადმოგვცემენ, გარდაცვალების სამი საათის წინ მოითხოვა დილის გაზეთი და რადგანაც თითონ აღარც თვალი უჭრიდა და აღარც ენა, სხვას გადასცა და ანიშნა უკანასკნელი დეპეშები წამიკითხო... მან მოისმინა ყველა ეს და კმაყოფილი მეორე გვერდზე გადაბრუნდა. მოვალეობა მოქალაქისა აღასრულა და მით აღასრულა თავისი ცხოვრებაც...

ძალიან ცოტა იყო ჩვენში ისეთი ადამიანი, რომელსაც პირადი ბედნიერება საზოგადო კეთილ დღეობისათვის სრულიად შეეწიროს მსხვერპლათ.

• • •

1973 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა შ. მეგრელიძისა და შ. ხანთაძის მიერ შედგენილი კრებული, რომელშიაც თავმოყრილია გიორგი წერეთლის კორესპონდენციები 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომთან დაკავშირებით, მასში ასახულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება.

გთავაზობთ ამ კრებულის შესავალს და იმ თავებს, რომლებიც უშუალოდ ჩვენს კუთხეს, აჭარას შეეხება:

შესავალი

გიორგი წერეთლის მდიდარ პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი კორესპონდენციები 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომთან დაკავშირებით, რომლებიც თავის დროზე პეტერბურგის ლიბერალურ გაზეთ „გოლოსში“ გამოქვეყნდა.

1877 წელს ევროპიდან ახლად დაბრუნებული გ. წერეთელი გაზეთ „გოლოსის“ სპეციალურ კორესპონდენტად დაინიშნა და ფრონტის ხაზზე, დასავლეთ საქართველოში გაიგზავნა.

როგორც ცნობილია, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი ორ ფრონტზე მიმდინარეობდა – ბალკანეთსა და

აპიერკავკასიაში. ამიერკავკასიის ურონტი, თავის მხრივ, ორ დამოუკიდებელ საომარ ასპარეზს აერთიანებდა. მთავარი სამხედრო მოქმედებები გაშლილი იყო ყარს-არბრუმის მიმართულებით და მათ გენერალ-ლეიტენანტი გ. მ. ლორის-მელიქოვი ხელმძღვანელობდა. რიონისპირა მხარე კი, სადაც სამხედრო ოპერაციებს გენერალ-ლეიტენანტი ოკლობჟიო მეთაურობდა, დამხმარე ფრონტად ითვლებოდა. ომის მსვლელობაში რიონისპირა ჯარებს ცალკე გამოეყო ბათუმის მიმართულებით მოქმედი რაზმი (მას სათავეში თვით ოკლობჟიო ჩაუდგა), რომელსაც ჯერ ოზურგეთის, შემდეგ ქობულეთის რაზმი (Кобулетский отряд) ეწოდებოდა.

ომის პირველი პერიოდი, 1877 წლის აპრილიდან ივნისამდე, რუსეთის არმიების წარმატებებით აღინიშნა (ბალკანეთში მათ გადალახეს მდინარე დუნაი, ალყა შემოარტყეს პლენის ციხე-სიმაგრეს, გაამაგრეს შიპკის უღელტეხილი; ამიერკავკასიაში კი აიღეს არტაანი, ბაიაზეთი და ალყა შემოარტყეს ყარსს). ბათუმის მიმართულებით მოქმედმა რაზმმა ციხისძირამდე მიაღწია.

1877 წლის მაისში თურქებმა აფხაზეთში დესანტი გადმოსხეს და ამ მხარის ერთი მესამედი თითქმის უბრძოლველად დაიკავეს. მათ აფხაზთა ერთი ნაწილი აიძულეს იარაღი აღემართათ რუსეთის წინააღმდეგ.

ივნისში აქტიური სამხედრო ოპერაციები შეწყდა. ომის პირველი პერიოდი დამთავრდა. რუსეთის არმიები თავდაცვაზე გადავიდნენ.

ომის მეორე, თავდაცვითი პერიოდი 1877 წლის ოქტომბრამდე გაგრძელდა. ოქტომბერში, დამხმარე ძალების მოსვლის შემდეგ, რუსეთის არმიებმა განაახლეს აქტიური სამხედრო მოქმედება; დაიწყო ომის მესამე პერიოდი. ეს პერი-

ოდიც რუსთა ჯარების საერთო წარმატებებით აღინიშნა (აიღეს პლენა, მიუახლოდნენ კონსტანტინოპოლს. ამიერკავკასიაში აელიარ-ალაჯთან და ლეე-ბონთან მუხტარ-ფაშას არმია დაამარცხეს. ყარსი აიღეს და არზრუმს ალყა შემოარტყეს), მაგრამ ბათუმის მიმართულებით მათ წინ წასვლა მაინც ვერ შეძლეს.

1878 წლის 31 იანვარს რუსეთსა და თურქეთს შორის დროებითი ზავი დაიდო, ხოლო იმავე წლის 3 მარტს სან-სტეფანოში საზავო ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულებით რუსეთმა ამიერკავკასიაში ახალი ტერიტორიები მიიღო: მის განკარგულებაში უნდა გადასულიყო არზრუმი, ბაიაზეთი, ყარსი, ბათუმი და სოღანლულის მთების მიმდებარე ტერიტორიები.

რუსეთის წარმატებებმა ევროპის სახელმწიფოები შეაშფოთა. მათი მოთხოვნით 1878 წელს მოიწვიეს ბერლინის კონგრესი და ზავის პირობები გადასინჯეს. კონგრესის გადაწყვეტილებით თურქეთს დაუბრუნდა არზრუმი, ბაიაზეთი და ალაშქერგის დაბლობი.

1878 წლის 25 აგვისტოს ბათუმი და მთელი აჭარა რუსეთს გადაეცა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ამ ნაწილის შემოერთებამ ქართველ ხალხში უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია. სამხრეთ-საქართველოს განთავისუფლებას თურქთა ბატონობისაგან ჩვენი ხალხი თავის სისხლხორცეულ საქმედ თვლიდა. ამიერკავკასიის ფრონტზე რუსეთის არმიების მხარდამხარ 2200-მდე ქართველი მილიციელი იბრძოდა. მთელი ჩვენი ხალხი დიდი ინტერესით აღევენებდა თვალს საომარ მოქმედებათა მსვლელობას.

სწორედ ამ ინტერესით იყო გაპირობებული გაზეთ „გოლოსის“ სამხედრო კორესპონდენტად გიორგი წერეთლის

ფრონტზე გამგზავრება. „გოლოსი“ ლიბერალური მიმართულების გაზეთად ითვლებოდა. მისი გამომცემელი და რედაქტორი იყო ა. ა. კრაევსკი. გაზეთის რედაქციას შექმნილი ჰქონდა „სამხრეთის“ სპეციალური განყოფილება, რომლის მოქმედების არეს შეადგენდა „все южные губернии России, не исключая Крымского полуострова и Кавказа“.¹

გაზეთის იდეურ მიმართულებას რუსული ჟურნალისტიკის ისტორიის სპეციალიტები მაინცდამაინც მაღალ შეფასებას არ აძლევენ: однако оппозиционность газеты была показной, — ეკითხულობთ რუსული ჟურნალისტიკის ისტორიაში, — Краевский и его сотрудники меньше всего думали о борьбе с маладержавием².

მიუხედავად ამისა, გ. წერეთელს და სხვა ქართველ მოღვაწეებს (ნიკო ნიკოლაძეს, სერგეი მესხს და სხვ.) მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ამ გაზეთთან, იყენებდნენ მას თავიანთი შეხედულებების გამოსათქმელად.

* * *

გიორგი წერეთლის წინამდებარე კორესპონდენციები ჩვენი მეცნიერებისათვის სავსებით უცნობ მასალას, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს, მაგრამ გაზეთ „გოლოსის“ ბიბლიოგრაფიული იმეიათობის გამო ეს კორესპონდენციები მკითხველისათვის ადვილი ხელმისაწვდომი არაა და გიორგი წერეთლის პუბლიცისტური მემკვიდრეობის განხილვისას მათ

1 ЦГИАЛ, ф. 776, оп. II, 1878 г., д. ~ 47, л. I.

2 В. Г. Березина и др., История русской журналистики XVII-XIX вв., М. 1966, стр. 514.

იშეიათად იყენებენ და ითვალისწინებენ. ამან გადაგვაწყვეტინა მათი შეკრება, თარგმნა და გამოქვეყნება.

გ. წერეთლის ამ კორესპონდენციების განხილვაზე რამდენადმე ვრცლად ჩერდებიან მკვლევარები მ. გაფრინდაშვილი და ა. ჭილაია.¹ მ. გაფრინდაშვილი ამ წერილებზე დაყრდნობით უარყოფს ზოგიერთ ავტორთა მტკიცებას თითქოს გ. წერეთელი დასავლეთ ევროპის ორიენტაციის „ნიადაგზე იდგა“, და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხში სეპარატისტობას იჩენდა. მ. გაფრინდაშვილს მიაჩნია, რომ გ. წერეთლის სამხედრო კორესპონდენციების ძირითადი შინაარსი უარყოფს ამ შეხედულებებს.

გ. წერეთელი ქადაგებს სამხრეთ საქართველოს თურქებისაგან განთავისუფლებისა და შემოერთების აუცილებლობას, მას რუსეთი მიაჩნია იმ ერთადერთ ძალად, რომელსაც შეეძლო თურქი დამპყრობლების მიერ მიტაცებული ქართული მიწა-წყლის შემოერთება და ამ საფუძველზე საქართველოს გაერთიანება. ამის გამო, ასკენის მ. გაფრინდაშვილი, გ. წერეთლის გამოცხადება დასავლეთ ევროპის ორიენტაციის მომხრედ დიდი უსამართლობა და უხეში შეცდომააო.²

ა. ჭილაია დასახელებულ ნაშრომში გადმოსცემს გ. წერეთლის ზოგიერთი კორესპონდენციის შინაარსს და დაასკენის: გ. წერეთელი, როგორც სამხედრო კორესპონდენტიც კი, სამოციანელების ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეის ერთ-ერთი მედროშეაო.³

1 მ. გაფრინდაშვილი, ნარკვევები ზაზოგაძეობრივი აზროვნების ისტორიიდან საქართველოში, 1959, ა ჭილაია, გ. წერეთელი, 1964.

2 მ. გაფრინდაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ 81.

3 ა ჭილაია, დასახ. ნაშრომი, გვ 81.

როგორც ვხედავთ, გ. წერეთლის იდეურ-პოლიტიკური პროფილის დახასიათებისას ამ კორესპონდენციებს გარკვეული სამსახურის გაწევა შეუძლიათ.

გაზეთ „გოლოსში“ გ. წერეთლის 40-მდე კორესპონდენციაა გამოქვეყნებული. მათი ნაწილი ხელმოუწერელია, მაგრამ შინაარსისა და სტილის მიხედვით თუ ეიშჯულებით, ეჭვი არ არის, რომ ისინიც გ. წერეთლის კალამს ეკუთვნიან.

ეს კორესპონდენციები მოიცავენ – 1877 წლის იენისიდან 1878 წლის აგვისტომდე განვლილი პერიოდის ამბებს, ამის შემდეგ გაზეთ „გოლოსის“ რედაქციას ბათუმის რაიონიდან სხვა სპეციალური კორესპონდენტი ემსახურება.

ტრაპიზონიდან გამოგზავნილ კორესპონდენციათა ერთი ნაწილის დაბეჭდვა გაზეთ „გოლოსში“ არ მოხერხდა. გ. წერეთელმა ისინი გაზეთ „ტფილისკი ვესტნიკში“ გამოაქვეყნა. მათი დეკლები აღმოჩნდა კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში¹ (18 და 19 მაისისა). აქვე დამატებით აღმოჩნდა ორი წერილი, რომლებიც საერთოდ არ გამოქვეყნებულა. ჩვენ ეს წერილებიც შევიგანეთ „გოლოსის“ კორესპონდენციათა რიგში, ვინაიდან ისინი ამ გაზეთში გამოსაქვეყნებლად იყენებდნენ გამიზნულნი.

დამატების სახით მოვათავსეთ რუსეთ-თურქეთის ომთან დაკავშირებით გ. წერეთლის მიერ გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული წერილების ერთი ნაწილი.

„გოლოსის“ კორესპონდენციებში მოხსენიებული ქართველ მოღვაწეთა გვარები გადმოვაქართულეთ.

¹ იხ. გ. წერეთლის პირადი ფონდი. საქმე №144.

ეფიქრობთ, წინამდებარე წერილების გამოქვეყნება ხელს შეეწყობს გამოჩენილი ქართველი სამოციანელის გიორგი წერეთლის ლიგერატურულ-პუბლიცისტური ქემკვიდრეობის სრულად შესწავლის საქმეს.

№6

ქუთაისი, 13 სექტემბერი,
(„გოლოსი“ ჰყვიალური კორესპონდენტისაგან)

რიონის მხარის რაზმის იერიშები შეჩერდა. სწორედ დროულია მისი ოპერაციების შედეგები შეეაჯამოთ. ადგილობრივ გაზეთებმაც უკვე შეწყვიტეს მუხაესტაგეს, ხუცუბნისა და ციხისძირის სიმაღლეების პოეტური აღწერები. ისინი უკვე მიხედნენ, რომ ასეთ დროს არესას არ ეკადრება ქობულეთის ლანდშაფტის სილამაზით ვართობა.

რამდენიმე ჭკუის სასწაელებელი გაკეთილის შემდეგ რიონის რაზმის მთავარმა შტაბმა უმჯობესად მიიჩნია უკან დაეწია მისი ჯარები და მუხაესტაგებზე მოეწყო გამაგრებული ბანაკი. რიონის რაზმის იერიშები ქობულეთის მხრიდან ამით დამთავრდა. მცირე შეტაკებებსა და მოხალისეთა თავდასხმებს, როგორც ერთი, ასევე მეორე მხრიდან, საქმის მსულელლობაზე არ შეეძლო სერიოზული გავლენა მოეხდინა.

როდესაც პირველი სწრაფი მოძრაობა დამთავრდა, ქობულეთის რაზმმა ორ თვეზე მეტი მონაღომა გერმანული ხეითი მილის გავლას და ბოლოს და ბოლოს თითქმის იმავე პუნქტთან უნდა დაბრუნებულიყო, საიდანაც მოძრაობა დაიწყო. ვათვალისწინებელი სწრაფი მოძრაობა უკვე ძლიერ დამუხსრუჭდა, ბევრი არგუმენტი იქნა წამოყენებული გზების

უვარგისობაზე, თუცა ჯერ კიდევ თანამედროვე კამპანიის დაწყებამდე ეს კარგად იცოდა ქობულეთის რაზმის მთავარმა ხელმძღვანელობამ. ჩვენ უფლება გვქონდა გვეფიქრა, რომ ეს არახელსაყრელი ვითარება ჯერ კიდევ სამხედრო მოქმედების დაწყებამდე აღმოიფხვრებოდა, უკიდურეს შემთხვევაში, ჩვენი ტერიტორიის ფარგლებში მაინც. ჩვენი ხელმძღვანელობისათვის კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი იმ ადგილის გეოგრაფიული და გეოგრაფიული პირობები, რომლებზედაც ჩვენს მოიერიშე რაზმებს უხდებოდა მოძრაობა; მაგრამ მათ ვერც კი წარმოედგინათ ქობულეთის რაზმის იერიშის წარუმატებლობა და შესაძლებლად სთვლიდნენ ერთი კვირის განმავლობაში ბათუმისა და ჭოროხის დაბლობის დაპყრობას. ერთმა ამ ხელმძღვანელთაგანმა ჯერ კიდევ სამი წლის წინათ იმოგზაურა აჭარაში კერძო ტურისტის სახით.¹ იგი ჯერ კიდევ მაშინ გაეცნო თურქეთის საქართველოს ამ ნაწილის გაელენიან გვარებს და დარწმუნებული იყო, რომ ხალხის და დიდგვაროვანთა განწყობილება ამ ქვეყანაში ჩვენთვის საეხებით ხელსაყრელი იყო.

აჭარლები და ქობულეთელები, რომლებსაც ბევრი რამ სმენიათ რუსული მმართველობის უპირატესობაზე, ცხოვრობდნენ ჩვენს მეზობლად, ბევრი რამ აქვთ საერთო ჩვენებში, ცხოვრებასა და ჩაცმულობაში გურულებთან, მათთან ნათესაურ კავშირში და მუდმივ სავაჭრო ურთიერთობაში არიან, სცნობდნენ ქართველებთან თავიანთ გომობრივ ერთიანობას და, მიუხედავად რელიგიური შუღლისა, წინააღმდეგი არ იყვნენ მათთან შეერთებულიყვნენ, ყოფილიყვნენ ერთიანი რუსული მმართველობის ქვეშ, ოღონდ ვინმე

¹ ნაგულისხმობა გ. ყაზბეგი (შ. მ., შ. ხ.).

გამოჩენილიყო, რომელსაც საშუალება ექნებოდა მათი ქვეყანა ფადიშაჰის სამფლობელოებისაგან ჩამოეცილებინა. აჭარასა და ქობულეთში ძლიერ გავლენიანი ბეგები იყვნენ ხიმშიაშვილები და თავდგირიძეები, რომლებსაც თანამოგვარეები ჰყავდათ გურიასა და მთელ საქართველოში. ბევრ მათგანს თვითონაც სურდა რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღო და დაეთანხმებინა თანამემამულეები პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში ჩვენს მთავრობას მიკედლებოდნენ. გავლენიან ბეგებს, ისევე როგორც თვით აჭარისა და ქობულეთის მცხოვრებლებს, გურიის მოსახლეობაში ახლო ნაცნობები და ნათესავეებიც კი ჰყავდათ. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა გურიელთა სათავადო საგვარეულოს მოგიერთი წარმომადგენელი.

თავად გურიელის საგვარეულო ორგვარი ხალხისაგან შედგება, რომლებიც ერთიმეორისაგან აჭარლებსა და ქობულეთელებთან დამოკიდებულების ხასიათით მკვეთრად განსხვავდებიან. ერთმა ნაწილმა თავი ისახელა ჩვენს მეზობლებთან თავისი მტრული დამოკიდებულებით; მეორენი მათი კეთილმსურველნი იყვნენ და თურქეთის მიერ დაჩაგრული ძმებისადმი ურთიერთობაში მხოლოდ პატივითი გრძნობებით ხელმძღვანელობდნენ.

პირველს ეკუთვნოდნენ უმეტესად, გაღატაკებული თავადები, რომლებიც ყოველგვარი შემთხვევით სარგებლობდნენ, რომ მათი ქონებით ხელი მოეთბოთ. ბევრ მათგანს ფარული კაეშირი ჰქონდა ქობულეთელებთან კონტრაბანდის გატანაში და, გყვეთა გაყიდვის მიზნით, სხვადასხვა ბანდებში მონაწილეობდა; ისეც ხდებოდა, რომ მოგიერთი მათგანი თავის სახლში კონტრაბანდისგებს იფარავდა. შემდეგ თავისი ხალხის დახმარებით, ვერაგულად ყელს ჭრიდა უბედურებს

და მათ სიძლიერეს იტაცებდა. იყო ისეთი შექმნილებაც, როცა ბევრი მათგანი კაეშირში იყო ქობულეთელების ბანდასთან მხოლოდ იმისათვის, რომ გურიის მეზობელი – ქობულეთის სოფლები ეპარცვა და მათგან არაერთი პატიოსანი ოჯახს აცვიათ შავები: ასეთ ხალხს ქობულეთელები და აჭარლები მგარეალებად სთელიდნენ და მათ მიმართ შეურიგებელი სიძულვილი გააჩნდათ. ასეთ ბატონებს ქობულეთელები მშვიდობიანობის თუ ომის დროსაც ერთნაირად პირღებოდნენ ცხელ ტყვიას, ან პირველსავე ხეზე ჩამოკიდებას.

ასეთები როდი იყვნენ მეორე სახის თავადი გურიელები, ისინი თავიანთ სინდისს მიწიერ სიკეთეზე მაღლა აყენებდნენ და პატრიოტიზმი გვარის ყველაზე ძვირფას საგანძურად მიაჩნდათ. მიუხედავად რელიგიური შუღლისა, ისინი გურულებს აჭარლებისა და ქობულეთელებისაგან არ ანსხვავებდნენ, ერთი საერთო ქართული ოჯახის წევრებად მიაჩნდათ, ჰქონდათ თავიანთი სამლოცველო ამ ქვეყნის ნახევრად დანგრეულ ეკლესიებში, თავს ვალდებულად თელიდნენ ამ ეკლესიებში ველოთ და საეკლესიო დღესასწაულებს დასწრებოდნენ ქართველ მაჰმადიანებთან ერთად. ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში ისინი მზად იყვნენ ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინათ თურქეთის ქვეშევრდომი ქართველებისათვის და გაეადვილებინათ მათთან ურთიერთობა. აღიარებულმა პატიოსნებამ და თურქეთის საქართველოში მათ თანამეტომეთა მიმართ უდავო დამსახურებამ ზოგიერთ პირებს გურიელ თავადთაგან აჭარისა და ქობულეთის მოსახლეობის გულითადი მადლიერება მოუპოვა. ეს ხალხი, როგორც წინათ, ასევე ახლა, მათზე დიდი გავლენით სარგებლობს. მათ შორის განსაკუთრებული რაინდული პატიოსნებით განირჩევა თავად გრიგოლ გურიელი. მას დიდი

ხნიდან კქონლა ასკოთი ურთიერთობა თურქეთის საქართ-
ელოს ყველა მნიშვნელოვან გვართან, ურჩეულა მათ ახლო
ყოფილიყენენ ჩვენთან და აღმოსაელეთის საკითხის სცენაზე
კელაე გამოჩენის შემთხვევაში, მზად ყოფილიყენენ, რომ
ხელსაყრელი მომენტიტ ესარგებლათ და ჩვენ შემოგვე-
რთებოდნენ. მიმდინარე კამპანიის დაწყების წინ ძლიერ ხში-
რად ესარგებლობდით მისი მითითებებით აჭარლებსა და
ქობულეთელებთან ურთიერთობაში.

ყირიმის ომის გამოცდილებამ ნათლად დაგვიმტკიცა, რომ
რიონის მხარეში თავდაცვითი მოქმედება არახელსაყრელია.
გურიის, სამეგრელოს და აფხაზეთის ღია სანაპიროებზე მო-
წინააღმდეგის გადმოსხმა რომ არ დაგვეშვა, ერთ-ერთ
საშუალებად სწრაფი წინსვლა ითვლებოდა, რათა ბათუმსა
და მის ნავსადგურს დაეუფლებოდით და მოწინააღმდეგისათ-
ის მოგვესპო ოპერაციული ბაზა შავი ზღვის კაეკასიის ნაპი-
რებზე ჯარის გადმოსხმისათვის. ეს კქონდათ მხედველობაში,
როდესაც, სამხედრო მოქმედების დაწყების წინ, ოზურგეთის
მიდამოებში თავმოყრილ იქნა ოცდაათიათასიანი ჯარი.
საჭირო იყო მოულოდნელად მტრის დამორჩილება და კარგ-
ად გაანგარიშებული ფორსირებით ბათუმამდე ზღვის სანაპი-
როს დაკაება. მართლაც, ჩვენ რომ ბათუმი დაგვეყრო,
თურქების ყოველგვარი ცდა დესანტი გადმოესხათ სოხუმში,
უაზრობა იქნებოდა. ჩვენ რომ ბათუმს დაეუფლებოდით,
ჭოროხის მთელი დაბლობი ჩვენს ხელში აღმოჩნდებოდა და
ჩვენი მარჯვენა ფრთით სერიოზულ საფრთხეს შეეუქმნდით
არზრუმს. მაშინ მუხტარ-ფაშაც ვერ შეძლებდა სოდანლულის
მთებში ჯარების თავმოყრას; იგი იძულებული იქნებოდა
უბრძოლველად დაეტოვებინა თავდაცვის მეორე ხაზი: ბაია-
ზეთი — არზრუმი — ტრაპეზუნდი.

საქმის ასეთი წარმართვის შესაძლებლობა უდავო იყო იმის გამო, რომ ამ მხარეში ომისათვის თურქები სრულიად მოუმზადებელი იყვნენ. ციხისძირის სიმაგრეები სრულიად შეუიარაღებელი იყო, არაერთარი თავდაცვითი სამუშაოები იქ დამატებით არ ჩატარებულა; თურქეთის ჯარი ბათუმის რაიონში ტრაპიზონამდე მთლიანად ძლიესდა ითვლიდა 14 ბატალიონ რედიუსს, დაახლოებით 8000 კაცამდე, მაგრამ არც ეს ძალები იყვნენ სათანადო საბრძოლო მდგომარეობაში. ომისათვის მათი მოუმზადებლობა იმდენად დიდი იყო, რომ მთელი ქობულეთის ოლქი წინააღმდეგობის გარეშე დაგვიტოვებს. უკვე ყველა აღიარებს იმ ფაქტს, რომ ვიდრე ჩვენი ჯარები არ მიაღწენ კვირიკეს სიმაღლეებს, მათ თურქეთის რეგულარული ჯარი თვალთაყ არ უნახავთ. ქობულეთის სანჯაყის მოსახლეობის ჩვენდამი აშკარად კეთილგანწყობის საძიებლად ჩვენმა ჯარმა სოფლების დაწვა დაიწყო, ეს გახდა ქობულეთელებთან ჩვენი არამეგობრული ურთიერთობის მიზეზი, და ამიერიდან მათ რაზმების შექმნა დაიწყეს, რომ თავი დაეცვათ მოწინააღმდეგის შეჭრისაგან. ჩვენი ასეთი უტაქტო მოქმედებით ნაწყენმა გრიგოლ გურიელმა, როცა დაინახა, რომ მისი ცდები აჭარლების და ქობულეთელების ჩვენ მხარეზე გადმოყვანის შესახებ საერთო ღონისძიებას ეწინააღმდეგებოდა, გადაწყვიტა ბანაკი დაეტოვებინა და თავის კერას დაბრუნებოდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასამტკიცებლად, ჩემს მიერ მიღებული წერილიდან ერთი იმ პირის ფაქტიურ მონაცემებს მოვიყვან, რომელიც რიონის რაზმის სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობდა.

„საზღვარგარეთ გასულის წინ, — ამბობს იგი, — არაერთარი განკარგულება არ იყო გაცემჯული გზების შესაკეთებლად და

ჯარების სურსათით მოსამარაგებლად. ჩენი ჯარების ომურგეთიდან გამოსვლის დღიდან ორი დღე და ღამე ჩენი ტერიტორიის ფარგლებში ყოფნა მოგვიხდა, თუმცა ნიკოლაევსკის საგუშაგოდან საზღვრამდე მინიმუმი არა უმეტეს 5 ვერსისაა. ლაშქრობის დროს გვიხდებოდა ხიდების შეკეთება, გზების შესწორება, ქვემეხების, ფურგონებისა და სხვა სიმძიმეების გაუფალ ჭაობებიდან ამოტანა. ბრძანება იმაზეც კი არ იყო გაცემული, რომ ცალკეულ მოლაშქრე კოლონებს შორის კავშირი ყოფილიყო, რის გამოც არც ჯარების უფროსმა, არც თავად მირსკიმ, რომელიც იმ დროს ომურგეთში იყო, არაფერი არ იცოდნენ დანიბუგაშილის მარცხენა რაზმის ბედის შესახებ. მოლაშქრე ჯარებს ოთხი დღელამის განმავლობაში გარდა ორცხოზილასი, საჭმელი არ გააჩნდათ. ისინი თურქებს თვითთულად და ჯგუფად მიყავდათ ტყვედ, ძარცვავენ და ა. შ.“

რიონისპირა რაზმის მოქმედებათა მონაწილე ცალკეულ პირთა ჩვენებანი, როგორადაც არასასურველი არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, საეჭვო არაა, რომ ნდობის და უცოდინარობის გამო ჩვენ დაეკარგეთ მცირე აზიაში წარმატებით დაწყებული იერიშების შესანიშნავი შედეგები, კიდევ მეტი, ამ უცოდინარობამ და უდარდელობამ თურქებს შესაძლებლობა მისცა ეთარეშათ აფხაზეთში და კავკასიის სხვა ადგილებში და აჯანყება მოეწყოთ.

*გამ. „გოლოსი“, 1877,
№232, 1 სექტემბერი.*

ოზურგეთი, 8 ნოემბერი
 („გოლოხის“ კორესპონდენცია)

ჩვენი ქობულეთის რაზმი დიდი ხანია უმოქმედოა. არ წარმოებს დიდი სამხედრო ოპერაციები, სამაგიეროდ, ბევრია ერთობ სხვადასხვაგვარი მცირე მოქმედებები, საგუშაგომე ცალკეული ჯგუფების შეტაკებები, უშიშნელო სროლაც. ცალკეული ქობულეთელები, რომლებიც ხმელეთზე მცოცა-ვებივით ხანდახან შორს საყარაულო საგუშაგოს უკან შეძე-რებიან და გვიმრისა და ბუჩქების ტევრს ამოფარებულნი ისერიან, შემდეგ ყველაფერი წყნარდება. ჩვენთან საგუშაგ-ომე იწყება განგაში, მიხლა-მოხლა და სირბილი; ვის ცხენი ჰყავს გამზადებული, ვის თოფი აქვს მომარჯვებული.

აი, წინ გაიჭრნენ ცხენოსანთა ჯგუფები, მათ უკან მი-ჰყვებიან ოცულებად დაწყობილი ჯარისკაცები, რომლებიც მდ. აჭყვას ფერდობზე ბუჩქებთან ხევში იშლებიან, ამასთან რამდენიმე მალს აძლევს არტილერია, თოფები ტალ-ღისებური გრელებით „სიმღერას“ იწყებენ, მაგრამ პასუხი არა და არაა.

„უშმაკმა წაიღოს, კელაე ტყუილი განგაშია“, ჩაილაპარ-აკებს ჯარისკაცი გულისწყრომით, იმის გამო, რომ ამეამ-ადაც, უკვე მუასეჯერ, ვერ შესძლო ხელთ ეგლო თურქი, რო-მელიც ღამის ქურღივით მუღამ დამალულია ხშირ საფარს იქით. თოფგადაკიდებული ჯარისკაცი დამშვიდებული ბრუნ-დება სადგომში. იგი სრულიადაც ვერ ამჩნევს, რომ სწორედ მის ფეხებთან, ბუჩქებში მიმალული, მიწამე გართხმული მტ-ერი სუნთქვას იკაევს, ახლოს გაატარებს ერთ, მეორე,

მესამე ჯარისკაცს და შემდეგ მშვიდად ბრუნდება მლ. აჭყვის იქით, კმაყოფილი იმით, რომ შესძლო თუნდაც ერთი გიაურის სისხლი დაეღვარა. მართლაც იშვიათია ასეთი გაროლის შემდეგ, ჩვენთან, ბანაკში დაქრილი არ აღმოჩნდეს. სროლის ხმა უმეტეს შემთხვევაში, დაბინდების წინ გაისმის ხოლმე საგუშაგოზე.

ხდება კიდევ სხვა სახის ოინებიც. მაგალითად, შეიკრიბება ოცი, ოცდაათი ქობულეთელი, მიდიან წინასწარ შერჩეულ შემალლებულ ადგილას, რომელიც უღრანი ტყითაა დაფარული და რამდენადმე ახლოა ჩვენს ბანაკთან, იცდიან იქ ღამის 10 საათამდე და უცბად აბეზარ სროლას ასტეხენ საგუშაგოებისა და ბანაკის მიმართულებით. კომპანიის დასაწყისში ასეთი სახის ოინები ჩვენს ბანაკში ხშირად მოუსვენრობას იწვევდა. მაგრამ შემდეგ ჩვენ შევეჩვიეთ ასეთ გამობლომებს, როგორც კი დაერწმუნდით, რომ ყოველივე ამას ქობულეთელები სამასხროდ მიმართავენ, უმეტესად იმისათვის, რომ გაერთონ ღამის განგაშით და არავითარი საერთო არ ჰქონდა მას მოწინააღმდეგის მთავარი ძალების მოქმედებასთან, რომლებიც ხუცუბნის სიმაღლეებზე იყვნენ განლაგებულნი.

ქობულეთის რაზმი, თავის მხრივ, ორი რაზმისაგან შედგება: ჩოლოქის-გენ. დანიბეგაშვილის უშუალო მეთაურობით, და ობურგეთის სათადარიგო-გენ. შელემეტევის მეთაურობით. შელემეტევის ავანგარდი მდინარე ჩოლოქის გასწვრივაა განლაგებული ნიკოლაესკის საგუშაგოდან ჯიხანხურის მთებამდე და იქით. ერთი რაზმის ასე ეშელონებად განლაგებულ ორ ნაწილად გაყოფა იმით იყო განპირობებული, რომ წინასწარ ჩაეშალა მოწინააღმდეგის ცდები, დესანტი გადმოესხა შეკვეთილთან (ნიკოლაევის საგუშაგო). იმ

შემთხვევაში, თუ შეკვეთილთან დესანტი მოულოდნელად გადმოსხდებოდა, განსაზღვრული იყო ჩოლოქის გასწვრივ გარკვეულ მანძილზე წინსვლის საშუალება მიეცათ და შემდეგ ორივე მხრიდან გარშემოვლით ორ ცეცხლს შორის მოექციათ. ამრიგად ჩვენი ქობულეთის რაზმი, საერთო განლაგებით დიდ ურჩხულს მოგვაგონებს თავისი მანტიის ორი განყოფილებით, რომელსაც წინა თათები მიმალული აქვს, ხოლო უკანა წინ გაშვერილი, რომ მისი მანტიის ნაოჭებს შორის ხელთ იგდოს მტერი, რომელმაც გვერდებიდან თავდასხმა გაბედა.

მუხაესტაგებზე საბანაკო ცხოვრება ამჟამად მეტად მხიარულად მიდის, უკანასკნელ დროს ქობულეთელების ცალკეული თავდასხმები შტაბის უფროსისა და თურქეთის ხელისუფალთა მოლაპარაკების წყალობით სრულიად შეწყდა. დაიწყო შემოდგომის მშრალი სიცივეები, რომელსაც ასე შეეჩვივნენ ჩვენი ჯარისკაცები. ბოლოს და ბოლოს წავიდა ძლიერი ციებ-ცხელების დრო, რომელმაც დროგამოშვებით არც თუ ისე მცირე მსხვერპლი წაიღო, ციებ-ცხელებით დაავადებულთა სახით. ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში ქუთაისის ჰოსპიტლები 100 ავადმყოფს იღებდა დღეში. სამაგიეროდ, ამჟამად დაავადების შემთხვევები ძლიერ იშვიათი გახდა.

მიმდინარე წელს, იმერეთში სამაგალითო შემოდგომაა: აი, უკვე ერთი თვეა წვიმა თვალითაც არ გვინახავს, ხოლო გრძელი მთვარიანი ღამეები ზღვის სიგრილესთან ერთად უკეთესს ვერაფერს გვანატრებინებს. ჩვენმა ჯარისკაცებმა ჯანმრთელი, საღი სახე მიიღეს, მათი ომახიანი სიმღერები ჭექა-ქუხილივით გაისმის შორს ტყესა და ქობულეთის მთის ხვეებში, მათი ალერსიანი, მხნე შესახედაობა აღსავსეა ძალბითა და თვითდაჯერებით.

მაგრამ ომი, რა ჰუმანური მიზნებისათვისაც არ უნდა წარმოებდეს, ყოველთვის გაელენას ახლენს მასში მონაწილე და მოქმედ პირებზე. რამდენადაც შეუპოვრად და ხანგრძლივად მიმდინარეობს იგი, მით უფრო უხეშდება მისგან არა მარტო ცალკეულ პირთა, არამედ მთელი მოსახლეობის ხასიათი. მუდმივად ადამიანის სისხლის ცქერა და განუწყვეტელი ლაპარაკი ადამიანის ელექტაზე, ბოლოს და ბოლოს, აჩლუნგებს ადამიანის ხასიათის ყველაზე უკეთეს ჰუმანურ მხარეს. ხანგრძლივი ომის დროს ადამიანი ისე უწყებს ცქერას თავის მახლობლის ცხოვრებას, როგორც წიწილისას, რომლის სიცოცხლე მის ხელშია, მის მაღაზია დამოკიდებული გამოჭრას ყელი თუ არა.

ამ ამრების გამამართლებელი რამ ამ დღეებში ომურგე-თში მოხდა. ერთხელ, საღამოს, ერთ-ერთი სასტუმროს სასადილოში თავიდან ფეხებამდე შავ ანაფორაში ჩაცმული ორი სუბიექტი დადიოდა ისე, რომ არავის არ შეეძლო ეჭვის მიტანა, რომ ამ შავ ძონძებში ძველი ცნობილი საგვარეულოს წარმომადგენლები იქნებოდნენ. აღმოჩნდა, რომ ისინი სამგლოვიარო განსაცემელს აგარებდნენ დის გარდაცვალების გამო და სასტუმროს დარბაზში დადიოდნენ, როგორც ღამის მოჩვენებები, უნდა ვიფიქროთ, დარდის გასაქარებლად. აქვე სასადილო მაგიდასთან მჯდომმა ახალგაზრდა ოფიცერმა, დიდად განცვიფრებულმა ამ შავი ფიგურების გამოჩენით, ჰომერული ტონით შენიშნა: „ეს რა შავი ჩრდილებია, საიქიოს სამეფოდან ჩვენთან მოსული?“ შავი ჩრდილები ოფიცრის შენიშვნით განაწყენებულნი, არ მოემუნენ მას, საქმე მუშგებამდე მივიდა, ოფიცერი მეტად მარჯვედ იცავდა თავს და დროგამოშვებით დიდი მუშგებით ორივეს ძლიერად ურგყამდა. შავმა ჩრდილებმა ვერ მოი-

თმისეს, თუიციერო წააქციეს და ბურგში ხანჯლით ორი-სამს მძიმე ჭრილობა მიაყენეს. საჭიროა შევნიშნოთ, რომ შაგი ჩრდილები, ცოცხალი სუბიექტების სახით, რომლებმაც თუი-ცერს ჭრილობები მიაყენეს, გურიის ქვეით რაზმში მსახურობენ...

მრავალ წვრილმან სამხედრო გამოხდომებს შორის, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, უკანასკნელ დროს განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს ქობულეთის რაზმის მარცხენა ფრთაზე 23 სექტემბერს მომხდარი საქმე. იგი ბელაქვენიით ორიგინალურია და ამტკიცებს, თუ საუკუნოვანმა ბრძოლამ ქობულეთელებსა და გურულებს შორის რამდენად გაწაფა მათი სამხედრო ნიჭი და ერთი და იმავე ერის ამ ორ ტომს შორის, მძიმე მღვთმარეობაში, სიმარჯვე და საზრიანობა განავითარა.

23 სექტემბრის საქმეს თავისი ტაქტიკური წესებით მინიატურული სახის ნამდვილი ბრძოლა იყო, თუმცა არც ქობულეთელებს, რომლებიც თავს დაესხნენ, არც გურულებს, რომლებმაც ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს, არასოდეს არ ჰქონიათ პრეკენზია სამხედრო ხელოვნება შეესწავლათ უმადლეს სამხედრო-სასწავლო დაწესებულებებში. ეს დამახასიათებელი შეხლა-შემოხლა, რომ წარმოვიდგინოთ, ჯერ დაგიხატავთ ორივე მებრძოლი მხარის საერთო განლაგებას.

ხუცუბანზე თურქთა განლაგების ყველაზე მაღალი პუნქტი, ეს ისევე გალახას სიმაღლეებია, რომლებზედაც 11 და 12 ივლისს ჩვენ გვისხდებოდა ასე გააფთორებელი იერიშის მიტანა. ამ სიმაღლეებიდან როგორც ხელის გულზე, ისე შეიძლება მიმოვიხილოთ თურქებისა და მთელი ჩვენი ძალების განლაგება საზღვრებამდე. გალახას უღელტეხილზე ახლა მოთავე-

სებულთა თურქების საგუშაგო, სადაც უპიკეხად ქობულეთელები ღვანან. გალახას ულელტეხილი რამლენალმე რკალისებურად უხევეს და გრძელ, დაბალ ქელებად გაყოფილი, თავისი განშტოებებით მდ. ჩოლოქს მიაღვება. ამ ქელებს შორის საკმაოდ ღრმა ხეობებია. სწორედ ამ ვაგრძელელებული ხეობების პირდაპირ, მდინარე ჩოლოქის იქითა მხარეზე, განლაგებულია გურული რაზმების საგუშაგოები, მარცხენა რაზმის ნაწილები პოლკ. ასევეის მეთაურობით; ამ ალვილას მდ. ჩოლოქის ორივე მხარეს სოფ. ქაქეთია განლაგებული; იქითა მხარეს – თურქეთის ქაქეთი, ამ მხარეს – რუსეთის ქაქეთი. ქობულეთელებმა, რომლებიც გალახას ულელტეხილზე იღვწენ 200 კაცის რაოლენობით, შეამჩნიეს სოფ. ქაქეთთან ჩვენი საგუშაგოს სესტი შემადგენლობა, დაეშენენ ხეობებით მდ. ჩოლოქისაკენ და გადაწყვიტეს მისი ხელში ჩაგდება, წინასწარ კი სოფელი ქაქეთი დაიკავეს. გურიის ფეხოსანი ნაწილებისა და პლასტუნთა ასეულისაგან შემდგარი საგუშაგო პირველსავე თავდასხმას სხვა ნაწილების მოხელამლე მარჯველ დახედა.

ამ ღროს, იასე გურიელმა ორმოცდაათი გურული ვაგზაენა გალახა ქელის შუა განშტოების ვასწერივ ქობულეთელების გარშემოსაველელად. მავრამ ქობულეთელებმა, როგორც კი შენიშნეს ამ მცირე ძალების გარშემოვლითი მოძრაობა, გამოპყვეს ჯგუფი, რომელიც სწრაფად გადავიდა უკან, მესამე ქელზე და იქ მიიშალა. როგორც კი ჩვენმა გურულებმა უერლობზე ასელა დაიწყეს, მდინარე ჩოლოქთან მეგრძოლთა ბურვში მიმალულმა ქობულეთელებმა დასაველეთის მცირე ქელიდან სეკყეასაგით დააყარეს ტყვია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა ერთმა მუჭა მამაცებმა

ყოველგვარი ღონე იხმარეს, ვერაფრით ვერ შესძლეს წინ წაწევა მტრის გარშემოსაელეღად და იძულებული გახდნენ, მნიშვნელოვანი დანაკლისით, უკან დაეხიათ. ამ დროს საგუშაგოზე პლასტუნებმა მოუსწრეს და ქობულეთელები კვლავ ტალახას ქედზე გარეკეს. ამ პატარა შეტაკებაში ჩვენების დანაკარგი 50 კაცამდე აღწევდა.

*გამ. „გოლოსი“, №282, 1877,
20 ნოემბერი, (2 დეკემბერი).*

№11

მ უ ხ ა ე ს ტ ა ტ ე , 4 იანვარი, („გოლოსის“ ჰეციალური კორეჰონდენტიხაგან)

პირველი იანვრის შემდეგ ხან წვიმს, ხან თოვს, დღეები უმეტესად უამინდოა, ცივა, ქარი ქრის და სახეში დაუნდობლად გვირგყამს გაყინულ წვეთებს ან თოვლის ხოროშელას.

ობურგეთში დარჩენას აზრი არ ჰქონდა. ვისარგებლე ქობულეთის რაზმის შტაბის უფროსის თაეაზიანი მოწვევით და მისი ფურგონით მუხაესტატეს გაეემგზაერე.

ობურგეთიდან ჩენ ფეხით მოგვიხდა სიარული მუხლამდე ტალახში. წარმოდგენელია თუ როგორ უყურადღებოდაა გზები, რომელიც მოსაელეღად საერობო ხელისუფლებას გუბერნიის ინჟინრისათვის გადაუცია. თუ რა შეიძლება გავაკეთოთ გარკვეული გულმოდგინებისა და კეთილსინდისიერების შემთხვევაში აქაური გზებისათვის, ამის ყველაზე

ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენენ მესანგრეების მიერ დამუშავებული გზები. ჩვენს ინჟინრებს ჩვეულებად აქვთ მთელი დანაშაული დააბრალონ – წელიწადის ღროს ან გზაზე ხშირ მოძრაობას, ხოლო უფრო მეტად, ნესტიან და ჭაობიან ადგილს, მაგრამ ბოგილის საგუშაგოდან მუხაესტატემდე გზების კარგად შენახვის ხელშემშლელი ეს არახელსაყრელი პირობები, ხომ იზრდება! ამ ნაწილში მესანგრეებს უხდებოდათ ბრძოლა უღრან ტყესთან, რომელიც უნდა გაჩეხილიყო, შემდეგ ჭაობებთან, სადაც საჭირო იყო ნიადაგის გამავრება პალოებით, ფიჩხით და მორებით, რათა შემდეგ შესაძლებელი ყოფილიყო მისი შოსირება. გარდა ამისა, ქვეყნის ამ მხარეში ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება მთის ნაკადულები, ჩქერები და ლელები. ამასთანავე, ლელის საგუშაგოდან მუხაესტატემდე გზატკეცილი მიდის. სადგურ სამტრედიიდან დაწყებული ნიკოლაეესკის საგუშაგომდე კი, თითქმის ომის დასაწყისიდან, გზას ჩვენი ინჟინრები ამუშაებენ, და მერე რა? იგი დღემდე პირველყოფილ მდგომარეობაშია! ქობულეთის რაზმი, შესაძლოა, მეტ სიძნელებს განიცდიდა გზების უვარვისობის გამო, რომელიც ჩვენ ინჟინრებს ებარათ, ვიდრე ქობულეთელებისაგან; ვხედავდი რა ყოველივე ამას, უნებლიედ ენაზე მაღვებოდა ერთი პუბლიცისტის გამოთქმა, რომელიც ბოგიერთ ამ ბატონ ინჟინერს შეეფერებოდა: „ომი იქნება, გადარჩებით, არ იქნება და ჩავარდებით“.

ბოგილის საგუშაგოდან ორი ვერსის მანძილზე, ჩვენი სასაზღვრო ხაზის პუნქტიდან, ნიკოლაეესკის საგუშაგოსაკენ, შევხვდით მეორე გზას, გაკეთებულს მესანგრეების მიერ ნიკოლაეესკის გზატკეცილამდე, რათა შემოსასვლელი გზა გქონოდა ოზურგეთისაკენ. მაგრამ რამდენადაც წმინდა ნიკ-

ოლოზის საგუშაგოდან ოზურგეთამდე გზა მიმოსვლისათვის, მისი უვარგისობის გამო დაუძლეველ დაბრკოლებებს წარმოადგენდა, მისი სრულიად მიტოვება მოგვიხდა. სამხედრო მოქმედების დროს მესანგრეების მიერ გაკეთებული გზა ექაღიას ქელიდან მიმავალ მთის ფერდობზე მიემართება. ფერდობის სიგანე არაუმეტეს ორმოცდაათი საჯენისაა, ხოლო ალაგ-ალაგ 20-25 ნაბიჯამდე ვიწროვდება. მისგან მარცხნივ და მარჯვნივ ყველგან მეტად ციყაბო და ღრმა ხეობებია. გზატკეცილის ორივე გვერდზე ვხვდებოდით მოჭრილ კუნძებს, რომელთა გარშემოწერილობა ერთი ან ორი საჯენი იყო. შქერი, ბზა და ხისებრი ხვია მცენარეები ასწლოვან მუხებთან, კაკლებთან და წაბლებთან ერთად გაუვალ ტევრადაა გადახლართული. როდესაც ამ ადგილებში მიდიხართ, თავს ამერიკის უღრან ტყეებში გრძნობთ. აქა-იქ დაფნისა და მაგნოლიის ერთ-ერთი სახეობის მარად მწვანე მცენარეებია. ამ უღრან ტყის გაჩეხვა, ამის კვალდაკვალ წინსვლა, საფლობ ადგილებში გზატკეცილის გაყვანა და მასზე ქვემეხების გადაზიდვა, დამეთანხმებით, ადვილი არაა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს რიონის მხარის ჯარების მამაცობა: ისინი არც შრომას ზოგავდნენ, არც ენერგიას, რომ ამ გაუვალ ადგილებში გზა გაეკაფათ, რათა უღრანი ტყეების, ჭაობებისა და ღრმა ხეების ქვეყანაში შესაძლებელი ყოფილიყო ნორმალური სამხედრო ოპერაციების წარმოება. ამჟამად ვუყურებთ რა მოშიშვლებულ ოჩხამურის დაბლობს და მუხაესტატეს სიმაღლეებს, ძნელია დავიჯეროთ, რომ ერთი წლის წინათ აქ ისეთი უღრანი ტყე იყო, სადაც მწვეარ ძაღლსაც კი გაუჭირდებოდა გაძრომა, ხოლო ღრმა ხეებსა და ოჩხამურის საფლობ ღელებში მხოლოდ თითო-ოროლა ტახი თუ დადიოდა. ახლა, როდესაც ოთხცხენიანი ეტლით

მუხაესტატეს გზატკეცილზე მიემგზავრებით, საკუთარი თე-
ალით შეგიძლიათ დარწმუნდეთ ჩვენი ჯარისკაცების რა-
დიდი შრომა და სისხლია ჩაღვრილი ამ კამპანიის მოკლე
დროში. როდესაც თავქვე დავეშვით, ან უკეთ რომ ვსთქვათ,
ოჩხამურის შემაღლებებზე ენახე ბარაკების მთელი რიგი, სა-
იდანაც იტყვირებოდა ადგილობრივი კულაკები, მეფარდულენი,
მარკიტანტები ქუთაისიდან, ოზურგეთიდან და ფოთიდან. ეს
ყვავები და ჭკები მუდმივად თან, ფეხდაფეხ მიჰყვებიან
ქობულეთის რაზმს და მისი ყოველდღიური საკვების ყველა-
ზე ღიდ ნაწილს ითვისებენ. აქ ახლა ერთი ფუთ თივაში 3
მანეთს აძლევენ და კიდევ არიან კულაკები, რომლებიც ამ
ფასად ოზურგეთიდან და ქუთაისიდან მის ჩაშოტანას ხელ-
საყრელად არ თვლიან.

ოჩხამურის მარჯვენა ნაპირზე ბანაკია გაშლილი. ოჩხ-
ამურის ნაკადი აქ უხვევს და ფერღობ ტერასებში ჩასასელ-
ელს ქმნის. ნაკადის მარცხენა მხარეზე, სამი მხრიდან ძნელ-
ად შესასელელი, ხეებით გარშემორტყმული საკმაოდ
ვრცელი პლატოა. სწორედ ამ პლატოზეა მოწყობილი პოზი-
ცია, რომელიც გარშემორტყმულია ტრანშეებით. ამრიგად,
თაეისთავად მუხაესტატეს პოზიცია მარჯვენა ნაპირზე ოჩ-
ხამურის ბანაკს იცავს. ამ ხასიათის ტაქტიკური პირობა იყო
მიზეზი, რომ ბანაკი ლაზარეთითურთ აღმოჩნდა ღრმა ღელ-
ეში, სადაც სანიტარული პირობები, ჭაობიანი ადგილის გამო,
რამდენადღე ტაქტიკურის საწინააღმდეგო იყო. მაგრამ რადგ-
ანაც მუხაესტატეს პოზიცია, სამხედრო ოპერაციების ვი-
თარების გამო, ყოველთვის ღროებითად ითვლებოდა, არ
შეიძლებოდა ყურადღება მიგვექცია სხვა მოსაზრებებისათუ-
ის, გარდა სამხედროსი. აი, რატომ იყო, რომ თანამედროვე
გართულებული მღვთმარეობა, სიცივეების დადგომის გამო,

მოულოდბელ ხასიათს ატარებდა. არაეინ ფიქრობდა მომზადებულიყო ამისათვის, მაგრამ აი, უკვე ორ კვირაზე მეტია, რაც აქ მუდმივი აედარია: ხან წეიმა, ხან თოვლი, ხან ყინვა. ყოველივე ამასთან ერთად ზღვიდან განუწყვეტლივ ქრის ცივი ქარი, ხანდახან აქ ქარიშხალიც იცის. კარეები ცოტაა. საჭირო გახდა მიწურების გაკეთება, მაგრამ ვინაიდან მიწისქვეშა წყლები ძლიერ ახლოა ზედაპირთან, მიწურები მალე ივსებოდა წყლით. აქაური თიხა ქვიშანარეეია, ამიტომ იგი ფხეიერია და ღრუბელივით ისრუტავს სინოტივეს. აი, რატომაა, რომ ხანგრძლივ ღრუბლიან ამინდში მიწურების სახურავები იმდენად იელინთებოდა წყლით, რომ მეტისმეტი სიმბიბისაგან ინგრეოდა. რამდენიმე უბედური შემთხვევა იყო. შტაბის უფროსიც კინაღამ გაიჭყლიტა მიწურის ჩამონგრევისას. სიცივეების დაწყების გამო მუხაესტატეს საინტენდანტო საწყობში საკმაოდ მრავალი ნაკლოვანება აღმოჩნდა. ეს ერთი შეხედვითაც შეიძლება შეამჩნიოთ არტილერიის, განსაკუთრებით კი, კამაკების ცხენებს. მუხაესტატეს საინტენდანტო საწყობის მდგომარეობის უწყისში თივის რუბრიკაში აღნიშნულია: „არაა“, მარილი – არაა“ და ა. შ.

*გაზ. „კოლოსი“, 1878,
№20, ანუარი (1 თებერვალი).*

ხუცუბანი, 10 იანვარი,
 („გოლოზიხ“ ზპეციალური კორესპონდენტიხაგან)

უკანასკნელი დღეები მუხაესტაგეში საშინელი აღმოჩნდა. თოვა ერთი წუთით არ შეწყვეტილა, თანაც ქარბუქი მძვინვარებს. ამ დღეებში, შეიძლება ითქვას, ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით გარე სამყაროს. სამხედრო-საეულე ტელეგრაფის წერილი ბოძები წაიქცა; მათული მუხაესტაგედან ოზურგეთამდე, 19 ვერსის მანძილზე, ორ ადგილას გაწყდა. გზები თოვლით დაიფარა ქარბუქის დროს, რომელიც იმდენად მძვინვარებდა მთებში, რომ გზის აღდგენის შესაძლებლობა აღარ იყო. თუმცა შტაბის კარები, რომელთა ახლოს მე მოვეწყე, გაშლილია ოჩხამურის ხეში, რომელსაც აღმოსაულეთიდან ჩახათის მთის საკმაოდ მაღალი ქედი იცავს, მაგრამ ეს ოღნავადაც არ გვიცავდა. ჩემი კარავი წაქცევას აპირებდა! კარავში სიცივისაგან თითები მიშეშდებოდა. ღამღამობით კი სახსრებში ძლიერი ტეხვა დამეწყო. რადგანაც მე პრივილეგირებულთა რიცხვში ვიყავი და ქარიშხლის ავის მომასწავებელ სტვენასა და ღმუილში ჩემს კარავთან ღამის ყარაულის მოზომილი ნაბიჯები მესმოდა, იქვე გვერდით, ქარიშხალში, შიკრიკი თვალის მოუხუჭავად, მთელი ღამე ჩემსა და შტაბის უფროსის კარავს შორის მანძილს წომავდა. მაგრამ, თავის მხრივ, ეს შიკრიკიც პრივილეგირებული იყო მოწინავე ხაზის პიკეტებთან შედარებით, რომლებიც ამ ღამეებში ხუცუბნის მაღლობზე და ჩახათის ქედებზე იდგნენ. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ მრავალ მათგანს ჯუბაც კი არ ჰქონდა. ზამთარმა მოუმზადებელს მოგვისწრო.

საინტენდანტომ, ჯერ კიდევ, ვერც ტყაპუჭების და ვერც ჯუბაჩების მოტანა ვერ მოასწრო.

სხვათა შორის, აღმოჩნდა, რომ საინტენდანტო სხვა ამრის იყო აქაურ ზამთარზე; მიუხედავად იმისა, რომ ქობულეთის რაზმის შტაბში მუხაესტატესა და ხუცუბანში მოსალოდნელ სიცივეებზე ცნობა ჯერ კიდევ ოქტომბერში მოვიდა. საინტენდანტოს თურმე, ქობულეთის რაიონში კლიმატი ისეთივე თბილი წარმოედგინა, როგორც მაისში. „იქ კიდევ ყვავის ვარდები და ჟონგოს ამალია“.

5 და 6 იანვარს ღამით ძლიერი ყინვა იყო, ნათლილებს დღეს მზემ გამოიხედა; დანიშნული იყო აღლუმი. მდინარე ოჩხამურის გასწვრივ ჩვენი ჯარები, მწყობრში განლაგდნენ. აქ იყვნენ ზაქათლელები, მეგრელები, კაზაკები, ქართლის და გურიის რაზმები.

ოდესღაც ქრისტიანულ მდინარე ოჩხამურს, ოთხი საუკუნის მაჰმადიანობის შემდეგ, დღეს პირველად მოუხდა ხელმეორედ მონათელა, — კვლავ დაბრუნება ქრისტიანული ეკლესიის უბეში და ამჯერად უკვე საბოლოოდ. ამის გარანტიას იძლეოდა აქვე მდგომი ერევნის¹ მხედრიონი.

ამ მხედრიონის სათავეში იდგა გენერალი დანიბეგაშვილი. მისი ნათელი სახე, ცოცხალი თვალები და ხშირი, ჭაღარა ნარევი ხუჭუჭა თმა ბრძოლებში გამობრძმედილ გმირს მოგვაგონებდა. მისი სკოლა — კაეკასიის მთის ომია. გენერლის საუცხოო ცხოვრებამ ბუნებასთან და მრისხანე მთიელებთან მუდმივ ბრძოლაში გაიარა. კარავში ცხოვრობდა ჯარისკაცებთან ერთად: აი, რითი შეიძლება აიხსნას მათდამი

1 უნდა იყოს "გურულების" (მ. შ., შ. ხ)

მისი მუდამ ლმობიერი დამოკიდებულება. მას ესმის მათი ენა. ჯარისკაცები მას სხვანაირად არ უწოდებენ, თუ არა თავიანთ „ბიძას“. როდესაც გენერალი დანიბეგაშვილი პირში ჩიბუხით თავის კარაეში მის, იგი ნამდვილად სამხედრო ცხოვრების გამოცდილებით აღსაესე „ბიძას“ მოგვაგონებს.

ჯარისკაცი ბანაკში ორ დღეს ზედიზედ იშვიათად გააგარებს ისე, რომ თავისი „ბიძის“ კარაეთან არ გაიაროს და არ შეიხედოს. თვით „ბიძა“ კი გულუხვია გამამხნეველი გამოთქმებით. ჯარისკაცი ჰაერში იჭერს მის სიტყვებს, გაიღიმებს და როგორღაც მსუბუქად, მხნედ გრძნობს თავს. ასეთ გონიერ ადამიანებს, როგორიც გენერალი დანიბეგაშვილია, სამხედრო ცხოვრებამ სწორი შეხედულებები გამოუმუშავა. ისინი ერთი შეხედვით უკეთ აფასებენ შექმნილ მდგომარეობას, ვიდრე გენერალური შტაბის ის გადაბერებული ოფიცრები, რომლებმაც თავიანთ სიცოცხლეში ბლეა მელანი დახარჯეს დანომრილი რელაციების წერაზე, გამოუთქმელი რაოდენობის სამხედრო თხზულებებში წაიკითხეს, მაგრამ სამხედრო ცხოვრებაში ყოველთვის დამყაყებული ბიუროკრატიზმი შემოკჭონდათ, მუდამ საქმე კჭონდათ მრავალრიცხოვან ნომრებიან შემოსულ და გასულ ქალაქლებთან. ქმნიდნენ მოსაზრებებს, ისე რომ ფქტებს ყურადღებასაც არ აქცევდნენ და მით საქმეს მუდამ აყოვნებდნენ. დანიბეგაშვილის მსგავსნი ომისათვის არიან დაბადებულნი – თავდადებულნი ბრძოლებში, დაუღალავნი შრომაში, სათითაოდ იცნობენ თავიანთ ჯარისკაცებს და მათ საჭიროებებს. ისინი არ არიან სტრატეგები და ქალაქდზე ბრწყინვალე გეგმების შემადგენლნი, მაგრამ მათ მუდამ მხნე სული შეაქვთ ჯარში. ასეთი „ბიძების“ ჯარში ყოფნის გამო რუსი მეომრები სულით ძლიერნი და რთულ ვითარებაში შეუდრეკელნი არიან.

გენერალ კომაროვის მიერ ხუცუბნის პოზიციების დათვალეობისას, ჯარისკაცთა მწკრივები მხნედ მიესალმნენ თავიანთ ახალ მეთაურს. გენერალი დანიბეგაშვილი მას უკან მიჰყვებოდა. მწკრივში ვილაცამ წაიჩურჩულა: აი, „ბიძია მოდის“. გენერალმა დანიბეგაშვილმა მას რამდენიმე სიტყვა უთხრა. ჯარისკაცებმა მხიარულად გაიცინეს და თავის „ბიძასთან“ ერთად ხარხარი დაიწყეს. მახსოვს, გასულ წელს, ქუთაისში, თავად წერეთელთან მეჯლისზე, გენერალმა დანიბეგაშვილმა მთელი ის მშვენიერი საღამო ხერინვაში გაატარა, მაშინ როდესაც ბანაკში, თავის კარავში, იგი მუდამ მხიარული და მხნეა. 6 იანვარს შუალამის პირველ საათზე მუხაესტატეში მოვიდა გენერალ-ლეიტენანტი კომაროვი, რომელიც ქობულეთის რაზმის უფროსადაა დანიშნული. იგი საშუალო სიმაღლისაა, შავი დაწყობილი წვერით და რომაული ცხვირით. შეხედულებით იგი, თავის წლებთან შედარებით, ბევრად ახალგაზრდა ჩანს. გენერალი საესებით გიჟიური სამხრეთელია. იგი ჯერ კიდევ გენერალური შტაბის ოფიცერი იყო, როცა ორმოცდაათიან წლებში მივლინებულ იქნა გენერალ ვრეესკის რაზმში. კავკასია მისი სამხედრო სკოლა იყო. ზივინის გმირი, ამას წინათ მარცხენა ფეხში მიღებული ჭრილობის გამო ცოცხალი წაიკოჭლებს. მისი მოუსვენარი ბუნებაა იმის მიზეზი, რომ ჭრილობა ჯერ კიდევ მთლიანად არ შეუხორცდა. ჭრილობის მიღების მეხუთე დღეს, იგი ავად გახდა გიფით. მისი სახის გამომეტყველება ენერგიულია, ლაპარაკის დროს ხმა რამდენადმე მსტვინავი აქვს, ბრძანების გაცემის დროს კი გამოირჩევა ელერალობით. იგი ხშირად მეტად მწარედ ენამახვილობს. განსაკუთრებით ვერ იგანს სამხედრო საქმეში კანცელარიზმს და უკვე აღმაცერად უცქერის რიონის მხარის ჯარების შტაბის ბიუ-

როკრატიულ სტილს, რომელიც მდიდარია ყოველგვარი მოსაზრებებით, მაგრამ ეერ იძლევა საქმიან განკარგულებებს.

7 იანვარს, ქობულეთის რაზმის ახალმა უფროსმა ოჩხამურის ბანაკი და მუხაესტატეს პოზიცია დაათვალიერა.

ოჩხამურის ბანაკი განლაგებულია ჩაქარდნილ ადგილზე, რომელიც მღვისკენაა გაჭრილი. დასაუღეთიდან აღმოსაუღეთისაკენ მიემართება ჯიხანჯურის გუბის განშტოებები და უერთდება ჩახათის მთებს, რომლებიც თავის მხრივ მიემართებიან აღმოსაუღეთისაკენ, შემდგომ უხევეენ სამხრეთისაკენ და ხუცუბნამღე აღწევენ. ოჩხამურის ბანაკის სამხრეთით, აღმოსაუღეთიდან დასაუღეთისაკენ, მღვისაკენ ტერასებად ეშეება მუხაესტატეს პოზიციის მალღობები. ეს სიმალღეები დასერიღია ღრმა ხეეებით, საღაც მამთრის ბინებში ჯარებია განლაგებული. ისინი აქ მოწინააღმღეჯის ტყეიის და ყუმბარისაგან თაემესაღარს პოუღობღნენ მამინ, როღესაე ხუცუბანი ჯერ კიღეე თურქების ხელში იყო. ხუცუბნის პოზიციები აბსოღუტურად ბატონობენ მუხაესტატეს პოზიციებზე, რაც ჩვენ რაზმს აიძუღებს თავისი ფრონტი ზეღმიწენით გაჭიღოს. ქობულეთის რაზმმა თავისი მარცხენა ფრთა ძალიან ახღოს მოათაესა ჩახათის განშტოებებთან და ამ განშტოებებში მუღმივად იცაეღა რა გასასუღეღებს თავისი მცირერიცხოენების გამო, საშუაღება დაქკარგა თავი მოეყარა. მუხაესტატეს პოზიციის მთაეარ პღაგომე რიცხოზრივად ჭარბი მოწინააღმღეჯის წინ, რომღის მხარეზე იყო აღგიღმღებარეობის ყეღლა უპირატესობა. აი, რაშია ტაქტიკური თვალსაზრისით მუხაესტატეს პოზიციების მთაეარი უარყოფითი მხარე. ყოვეღიეე ამასთან მუხაესტატეს პოზიცია მოწინააღმღეჯის ფრონტაღურ იერიშისაგან კარგად იყო

დაცული ხელოვნური დაბრკოლებებით. პოზიციაზე გამოყენ-
ილი ჯარი მხნედ უქქებოდა და მხიარულად ესალმებოდა
თაყის ახალ მეთაურს.

გენერალი კომაროვი გურულ და ქართულ რაზმებს ქარ-
თულად მიმართავდა. ეს მათთვის, ჩანს, სასიამოვნო იყო.
გენერალ კომაროვს მეუღლედ სომხის ქალი ჰყავდა და
სომხურიც ისევე იცოდა, როგორც ქართული.

8 იანვარს ქობულეთის რაზმის უფროსი ხუცუბანში წაე-
იდა. ცივი ღლე იყო, თოვდა. ჩვენ თიხნარზე მივდიოდით,
გალახი ცხენებს მუცლამდე წედებოდა. ძნელი წარმოსადგ-
ენია, რომ ვიდრე გზები ასე გაფუჭებულია, რაიმე სამხედრო
ოპერაცია განხორციელდეს. 7 იანვარს საჩალვადრო ცხენები
ტვირთით ხუცუბნისკენ გარეკეს. ოთხი მათგანი გალახში ჩა-
ეფლო და დაიხრჩო.

ხუცუბნის პოზიცია მთის სამ კონუსზეა განლაგებული,
რომელთაგანაც საშუალო ყველაზე მაღალია და მოტიტე-
ლებული – აი, ეს არის სწორედ ხუცუბნის ცენტრალური
პოზიცია. ამ მთების კონუსების პარალელურად, ბარიერების
მსგავსად, კონდილის ქედი მიემართება. ხუცუბნის წინ
აღმართულია კიდევ მთის ერთი კონუსი აჭყვისთაყის
სახელწოდებით. ამ მთის ძირას მდინარე აჭყეა მოედინება.

ხუცუბნის მესამე კონუსი ზღვის მხარეს დიდ ტერასად
წყდება, რომელიც ქალაქ ქობულეთზე ბატონობს. აქ განლ-
აგებულია ჩვენი 24 ფუნტიანი ქვემეხის ბატარეა. მარცხენა
მხარეს გრძელი შენობაა, კარგად არ ვიცი, ეს ყაზარმა იყო
თუ პოსპიტალი. მარჯვნივ, თითქმის ქალაქის მეორე ბოლოს,
ოსმან ფაშას ლამაზი არქიტექტურული თეთრი ქვის სახლია.
ქვემეხის ცეცხლისათვის იგი მეტად მიმზიდველი იყო. გენერ-
ალმა კომაროვმა ვერ მოითმინა: სროლის ბრძანება ვასცა.

ყველაფერი უკვე მზად იყო. წარმოვიდგინე ყუბბარებით დაცხრილული ლამაზი სახლი; კიდევ ერთი თვალის დახმამხამება და ქვემეხების ხმაური გვაუწყებდა განწირული სახლის ნგრევას, რომ უცებ ბრძანება გაიცა არ ესროლოთ. აღმოჩნდა, რომ კინკრიშის იქითა მხარეს პარლამენტობრივი იყო გაგზავნილი და ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო. მის დაბრუნებამდე სროლა უხერხულად სცნეს. ხუცუბანში ჩვენ შეგვხვდა ქობულეთელთა გადარჩენილი სახლები. მათგან ორი – არქიტექტურით ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, ისინი იმერლებისა და ქართლელების აივნებიან პატარა სახლებს გვაგონებენ; ფანჯრები საკმაოდ მაღალია და მათში შუშის მაგიერ ჩაწებებულია ქონით გაქვინთილი ქალღმერთები. აი, ამ სახლებიდან ერთში გენერალი შეღებულები მოთავსდა, მეორეში კი – სასტუმრო მოაწყვეს. შენობაში აღმოჩნდა ერთი ბერძენი, რომელიც აყროლებულ გეთზე დამზადებულ ულუფაში 60 კაპ. იღებს, ხოლო ერთ ბოთლ ოცკაპიკიან ლეინოში – მანეთს.

ხუცუბანში ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო თურქების ბარაკებმა. ისინი ისეა აშენებული, რომ ერთი მხარე აუცილებლად მიყრდნობილი აქვთ ვერტიკალურად ჩამოჭრილ ბორცვზე. დანარჩენი სამი მხარე კი გამოყვანილია ან დაპობილი მორებისაგან გათლილი ფიცრებით ან წნულებისაგან; ადგილ-ადგილ კი კედლები აგებულია ქვის ფილებისაგან და შემდგომ ყველა ისინი თიხითაა შელესილი. ბევრი ისეთი ბარაკი იყო, სადაც კედელი ამოშენებულია ან ფილებით, ან რიყის ქვით. ღუმელები ამოჭრილია მიწის კედელში და ქვითაა ამოყვანილი, დაბალ ბარაკებში ღუმელის მიღები საგრძნობლად იყო დახრილი კედლისაკენ, უფრო მაღალ ბარაკებში კეამლის მიღები მიწაში იყო ვერტიკალუ-

რად ჩაყრილი, და ბარაკების სახურავს მაღლა ადიოდა. ეს მიწები თიხის კრამიტიცა იყო. ასეთი ღუმელის ნახერეტი ყოველთვის კეაღრატულია. ყოველ ბარაკს 5-კუთხოვანი შეხედულება ჰქონდა. შიგ იდგა ფიცრის ტახტები, რაზედაც რამდენიმე კაცი მოთავსდებოდა დასაძინებლად. ზოგიერთი ბარაკი კრამიტით იყო გადახურული, სხვები უბრალოდ ფიცრებითა და ფიცრის ნაჭრებით, უმეტესი ნაწილი კი ფოთლოვანი ტოტებით. ფოთლები გამხმარი იყო და სახურავზე სქელ ფენად ილო.

უმეტეს შემთხვევაში, ეს ტოტები და ფოთლები დეკას და პონტოს შქერისა იყო, მათი ფოთლები მაგარია და დიდხანს ინახება. მაგრამ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თუ დერეში-ფაშა მაღლიერი იყო ჩვენი სამხედრო ხელმძღვანელობისა საუკეთესო გზების გაყვანის გამო, არც ის დაგერჩა ვალში და ჩვენს ჯარებს მეტად მოხერხებული მამთრის ბარაკები მოუმზადა. ამ მხრივ თურქების ნამუშევარი გასაოცარია, ამბობენ მათ ხუცუბანზე სამხერხაო ჰქონდათო, რომელიც საამშენებლო ფიცრებს ამზადებდა, ქვები კი მათ კინტრიშიდან და აჭყვიდან, სამი-ოთხი ვერსის მანძილიდან მოჰქონდათ.

გაზ. „გოლოსი“, №22, 1878.

22 იანვარი

ხ უ ც უ ბ ა ნ ი , 25 იანვარი
 („გოლოსის“ სპეციალური კორესპონდენტი საგან)

გაცნობებით ჩვენი დაჭრილებისადმი თურქების დამოკიდებულებას. 18 იანვარს უკან დახევის დროს ბრძოლის ველზე დარჩენილ დაჭრილთა წამოყვანის საშუალება არ იყო. ეს საკითხი ძლიერ მაინტერესებდა მას შემდეგ, რაც გაზეთებში წაეიკითხე თურქების აღმამფოთებელ სისასტიკეზე ჩვენი დაჭრილების მიმართ. როგორც იცყვიან, მსურდა ჩემი თვალთ დაერწმუნებულიყაეი თურქების მიერ ჩადენილ ამ აღმამფოთებელი ფაქტის სინამდვილეში.

საღამოს, 18 იანვარს, ბრძოლის დამთავრების შემდეგ, ჩვენმა მოხალისეებმა რამდენიმე ამხანაგის მხარდაჭერით დაჭრილების გადმოყვანა დაიწყეს მდინარე კინტრიშის მარცხენა ნაპირიდან. ერთმა მეზობლმა, რომლისთვისაც თურქებს უკვე გაეძროთ ფორმა და ჩექმები, კინტრიშამდე მოაღწია და არაქათგამოცლილი დაეცა, მოხალისეებმა იგი შესახვევ უნქტში მიიყვანეს.

დაკითხვის დროს მან განაცხადა, რომ იგი ამხანაგებთან ერთად იწვა სტოლოვიაის მთის მახლობლად ბუჩქებში. მოდის თურქი და სურს ამხანაგს ჩექმები გააძროს. დაჭრილი თავს იცაუდა: თურქმა დიდხანს არ იფიქრა, ჩაარტყა კონდახი და იქვე ადგილზე მოკლა. როდესაც მკედარს ჩექმა და განისამოსი გახადა, თურქმა იმავე ოპერაციის ჩატარება მთხრობელზე დაიწყო. თვალწინ ჰქონდა რა სანიმუშო მაგალითი ამხანაგისა, და იცოდა, თუ რა შეიძლებოდა მოყოლოდა წინააღმდეგობას, მან ჩექმის და ფორმის გახდა დაანება თურქს, რითაც თავისი სიცოცხლე გადაარჩინა.

ბრძოლის მეორე დღეს, პარლამენტიერთა მოლაპარაკების შემდეგ, ჩვენი თაყიანთი დაჭრილებისა და მეღღრების მოკრეყის ნება ღართეს. ამავე ღროს თურქებმა თანხმობა განაცხადეს თვითონვე მოეყვანათ ყველა ჩენი დაჭრილი და მეღღარი კინტრიშის ნაპირთან, საიღანაც ჩვენებს გაღმოყუღღათ ისინი. პარლამენტიორის შეკითხვაზე: „არიან თუ არა მათთან ჩენი დაჭრილები?“ თურქებმა უპასუხეს, რომ იმ დაჭრილ რუსთაგან, რომელიც მათ სანგრებში იპოვეს, ყველა ჭრილობაშეხვეულია და ბათუშში გაგზავნილი, ხოლო ველზე დარჩენიღღათა შეკრება მათ ვერ შესღღღეს, თითქოს და იმ მოტივით, რომ რუსების მხრიღღან სროლისა ეშინოღღათ. კინტრიშის მარცხენა მხარეს გაფანტული უამრავი ჩანთები და ვაზნები თურქებმა შეკრიბეს და ჩვენებს შესთავაზეს წაეღღღოთ, რაღღღან, როგორც განაცხადეს, ეს ნიუთები მათ არ სჭირღღღებოღღათ. თურქების მიერ ჩენთეის გაღმოცემული ტყვეებისა და დაჭრიღღღათა უმრავღღღესობა უჩემოღღღ იყო, მაგრამ ბევრ მათგანს ყვეღღღაფერი თან ჰქონღღღა, მათთეის არაფერი არ გაუხღღღიათ, ჩემებშიც კი. სხვათა შორის, თურქები ჩემებს ანსხვაებღღღენ; ცოგათ თუ ბევრად ხეირიან ჩემებს ჩენს დაჭრილებს ისინი ხღღღღენ. ჩენი ჩემებისაღღღი ისინი ძღღღიერ ხარზნი არიან. და ეს გასაგებიცაა, თუ მხეღღღელობაში მივიღღღებთ, რომ მათი ფეხსაღღღელი ზამთრისათეის არაფრად არ ვარგა. ჰერ კიღღღე მუხაესგატეში ვიყავი, როცა შგაბის უფროსთან არაბისგანელი ერთი ღღღერტირი თურქი მოიყვანეს. მას დაღღღეჯიღღღი მოკღღღეყელიანი ფეხსაღღღელი ეცვა და, ეღღღარ იგანღღღა რა მოყინული თითების გკივიღღღს, მწარედ გიროღღღა. გასაგებია, რომ ასეთი ფეხსაღღღელების პატრონი დახარბებულნი არიან ჩენი ჰარისკაცების ჩემებს. ჩენი

ჯარების მიერ 18 იანვარს დატყვევებულ მუომართა გაცელისას, სხვათა შორის, დაგვიბრუნეს მსროლელი ბაგალიონის დაჭრილი უნტერ-ოფიცერი, რომელსაც ჭრილობები უკვე შეხეული ჰქონდა. იგი ყვებოდა, რომ თურქებმა ის ლაზარეთში წაიყვანეს და პირველი დახმარება აღმოუჩინეს.

შეხვევის დროს თურქმა ექიმმა მას გადაბრუნება უბრძანა. უნტერ-ოფიცერი დაღლილობისა და ჭრილობისაგან დიდ ტკივილს გრძნობდა და არ დათანხმდა ამბზე. თურქ ესკულაპს დიღხანს არ უფიქრია, ორჯერ შემოარტყა სილა, რამაც უნტერ-ოფიცერი აიძულა გადაბრუნებულყო. სხვათა შორის, უნტერ-ოფიცერების მოყოლით, თურქი ესკულაპი, ამ მხრივ თავის და რუს დაჭრილებს არ ანსხვავებდა. მაგრამ თურქი ოფიცერების თანდასწრებით იგი ყოველთვის თავს იკავებდა ამ შთამაგონებელი ღონისძიებებისაგან. რაც შეეხება მოელას, იგი არ უჩიოდა, პირიქით, აქებდა მათ საჭმელს, თურქ ჯარისკაცებსა და ოფიცერებს, რომლებიც მისდამი ყურადღებას იჩენდნენ. ჩვენთან გამოგზავრების დროს იგი დერეიშ-ფაშამ ინახულა და, მისცა რა რამდენიმე თურქული ასიგნაცია, უთხრა, რომ თითოეული მათგანი 1 მან. 50 კაპ. ღირს ჩვენს ფულზე, თურქებისაგან გადაყვანილ დაჭრილებსა და მკედრებს შორის არც ერთი იყო დასახიჩრებული ან წამების ნიშნების მქონე.

ვაშ. „გოლოსი“, №40, 1878,

9 (21) თებერვალი.

ხ უ ც უ ბ ა ნ ი, 28 იანვარი
 („გოლოზის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

უბელური დღე, 18 იანვარი, ჩვენი ამხანაგების უშედეგოდ დაღვრილი სისხლის გამო ჩვენთვის ნამდვილი ნემეზიდაა. მას შემდეგ ჩვენთვის ხუცუბანზე სასიხარულო დღეები აღარ ყოფილა.

19 იანვარს ბლვიდან ქარმა დაქროლა და დიდი თოვლი მოგვიტანა! გაუვალ ტალახზე 1,5 არშინი თოვლი დასდო.

ცხენები, რომლებიც ადრე მუცლამდე ეფლობოდნენ, ახლა ყურებამდე იძირებიან. ოზურგეთთან და ოზურგეთის იქით დანარჩენ სამყაროსთან რიგიანი ურთიერთობა ან სრულიად არაა, ან იგი მხოლოდ მცირე ღროით აღსდგება ხოლმე. იერიშის წინ ქობულეთის რაზმის უფროსმა იმ იმედით, რომ 1,5 დღეში თავის ღუმას ბათუმში ჩაუშვებდა, უბრძანა ჯარს სამი დღის სამყოფი ორცხობილა მოემარაგებინა და თუ თავისი საოცნებო გეგმა ვერ შეასრულა, ყოველ შემთხვევაში, მეგისმეტად პრაქტიკულად მოიქცა, როდესაც წინასწარ განსჭვრიტა ბედის და, განსაკუთრებით, ქობულეთის კლიმატის ცვალებადობა. რა მოუედილოდათ ჯარისკაცებს, ეს ორცხობილა რომ არ მოემარაგებინათ! ჩვენ, კერძო პირები, მე და რამდენიმე სხვა, რომლებიც კერძო მოღვაწეობის მეტად მრავალჯვარი მოვალეობის გამო ხუცუბნის ფერდობზე მოვედით, იმპროვიზირებული სასტუმროს მეპატრონის ბატონ გილის წყალობით, როგორღაც იოლად გავედით. პური თუ არა, ყოველ შემთხვევაში, სამტრედიის ქარხნის ლუდი მაინც

გეყოფნის, ერთი თუ არა გვაქვს, მეორეთი ეკმაყოფილებით, ამიტომ ჩვენ სიუხვის და შიმშილობის დროსაც ერთნაირად მაძღრები ვართ. მახსოვს ერთ-ერთ წინა კორესპონდენციაში ვუჩიოდით გილის იმპროვიზირებულ სასტუმროში საკვებისა და სასმელის სიძვირეს. ახლა მზად ვარ ბატონ გილს ოთხმაგად გადაეუხადო, რომ მის სასტუმროში სანუკვარი კუთხე არ დაეკარგო. თუმცა აქ ყველგან წყალი ჩამოდის და ხელები გვეუფიჩხება, მაგრამ წარმოდგენილი არ მაქვს რა მეშველებოდა სინიორ გილისა და მისი ფასდაუდებელი სასმელების გარეშე.

საიმედო კლიმატზე სახსებით დანდობილმა სინიორმა გილმა შესძლო ოდესღაც აყვავებული ქობულეთური ქოხის სამი ნახევრად დანგრეული კედლიდან, ოთხი კედელი და ტილოს ჭერი გაეკეთებინა. ყოველივე ეს გათვალისწინებული იყო მშრალი და თბილი ამინდისათვის, მაგრამ იგი დიდად შეცდა. მან წინასწარ ვერ განსაზღვრა, რომ მკაცრი „რუსები“ თან მოიგანდნენ მკაცრ ზამთარს! მოვიდა დიდი თოვლი და თოვლის შემდეგ დაიწყო გადაუღებელი წვიმა. და აი, ჩვენც მუდამ ეტკებით ბახჩისარაის მადრევენების ცქერით, რომლებიც ტილოს ჭერიდან ეშვებიან. ამბობენ, რომ გენერალ კომაროვის შენობაში უკეთესი მადრევენები წარმოიშვნენ. ყველაფერი ეს მას რომ სამი კვირით ადრე სცოდნოდა, დარწმუნებული ვარ, იგი ჩვენთან დროზე ადრე არ გამოცხადდებოდა და დალოცვილ დაზავებას თბილისში დაელოდებოდა. გილის სასტუმროში დღისით ყოველთვის მხიარულებაა. აქ მრავალი ოფიცერი შემოდის; ისინი ყველა ყოჩალი, მამაცი და თავისი ჯარისკაცების მოყვარულნი არიან. სამსახურის შემდეგ მათი ამხანაგები არიან და მთელ თავის ქონებას მათ უყოფენ. აი, სად იმალება იმ საუკე-

თესო ერთიანობისა და რუსეთის არმიის თავდადების მიზეზი როგორც იერიშის, ასევე თავდაცვის დროს; როდესაც ამ არმიას კარგი მეთაურები ჰყავს, იგი დაუმარცხებელია! რუსი ჯარისკაცები და ობეროფიცრები — აი, რუსეთის არმიის დაუმარცხებლობის ნამდვილი ძალა. მე კიდევ მომიხდება ამ საუკეთესო ფენის უფრო დაწვრილებით დახასიათება. ამ კორესპონდენციაში კი მსურს ვილაპარაკო მხოლოდ ჩემს მასპინძელზე სინიორ გილზე!

ეს მოხუცი, თავის სახელდახელოდ მოწყობილი სასტუმროთი ხან ბუნებასთან, ხან ოსმალებთან ქობულეთის რაზმის ბრძოლის პერიპეტეიების მონაწილე გახდა.

არსებულ პირობებში მის მიერ მოპოვებული ფული, თუნდაც ოთხჯერ უფრო მეტი იყოს, მაინც საყვარელით დამსახურებული იქნებოდა. წარმოდგენილი მაქვს, გზების თანამედროვე მდგომარეობის გამო, რა არაადამიანური შრომა სჭირდება ამ მოხუცს, რომ მოიგანოს ხუცუბანში მის მიერ შეძენილი პროდუქტების თუნდაც ერთი მეოთხედი. რა თქმა უნდა, აღარ ვლაპარაკობ იმ სამ მეოთხედზე, რომელიც აუნაზღაურებლად იღუპება ქობულეთის გაუვალ ტალახში. სინიორი გილი ბერძენი, დარბაისელი მოხუცი, შვიდი შვილის მამაა. მისი საყვარელი ქალიშვილებიდან ერთი ბერძენ ოტტონ პუპოს მეუღლეა, რომელიც თურქეთის სატელეგრაფო სადგურის უფროსი იყო ფოთში; ომის გამოცხადებისას, იგი გადაყვანილ იქნა ბათუმში, იქაც სატელეფონო სადგურის უფროსად. მისი მეუღლე, სინიორ გილის ქალიშვილი, ქუთაისში დარჩა. გასული წლის ოქტომბრის ბოლოს, რიონის მხარის ჯარების უფროსის დახმარებით, პუპოს მეუღლე, მამის თანხლებით თურქეთის ფელუკით ნიკოლაევსკიდან ჩურუქსუში (ქობულეთი) გაგზავნეს. იქიდან ცოლ-ქმარი დაუყოვნ-

ებლიე გაისტუმრეს ცემით ბათუმში. მამა კი, სინიორი გილი, დერვიშ-ფაშას ადიუტანტმა თავის კარავში მიიწვია. ადიუტანტი მას ძლიერ კარგად გაუმასპინძლდა. როდესაც ბინდდებოდა, მან შესთავაზა, რომ მასთან ერთად, ოთხი მცველის თანხლებით, დერვიშ-ფაშასთან ხუცუბანში წასულიყო.

სალამოს 10 საათი იყო, როცა სინიორ გილს დერვიშ-ფაშასთან კარავში სთხოვეს. დერვიშ-ფაშა ჩვეულებისამებრ თავაზიანად შეხვდა. ბრძანა მისთვის ყავა მიერთმიათ, შემდეგ საუბმე, ხოლო ბოლოს დაკითხვა დაუწყო.

– რამდენი მებრძოლია ქობულეთის რაზმში?

– მე ვაჭარი კაცი ვარ, რუსული წერა-კითხვა არ ვიცი; ხმების თანახმად 25 ათასი უნდა იყოს; კიდეც ელოდებიან დამხმარე ძალებს.

– ეს უკვე სიმართლე არაა! მე დანამდვილებით ვიცი, რომ რუსებს მუხაესტაგესა და ოზურგეთში 12 ათასზე მეტი არ ჰყავთ. – ქვემეხები რამდენი აქვთ?

– 50 ქვემეხი; სააღყო ქვემეხები კი გზაშია, ისინი ამ დღეებში ადგილზე იქნებიან.

– იცი თუ არა, რომ ყველა არტილერიისტი პრუსიელი ოფიცერია? საეჭვოა, რომ რუსებს ასეთი მუსტი სროლა შეუძლიათ.

– ისინი ურთიერთშორის რუსულად ლაპარაკობენ. ყველა მათგანს პაჭუა ცხვირი აქვს. მე იქ არც ერთი უცხოელი არ მინახავს, ყველას რუსული გვარი აქვს.

– რამდენი გამოაკლდათ რუსებს მწყობრიდან 11 და 12 იელისს?

– კარგად არ ვიცი. ამბობენ 800 კაცამდე.

– მართალი არაა, – ერთგვარი გაღიზიანებით უპასუხა მუშირმა.

– მწყობრიდან გამოუვიდათ ორი ათასზე მეტი.

– ასეთ შემთხვევაში, 13 და 14-ში თქვენც ამდენი დაჰკარგეთ.

– არა სწორი, ძლიერ ცოტა, – უკვე გაბრაზებით შენიშნა მუშირმა.

სიჩუმე ჩამოვარდა, რამდენიმე წუთის შემდეგ დერვიშ-ფაშამ თავის ადიუტანტს დაუძახა და უბრძანა გილი ცალკე კარავში წაეყვანა.

კარავში ყველაფერი მოხერხებულად იდგა და ფუფუნების იერიც კი დაჰკრავდა.

დაწული დივანი, ჩალის დასაკეცი სკამები, რბილი, სუფთა საწოლი, თეთრეულით დაგებული ტახტი. სინიორი გილი მოხიბლული იყო მიღებით; მას ასეთი რამ თურქებისაგან არ წარმოედგინა. გავიდა ერთი საათი, იგი დასაძინებლად მოემზადა, რომ უცებ კელაე შემოდის მუშირის ადიუტანტი, თხოვს ჩაიცივას და მასთან ერთად გაემგზავროს ჩურუქსუში (ქობულეთში).

უკვე ღამის ორი საათი იყო. ხუთი საათისთვის ისინი ქობულეთში იყვნენ. იქ მას ფელუკა ელოდა, სინიორ გილს სურდა ზოგიერთი სურსათი ეყიდა ქალაქში, მაგრამ მუშირის ადიუტანტმა ნება არ დართო, უთხრა: მიხვალ რუსებთან და იქ ყველაფერი იმოვებო. ამ დროს გილთან მივიდა ნაცნობი ბერძენი და მეტად ხელსაყრელ ფასებში შესთავაზა 12 ბოთლი ლიქიორი, მაგრამ მცველებმა მალე გააგდეს იგი.

– ბოლოს და ბოლოს ვინა ვარ მე, – ხმამაღლა წარმოთქვა გილმა, – თქვენი ტყვე ვარ თუ რა? რა არის, რომ ნაბიჯის გადადგმის უფლებასაც არ მაძლევთ. როგორც ჩანს, ყველაფერი მართალია, რასაც თქვენზე გაზეთებში წერენ, რომ აწამებთ და ყელს ჭრით ქრისტიანებს.

– ო არა, – შენიშნა მუშირის აღიუგანგმა, – ეს არაა მართალი. რა ექნათ? ჩვენ ისე ვიქცევით, როგორც კანონი გეკარნახობს. ეხლა ხომ ომია.

მწუხარებით შეპყრობილი სინიორი გილი ფელუკაში ჩაჯდა ისე, რომ ვერ გამოეთხოვა ვერც საყვარელ ქალიშვილს, ვერც სიძეს. ისინი ჯერ კიდევ საღამოს გაგზავნეს ბათუმში.

ამას წინათ გილმა ცნობა მიიღო, რომ მისი სიძე, ცოლთან ერთად, ბადრაგით კონსტანტინოპოლში წაიყვანეს და იქ ულუკმა-პუროდ არიან. ღალატში დაეჭვების გამო თურქეთის მთავრობისაგან ღვენას განიცდიან. აღმოჩნდა, რუსეთის სასარგებლოდ გილის ჩვენებით გაბრაზებულმა დერვიშ-ფაშამ ეჭვი შეიგანა, რომ მისი სიძე რუსეთს თანაურბრძნობსო. ჩამოართვა მას ბათუმში სადგურის უფროსის თანამდებობა და მეუღლესთან ერთად დაცვის ქვეშ, კონსტანტინოპოლში გაგზავნა.

*გაზ. „გოლოზი“. №43, 1878,
12 თებერვალი.*

ზუცუბანი, 7 (19) თებერვალი,
 („გოლოსის“ ხპეციალური კორესპონდენტისაგან)

მოლა ისმაილ ეფენდი მეტად პატივცემული კაცია. იგი წარმოშობით ქობულეთელია, ე. ი. ქართველი და ქართული ენა სრულყოფილად იცის. იგი ერთი იმათგანია, რომლებიც სამების დაკალების შემდეგ, ჩვენს მხარეზე გადმოვიდნენ. ჯერ კიდევ ზაფხუ ცნობის გამოქვეყნებამდე, დერვიშ-ფაშამ რიონის მხარის ჯარების უფროსს თურქულ ენაზე წერილი გამოუგზავნა. წერილი იმდენად „ბრძნულად“ იყო დაწერილი, რომ ჩვენმა დოლმეტჩერებმა ვერ შესძლეს მისი შინაარსის გაგება. იმწამსვე მოიწვიეს ისმაილ ეფენდი, რომელმაც განაცხადა, რომ დერვიშ-ფაშა წერილში იტყობინება მისი მთავრობისაგან ცნობის მიღებას, დაზავების შესახებ; მან პირადად უბრძანა თავის ჯარებს წინა ხაზზე შეწყვიტონ სროლა და ითხოვს იგივე გაკეთდეს ჩვენი მხრიდან. რამდენადაც ჯარების სარდალს ჯერ არავეითარი ცნობა არ ჰქონდა დაზავების შესახებ, ამდენად დერვიშ-ფაშას უარი ეთქვა, მით უმეტეს, რომ ამ დროს ჩამოვიდა ქობულეთის რაზმის უფროსი გენერალი დ. ვ. კომაროვი, რომელმაც მისთვის ჩვეული ენერგიით იერიშისათვის მზადება დაიწყო.

გენერალი ოკლობეიო აქებდა პატივცემულ მოხუცს, მოლა ისმაილ ეფენდის, გამოცდილებისა და მშობლიური მხარის კარგი ცოდნის გამო. ჩემთვის ეს საკმარისი იყო, რომ შემთხვევა მეძებნა მის გასაცნობად და გამომეკითხა ალი-ფაშას და ოსმალ-ფაშას ბედი, რომლებიც წარმოშობით თავდგირიძეები იყვნენ, ამაჟამად კი, დერვიშ-ფაშას მიერ კონსტანტინოპოლში არიან გადასახლებულნი. ამასთანავე ჩემთვის, როგორც კორესპონდენტისათვის, საინტერესო იყო გამ-

ეგო ქობულეთის ნეფერის (მილიციის) ინსურექციული ძალის შესახებ და რა საშუალებით იყენენ ისინი გამოყვანილი ჩენი ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ალი-ფაშა, ოსმან-ფაშა, კუსეინ-ბეგი, პასან-ფაშა ძმები იყენენ თავდგირიძეების საგვარეულოდან, ქობულეთის აზნაურები, რომლებიც მთავარ გურიელს ემორჩილებოდნენ. მათი წინაპარი, მაქსიმე თავდგირიძე, ახალციხის ფაშის მიერ შეპყრობილი და მძევლად წაყვანილია იმისათვის, რომ ქობულეთის მოსახლეობა თუნდაც რამდენადმე, სულთანის მორჩილი გაეხადა. იგი გაამაკმადიანეს. შემდეგ სულთან სელიმ III (1789-1807) მას ფირმანი მისცა ქობულეთის სანჯაყის მართვაზე და ქობულეთში გამოგზავნა. მაქსიმე თავდგირიძეს ოთხი შვილი ჰყავდა: მემედ-ბეგი, ალი-ბეგი, საიდ-ბეგი და ისმაილ-ბეგი. მემედ-ბეგის შვილებიდან პასან-ფაშა, რომელიც ყირიმის ომის დროს ქობულეთელებს ედგა სათავეში, განადგურებულ იქნა ჩოლოქის ბრძოლაში და მოკლეს. მე თვითონ მახსოვს, თუ როგორ ჩამოიგანეს მისი თავი საჩვენებლად ქუთაისში, სპირტიან შუშის ქილაში. მაშინ 10 წლისა ვიყავი და კარგად მახსოვს თურქეთის ფაშის ეს წარმოსადეგი თავი. სპირტში, შაეი, მოკლედ შეჭრილი წვერით, არწივისებური ცხვირით, დიდი თვალებით და მეტად რკალისებურად მოღუნული სქელი წარბებით. მისი უმცროსი ძმა ალი-ფაშა, რომელიც ამ ომში ცნობილი იყო ქობულეთელებს შორის თავისი ორგანიზაციული საქმიანობით, ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინათ, 1848 წელს, გადმოვიდა ჩვენთან, გამოცხადდა ლევან და გრიგოლ გურიელებთან, რათა მათი მეშვეობით ჩვენი მთავრობისაგან გამოეთხოვა პენსია, რისთვისაც იგი პირდებოდა თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ ქობულეთის სანჯაყის აჯანყებას და თავის მშობლიურ ქართველ ტომთან კვლავ მის შეერთებას.

ალი ფამას, მაშინ ჯერ კიდევ ბეგს, და მასთან ერთად ყველა ქობულეთელს, საფუძველი ჰქონდა უკმაყოფილო ყოფილიყო ოსმალთა ბატონობით, რადგანაც სულთანმა ქობულეთის მთელი მიწა თავის საკუთრებად გამოაცხადა და მაქსიმე თავდგირიძის შთამომავლებს მთელი საგვარეულო მამულები ჩამოართვა.

ალი-ბეგი, ძირითადად, რუსეთის მთავრობის მეშვეობით ცდილობდა მუდმივ პენსიასთან ერთად კვლავ თავისი საგვარეულო მამული მიეღო და სამაგიეროდ აღუთქვამდა გურიასთან თავისი მშობლიური მხარის შეერთებას, ჭოროხის ხეობის იქით ზღვისპირას მდებარე ქალაქ გონიომდე.

გრიგოლ და ლევან გურიელებმა ახალგაზრდა ალი-ბეგი წარუდგინეს ქუთაისის გუბერნატორს, რომელმაც, იმის მაგიერად, რომ შუამდგომლობა გაეწია უმალლეს მთავრობასთან, ახალგაზრდა ალი-ბეგს საჩერკესკე მაუდი აჩუქა და განსტუმრა. ჩვენი ხელისუფალთა ასეთი უყურადღებობით ახალგაზრდა ბეგი ძლიერ შეურაცხყოფილი იყო და უკან დაბრუნებისას, მდინარე ჩოლოქზე გადასვლის დროს, კონსტანტინოპოლიდან მომავალ ერთ ქართველ მდიდარ ებრაელს შეხვდა, გაძარცვა იგი და შინ ნადავლით დაბრუნდა.

ამიერიდან იგი სულთანის ერთგული მსახური გახდა და ის, რაც ვერ მიიღო ჩვენი მთავრობისაგან, სხვადასხვა სახის სამსახურის მეშვეობით, ცდილობდა თურქეთის სულთანისაგან მოეპოვებინა. ომის დასაწყისში თურქეთის მთავრობამ მას ქობულეთის მილიციის შეიარაღება მიანდო, რისთვისაც ფართო მატერიალური საშუალებები მისცეს. ისმაილ-ფენდის გადმოცემით, ალი-ფაშამ თავდაპირველად ქობულეთელებს დაურიგა თურქეთის მთავრობისაგან უფასოდ მიღებული თოფები და ვაზნები, შემდეგ გამოაცხადა, რომ ყოველ ნეფერს (მილიციონერი) მიეცემოდა თვეში 260 ყურუში (13

მანეთი) ხელფასი, ფეხსაცმელი და კიდევ დამატებით, სურსათი ყოველდღიურ ულუფად: 2, 3/5 გირვანქა პური, 1/3 გირვანქა საროჩინის ფეტვი, 1 1/2 გირვანქა კარაქი, 2/3 გირვანქა ხორცი, 1 1/2 გირვანქა მარილი, 1 1/2 გირვანქა ხახვი, 1/30 გირვანქა სანთელი, 1/30 გირვანქა პროვანსული ზეთი. დასაწყისში ალი-ფაშა მიღებულ სურსათს საკმაოდ კეთილსინდისიერად არიგებდა. შემდეგ კი თვალთმაქცობა დაიწყო. ფული სრულიად არ გაუცია. მაგრამ ამაში ალი-ფაშა დამნაშავე არ იყო, რადგან თვითონაც არ მიუღია. სულთანის ბრძანება. გამოვიდა, რომ ამ ფულს, ყოველი ნეფერი მთლიანად მიიღებდა ომის დამთავრებისას.

ოსმან-ბეგმა, ალი-ფაშას ძმამ, დერვიშ-ფაშასთან დაიწყო დაბეზღება, რომ მისი ძმა რუსეთის სამხედრო ხელისუფლებასთან ფარულ ურთიერთობაშია და მათგან ფულებს ღებულობსო. იგი ამას იმით ასაბუთებდა, რომ ალი-ფაშა ნამდვილად ეუბნებოდა ქობულეთელებს, არ ესროლათ რუსებისათვის და ციხისძირამდე უკან დაეხიათ, რადგან აშინებდა, რომ ქობულეთელების პარტიზანული მოქმედება რუსეთის ხელისუფლებას გააღიზიანებდა და აიძულებდა გადაეწვათ იმ ქობულეთელების სოფლები, რომლებიც წინააღმდეგობას გაუწევდნენ.

დერვიშ-ფაშამ ოსმან-ბეგის ცნობებს ყურადღება არ მიაქცია და ალი-ფაშას ღონისძიებანი საესეებით პაგრიოტულ მოქმედებად ჩათვალა, მიუხედავად ამისა, ალი-ფაშას თვალს ფხიზლად ადევნებდა. მალე მართლაც გამომქლავნდა ბოროტმოქმედებანი. მასთან, ალი-ფაშაზე საჩივრები მიდიოდა, თითქოს თავის ნეფერს ულუფას და ფურაქს არ აძლევსო. ბოლოს და ბოლოს ერთ-ერთი მისი მინბაში, ჰასან-ეფენდი, ნამდვილად შემჩნეულ იქნა ულუფის ქურდობაში. დერვიშ-ფაშამ ამის გამო ბრძანა, ჰასან-ეფენდი ყელამდე

მიწაში ჩაემარხათ და ასეთ მდგომარეობაში სამი დღე დაე-
ტოვებინათ, ხოლო ალი-ფაშას ძალაუფლება ჩამოართვა, და
დაცვის ქვეშ კონსტანტინოპოლში გაგზავნა. ქობულეთის
ნეფერის მეთაურობა კი დაავალა ოსმან-ბეგს, რომელმაც ამ
დროს ფაშის წოდებაც მიიღო. ოსმან-ფაშა უფრო უსინდისო
აღმოჩნდა, ვიდრე ალი-ფაშა. მან დაწვა იმ ქობულეთელების
სახლები, რომლებიც ჩვენს მიერ ხუცუბნისა და სამების
დაკავების შემდეგ ჩვენს მხარეზე გადმოვიდნენ. იგი მთელი
ფუთებით და ურმებით ყიდდა სურსათს, რომელიც მას ქობუ-
ლეთელებისათვის ეძლეოდა. საჩივრები მასზეც დაიწერა. ოსმ-
ან-ფაშაზე საჩივრების სამართლიანობაში რომ დარწმუნ-
ებულყო, ღერვიშ-ფაშამ ერთი ეშმაკობა იხმარა. მან თავისი
მინბაში გაგზავნა ოსმან-ფაშას რწმუნებულთან სამეურნეო
დარგში იმ დროს, როცა მან ერთი თვის სურსათი მიიღო
ქობულეთის ნეფერისათვის, რათა შეეაჭრებოდა მას რამდენ-
იმე ფუთას და ვაჭრობის შედეგების შესახებ ეცნობებინა
ღერვიშ-ფაშასათვის. მართლაც, მინბაშმა აცნობა, რომ მან
იყიდა ოსმან-ფაშას რწმუნებულისაგან, მისი თანხმობით,
რამდენიმე ფუთა სურსათი.

მეორე თვის ბოლოს ღერვიშ-ფაშამ გაგზავნა სხვა მინბაში
იმავე ოპერაციის ჩასატარებლად და შედეგების მოსახსე-
ნებლად. ამრიგად, დარწმუნებულმა ოსმან-ფაშას ბოროტმოქმ-
ედებაში, ღერვიშ-ფაშამ ქობულეთის ნეფერის უფროსი შე-
იპყრო და იგი ისევე გაგზავნა მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ
კონსტანტინოპოლში, როგორც მანამდე მისი ძმა, ალი-ფაშა.

ამათ შემდეგ ქობულეთის მილიციას უფროსობს მურად-
ბეგი, გასულ ყირიმის კამპანიაში ჩვენი ჯარების მიერ მოკ-
ლულ ხასან-ფაშას შვილი. სხვათა შორის, უკანასკნელ დროს
ქობულეთელები ჩვენთან უფრო მეგობრობდნენ, ვიდრე მტ-
რობდნენ.

ჯერ კიდევ თურქების მიერ ხუცუბნის დაკავებისას, გაძლიერებული დაბევრების შედეგად სოფელ ქაქუთთან ჩენი ძალების სისუსტეში დარწმუნებულმა დერვიშ-ფაშამ გადაწყვიტა გვერდი აეელო მარცხენა ფლანგისათვის. ამ მიზნით მან დააეღა ოსმან-ფაშას თავისი ქობულეთელებითა და აჭარლებით სატალახედან დაშეებულყო და, მდინარე აჭყვაზე გადასვლის შემდეგ სოფ. ქაქუთთან თავს დასხმოდა ჩენის პოზიციას, აჭარულ მილიციელებსა და ქობულეთელებს შორის, მამაცობის საკითხთან დაკავშირებით, შუღლი ჩამოეარდა. ქობულეთელები აჭარლებს სიმხდალეში ამხილებდნენ. აჭარლები კი, თავის მხრივ, თავს ესხმოდნენ ქობულეთელებს და ეუბნებოდნენ, რომ მათ არ იციან ერთსულოვნად იერიშზე წასვლა და მოწინააღმდეგის მხრიდან პირველსავე მალაქზე აქეთ-იქით იფანტებიან, ზოგი ალთას, ზოგი ბალთას და ჯარში მათ უწესრიგობა შეაქეთ. ამიგომ, როდესაც სატალახედან დაეშენენ თავდასხმისათვის, ქობულეთელებმა უარი თქვეს ავანგარდში ემოქმედათ იმ მოტივით, რომ ისინი აქამდე ყოველთვის წინ მიდიოდნენ. დაე ახლა წინ წავიდნენ ჩენი მეზობლები – აჭარლებიო. მართლაც, აჭარლები წავიდნენ წინ, მაგრამ მალე, სანგრებიდან ჩენი ცეცხლის გამო, იძულებული გახდნენ უკან გაქცეულიყვნენ. ამასთანავე მათ მხარი არ დაუჭირეს ქობულეთელებმა, რომლებმაც ბრძოლის დასასრულს მათ დაცინვა დაუწყეს სიმხდალის გამო. ამ წამოწყების მარცხით განაწყენებულმა დერვიშ-ფაშამ საბოლოოდ უარი თქვა საქმე კქონოდა ბუნების ამ დაუმორჩილებელ შეილებთან. მან ისინი სრულიად ჩამოაცილა საქმეს და მურად-ბეი, რომელიც ბათუმში ცხოვრობდა, ქობულეთელების მხოლოდ ნომინალურ უფროსად ითვლებოდა.

გამ. „გოლოსი“, №55, 1878.

24 თებერვალი.

ს უ ც უ ბ ა ნ ი , 14 (26) თებერვალი,
 („გოლოსის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ჩვენ ეხლა სულ 18 იანერის დამარცხებაზე ვლაპარაკობთ. წინა დღეს, 17 იანვარს, საღამოთი, გენერალ კომაროვის სახლის წინ, ყოველმხრივ შეიარაღებული ცხენოსანი კაზაკების ჯგუფი იდგა, მათ ხელში შეკაზმული ცხენების აღვირები ეჭირათ. გენერლის ბინიდან რიგრიგობით გამოდიოდნენ და შედიოდნენ შტაბის ოფიცრები და ცალკეული ნაწილების უფროსები.

ეს საიდუმლო ვითარება და ჩუმი საქმიანობა რაღაც მნიშვნელოვანს, საზეიმოს მოასწავებდა, მით უფრო, რომ ეცყობოდა ამინდი დიდებული იქნებოდა. კაზაკებისაგან მარჯვნივ, რიგში გამწკრივდა 5 ქობულეთელი. მათ რაღაც საიდუმლო კავშირი ჰქონდათ იმ მნიშვნელოვან ღონისძიებასთან, რომელიც 18 იანვარს იყო მოსალოდნელი. ოთხი მათგანი საშუალოზე დაბალი სიმაღლისანი იყვნენ, ფართომხრებიანი, ხანჯლებითა და ორ-ორი დამბაჩით. მეხუთე კი მოსული მამაკაცი იყო, დანარჩენებზე მთელი თავით მაღალი, ამაყი სიარულით, ამხანაგები მას „იუზბაშს“ ეძახდნენ. იგი გენერალთან გამოიძახეს, იქ 15 წუთზე ცოტა მეტხანს დარჩა, შემდეგ გამოვიდა, რამდენიმე ხნის შემდეგ ქობულეთელები გაქრნენ.

18 იანერის ამბების შემდეგ ბანაკში უკმაყოფილებას გამოვთქვამდით, რომ წინაღლით ჩვენთან მოსული იუზბაში თავისუფლად გავუშვიტ. „გაიძვერები, – ამბობდნენ ერთნი, –

იგი ალბათ ღერვიშ-ფაშას მიერ იყო მოგზავნილი ჩვენი ბანაკის საქმიანობის დასაშვერად. საჭირო იყო ამ ჯამში დაკაეება, და არა თავისუფლად გაშეება და ისიც ბრძოლის წინ.“ მეორენი ამტკიცებდნენ, რომ მან კომაროვს მუსტი ცნობები მოაწოდა ჩვენს მოწინააღმდეგეთა შესახებ. გადმოცემით, ახლომყოფნი ურჩევდნენ გენერალს დაეკაეებინა იუმბაში, მაგრამ კომაროვმა მათ უპასუხა: „რა საჭიროა მისი დაკაეება? დაე, თურქებმა იცოდნენ, რომ ჩვენ იერიშით მივიღივართ მათზე. დაე, ისინი მოემზადონ.“

მე განსაკუთრებით შიშიდავდა ერთ-ერთი იმ ქობულეთელთაგანი, ფერმკრთალი, გამხდარი, გაძეალგყაეებული და თეალებდახრილი. ქართულად ეკითხე: „საიდან ხარ შენ?“ მან სახეში მომანათა თავისი პატარა, შევარდნისებური თეალები, და მისდაუნებურად ორივე ხელი იატავანს სტაცა. პასუხი მოკლე იყო; გამოთქმით ვერ გაეარჩიე გურულისაგან. იგი ალაშბრელი იყო, ხუცუბნის მახლობლად ამეამად უკვე არარსებული სოფლიდან. მას მაუდის ქურთუკი ეცეა, ვიწრო შემოწკეპილი შარეალი, წელთან უამრავ ნაოჭებად და ნაკეეებად მიწყობილი. ქობულეთელს წელზე მრავალჯერ შემოხვეული ჰქონდა აბრეშუმის ბოლებიანი ქსოვილი, რომელსაც ქართულად „საძეალს“ ეძახიან, მემოთ კი ხელისგულისოდენა სიბრტყის წითელი ქამარი ერტყა. ქამარსა და სამკალში ხანჯალი და შუა საუკუნეების ტიპის ორი დამბაჩა ჰქონდა გარტობილი. თაეზე ადგილობრივი შავი შალის ყაბალახი ეხეია. ფეხზე კი ადგილობრივი ყელიანი ფეხსაცმელი ეცეა. იგი ისე მსუბუქად იყო ჩაცმული და მთის სალაშქრო ცხოვრებასთან ისე იყო შეხამებული, რომ გარეულ თხას ან შეელს მოგვაგონებდა. მხარზე გადადებული

ჰქონდა „ფალასკა“ ვაზნებით (საეაზნე), ქამარზე ვიწრო თოკი ეკიდა, ერთ პატარა მარყუქმი ოსტატურად გამოკრული ჰქონდა სავსე სპილენძის კოლოფი – „საქონე“ იარაღზე წასასმელად და „მათარა“, – წყლის დასალევი ტყავის ჭურჭელი. როგორც ხედავთ, ქობულეთელი თავიდან ფეხებამდე ისევეა ჩაცმული, როგორც გურული, იმ განსხვავებით, რომ ჩვენ გურულს ყელიანი ფეხსაცმელის ნაცელად, სალაშქრო ჩექმები აქვს.

ქობულეთელებმა, რომლებიც ცხოვრობენ ოსმალეთის იმპერიის საზღვარზე და თითქმის გაუვალი პერანგას მთებით მოწყვეტილები არიან მისგან, შესძლეს თურქეთის მძარცველური ადმინისტრაციისაგან თავიანთი საშინაო დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

ისინი იმდენად ითმენენ თურქებს, რამდენადაც ეს მათი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვისაა აუცილებელი. ორმოციან წლებამდე ისინი თურქებს არავითარ გადასახადს არ უხდიდნენ. ამ დროიდან კი თურქეთის მუშირებმა როგორღაც შესძლეს ხალხზე გადასახადი გაეწერათ, თითქოს მებათედი, ნამღვილად კი, ეს გადასახადი, რომელსაც ყოველი კომლი თურქეთის მთავრობას უხდიდა, არამცთუ მებათედს, არამედ მათი შემოსავლის მეოცედსაც არ შეადგენს. თურქეთის მთავრობამ ყოველივე ეს კარგად იცის, მაგრამ დღემდე ვერაფრის გაკეთება ვერ შეძლო, რადგანაც, როგორც კი მუშირები ბაფთებთან ერთად ეგვიპტისათვის ქობულეთში გამოჩნდებოდნენ, ქობულეთელები შეიკრიბებოდნენ ჩოლოქის საზღვრებთან, აცხადებდნენ, რომ თურქები თუ მეტ გადასახადს მოითხოვენ, ვიდრე ისინი იხდიან, მაშინ მდ. ჩოლოქზე რუსებთან გადავლენ. ასეთი პრივილეგიებული მდგ-

ომარეობისა და ზღვასთან სიახლოვის გამო მათ მიაღწიეს გარკვეულ კეთილდღეობას, რომელიც საესებით შეესაბამება მათ სულიერ განვითარებას. ქობულეთში ჩვენ ვერ ვიპოვეთ ვერც ერთი ისეთი პატარა სახლი, როგორც ჩვენს გურულ გლეხებს აქვთ. აქ ხის სახლები დახურულია ან კრამიტით ან ძველმანით, ხოლო სახლის ქვეშ ქვის სარდაფია, რომელსაც მამთარში საცხოვრებლად იყენებენ.

ყველა ჩემს კითხვაზე, თუ რატომ ასე შეუპოვრად იცავენ თავს ჩვენგან, მათი განმანთავისუფლებლებისაგან, არასდროს მათ არ უპასუხიათ: „ჩვენ ვიცაეთ სარწმუნოებას, ან სულთანს“, ისინი დაუფარავად მპასუხობენ: „ჩვენ ვიცაეთ ჩვენ კერას, ჩვენს ქვეყანას; თქვენ თავს დაგვესხით“ და ა. შ. მაჰმადიანური რელიგიის დაცვას ისინი სრულიად გულგრილად ეპყრობიან.

ომის დასაწყისში ასეთი საინტერესო შემთხვევა იყო: როდესაც მარცხენა ფრთა, გენერალ დანიბევაშვილის მეთაურობით, ჩოლოქის საგუშაგოსთან საზღვარზე გადავიდა: ეინზე ჰასან ოღლიმ თავისი ამხანაგებით, სოფელ ქაქუთიდან, ჩვენთან კაცი გამოგზავნა სათქმელად: „ჩვენ თქვენ არ გესერით, თუ ჩვენს სოფლებზე არ გაივლიდით ლეღვას გზით“. მაგრამ ქობულეთელების ასეთ ულტიმატუმს არ შეეძლო შეეცვალა ჩვენი ჯარების წინასწარ დაგეგმილი მოძრაობა.

გამ. „გოლოსი“, №60,
1878, 1 მარტი.

ხ უ ც უ ბ ა ნ ი , 22 თებერვალი (6 მარტი),
 („გოლოსის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

24 იანვარს განკარგულება ვაიცა თურქების ბანაკში ღერვიშ-ფაშასთან პარლამენტიორის გაგზავნის შესახებ, ციხისძირის პოზიციებიდან და ბათუმიდან ჯარების გაყვანაზე მოსალაპარაკებლად. ქობულეთის რაზმში ჩასვლის პირველი დღიდანვე, „ერთხელ და სამუდამოდ“ მაცნობეს, რომ ყოველი უმნიშვნელო თუ მნიშვნელოვანი ღონისძიების დროს, ქობულეთის რაზმის მეთაურებისაგან წინასწარი ნებართვის აღების გარეშე, უფლება მქონდა შევემჯდარიყავი ცხენზე და რაზმს გავყოლოდი. მეც, ყოველგვარი თხოვნის გარეშე განსაკუთრებული კმაყოფილებით გავყევი, როდესაც პარლამენტიორთა ჯგუფი გზას გაუდგა. ძლიერ მომხიბვლელი მოგზაურობა მელოდა. წინასწარ ვტკბებოდი ცნობილ ღერვიშ-ფაშასთან მომავალი შეხვედრით, რომლის მოქმედება აქამდე გულადი თუ არა, საესეებით გონიერული და ფრთხილი მაინც მეჩვენებოდა. ჩვენ დავეშვიტ ხუცუბნის მაღლობებიდან და კინტრიშის სწორ მიწოდორზე ჩუმად და წყნარი ნაბიჯით მივდიოდით, უკან ოც ნაბიჯზე თან მოგეყვებოდა კაზაკების ასეული ესკადრონის წყობით. ვიდრე მდინარე კინტრიშთან, სასამღვრო ხაზამდე მივიდოდით, ამრადაც არ მომსელა, რომ ესკორტში ჩემი მდგომარეობა გამერკვია. აქ პირველად მივმართე შეკითხვით ბატონ შტაბის უფროსს:

– თქვენ, რა თქმა უნდა, იმდენად თავაზიანი ბრძანდებით, რომ ღერვიშ-ფაშასთან რეკომენდაციას ვამიწევთ?

– ვის როლში? – მკითხა მან.

– რუსული გაზეთის კორესპონდენტის როლში.

– ეს ჩემს ინსტრუქციაში ნათქვამი არ არის, – მშრალად მიპასუხა მან.

პასუხი გარკვეული და კატეგორიული იყო.

ნუთუ, – ვფიქრობდი, – თურქ მთავარსარდალთან შეხვედრისას არ შემიძლია თუნდაც კაზაკ ოფიცერთან ერთად ვიყო ამაღლაში? სამწუხაროდ, შტაბის უფროსის სახის გამომეტყველება აშკარად ლაპარაკობდა, რომ მე, როგორც რუსული გაზეთის წარმომადგენელს, ასეთ სერიოზულ შემთხვევაში ჯერ კიდევ ბევრი მაკლდა, რომ უბრალო მაჩანჩალა მაინც ვყოფილიყავი! ძალაუნებურად იძულებული გავხდი კინტრიშის მარჯვენა მხარეზე დავრჩენილიყავ და ღამის 10 საათამდე, ციხისძირიდან ჩვენების დაბრუნებამდე, გაეთოშილიყავ. ჯერ კიდევ შორიდან შეიმჩნეოდა, რომ თურქმა მთავარსარდალმა ჩვენები კარგად მიიღო. ისინი ბრუნდებოდნენ ჩირაღდნებით. მათ აცილებდა მინბაში (ბაგალიონის უფროსი), რომელიც ჩვენს ნაპირზე გადმოვიდა და თავაზიანად გაგვაცილა იმ პუნქტამდე, საიდანაც ბანაკისაკენ აღმართი იწყებოდა. შემდეგ მინბაშმა თავისი ფანარი შემოგვთავაზა, გამოგვეთხოვა და უკან გაბრუნდა.

– რა დაგემართა? თქვენ რატომ დარჩით? – გაოცებით მკითხა ასეულის უფროსმა.

– აი, ზედმეტი აღმოვჩნდი, – შეცბუნებით ეუპასუხე.

– მომიტევეთ, თქვენ შეგეძლოთ ყოფილიყავით ჩვენთან, სამწუხაროა, სამწუხარო! იქ თქვენ მრავალ საინტერესოს ნახავდით... როგორი თავაზიანია დერვიშ-ფაშა, როგორ კარგად ცხოვრობს იგი! მაპატიეთ, ყველა სხვა ფუფუნებასთან ერთად, რომელსაც ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ, იქ

ენახეთ ქალების მთელი ჰარემი. ისინი ჩვენი მისელისთანავე ციხისძირის სიმაგრეებზე გამოცვივდნენ. მათ შორის ექვსი წლის ბავშვი იყო, რომელმაც დაგვინახა თუ არა, ისტერიულად წამოიძახა: „რუსები“, დედასთან მივარდა და მთელი ძალით ჩაეხუტა მას. თითქოს დედის გულმკერდში სურდა ჩვენგან დამალულიყო. პირდაპირ საკვირველია თუ როგორ მიგვიღო ღერვიშ-ფაშამ! მან ყველას ხელი ჩამოგვართვა, ყველა თავის კარაუში მოგვათავსა, ბრძანა ჩვენთვის ყაეა მოერთმიათ, შემდეგ მისი ადიუტანტების კარაუში მიგვიწვიეს. შტაბის უფროსი და ღერვიშ-ფაშა მარტოდ დარჩნენ. ადიუტანტები, თავის მხრივ, ჩვენ და ჩვენს კამაკებს აღმოსაელური ნამცხვართა და სხვადასხვაგვარი იაღლუთი (თურქული საჭმელია, დამზადებული თაფლსა და კარაქზე) გაგვიმასპინძლდნენ. იქ ერთი ოსი შემხვდა, რომელსაც ძლიერ კარგად ვიცნობდი ჯერ კიდევ ვლადიკავკაზიდან, იგი მინბაშის ჩინში იყო და გულზე მეჯიდიეს ორდენს ატარებდა. საკმაოდ მოსული ყმაწვილია. მაღალი, მხარგრძელი. „რაგომ ხარ აქ?“ – ვეკითხები. „ისე, მე ხომ უკანასკნელი გადასახლების დროს გადმოველ“, მპასუხობს.

– „ეხლა კი, ომი დამთავრდა?“

– „რაგომაც არა“.

– „მეჯიდიეს რას უზამ?“

– „ამას მე დავმალავ“.

იქ იყო ღერვიშ-ფაშას კიდევ ერთი ადიუტანტი, გამხდარი, გაძვალტყაეებული, ქერა კულულებით. იგი ბრწყინვალედ ლაპარაკობს რუსულად, იცნობს ყველა ჩვენ გენერალს, ყველას სახელი ჩამოთვალა, თქვა, რომ კავკასიაში ნამყოფი იყო, წვევია თბილისს, ვლადიკავკაზს, ბაქოს და უმოგზაურია დაღესტანში.

ყველაზე უფრო განმაცვიფრა ციხისძირში მიწის სამუშაოების საუკეთესო შესრულებამ. ციხისძირის პომიციის თაყვისთავად ხმელეთის მხრიდან ძლიერ დაქანებულია, მაგრამ მასზე ჭადრაკისებურადაა განლაგებული მგლის ორმოები და ხელოვნური ხლართები, მიწაყრილები ხის მორებითაა შეკრული. ბანაკში მხოლოდ გზატკეცილებია, არავეითარი სიბინძურე – ისე კი არაა ჩვენთან რომაა, სადაც კარებშიც კი მუხლამდე ტალახში ვეფლობით! იქ მათთან ყველაფერი წერილი ღორლითაა მოკირწყლული და ზღვის სილაა მოყრილი. კინგრიშის იმ მხარეზე გადასვლისას ერთი ბარაკის წინ გაგვაჩერეს, საიდანაც დერვიშ-ფაშას ტელეგრაფით აცნობეს, რომ ჩვენ მივდივართ 10 ან 12 კაცის რაოდენობით. მისგან თანხმობის მიღებისთანავე, გზას გაუდევით. გამოთხოვებისას დერვიშ-ფაშამ თითოეულ ჩვენს ოფიცერს ორ-ორი ნამცხვარი მისცა და უთხრა, რომ ეს ნამცხვარი მან პირადად ჩვენთვის მიიღო საჩუქრად მისი მეუღლისაგან.

მეორე დღესვე შევეკრიბე ცნობები დერვიშ-ფაშასთან მოლაპარაკების შედეგების შესახებ. როდესაც ციხისძირის და ბათუმის დატოვება შესთავაზეს, ამბობენ, ეს მისთვის იმდენად არასასიამოვნო იყო, რომ სახე შეეცვალაო. მან უპასუხა, რომ მისი მთავრობისაგან არავეითარი ინსტრუქცია არ გააჩნია და როგორც კი ამის შესახებ დაწერილებით ცნობებს მიიღებს კონსტანტინეპოლიდან, თვითონ შეგვატყობინებს.

– რა ექნათ, ძმაო? – ეკითხები დერვიშ-ფაშასთან ქვეით ამაღლაში მყოფ ერთ-ერთ კაზაკს, – როგორ ცხოვრობენ თურქები?

– კარგად, თქვენო კეთილმოხილებავე. გყუილად ამბობენ, რომ მათ საკვები არ ყოფნით. ყველაფერი საკმარისი აქვთ,

ყველა წითელლოყებაა, ჩვენი ძმა კი ისეთი ფერმკრთა-
ლია...

– მოგართევს რაიმე?

– ყაუა მოგვართევს, თქვენო კეთილშობილებავ. მერეღა
როგორი გამაგრებულნი არიან – საოცარია, ჩვენი ძალებით
იმათთან ვერაფერს გახდები!

გამ. „გოლოსი“, №62, 1878,

3 (15) მარტი.

№24

ჩ უ რ უ ქ ს უ , 9 აპრილი, („გოლოსის“ სპეციალური კორესპონდენტიზაგან)

ღღეს გამყოლთან ერთად ვიყავი პაგივესაცემ და ჭკვიან
სულეიმან-ბეისთან. ქალაქ ქობულეთის თურქი კომენდანტი,
ჩვეულებისამებრ, ძლიერ თავაზიანი და ყურადღებიანი იყო.

ვალდებულად ვთელი თავს წინასწარ განემარტო, რომ
არსებობს რამდენიმე ქობულეთი: ქობულეთი მთელი სა-
ზოგადოებაა, რამდენიმე სოფლისაგან შემდგარი, გაერთი-
ანებული ერთ მთლიანობაში და მდებარე ხუცუბნიდან
სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. კინტრიშის მახლობლად.
მეორე ქობულეთი: პაგარა ქალაქია, ან ზღვისპირა ადგილია
ციხისძირის სიმაღლეებიდან ან მის პირდაპირ ზღვაში მდგ-
ომ ჯაეშნოსანთა ცეცხლის რაიონში. თურქულად ამ
ქობულეთს ჩურუქსუ ეწოდება. აქ ცხოვრობს კომენდანტი
სულეიმან-ბეი. ქობულეთი თუმცა ხუცუბანსა და ციხისძირს

შორის მდებარე დაბლობშია, მაგრამ ზემოთ მითითებულ ვითარებათა გამო, იგი მიმდინარე კომპანიის პერიოდში ჩვენს მიერ დაკავებული არ იყო. და ბოლოს, ქობულეთის სახელწოდებას ატარებს მთელი მხარე კინტრიშა და ჩოლოქს შორის.

როდესაც 50 ნაბიჯზე მივედი, თურქი კომენდანტის სახლის ირგვლივ ნიზამი იდგა და დიდ ასპარეზს ქმნიდა. ასპარეზზე ორ-ორი ატლეთი გამოდიოდა და ორთაბრძოლაში ებმოდა. დაირები და საყვირები მთელი ბრძოლის პერიოდში შეუწყვეტლივ გამოსცემდნენ რაღაც გაგრძელებულ მოსაწყენ ხმებს. მალე, სხვათა შორის, ვიღაც მოლა ბორცვზე შედგა და მართლმორწმუნეებს ლოცვისაკენ მოუწოდა, ნიზამი თეალის დახმამხამებაში გაიფანტა.

სულეიმან-ბეიმ მოლაზე მიუთითა და თქვა: „მთელი ჩენი უბედურება რელიგიის ამ წარმომადგენლებისაგან მოდის. ისინი ჩვენთან მოძღვრებად, წინასწარმეტყველის წარმომადგენლებად არიან და გვირჩევენ ყველასთან ლმობიერი და მტრებთან დიდსულოვანი ვიყოთ, მაგრამ ამავე დროს, ყველაზე საშინელი ომები მათივე ქადაგებებით იწყებოდა. მათ ვერაფერს ვერ გაუგებ. ჩვენ რომ უფრო განათლებული სასულიერო წოდება გვყოლოდა, რომელსაც შეგნებული ექნებოდა ადამიანის ჰუმანიტატი მოვალეობა და ხალხში სხვა რელიგიის ხალხებისადმი სიძულვილს არ აღვივებდეს, ჩენი ისტორიის დასაწყისიდან იმ უბედურების ნახევარსაც არ მოვესწრებოდით, რომლებიც განუწყვეტლივ თან სდევდა ოსმალებს.“

სულეიმან-ბეისთან სტუმრად იყო არგილერიის უფროსი ვეფიდ-ბეი, იგი ახალგაზრდაა, შეხედულებით არა უმეტეს 25 წლისა, საშუალო სიმაღლისა და კარგი აგებულების. მასთან

პირველად გაცნობისას პოლკოვნიკმა ივანოვმა გაიხსენა ერთი ორქვემეხიანი, 24-ფუნტიანი ბატარეია, რომელიც კვირიკეს ხეობის მარცხენა ფრთაზე იდგა, თავისი მუსტი ცეცლით გამანადგურებლად მოქმედებდა და ერთიმეორეზე მწყობრიდან გამოჰყავდა ჩვენი ქვემეხები. ამ ქვემეხების ადგილმდებარეობის ზუსტად განსაზღვრისას აღმოჩნდა, რომ სწორედ ეს იყო ეგრეთ წოდებული „ყვითელი ბატარეია“, რომელსაც ვეფიდ-ბეი მეთაურობდა. პოლკოვნიკ ივანოვის შენიშვნაზე, რომ ბატარეია კარგად მოქმედებდა, ვეფიდ-ბეიმ ცბიერად გაიცინა და თავის მხრივ, ჩვენს არტილერიისტებს დაუწყო ქება.

სულეიმან-ბეის ერცელი მსჯელობის დროს ვეფიდ-ბეი მოწიწებით სდუმდა, ლაპარაკს ყურადღებით უსმენდა და დრო და დრო თამბაქოს მთავაზობდა.

– ჩვენი საუკუნოვანი ბრძოლა თქვენთან, – მითხრა სულეიმან-ბეიმ. – დასაეღეთ ევროპის სახელმწიფოებიდან მომდინარეობს: ისინი კარგად ხედავენ, რომ რუსები მდიდარი ბუნებით დაჯილდოებულ ქვეყანაში ცხოვრობენ, ყველაზე ბრწყინვალე და უხვი მიწები უკავიათ. დასაეღეთ ევროპის სახელმწიფოებს შურთ ჩვენი მიწების სიმდიდრე, ერთმანეთს გვაჩხუბებენ, რომ ჩვენ ერთმანეთი დაეჭამოთ და შემდეგ ისინი გაიყოფენ ჩვენს მდიდარ მემკვიდრეობას. აი მაგალითად, შეიძლება თქვენ დარწმუნებული იყოთ, რომ პრუსიელები თქვენი მოკავშირეები არიან, თქვენ ამას ნუ დაიჯერებთ. ისინი თქვენი ყველაზე უბოროტესი მტრებია. რატომაა, რომ რუმინეთი უკანასკნელ დროს ასე გამძაფრებით აღსდგა თქვენს წინააღმდეგ? იმიტომ, რომ რუმინეთის გახტვით კენცლერი კარლოსი მის. არ შეიძლება იმაზე მეტი მუხანათობა, ვიდრე რუმინეთის საქციელია თქვენდამი! ისინი

თითქმის ყველაფრით თქვენი მოვალენი არიან, თავიანთი არსებობითაც კი, და რა? როგორც კი მათ დამოუკიდებლობას და გურიგორიულ გაფართოებას მიაღწიეს, მაშინვე გაგვიდგნენ და მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადავიდნენ. ევროპაში თქვენ მეგობრები არასდროს არ გყოლიათ, ისევე როგორც ჩვენ. ჩვენ თუ ერთმანეთს მხარს დაუჭერდით, ევროპის წინააღმდეგ შეგვეძლო კარგი დასაყრდენი შეგვექმნა. სამწუხაროა მხოლოდ, რომ აქამდე ვერ შევძელით ერთმანეთისათვის ევროპის მიმართ ნამდვილი ჩვენი დამოკიდებულება გაგვერკვია.

თავისთავად ცხადია, რომ თქვენ ამ სიტყვებს გადმოგცემთ, როგორც განათლებული თურქების შეხედულებათა ნიმუშს.

*გამ. „გოლოსი“, № 115, 1878,
27 აპრილი.*

№25

**ციხისძირი, 27 აპრილი,
 („გოლოსის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)**

პერანგას ქედის დაქანებაზე რაღაც ბილიკის მსგავსი მიიკლაკნება დასაუღეთით, ზემოთ სამების პოზიციებისაკენ, ე. ი. ზღვის მიმართულებით, ეს ბილიკი ეშვება სოფელ ჩაქეში, რომელიც ბათუმის გზაზე მდებარეობს. ამრიგად, ციხისძირის პოზიციებსაც გააჩნია თავისი აქილევსის ქუსლი; მაგრამ

იმისათვის, რომ მოგვეკეთა იგი, საჭირო იყო ადგილმდებარეობის კარგი ცოდნა. სამწუხაროდ, აი, ეს ცოდნა ჩვენ არ გვეყოფნიდა.

საერთოდ, ციხისძირისა და სამების პოზიციების მდგომარეობა საესებით ისეთია, როგორც ავიწერეთ 18 იანვრის ბრძოლების დღეს. სხვაობა მხოლოდ დეტალებშია, რომლებიც ვერ შევძელი დამენახა ხუცუბნიდან რეკოვნოსცირების დროს, ეხლა, როდესაც ციხისძირის პოზიციების ყველაზე მაღალ პუნქტზე ვიდექი, თვალში მომხვდა შემდეგი ვითარება: კინტრიშსა და ზღვასთან მიმავალ საკონგროლო კონგრფორსებს, პერანგას მთების მხრიდან მნიშვნელოვანი დაქანება აქვთ; ისინი განცალკევებული კი გეჩვენებათ პერანგას მთავარი ტანისაგან მდინარე კინტრიშის, ლელვას და ჩაქვისთავის ღრმა ხეობებით. აი, ამ ხეობებით გადის ირგვლივ შემოსასვლელი ბილიკი, რომლითაც იმერეთის მეფემ სოლომონ პირველმა თავისი მსუბუქი კავალერია გაგზავნა თურქების წინააღმდეგ ხელთ იგდო ციხისძირი და ბათუმამდე მივიდა.

მე ფერიკ არიფ-ფაშასთან მეჩქარებოდა, რათა მისგან წერილობითი ნებართვა მიმეღო და ბათუმს ვწვეოდი.

არიფ-ფაშა გარეგნობით 50 წელს გადაცილებულია. მას ამრიანი ფიზიონომია აქვს და მის მსჯელობაში გამოცდილება და ცოდნა ჩანს. იგი კარგად იცნობს კავკასიას, ნამყოფია ქუთაისში, თბილისში და ალექსანდროპოლში, ჯერ კიდევ 1848 წელს, ჩვენსა და თურქულ სამფლობელოებს შორის, ამიერკავკასიის სამხრეთ ნაწილში, ფრონგალური სასამღერო ხაზის გაყვანის დროს.

ძლიერ მაინტერესებდა ცნობა გენერალ კომაროვის მიერ ქალაქ ართვინის დაკავების შესახებ და არიფ-ფაშას ვკითხეთ თუ როგორ შეხვდა ამ ამბავს დერვიშ-ფაშა.

– ღერეიშ-ფაშასათვის, რა თქმა უნდა, არასასიამოვნო იყო, – თქვა ფერიკმა, – რომ კომაროემა თითქმის თვითნებურად დაიკავა ართვინი, მაგრამ შემდეგ მან განმარტა, რომ ეს ვაკეთდა ჯარის ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით და ღერეიშ-ფაშაც დაკმაყოფილდა ამ განმარტებით. ასეთ ვითარებაში რუსეთის ჯარი ჩვენი სტუმარია და ჩვენ სტუმრების ყოველთვის მოხარული ვართ, მით უმეტეს რუსებისა, რომლებთანაც თანხმობით ცხოვრება გვსურს. რუსებს საკუთრივ ართვინის გარეუბანი უკაეიათ და არა ქალაქი. ქალაქში ჩვენი ძალებია განლაგებული. ამას წინათ აქ გაიგზავნა სამი ტაბორი და ისინი ადგილობრივთან ერთად ოთხ ტაბორს შეადგენენ. სამი ტაბორი კიდე აქ, ციხისძირზე, გადმოსხდა.

– რით აიხსნება სამხედრო ძალების ასეთი მომატება? – ეკითხე მე, – თქვენ ხომ ბათუმი მალე უნდა დაცალოთ? ცნობა გვაქვს, რომ სამი მაისისათვის იგი ჩვენ უნდა გადმოგვეცეს.

– ჩემთვის ეს უცნობია. ფაქტიურადაც შეუძლებელია. მხოლოდ ციხისძირის პოზიციების დაცლა მოითხოვდა ორ თვეს.

– მართალია თუ არა, რომ ამ დღეებში ბათუმიდან 15 ბატალიონი უნდა წასულიყო? – ეკითხე მე.

– არა, არც ფიქრობენ წასვლას, – მიპასუხა არიფმა.

– რამდენი გყავთ ჯარი ბათუმსა და ციხისძირში?

– ციხისძირში 14 ტაბორი ნიზამია და ბათუმში 15 ტაბორი. ჩვენ მხოლოდ მილიცია გაეუშვიტ სახლებში, რადგან მათ თავიანთი მინდვრების დამუშავება სჭირდებათ. სოფლის სამუშაოების დამთავრების შემდეგ, თუ საჭირო გახდა, ისინი კვლავ ვალდებულნი არიან იარაღის ქვეშ დადგნენ.

- როგორ, ისინი სამუდამოდ დათხოვნილი არ არიან?
- არა, ისინი დაითხოვეს მხოლოდ სოფლის სამუშაოების დროს.

გამ. „გოლოსი“, №129, 1878,
11 მაისი.

№26

ბ ა თ უ მ ი , 30 აპრილი,
(„გოლოსის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

დღეს, მხოლოდ ახლახანს, გვიან საღამოს, ჩამოვედი ბათუმში. ვჩქარობ გაცნობით, თუ როგორ მოეხვედი აქ და რის შემჩნევა მოეასწარი, რომ ხეალ დილით შიკრიკს წერილი გავატანო ფოთში.

ციხისძირში ჩემს გარჯას ალი-ფაშასთან არავეითარი შედეგი არ გამოუღია. ფერიკის მედმიწევნით თავაზიანობის მიუხედავად, როდესაც მან გაიგო, რომ მე „გოლოსის“ კორესპონდენტი ვარ, უნდობლად შემხვდა. ფერიკმა განმიცხადა, რომ ციხისძირიდან პირდაპირ ბათუმში არაუფერად გაშვება არ შეიძლება, რადგან ამის შესახებ არავეითარი ბრძანება არა გვაქვს მუშირისაგანო. „უკეთესი იქნება გაბრუნდეთ ფოთში, იქიდან ბათუმში, ან სადაც თქვენ გსურთ ანაგოლის სანაპიროზე, იქ ჩახვიდეთ. რამდენი ვაჭარი დადის ამჟამად ფოთიდან ბათუმში, გრაპემუნდში და უკან. თუ თქვენ გსურთ, ახლა ვუბრძანებ სუვარებს (ცხენოსნებს)

ჩურუქსუმდე მიგაცილონ და იქედან შეგიძლიათ გაბრუნდეთ უკან ბანაკში, ან ფოთში.“

ჯერ კიდევ წინა დღით ფერიკის კეთილმა მიღებამ დამამიმედა, ახლა კი კვლავ ჩაიფუშა ჩემი გეგმები თურქეთის უნდობლობით „ეფენდი კორესპონდენტისადმი“, როგორც ისინი მე მიწოდებდნენ. რა უნდა მექნა, უკან დაებრუნდი, იმისათვის, რომ ჩურუქსუდან ფოთში გავსულიყავი და იქიდან ბათუმში.

ჩურუქსუში დაეიჭირავე იალქნიანი ფელუკა ფოთამდე და ფოთიდან ბათუმამდე. ფელუკის პატრონი და მისი მსახურები თურქულად ლაპარაკობდნენ. მენიჩბეთა შორის 15 წლის ბიჭი იყო, ზედმიწევნით ცოცხალი და მარჯვე. იგი ქართულად კარგად ლაპარაკობდა; თავიდან ქობულეთელად მივიღე, მაგრამ შემდეგ, როდესაც ფელუკა მღელვარე ზღვის ზედაპირზე გაქანდა, უცებ ფელუკის პატრონს მან აფხაზურ ენაზე მიმართა:

– ჩვენ, ბატონო, აქ ყველა აფხაზები ვართ. დედაჩემი ცოცხალია, იგი ბათუმშია. ერთი წლისა ვიყავი, როდესაც ჩემი მშობლები სოხუმიდან გადმოასახლეს და ქობულეთში დაასახლეს, მე იქ გავიზარდე და ქართულიც ქობულეთელ ბავშვებთან ვისწავლე; დედაჩემი კი ყოველთვის აფხაზურად მესაუბრებოდა. ქართულად იგი ცუდად ლაპარაკობს. იგი მარტოა ბათუმში. სულთანისაგან ორ ოყა (6 გირვანქა) მჭადის ფქვილს ღებულობს თვეში, ერთ ოყას (3 გირვანქას), ჩემზე და მეორეს – თავის თავზე. დედაჩემს ცოტა ფული ჰქონდა. ჩემს ბიძაშვილთან საზიაროდ რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების წინ ეს ფელუკა იყიდა და ჩვენც გვირთის გადაზიდვა დავიწყეთ.

ციხისძირის ნავსადგომთან მისვლისას რამდენიმე წუთით შევიერდით. აქ შეკრებილიყვნენ რამდენიმე ნიშამი და ერთი

იუზბაში „ბაშიბუზუკთაგან“, ჩაცმულნი მეტად არასახარბიელო ფორმაში, გაცვეთილ ფეხსაცმელსა და შალის ჭრელ წინდებში, რომელთანაც მორგებული იყო მუხლებთან შემოჭირებული კრაგები. ნიზამთა შორის შევამჩნიე ორმოცი წლის შავვრემანი სახის ერთი ჩაუში (უმცროსი ოფიცერი).

– თანამედროვე ომი ეს ის არაა, რაც ყირიმის ომი იყო, – დაიწყო ჩაუშმა, როგორც კი ნაპირს მოეცილდით, – მაშინ ინგლისელებს ვყავდი დაქირავებული ომში და ფულებს ვფანტავდი, ეხლა კი მეხუთე თვე გადის, რაც ოცი ყურუში (5 კაიკიზე ცოტა მეტი) ერთად თვალთ არ მინახავს. მაშინ თვეში 500 (25 მან.) ყურუშს ვიღებდი, ყველაფერს მზამზარეულად ვღებულობდი: თეთრ პურს, დილასა და საღამოს დიდ ჭიქა ყავას, 1 1/2 გირვანქა ხორცს და სიგარას დღეში, მაშინ ბრძოლაც სახალისო იყო. ასეთი მომარაგების დროს, როდესაც არაფერი არ გაკლია, მზიარულად მივდიოდით იერიშზე, ჩვენც მოსკოველებს კარგად ვაწვენდით.

თანდათან აღფრთოვანებულმა, მან ინგლისელების სიმდიდრეზე და მათი კეთილდამოკიდებულების ისეთ მაგალითებზე დაიწყო მოყოლა, რომ ნაზამმა „იშალა“ წამოიძახა. იქვე განაცხადეს, რომ თუ ინგლისელები თანამედროვე ომში მოსკოველების წინააღმდეგ მოსთხოვდნენ დაქირავებას, ისინი სიხარულით წავიდოდნენ ჯარისკაცებად.

ახალგაზრდა აფხაზმა, ოსმანმა, რომელიც სიგყვა-სიგყვით მითარგმნიდა ჩაუშის პროპაგანდისტულ გამოსულას, წამოიძახა: „მაშინ ჩვენც მივატოვებდით ჩვენს ფელუკას და ინგლისელებს დავექირავებოდით.“

თანამგზავრი ქარი ძლიერ ბერავდა ფელუკის აფრას, და ჩვენც, როგორც შურდული, ისე მივექანებოდით ზღვის სარკისებურ ზედაპირზე. ციხისძირის კლდეებიდან დაწყებული

ბათუმამდე გრძელდება ზღვასთან მრუდელ მიბჯენილი, პერანგას მთების კორკრფორსები. მღვიდან შესაძლებელი იყო მათ შორის დიდებული ფოთლოვანი და გიგანტური ტყით დაფარული ხეობების შემჩნევა.

როდესაც ჩვენ ბათუმთან მივცურეთ, უკვე ღამდებოდა, ბათუმის მთაგორიანი დიდებული შემოგარენი ამფითეატრით გარს ერტყა უხეირო პატარა ქალაქს.

ბათუმის ნავსადგური საკმაოდ ფართე ნახეარწრეს წარმოადგენს, იგი მდინარე ჭოროხის ნალექით შეიქმნა, ჭოროხის შესართავი თვით ნავსადგურიდან დამორებულია ხუთი კილომეტრით. მდინარე აქ ქმნის ნაყარს და ამით თანდათან სულ მეტად აფართოებს და ამრგვალებს მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ბათუმის ნავსადგურს, ისე რომ იგი ბუნებრივი ძალების მოქმედებით, ყოველგვარი ხელოვნური ნაგებობის გარეშე, თანდათან უკეთესი ხდება.

ნავსადგურში შესელის დროს შეენიშნე ორი გიგანტური ბატარეა, რომლის მარცხნივ და მარჯვნივ იდგა დიდი ყალიბის ქვემეხები. ყოველ ბატარეაზე თორმეტამდე ქვემეხი დავთვალე, რომლებსაც ყოველმხრიდან შეუძლიათ ნავსადგურის შესასვლელთან ცეცხლის გახსნა.

თვით ნავსადგურში ღუმამე ოთხი ჯაემზნოსანი იდგა, მათგან ორი სატვირთო: „ბათუმი“, მეორეს სახელწოდება კი ვერ გავიგე და ორი სამხედრო: „ემილია“ და „იშარი“. ოსმანის ნათესავემა, ფელუკის პატრონმა, გადმომცა, რომ იგი კიულაში (გამყოლი) იყო „ემილზე“, როდესაც გასულ წელს თურქებმა ჯარი გადასხეს სოხუმში. სატვირთო ჯაემზნოსნები დატვირთული იყვნენ სამხედრო საჭურველით ბათუმის არსენალიდან. აღმოჩნდა, რომ თურქებს არ შეუძლიათ ქობულეთელების დასანახად დღისით დატვირთონ გემები სამხედრო

მასალით, ამ ოპერაციას ღამით აწარმოებენ, მაგრამ ცნობილი არაა საით მიაქვთ. განცვიფრებული ვიყავი ჯაეშნოსანის სანაპიროსთან ახლოს დგომით. როგორც ჩანს, ზღვა აქ ზეღმიწვენით ღრმაა.

ბათუმი თურქების რეგულარული ჯარითაა გატენილი, ყველა ქუჩა, კაზინო, კაფე და ფარდული სავსეა ოფიცრებით. მე მოვთავსდი კაზინოში, სწორედ სანაპიროსთან ქვის ორსართულიან შენობაში, მეორე სართულზე. საბილიარდო და ბუფეტი იმდენად სავსე იყო თურქი ოფიცრებით, რომ ჩანთით ძლივს გაეძვერი მათ შორის. ისინი თავიდან ფეხებამდე მათვალიერებდნენ. ახლახან ჩამჩურჩულეს, რომ სანაპიროდან დაწყებული, გაპტიების მახვილი თვალი ჩემს ყოველ ნაბიჯს თვალყურს ადევნებს.

ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ ბათუმში რუსი მუკბირი (კორესპონდენტი) ჩამოვიდაო. თურქის გაგებით, კორესპონდენტი ეს სხვა არავინაა, თუ არა ჯაშუში. ყოველივე ეს ნიშან-თვისება კარგ სტუმართმოყვარეობას არ მპირდება ამ ციხე-სიმაგრეში, რომელიც იურიდიულად უკვე დიდი ხანია რუსეთს ეკუთვნის.

მუკბირი ვალდებულია აცნობოს ყველაფერი, რაც მისი შეხედულებით ყურადღებას იმსახურებს. აი, ამიტომ დასასრულს უფლებას ვაძლევ თავს გავაკეთო პატარა მინაწერი: ჩურუქსუში ყოფნის დროს კომენდანტ სულეიმან-ბეის პირდაპირი გზით ბათუმში წასვლის უფლება ვთხოვე. სულეიმანმა ჩემი თხოვნის საპასუხოდ მიჩვენა ფერიკ ალი-ფაშას წერილი, რომელიც დაეინებით მოითხოვდა ჩემს გაბრუნებას რუსების ბანაკში. ეს ბუნებრივია, მაგრამ აი, რა არის შესანიშნავი: ფერიკისაგან ჩემს შესახებ მიღებული ოფიციალური წერილი ქალაქის უმნიშვნელო ნაგლეჯს წარმოადგენს,

სიგანით ერთ ღიუმს და სივრძით ორს. მასზე ორი სტრიქონია და პატარა პირადი ბეჭედი.

თურქებს კანცელარიზში სრულიად არა აქვთ, ყოველი წერილი, რა მნიშვნელობისაც არ უნდა იყოს იგი, იწერება პირადად რაზმის უფროსის მიერ, იშვიათ შემთხვევაში შტაბის უფროსის მიერ, და ყოველთვის ორი, სამი, სულ ბევრი, 5 სტრიქონია; ყოველი ცალკე ნაწილის მეთაურს ვერცხლის პატარა ბეჭედი გააჩნია, ვერცხლისავე ჯაჭვზე; ბეჭედზე საღებავია, ნაწილის უფროსი სამ სტრიქონ ბრძანებას დაწერს, ბეჭედს დაარტყამს და ყველაფერი მზადაა. რამდენი უბრალოება და მოხერხებულობაა? ასეთი უბრალოების დაცვა რომ შესაძლებელი ყოფილიყო ჩვენი შტაბის წერილობით საქმეებში, რამდენი თანხა, შრომა და დრო დაიზოგებოდა ჩვენს არმიაში. მხოლოდ კანცელარიები და საოცარი წერილობითი საქმის წარმოება, ჩვენი ცალკეული ნაწილების შტაბებში, იმდენად დიდ დროს, სამუშაო ძალას და თანხას შთანთქავს, რომ მარტო ეს მდგომარეობა ქმნის მნიშვნელოვან დაბრკოლებას ჩვენს სამხედრო ოპერაციებში. ყოველგვარი კანცელარიზმისა და საქმის საზიანოდ მოქმედი ზედმეტი ფორმალობის უარყოფა. ჭკუის სასწავლი მოვლენაა თურქეთის არმიაში.

ეკ, ჩვენთანაც რომ ნაკლებად წერდნენ!..

*გაზ. „გოლოსი“, №132,
1878, 14 მაისი.*

ბ ა თ უ მ ი , 1-ლი მაისი,
(„გოლოსის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ბათუმის ნავსადგურში სხვადასხვა ჩაცმულობის დიდძალი ხალხი შეგროვილიყო. აქ შეეხვედი მეგრელებს, ჩერქეზებს, ლაზებს და იმერელ ვაჭრებს. ისინი ჩამოდიან ცოცხალი და შებოლილი თევზის შესასყიდად, ყიდულობენ აგრეთვე ლიმონს, ფორთოხალს, გამხმარ ხილსა და სასმელებს. უმეტესად, კონიაკს. ეს სასმელი ბათუმში ბევრია, რადგანაც თურქეთის ჯარი მას ყველა სხვა სასმელს ამჯობინებს, ბოთლი „კარგი“ ძველი კონიაკი 40-50 კაპ. ღირს.

ნაპირზე გადასვლისას, დაუყოვნებლივ გავეშურე თურქეთის სომხის, პეტროსის კაზინოში. კაზინოს დარბაზის შუაგულში, ბილიარდი იყო მოთავსებული, რომელზედაც თურქი ოფიცრები, ათ კაცამდე, კროკეტს თამაშობდა. ეს თურქების ყველაზე საყვარელი თამაშია.

არ გასულა ხუთი წუთიც, რომ ერთ-ერთმა მათგანმა საკმაოდ რიგიანი ხმით წამოიწყო ყველასათვის ცნობილი არია: „La Fille de m-me Angol“-დან. მე წარმოადგენაყ არ შემეძლო, რომ ოფენბახის მუსიკას და მის ოპერეტას ისლამის მიმდევრებში წარმატება ჰქონდა. როგორც ჩანს, „Cafes chantants“ კონსტანტინოპოლში ისეთივე მაცივილიზირებული გავლენა აქვს მართლმორწმუნეებზე, როგორც ჩვენთან და ისლამი ამ შემთხვევაში ისევე ლიბერალურია, როგორც ქრისტიანული რელიგია. როგორც კი პეტროსის განკარგულებაში აღმოვიჩნდი, იმ მომენტიდან ჟანდარმისა თუ ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი თურქი ოფიცერი მითვალთვალებდა,

პეტროსმა ეს შეამჩნია და დაიწყო მეტად მახვილი და სარკასტული დაცინვებით, საერთოდ, მუჰამედის განათლებულ მებრძოლთა დენა.

– იცით, რას გეტყვით, ბატონებო, – დაიწყო პეტროსამ, და იმავე დროს ცხიერად შეხედა ჩემს მებრძოლ თურქ ოფიცერს. იცოდნენ რა სასტუმროს პაგრონის სამრიანობა ყოველგვარი სასაცილო ამბების გამოგონებაში, ყველამ ყურები დაცქეიტა. მსმენელები იყვნენ უმეტესად ბერძნები, სომხები და ორი-სამი ქობულეთელი, ყველა დანარჩენი – თურქი სამხედროები; მათ შორის თავისი ჩინით გამოირჩეოდა ჩემი მეთვალყურე – თურქი ოფიცერი.

– ამას წინათ ციხისძირის ნაესადგურში ვიყავი, – განაგრძო პეტროსამ, – იქ შევხედი, იცით ვის? – საპატიო ფართომხრებიან იუმბაშს, ჩვენი ქებული, მამაცი უნიფორმიდან (ზეიბეკებიდან). მშვიდობიან დროს მას ძლიერ კარგად ეიცნობდი თავისი ბოხი ხმით. რომელიც განუწყვეტლივ ისმოდა სტამბოლის (კონსტანტინოპოლის) ქუჩებში. მას თავზე კვერცხებით სავსე ვეებერთელა თაბახი ედგა და ხშირად ეუხმობდი მას ჩემს კაზინოსთან და მისგან სრულიად ახალ კვერცხებს ეყიდულობდი. იგი ახლა საპატიო ოფიცერია და თავის მსგავსთა ასეულს მეთაურობს. დამინახა თუ არა, მან გაიხსენა თავისი ძველი მდგომარეობა და მლიქვნელურად მომესალმა. შესაძლოა იფიქრა: „პირადად იგი თუ იუმბაშია, მე მაშინ უკვე ვილაც უმაღლეს კეთილშობილების „მირალა“ (ბრიგადირი) ვიქნებოდი. რა თქმა უნდა, მე მას მოწყალე თვალთ შევხედე და თავდახრით ვუპასუხე. იგი გედმიწევნით კმაყოფილი დარჩა. ახლა მშვიდობაა: მას მალე დაითხოვენ ოფიცრის წოდებიდან და იმედი მაქვს კვლავ შევხვდები მას სტამბოლის ქუჩებში, უკვე არა როგორც

ნიშამის (ჯარისკაცების) ასეულის, არამედ როგორც ქათმის კვერცხების ასეულის მეთაურს. წარმომიდგენია, თუ როგორი იქნება პატივცემული იუბაშის მწარე განცდები, როცა იგი გაიხსენებს თავის მდგომარეობას ომის პერიოდში. უფიქრობ, რომ ძლიერ დასწყევლის მშვიდობიან დროს და ალბათ გულდაწყევტილს ქვაფენილზე გადმოუცივდება კვერცხები (ხალხში სიცილმა იფეთქა).

ჩემი თურქი ოფიცერი გაწითლდა, მკავე ფიზიონომია მიიღო და პეტროსას თეძოში ბწყენა დაუწყო.

– ხომ მართალია, იუბაშო, – შენიშნა პეტროსამ და მიმართა ოფიცერს, – რომ ჩვენს სულთანს შეუძლია იამაყოს თავისი ხალხით, რომელიც იმდენად განათლებულია, რომ ქუჩაში კვერცხების გამყიდველთაგანაც კი ოფიცერთა კონგინგენტს კრებს, რომლებიც ბრძოლის ველზე ცალკეულ ნაწილებს საამაყოდ მეთაურობენ.

– იშალა! – უხალისოდ უპასუხა ოფიცერმა და ამასთან ხალხის ბრბოს შეერია.

– ემწვავა იუბაშს! – მხიარულად წარმოსთქვეს დამსწრეებმა.

– ბატონებო, ხომ არა გსურთ მოუსმინოთ ახალ ცნობებს სტამბოლიდან. – შესთავაზა პეტროსამ, და თან კონსტანტინოპოლის გაზეთის დიდი ფურცელი გადაშალა დაბეჭდილი სომხური შრიფტით.

უსამღვრო იყო ჩემი განცვიფრება, როდესაც სომხური შრიფტით პეტროსა თურქულ სიტყვებს კითხულობდა. ოსტატური საქმეა! გაუგებარია მხოლოდ რომელი ენის ასიმილირება მოხდა ამ მხრივ. მე შევნიშნე, რომ თურქები, პეტროსას მსმენელები, ნანობდნენ, რომ სომხურად კითხვა არ შეეძლოთ, თორემ თვითონ წაიკითხავდნენ პოლიტიკურ

ცნობებს, რომლებიც მათ ასე აინტერესებდათ. საკითხი ბათუმის დაცლას ეხებოდა.

ერთი ცნობით, ბათუმი ადრე უნდა დაეცალათ, მეორეთი – არ შეიძლებოდა მისი დაცლა. უსმენდნენ რა ერთსაც და მეორესაც, ყველა უნდობლად აქნედა თავს.

ერთმა ქობულეთელმა აღშფოთებით წამოიძახა: „ეშმაკობენ! უბრალთ ჩვენი გაყიდვა სურთ, მაგრამ ჯერ არ გვიცხადებენ“.

გამ. „გოლოსი“, №135, 1878,
17 მაისი.

№28

ბ ა თ უ მ ი , 2 მაისი,
(„გოლოსის“ ხპეციალური კორესპონდენტისაგან)

ჩემმა მწყალობელმა თურქმა ოფიცერმა მაინც გამიწია კეთილი სამსახური! აღმოჩნდა, რომ იგი კაზინოდან პირდაპირ ბათუმის კაიმაკამთან წავიდა და აცნობა, რომ ბათუმში ვილაც რუსი მუკბირი (კორესპონდენტი) ჩამოვიდაო. საჭიროა მოგახსენოთ, რომ კორესპონდენტი შეიძლება არსად არ სარგებლობს ისეთი ცუდი სახელით, როგორც დერეიშ-ფაშას არმიას; თვითონ დერეიშ-ფაშაც მუკბირებს უცქერის, როგორც მთავრობის ჯაშუშებს.

დილის 10 საათი იყო, როდესაც ჩემი საკმაოდ ბინძური სენაკიდან გამოვიხედე. კარების წინ ვილაც თურქი შაპტი იდგა, რომელსაც ჯერ სიმართლე რომ გითხრათ, ყურადღება

არ მივაქციე, მაგრამ ამის შესახებ გამაფრთხილა ჩემმა კეთილმა მასპინძელმა, სომეხმა პეგროსამ. გავიგე, რომ არიფ-ფაშა ბათუმშია და ვაღიარებდი ვეცანი თავი გავმგზავრებულყავი მასთან, როგორც კარგ ნაცნობთან, რათა მეთხოვა მუშირთან წარვედგინე. სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი საქმეები მოგვარდებოდა არიფ-ფაშას მეშვეობით, ბოლოს და ბოლოს, მუშირი ნებას დამრთავდა რამდენიმე ხნით ბათუმში დავრჩენილიყავი და შემდეგ ნებას მომცემდა ართვინის გზაზე გავსულიყავი. ჩემი მოგზაურობის მიზანი იყო, როგორც ამას ყველას ვუხსნიდი, „გზადაგზა შემეკრიბა ეთნოგრაფიული ცნობები, შემეღვინა გეოგრაფიული შენიშვნები და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, დამეთვალყიერებინა ისტორიული ღირსშესანიშნაობანი“.

ნურას უკაცრავად! თურქმა მხედართმთავარმა, რომელმაც სამხედრო ცხოვრების მრავალი უკუღმართობა გამოცადა და, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკული მებრძოლი იყო, ბუნებრივი მიზლი გამოიმუშავა ყველა მწერლისადმი და, განსაკუთრებით, მუკბირებისადმი. ყველა ამ სამხედრო მწერალს და კორესპონდენტს იგი ერთი საერთო სახელწოდებით „კიულაოზით“ (ჯამუში) ნათლავდა. ისინი მის თვალში არავითარ ნდობას არ იმსახურებდნენ. აღნიშნულ მომენტში მისთვის მეტად არასასიამოვნო იყო ჩემი დანახვა, რადგან იგი ციხისძირის სიმაგრეების პროფილს აძლიერებდა და ახალ ბაგარეებს ღვამდა ჩაქვის ხეობაში, ბათუმის გზაზე და აქედან ართვინის გზატკეცილზე.

არიფ-ფაშას სახლში ვერ მივუსწარი, მაგრამ დაბრუნებისას შევხვდი მას უამრავ ოფიცერთა თანხლებით. მან უმაღვე მიცნო.

– იყავით თუ არა მუშირთან?

– მე მსურდა ჯერ თქვენი ნახვა, რათა თქვენ წარმადგინოთ მასთან.

– კარგი, წავიდეთ, – საკმაოდ ნერვიულად მითხრა მან. შეენიშნე, რომ ჩემმა ასე სწრაფად გამოჩენამ ბათუმში არიფ-ფაშა საგონებელში ჩააგდო. საერთოდ ჩანდა, რომ თურქებთან რაღაც განსაკუთრებული მზადება იყო და სწორედ ამ მომენტში ჩემს იქ ყოფნას ისინი უხერხულად სთვლიდნენ. დერვიშ-ფაშას არიფ-ფაშასთან დიდი თათბირი ჰქონდა. არიფ-ფაშა, როგორც შემდგომში გავიგე, განსაკუთრებული მიზნით ჩამოვიდა ბათუმში ჯაეშნოსნით.

სახლი, რომელიც მუშირს უკავია, ორსართულიანია და ქეისაა. დაბლა სართულში მარჯვნივ კანცელარიაა, მარცხნივ – მისალები. მე მისალებში შემიყვანეს, სადაც შეკრებილიყო რამდენიმე თურქი ოფიცერი და ერთი მინბაში მაჰკიებიდან; ამბობენ, რომ იგი ქანდარმერიის უფროსია.

ვიდრე ექსელბანგებიანი მირალაი მისალებში იყო, მინბაშს ქართულად სიტყვაც არ უთქვამს. პირველად მე მიემართე. მან მითხრა, რომ ჩემს ენაზე ლაპარაკი არ შეუძლია. რამდენიმე ხნის შემდეგ ოთახიდან მირალაი გავიდა და მაშინ იგი თვითონ დამელაპარაკა ქართულად. როდესაც გაიგო სადაური ვიყავი, მაშინვე დარიგებები დამიწყო: უკეთესი იქნებოდა, მათთვის თავი დამენებებინა.

– დაეუშვათ, – მითხრა ქობულეთელმა მინბაშმა, – ჩვენ თქვენი მონათესავე ხალხი ვართ, მაგრამ ჩვენ არასდროს მშვიდობიანად არ გვიცხოვრია ერთმანეთთან და ჩვენთვისაც და თქვენთვისაც უკეთესი იქნება, რომ ერთი საერთო მმართველობის ქვეშ არ აღმოვჩნდეთ.

– ასეა, ჩემო ძვირფასო მინბაშო, – ეუპასუხე მას, – მაგრამ ჩვენ და თქვენ ამის შესახებ არაფერს გვეკითხება,

გამარჯვებული ისურვებს თქვენს შემოერთებას ჩვენთან და ულაპარაკოდ შემოგვიერთდებით, არადა დარჩებით ისე გარეულ არჩევად თქვენს მთებში, და თქვენი საქმიანობა კვლავ ქირაზე სიარული, კონტრაბანდა და ძარცვა იქნება.

მისაღები თანდათან ივსებოდა; ყველას ხელში რაღაც ასიგნაცია ეჭირა. მუშირთან მოვიდნენ ასიგნებული ფულის გამოსათხოვად. როგორც ჩანდა, ხაზინადარებს, ასიგნაციების მიუხედავად, უმძიმდით დაცარიელებული სალაროდან საჭირო თანხა გაეცათ და მიეღოთ, რაც მუშირის თხოვნისა და შუამდგომლობის გარეშე არასდროს არ ხერხდებოდა.

კარები გაიღო და ვიღაც ახალგაზრდა თურქმა ოფიცერმა მისაღებიდან პირდაპირ დერევიშ-ფაშასთან მიმიწვია.

მეორე სართულზე ამიყვანეს და დერევიშ-ფაშას კაბინეტში შემიყვანეს. იგი საკმაოდ სერიოზული სახით იჯდა საეარძელში. მომესალმა თურქულად და ხელების მსუბუქი მოძრაობით სკამზე მიმითითა.

საკმაოდ ვრცელი და ნათელი ოთახის ერთ მხარეს, ორ მოპირდაპირე კედელს შორის, ერთიანი ტახტი იდგა; შტაბის უფროსი მუსტაფა-ფაშა მოკრძალებით მოთავსდა ტახტის მეორე მხარეს, მან მკითხა ვლაპარაკობ თუ არა ფრანგულად; ვუპასუხე „ღიახ“. ამის შემდეგ დერევიშ-ფაშამ მკითხა თუ საიდან ჩამოვედი.

— მე მსურდა ციხისძირიდან საშვით პირდაპირ ბათუმში მოვხვედრილიყავ, მაგრამ არიფ-ფაშასაგან ნებართვა ვერ მივიღე. მაშინ ფოთში გავემგზაურე და იქიდან, ვაჭრების მსგავსად, მივაღწიე ბათუმამდე.

— მაგრამ, ეხლანდელ კრიტიკულ მდგომარეობაში, არ შემიძლია ნება დაგროთოთ, რომ აქ დარჩეთ. ქალაქში მოსახლეობის საკმაოდ დიდი თავშეყრილობაა და გარ-

ანტირება არ შემოიძლია, რომ რაიმე არ შეგემთხვევათ. ამასთანავე თქვენს საშეს ვერ ენდობი.

– ბილეთი მომცა ქობულეთის რაზმის უფროსმა გენერალმა ნურიძმა.

– მე ვიცნობ მხოლოდ გენერალ ოკლობეიოს, შემეძლო თქვენი მიღება ორი დღით გენერალ ოკლობეიოს მიერ გაცემული ბილეთით, მაგრამ ქალაქში თქვენს შემდგომ ყოფნაზე და, მით უმეტეს, მოგზაურობაზე, არავითარ შემთხვევაში არ შემოიძლია დავთანხმდე.

– ჩვენთან საშუებს მხოლოდ უშუალოდ საზღვართან განლაგებული ჯარების უფროსი იძლევა.

– არა, მე ვიცნობ მხოლოდ გენერალ ოკლობეიოს, მაგრამ მისი ბილეთით თქვენ, როგორც მუკბირს (კორესპონდენტს), აქ ვერ დაგტოვებთ.

– მე კორესპონდენტი ვარ, რომლის მიზანია ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული ცნობების შეკრება.

– არავის არ შეუძლია თაედები იყოს, რომ თქვენ სხვა ცნობებსაც არ აგზავნით თქვენს „გოლოსში“ და საერთოდ, აქ კორესპონდენტის ყოფნა უხერხულია. აქ იყო „Daily Telegraph“-ის კორესპონდენტი, მაგრამ ისიც გავამგზავრე. რას იტყვოდა გენერალი ოკლობეიო, რომ ჩემი კორესპონდენტი გამეგზავნა ფოთში?

– მე არვითარი საერთო არა მაქვს გენერალ ოკლობეიოს სამხედრო საქმიანობასთან. მე კერძო პირი ვარ, რომელსაც მხოლოდ გაზეთ „გოლოსის“ რედაქციის დავალება მაქვს.

მუშირმა წარბები შეიჭმუხნა, დაფიქრდა.

– თუ თქვენ ინებებთ, – მითხრა მან, – მე ეხლავე ვუბრძანებ დაიქირავონ თქვენთვის ფელუკა, მოგცემთ

გამცილებლად ოფიცერს და ჩურუქსუს კორესპონდენტთან გაემგზაურებით. რომელიც თქვენს ბანაკში დაგაბრუნებთ.

მუშირის ეს სიტყვები მუსტაფა-ფაშამ ისეთი ტონით მითხრა, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობა ჩემი მხრიდან დამთავრდებოდა ძალადობით. დამრჩენოდა მხოლოდ გამოვთხოვებოდი და წავსულიყავი.

მუშირის ბინიდან გადამიყვანეს კაიმაკამთან; მისი სახლი ადვილად გამოირჩევა რკინის დიდი ორი წითლად შეღებილი ნამგალით, რომელზედაც დასმულია დაირა. ორ გიგანტურ ნამგალზე მოთავსებულია ბურთი, ისიც პატარა და გვერდულა. ბათუმის კაიმაკამი ძლიერ კარგად მომეპყრო. მაგრამ მუშირის მიღებით იმდენად განერევილებული ვიყავი, რომ არაერთად თავაზინობას ყურადღებას არ ვაქცევდი. ამიერიდან სადაც არ შევიდოდი: ფარდულში საყიდლებისათვის, კაფეში, ჭიქა ყაეის დასალევად, გასაცილებლად მომაგრებული ოფიცერი ერთი ნაბიჯითაც არ მცილდებოდა.

გამ. „გოლოსი“, №137, 1878,

19 მაისი.

№3

არეულობის მიზეზი აჭარა-ლივანაში

მთავრობამ გვაცნობა კიდევ, რომ აჭარა-ლივანაში არეულობის მიზეზი ორი უმთავრესი საგანი იყო. ერთი, რომ საზღვრების ხაზი ჩვენსა და ოსმალეთს შუა ჯერ კიდევ კარგად არ არის გაყვლებული; მეორე, რომ ოსმალეთიდან

გადმოდიან ისეთი ამაგულიანებელი კაცები, რომ ხალხს უქადაგებენ გადასახლებას.

ორივე ეს მიზეზი ყურადღების ღირსი არიან, მაგრამ ჩენის აზრით, ეს გარემოება იმდენად მიზეზი არ არის, როგორც მიზეზის შედეგია. სჩანს, რომ ადგილობრივ მთავრობის მოხელე კაცებს ნამდვილი მიზეზი თვალისა და გამოპარვით და ამის გამო ვერ მოუხსენებიათ ის, რაც მართლაც უმაღლესი მთავრობის საცოდნელია, რომ ნამდვილი საშუალების მოხმარებით ბარემაც დამშვიდდეს და შესვენება მისცეს ყოველად გაჭირვებულს ახალშემოერთებულს ქვეყანას.

ჩენი წმინდა მოვალეობა არის ამ შემთხვევაში, რაც ვიცი, არ დაეფაროთ და ისეთს ტკივილზე უჩვენოთ, რომ ზედ წამლის დადებით გაჭირვებული ჩენი ახალი ძმების მწუხარებაც უცბად დასცხრეს და ჩენს მთავრობასაც ამით მყუდროება მიეცეს.

სანამდის ჯერ კიდევ ბათუმის მაზრა და დანარჩენი ოსმალეთის საქართველო ჩაგებარდებოდა, მე ხშირად დაედოდი ქობულეთში და ბათუმშიაც. იქ ვხვდებოდი ბევრს, უფროს კაცებს, სიგყვა-პასუხით, ყოფაქცევით, ზრდილობით, კეთილი გულით, პურ-მარილით ნამდვილ ქართველებს. ჩემს დანახვაზე იმათს მოღრუბლულ სახეს სინათლე გადაჰკრავდა ხოლმე. მე ვიყავი ქრისტიანი, ისინი მაჰმადიანი, მაგრამ ჩენ მაინც ნათესაობას და გომის სისხლს ვებრძოდით; ერთმანეთის ნახვა თითქოს იმ ღრმა გულის ჭრილობას არჩენდა, მე რომ მტანჯავდა და იმათაც კიდევ ერთი ათათ უფრო აწუხებდა, თითქოს იმ ერთს წუთას აუტანელი მწუხარების ცეცხლი ორთავეს გვიქრებოდა.

— „ძიავ, რას იტყვი კაის; რა მდგომარეობაში ვიქნებით, რა დაგვემართება, როცა ჩვენც თქვენს ჭერქვეშ თავს შევიფარავთო?

– კარგი, ძმებო-მეთქი – კარგი მოგვლით, განათლებით, ერთმანეთს დაუახლოვდებით, კარგი მეზობლობა, ძმობა გვე-
ქნება-მეთქი ერთმანეთში.

– კაი დაგემართოს, მაგი ყველა კაია – მეცყოდნენ –
მაგრამ, ძიავე, მეგობრობა და მეზობლობა მაინც მჭადით ვერ
გაგვაძლებს, აქამდი ჩვენ ამ ქვეყნის პატრონი ვიყავით. აქ
ბოლოზები სულ ჩენი იყო, საქონელი, რაც გამოვიდოდა,
შეგვეძლო ისე შემოგვეტანა, ბაეს ვერაფერს გადაგვახდევ-
ინებდა, მერე იმ საქონელს თქვენსკენ გადმოვიტანდით და
ბევრი სარგებლობა გერჩებოდა; ამას გარდა, ძიავე, ხედავ
დღეს ამ ქვეყანაში მუღირებიც (უჩასტკის ნაჩაღნიკები), კა-
ნიაკამებიც (უებღის ნაჩაღნიკები), მინბაშებიც (მაიორები)
სულ ჩვენ ვართ, დაბალი ხალხი, ძიავე, სულ ასკერია (ჯარი).
აქამდის ყველა სულთანის პურ-მარილით ვრჩებოდით,
სულთანისაგან ჯამაგირები გვექონდა, ამ ჩვენს ქვეყანაში
ქვეყნის გამგეც ჩვენ ვიყავით და ქვეყნის დამცველიც;
მაგიერათ ჩენი ქვეყნითაც ჩვენვე გვექონდა სარგებლობა.
თქვენ რომ მოხვალთ, ჩვენ მაშინ რისი მაქნისი უნდა ვიყოთ?
აქ თქვენი უფროსები მოვა, თქვენი ჯარი ჩამოვა, ბოლოზებს
თქვენი კაცები დაიჭერენ, ჩვენ რალა ვქნათ, ან თუ საქმეში
აღარ ვიქნებით, გყუილად ვინ გვარჩენს, მერედა ვინ გ-
აჭმევს?

ყოველ ამ კითხვაზე მე ბაფრის ქარები მივლიდა: აბა რა
უნდა მეთქვა, აქა რით უნდა მენუგეშებიანა ისინი?

აი, ამ მომავალ უიმედობის ფიქრები იმათ მოსვენებას არ
აძლედათ, ოპ, რა მოღრუბლულები დადიოდნენ, რომ იცოდე,
მკითხველო. სანამ ჩენი ჯარები ბათუმში შევიდოდნენ, სამი
დღის წინათ მე იქ ბათუმის მუტესარიფს (გუბერნატორს) ოსმ-
ან-ფაშას (თავდგირიძეს) – ქობულეთელს კი არა, აჭარულ
თავდგირიძეს გავეცანი. ერთს დღეს მე და ჩემი კარგი ნაცნობი

ხასან-ალა ოსმან-ფაშასთან შეეედით, ის დარბაისლურად, ფეხმოკეცით იჯდა თავის კონახში, მუხლზე ქალაღი ეღა და ბედ კალამით ხელს აწერდა, წინ ედგა ერთი ბათუმელი კაცი, უბრალო, ჩვენებური გლეხისთანა საწყალი, ოსმან-ფაშამ რომ ხელი მოაწერა ქალაღზე, იმ აჭარელს ხელში მისცა და უთხრა ზრდილობიანათ, შენ ამ ქალაღით მეჯლისში წადიო, იქ ვილაც მუკბირი (მწერალი), დაუსახელა, იმას უთხარი ჩემ მაგიერ, რომ ეს საქმე ახლავე გაგიკეთოსო; იმანაც საღამო მისცა, და გაშორდა; მერე მეორე მოვიდა, მერე – მესამე – სულ უბრალო სოფლელი გაჭირებული კაცები, ყველას ფაშა ხელს უწერდა და თან შინაურს ამბებსაც ჰკითხავდა ხოლმე.

ხასან-ალამ გადმომხედა და თითქოს ჩემს გაკვირებულ სახეს თვალი მოკრაო, უბრალო სოფლელს წაუხუმრა: „შენმა მგემ შენი გუბერნატორიც კი მიგვიშეებს ეგრე თამამად და ეგრე თავმდაბლადო და ზრდილიანად დაგვიწყებსო შენს შინაურს საქმეებზე ლაპარაკს?“

„კაეკაზში“ დაბეჭდილი მთავერობისაგან ნაცნობი ამბები აი რას მოგვითხრობენ „ბეთის, ჭვანის და მირათის – ხე-ის მცხოვრებლებმა უარი სთქვესო თაღარის გადასახადის მოცემაზე და ჰაჯი-შირი-ალის სახლს დაეცნენო, რომელსაც მთავერობისაგან ჰქონდა მინდობილი ამ თაღარის გადასახადის აწერაო“.

„ართეინის მამრაში არეულობა პირველად იმისაგან მოხდაო, რომ მურღუის საზოგადოებაში გურიის ღრუეინის კამანდას ნებათ მისცეს სოფლის ნაქალაქეც ბაშკოის დაბინავებულიყენენო!..“

აჭარელმა მოსწრებით და ამოხენებით სიგყვა პირში მი-აგება: – იმიტომაც კი არ ვრჩები, ეფენდი, მაშინ მე ხასან-ალის სიგყეებიც ოხუნჯობა მეგონა, თვით ბეგების სიგყეები, იმათი შიში და მწუხარება მომავალზე სულ უსაბუთო და

წარმოუდგენელი იყო ჩემთვის. თურმე კი სულ მართალი უნდა გამოდგარიყო. აბა მე მაშინ რას მოვიფიქრებდი.

სწორედ რომ ძალიან შესანიშნავია. ამ არეულობის მიზეზი შეიგყოს კაცმა; მაგრამ ამის მიზეზი სრულებით ის კი არ არის, ვითომც ოსმალეთიდან მქადაგებლები გადმოდიოდნენ და ხალხს აგონებდნენ, ადექით რუსის მთავრობას ნუ დაუმორჩილდებითო.

აქ უნდა დაურთოთ შემდეგი:

წარსულს ომში ყველამ ვიცით, რომ ოსმალეთის მთავრობამ მთელი აჭარის და ბათუმის მაზრის ხალხი საომრად გამოაწვევია, ორი წლის განმავლობაში იმათაც არ უხნავთ, არც უთესავთ, არც უვაჭრნიათ; ყველას ფოთი პქონდა ხელში და გამოწვეული იყვნენ ჩვენს წინააღმდეგ. ცოლშვილი კი შინ ეყარათ უპაგრონოთ. ამას გარდა, როგორც ვიცით, ოსმალეთის მთავრობა ამ ჯარს ჯამაგირს არ აძლევდა, აძლევდა მარტო ხორაგს, რომელსაც დარბევით იღებდა იმავე ხალხისაგან, ართმევდა პურს, ერბოს, ბეთს და ხილს. ამისთანა პარცვა-გლეჯისაგან და უმუშევრობისაგან ბათუმი, მისი მაზრის ხალხი და აჭარა-ლივანასი დაღარიბდა; დღეს ისინი სულ შიშველ-ტიტველნი და მშიერ-მწყურვალნი ყრიან.

აბა ამისთანა მდგომარეობაში ჩავარდნილს ხალხს ეინლა მოსთხოვს რაიმე გადასახადს, ის კი არა, პირიქით ხელის გასამართავი და შესაწვეველნი იყვნენ ისინი.

ამას გარდა დღეს თითქმის ყველა ბეგები, რომელნიც წინათ ოსმალეთის სამსახურში იყვნენ და ჯამაგირი ეძლეოდათ, უსამსახუროთ, ულუკმა-პუროდ დარჩნენ.

დღეს მთელი აჭარა-ბათუმის მილიცია, რომელიც ოსმალეთის მთავრობის დროს გამოწვეული იყვნენ და სახელმწიფოს ხარჯით რჩებოდნენ, დათხოვნილია, იმათ მაგიერად ჩვენი ჯარები შედიან იმათ ქვეყანაში, აჭარლები კი უსაქმოდ რჩებიან და შინ მჭადი არ აქვთ საჭმელი.

მურღულელები რომ გურულის მილიციას დაინახავენ თავის სოფლებში, რასაკვირველია, იცხოდნენ: ჩვენ რა დაე-
აშავეთ, უცხო კაცების ჯარის დაყენებასა ჩვენს ქვეყანაში,
ჩვენი ჯარი იქნეს დაყენებული, ის არა სჯობია! ჯამაგირსაც
ჩვენ ავიღებთ და ჩვენს ქვეყანასაც უფრო დავიცავთო,
ხელმწიფის ერთგულიც უფრო ვიქნებითო! რა გასაკვირია,
რომ ამის შემდეგ ისინი არეულობას მოახდენდნენ და წინა-
აღმდეგი გახდებოდნენ გურული მილიციის შემოსვლაზე.

დღეს აჭარა-ბათუმის მაზრის ხალხი ძალიან გაჭირვე-
ბულს მდგომარეობაშია; ამის გარდა რადგან ბეგები და
იმათი მილიცია სამსახურს გარეშე დარჩენილი არიან, არ
იციან, რა ქნან, თავი რით ირჩინონ. ამისთანა გარემოებაში,
რა გასაკვირველია, რომ ყველა გაიძეერა კაცს და ცრუ მოქ-
ალაქეს ხალხზე გავლენა ექნეს?

მაშასადამე, ბათუმის მაზრის არეულობის მიზეზი გარდა
გემოდ ჩვენებულის მიზეზებისა, ლუკმა-პურის უქონლობა და
ქეყნის გაჭირვებული მდგომარეობაა.

თუ გინდათ არეულობა დაცხრეს ბათუმის მაზრაში და
აჭარა-ლივანში, ჯერ გადასახადს ნუ გამოართმევთ,
გამოიყვანეთ ის მილიცია, რომელიც ოსმალეთის მთავრობის
ხელში იყო და იმსახურეთ, მიეცით უწინდელ მოსამსახურე
ბეგებს თავისი შესაფერი თანამდებობები, — და მაშინ
ნახავთ, რომ აჭარა-ლივანათი და ბათუმის ხალხი პირველი
ერთგული ხალხი გახდება ჩვენი მთავრობისა.

ბ. წერეთელი
„დროება“, № 24, 1879,
31 იანვარი.

მიუშველეთ ქობულეთლებს

რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
 ეგ ვერაფერი სიყვარულია;
 სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს,
 ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.

ილ. ჭავჭავაძე

20 იანვარს 1878 წელს ხუცუბნის კონწოლზე ნამქარს გაჰქონდა საშიში ღმუილი. ის მესამე ღლე იყო იმ დაუვიწყარ შეტაკების შემდეგ, როცა ჩვენი ჯარის თავზე დატრიალდა საშინელი უბედურების წისქვილი, რომელმაც დაღრღნა, დალეწა ამდენი ძალები ჩვენი გმირებისა. ის ღლე იყო საშიში, აურაცხელს ჩვენზე მომართულს უხილავ თოფებს გაჰქონდათ გაუწყნარებელი კახა-კუხი, მარბაზნებს გრიალი და ამ ღვთის რისხვა თოფ-მარბაზანის ცემას წამ გამოშვებით დაერთვებოდა ხოლმე ისეთი მოულოდნელი ხმა, რომ იტყოდი, აი ახლა ჩამოინგრა ცა, აი, ახლა გასკდა მიწა და დაინთქაო ყოველივე! ეს იყო ხოლმე, როცა მღვიდან ჩაჩქან-მოსილი გემი გამოაგდებდა თავის შვიდფუთიანს ყუმბარას. ის დაეცემოდა ხუცუბნის გარემოს და ხუცუბნის მთას ყოველს ყუმბარის დაცემაზე შიშგინი გაჰქონდა.

* * *

დაიღვარა სისხლი. შეილება წითლად კინტრიშის მდინარე. კაცის ლეშები განუწყვეტელ ბაწრად მიტივტივებდნენ მოდილებულს წყალზე.

ესენი იყვნენ სულ ჩვენები. გულში ვუფიქრობდი: „ცოდვამ გვიწია, ცოდვამ!..“

ჩვენი დაკარგული ძმების ცოდვამ
ქობულეთელების ცოდვამ!“

მართლაც, იმ დროს კინტრიშის გამოღმა ქვეყანა ოცდარვა ვერსი სიგანე და ოცდაათი ვერსი სიგრძე ქობულეთის მხარე გაეერანებული იყო, ხელის-გულსავეით მოწმენდილი; მდიდარ სოფლების მაგიერათ აქა-იქ გიტველა ბუხრის მილებს ამოეყოთ თავი, თითქოს სამოგადო აოხრების მღუმარე მოწმედ ყოფილიყვნენ დარჩენილი...

ხალხი სადღაც გადახვეწილიყო; მხოლოდ აქა-იქ შიმშილით მოწაწკანე ძაღლები ნაოხარს სოფლებში დაწოლილიყვნენ, თითქოს იქ სურდათ სამარის გათხრა ძველი პატრონებისათვის ერთგულების დასამტკიცებლად; ისინი იქ უყარაულებდნენ გადახვეწილს, ან ჩვენი ტყვიით სადმე გაცივებულს მეპატრონის ნაოხარს.

* * *

19 იანვარს, დილით, სუსხი იყო ისეთი, რომ სანამ ნახველი მიწას დაეცემოდა, კიდევ იყინებოდა, მე ვიყავი ჩემის ორი მეგობრით ერთს ბამბის კარავში შეკრუნჩხული. ყოველს წამს გვეშინოდა კარავი თავს არ დაგენგრეოდა. გახურებულმა მაყალმა რომ ველარ გაგვიწყორა, მუშტებში ვბერავდით, იქნება გალუგული თითები ცხელი პაერით გაგვეთბო.

ამ დროს უეცრად ტყვიასავეით შემოვარდა ერთი თორმეტი წლის ბავშვი თავ-შიშველა, ფეხ-გიტველა ათასნაირი აძონძილი შალის ფარაგინებით წელს ზემოთ შებუღ-

რული, შეილდივით წელში მოხრილი ცერებზე ხტოდა, ვერცხლის წყალსავით თრთოდა. ორივე ხელები პირში ჩაეწყო, თანაც ყვიროდა;

– ძიავე, მშია, მაჭამეთ რამე!..

– ვინ ხარ, ბიჭო, საიდან ხარ, ვისი ხარ? ამ დროს ამ მღვთმარეობაში საიდან გაჩნდი?

– ძიავე, ს-ის სოფლიდან ვარ. ხუცუბანს ქვემოთ არის, მუხაესტატეს აქეთ.

– ჩვენ მაგისტანა სოფელი არ გვინახავს, უთხარით. ჩვენ ვევირობდით ბავშვის აქ მოსვლით.

– ახლა არაფერია იქ. დაწვეს, ძიავე, თქვენი ჯარები რომ მოვიდა, იმათ დაწვეს. მე აუად ვიყავი, ჩემი დედმამა გადავარდნენ ბათუმისაკენ; მთელი. სოფელი ზოგი გაწყდა, ზოგი გვიქცა, მე ველარ ვიარე, გზაზე დამაგდეს, აჭყვის წყალს იქით, მოვიდა თქვენი ასკერი (ჯარისკაცი), წამიყვანა და ერთ მეღუქნეს მიმბარა. ქე ვჭამდი შავ პურს, ძაღლებს წაუტეხდნენ და მეც წამიტეხდნენ... ახლა მეღუქნეებმაც ქე გამომაგლო, აქანა მომასწავლა, თქვენთან: წადი იქანა, მიდი, ბატონები არიან, იგენი ფარას მოგცემენო. ახლა ქე მოვედი თქვენთან, ძიავე! მცევა, პური მშია, პური!

* * *

25 იანვარს მგემ გამოაჭყეიტა. ხუცუბანზე ყოფნა შეუძლებელიდა იყო. გზები წახდა, ხორაგი აღარსად იყო; საითმედგან მოტანაც შეუძლებელი იყო.

ჯარი ადამის წლის სუხრით რჩებოდა. ერთს ნაჭერს პურში ექვს შაურს ეაძლევედით; ვისაც შიმშილით სიკედილი არ უნდოდა, ის უნდა გაქცეულიყო ამ უბედურ ადგილიდან,

საცა მიწა კაცის სისხლით, იყო შეღებული და ორმოები — კაცის ლეშებით საესე.

დღე გეშოდა და ღამე — ტურების და ტურაფოცხეერების კივილ-ყივილი მოსვენებას არ ვეაძლევდა; ეტყობოდა კაცის ლეშზე დაჩეუული იყვნენ და მუდამ ღამე ღამის კქონდათ გამართული... ბედმა ხელი მომიმართა, ერთი ჯაგლაგი ცხენი ვიშოვე და თ. გრიგოლ გურიელს გამოვეყევი.

ჩამოვიეაკეთ თუ არა ხუცუბანი, თოვლიან მინდორზე გამოვედით. ერთ გრიამელს რგელათ შემოხაზულს ალაგას მოეხედით, შუაგულ სახლის ნანგრევი დაგვიხდა. სახლი იყო ორ ეტაჟიანი; — ქეიტიკირის პალატი, ზევით ფიცრული; ცალი კუთხე სახურაჟიანა ჩამონგრეული კქონდა.

აქ იდგა ომის წინათ ორასი ამისთანა ორ ეტაჟიანი სახლი, — თქვა გრიგოლ გურიელმა. ამ სოფელში ითვლებოდა სამასი კომლი სულ შეძლებული კაცებით. იმ დროს კი იმ დანგრეულ სახლების მეტი არა იყო რა.

* * *

შევედით შიგ, დაგვიხდა ერთი დერეფანი, სამი ოთახი, ორი საქალეხო, ერთი საკუჭნაო; დარბაზი კი ნახევარი აღარ იყო. დერეფანში იყო აკვანი წაქეუული, ცალგვერდ მომგერეული, იქვე ეყარა კოჭებამდის შინაური ჭურჭლების ნამგერეეები, სკრების ყელი, ჩაფის, თუნგულის ყურები, დალეწილი ქაშანაურები, ბალიშის ღინღი, ჭილობების ნაფლეთები, ქეჩების ნაგლეჯები და მრავალი სხვა შინაური სამკაულები. აკვანი იმნაირად იყო წაქეუული, თითქოს საჩქარო ფაცაფუცში საქალეხო ოთახიდან გამოგანა ვეღარ მოესწროთ,

დერეფანში დაეგვირიათ, ბავშვი აკენილან ამოეკლიჯათ, არ-
გაშნები კი თვით იქვე ეყარა.

ვარეთ გამოეღიოთ, ტრიაშელს ბაკეში (ეზოში), თითქოს
განზრახ წრე იყო შემოვლებული ნათოვლაეში, დაეაკერ-
დით, გამოჩნდა სულ ახალი მოჩეხილი ბროწეულის ხეების
ნაყარი, როგორც ეცყობოდა, ეზოს (ბაკეს) გარეშე ბროწე-
ულის ღობე ჰქონდა შემოვლებული, იმათ გოგები ერთმანე-
თში ჰქონდათ დაბანდული ისე, რომ ცოცხალი ხეების ღობე
ქვიტიკირის ყორეშე უფრო იცაედა ეზოს. იმის ახალ
ნახეთქებში და გაბადულ გოგებში ჩიტიც ვერ გაძერებოდა.

– აბა, ეს რაღა საცოდავობა მომხდარა, თქვა გრ. გუ-
რიელმა. ბროწეული ხომ არც შეშათ, არც ხეებათ არ გამო-
დგებოდა, ეს მშენიერი შემოღობილი მაინც ძირში რაღ
დაუჭრიათ, ვინ ყოფილა ასეთი უღეთო; განა კი ტყე ცოტა
იყო, რომ ხეხილები, კაკალი, სხალი, ვაშლი, მეთისხილი,
ქლიაევი და ვაზი სულ არ დაეჭრათ? განა კიდევ გაგონილა
სადმე ამისთანა გაოხრება?

იქვე ახლოს ორი დამუგუმლებული საძირკველის ნამწვი
ენახეთ და ჩაშაეეებული, ჩანაცრებული სიმინდის კაკლები,
ეცყობოდა სახლკარი ჭირნახულიანად გადაეწვათ.

* * *

ამგვარად ჩაბარდა ჩვენს ჯარს მთელი ქობულეთის მა-
ზრა მოტლეკილი, ტყე მოჭრილი, სოფლები გადამწვარი,
ქვეყანა სულ ერთიანად დანგრეული.

ამ ქვეყნის ხალხი კი, ხუთი ათას სახლობამდის ომის
დროს კლდეღრეებში და უცხო ქვეყნებში შეხიზნული,
დაბრუნდა თავიანთ ქვეყანაში.

იქ რა დაუხვლათ? — ცა ქელათ, დელაძიწა ქალაპნათ! მათათვის არც სახლი, არც კარი, არც კური, არც ლეინო, არც ტანი, არც ფეხი. უბელერმა ოპიანობამ მიაყენა მათ ეს მღვრთმარეობა.

* * *

ქართველებო, აბა ახლა თქვენ იცით. ბოლოს ბედმა მოგვხელა, ჩვენი დიდი ხნის დაკარგული ძმები ისე ცოცხლები დაგვიბრუნდნენ; მაგრამ დაგვიბრუნდნენ მშვიდგიტელები.

დღეს ისინი არიან დედაშობილათ; გაჭირვებულნი, უსახლკარო, აწ თქვენზეა დამოკიდებული თქვენივე ზურგის გამაგრება, უჩვენეთ მხურვალე თანაგრძნობა, გაუმართეთ ხელი ამ გარემოებით შევიწროებულს ახალ შეძენილს მოძმეებს, დაანახეთ გულშემატკიერობა, მხურვალე ნათესაური გული, რომ იმათს გამწარებულს გადმოლიალებულს მკერდში ისე დაინთოს დიდი ხნის ჩამქრალი თქვენდამი სიყვარულის ლამპარი; გაუწიეთ ისეთი მეზობლობა, რომ აფიქრებინოთ! სხვასთან ლხინს, ისე თქვენთან ჭირი გვირჩევენიაო.

ნამეტურ ამეამად არის ეს საჭირო, როგორც თქვენთვის, ისე ამათთვის.

უხეი ახსნილსა დააბამს;
იგი თვით ების, ვინ ების;
უხეად გასცემდით, ზღვათაცაც,
შესდის და გაედინების.

„დროება“, №32, 1879,
13 თებერვალი.

ოზურგეთი, 4 თებერვალი

ეს არის, ამ წამს მე გაეციანი ერთი სომეხი, რომელიც ბათუმიდან მოვიდა. ახლანდელ ომის გამოცხადების დროს, ის დარჩენილიყო ბათუმში და ველარ გამოსულიყო აქამდის. ის დაბრუნდა სხვათაშორის იმ დროს, როცა ოსმალები ციხისძირის სიმაღლეს და კეირიკეს ამაგრებდნენ, იმათ გამოეჩინათ რამდენიმე ძველი საფლავეები და ეკეტრები სულ თლილი ქვით ანაგები. ამ საფლავეებში ზოგიერთი გვამები ძალიან კარგად შენახულიყვნენ, თუმცა კი ეტყობოდა, რომ სულ უძველესი დროისანი უნდა ყოფილიყვნენ.

ამ საფლავეებში კაცის გვამებთან ენახათ ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, ოჯახის ჭურჭლები, მშვენიერად მოჭრილი მანეთები, მედლები და სხვა.

იმ საფლავეებს შორის ერთი მეტად ჩინებული და მდიდარი ანაგები ყოფილიყო, რომლის კედლები და სახურავეი ერთიანი თეთრი მარმარილოს ქვებით ყოფილიყო ანაგები, ზედ წარწერილობაც სახურავეის ფინაქალზე ქართულად ყოფილიყო. ოსმალის მუშებს სდომებოდათ საფლავეისათვის თავი აეხადნათ, მაგრამ ისე მაგრად დაკირულიყო საფლავეზე მარმარილოს სახურავეი, რომ ვერას ღონისძიებით ვერ აეხადათ. ბოლოს დაჰკრეს ზედწარწერილს მარმარილოს ქვას წერაქვი და დაამსხვრიეს. საფლავეში იღვა თითქმის გაქეავეებული ლამაზის სახის (?) ქალი, თურმე შხეართი და ხელის წერილი თითები ჰქონდა, ყურებში ეყარა მსხვილი დიდი ოქროს საყურეები: ალმასებით შემკული, თითზე ეცვა დიდი ოქროს ბეჭედი და შიგ უჯდა მომრდილი ალმაზის თე-

ალი. იქ დამსწრეს ოსმალს მინბაშებს სამოც ლირათ დაეყასებინათ მარგო ბეჭელი. უხვთ ეწყო მრავალი ოქროს და ვერცხლის ნიეთები და ორი მშეენიერი მოყვანილი და ლამაზი ნაკვეთები ვერცხლის სურისა.

იმ ღროს ციხისძირის ჯარებს წინამძღოლობდა ხასან-უაშა. ეს ნიეთები მინბაშებმა და ნიზამებმა გაანაწილეს, მხედართმთავრისთვის თურმე არც კი შეუგყობინებიათ. ძველი საფლავები კი მიანგრ-მოანგრიეს, ძეირფასი ნიეთები დაიგაცეს, კაცის ძელები და სხვა ნაშთები გადაყარ-გადმოყარეს.

*გამ. „ღროება“, 1879,
№ 33, 15 თებერვალი.*



გაზეთ „კვალის“ 1900 წლის მესამე ნომერში, გიორგი წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაიბეჭდა ცნობილი პუბლიცისტის ნ. ჟორდანიას წერილი, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

დაუვიწყარო გიორგი!

დიდიხანი არ არის მას შემდეგ, რაც გულის კენესით მითხარი, მალე მოვიხლება, ჩემო ნოე, ჩემი ნეკროლოგის დაწერაო. და აი ეს შენი წინათ გრძნობა ასრულდა, უღმობელმა კანონმა ბუნებისამ თავისი გაიტანა და მეც ხელთ მიჭირავს კალამი შენთან კიდევ ერთხელ გამოსალაპარაკებლათ და სამუდამოთ

გამოსათხოვებლათ. მარა, რა უნდა გითხრა მე, ჩემო გიორგი? როგორ უნდა გამცნო მე ის, რაც შენთვის არასოდეს არ მიცნობებია? როგორ უნდა გავაცნო შენი ვინაობა სხვებს, რომელთათვისაც მე ეს არასოდეს არ მიცნობებია? ნუ თუ მეც ის უნდა გითხრა, რასაც ყველა გეუბნება? ნუ თუ მეც ის უნდა ჩამოვთვალო, რასაც ყველა ხედავს? ნუ თუ ის უნდა ვიცნო, რაც შენი დაუძინებელი მტრებიც კი იძულებულია იცნონ? არა, მე არც ერთ ამას არ ვიზამ, არც ერთ ამაში არ გამოიხატება ის, რის გამოხატეაც მე მინდა. და განა შენში ვაფასებდი იმას, რასაც თითოეული აფასებს? განა შენთან კავშირი და მეგობრობა იმიტომ მქონდა, რომ შენ იყავი დამაარსებელი ქართული პრესის, შემქმნელი ახალი ბელეტრისტიკის და სხვა ამისთანების? არა, სრულიადაც არა. ვერც ერთი ეს ვერ მოინადირებს ადამიანის გულს. გულის მონადირება შეუძლია მხოლოდ გულს და აი სწორეთ შენში ვპოვე მე ამნაირი გული. ამ საერთო სასოწარკვეთილებაში, შენში ვხედავდი მე სიმბნევეს და ძლიერებას! ამ საყოველთაო მოხუცებაში, შენში ვხედავდი მე ახალგაზრდულ ოცნებას და გატაცებას! ორმოცდა თვრამეტი წელი არ გამძიმებდა იმდენათაც კი, რამდენათაც ბევრს, ძალიან ბევრს ოციოცდაროი წელი ამძიმებს. და მერე ყველამ იცის ეს? და თუ ყველამ არა, რამდენიმემ, ოცმა, ათმა მაინც? არა მგონია, ხოლო ისე, როგორც მე, არც ერთმა. და აი, სწორეთ ეს შენი ადამიანური ბუნება იპყრობს სრულ ჩემ ყურადღებას და მსურს აქითკენ მივაპყრო სხვებსაც...

ჩემო მკითხველო!

გიორგი წერეთელი – ეს იყო განხორციელებული ენერგია. ის, 1866 წ. „ღროების“ პირველსავე ნომერში, ჯერ კიდევ ოცდაროი წლის ახალგაზრდა, წერდა: „იცი მკითხველო, რაში მოვიპოვე მე ჩემი სიჭაბუკე? – გლეხების განთავისუფლებაში.

დიახ, იმ დროიდან, როდესაც ჩვენ დაჩაგრულ ძმებს მიეცათ დიდი ხნიდან დაკარგული სიძარტლე, იმ დღიდან წარმოდინდა ჩემი ახალი წყარო ჭაბუკობისა და შენიც უფრო ნათელი, ღონიერი და უფრო სამართლიანი წყარო ცხოვრებისა“ მას შემდეგ განვლო 35 წელმა, გიორგი მოხუცობაში შევიდა, მარა ეს სიჭაბუკე, ეს აღფრთოვანება ბოლომდე შერჩა. მთელი ეს ხანა იყო მისთვის ხანა გამუდმებული ბრძოლისა, ის ებრძოდა საზოგადო უსამართლობას, ებრძოდა უსამართლო საზოგადოებას და აი ამ ბრძოლით მივიდა საფლავის კარებამდე. მის თანამებრძოლთა დიდმა უმრავლესობამ კაიხანი დაყარა იარაღი, კაი ხანია მოიდრიკეს მუხლი ძლიერის წინაშე, კაი ხანია გუნდრუკს უკმევენ იმათ, რომელთაც წინეთ ასე ებრძოდენ. ამათ მხოლოდ გიორგი წერეთელი გამოაქლდა, ამ უკუქცევაში მხოლოთ გიორგი დარჩა თავის ალაგს და კიდევ უფრო შეიარაღებული განაგრძო თავისი გზა. და აი, ამ გზაზე დაასრულა მან თავისი სიცოცხლე.

დიახ, გიორგი წერეთელი იყო მუდამ მხნე, მუდამ მზათ საბრძოლველათ და თავის დასადებათ. ამით აიხსნება მეორე მისი ძირითადი თვისება – ის იყო მეტიმეტი გაბედული და პირდაპირი. რაც უნდა ყოფილიყო, თუ კი დაინახავდა მის სარგებლობას, უთუოდ ხელს მოკიდებდა და არც ადვილათ მოეშვებოდა. მან არ იცოდა რა არის დაბრკოლება. ყველა რომ მის წინააღმდეგ ამხედრებულიყო, ის ამით ოდნავაც არ შედრკებოდა, დარწმუნებული თავის საქმეში, ის მაინც მიდიოდა ბოლომდე. მეორე მხრით, რა გარემოებაშიც უნდა ყოფილიყავი, ის თავის აზრს პირდაპირ, მოუფერებლივ, გეტყოდა. ლაქუცობა, თავზე ხელის მოსმა და ამით კაცის მოყიდვა მისთვის არ დაწერილა. დიპლომატობა და პოლიტიკობა მისთვის არ არსებობდა. გეწყინებოდა თუ გესიამოვნებოდა – ეს მისთვის სულ ერთი იყო. მან იცოდა მხოლოთ,

რომ მართალს ამბობდა და ამის დამალვა არ ეხერხებოდა.

ღიახ, გიორგი წერეთელი პირში მთქმელი იყო. აქედან წარმოდგება მისი მესამე თვისება – გულწრფელობა. მის მოქმედებას თუ მოსაზრებას არავითარი სარჩული, წინაღ-ანზრახული ანგარიში არ ჰქონდა. მას ეს ზიანს მოუტანდა თუ სარგებლობას – არ ანგარიშობდა. პირადი სარგებლობით ის საზოგადო მოღვაწეობაში არ ხელმძღვანელობდა. და როცა მას დიდი თანამდებობა შეაძლიეს, ოღონდ კი საზოგადო მოღვაწეობას თავი დაანებო, მან ეს შეურაცხყოფათ მიიღო და კიდევ უფრო მეტი სიყვარულით მოეჭიდა არჩეულ ასპარეზს. რანაირი იყო ეს ასპარეზი, იმან ნათლათ დაახსნიათა 1883 წ. სერგეი მესხის დასაფლავებაზე. აი რა თქვა გიორგიმ თავის სიტყვაში: „ვერც ერთი თქვენგანი იმ საშინელ ჯაფას და თავგანაწირულებით ბრძოლას ვერ წარმოადგენს, რაც მე და ჩემ ამხანაგებს გვინახავს და გამოგვიცდია მესხთან შრომაში. კვირის კვირამდის, თვისთვეობამდის, დღე და ღამ უძილობა, მუდამ რკინის მტკერში (სტამბაში) ყოფნა და მით სუნთქვა, იმ მძიმე ჰაერით ფილტვების ღებობა“ („დროება“, №145. 83 წ.) აი რა ასპარეზს ებლაუჭებოდა ორივე ხელებით და ეს არა მარტო მაშინ, არამედ მთელ თავის სიცოცხლეში, სიკვდილის კარებამდე.

ღიახ, გიორგი წერეთელი გულწრფელი მოღვაწე იყო. აქედან მომდინარეობს მისი მეოთხე ძირითადი თვისება – უანგარობა. ის რო ფულის, ანგარების მოყვარული ყოფილიყო ამდენ ხანს ყველა ამას შეიძენდა და უკანასკნელ წლებს განცხრომაში გაატარებდა, სწორეთ ისე, როგორც მისმა ამხანაგებმა შეიძინეს და განცხრომაში იმყოფებიან. მაგრამ, გიორგი სწორეთ იმით განირჩევა იმათგან, რომ მან უარჰყო ეს გზა, მან არ მოინდომა თფილი ადგილისთვის თავის დამდაბლება და სხვების წინაშე მათხოვრობა. ის მთელ თავის სიცოცხლეში მხოლოთ ერთხელ

შევიდა სამსახურში და ისიც ჩქარა მიატოვა... მისი ბუნება ვერ ურიგდებოდა ქვეყნის უკულმართობას და ამიტომ მუდამ გაჭირვებაში და სიღარიბეში იყო.

ღიახ, გიორგი წერეთელი უანგარო კაცი იყო. აქედან წარმოდგება მისი მეხუთე ძირითადი თვისება – სიუხვე და გულკეთილობა. მას თუ რამე ჰქონდა, სხვისთვის არ ზოგავდა, გაჭირვებაში გამოცდილი გაჭირვებულთ ხელს უწვდიდა. საკმარისია მოვიხსენიოთ ის, რომ ყოველი მხრიდან ღვეწული და გასაწყლებული ეგნატე ნინოშვილი მან შეიფარა, ავთმყოფობის დროს მან გაუწია პატრონობა, დამარხვის დროს ძველი თაობიდან მხოლოდ ის წავიდა მის პატივის საცემლათ და ბოლოს მან წარმოთქვა საისტორიო სიტყვა...

ერთი სიტყვით, მხნეობა, პირდაპირობა, გულწრფელობა, უანგარობა და გულკეთილობა – აი რა მალალი თვისებებით იყო დაჯიღობებული გიორგი წერეთელი...

აი ვინ იყო ის, ჩვენო მკითხველო..

აი ვინ იყავი შენ, ძვირფასო გიორგი! მაგრამ რადგანაც ამ ჩვენ გათახსირებულ დროში არც ერთ ამ თვისებას ფასი აღარ აქვს, ამიტომ აღარც შენ დაგდევს ფასი, აღარც შენ მოგცეს მოსვენება. არც კარგათ ყოფნობაში და არც ავთ ყოფნობაში. და აი, როცა შენ სამუდამოთ მოისვენე, სამუდამოთ დადუმდი, მოისვენეს და დადუმდენ ისინიც და ახლა შენი ცხედრის წინაშე ყველა ერთად თავმოყრილი სინანულს ეძლევიან. ამოიხედე ერთი ზევით და ამათ შენებრ ნელი ხმით უთხარი: მომიტეეებია!...

ნოე კორღანია

გიორგი წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით უამრავი დეპეშა გაიგზავნა „კვალისა“ და „ჯეჯილის“ რედაქციებში განსვენებულის მეუღლის ანასტასია წერეთლის სახელზე.

მკითხველს გავაცნობთ ბათუმიდან გამოგზავნილი რამდენიმე დეპეშის ტექსტს:

ბათომი, „კვალის“ რედაქციას

„წმინდა მოვალეობად ვთვლი, უღრმესი მადლობა შევწირო ცხედარს მიცვალებულისას, რომელსაც ამოდენი უმოღვაწია ჩენი საზოგადოებრივი თვითცნობიერების გასავეითარებლად“.

დავით კლდიაშვილი.

ბათომი „კვალის“ რედაქციას.

„ბათუმის ქართველი საზოგადოება და კერძოდ მე უღრმეს თანაგრძნობასა და მწუხარებას გიცხადებთ დაუვიწყარი გიორგის, სამშობლო ლიტერატურისა და პროგრესის ნიჭიერი და დაუღალავი მუშაკის, გარდაცვალების გამო“.

ვრიგოლ ვოლსკი

ბათუმი. ან. წერეთლისას.

„ბათუმის ქართველი საზოგადოება პანაშვილს უხდის განსვენებულ მწერალ გ. წერეთელს და თავის მწუხარებას უერთებს

მთელი ქართველობის გლოვას ნიჭიერი საზოგადო მოღვაწის
დაკარგვის გამო“.

ი. ბერძენიშვილი.

ბათომი, „კვალის“ რედაქციას.

„ცხარე ცრემლებით ვტირი ძვირფას გიორგის უღროდ
დაკარგვას“.

თეოდორე კიკვაძე.

„კვალის“ 1900 წლის მეოთხე ნომერში გამოქვეყნდა ცნობა:
„ბათომიდან: კვირას 16 ამ თვეს აქაურ ქართულ საზოგ-
ადოების დასწრებით, გადახდილ იქნა პანაშვიდი განხვეწებული
გ. ე. წერეთლისა სულის მოსახსენიებლად, პანაშვიდის შემდეგ
მამა ს. თოთიბაძემ საზოგადოებას მოკლედ გააცნო გ. ე. წერე-
თლის მოღვაწეობა. აქაური ქართველი მუშები, რომელიც გა-
ცნობილი იყვნენ გ. ე. წერეთლის შრომა-მოღვაწეობაზე, გულდა-
თუთქული არიან მისი დაკარგვით“.

გ. ტუსკია.

როგორც აქედან ჩანს, გიორგი წერეთელს ბათუმში დიდ
პატივს მიაგებდნენ და დიდად უყვარდათ იგი. სიყვარული და
პატივისცემა გიორგი წერეთლისადმი მეორე საზოგადო მოღვ-
აწემ და ბათუმელთა დიდმა მოამაგემ — გრიგოლ ვოლსკიმ
გამოხატა თავის სიტყვაში, რომლის ნაწყვეტსაც აქვე
შემოგთავაზებთ:

...„შენ ძვირფასო, მოღვაწე იყავი მთელი ჩვენი სამშობლო ქვეყნისა, შენი ღვაწლი სხვადასხვა ასპარეზზე აურაცხელი და მრავალ მნიშვნელოვანია. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი სიკეთე და ღვაწლი მიგიძღვის ჩვენი სამშობლოს იმ მხარეში, სადაც მე ვარ წარგზავნილი. შენ იყავი კოლუმბი დასავლეთ საქართველოსა. როგორც შეწყნარდა რუსს-ოსმალოს უკანასკნელი ომიანობა, 1877 და 1878 წ. წ. შენ მაშინვე იქ გაჩნდი და გიორგი გურიელთან და გიორგი ყაზბეგთან ერთად რუსეთისაგან ახლად დაპყრობილ, ჩვენგან დიდი ხნით ჩამოშორებულ თანამოძმეებს, აჭარა-ქობულეთელებს დაუარე, დაამშვიდე და გულით შეგვიერთე ჩვენ, მათ თანამოძმეს. ჯერ მარტოკა ამ ღვაწლისათვის არ დაგივიწყებს შთამომავლობა“.

გიორგი წერეთლის დასაფლავებისას გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა თექვსმეტმა კაცმა, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებმა – მწერალმა, პოეტმა, საზოგადო მოღვაწემ, მუშამ, გლეხმა, ყურნალისტმა და ასე შემდეგ.

მკითხველს ვთავაზობთ აკაკის მიერ წარმოთქმულ სიტყვას:

ძვირფასო, ამხანაგო, თან შეზდილო და თანვე შებერებულო გიორგი! ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში მე და შენი ნაცნობობის კავშირი არ გაწყვეტილა და იმ თავიდან ამ ბოლომდე ერთმანეთთან საუბარი არ დაგვეღვია. მაგრამ ჩანს, რომ ჯერ კიდევ არ მოგყვირებია. რომ ახლაც კიდევ – კუბოს კარებთან, მინდა გულ-ხელ დაკრეფილსაც გამოგელაპარაკო! რომ გზედავ სამარის პირათ მოხევენებულს, გული მიღონდება, თვალზე ცრემლი მომდგომია და ტირილს კი ვერ გიბედავ და ვერ გიბედავ იმიტომ, რომ შენისთანა განხევენებულს ტირილი არ შეშვენისთ.

ყველასათვის აუცილებელ სიკვდილსაც აქვს თავისი შესაფერი სიტკბილ-სიმწარე! – „სიკვდილი მართალთა განსვენებააო“ – ბრძანებს საღრმთო წერილი და ეს ჭეშმარიტება სწორეთ შენ-ისტანაებზეა გამოჭრილი: მთელი შენი სიცოცხლე ტანჯულ-შრომით გაატარე საზოგადო სამსახურში მოუსვენრათ და ახლა მხოლოთ გელირსა განსვენება. უკანასკნელ წამს შენი ცხოვრებისას, უეჭველია, ცოტაც არი გიტკობდა ის სამართლიანი შეგნება, რომ შენი ქვეყნის ვაღი მოხდილი გქონდა, პირნათლათ შეგეძლო წადგომა, ღირს წინაპრებთან და აქაც შენ სამაგიეროთ ტოებდი შეილებს სწორგზაზე დაყენებულებს და ანდერძათაც უგდებდი შენს მაგალითს, თუ როგორი უნდა იყონ საზოგადო მოღვაწეები. აი ამიტომ ვეღარ გიბედავ ტირილს და აღარც შენ ცოლშვილს ვეუბნები სამძიმარს! მივეუსამძიმრებ შენ დაკარგვას მხოლოთ საზოგადოებას, რომელმაც შენი სიკვდილით ბევრი დაჰკარგა!.. ღიახ, განსვენებული, ერთი უკეთეს მოღვაწეთაგანი იყო ამ ჩვენ ღროში. მოვა ღრო როდესაც საზოგადო მოღვაწეებს საკუთარი შეგნებით და არა ხსეების ხმის აყოლით დააფასებენ, და მაშინ გიორგის ნაწერების სიღიადე და სიკეთე გააკვირვებს ყველას. მაგრამ მარტო ნაწერებით ჩვენი შესამოცე წლების მოღვაწეთა დაფასება, ღიდი შეცდომა და უსამართლობა იქნება! მწერლობა მათთვის მხოლოთ ერთი ხსებათა შორისი იარაღი იყო ქვეყნის სასამსახუროთ აღებული! – ისინი ყოველგან და ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდენ, იყვენ დღიურ მუშებათ ჩამდგარი და შავი სამუშაო რამეც არ ეთაკილებოდათ. – ერთი მათგანი იყო განსვენებული გიორგიც, მაგრამ ამ ღირსებას ღღეს ზოგიერთები ცოდვათ ხდებენ და დაცინიან: „ყოველიფერს ეპოტინებოდაო“, ცდებიან. თუ კი ღღესაც კიდევ

აქა იქ გაისმის ხაჩივარი, რომ სამკალი ბეერი გვაქვს და მუშები ცოტა გეყავს, რა უნდა ყოფილიყო ამ ორმოცი წლის წინეთ, როდესაც არაფერი არ ყოფილა მოწვეული, სამკალი არსად ჩანდა, და პირველ სამუშაო ხენა-თესვისათვის უნდა გადადგმულიყო პირველი ნაბიჯი? მესამოცე წლის წრე ძალიან პატარა იყო, ისე კაცმრავალი არ ყოფილა როგორც დღეს; მაშინდელი ერთის საქნარი, სამუშაო, დღეს ასათაც კი შეიძლება განაწილდეს. ნუ დაევიწყოებთ ნურც იმას, რომ იმ მაშინდელ მცირე გუნდიდანაც ბევრმა გადაუხვია და ხულ ხხვა გზას დაადგა, უდროვით რომ გული გაუტყდა. მაგრამ გაფანატიკოებულ გიორგის კი იმ თავიდან ამ ბოლომდე, დედაბოძი თავისის მცნებისა არ შერყევია. - შეიძლება რომ საზოგადოებისდმი მისწრაფების დროს ოდესმე გზას გადაცდენოდეს შეცდომით, ფეხი წამოეკრას და წაეფორხილებიოს, ეს მის პირდაპირობას ვერ დაჩრდილაეს, რადგანაც, ვიმეორებ, თუ კი მართლა ოდესმე გზას გადაცდომია, ეს გადაცდენაც წმინდა განზრახვისა და ხურვილების გამო ყოფილა გამოწვეული და არა საპირადო რამ გამოანგარიშებით. ამისთანა კაცებს განყენებული, კერძო, მხოლოთ საპირადო არა აქეთრა, ყოველ გვარ მათ კერძოსაც სარჩულათ იგივე საზოგადო უძევს; ცოლშვილს მიტომ ეკიდებიან, რომ ქვეყანას თავის სამაგიერო მოღვაწეები გაუზარდონ, შექენას მიტომ ნატრობენ, რომ ქვეყანასვე გამოადგენ და უფრო ხელშეუშლელათ ემსახურონ გაუჭირვებლათ! ამას ბრბო ვერა ხედაეს და ცოდვათ უთვლის მათ იმას, რაც მადლისაგან გამოწვეულია... საზოგადოთ უნდა ვთქვათ, რომ ამ ჩვენ დაკნინებულსა და დაცარულ საუკუნეში ხხვათა შორის ერთი ხენიც შემოგვეპარა: ჩვენ ნამდვილ

მოდგაწებებს ჯიბრში ეუღგავართ, სწორი გზით მიმავალს ჩვენ-
ვე წინ ველობებით, ფეხქვეშ ქვა და ლოდს ეუგორებთ და, თუ
იმათაც უნებურათ ფეხი წამოჰკრეს, ჩვენ მზაკერულ სინარულს
საზღვარი არა აქვს; ყოველგვარ ღირსებას ვაქარწყლებთ და
ქვეყანას ვუთითებთ, რომ აი ფეხი წამოჰკრაო. — ამ ფარისე-
ველების საპასუხით ერთი რამ მაგონდება, თვით განხვეწებული
გიორგის თავ-გადასაელიდან: ერთ კვირა დღეს, გიორგი წერე-
თელი თავის ამხანაგებით ერთათ თამოყრილი თამაშობდენ მამა
მაგისის დიდ ეზოში, დაჰკრეს წირვის ზარები და პატარა გი-
ორგი გაეშურა ეკლესიისაკენ. გზაში ფეხი წამოჰკრა ქვას და
დაეცა, მაგრამ უკანვე არ დაბრუნებულა, წამოდგა ზეზე,
გაიბერტყა ტანისამოსი და წაეიდა მაინც საყდარზე. ნაწირვევს,
რომ დაბრუნდა, ამხანაგებმა სიცილი დააყარეს, რათ
წაიქეციო!.. მაშინ გამოესარჩლა შეილს, გიორგის მამა, ექვთი-
მე წერეთელი და უთხრა სხვებს, „თქვე უგუნურებო, როდესაც
ჩემი გიორგი კარგის გრძნობით გატაცებული წირვაზე
მიეშურებოდა, თქვენ მაშინ აქ თამაშობდით და ნუ თუ მისი
წაქცევა, ისევ წამოდგომა და კეთილი განზრახვის ასრულება
უფრო მოსაწონი არ არი, ვიდრე თქვენი აქ დარჩენა, უბრალო
ბურჭალი და სახედრის გაჩინდრი-გამოჩინდრიკებაო!“ განხვე-
წებულ გიორგისაც შეეძლო, ამავე სიტყვებით ეპასუხნა ზოგიე-
რთებისათვის!.. მეტს აღარას ვიტყვით — საუკუნონთ იყოს
სხენება შენი საყვარელო, ძმაო და მეგობარო!..

გიორგი წერეთელი, მეტად ხვავრიელი და ბარაქიანი შემო-
ქმედი გახლდათ. მისი საინტერესო პუბლიცისტური წერილები
თუ ნარკვევები, მოთხრობები თუ ჩანახატები ხშირად იბეჭ-
დებოდა მაშინდელი ქართული პრესის ფურცლებზე.

მკითხველს ვთავაზობთ გიორგი წერეთლის ნაწერების არასრულ სიას (1880 წლამდე წერილების სია თავად გიორგის შეუდგენია, შემდეგ წლებისა კი – „კვალის“ რედაქციას:

გიორგი წერეთლის ნაწერების სია 1)

„დროება“ 1866 წლისა

- 1) მათუსალას აღსარება, №№ 1, 2.
- 2) დედა-კაცის აზრი დედა-კაცზე. №5.
- 3) საკვირველი მოვლენა №7.
- 4) ქართული თეატრი
კომედია: ცოლის შერთვეინება და ძალათ ექიმი. №№11, 13,
- 5) ახალგაზრდა დედებს და ყმაწვილ ქალებს №25:31, 32, 33, 40, 41.
- 6) პარიჟი ამერიკაში (თარგმანი) №უ 21, 22, 25, 27, 29, 30.
- 7) ბუნების მეცნიერებიდან, №24.
- 8) სახელმწიფო და აღზრდა №26.
- 9) ბუნების მეცნიერება და იმის ღვაწლი ხალხის განათლებისათვის №38;
- 10) მონა დასის ნაამბობი. 4 2)
- 11) ქუთაისიდან (საკრიტიკო) №№ 44, 36, 32.

1) ეს სია (1880 წლამდე) შეუდგენია თვითონ გ. წერეთელს და ვნახეთ მის ქალაქებში. 1880 წ. შემდეგ კი ჩვენი შედგენილია.

2) აქ თვითონ გ. წერეთლის მიერ მიწერილია „ეს შესანიშნავი სტატია“.

დროება 1867 წ.

- 12) ძველი წლის ნაყოფი და ახალ წლის კოკრები №№1, 2.
- 13) მზის დაბნელება №6, ბუნების მეცნიერებიდან: გველი №4.
- 14) მგზავრის წიგნები, ეს თხზულება პირველი და მეორე ნაწილი კრებულში მოქმდნეთ, იქ უფრო სრულად არის.
- 15) ფლიდეთელ მოხუცის ნაამბობი №19.
- 16) პოლიტიკური უფლება დედა-კაცისა №19, 20, 44 (ენერგ. და ცხოვრება), 45.
- 17) თვით მოქმედება (სმაილსი, გადაკეთებული) №21, 22.
- 18) რამდენიმე აზრი ჩვენს ცხოვრებაზე №25.
- 29) ქუთაისიდან №29. სტატია და არა კორესპონდენცია.
- 30) საშუალო აზიაში მოგზაურობა. 2, №31, 32.
- 31) ზოგიერთი ამბავი დავით ბეიბედოვის ცხოვრებიდან №49.

დროება 1868 წლისა

- 32) ორიოდე სიტყვა კომედიაზე ვაი ჭკვისაგან და რუსულს თეატრზე №1.
- 33) კახეთში არეულობა (ნაამბობი დ. ბებენაშვილისა რუსულიდან) №2.
- 34) ბუნების გავლენა კაცზე №4.
- 35) ჩვენი ცხოვრების ქრონიკა. №6.
- 36) უცხო ქვეყნის ამბები №9.
- 37) გარდნერის პროცესი (თარგმანი) №11, 12, 14.
- 38) კლოდ გო №15, 16. 17 ფრანციულით.

- 40) უჩინმაჩინის ქულოსანი და იმის საუბარი მკითხველთან №19, 20.
- 41) უცხო ქვეყნის ამბები. №22.
- 42) ოსმალეთის ქვეშევრდომი საქრისტიანო ქვეყნების ამბავი №23, 27.
- 43) ბენუას საქმის წარმოება. №24, 25, 26.
- 44) ტანსაცმლის უზომოთ ხმარება №27.
- 45) ვლადისლავ მიცკევიჩი და მისი მოქმედება პარიჟში. №30.
- 46) მირგემ იუნგლის ქადაგება, №30.
- 47) რამდენიმე სიტყვა მდაბიო ხალხის აღზრდაზე და განათლებაზე №32.
- 48) ამ დროის ფრანციის მწერალნი და იმათი თხზულებანი №34, 35.
- 49) ერთი თვალის გადავლება № 36, 37.
- 50) თამბაქოს მოქმედება კაცის სხეულზე (შემდეგი იქნება) №37.
- 51) იმის სიძვირე და მოქმედება კარგამყოფობაზე (შემდეგი) №38.
- 52) რამდენიმე სურათი მოთხრობიდან „გერიტია“ №41, 42, 43, 45.
- 53) საპოლიტიკო და საზოგადო მდგომარეობა სერბიისა №43.
- 54) საპრელი მამკალი ქალი №46.
- 55) ბუნების კრიტიკა №48.
- 56) კაცის ხელით მომხდარი ცვლილება ბუნებაში №48.
- 57) სასამართლო და პოლიცია №49, 51.

დროება 1869 წელს.

- 58) უცხო მხარე – ლექსი №16.
- 59) მიმოვლა რუსეთისაკენ №42, პეტერბურდიდან ნიჟნამდი, №48, ვოლგაზე №47, ვოლგაზე და დონზე №49.

60) ორიოდე სიტყვა ბერლინის ცხოველ წალკოტზე №44.

დროება 1870 წელს.

61) ქართველების სტუმრობა №24.

62) გორას მაწონი №10, 11.

63) ერთი თვალის გადავლება კაცის ისტორიულ ცხოვრებაზედ – №17, 22.

დროება 1871 წელს.

64) კუხელის სიმღერა. №21.

65) ორიოდე ეკალი ჩვენს ახალგაზრდა მწერლობაში №24.

66) საჭიროა კავკასიაში უნივერსიტეტი თუარა №26.

67) ფუტკრის აღსარება №29.

68) ფუტკარმა უთხრა კრაზანას №33.

69) რა უნდა გამოეტანა მსმენელს უფ. ი. თარხნიშვილის ლექციებიდან №45.

დროება 1873 წელს.

70) ლიტერატურული გამოლაპარაკება. №1.

71) ვნახე და მეწყინა – №8.

72) იმერეთის სურათები №25.

73) ზემოთის სამართალი № 42, 40.

74) ერთი თვალის გადავლება №39.

75) ერთი უგმილი №36.

76) შიკრიკი №399., შეცვლილან №46 მაგიერათ 399 არის.

ღროება 1879 წელს.

77) აღმოსავლეთის პოლიტიკის აზრი №6.

78) სოსიკო ორბელიანის სიკვდილის გამო №10.

79) ჩვენდა ჩენი „ღროება“ №13, 14, 15, 16.

80) არეულობის მიზეზი აჭარა-ლივანაში №24.

81) გადასახლება №27, 34.

82) მიეშველეთ ქობულეთლებს №32.

83) უფ. ვერსჩაგინას აზრი ჯიქეთ აბხაზეთის დასახლებაზედ №36, ჯიქეთ აბხაზეთის დასახლება №47.

84) უცნაური ნიშნები, №38.

85) საწყალი შირ-ალი ავღანის ემირი, №41.

86) ბოლგარია (განთავისუფლებული ერი) №42.

87) ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა №45.

88) კიდევ ერთი მსხვერპლი №48.

89) ბესარიონ ლოლობერიძის სიკვდილზედ №51.

90) კავკასია-ავღანი №70, 71, 72, 74, 75.

91) ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი №80.

92) ქუთაისის ბანკის ისტორია, №82.

93) ქუთაისის ბანკზე პოლემიკა №84, 85.

94) პასუხი ქუთაისის საქალაქო ღიმნაზიის ქალებს. №98.

95) ჩვენება №101.

96) პასუხი თ. ნ. დადიანს №102.

97) თ. ნ. დადიანს – №103, 105, 106.

დროება 1880 წელს.

98) მირიან მეფე და წმინდა ნინო №17, 19.

კრებული 1871 წლისა.

99) დოქტორ კრუპოვის თხზულებიდან (გერცენისა)

№1. გ. წერეთელი.

100) ჯიბრი, კომედია – №2.

101) საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ძველის ძველად – №4.

1020 რა გვეჭირვება (უნივერსიტეტზედ) №5.

კრებული 1872 წლისა.

103) საქართველოს ისტორიის სურათები – №7.

104) ფილოლოგიური განხილვა ქართული ენისა №1.

105) ჩვენი ცხოვრების ყვაილი – №8.

106). საქართველოს ისტორიული სურათები – №

107) საამხანაგო ბანკი, იმათი მნიშვნელობა და დაწყობილება
№№8, 9.

108) ბიბლიოგრაფიული შენიშვნები №№ 8, 8, 9.

კრებული 1873 წლისა.

109) ჩვენი ცხოვრების ყვაილი №10, 11, 12.

111) ამ დროის ვითარება №№ 10, 11, 12.

112) ჩვენი ცხოვრების ყვაილი №1.

113) ჩვენი ცხოვრების ყვაილი №2.

114) გვართა ბრძოლა საქართველოში – №2.

115) ამ დროის მოძრაობა – №3.

კრებული 1873 წლისა.

116) ეგმონტ გეტე ნემეცურიდან ნათარგმნი №№5, 6.

117) გვართა ბრძოლა №№ 5, 6.

118) მგზავრის წიგნები I-ლი ნაწილი №№ 5, 6.

119) მგზავრის წიგნები ნაწილი II-რე №№ 5, 6.

120) „ნობათი“ 1883-1884 წ.წ. ლომ-კაცი, ზღაპარი ლექსათ.

გაზეთი „ივერია“ 1886 წელს.

121) „ოცი წლის წინად (ძველი მამასახლისის ნაამბობი).

საჩინო (დალალ აზნაური) მოთხრობა.

„ივერია“ 1887 წ.

122) ედიშერ ქელბაქიანი (მოთხრობა) №93-100.

ნაწილი პირველი.

„ივერია“ 1888 წ.

123) „მამიდა ასმათი“ იწყობა 101 ნომრიდან თავ. – 114.

„ივერია“ 1889 წ.

124) შავი ქვის წარმოება დასავლეთ საქართველოში.

№22. დრამატული წერილი. №36.

„ცდა“ 1890 წ.

125) „პირველი ნაბიჯი“ რომანი.

„ჯეჯილი“ 1890 წ.

126) გელათის მონასტერი №5.

127) გელათის მონასტერი №6.

128) ლეთის წყალობა – №3, 4, 5. 91 წ.

129) ჩენი ძველი გმირები №6.

№1 – 92 წ.

№2 – 92 წ.

№3 – 92 წ.

№5 – –

№6 – –

136) შობა ქრისტესი № – 95 წ.

„კვალი“ 93 წ.

მიმოხილვა.

ბაგრატ დიდი.

ორმოცდა სამი წელი ქართული ისტორიისა.

მთიულნი.

საჩხერის ციხე,

ფერდინანდ ლესეპსი.

ბერიკობა.

ყეენობა.

ბათუმის მახე.

ვარძია. –

გიორგი მერვე.

დარიალი.

ქართველთა და სომეხთა ურთიერთობა ოც და ხუთი წლის
დღესასწაული.

იტალიის მეფის ჰუმბურტოს და დედოფლის მარგარიტას
ქორწინება.

ბედის ტაძარი.

მარიამ დედოფალი და შვილი მისი ოტია.

მეფე ალექსანდრე იმერეთისა და მეუღლე მისი ნესტან
დარეჯანი.

მეფე გიორგი ლაშა.

მეფე ერეკლე მეორე.

ბაგრატ III იმერეთის, თუ ბაგრატ მეხუთე დიდი.

ფრიდრიხ დიდი.

წლევეანდელი ხოლერობა.

მკრტიჩ ხრიშიანი, ქათალიკოსი სრულიად სომხეთისა.

ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა.

სწავლის საქმე ჩვენში.

კითხვები პასუხით.

სამეურნეო ნდობა.

პ. იზმაილოვი.

წმ. მოწამენი დავით და კონსტანტინე.

წმ. მოწამე გობრონი.

მიტკევიჩი და ჰადერევსკი.

წმ. მოწ. აბო.

ბარბარე ავალოვისა, ხერხეულიძის ასული.
მორიცი მაკმაჰონი.
წმინდა სახლობა.

1894 წ.

რიდე აიხადეთ.

ჭეშმარიტების აღდგენა.

წმ. შუშანიკი. დედოფალი რანისა.

წმ. ესტატე მცხეთელი.

საისტორიო ბაასი.

ჭორი და ცილის წამება.

ფარისეულის და მეზვერეს იგავი.

საკვირველი განუჭვრეტელობა.

სახელმწიფო ქონებათა და სამეურნეო საქმეთა მინისტრის
მობრძანება კავკასიაში.

ქუთაისის ქალაქის თავის არჩევა.

სადი კარნო და კაზიმირ პურიე.

პასუხი ქრონიკების პატრონს ბ. ჟორდანიას.

სომეხთა სასკოლო მზრუნველობის ამორჩევა.

მოზაიკა, ფერადი ქვის ანუ მინანქრის ხელობა.

ქართული დრამატიული საზოგადოების სვე-ბედი.

როგორ აშენდა გელათი.

ვინ ააშენა გელათი.

წმ. მეფე არჩილი.

ითიოპია.

„ხაფანგი“, დრამა ოთხ-მოქმედ. მეველისა (კრიტიკა).

ჯონ ტინდალი.

გამოთხოვება რებეკასი.

ძღვეა-მოსილი მეცნიერება და მუხთალი ძალ-მომრეობა.
ამინ, ალილუა!

1895 წ

„კვალის“ ორი წლის ნაღვაწი.

როგორი ძეგლი სჯობია ირაკლის მოსახსენებლათ.

ჩინეთ-იაპონიის ომი.

მეორე ხანა ირაკლი მეფის ცხოვრებისა.

ბოდბეს მონასტრები.

თამარშენის საყინულე.

მღვიმის მონასტრის სამლოცველო.

კაცხის სვეტი.

წმინდა ნინო.

ოცდა-ხუთის წლის დღესასწაულობა პროფესორის

თ. ი. თარხნიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობისა.

ლიხუჩანგი, ჩინეთის დესპანი იაპონიასთან შემრიგებელი.

ავსტრიის იმპერიის კანცლერი.

პატრი დონ-დიმიტრი თუმანიშვილი.

პავლე ალექსანდრეს ძე იზმაილოვის სიკვდილის გამო.

თ. ივანე კონსტ. ბაგრატიონ მუხრან-ბატონი.

მიხეილ ხელთუფლი შვილის ნეკროლოგი

კარლ ფოხტი.

ლუი პასტერი.

იაპონელი და ქართველი ქალების შედარება.

ხალხური ლექსები ს. ქედაში ჩაწერილი 1880 წ.

ორმოცდა-ათი წლის მიცვალების პანაშვილი ნ. ბარათაშვილისა.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოება.

სამეურნეო და სააღებ-მიცემო ამხანაგობანი – სინდიკატები.

წერა-კითხვის საზოგადოების წევრთა არჩევა.

თფილისის ურთიერთ ნდობის სამეურნეო საზოგადოების წესდება.

1896 წ.

რა არის პოლიტიკა?

მიეშველეთ ნოვოროსიელ ქართველებს.

გაკერით.

გველის მომთვინიერებელი.

ჟულ სიმონი.

ზეპირ გადმოცემანი იმერეთში შეკრებილი.

სპარსეთის შაჰი ნასრ-ელინი.

შავი ქვის მრეწველთა კრება ქუთაისში.

წარსული წლის ნაყოფი.

1897 წ.

საშობაო მოთხრობა.

ათი მცნება.

კავკასიის რკინის-გზის უწესრიგობა.

უნივერსიტეტი თუ პოლიტეხნიკუმი.

კავკასიის ქვა-გუნდის მწარმოებელთა წესდების შედგენა და მისი განხილვა.

ცუდი ნიშნები მომავლისა.

ღვდლის მოკვლა ზემო იმერეთში.

ჩენი ღროის ოსმალეთი.

ბ. ველჩიკო და მისი აზრები ერობის შემოღებაზე.

ქალაქის არჩევანები.

ჩეხელები და მათი ისტორია.

ცხოვრება და სამართალი.

მაკიაველიზმი.

საით მივიწვრათ?

საბერძნეთი და მისი პოლიტიკა.

სენატორი კონი და მისი აზრი კავკასიის ხალხების შესახებ.

დიდი საქმე.

უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე იმერიტინსკი.

თეკლე ბატონიშვილი.

მოსხენება რკინის-გზის გაყვანის წარმოებისა.

ამ საუკუნის ვითარება.

1898 წ.

ომი იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის
სამეცნიერო საუბარი.

პოლიტიკა.

მეცხვარის ნაამბობი (ესკიზი).

თოფის სროლა (ამბავი).

განწირულნი (საშობაო მოთხრობა).

ხალხური პოეზია და ბატონი კელენჯერიძე. კრიტიკული
წერილი ფ. მახარაძისა.

ბიბლიოგრაფია (კვართი უფლისა).

ა. ს. ხახანაშვილის ახალი წიგნი.

მეფე ერეკლეს ფონდი.

1899 წ.

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი და ინტელიგენტთა პარტიები.

როგორი დანიშნულება უნდა მიეცეს იმერეთის თავად-აზნაურობის თაენს.

წარსული წლის პოლიტიკა.

პირიმზე (რომანი).

წიგნებათ

საუკეთესო ცოდნა. 1888 წ.

მამიდა ასმათი. 1888 წ.

რუხი მგელი. 1892 წ.

თხზულებანი I ტომი. 1893 წ.

– II ტომი –

ჩვენი ძველი გმირები.

არანკა. ლომ-კაცი.

ეს სია, რასაკვირველია, სრული არ არის. აქ მოხსენიებული არ არის არც „სასოფლო გაზეთი“ და არც რუსულ გაზეთებში დაბეჭდილი წერილები. აქ არ არის აგრეთვე მისი არქეოლოგიური გამოკვლევანი და სხვა წერილმანი ქართული წერილები, ყველა ეს რომ შეგროვდეს, ორი ამდენი იქნებოდა.

მ. დაღფონსი

ჩვენი კუთხის სათანადოდ აღორძინების საქმეში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებიც ღებულობდნენ აქტიურ მონაწილეობას და თავიანთი შრომა-გარჯილობითა და ქმედებით გარკვეული წვლილი შეჰქონდათ ამ მეტად მნიშვნელოვან და სამომავლო საქმეში.

ამ აღამიანთა შორის განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა ეროვნებით ფრანგი, განსწავლული აგრონომ-დეკორატორი მ.დაღფონსი, რომელიც მრავალი დიდი, საშვილიშვილო საქმის წამომწყები და ამ საქმეთა კეთილად დამთავრების პიონერი გახლდათ...

მოდით ჯერ დავით კლდიაშვილს მოვუსმინოთ თავის წიგნში: „ჩემი ცხოვრების გზაზე“, ქართული ლიტერატურის კლასიკოსი წერს: 1883 წლის ბოლოს რკინიგზის კეთებაც მომთავრდა და ბათუმი შეუერთდა თბილისს, 1885 წელს კი პორტო-ფრანკო მოიშალა, რკინიგზის ნაპირზე, ქალაქის მახლობლად, იწყეს ტყეების გაჩეხვა და აგარაკების შენება. გზა მიდიოდა უდაბურ ტყეში, ჭენჭყ ადგილებში, ადგილები ციებიანი, ჯანმრთელობისათვის მავნე ჰაერიანი, მაგრამ ამას არ დაერიდა და არ შეუშინდა ზოგიერთი პირი და იწყეს აქ დასახლება. მიწა მუქთად იშოვებოდა, ხშირად არც კი იცოდნენ, თუ ვის ეკუთვნოდა ესა თუ ის ადგილი, მოწონებულ ადგილს კაფავდნენ და აწყობდნენ მოსახლეობას. განსაკუთრებით დიდი ადგილები შემოიფარგლეს ქუთაისის გიმნაზიის დირექტორმა სტოიანოვმა,

სამსახურს გადამდგარმა პოლკოვნიკ-ინჟინერმა სალავტოვმა, ბათუმის ნოტარიუსმა გერენტეონმა, ექიმმა ოლინსკიმ, მილიონერმა სიბირიაკოვმა და სხვებმა. ამათ მუქაჯირებისაგან შეისყიდეს დიდძალი ადგილები, მოიდგეს ფეხი და ოცნებით გატაცებულნი, რომ გაშენებული აგარაკებით დიდ ფულს შეიძენდნენ, აუარებელ ფულს ჰყრიდნენ ამ ადგილებში. მუქაჯირებს ეძახოდნენ იმათ, რომელნიც ტოვებდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს და მიდიოდნენ დასასახლებლად ოსმალეთისაკენ. ბევრი ყალბი ნაყიდობა კეთდებოდა ამ მუქაჯირების სახელით, ბევრ უპატრონო ადგილს ახალი და უცხო პატრონი უჩნდებოდა; ბევრს აცდენდნენ ფულის მოტყუებით და ეშმაკურად შეჩენით ხელიდან აცლიდნენ მოვლილ სამოსახლოს. საოცარი თარეში იყო მიწების შესაძენად. ვინ არ იყო ამაში ჩაბმული, საუფლისწულო უწყებამაც ვერ მოითმინა და შეუდგა მიწების შეძენას და მოკლე ხანში დიდძალი ადგილები შეისყიდა. დიდძალი ადგილები შეიძინა ცნობილმა ჩაის ვაჭარმა პოპოვმა, რომელმაც იწყო ჩაის პლანტაციების გაშენება და რამის მოყვანა, რამი — ეს ჩინური ჭინჭარია, რომლისგანაც კეთდება საუკეთესო ქალაქი. ქალაქს ფულისათვის ამ რამისაგან ამზადებენ და დიდ სარგებლობას იძლეოდა, იყვნენ ისეთები, რომელნიც დაურიდებლად ითვისებდნენ მიწებს, გასაოცარი მოხერხებული პიროვნება ამგვარობაში იყო ვინმე მებაღე დალფონსი. ეს იყო პირველი პიონერი მოაგარაკე და მოაგარაკეთა წრის შემქმნელი. სადაც მან ჩადგა ფეხი, იმ ადგილიდან მერე ვერ ამოდენეს, აღმინისტრაცია დიდი მოწინააღმდეგე იყო მისი, მაგრამ ვერას უშვრებოდა, გასაოცარი მოხერხებით მან პირველმა ჩადგა ფეხი ეგრეთ წოდებულ „მწვანე კონცხში“, ბათუმის მახლობლად, გვირაბთან. მიიყვანა ფულიანი პირები, აყიდვინა მიწები, შეადგინა მოაგარაკეთა ამხანაგობა, ჩაითრია გავლენიანი პირები, როგორიც

იყო, მაგალითად თავადი ბარიათინსკი, გენერალი პარაიკოში, ექიმი ტრიანტაფილიდესი. პეტერბურგიდან და მოსკოვიდან აუარებელი ფული ჩაიყარა ადგილების გასაწმენდად და ბაღებისათვის მიწების გასამზადებლად. ციება ძლიერ ხელს უშლიდა მომუშავეთ, მაგრამ საოცნებო მომავლის მომლოდინენი არ შინდებოდნენ და განაგრძობდნენ მუშაობას. ამ დაღფონსმა პირველმა შემოიღო მანდარინის გაშენება, ზრდიდა აგრეთვე ევროპულ მცენარეებს და მოკლე ხანში მთელი ის კონცხი მოჰფინა მდიდარი მოაგარაკებით, ახალგაზრდა, ლამაზი, მოხდენილი მოლაპარაკე, დაულალავი მუშა, მცოდნე თავის საქმისა, უცნაური მოხერხებული – იგი დიდი გავლენის მქონე იყო, მისი რჩევის და სიტყვის გამგონ და აღმსრულებელ მოაგარაკეთა შორის. წვრილ მოაგარაკეთ არ კადრულობდნენ და მოჰყავდათ მდიდარი პირები.

დიდი ენერგია დაიხარჯა ამ საქმეში, ბევრი რამ გააკეთეს დასახლებულებმა, დიდი მუშაობა იყო გაწეული და ამ მუშაობაში დალია სული მისმა ინიციატორმა, უმოწყალო ციებამ, რომელიც ვერასგზით ვერ დაძლიეს მოაგარაკებმა, იმსხვერპლა თვით დაღფონსი, მაშინ კიდევ ყმაწვილი კაცი, მოუშორებელმა ციებამ იმსხვერპლა იგი...”

* * *

მ. დაღფონსი აჭარაში 1882 წელს ჩამოვიდა. მისი აქ ჩამოსვლის მიზანი გახლდათ შავი ზღვის სანაპირო ზოლში შეეძინა მიწის ნაკვეთი და იქ მოეშენებინა სუბტროპიკული კლიმატისათვის დამახასიათებელი მცენარეები. მან პირველად მიწის საკმაოდ მოზრდილი ნაკვეთი შეიძინა ახლანდელი ჩაქვის რკინ-

იგზის სადგურის მიმდებარედ. იგი დიდი მონღოლებითა და ძალისხმევით შეუდგა აღნიშნული ნაკვეთის დამუშავებას, დარგო იქ მრავალი სახეობის სუბტროპიკული და ტროპიკული კლიმატისათვის დამახასიათებელი მცენარეები, რომელთა უმეტესმა ნაწილმა კარგად გაიხარა. აღნიშნულმა პრაქტიკულმა საქმიანობამ მ.დალფონსს დიდი ცოდნა-გამოცდილება შესძინა და სათანადო სტიმულიც მუშაობის შემდგომი გაფართოება-განვრცობისათვის.

მან ძირფესვიანად და საგულდაგულოდ შეისწავლა ჩვენი კუთხის კლიმატური პირობები და აჭარის ზღვისპირა ზოლის ცალკეული რაიონების თავისებურებანი, იქ გავრცელებულ მცენარეთა თავისებურება-თვისებების გათვალისწინებით.

* * *

ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორის ა.სმეკალოვის ნებასურვილით გადაწყდა ახლანდელი ნურიე-გელის (ახალგაზრდობის პარკის ტბა) ტბის ირგვლივ დაჭაობებულ, ბუჩქნართა და ეკალ-ბარდით დაფარულ, გაუვალ და ჭონჭყოიან ადგილებში გაეშენებინათ ქალაქის ბაღი, რომლის საერთო ანსამბლში ჩაეწერებოდა ტბა...

მაგრამ, სანამ უშუალოდ საუბარს გავაგრძელებდეთ, რაკიდა საუბარი ა.სმეკალოვზე ჩამოვარდა, მიზანშეწონილად მიმაჩნია, ჯერ, ორიოდე სიტყვით, ამ ადამიანზე მოუთხროთ მკითხველს, შემდეგ კი მივყვით ჩვენს მთავარ სათქმელს.

ბათუმის ოლქის პირველი სამხედრო გუბერნატორი გახლდათ კონსტანტინე ბესარიონის ძე კომაროვი, რომელიც რუსეთ-

თურქეთის 1877-1878 წლების ომის მიმდინარეობისას ხელმძღვანელობდა არტაანის სამხედრო რაზმს, რომელიც იბრძოდა ართვინის ტერიტორიაზე და დავალებული ჰქონდა ახალციხის რაზმთან ერთად გაენტავისუფლებინა ზემო აჭარა.

განთავისუფლებული ტერიტორიის მოსახლეობას გენერალმა კომაროვმა შემდეგი სიტყვებით მიმართა: „მთელი ის მიდამოები, რომლებიც წინათ საქართველოს სახელს ატარებდა, უერთდება რუსეთს, უკვე ერთი წელია, რაც რუსეთის ჯარი აქ დგას, მაგრამ არავის არ ახსოვს მისი ცუდი მოქმედება“.

1878 წლის 28 აგვისტოს კომაროვის სამხედრო შენაერთი განთავისუფლებულ ბათუმში შემოვიდა და განლაგდა ახლანდელი ფიროსმანის ქუჩის მიდამოებში.

განთავისუფლებული ტერიტორიის ხარჯზე შეიქმნა ბათუმის ოლქი, რომელშიც შედიოდა აჭარა და ართვინის ოკრუგი. ბათუმის ოლქის პირველ სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა გენერალ-მაიორი კონსტანტინე კომაროვი, რომელიც გახლდათ პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება. მისი განკარგულების საფუძველზე ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე აიკრძალა ბრინჯის ყანების მოშენება და დაიწყო სანიალგრო არხების გაყვანა, მისივე ინიციატივით ბათუმში გაიხსნა ექვსკლასიანი საქალაქო სასწავლებელი, რომელიც მისივე სახელობისა გახლდათ.

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის პოსტზე კომაროვმა საკმაო ხანს იმოღვაწა.

1881 წელს, კონსტანტინე კომაროვის სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით, ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა გენერალი ა. სმეკალოვი, რომელიც გახლდათ მეტად განათლებული, დიდად ერუდირებული და პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება, სამწუხაროდ, მას ამ პოსტზე დიდხანს არ უმოღვაწია, მიუხედავად ამისა, ბევრი რამის გაკეთება მოა-

სწრო, რითაც სამართლიანად დაიმსახურა ჩვენი კუთხის მცხოვრებთა პატივისცემა და სიყვარული.

უნდა ითქვას, რომ ა.სმეკალოვი გახლდათ ჩვენი კუთხის ნამდვილი მზრუნველი. მისი უშუალო ინიციატივით ქობულეთში აიგო მართლმადიდებლური ეკლესია, რომელთანაც ნაყოფიერად ფუნქციონირებდა სამრევლო სკოლა, ამ ეკლესიასა და ამ სკოლასაც ა.სმეკალოვის სახელით მოიხსენიებდნენ.

ასევე, აქვე მისი ინიციატივით დაარსებული იქნა სოფლის მეურნეობის საზოგადოება, რომელმაც თავის დროზე მართლაც რომ უდავოდ დიდი როლი შეასრულა და საფუძველი ჩაუყარა აქ, ჩვენს კუთხეში სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება-აღმავლობის საქმეს, მოგვიანებით ამ საზოგადოებას მისი დამფუძნებლის – ა. სმეკალოვის სახელი უწოდეს.

ამათი და სხვა მრავალი მსგავსი კეთილშობილური საქმეების გაკეთებისათვის ა. სმეკალოვის სახელი მიენიჭა ჩურუქ-სუს (ახლანდელი ქობულეთი) და ბათუმის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას (ახლანდელი რუსთაველის ქუჩა), სწორედ ამ ქუჩის მიმდებარედ იყო განთავსებული ა.სმეკალოვის მიერ დაარსებული ბაღი, ქუჩასა და ქობულეთს სახელი შეუცვალეს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ...

და აი, სწორედ ამ ადამიანის ძალისხმევით გადაწყდა ზემოთ მოხსენებული ადგილების გამშენიერება და იქ ბაღის მოწყობა.

ამ მნიშვნელოვანი და მეტად შრომატევადი საქმის მოსაგვარებლად ქალაქ ფოთიდან მოიწვიეს ცნობილი გერმანელი მებაღე რესლერი.

უნდა აღინიშნოს, რომ რესლერი უბრალო მებაღე არ გახლდათ, იგი იყო ცნობილი მეცნიერი, ბოტანიკოსი, თავისი საქმის დიდად მცოდნე და დიდი გამოცდილების მქონე პიროვნება.

ამ ცნობილი მეცნიერის საქართველოში ჩამოსვლა ერთმა გარემოებამ განაპირობა: 1873 წელს, ქალაქ ფოთში მცხოვრებმა მილიონერმა და მეცენატმა ადამ პავლეს ძე კურკოვსკიმ ქალაქ ფოთში, დღევანდელი კოლხეთის ათვისების სამეცნიერო ცენტრის ტერიტორიაზე, საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა გადაწყვიტა მოეშენებინა ბაღი. სწორედ ამ ბაღის მშენებლობაზე იქნა მოწვეული რესლერი საქართველოში.

რესლერი საქმეს შეუდგა და ჩინებულად იშრომა. გაზეთი „ივერია“ თავის 1894 წლის №12-ში წერდა: „ცნობილმა ბაღმშენებელმა და ბოტანიკოსმა რესლერმა ქალაქ ფოთში გააშენა მშვენიერი ბოტანიკური ბაღი, რომელიც ქალაქის ნამდვილი მშვენიერებაა და დასვენების კერას წარმოადგენს“

ამ საქმეში რესლერს გვერდით ედგა თავად ამ იდეის ავტორი ადამ კურკოვსკი, რომელიც ფულთან ერთად დიდ ცოდნასაც ფლობდა, იგი სრულყოფილად ფლობდა სოფლის მეურნეობის დარგებს, ისეთებს, როგორიც გახლდათ მელიორაცია, კლიმატოლოგია, ნიადაგთმცოდნეობა და სხვა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ჩინებულმა ადამიანმა მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და ფული მოახმარა საქართველოში სუბტროპიკულ მცენარეთა ინტროდუქციის საქმეს.

მაგალითად, მან პირველმა საქართველოში 1872-1873 წლებში, შემოიტანა ისეთი სუბტროპიკულ-ტექნიკური კულტურები, როგორიც გახლავთ გერანი (შვიდი სახეობა), დრაცენა, იუკა, აგავა, ქონის ხე, მუსკატის სალბი, ეკოშია, მან საქართველოს შავიზღვისპირეთში, ერთ-ერთმა პირველმა, გააშენა ლუარჯი ეკალიპტი, იაპონური ზხმარტლი და სხვა. მისივე ინიციატივითა და ძალისხმევით გაშენდა სუბტროპიკული კულტურების დაცვითი ტყის ზოლები.

სწორედ ასეთი ადამიანის გეერდში მდგომი, დამხმარე და თანაშემწე გახლდათ რესლერი, ისინი შეთანხმებული მუშაობით ყველაფერს აკეთებდნენ და, რომ იტყვიან, ნამდვილ სასწაულებს ახდენდნენ.


მაგრამ მოხდა ისე, რომ რესლერს სერიოზული უთანხმოება მოუვიდა ქალაქ ფოთის ხელმძღვანელობასთან, რომლის გამოც მას იქ გაჩერება აღარ უსურვებია. სწორედ ამ დროს შესთავაზეს ბათუმში ჩამოსვლა და საქმის დაწყება, რაზედაც იგი სიამოვნებით დასთანხმდა და ჩამოვიდა კიდევაც. ეს იყო 1881 წელს. რესლერი ხელცარიელი არ ჩამოსულა ბათუმში – მან თან ჩამოიყოლა ხუთ-ასი ძირი დეკორატიული ნარგავი და ჩამოსვლისთანავე შეუდგა საქმეს – მან, შედარებით მოკლე დროში (1881-1884 წ.წ.). მოახერხა ბათუმის ზღვისპირა პარკისა და ქალაქის ბაღის დაგეგმარება და, ნაწილობრივ, მათი განაშენიანება.

გასაკეთებელი კი ძალზე ბევრი იყო, ძალზე შრომატევადი და ოფლსაღვრელი, მაგრამ რესლერი არ უშინდებოდა დაბრკოლებებსა და სიძნელეებს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ რესლერი ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი მოულოდნელად გარდაიცვალა 1884 წლის 6 ივნისს.

საჭირო იყო რესლერის დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, გამოცდილი მებაღეები და დეკორატორები იმხანად მართლაც სანთლით საქმებარი გახლდათ. ბევრი იფიქრეს ამაზე და ბოლოს არჩევანი ისევ დალფონსზე შეაჩერეს. და აი, 1885 წლის 4 ივნისს ქალაქის ბაღის (მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი) და ზღვისპირა პარკის განაშენიანების ხელმძღვანელად მთელი ხუთი წლის ვადით მოიწვიეს დალფონსი.

დალფონსს უამრავზე-უამრავი და თავსაყრელი საქმე ჰქონდა თავის მამულში, ჩაქვში, მწვანე კონცხზე და სად არა კიდევ, მაგრამ იგი მაშინვე დასთანხმდა ამ წინადადებას და თავისებური მუყაითობით შეუდგა შრომას. მას თითქმის არაფერი შეუცვლია თავის საქმიანობაში და რესლერის დაწყებულ საქმეს, განაგრძობდა მისივე გეგმის მიხედვით...



ბათუმის ბულვარი, 1885 წელი

ჩვენი ქალაქის დიდი მემატიანე დავით კლდიაშვილი თავის წიგნში: „ჩემი ცხოვრების გზაზე“, ასეთ შეფასებას აძლევს ბათუმის იმდროინდელი პოლიცემისტერის კ.ვოზნესენსკისა და რესლერის შრომა-საქმიანობას:

„...ამ გალამაზების, ახლად აშენებული ქალაქის გამშენიერებისაკენ მიიმართა ქალაქის მმართველობის აზრი და

მოქმედება: ამან დაიპყრო ქალაქის გამგე-პოლიცია. ახლადდანიშნულ პოლიცემისტერად ვინმე პოლკოვნიკი ვოზნესენსკი სწორედ სასურველი პიროვნება აღმოჩნდა. დიდი ენერგია დახარჯა მან ბათუმის გალამაზებისათვის, ფოთიდან მან გადმოიყვანა სასწავლი მებაღე გერმანელი, ვინმე რესლერი, თავისი ხელობის დაძინებით მცოდნე მოხუცი. განიერი ქუჩების ნაპირები შეიკო დარგული ჭადრებით, ზღვის ნაპირად გაჩაღდა მუშაობა – შეუდგნენ ბულვარის კეთებას ქვიშაზე, ყველას ეცინებოდა ასეთი მუშაობის წამოწყება, ეუცხოებოდათ, თუ სიპ ქვიშაზე რა ბულვარი უნდა გაშენებულიყო, მაგრამ ვოზნესენსკიც და მისი მუდამ მოყუჩებული ბებერი რესლერი არხეინად განაგრძობდნენ წამოწყებულ საქმეს – აყრიდნენ ქვიშას ურმებით მოტანილ მიწას, იღებდნენ ორმოებს, რგავდნენ მცენარეებს, არავის სჯეროდა, თუ ამ მუშაობიდან რაიმე სახეირო გამოვიდოდა, მაგრამ რამდენიმე წლის გამუდმებული მუშაობის შემდეგ დარწმუნდნენ, რომ საკეთილო საქმე იყო დაწყებული – ზღვის ნაპირზე გაიშალა ლამაზი ნორჩი ბულვარი, შემდგომში ბათუმის მშვენიებად გამხდარი. გამარჯვებული პოლიცემისტერი მხიარულად იყო და ჩააჩუმა ყველა, ვინც ამბობდა, რომ ბულვარის კეთება მისგან გამოგონილი იყო მხოლოდ მისი ცარიელი ჯიბის გასასქელებლად...”

ჩვენის მხრივ, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ პოლიცემისტერი კ.ვოზნესენსკი მეტად ნიჭიერი, საქმიანი და პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება იყო და მისი მმართველობის პერიოდში ჩვენს ქალაქში ბევრი რამ კარგი, საჭირო, მისაბაძი და სამომავლო გაკეთდა. გაყვანილი იქნა ახალი, ლარივით სწორი ქუჩები, სანი-აღერო არხები, მოეწყო სკვერები, დაირგო ქუჩების სავალ ნაწილზე დეკორატიული მცენარეები.

კ.ვოზნესენსკის ღვაწლი და ამაგი სათანადოდ იქნა დაფასებული. ცენტრალურ ქუჩას, რომელიც ზღვისპირა პარკს (ბულვარს)

ებჯინებოდა, რუსეთის მეფის – ალექსანდრე მესამის განკარგულებით, 1888 წელს ეწოდა ქალაქის დიდი მოამაგის კ.ვოზნესენსკის სახელი. ეს ქუჩა ვოზნესენსკის სახელს ატარებდა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მას სახელი შეუცვალეს. ახლა იგი პ.მელიქიშვილის სახელს ატარებს. ეს კი, ჩემის აზრით, გაუმართლებელია, ამ ქუჩას ისევ ვოზნესენსკის სახელი უნდა დაბრუნებოდა.

1888 წელს ბათუმს ეწვია საქართველოში სტუმრად ჩამოსული რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მესამე თავისი ოჯახის წევრებითა და ამალითურთ. მეფეს თან ახლდა აგრეთვე რუსეთის ტახტის მემკვიდრე ნიკოლოზი (შემდგომ მეფე ნიკოლოზ მეორე).

მეფემ და მისმა მემკვიდრემ ქალაქის პარკში დარგეს რამდენიმე მცენარე, რომლებიც, სხვათა შორის, დღესაც შემორჩენილია.

დიდჩინოსანი სტუმრების პატივსაცემად ქალაქის ბაღს მეფის, მამის – ალექსანდრე მეორის სახელი ეწოდა, ხოლო ზღვისპირა პარკს – ტახტის მემკვიდრის – ნიკოლოზ მეორის სახელი.

* * *

თავდაპირველად ზღვისპირა პარკი გაშენდა 4,5 ჰექტარ ფართობზე. პირველად პარკის სიგრძე სულ შეადგენდა ერთ კილომეტრს, სიგანე კი მერყეობდა 19-53 მეტრს შორის, რაც გამოწვეული იყო ზღვის სანაპიროს სიანხლოვით ხმელეთთან.

პარკში მოწყობილი იყო ორი სასეირნო ხეივანი. ეს ხეივნები კი ერთმანეთთან დაკავშირებული გახლდათ ფეხით სასიარულო ბილიკებით.

თავდაპირველად პარკი გადაჭიმული იყო ქალაქის შუქურადან სასტუმრო ინტურისტამდე.

1889 წლიდან ბულვარი გაგრძელდა ახლანდელი პ. მელიქიშვილის ქუჩამდე. აქვე აღენიშნავთ იმასაც, რომ ღროთა განმავლობაში ზღვამ თანდათანობით დაიხია უკან, რის შედეგად ზღვისგან გამოთავისუფლებულ ადგილას შესაძლებელი გახდა ბულვარის შემდგომი განაშენიანება და მისი თანდათანობითი გავრცობა.

ზღვისპირა პარკის განაშენიანება დამთავრდა 1888 წელს.


* * *

როგორც თავად დავით კლდიაშვილი აღნიშნავს, დალფონსი გამოცდილი და მეტად „ჯიუტი“ პიროვნება იყო. სწორედ იგი გვევლინება აჭარაში მცენარეთა ინტროდუქციისა და სუბტროპიკულ მეურნეობათა შექმნის ერთ-ერთი უპირველესთაგანი...

1885 წელს მ.დალფონსმა მწვანე კონცხზე, მის დასავლეთ ნაწილში, შეისყიდა 12 დესეტინა მიწის ნაკვეთი. ამ ნაკვეთს ირგვლივ აკრავდა საკმაოდ დამრეცი ფერდობები, რომლებიც სათანადოდ იცავდნენ აღნიშნულ ტერიტორიას ქარების მავნე ზეგავლენისაგან.

მ.დალფონსმა თავის მამულში მოაშენა სუბტროპიკული კლიმატისათვის დამახასიათებელი ნარგავები, მრავალი სახეობის პალმა და წიწვოვანი მცენარეები. მის ნაკვეთში ასევე დიდი რაოდენობით გახლდათ მოშენებული ვარდისა და კამელიის ნერგები.

მ.დალფონსის ნაკვეთში სხვა ნარგავებთან ერთად საკმაო ფართობზე – 3 დესეტინაზე მოშენებული იყო ბამბუკი, მათ შორ-



ახალგაზრდობის პარკის ტბის ხედი, 1900 წელი

ის, ამ სახეობის იმხანად ყველაზე უფრო გავრცელებული ჯიშები – „მიტისი“ და „მადაკი“

ბამბუკის გარდა, მ.დღალფონსს თავის მამულში 2,2 დესეტინაზე დარგული ჰქონდა ნარინჯი, ხოლო დაახლოებით ამდენივე ფართობზე – სხვადასხვა სახისა და ჯიშის ხეხილი.

ამ ნაკვეთის 4 დესეტინა ფართობზე მოწყობილი იყო სანერგე მეურნეობა. აქ გამოყვანილი ნერგები ხმარდებოდა როგორც საკუთრივ ამ მამულის მოშენებას, ასევე იგი იყიდებოდა სხვადასხვა მოახალშენებზე, რომლებიც თავიანთ მიწებზე სხვადასხვა ნარგავთა გაშენებით იყვნენ დაინტერესებულები.


აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მანდარინის ბალი ჩვენს კუთხეში პირველად მ.დალფონსმა მოაშენა და მანდარინის ხეს იგი „ოქროს ხეს“ უწოდებდა.

მ.დალფონსი არა მარტო ჩინებული მებაღე-დეკორატორი გახლდათ, არამედ, ამავდროულად იგი იყო კლიმატისა და ფლორის ჩინებული მცოდნე. მან თავის მამულში, პირველმა აჭარაში, მოაწყო მეტეოროლოგიური სადგური, რომლის მეშვეობითაც იგი რეგულარულად აწარმოებდა აჭარის კლიმატის დაკვირვებასა და შესწავლას.

მ.დალფონსის უპირველესი ოცნება და მიზანი გახლდათ ჩვენი კუთხის ფლორა, მისი ბუნება საფრანგეთის რივიერისათვის დაემსგავსებინა, ამ მიზნის განსახორციელებლად იგი ლამის ყოველგვარ საქმიანობას მიმართავდა, მაგალითად, მან სამხრეთ საფრანგეთიდან ჩვენს კუთხეში დიდი რაოდენობით შემოიტანა მცენარეთა ნაირსახეობა, დარგო და განავრცო ისინი ჩვენში. საფრანგეთიდან მის მიერ შემოტანილ ამ მცენარეთა შორის აღსანიშნავია: ოლეანდრა, სხვადასხვა სახის პალმა, კიპარისი, კედარი, კრიპტომერია და სხვები, რომლებიც ჩინებულად შეერწყნენ და შეეგუნენ ჩვენს კლიმატს.

მის მიერ შემოტანილ მცენარეთაგან ჩვენს კლიმატს ვერ შეეგუნენ მხოლოდ ზეთისხილი და ქვის მუხა.

მ.დალფონსის წამოწყებული საქმეებით და მის მიერ მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებებით სხვებიც დაინტერესდნენ და მათაც მოინდომეს მ.დალფონსივით სასიკეთო საქმეების კეთება. დალფონსიც დიდი სიამოვნებით, ყოველგვარი ანგარების გარეშე ეხმარებოდა ასეთ დამწყებ მემამულეებს – ეხმარებოდა მათ მიწების შეძენაში, აძლევდა საჭირო რჩევა-დარიგებებს, ასწავლიდა მცენარეთა მოვლა-პატრონობას, მიწის დამუშავებასა და სხვადასხვა სასუქების გამოყენებას.



**ბათუმის საქალაქო ბაღის (ასლანდელი მოსწავლე
ასალგაზრდობის პარკის) სეივანი**

მ. დალფონსის დიდი აგიტაცია-პროპაგანდის შედეგად ცნობილმა მემამულემ ე.თათარინოვმა გაყიდა სოხუმთან ახლოს მდებარე მამული, ჩამოსახლდა მწვანე-კონცხზე და მოაწყო ჩინებული ბაღი. ასეთი მსგავსი ბაღები მოაშენეს სხვებმაც.

მ.დალფონსის დაინტერესებისა და მეცადინეობის შედეგად ჩვენს კუთხეში გავრცელება ჰპოვა წიწვოვანმა მცენარეებმაც.

უნდა აღინიშნოს, რომ მ.დალფონსმა ჩვენი ქალაქის გამწვანებისათვის უმთავრესად სწორედ ეს წიწვოვანი მცენარეები გამოიყენა, რამაც საზოგადოების ერთგვარი უკმაყოფილება გამოიწვია, ამის გამო იგი რამდენჯერმე სერიოზულად გააფრთხილეს კიდევაც, მაგრამ მან ეს შენიშვნები ყურად არ იღო და არსებინად განაგრძო თავისი წამოწყებული საქმე.

მ.დალფონსის ასეთი სიჯიუტის გამო ბათუმის ქალაქის თავი გავროვსკი იძულებული გახდა 1888 წლის 18 მარტს გაენთავ-

ისუფლებინა მ.დალფონსი დაკავებული თანამდებობიდან. მის მაგივრად ქალაქის მთავარ მებაღედ დაინიშნა რესლერის აღზრდილი, ჩინებული მებაღე-დეკორატორი ნ. ტყეშუჩავა, რომელიც უნარიანად ხელმძღვანელობდა ქალაქის გამწვანების საქმეს 1895 წლამდე. მისი მუშაობის პერიოდში ქალაქის გამწვანებაში მთავარი აქცენტი გადატანილი იქნა სუბტროპიკულ მცენარეებზე.

ამასთან დაკავშირებით, მკითხველს გავაცნობთ ჟურნალ „სოფლის მეურნეობის მეპატრონის“ რედაქტორის, ცნობილი აგრონომ-დეკორატორის ს.ანისიმოვის ჩანაწერს: „ქუჩები გამწვანებულია, მაგრამ სამწუხაროდ, მხოლოდ ცაცხვით, იფნარით და ჩრდილოეთის ადგილებისათვის დამახასიათებელი მცენარეებით, ეს მაშინ, როცა ბუნებრივი სურვილია ბათუმის ქუჩებში ვიხილოთ ტროპიკული ფლორისათვის დამახასიათებელი ნარგავები, ეს შეცდომა გაკეთდა ქალაქის თვითმმართველობის მიერ, რომელიც ამჟამად სწორდება, ქალაქის ერთ-ერთ, შეპეღევის (ახლანდელი ვაჟა ფშაველას) ქუჩაზე დაირგო დრაცენები, დაფნის ხეები, ავსტრალიის აკაცია და სხვა მუდამწვანე მცენარეები. უნდა ვიფიქროთ, რომ მალე ქალაქის სხვა ქუჩები მიიღებენ მსგავს სახეს“

მ.დალფონსი (როგორც დ. კლდიაშვილიც აღნიშნავს ამას) გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ენერგიით აღსავსე, გასული საუკუნის მიწურულს. მისი ამ უეცარი გარდაცვალების მიზეზი განხლდათ მაღარია, რომელსაც დიდხანს ებრძოდა იგი.

* * *

პირადი ანდერძის თანახმად მ.დალფონსი დაასაფლავეს მისივე მამულში. მან არ ისურვა ჩვენს კუთხესთან განშორება და თავის სამშობლოში საფრანგეთში დასაფლავება. მას საქართ-

ველი მეორე სამშობლოდ მიაჩნდა და ძალიან უყვარდა ჩვენი კუთხე. მან მთელი თავისი ცოდნა-გამოცდილება, შესაძლებლობა და ენერჯია მოახმარა ჩვენი კუთხის კეთილმოწყობის საქმეს.

ნამდვილად არ შეეცდებოდი თუ ვიტყვოდი, რომ კრასნოვამდე, მწვანე კონცხზე მცირე ბოტანიკური ბაღის დამფუძნებელი სწორედ მ. დალფონსია, რომლის შესანიშნავი ნამოღვაწარი ამ საქმეში, მისი დიდი გამოცდილება, სწორად აღიქვა ა.კრასნოვმა, მან მ.დალფონსის მამულის გვერდით გააშენა მართლაც რომ უნიკალური, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, რომელიც ჩვენი კუთხის ნამდვილი მშენებაა.

მოგვიანებით მ.დალფონსისა და ე.თათარინოვის ბაღები კარგად შეერწყა ბათუმის ბოტანიკურ ბაღს და მას „ქვედა პარკი“ ეწოდა.

კონტრ-ადმირალს ალექსანდრე ბრევე

როდესაც ჩვენ ბათუმზე ვწერთ, ესაუბრობთ თუ აღვნიშნავთ რამეს, იქვე ჩვეულებრივ, არ შეიძლება ბათუმის ნავსადგური არ მოვიხსენიოთ-ხოლმე და ხაზი არ გავუსვათ მის უდიდეს მნიშვნელობას.

კარგად რომ დაუკვირდეს და ჩაუფიქრდეს კაცი, ამაში არაფერია უცნაური და გასაოცარი: ბათუმი და მისი ნავსადგური ერთი და იგივე, ერთმანეთისაგან დაუშორებელი მცნებაა. ეს კი იმდენად, რამდენადაც ძნელი წარმოსადგენია ბათუმი თავისი ნავსადგურის გარეშე. ისინი – ქალაქიცა და ნავსადგურიც, ტყუპისცალივით არიან ერთმანეთის მიმართ. მათ, თითქოსდა, ერთად დაიწყეს არსებობა.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მამულიშვილი იაკობ ნიკოლაძე თავის დროზე ბათუმის ნავსადგურის შესახებ წერდა: „საკვირველი სურათი მეხატება თავში ყოველთვის, როცა მე ბათუმის ბოლასში შევყავარ „რუსული კომპანიის“ ხომალდს. ასე მგონია, უცხო კაცს ჩემთვის ხელი ჩაუვლია და მიუყვანივარ ჩემი წინაპრების გაოხრებულ სამკვიდრებელში... და მე მრცხვენია, თითქოს მე დამეფანტოს და დამეკარგოს სხვისი ნაჭირნახულები, თითქოს მე დამებნოს ძეირფასი საუნჯე.

ან კიდევ როგორ ასცილდება ეს შთაბეჭდილება, როცა ის ამ ბოლასში შევა და განვლილ გზას გაიხსენებს, არემარეს თვალს გადაავლებს? ამ თვალუწვდენელ და უშველებელ შავ ზღვას მარჯვნივ და მარცხნივ მიუდგომელი კლდეებისა და გასილული ჭაობების მეტი არა არტყია რა. არსადაა ერთი ისეთი ნავ-

საყუდარი ადგილი, სადაც თავის შეფარება და ტაროსის მოცდა შეეძლოს სომალდს, ან ბოლასის გამართვა. სტამბოლისა და სევასტოპოლის გარდა შავ ზღვას ბათუმისთანა ძვირფასი თვალი არა ჰქონია და არა აქვს. და ეს ძვირფასი თვალი, რომელიც ჩვენნი იყო, რომლის გარშემო ქართველი ხალხი ცხოვრობს – დაკარგული და მივარდნილია“

მკითხველი ალბათ მიხვდება, რომ ჩვენ სასიქადულო მამულიშვილს ნიკო ნიკოლაძეს აღწერილი აქვს იმდროინდელი, ოსმალეთის მფლობელობაში მყოფი ბათუმი, მივარდნილი, დაჭაობებული ადგილი, დიდებული, მაგრამ გამოუყენებელი ნავმისადგომი, რომელსაც ჯერ კიდევ არანაირად არ შეიძლება ეწოდოს ნავსადგური და ეწოდოს ქალაქი.

ასეთი ბუნებრივი ნავმისადგომი მართლაც რომ სანთლით იყო საძებნელი და ამას კარგად ამჩნევდნენ სხვადასხვა ქვეყნის ხელმძღვანელები, რომლებიც ამ სტრატეგიული ადგილის დასანარჩუნებლად ყოველნაირ ღონისძიებებს მიმართავდნენ. თავისთავად ცხადია, რომ სხვებთან ერთად, ცარიზმს შესანიშნავად მოეხსენებოდა, თუ რაოდენ ღიდ და უაღრესად მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილს წარმოადგენდა თავად ბათუმი და მისი ნავსადგური, როგორც შესანიშნავი, ბუნებრივი ყურე.

როგორც თავის დროზე ენგელსი აღნიშნავდა, ბათუმი სწორედ თავისი სტრატეგიული ადგილისა და თავისი ნავსადგურის გამო წარმოადგენდა სამხედრო ასპარეზობათა გასაღებს ოსმალეთსა და რუსეთს შორის და ორივენი ყოველნაირად ცდილობდა მის ხელში ჩაგდება-დანარჩუნებას.

ბათუმის შესახებ ჩამოყალიბებული, მტკიცე შეხედულება გააჩნდა რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობასაც. მაგალითად, ადარებდა რა ერთმანეთს ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებს, მათს სტრატეგიულ მნიშვნელობას, კაკასიის არმიის მაშინდელი

შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ი.პავლოვი რუსეთის იმპერატორისადმი გაგზავნილ თავის ოფიციალურ მოხსენებაში ასეთ რამესაც წერდა: „ბათუმი ყოველმხრივ პირველხარისხოვანია რუსეთისათვის და მისი დაკარგვა, მძიმე ტვირთად დააწვება სახელმწიფოს. მართალია ჩვენს მფლობელობაში არსებობს მეორე – ფოთის ნავსადგური, მაგრამ ამ ნავსადგურის შედარება ბათუმის ნავსადგურთან არ შეიძლება, საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ხელოვნურად შექმნილი ფოთის ნავსადგური ნამდვილად ვერ მისცემს რუსეთს გემებისათვის ისეთ თავშესაფარს, როგორც ბათუმის ნავსადგური.

ამდენად, ჩვენთვის ფოთის ნავსადგურს მხოლოდ მაშინ და იმ შემთხვევაში გაუჩნდება გარკვეული მნიშვნელობა-დანისნულება, თუკი ჩვენ კავკასიის სანაპიროზე არ გვექნება სხვა უფრო სტრატეგიული მნიშვნელობის ნავსადგური“.

ზუსტად ასეთივე შეხედულება გააჩნდა ბათუმის ნავსადგურზე სხვა რუს სამხედრო პირებსაც, რუსეთის გენშტაბის წარმომადგენელს, გენერალ-მაიორ სტაბინცკის მიაჩნდა, რომ... „მიუხედავად იმისა რა სტრატეგიული მნიშვნელობა არ უნდა გააჩნდეს ფოთსა და მის ნავსადგურს, ბათუმს გააჩნდა და ექნება კიდევაც მასზე მეტი მნიშვნელობა როგორც სავაჭრო, ასევე სამხედრო განხრით“.

ბათუმის ნავსადგურზე, მის მნიშვნელობა-სტრატეგიულობაზე ანალოგიური თვალსაზრისი გააჩნდათ რუსეთის როგორც სამხედრო-საზღვაო წარმომადგენლობაში, ასევე რუსეთის მთავრობაში.

რუსეთის კონსული ტრაპიზონში, ჯერ კიდევ ბერლინის ხელშეკრულების დადებამდე, სწერდა რუსეთის მთავრობას: „ბათუმში, ჩვენი, რუსეთის გემების გამოჩენამდე სავაჭრო ურთიერთობანი აქ მეტად სუსტად და უმნიშვნელოდ იყო განვი-

თარებული და აქ იშვიათად შემოპქონდათ რამე მნიშვნელოვანი სავაჭრო ტვირთი თუ საქონელი. ბათუმი მხოლოდ და მხოლოდ ერთგვარ თავშესაფარს წარმოადგენდა ტრაპიზონისაკენ მიმავალი გემებისათვის. ეს იყო და ეს...

ბათუმის გზით სანაოსნო ხაზის გახსნამ არსებითად შეცვალა ყოველი და ყველაფერი, ამიერიდან აქ ვაჭრობას ფართო, ინტენსიური ხასიათი მიეცა და ამჟამად სავაჭრო ბრუნვა ბათუმ-ტრაპიზონის ხაზზე 114039 მანეთს აჭარბებდა. ბათუმს გააჩნია პატარა, მაგრამ მეტად მყუდრო სტრატეგიული და უაღრესად მოსახერხებელი ნავმისადგომი. ამ მხრივ აქ რაიმე შეფერხებას ადგილი არ აქვს და ჩვენი გემები პირდაპირ შუა ქალაქში, ნავმისადგომთან ჩერდებიან.

დარწმუნებული ვარ, მომავალში, კავკასიაში ტრანსპორტის მოწყობის შედეგად ბათუმი მალე დაიკავებს ტრაპიზონის ადგილს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, რუსეთი რომ როგორმე რაიმეზე გაცვლით, ან კიდევ, თუნდაც შესყიდვის საშუალებით, შეიძენდეს ბათუმს, ეს ჩვენი ქვეყნისათვის მეტად ძვირფასი შენაძენი იქნება და ასეთ შენაძენს თავის ღროზე დიდი მნიშვნელობა ექნება არა მარტო სავაჭრო, არამედ, საერთოდ, წმინდა ეკონომიკური დამოკიდებულებისათვის“

* * *

რუსეთს ბათუმისა და მისი ნავსადგურის დანარჩუნების სურვილი და ოცნება 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ შეუსრულდა.

როგორც კი ბათუმის ნავსადგურის ამ სტრატეგიული ყურის დანარჩუნება მოახერხა, რუსეთის მთავრობა შეუდგა ყურის განახლებასა და ნავსადგურის სათანადოდ მოწყობის საქმეს. იმხანად ნავსადგურში სამუშაოდ მოვიდნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები საზღვაო საქმისა თუ სავაჭრო კომუნიკაციების მოგვარების სპეციალისტები, ინჟინრები, ეკონომისტები, და ასე შემდეგ.

1879 წლის მეორე ნახევარში მთავრობის სპეციალური გადაწყვეტილების საფუძველზე შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის მთავარ მიზანსა და მოვალეობას შეადგენდა შეემუშავენა ახალი პროექტი ნავსადგურის რეკონსტრუქციისა, კომისიაში შევიდნენ იმხანად ჩვენს ქალაქში მოღვაწე, ამ საქმის კარგად მცოდნე და ყოველმხრივ კომპეტენტური პირები. კომისიამ საკმაოდ დიდხანს და დაძაბულად იმუშავა, გასაკეთებელ-მოსაგვარებელი და გასათვალისწინებელი ბევრი რამ იყო და ამიტომ კომისიას დიდი დრო დასჭირდა პროექტის საბოლოო შემუშავებისათვის. კომისიამ დაწყებული საქმე მხოლოდ 1882 წლის დასაწყისში მოათავა და მთავრობას პროექტი განსახორციელებლად წარუდგინა.

ამ პროექტის განხილვასა და იქ არსებული ხარვეზების გამოსწორებაზე თვით პროექტის შედგენაზე ნაკლები დრო როდი დაიხარჯა.


ბევრი რომ არ გაეაგრძელოთ, პროექტი მხოლოდ 1884 წლისათვის იყო მზად. რაც შეეხება ამ პროექტის მიხედვით ახალი ნავსადგურის მშენებლობას, იგი დაიწყო მხოლოდ 1885 წლის მარტის თვეში.

როგორც კი ეს პროექტი მოქმედებაში შევიდა, 1885 წლის დასაწყისში, ჩვენს ქალაქში მცხოვრებმა ინჟინერმა, ამ საქმის დიდმა სპეციალისტმა გეორგ ალკოვიჩმა წარმოადგინა მის მიერ შემუშავებული ბათუმის ნავსადგურის გეგმა.

უნდა აღინიშნოს, რომ გეორგ ალკოვიჩის ეს გეგმა ფაქტიურად წარმოადგენდა 1883-1884 წლებში შედგენილი, განხილული და მოწონებული გეგმის შესწორებულ, უფრო დახვეწილ ვარიანტს. მაგრამ რატომღაც ალკოვიჩის ეს გეგმა მიღებული არ იქნა კომისიის მიერ...

* * *

რაკილა ნავსადგურის რეკონსტრუქციის პროექტებზე გვაქვს საუბარი, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ისიც, რომ არსებობდა ამ რეკონსტრუქციის შესამე პროექტი, რომელიც დანარჩენი ორისაგან გამოირჩეოდა თავისი გრანდიოზულობით, ბათუმის ადგილმდებარეობის, მისი კლიმატურ-ბუნებრივი თავისებურებების ზუსტი გათვალისწინებით.



ბათუმის ნავსადგურის სარეკონსტრუქციო სამუშაოები

ეს პროექტი ეკუთვნოდა იმხანად ბათუმში მეტად ცნობილ და პოპულარულ პიროვნებას, ბათუმის ყოფილ საზღვაო კომენდანტს კონტრ-ადმირალ გრევეს. ამ თანამდებობაზე მუშაობისას, გრევე, როგორც ამ საქმის ჩინებული სპეციალისტი, წლების განმავლობაში იკვლევდა ბათუმის ყურეს, მისხალ-მისხალ იხილავდა მას, ამუშავებდა მასალებს და ადგენდა ამ პროექტს.

თავის პროექტში გრევე საფუძვლიანად ამტკიცებდა და ფაქტების მოშველიებით ადასტურებდა, რომ ბათუმის პირობების, მდებარეობის გათვალისწინებით, აუცილებელია აიგოს ასეთი კონსტრუქციის დიდი ნავსადგური, რომელიც შესაძლებელს გაზღვის ზღვის ღელვისაგან და ქარისაგან დაიცვას ნავსადგურში მდგარი გემები, ამავდროულად ნავსადგური დაცული უნდა იყოს ყურეში ქვებისა და ღორღის დაგროვებისაგან, რომელიც, ცხადია, ხელს შეუშლის ნორმალურ ნაოსნობას.

გრევეს პროექტის მიხედვით ამ ჩანაფიქრის განხორციელებისათვის მეტად რთული და დიდი მოცულობის სამუშაოების ჩატარება გახლდათ საჭირო.

გრევე სამართლიანად მიანიშნებდა – იმისათვის, რათა ნავსადგური დაცული ყოფილიყო ასეთი ქვა-ღორღის შემოტანისა და მოსილვისაგან, საჭირო იყო აგებულიყო ორი მოლო, ანუ წყალქვეშა ჯებირი, ანუ ქვის მყარი კედელი. ეს ჯებირ-კედელი, ერთის მხრივ, საჭირო გახლდათ მდინარე ჭოროხის, მეორე მხრივ კი – მდინარეების – ბარცხანისწყლისა და ყოროლისწყლისაგან ჩამოტანილი ქვა-ღორღის შესაკავებლად.


ამავდროულად, გრევეს თავის პროექტში ბევრი სხვა რამეც ჰქონდა გათვალისწინებული, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გახლდათ ბრაკვატერის აგებაც, ამ ბრაკვატერს უნდა მოეხდინა ძლიერი ტალღებისა და დამანგრეველი ზემოქმედების გაუვნებელყოფა, ნავსადგურის დაცვა გარე ტალღებისაგან.

ВАРИАНТ № 1


Дальнейшее развитие существующей схемы размещения
БАТУМСКОГО ПОРТА

ПРОПУСКНАЯ СПОСОБНОСТЬ

- а) Нафтапродукция более 800 тыс. т/год
- б) Сульфурное 188 . . .



ბათუმის ნავსადგურის რეკონსტრუქციის პროექტი



ქვიშის გადაზიდვა ბათუმის ნავსადგურის რეკონსტრუქციისათვის

გრევეს ამ გრანდიოზული პროექტის სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში ბათუმის ნავსადგურის აკვატორიას უნდა შეედგინა 280 კვადრატული საფენი, სანაპიროს სატვირთო რაიონის სიგრძეს – ორი ათასი, ხოლო მოლოებსა და ბრაკვატერებთან ერთად, სულ ცამეტი ათასი საფენი.

მაგრამ გრევეს ეს პროექტი კომისიამ არ მიიღო. ცხადია, იგი მოწონებულ-იქნა, მაგრამ მაინც ვერ მიიღეს... და ვერ მიიღეს თავისი გრანდიოზულობის, თავისი მოცულობის გამო, იგი მოითხოვდა კოლოსალური სამუშაოების ჩატარებას, კოლოსალურ თანხებს, რუსეთის მთავრობას კი ამოედენა თანხა ნამდვილად არ გააჩნდა ამ საქმეში მოსახმარებლად.

სწორედ ამ თანხის უკმარისობის გამო კომისია იძულებული გახდა შეემცილებინა ნავსადგურის ზომები და შეეზღუდა ჩასატარებელ სამუშაოთა მოცულობა. კომისიამ ნავსადგურის რეკონს-

ტრუქციისას გაითვალისწინა ზოგიერთი დეტალი გრევეს პროექტიდან.

კონტრ-ადმირალი გრევე, მოგვიანებით, როგორც საზღვაო საქმის ჩინებული სპეციალისტი, დაინიშნა ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის უფროსად. ამ თანამდებობაზე გრევემ საკმაოდ დიდი ხანი დაჰყო – იმუშავა 1901 წლამდე, გარდაცვალებამდე.

იგი უნარიანად უძღვებოდა ნავსადგურს და მისი მზრუნველი ხელი ნამდვილად დაეტყო აქაურობას.

კონტრ-ადმირალი გრევე გარდაიცვალა ბათუმში, დასაფლავებულია წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის ეზოში.



კონტრ-ადმირალ გრევეს საფლავი ბათუმის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის ეზოში


გრიგოლ ვოლსკი

ხალხი, საზოგადოება, რომ არანაირად არ იეიწყებს საზოგადო მოღვაწეებს, თავის კეთილისმყოფელებს, იმ ადამიანებს, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს თავიანთი ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისათვის, ამის, მაგალითს სწორედ რომ ჩვენთვის მარად დაუვიწყარი გრიგოლ ვოლსკი წარმოადგენს.

გრიგოლი დიდი ხნის წინათ, 1909 წელს გარდაიცვალა და აგერ, მთელი 90 წელი გვაშორებს მასთან და მის მოღვაწეობასთან, მაგრამ ჩვენთვის, ჩვენი ქალაქის მცხოვრებლებისათვის (და არა მარტო ჩვენი ქალაქისა) დღესაც დაუვიწყარია და დღესაც კეთილი სიტყვით მოიხსენიებენ-ხოლმე მას.

სწორედ მისი ხსოვნის, სახელის არდავიწყებაზე, მის დაფასებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ დღეს ბათუმის ერთ-ერთი ქუჩა მის სახელს ატარებს, ხოლო იმ სახლზე, სადაც იგი ცხოვრობდა, მიკრულია მემორიალური დაფა...

გრიგოლი მამით პოლონელი გახლდათ, დედით კი ქართველი, რაღა თქმა უნდა, მას ძალიან უყვარდა თავისი სამშობლო – პოლონეთი და თავისი მშობლიური ხალხი – პოლონელები, მათი ეროვნული ჩვევები და ტრადიციები, მაგრამ ამ კაცის ცხოვრება ისე აეწყო და ისე წარიმართა, რომ მან მთელი თავისი შეგნებული, მოუსვენარი, ნაყოფიერი მოღვაწეობით აღსავსე ცხოვრება ჩვენი კუთხის – აჭარის კეთილდღეობას, მის აღორძინებას მოახმარა და შეაღია, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს კაცი ჩვენი კუთხისათვის დაიხარჯა და დაიღია.



გიორგი ვოლსკი

გრიგოლ ვოლსკი მართლაც მრავალმხრივი, ფართო დიაპაზონის საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე იყო, იგი გახლდათ ჩინებული ექიმი, პოეტი, პუბლიცისტი და მთარგმნელი, ენისა და ლიტერატურის დიდად მცოდნე, დიდი ორატორი, რომელსაც ხელეწიფებოდა დიდად საჭირო და სასარგებლო საქმის კეთება.

* * *

გრიგოლ ვოლსკი დაიბადა ქალაქ ქუთაისში, 1860 წელს, მოსამსახურის ოჯახში. მისი მამა იოსებ ვოლსკი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში. ამ დროის განმავლობაში მან ჩინებულად აითვისა ქართული წეს-ჩვეულებები, ქართული ტრადიციები და მისი თაყვანისმცემელი გახლდა, მას ძალიან უყვარდა საქართველო, ქართველი ხალხი და ამიტომაც იყო, რომ იგი საბოლოოდ დამკვიდრდდა ჩვენს ქვეყანაში. მან ცოლად შეირთო ქალაქ ქუთაისის მცხოვრები მაგდანა კეჟერაძე. გრიგოლი ადრე დაობლდა მამით — იოსები მაშინ გარდაიცვალა სრულიად მოულოდნელად, როდესაც გრიგოლი სულ ექვსი წლისა იყო. მარჩენალი და მოყვარული მეუღლის დაკარგვა მაგდანამ, ცხადია, ძალიან განიცადა, მაგრამ უკუღმართ ბედს ბოლომდე არ დაემორჩილა, გაუმაგრდა ბედისწერას, გაკერპდა და არსებობისათვის იწყო ბრძოლა. მან მთელი თავისი ზრუნვა, ფიქრი და ოცნება თავისი ერთადერთი ვაჟის, ობლად დარჩენილი გრიგოლის კეთილდღეობაზე, მის სათანადოდ აღზრდაზე გადაიტანა, დედის სურვილი იყო გრიგოლს როგორმე ესწავლა, განათლებული ადამიანი გამოსულიყო და ეკეთებინა მხოლოდ კეთილი, ხალხის, საზოგადოებისათვის საჭირო საქმეები. მას ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა ამ

სურვილის შესასრულებლად, მაგრამ თავისი ოცნების განხორციელება მაინც მოახერხა – გრიგოლს ჩინებული განათლება მიაღებინა, და რაც ყველაზე უფრო მთავარი და მნიშვნელოვანია, მან შვილი ნამდვილ ქართველ მამულიშვილად გაზარდა.

გრიგოლმაც, მხარი აუბა მას და თავადაც შეეცადა დედის სურვილის განხორციელებას, მან თავიდანვე აულო ალლო და გაითავისა, თუ რას ნიშნავდა სწავლა-განათლების მიღება.

ნიჭიერი და მუყაითი ყმაწვილი თანდათანობით ეუფლებოდა ცოდნის სათავეებს, უყვარდა წიგნი და ბევრსაც კითხულობდა, იგი არ კმაყოფილდებოდა მარტო სასკოლო, სასწავლო წიგნებით და თუკი რამ წიგნი ჩაუეარდებოდა ხელში, წაუკითხავს არ დატოვებდა.

სწორედ ამან – წიგნის ასეთმა სიყვარულმა, საბოლოოდ ჩამოაყალიბა იგი მცოდნე, განათლებულ და კულტურულ ადამიანად...

გრიგოლი ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე და ნიჭიერ მოსწავლედ ითვლებოდა მთელ გიმნაზიაში და ამის გამო აღმზრდელ-მასწავლებლებს ძალიან უყვარდათ იგი, დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ მას.

ქუთაისის გიმნაზიის წარმატებით დამთავრების შემდეგ გრიგოლმა სწავლის გაგრძელება ჩაიფიქრა – გადაწყვიტა მიეღო სამედიცინო განათლება. ამ სურვილით მან მიაშურა მოსკოვს. მცოდნე და კარგად მომზადებულმა ყმაწვილმა დიდი წარმატებით ჩააბარა გამოცდები და აი, მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლისას გრიგოლ ვოლსკის თაოსნობითა და ძალისხმევის შედეგად ჩამოყალიბდა ქართველთა სათვისტომო, რომელშიც გაერთიანდა ამ უნივერსიტეტში მყოფი ლამის ყველა ქართველი სტუდენტი. ეს სათვისტომო მეტად

აქტიურ და საჭირო საქმიანობას ეწეოდა იმხანად მოსკოვში მცხოვრებ ქართველ სტუდენტთა შორის.

უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ გრიგოლი საქართველოში დაბრუნდა.

ბელმა იგი ჩვენს ქალაქში ჩამოიყვანა, იმხანად ბათუმი ერთი პატარა, კეთილმოწყობილი, დაბის ტიპის ქალაქი გახლდათ, რომელიც კეთილმოწყობილი ქალაქის იერსახეს ნამდვილად ვერ ტოვებდა, აღნიშნულ პერიოდში ბათუმში მუშაობდნენ და ცხოვრობდნენ დავით კლდიაშვილი და ივანე მესხი.

გრიგოლ ვოლსკის ჩამოსვლას ბათუმში დავით კლდიაშვილი თავის წიგნში: „ჩემი ცხოვრების გზაზე“, ასე აგვიწერს: „ბელმა ბათუმში ჩამოაგდო რკინიგზაში მოსამსახურე ექიმი გრიგოლ ვოლსკი.

გრიგოლ ვოლსკიმ და მასთან ივანე მესხმა, სერგეი მესხის ძმამ, დიდი ამაგი დასდეს ბათუმს, დიდი სამსახური გაუწიეს ქართველობას და ბათუმის ყოველ მცხოვრებს.

მეუფის მთავრობა ჩაგრავედა და ათასნაირად ავიწროებდა მკვიდრთ. სომხობა ფულიანი ელემენტი იყო და მთავრობას ემხრობოდა. ბერძენი განზე იდგა. სამართლიანობის აღდგენა და წინააღმდეგობის გაწევა მჩაგვრელთა წინაშე წილად ხედებოდა ქართველობას და მან კიდევაც იკისრა ეს ბედისაგან დანაკისრი, ასრულებდა გულწრფელად და თავგამოდებით.

სათავეში იდგნენ, როგორც ვთქვი, გრიგოლ ვოლსკი და ივანე მესხი...“

გრიგოლ ვოლსკიმ ბათუმში ჩამოსვლისთანავე მუშაობა დაიწყო რკინიგზის ექიმად, საიდანაც მოგვიანებით სამუშაოდ გადავიდა როტშილდის ქარხანაში ასევე ექიმის თანამდებობაზე, მაგრამ ცხადია, თავისი მოუსვენარი და დაუდგრომელი ხასიათიდან გამომდინარე, აღნიშნული თანამდებობა მას არ აინტ-

ერესებდა. იგი თითქოსდა შინაგანად გრძნობდა, რომ იგი სულ სხვა საქმეების საკეთებლად იყო მოვლინებული, რომელიც სიკეთეს მოუტანდა გაჭირვებულ, ყველასაგან დაბეჩავებულ და დაბრიყვებულ ადამიანებს, განსაკუთრებით კი ქართველებს, რომელთაც მეფის რუსეთის პოლიტიკიდან გამომდინარე, ყველა ჩაგრავდა და ავიწროებდა, ყველა მისი თითის დამაქნევარი და მბრძანებელი იყო...

სწორედ იქ, როტშილდის ქარხანაში მუშაობისას გადაწყვიტა გრიგოლ ვოლსკიმ მტკიცედ და საფუძვლიანად – ყველაფერი ელონა და გაეკეთებინა იმისათვის, რათა ქართველებს შვება მისცემოდათ და მშვიდად ამოესუნთქათ როგორმე, საკუთარი ღირსება ეგრძნოთ და კუთვნილი ადგილი დაეჭირათ საზოგადოებრივი კიბის საფეხურზე.

დავით კლდიაშვილი, რომელიც ზედმიწევნით კარგად იცნობდა გრიგოლ ვოლსკის, ასე ახასიათებდა მას: „ვოლსკი განსხვავებული სიყვარულით მოიხსენიებდა ხოლმე დედამისს. სწავლა ქუთაისის გიმნაზიაში დაამთავრა და შემდეგ რუსეთში გააგრძელა საექიმო ფაკულტეტზე. ყმაწვილობაში წერდა ქართულად ლექსებს უმწიფარიძის ფსევდონიმით. ლექსებმა ხალხს ყურადღება მიაქცევინეს ახალგაზრდა პოეტზე და უმწიფარიძე საყვარელ პოეტად იყო ცნობილი. ამასთანავე მან მშვენიერად იცოდა ქართული და რუსული და ითვლებოდა საუკეთესო მთარგმნელად რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. ღრმად ნაკითხი, ცოდნით აღჭურვილი, მშვენიერი მოლაპარაკე, ოხუნჯი – დიდი სასიამოვნო მოსაუბრე იყო ყოველ შეკრებულობაში, ყოველ საზოგადოებაში. იდეალისტი, გულკეთილი, ღრმად მგრძნობიარე, ხალისიანი, იგი ძლიერ ადვილად იზიდავდა ყოველ შემხვედურს. მებრძოლი ხასიათის მქონე, იგი გაბედული და შეუდრეკელი იყო ბრძოლაში. როცა მან საესები

დაინახა ყოველივე უსამართლობა და უკუღმართობა, რაც გამეფებული იყო გარშემო, გადაწყვიტა ყოველი ღონე ეღონა, რომ ბათუმში ცხოვრების პირობები სხვაგვარ ნიადაგზე დაეყენებინა. ამისათვის საჭირო იყო ქალაქის თვითმმართველობის ხელში ჩაგდება და საზოგადო ასპარეზზე გამოყვანა ისეთი პირებისა, რომელნიც მგლურ ხასიათს დაშორებული იყვნენ. მან ივანე მესხთან ერთად შეადგინა მთელი გეგმა იმისი, თუ რა გზით მიშველებოდნენ იმ ხალხს, რომელსაც ისროდა სოფელი ქალაქისაკენ, რა ღონით გაეადვილებინათ ახალ ადგილზე ახალი ცხოვრების მოწყობა. ფულიანები იყვნენ გარეშენი და ყოველ ღონეს ხმარობდნენ თავისებურად გამოეყენებინათ აქაური უსახსრო ხალხი. ამის გასანელებლად ვოლსკი და მესხი ეცადნენ, რომ გახსნეს თითქმის მხოლოდ ქართველებისაგან შემდგარი საურთიერთო კრედიტის საზოგადოება...“

ეს საზოგადოება დიდად აითვალწუნა თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილებამ, მაგრამ გრიგოლ ვოლსკისა და ივანე მესხის მცდელობამ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი თავის ადგილას დააღაგა.

გრიგოლ ვოლსკი და ივანე მესხი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმხანად ბათუმში მოდინებული სოფლის მოსახლეობის შვილებისათვის სწავლა-განათლების მიღების საქმეს. სწორედ ამაზე წერს დავით კლდიაშვილი:

„მეტად საჭირო იყო ჩამოსახლებულთათვის სასწავლებლის მიწვდენა მათი შვილებისათვის, სასწავლებელი უფასო, ვინაიდან პატრონები უსახსრონი იყვნენ უმეტეს წილად, ბათუმში არსებობდა წერა-კითხვის საზოგადოების სკოლა, მაგრამ იგი მეტად ღარიბი იყო და მოუწყობელი, ძლივს დაფუძავდა სულს, მას ინახავდა წერა-კითხვის საზოგადოება და ხანდახან ადგილობრივი იმართებოდა სკოლის სასარგებლოდ წარმოდგენა, მაგრამ აქედან

ისე ცოტა შემოსდიოდა სასწავლებელს, რომ ერთ მასწავლებელსაც ძლივძლივობით ისტუმრებდა. ამის დასაძლევად და სკოლის გასაღონიერებლად ვოლსკიმ და მესხმა გადაწყვიტეს ყოველწლიურად, თოთხმეტ იანვარს, ნინობას, სასწავლებლის სასარგებლოდ განსხვავებული საღამოს მართვა. პირველი საღამო არაჩვეულებრივი რამ იყო ბათუმისათვის, თითქმის სამი თვე დასჭირდა მის მოწყობას, მაგრამ შრომას ტყუილად არ ჩაუვლია და საღამომ დიდებულად ჩაიარა...“

ამ საღამოზე სპეციალურად მოიწვიეს აკაკი წერეთელი, რომლის ჩამოსვლამაც დიდძალი მაყურებელი მოიზიდა და ამის შემწეობით საკმაო თანხაც შემოვიდა დამსწრე საზოგადოებისაგან: სულ შეიკრიბა სამი ათასი მანეთი, რამაც საშუალება მისცა სკოლას ფეხის მომაგრებისათვის.

ამის შემდეგ გრიგოლ ვოლსკიმ იმაზე დაიწყო ზრუნვა, თუ როგორ მოეხერხებინა, რომ სკოლას საკუთარი შენობა ჰქონოდა.

მოვეუსმინოთ ისევ დავით კლდიაშვილს. იგი გვიამბობს: „... ამისათვის თბილისიდან დაიბარეს წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ამხანაგი ნიკო ცხვედაძე, ენერგიით საესე ნიკო ჩამოვიდა ბათუმში, მოუყარა სკოლის ეზოში ქართველობას თავი და მისებური, მხურვალე სიტყვით მიმართა ყრილობას, რომ შესდგომოდნენ სასწავლებლისა და მასწავლებლებისათვის შენობის აგებას. კეთილი განზრახვით მიმართული სიტყვა კეთილად დამთავრდა. ყველამ აღუთქვა დახმარება ამ საქმეში წერა-კითხვის საზოგადოებას, ვინ ფულით, ვინ საშენი მასალით, ვინ პირადი მუშაობით. საქმე ისე გაჩაღდა, რომ მეორე წელიწადს სასწავლებელს უკვე მზად ჰქონდა სამაგალითო დიდი შენობა, მშვენივრად გაწყობილი ცალკე ბინები მასწავლებლებისათვის. სასწავლებელს შეეძლო დაეჭია ორასამდე მოსწავლე და მალე კიდევ მიაღწია ამ რიცხვამდე მოსწავლეთა რაოდ-

ენობამ. სასწავლებელი მშენიერად იყო დაყენებული და დიდ სიმპატიას იწვევდა ხალხში. სწავლა ისე ჩინებულად იყო დაწყებული, რომ შემდეგი მეოთხე განყოფილებიდან ყოველ წლოვობით ათი-თორმეტი მოსწავლე გადადიოდა იქაური შემზადებით ბათუმის გიმნაზიაში.

ამ სასწავლებლის ფეხზე დაყენებაში, მის მატერიალურად მოლონიერებაში დიდი მუყაითობა და შემწეობა აღმოუჩინეს ვოლსკის და მესხს ექვთიმე გერმენიშვილმა და ნიკო საბაევმა. ორივე უანგაროდ, გულწრფელად ეყიდებოდა სასწავლებლის საქმეს და მათ შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია – ბათუმის წერაკითხვის სკოლამ დიდძალი შეგნებული ახალგაზრდობა მისცა ხალხს“

* * *

გრიგოლ ვოლსკი საქმეში მეტად შემტევი, უშიშარი პიროვნება გახლდათ, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ ზემოთ. მან კარგად იცოდა, რომ თუკი ქალაქის თვითმმართველობაში ქართველ ხმოსანთა რაოდენობა გაიზრდებოდა, ამით ქართველ მცხოვრებთა სასარგებლოდ დიდ, საშვილიშვილო საქმეს მოებმებოდა თავი.

სწორედ ამიტომაც იყო, რომ იგი 1895 წლის ქალაქის თვითმმართველობის არჩევნებში, ივანე მესხთან, დავით კლდიაშვილთან და სხვა ადგილობრივ ქართველ პატრიოტებთან ერთად, მეტად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა წინასაარჩევნო სააგიტაციო მუშაობაში. სწორედ მისმა და სხვა პატრიოტთა ასეთმა აქტიურობამ და დაჟინებულმა ძალისხმევამ შესაძლებელი გახდა ქართველთა გამოღვიძება, რომლებიც მანამდე ფიქრობდნენ, რომ ისინი მართლაც უძლურნი არიან და მათ ნამდვილად არ

შესწევთ ძალა და უნარი ქალაქის არჩევნებში გამარჯვებისა, უძღურობის, სისუსტის, შეუძლებლობის რწმენას, კი მათში ნერგავდნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც ბათუმში დიდ კაპიტალს ფლობდნენ და ფულის, სიმდიდრის საშუალებით ყველაფერს აკეთებდნენ.

გრიგოლ ვოლსკისა და სხვა მისთანა პატრიოტების მიერ დარაზმულმა და გათვითცნობიერებულმა ქართველებმა ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა გამოიჩინეს ყური, ამოძრავდნენ და დიდ გამარჯვებასაც მიაღწიეს: – 35 ხმოსანიდან ქართველებმა გაიყვანეს უმაღლესი – 19 მონაწილე, რითაც თვითმმართველობაში უმეტესობას მიაღწიეს.

დავით კლდიაშვილი ასე აღგვიწერს გრიგოლ ვოლსკისა და სხვა ქართველთა ბრძოლას ამ გამარჯვების მისაღწევად: “... 1895 წელს უნდა მომხდარიყო ქალაქის არჩევნები ახალი საქალაქო დებულების საფუძველზე. აი, აქეთკენ იყო საჭირო მუშაობის გამოწყობა, რომ ქალაქის მმართველობისათვის ჩამოეშორებინათ ჭრელი ხალხი და ჩამდგარიყვნენ ისეთები, რომელთაც გული ეწოდათ აქაურობისათვის და მათი ბედ-იღბალი აინტერესებდათ, მათ უნდა გაეღვიძებინათ მოსახლეობის დაჩაგრული ნაწილი. ასეთ დაჩაგრულ ნაწილს სწორედ ქართველობა შეადგენდა, რომლებსაც ყველგან გზას უღობავდნენ და უკან აყენებდნენ, რომელიც მეტიხმეტად უპატივცემულობაში იყო.

კაიანდრა, ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელი, რომელიც ქართველებს დაურიდებლად „გოლოვოტიპებს“ ეძახოდა, დარწმუნებული იყო, რომ არჩევნები თავისი მომხრეების სასარგებლოდ დამთავრდებოდა. სომხები კი ფიქრობდნენ თავისი კაცის გაყვანას ქალაქის თავად და ამისათვის კიდევაც ჩამოიყვანეს ბათუმში სამსახურიდან გადამდგარი გენერალი ვილაც ბებუთოვი და დიდის ამბით ასეირნებდნენ ბულვარში ხალხი-

სათვის დასანახვებლად. მისი კანდიდატურის სიძლიერე ისე შეთვისებული ქქონდათ, რომ ბათუმში ცნობილი დელი (გიჟი) მაიორი ტერ-ასატუროვი დაუფარავად, ხმამაღლა ამბობდა: — ბათუმში ქალაქის თავი ან სომეხი, ან ქართველი უნდა იქნეს, მაგრამ ქართველებს ამისათვის კაცი არ მოგეძებნებათ და, შეილებო, არც უნარი გაქვთ საამისო, ამიტომ ჩვენ, სომხებს, გერჩება სათავეში ჩადგომა. ამაზე უკეთეს კაცს თქვენ ვერ იპოვითო! — თავხედურად გაიძახოდა ამას, რადგან ყველანი თამამად წიხლავდნენ ჩვენებს.

ამას ბოლო უნდა მოღებოდა და ვოლსკიმ კიდევაც მოულო. იგი შეუდგა გაცხარებულ მუშაობას, რომ მომავალი არჩევნებით ქალაქის თვითმმართველობაში რაც შეიძლებოდა მეტი ქართველობა მოექცია და გარეშეთგან საუკეთესო პირები. მუშაობა ამისათვის უნდა წარმოებულყო დაფარულად, გაუნმაურებლად, საჭირო იყო საქმის დაჭერა თავიდან მხოლოდ სანდო პირებთან, ჯერ ამათი შეჯგუფება. შემდეგ ნელ-ნელად გაშლა, მომხრეთა სიფრთხილით მონახვა, რომ არ გახმაურებულიყო განაზრახნი. საჭირო იყო დაჯერება, რომ დასახული მიზანი მიღწეული იქნებოდა. ამას დიდი მეცადინეობა ესაჭიროებოდა, რადგან ქართველობაში ის აზრი ტრიალებდა, რომ ჩვენ ულონონი ვართ, უძლურნი და მომუშავე ძალებს მოკლებული. უიმედობა, თავის-თავის უნდობლობა ძალზე გამჯდარიყო ქართველობაში. ამის გაქარწყლებისათვის საჭირო იყო ყოველი ღონე ეხმარათ. ყოველი ფეხის გადადგმაზე გაისმოდა შიშის ხმა, რომ უარეს მდგომარეობაში არ ჩავვარდეთ, რომ უფრო არ გადავიმტეროთ სხვებიო, რაკი გაიგებენ, თუ რა მიზნები დაგვისახავსო. ამგვარი შიში მძლავრად ისმოდა თავიდან, მაგრამ ვოლსკის და მესხის მოხერხებული მოქმედება და სიტყვა თანდათან მეტ და მეტ მომხრეებს პოულობდა და თანამგრძნობთა რიცხვს

ემატებოდა. აქ მთელი შეთქმულება წარმოებდა, ნამდვილი შეთქმულება.

როცა თანამოაზრეთა საკმაო რიცხვი შეიქმნა, გადაწყვეტილება მიიღეს შემოეერთებინათ ბერძენთა ამომრჩევლები. დიდი მოხერხებით მიაღწიეს იმას, რომ მოლაპარაკება ჩამოაგდეს გაე.ლენინიან ბერძენთა ამომრჩევლებთან იანკო ბენლისისთან. დიდი სიფრთხილე იყო საჭირო მასთან მოლაპარაკების დროს. მასსოვს, როგორ ლელავდნენ ვოლსკი და მესხი იმ საღამოს, როცა ბენლისის მოსვლას უცდიდნენ მელიტონ ლორთქიფანიძის ბინაზე. ღამე იყო, როცა ბენლისი მოვიდა. მოლაპარაკება გაგრძელდა რამდენიმე საათს. ნიშნები კარგი იყო. რამდენიმე დღის შემდეგ ბენლისი ისევ უნდა მოსულიყო და თან მოეყვანა ორი-სამი თავისი ამხანაგი. ესეც იქნა – დანიშნულ დღეს ისევ საიდუმლო მოლაპარაკება კარჩაკეტილში, ნამალავად ასეთი კრებები ღამლამობით ხშირად იმართებოდა. საქმე სასურველადაც დამთავრდა. ბერძნები არჩევნებში შეუერთდნენ ჩვენებს იმ პირობით, რომ ქართველი ამომრჩევლები გაიყვანდნენ ხუთ ხმოსანს. საიდუმლოდ წარმოებული მუშაობა წარმატებით მიდიოდა. არჩევნების დღეს იმედიანად შეჰყურებდნენ და ეს იმედიც ბრწყინვალედ აღსრულდა“.

* * *

გრიგოლ ვოლსკიმ, როგორც გამოცდილმა და ჭკვიანმა კაცმა, კარგად იცოდა, რომ ეს გამარჯვება დიდს არაფერს ნიშნავდა და ნამდვილი გამარჯვებისათვის საჭირო იყო ბოლომდე ბრძოლა და დიდი ძალისხმევა და, რაც მთავარია, საჭირო გახლდათ ქალაქის თავად ქართველი კაცი გაეყვანათ...

არჩევნებში ამ პირველმა გამარჯვებამ ქართველობას იმედი ჩაუსახა, თავისი ძალა და შესაძლებლობა ირწმუნა და უკეთესი შერმისისათვის იწყო ფიქრი.

ვოლსკიმ იცოდა, ახლა საჭირო იყო ისეთი კანდიდატის სასწრაფოდ გამოძებნა, რომელსაც ექნებოდა დიდი ავტორიტეტი და სახელი როგორც ხალხში, ასევე მთავრობაში. ბოლოს და ბოლოს დიდი ფიქრის, ბჭობისა და ძებნის შემდეგ ასეთი კანდიდატი აღმოჩენილი იქნა კიდეც – ილია ჭავჭავაძის რეკომენდაციით არჩევანი შეაჩერეს ლუკა ასათიანზე, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა ქუთაისის ქალაქის თავად და გააჩნდა დიდი გამოცდილება ქალაქის სახალხო მეურნეობის გაძლოლის საქმეში და ამავდროულად უზარმაზარი ავტორიტეტი. ასე რომ, ამ პოსტისათვის მასზე უკეთეს კანდიდატურას ნამდვილად ვეღარ იპოვიდნენ...

ქართველების პარალელურად ასევე ემზადებოდნენ მოწინააღმდეგის ბანაკშიც...

ქართველების ამ მოულოდნელმა გამარჯვებამ თვითმმართველობის არჩევნებში ცივი წყალი გადაავლო სომეხ და რუს ამომრჩევლებს, ამ ფაქტმა ისინი დიდად გააღიზიანა და რევანშისათვის განაწყო. ამიტომაც ისინი გაორკეცებული ენერჯით და მონღოლებით შეუდგნენ ქალაქის თავის არჩევნებისათვის მზადებას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც – ქართველობაში, ქალაქის თავის საჭირო კანდიდატურის გამოძებნისას მოულოდნელმა განხეთქილებამ იჩინა თავი.

მოგუსმინოთ დავით კლდიაშვილს: „სამწუხაროდ ამ საკითხმა განხეთქილება გამოიწვია ისევე ქართველ ხმოსნებში, ზოგი იმ აზრით იყვნენ, რომ ქალაქის თავად უსათუოდ რუსი უნდა ყოფილიყო, რომ მთავრობის გული მოეგოთ, ზოგი კი ამ აზრს

დაადგენენ, რომ რაკი ქართველები ჩადგა თვითმმართველობის სათავეში, ქალაქისთავი უსათუოდ ქართველი უნდა ყოფილიყო, ერთგული აღმასრულებელი დასახული მიზნებისა...“

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ბოლოს და ბოლოს აქაც იმარჯვა გრიგოლ ეოლსკის, დავით კლდიაშვილისა და ივანე მესხის ტაქტიკურმა, შორს გამიზნულმა პოლიტიკამ. მათმა ერთობლივმა ძალისხმევამ განაპირობა არჩევნებში ხმების უმადლესი რაოდენობით ლუკა ასათიანის გამარჯვება, რომელსაც ქუთაისის ოლქის გენერალ-გუბერნატორი დიდ პატივს მიაგებდა. ლუკა ასათიანმა დიდად გაამართლა ამომრჩეველთა იმედები და ბათუმს მართლაც დიდი საქმეები გაუკეთა.

ბათუმის ქალაქის თავად ქართველი კაცის არჩევას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ჭავჭავაძე, სწორედ ამიტომაც იყო, რომ არჩევნებზე დასასწრებად ილია სპეციალურად ჩამოვიდა თბილისიდან და ერთი წუთითაც კი არ მოშორებია საარჩევნო ყუთს. და ეს მაშინ, როდესაც ილიას, თანამედროვეთა გადმოცემით, არ უყვარდა რეგიონებში მოგზაურობა და მას სახლში მჯდომარე კაცს ეძახდნენ. სწორედ ამასვე ამტკიცებს მწერალი და საზოგადო მოღვაწე სოფრომ მგალობლიშვილი, როდესაც წერს: „ილიას ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა: შინ მჯდომი იყო, გასვლა და მოვლა საქართველოს კუთხეების არ უყვარდა. როდესაც აკაკი ყველა წელს შემოივლიდა ხოლმე მთელს საქართველოს, ილია თავის საგურამოს არ გამოსცილდებოდა... ოცი წელი ვიცხოვრე გორში და ერთხელაც არ მინახავს ილია ჩვენთან მოსული“

ბათუმში კი ჩამოვიდა... ჩამოვიდა მიტომ, რომ ასე მიაჩნდა საჭიროდ, რომ აქ დიდი, ეროვნული, სამომავლო საქმე კეთდებოდა და მისი ჩარევა და მონაწილეობა ამ საქმეში აუცილებელი იყო...

ლუკა ასათიანთან ერთად გამგეობის წევრებად აირჩიეს აგრეთვე გრიგოლ ვოლსკი და ი. ივანოვი, ქალაქის საბჭოს მდივნად კი ივანე მესხი.


ქართველების უმრავლესობით დაკომპლექტებულმა ქალაქის თვითმმართველობამ ბევრი სიკეთე მოუტანა ქალაქ ბათუმს, რამაც აქაურ მაცხოვრებელთა დიდი სიხარული გამოიწვია. ამ აღაძვირებელმა ნამდვილი, კეთილსინდისიერი შრომა-გარჯით, საჭირო და სასარგებლო საქმეების კეთებით ხალხის დიდი სიყვარული, პატივისცემა და ნდობა დაიმსახურეს.

სწორედ ამის შესახებ წერდა 1898 წლის 15 ოქტომბრის „ცნობის ფურცელი“ თავის 654-ე ნომერში: „წარსულმა მაგალითმა თვალსაჩინოდ და აშკარად დაამტკიცა, რომ ქართველობამ ბათუმს ბევრი სიკეთე შესძინა. ეს სიკეთე დღეს ბათუმელების სასარგებლოდ უხვად მოფენილია ყველასათვის, გვარ-ტომობის განურჩევლად: გიმნაზია, საზოგადო შენობები, შემოსავლის გაძლიერება, ნახევარ მილიონზე მეტი იაფსარგებლიანი სესხი და სხვა.

ყოველივე ეს განახორციელა ქართველობამ, მათმა ამორჩეულმა პირებმა — ხმოსნებმა და განსაკუთრებით გამგეობამ, რომელშიც შედიოდნენ ლ.ასათიანი, გრ.ვოლსკი, ივ.მესხი და სხვანი“

ლუკა ასათიანის ქალაქის თავად არჩევამ დიდი შფოთი და უკმაყოფილება გამოიწვია ქალაქის რეაქციულ ძალებში, ბოლშევიკთა და შურით გატენილმა ამ ძალებმა ქართველების მიმართ გააჩაღეს ნამდვილი შოვინისტური კომპანია.

სწორედ ამის შესახებ წერს დავით კლდიაშვილი: „განსაკუთრებით მტრულად შეხვდნენ მას (ლუკა ასათიანს — თ.კ.) ბათუმში პირველივე დღიდანვე. ბათუმში არსებული მონარქისტული გაზეთი, საზიზღარი გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი“ ყოველდღე უშვერად ილანძღებოდა და ტალახს ისროდა.



ლუკა ასათიანი

გათახსირებული რედაქტორი პალმი არას ვერიდებოდა ასათიანის და ვოლსკის შეურაცხყოფისათვის ასათიანს მან დაარქვა ლუკერია (გადააკეთა ლუკა) და უწერდა საოხუნჯო ლექსებს, არაკებსა და ამგვარებს. ასათიანი ხმას არ სცემდა, იგი მუშაობაში იყო ჩართული, ვოლსკი კი, რომელსაც პალმი ვერ გაუტოლდებოდა ოხუნჯობაში, სწორედ ისეთ რამეს იოხუნჯებდა პალმზე საზოგადოებაში, რომ განაგონით პალმი გულზე სკდებოდა. საოცარი ტიპის კაცი იყო ეს პალმი. ქართველები რომ შეეჭამა, ეს იყო მისი წადილი. სანამ ჩამოეთესლებოდა ბათუმში, ცხოვრობდა თბილისში, თამაშობდა ოპერეტკაში კომიკურ როლებს და კორესპონდენციებს ათავსებდა სუვორინის „ნოვოე ვრემიაში“, „ზატერიანის“ ფსევდონიმით. ეს კორესპონდენციები პირდაპირი დაბეზლება იყო ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის, დაურიდებელი, უსინდისო და უნამუსო შავრაზმელს ყველა სძულდა რუსის გარეშე და, როგორც ეტყობოდა, მთავრობაც ხელს უწყობდა ასეთ მოღვაწეობაში“

მაგრამ მარტო პალმი როდი იყო ასეთი. ასეთ ქმედებაში მას თუ არ სჯობნიდა, ყოველ შემთხვევაში. ტოლს არ უდებდა ინჟინერი ზრდილოვსკი, ტომით პოლონელი, როტშილდის ქარხნის ინჟინერი. როგორც თავად კლდიაშვილი აღნიშნავს, იგი გახლდათ მეტად ამაყი, უკარება, ქართველობის დიდად მოძულე. მისი წყალობით ამ ქარხნის სამმართველოს კარები მჭიდროდ გახლდათ დახშული ქართველობისათვის. ამ კაცს დიდი გავლენა და წონა გააჩნდა საზოგადოებაში, ქალაქის გამგეობაში, სადაც იგი ხმოსანი გახლდათ. ცხადია, მას დიდად ეწყინა ქართველების გამარჯვება არჩევნებში და იქედან მოყოლებული სულ იმის ცდაში იყო, რომ როგორმე ეპოვა შემთხვევა და დაემცირებინა, ლაფში გაესვარა ქართველობა, დაემცირებინა ქალაქის ახალი გამგეობა.

ამ პირწაკარდნილ შოკინისტს არც ხმოსნები – გრილევსკი და ბოგოსლოვსკი ჩამოუვარდებოდათ.

ქართველები ხვდებოდნენ, რომ საჭირო იყო ამ რეაქციონერთა დროული ალაგმვა, მათი ჩაჩუმება და თავის ადგილას დასმა. მათ შემოტევას შემოტევეითვე უპასუხეს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა გრიგოლ ვოლსკი, რომელიც მუდამ მზად იყო იმისათვის, რათა მათთვის საკადრისი და საჭირო პასუხი გაეცა. იგი ეძებდა შესაფერის შემთხვევას, რათა საბოლოოდ გაენადგურებინა ზრდილოვსკი და მისთანები ასეთი შემთხვევა მას მიეცა და ბრწყინვალედ გამოიყენა კიდევაც ერთ-ერთ კრებაზე სიტყვით გამოსულმა ზრდილოვსკიმ ჩვეულებრივ თავისი მჭევრმეტყველური სიტყვით გააქიქა ქალაქის გამგეობის მიერ მიღებული რომელიღაც განკარგულება და თავისი გამოსვლა ასეთი სიტყვებით დაასრულა: – მოიო სერდცე კროვიუ ობლივაეტსია, კოგდა ვსპომინაიუ ეტო რასპორიაჟენიე!

ვოლსკიმ ჯერ აცალა მას სიტყვის დამთავრება, შემდეგ კი თავისებურად შეუდგა მისთვის საკადრისი და საჭირო პასუხის გაცემას და თავისი სათქმელი ასეთი სიტყვებით დაასრულა. – ია ნე ზნაიუ ობლივაეტსია ლი ვაშე სერცე კროვიუ, ნო ჩტო ონო ობლივაეტსია როტშილოვსკოი ნეფტიუ, ეტო ხოროშო ზნაიუ!

გრიგოლ ვოლსკის მხრიდან ეს იყო დიდი გაბედულება, დიდი ვაჟკაცობა.

სწორედ ამას აღნიშნავს დავით კლდიაშვილიც.

„ზრდილოვსკის ვინ გაუბედავდა ამგვარ შეურაცხყოფ სიტყვას, ვინ შეკადრებდა ამისთანა სიტყვით მიმართვას! ეს ჩამოთრევა იყო ამ მძლავრი დიქტატორისა იმ სიმალლიდან, საიდანაც ის გულდიდად დასჩერებოდა ქვევით, დარწმუნებული, რომ ყველანი მის წინაშე თრთიან და ძაგძაგებენ. ვოლსკიმ

ჩამოათრია იგი ამ სიმაღლიდან და ყველას დაანახა, რომ ამ ამაყი, მედიდური კაცის შეხებაც შეიძლება და რომ იგი არც ისე საშიშია, როგორც წარმოდგენილი და მიჩნეული ჰყავდათ.

ამგვარ მძლავრთა ჩამოქვეითებაში ღიდი მარჯვე და მოხერხებული იყო ვოლსკი. ზრდილოვსკისადმი მოქცევამ ხომ მთელი ქალაქი აალაპარაკა, ყველას უკვირდა ვოლსკის გაბედულება და თან იცინოდნენ მის სიტყვებზე“

ზრდილოვსკისა და სხვა მისთანათა ასეთმა გაბაიბურებამ, მასხრად აგდებამ და დაცინვამ შოვინისტთა ძალების აბოხოქრება გამოიწვია. მათ არ აპატიეს ეს გრიგოლ ვოლსკის და დაიწყეს მის მიმართ კიდევაც მასიური, გაუთავებელი, ცილისმწამებლური და ბინძური კომპანია. ყოველივე ამას, ცხადია, ღიდად უწყობდა ხელს პალმი და მისი შოვინისტური გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი“ ბოლოს საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ამ საქმით თვით ქუთაისის გებურნატორიც დაინტერესდა, რომელმაც ითხოვა საქმის დეტალური გამოძიება და დამნაშავეის დასჯა.

გრიგოლი მიხვდა, რომ საქმე მის სასიკეთოდ არ წარიმართებოდა და ამიტომაც დროულად მიიღო საჭირო ზომები. იგი ჩავიდა თბილისში და მოახერხა კაკეასიის მეფისნაცვლის თანაშემწის გენერალ მალამას მონახულება. გრიგოლი ესაუბრა გენერალს და მოახერხა კიდევაც მისთვის დამახასიათებელი მჭევრმეტყველებითა და ჭკვიანური პასუხებით გული მოეღბო გენერლისათვის. მალამამ, გრიგოლ ვოლსკის დაცვის მიზნით იკისრა შუამდგომლობა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან.

ასეთი მხარდაჭერით დაიმედებულ-დამშვიდებული გრიგოლი ბათუმში დაბრუნდა და თავისი საქმე-საკეთებელი განაგრძო.



მარჯვნიდან პირველი ზის ივანე მესხი,
დგას გრიგოლ ვოლსკი და მისი დები

* * *

გრიგოლ ვოლსკის ნამდვილი მეგობრობა აკავშირებდა ილია ჭავჭავაძესთან. იგი გახლდათ ილიას პოლიტიკის ცხოვრებაში ერთ-ერთი უპირველესი გამტარებელი, ილიას შეხედულებებითა და იდეებით მოღვაწე კაცი, რომელიც ასე აფასებდა ილიას ღვაწლს, დამსახურებას, მის ძალისხმევას ქართველთა და საქართველოს საკეთილდღეოდ. გრიგოლს ილია თავის მოძღვრად, გზის მასწავლებლად და დიდ დამრიგებლად მიაჩნდა, ამიტომაც იყო, რომ გრიგოლი უდიდეს პატივს სცემდა ილიას და, თავის

მხრივ, ილიაც. ამჩნევდა რა გრიგოლის საქართველოს, ქართველთა სასიკეთოდ შრომა-საქმიანობასა და ძალისხმევას, დიდად აფასებდა მას, აძლევდა საჭირო რჩევა-დარიგებებს, მითითებებს და სჯეროდა, რომ გრიგოლი ყველაფერს გააკეთებდა, ყველაფერს მიაღწევდა.

ილია ბათუმში ჩამოსვლისას ყოველთვის გრიგოლ ვოლსკის მყუდრო სახლში პოულობდა ღამის გასათევსა და თავშესაფარს.

იმ სახლზე (მემედ აბაშიძის გამზირი №52), სადაც ცხოვრობდა გრიგოლი და - ჩერდებოდა ბათუმში საქმეების მოსაგვარებლად ჩამოსული ილია, ამ სტრიქონების ავტორის მიერ გაკრულია მემორიალური დაფა ილიას გორელიეფით. ასევე გათვალისწინებულია უმოკლეს დროში ამ სახლში გაიხსნას ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, რომლისთვისაც უკვე მომზადებული მაქვს ყველა ექსპონატი.

გრიგოლ ვოლსკი ილიას რეკომენდაციით ბათუმში ხელმძღვანელობდა სრულიად საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის განყოფილებას. სწორედ ამიტომაც, სხვა თუ არაფერი, გრიგოლს ლუკა ასათიანთან ერთად უდიდესი ღვაწლი და ამაგი მიუძღვის ბათუმში განათლებისა და კულტურის წინსვლისა და აღორძინების საქმეში. სწორედ გრიგოლ ვოლსკის დიდი აქტიურობით, მონღომებითა და ძალისხმევით შედეგად გაიხსნა ჩვენს ქალაქში საქალაქო სასწავლებელი, ქალთა და ვაჟთა გიმნაზიები, ბიბლიოთეკა და რამდენიმე დაბალი საფეხურის სკოლა ცალ-ცალკე ყველა ეროვნებისათვის.

აქვე, არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ გრიგოლ ვოლსკის განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის სკოლებისა და გიმნაზიების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში. იმხანად, ქალაქის ბიუჯეტის შემოსავალი მთლიანად კი არაა, ნაწილობრივაც ვერ ფარავდა განათლების სისტემის

მოთხოვნილებებს და განათლების სისტემა ამის გამო მეტად სავალალო მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. აუცილებლობა მოითხოვდა ახლად შექმნილი სკოლებისა და გიმნაზიებისათვის აშენებულიყო სასწავლო კორპუსები სათანადო აღჭურვილობითა და საჭირო ინვენტარით, ხოლო მასწავლებლებისათვის – ბინები და საერთო საცხოვრებლები, საჭირო იყო აგრეთვე მასწავლებლებისათვის დაენიშნათ მაღალი ხელფასები. ეს მასწავლებლები მოწვეული გახლდათ რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან და თუკი მათ სათანადო ანაზღაურება არ მიეცემოდათ, ცხადია, აქედან წავიდოდნენ.

სწორედ ამ რთული, ძნელად გადასაწყვეტი საქმის მოგვარება აიღეს საკუთარ თავზე გრიგოლ ვოლსკიმ და ივანე მესხმა.

გრიგოლ ვოლსკიმ ყველაფერი გააკეთა ამ ურთულესი საკითხების მოსაგვარებლად და მიიღწია კიდევაც თავისას: საჭირო თანხების მოზიდვისა და ამოღების მიზნით, გრიგოლ ვოლსკისა და ივანე მესხის ხელმძღვანელობით ბათუმში სისტემატურად იმართებოდა საქველმოქმედო საღამოები, თეატრალური წარმოდგენები, კონცერტები, რომლებშიაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ თბილისისა და ქუთაისის მსახიობები, ცნობილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები.

ამ ღონისძიებების გატარების შედეგად შემოდიოდა საკმარაოდენობის თანხა, რომელიც ძირითადად ქალაქში განათლების აღორძინების, სკოლებისა და გიმნაზიების კეთილმოწყობის საქმეს ხმარდებოდა. ამის პარალელურად ტარდებოდა ასევე სხვა ღონისძიებებიც – მაგალითად, ქალაქში ქართული სკოლების გახსნისა და მათი მშენებლობისათვის შემოწირულობისა და ქველმოქმედების სახით ფული იკრიბებოდა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში და



გენერალი მალამა

აქაც. ამ საქმეთა სულისჩა-
აძღმელი და მომგვარებელი
გრიგოლ ვოლსკი და ივანე
მესხი გახლდათ მათ მტ-
კიცედ ედგათ მხარში ილია
ჭავჭავაძე და სერგეი მესხი,
ისინი იმ გაზეთების საშუა-
ლებით. რომელთაც რე-
დაქტორობდნენ. დიდ პრო-
პაგანდას ეწოდნენ ამ მხრივ
და მოუწოდებდნენ საქართვე-
ლოს მოსახლეობას დახმა-
რებოდნენ ჩვენს ქალაქს
განათლების სისტემის საჭი-
რბოროტო პრობლემის და-
დებითად გადაჭრის საქმეში.

მათმა ასეთმა ერთო-
ბლივმა მუშაობამ სათ-

ანადო შედეგი გამოიღო და ბათუმში ყველა სკოლისა და გიმნა-
ზიისათვის აიგო საუკეთესო ნაგებობები. რომელთა უმეტესობა
დღესაც დგას და ამშვენებს ჩვენს ქალაქს. მათ შორის აღსანი-
შნავია №2 საშუალო სკოლის შენობა. სადაც მოთავსებული იყო
ბათუმის ქალთა გიმნაზია და ბათუმის ახლანდელი სახელმწიფო
უნივერსიტეტის ძველი კორპუსი, რომელიც თავდაპირველად
აგებული იქნა ვაჟთა გიმნაზიისათვის.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ განათლების სისტემის
ყველა ობიექტის მშენებლობას თავად გრიგოლ ვოლსკი და ივ-
ანე მესხი უწევდნენ ზედამხედველობას და ყოველდღიურად ამო-
წმებდნენ მშენებლობის მიმდინარეობას.

გრიგოლ ვოლსკი არამარტო განათლების აღორძინებას, სკოლებისა და გიმნაზიების მშენებლობას, მათი მატერიალური და ტექნიკური ბაზის მოწყობა-განმტკიცებას აქცევდა ყურადღებას, ამავედროულად მთელი მისი ყურადღება და ზრუნვა მოქცეული გახლდათ საერთოდ ქალაქის, მისი ყოველი სფეროს წინსვლა-განვითარებისათვის. მისი მზრუნველობის შედეგად ბევრი საყურადღებო ნაგებობის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი იმხანად, ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ მშვენიერეს წარმოდგენს ამჟამინდელი ქალაქის მერიის შენობა, რომელიც გრიგოლ ვოლსკის ინიციატივით აიგო და ქალაქის თვითმმართველობისათვის იყო განკუთვნილი

* * *


გრიგოლ ვოლსკის განსაკუთრებით აწუხებდა იმხანად ჩვენს ქალაქში სამედიცინო სამსახურის უსუსურობა, ავადმყოფთა საე-ალალო მდგომარეობა.

მთელ ქალაქში ფუნქციონირებდა ერთადერთი ქსენონი, რომელიც 1897 წელს იქნა აგებული და სულ 25 საწოლით შემოიფარგლებოდა. ეს კი, ცხადია, ზღვაში წვეთი იყო და ვერ აკმაყოფილებდა ჩვენი ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებას იმისათვის, როგორმე მოგვარებულყოფიყო ეს დიდად მნიშვნელოვანი საკითხი, 1886 წელს, გ.ელიავამ და კ.მხეიძემ, გრიგოლ ვოლსკის ხელმძღვანელობით, დასვეს საკითხი, რათა უახლოეს ხანში ჩვენს ქალაქში აშენებულყო 120 საწოლზე გათვლილი საავადმყოფო.

მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველ ექიმთა და ქალაქის საზოგადოების ამ სამართლიან მოთხოვნას რუსეთის იმპერიის ფინანსთა სამინისტრომ უარით უპასუხა.

1896 წელს გრიგოლ ვოლსკისა და კმხეიძის ინიციატივით დაარსდა ექიმთა საზოგადოება ამ ახალშექმნილი საზოგადოების ერთ-ერთ სხდომაზე, ისევ გრიგოლ ვოლსკის ინიციატივით, ხელმეორედ დაისვა საკითხი ბათუმში საავადმყოფოს გახსნის თაობაზე ამჯერად საქმე სასიკეთოდ წარიმართა ქალაქისთვის – ლუკა ასათიანის უშუალო ჩარევის საფუძველზე ბოლოს და ბოლოს, გადაწყდა, ბათუმში აშენებულიყო 120 საწოლზე გათვლილი საავადმყოფო ქალაქში საავადმყოფოს გახსნის ერთ-ერთი ინიციატორთაგანი გახლდათ აგრეთვე ზია აბაშიძე, რომელმაც საავადმყოფოს მშენებლობისათვის საკუთარი მამულიდან გამოჰყო მიწის ნაკვეთი სწორედ ამ ნაკვეთზე ჩაეყარა საფუძველი ახალ საავადმყოფოს, რომლის მშენებლობაც დასრულდა 1902 წელს.

ამ ახალი საავადმყოფოს მთავარ ექიმად დაინიშნა ნ ფინკელ-შტეინი, რომელიც უნარიანად წარუძღვა საქმეს და დიდ წარმატებებსაც მიაღწია.



გრიგოლ ვოლსკის სახელობის ქუჩა ქ ბათუმში

გრიგოლ ვოლსკის ასევე დიდზე-დიდი ღვაწლი და ამაგი მიუძღვის ბათუმში სახალხო ბიბლიოთეკის დაფუძნების საქმეში. აი, რას წერს ამის შესახებ გაზეთი „კვალი“ თავის 1899 წლის მე-19 ნომერში „სამ მაისს ვოლსკიმ ქალაქის თვითმმართველობის საბჭოს სხდომაზე გადაჭრით დააყენა საკითხი ბათუმში ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ“

მედგრად და მტკიცედ იცავდა რა თავისი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, გრიგოლ ვოლსკი ერთა შორის კეთილგანწყობის, მეგობრული ურთიერთობების მქადაგებელი გახლდათ. იგი სასტიკად ილაშქრებდა ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინაც კი ეროვნულ შულსა და ქიშპობა-მტრობას აღვივებდა მოძმე ერებს შორის. ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ამისი ბევრი მაგალითის მოყვანა-დასახელება შეგვიძლია. წარმოვიდგენთ ერთ მაგალითს: იგი დაუნდობლად ესხმოდა თავს მშრომელთა ექსპლოატატორს, სომეხთა კომერციული ბანკის გამგეს მანთაშევს, რომელიც დიდ შულსა და მტრობას ნერგავდა ორ მოძმე ერს შორის – ქართველებსა და სომეხებს შორის...

მაგრამ, მოდით, თავად დავით კლდიაშვილს მოვუსმინოთ: „სომეხთა კომერციული ბანკის გამგეობამ ქართველ ვაჭრებს დაუპირისპირა ბანკიდან ფულის გატანის საშუალების მოსპობა. რასაკვირველია, ეს საიდუმლო განკარგულება იყო. ვოლსკიმ ვრცელი, დალაგებული, მამხილებელი წერილი მისწერა ალ.მანთაშევს, კომერციული ბანკის სრულ გამგეს, მისწერა ბანკის ბათუმის განყოფილების მოქმედება და ბრალს მას – მანთაშევს სდებდა, რომ ნებას აძლევდა იგი ამგვარი მოქმედებისათ-

ვის, რაც უეჭველად გამოიწვევდა მეტიხმეტ გამწვავებას ქართველებსა და სომხებს შორის. აშკარად მონაყოლმა, დაუფარავმა გამოაშკარაებამ თავისი გავლენა იქონია. მანთაშეემა წერილი მოიწერა, რომელშიაც იგი ირწმუნებოდა, რომ მას არ გაუცია ასეთი განკარგულება და რომ იგი მოდარაჯეა ორ მეზობელ ერთა შორის კეთილგანწყობილებისა. რამდენიმე დღის შემდეგ თავად ჩამოვიდა ბათუმში, ინახულა ვოლსკი და ხანგრძლივი ლაპარაკის შემდეგ განკარგულებაც მოახდინა, რომ ბანკის განყოფილებას გაეძლიერებინა ქართველ მსესხებელთათვის კრედიტი“

* * *

გრიგოლ ვოლსკი გახლდათ ბათუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოების (კომერციული ტიპის ბანკი) საბჭოს თავმჯდომარე, რაც დიდად უწყობდა მას ხელს, რათა წარმატებით დაეგვირგვინებინა ყოველი კულტურული წამოწყება, რომელიც მიმართული გახლდათ ხალხისა და ქალაქის საკეთილდღეოდ.

მიუხედავად ამ მხრივ ასეთი ხელშემწყობი პირობებისა, დიდი დატვირთვის გამო, გრიგოლ ვოლსკი იძულებული გახდა განთავისუფლებულიყო ამ მოვალეობისაგან. სწორედ ამაზე მიუთითებს გაზეთ „ცნობის ფურცელის“ 1900 წლის 4 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული წერილი, სადაც ვკითხულობთ: „მარტის 26-სს ქართულ სკოლაში დანიშნული იყო წლიური საზოგადო კრება ბათუმის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებისა. კრება გახსნა გრიგოლ ვოლსკიმ, რომელმაც სთხოვა საზოგადოებას სხვა თავმჯდომარის არჩევა. დარბაზში შეიქმნა ყვირილი, რომ თავმჯდომარედ ისევ ვოლსკი დარჩენილიყო. ბოლოს შეთანხმდნენ გრიგოლ ვოლსკის თავმჯდომარეობაზე. წაკითხული სარე-

ვიზიო კომისიის ოქმიდან კრებამ გაიგო, რომ ბანკის საქმე წესიერად არის, კარგად მიდის და საფუძვლიანად“

ყოველივე ზემოთ აღნიშნული აშკარად და ხაზგასმით მიუთითებს გრიგოლ ვოლსკის ღიდ გამოცდილებაზე, მის სისპექტაკესა და პატიოსნებაზე.

* * *

გრიგოლ ვოლსკი და სხვა პროგრესულად მოაზროვნე ბათუმელები განუხრელად იბრძოდნენ და ზრუნავდნენ ჩვენი ქალაქის ეკონომიკური და კულტურული წინსვლა-აღორძინებისათვის.

მათი ასეთი ქმედება და აქეთკენ მიმართული ძალისხმევა ძალზე აღიზიანებდათ მოწინააღმდეგე ბანაკის მესვეურთ. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მათთვის, შუღლი და მტრობა ჩამოეგდოთ ბათუმში მოღვაწე პატრიოტ მამულიშვილთა შორის. ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად ისინი საზოგადოებაში ავრცელებდნენ ათასნაირ ჭორებს, ათასნაირ სისამაგლეს. სწორედ ამ ცილისწამებისა და ჭორების გასაბათილებლად გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა ანტონ ფურცელაძემ გაზეთ „ივერიის“ 1898 წლის №241-ში გამოაქვეყნა შემდეგი შინაარსის წერილი: „ჩემი აქეთ-იქით მოგზაურობის გამო მე გვიან მომიხდა გაზეთებში გავრცელებული ამბავის წაკითხვა, რომ გრიგოლ ვოლსკის უნდოდა ბათუმის თავობა და ამიტომ ის ჰმართავდა ინტრიგებს დღევანდელი ბათუმის თავის – ასათიანის წინააღმდეგ და ამიტომ ადგენდა პარტიებსაო.

პირადად ძალიან ნაკლები ნაცნობობა მაქვს დიდად პატივცემულ გრიგოლ ვოლსკისთან, რომელსაც, მისდა სასახელოდ, საუკეთესო ბათუმის ქართველობა და მეტადრე მდაბიო ხალხი თავის გრიშას ეძახის, დანახვით აგერ სამი წელიწადიც არის არ

მინახავს, მაგრამ ჭეშმარიტების აღსადგენადაც ვალად ვრაცხ ვს-
თქვა, რისაც მნახველი, გამგონე და გამომკვლეველი ვარ მის
შესახებ ამ საქმეზე.

ჩემი სამსახურისა გამო მე დავესწარ ბათუმში იმ დროს,
როდესაც გაცხარებული მზადება იყო პარტიებისა ერთმანეთის
საბრძოლველად ბათუმის საბჭოს ხმოსნების ასარჩევად და თვით
კენჭის დროსაც დავესწარი იქ, სადაც უყრიდნენ ხმოსნებს კენჭს.
მე დიდად მაინტერესებს ეს, თუმცა არა სანატრელი, მაგრამ
ძალაუნებურად ძმათა შორის ატეხილი ბრძოლის ამბავი. ამ
ხანებში მე ყურს ვუგდებდი ამ საქმეზედ ლაპარაკს ბულვარზედ,
ყავახანებში, გზად, რკინიგზის ვაგონებში, სახლობებში, კერძო
და მოთავე პირებთან, რუსის და ქართველების საუკეთესო სა-
ზოგადოებაში დახსენება, კრინტი, თქმა მასზედ, რომ ვოლსკის
ჰნდომებოდეს ბათუმის თავობა, და ამიტომაც, ვითომც ყოფი-
ლიყვეს წინააღმდეგი დღევანდელი ბათუმის თავის, პატივცემულ
ასათიანისა – არსად არ დაძრულა.

რაც შეეხება მას, რომ ვითომც ვოლსკის პარტიული მოღვ-
აწეობა ყოფილიყვეს გამოწვეული რამე პიროვნული ანგარიშებ-
ით, ამაზედ თვით მისი პარტიული წინააღმდეგნი მდუმარებდნენ
და მის მოღვაწეობას და მოქმედებას უყურებდნენ როგორც
გულწრფელს და სრულიად უანგაროს. ქრისტიანი თუ მუსლიმ-
ანი ქართველობა, რუსობა, ბერძნობა რომ სწორედ თაყვანებით
იხსენებდნენ მას და მასში ჰხედავდნენ როგორც წმინდა და
მაღალი გრძნობით აღსავსე საზოგადო საქმეების გულისშემატ-
კივარს გარდა მცირე ნაწილისა, რომელიც როგორც მეტი ხმა
ისმოდა, – პიროვნული ანგარიშების გამო იყო წინააღმდეგ გრ.
ვოლსკისა და რომელიც აძლევდა ვოლსკის სამტროდ იმ
პარტიას მხარს, რომელიც იყო წინააღმდეგი იმ პარტიისა,
რომელსაც ეკუთვნოდა ვოლსკი.

ცხადია, ყველა ეს ხმები, რაც პირადათ თუ გაზეთებით გაერცელდა ვოლსკიზედ, იყო ნაყოფი პირადი სიძულვილისა, რომელიც ისრე ხანად მოედო ჩვენს საზოგადოებას და მწერლობას და რომელიც ასრე ძირს უთხრის ჩვენს მომავალს, გულს უხდენს გულწრფელს საზოგადო მოღვაწეს... ღმერთმა ჰქნას, როგორც მესმის და საქმეებიდან დავინახე ბათუმში ყოფნის დროს, ბევრი მისცეს ჩვენს ქვეყანას ასეთი გულწრფელი მოღვაწე, როგორც ვოლსკი, რამეთუ იგინი არიან მართალნი სოფლისა შეიძლება ზოგში და იქნება ბევრშიც არ ეთანხმებოდეს კაცი ამგვართა საზოგადო მოღვაწეთა, მაგრამ მათი გულწრფელობა, გულიწმინდით სამსახური არის ღირსი სიყვარულისა და უსაზღვრო პატივისცემისა და არა ცილებისა და ჩირქის მოცხებისა“.

როგორც ამ სტრიქონებიდან ჩანს, ისეთ ნიჭიერ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, როგორც ანტონ ფურცელაძე გახლდათ, კარგად შეუმჩნევია ვოლსკის მოღვაწეობა, კარგად გაუშიფრავს მისი პიროვნება, დადებითად შეუფასებია მისი ღვაწლი და ამაგი, გაწეული თავისი ხალხისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მიუხედავად მისდამი ზოგიერთების ასეთი არაობიექტური მიდგომისა და ბინძური, ცილისმწამებლური გამოსდომებისა, გრიგოლ ვოლსკი ფარხმალს მაინც არ ჰყრიდა, არ უშინდებოდა ასეთ ჭორებს და ჩვენი კუთხის ინტერესების დაცვას განაგრძობდა მაინც, ის დიდი გამბედაობითა და სასტიკი შეუპოვრობით ილაშქრებდა, თავს ესხმოდა ყველა იმას, ვინც კი მოინდომებდა ქართველი ხალხის ეროვნული თავმოყვარეობის შელახვასა და ლაფში გასვრას. ხელისუფლების ბევრი მაშინდელი წარმომადგენელი სწორედ ამას არ პატიობდა მას და ამიტომაც ილაშქრებდა მის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ 1902 წელს გრიგოლ ვოლსკი ქალაქის თვითმმართველობაში ერთხმად იქნა არჩეული, ქუთა-

ისის ოლქის გენერალ-გუბერნატორის მონდომებითა და ძალ-
ისხმევით, გრიგოლი მაინც ქალაქის თვითმმართველობის გარეთ
დარჩა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, 1903 წლის 26 მაისს იგი შემდ-
ეგი შინაარსის წერილს უგზავნის დომინიკა დარასელიას
(ლიტ. მუზ. 8726/2) „რა ვქნა, ცხოვრება ბრძოლაა. შენ იცნობ
გრიშას და იცი, რომ ასე ადვილად არ იტენხს გულს და
შეიძლება უარესიც აიტანოს. თავს ლაფი ვასხი იმათ კაცობასა
და სინდისს, ვინც ძალადობას ეფარება, როცა სხვა არაფერი
გაუდით. ჩემი კაცური ღირსება ამით არა თუ დამცირებულია,
პირიქით, კიდევ ამაღლდა. ამით შეურაცხყოფენ სინდისს, სა-
ზოგადოების უფლებას და თავის საკუთარ ღირსებას. საზოგ-
ადოების თანაგრძნობა სრულიად ჩემს მხარეზეა. ვერ წარმოიდგ-
ენთ რანაირად აღელვებულია ხალხი, თითქმის სულ ყველა,
განურჩევლად – ჩვენებური, რუსი, სომეხი და გადამთიელი;
ხარობს მხოლოდ საზოგადოებისაგან შერცხვენილი და შე-
კურთხებული“.

* * *

გრიგოლ ვოლსკი რომ მართლაც დიდზე-დიდი ავტორიტეტით
და პატივისცემით სარგებლობდა ბათუმის მოსახლეობაში, ამა-
ზე უამრავი მაგალითის მოყვანა და ფაქტის დასახელება
შეგვიძლია, მაგრამ რამდენადაც ეს ძალზე შორს წაგვიყვანს,
დავასახელებთ ამ მრავალ ფაქტთაგან ერთს: 1905 წლის დას-
აწყისში, როდესაც ქალაქის თვითმმართველობის ერთ-ერთ წე-
ვრს – ივანოვს მოღვაწეობის ვადა გაუვიდა, ბათუმის მოწინავე

ინტელიგენციას, ხელისუფალთა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, გადაწყვეტილი ჰქონდა გამგეობის წევრად გაეყვანა გრიგოლ ვოლსკი.

ვოლსკის არჩევას ამ თანამდებობაზე, ცხადია, სასტიკი წინააღმდეგობით შეხვდა ხელისუფლებაც. გუბერნატორმა სასტიკი უარი განაცხადა ვოლსკის კანდიდატურის დამტკიცებაზე. ამ დავიდარაბაში არჩევის დღიდან მალე ექვსი თვე გავიდა, მაგრამ მისი კანდიდატურის დამტკიცებას საშველი მაინც არ დაადგა. ბოლოს და ბოლოს მოწინავე ინტელიგენციის თაოსნობით ეს საქმე მეფის ნაცვალამდევ კი მივიდა, რომელსაც გუბერნატორისათვის მოუწერია შემდეგი:

„ახალი არჩევა არაა საჭირო, აცნობეთ ქალაქის თავს, რომ ვოლსკი დამტკიცებულია“.



ამ სახლში (მ. აბაშიძის გამზირი №52) ცხოვრობდა გრიგოლ ვოლსკი

გრიგოლ ვოლსკი მეტად კარგი სამეგობრო და გულკეთილი კაცი იყო, ყოველნაირად განწმენდილსა და კრისტალურად სუფთას, ადვილად შეეძლო კაცის, ადამიანის შეცნობა, მასთან დაახლოება, ყველა ეროვნებაში მას ჰყავდა მეგობრები, ამხანაგები, თანამებრძოლები, იგი ეროვნების მიხედვით არასოდეს და არანაირად არ გამოარჩევდა რომელიმეს, უყვარდა ყველა ისინი, რომლებიც უანგაროდ, პატიოსნად და დაუცხრომლად ემსახურებოდნენ თავიანთ კუთხეს, იმ ქვეყანასა და იმ ხალხს, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. მას ძალიან უყვარდა თავისი თანაქალაქელები – ნამდვილი ჭეშმარიტი ბათუმელები, რომლებიც საქმით, თავიანთი ქმედებითა და ძალისხმევით ყველაფერს აკეთებდნენ ამ ქალაქის საკეთილდღეოდ. იგი ასეთი ხალხის თავგამოდებული ქომაგი, დამცველი და მხარდამჭერი იყო და თუკი ასეთ ადამიანებს რაიმე შეემთხვეოდათ, ეს მის დიდ აღშფოთებასა და გულისტკივილს იწვევდა.

როდესაც ჩვენი კუთხის, აჭარის დიდი მოამაგე და კეთილისმყოფელი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელი გარდაიცვალა, გრიგოლ ვოლსკიმ, რომელსაც ძალიან უყვარდა გიორგი თავისი კაცურკაცობისა და თავისი საზოგადოებრივი მრწამსის, ქმედების გამო, მის ცხედარს ასეთი სიტყვებით მიმართა: „შენ ძვირფასო! მოღვაწე იყავი მთელი ჩვენი სამშობლო ქვეყნისა, შენი ღვაწლი სხვადასხვა ასპარეზზე აურაცხელი და მრავალმნიშვნელოვანია. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი სიკეთე და ღვაწლი მიგიძღვის ჩვენი სამშობლოს იმ მხარეში, საიდანაც მე ვარ წარმოგზავნილი. შენ იყავი კოლუმბი დასავლეთ საქართველოსი. როგორც შეწყნარდა რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი ომიანობა (1877-1878 წ.წ.), შენ მაშინვე იქ გაჩნდი და ჩვენგან დიდი

ხნით ჩამოშორებულ თანამებრძოლებს, აჭარა-ქობულეთელებს, დაუარე, დაამშვიდე, გული შემოგვიერთე ჩვენ, მათ თანამომამაგეთ. ჯერ მარტოკა ამ ღვაწლისათვის არ დაგივიწყებს შთამომავლობა“

გრიგოლ ვოლსკის ეს სიტყვები დაიბეჭდა გაზეთ „კვალის“ 1900 წლის მეოთხე ნომერში და მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მკითხველზე.

* * *

ახსიათებს რა ბათუმის ქალაქის თავს – ლუკა ასათიანს, გადმოგვცემს რა მის პიროვნებას, მის პიროვნულ თვისებებს, დავით კლდიაშვილი წერს: „განზრახული იყო ბათუმში ელექტრონის განათების შემოღება და ამისათვის სადგურის აშენება. ასათიანმა მოლაპარაკება გამართა ამის თაობაზე სხვადასხვა ფირმებთან და ბოლოს ქალაქის საბჭოს წარუდგინა მოხსენება. ამ მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხმოსნებზედაც და გარეშე მაყურებელზედაც. გაცემული იყვნენ ყველანი იმისაგან, თუ როგორ შეძლო ამ მოხსენებულმა ადამიანმა არასპეციალისტმა, ასეთი მოხსენების წარდგენა და იმ პასუხის მიცემა, რომელსაც ის აძლევდა მრავალ შემკითხველს. რასაკვირველია, მოხსენება სავსებით მიღებული იქნა და საქმის შესრულებასაც მოკლე ხანში შეუდგნენ. ერთ მახლობელ საღამოს მასთან მყოფმა ვერ მოვითმინე არ გამომეთქვა მის წინაშე ჩემი განცვიფრებაც და სხვათა სიამოვნებაც. მისი მოხსენებისაგან გამოწვეული, მოხსენებულმა გაიღიმა და თქვა: – ამ მოხსენებულბაში ძალაუწებურად შემასწავლეს ფიზიკის ერთი განყოფილება. შემდეგ ეს სახელმძღვანელოები გულდასმით გადავიკითხე და დღეს თითქმის ელექტროტექნიკოსი გავხდიო, – სიცილით დაათავა მან.

ამგვარი მომუშავე იყო ეს ადამიანი ყოველ საქმეში და ამიტომაც იყო, რომ ყოველ მის ნაკეთებს მაგარი ფესვები ჰქონდა

და მჭიდრო ნაშენობა. იგი მთელი თავისი სინდისით ამართლებდა იმ იმედს, რომელიც მასზე ჰქონდათ მისი მოწვევის დროს და როგორც თავისი ერის მოყვარული ადამიანი, ვალად რაცხავდა თავისი მუშაობით ძალა დაეყენებინა ქართველი მოღვაწის პრესტიჟი“

დავით კლდიაშვილს სწორედ ამგვარ, ლუკა ასათიანის თანაბარ მოღვაწედ, მისი საქმის ერთ-ერთ უპირველეს გამგრძელებლად მიაჩნდა გრიგოლ ვოლსკი და წერდა კიდევაც ამაზე: „ამგვარივე მიმართულების იყო მეორე მოღვაწეც – ვოლსკი. სათავეში მას ჰქონდა წამძღვარებული, რომ ყოველი ქართველი მოღვაწე ყოველგვარ საყვედურს გარეშე უნდა ყოფილიყო, ყოველ მიკერძოებას დაშორებული – უნდა ყოფილიყო სამართლიანი და, რადგან ამ სამართლიანობას ვერ ხედავდა წინანდელ ქალაქის მეთაურებში, კიდევ იმიტომ ყოველივე ღონე იხმარა და შეიჭრა თვითმმართველობაში, შეიყვანა თან ბევრი ახალი, ჯერ გამოუცდელი ძალა და შემდეგ გამოცდილებაც მისცა და სამართლიანობის გზაზეც დააყენა“.

ახსნიათებს რა გრიგოლ ვოლსკის პიროვნებას, მის მეობასა და ჩვევებს, შემდეგ დავით კლდიაშვილი ასე წერს მასზე: „გატაცებული საზოგადო საქმეებით, იგი თითქმის დაღალეასაც არ განიცდიდა. მხოლოდ კვირა დილა იყო, რომ ჩაიკეტებოდა ოთახში და არავის არ მიიღებდა. ამ დროს მარტო ჩვენ, ახლობლები ვიყავით – ან მე, ან ალექსანდრე აბაზაძე, ან ექიმი კონდრატი მხეიძე, აქვე იყო ჩვენი საყვარელი ალექსანდრე ლორთქიფანიძე, გამომძიებელი, უფროსი ძმა მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის. ლაპარაკი მხოლოდ ლიტერატურულ თემაზე იყო. ქალაქის საქმეებზე და სადავო საქმეებზე საუბარი დაუშვებელი იყო.

– დასვენება მინდა! უსათუოდ დასვენება! – ამბობდა ვოლსკი და თვითონ ლიტერატორი – პოეტი, იგი სულდგმულობდა ლი-

ტერატურით, მან ზედმიწევნით იცოდა ქართული ლიტერატურა და უცხოურიც, ყოველი მისი საუბარი ამ დროს ლექციასავით იყო და ჩვენც დიდი სიამოვნებით ვუსმენდით-ხოლმე. ზედმიწევნით მცოდნე ქართული ენისა, იგი ხშირად ჩაუჯდებოდა „ივერიის“, „კვალის“ ნომრებს და ასწორებდა ხმარებულ ენას. ამ შენიშვნებით ავსებულ ფურცლებს უგზავნიდა ილია ჭავჭავაძეს და გიორგი წერეთელს. ორივენი დიდად აფასებდნენ ამ შენიშვნებს და სთხოვდნენ. გრიგოლს ხშირ-ხშირად მოეწოდებინა ამგვარები.

თავად უაღრესად გულწრფელი, გულახდილი, გაურბოდა ყოველივე თაღლითს და ხრიკიანს. გულკეთილს – ქვეყნისათვის სიკეთე სურდა. ნაზი, მგრძობიარე, იგი ღრმად გრძობდა ადამიანის ტანჯვას და მწუხარებას.

ერთხელ ქუჩაში შემხვდა, თავისებურად მიჩაკუნობდა (ფეხი ჰქონდა წამხდარი და კოჭლობდა), აჩქარებული. მითხრა, რომ ნინოშვილი ჩამოიყვანეს ძლიერ ავადმყოფი და შემოეთვალა მისთვის, ენახა ავადმყოფი. მითხრა წამოდიო, მაგრამ მე საქმე მქონდა და ვეღარ წავეყვი.

– ხვალ წავიდეთ! ხვალ ვინახულვ! – ვუთხარი.

მეორე დღეს მიველ ვოლსკისთან ნინოშვილთან წასასვლელად.

– რა კარგი ქენი, რომ არ წამოდი ნინოშვილის სანახავად, გული მომიკვდა მისი ნახვით. ახალგაზრდა კაცი უკანასკნელ დღეშია, თვითონაც გრძობს ამას და ცხარე ცრემლით ტირის, მიშველეთო! უშველოს კაცმა – ჭლექი მორეულია, მთელი სიძლიერით, ვინ ოხერი არ დააკვდებოდა ზედ, რომ გადარჩენა შესაძლებელი ყოფილიყო. ტირის, რომ ბევრი რამ მირჩება განზრახული, დაუმთავრებელი, დაუბოლავებელი... სიკვდილი კი არა, მუშაობა მწადია, მუშაობა! და ამას ისეთნაირად ამბობს, რომ გული მოგეხარშება! ბევრი ვამშვიდე, მაგრამ ვერ დავამშვიდე ვერაგზით.

ვოლსკიმ გადადო საქმეები გვერდზე და გავეშურეთ სასტუმროსაკენ, სადაც იწვა ნინოშვილი. მივედით სასტუმროში, მაგრამ ნინოშვილი იქ აღარ დაგვიხდა, უკანასკნელი მატარებლით სილიბისტრო ჯიბლამეს წაყვანა ბათუმიდან სოფელ ჩიბათში, რადგან აღარავითარი იმედი აღარ იყო მისი სიცოცხლის გაგრძელებისა.

შეწუხებულნი უკან გამოვბრუნდით.

– დაილუპა ყმაწვილი კაცი... დაილუპა ნიჭი, საჭირო ნიჭი! – განსხვავებული სიმწრით ამბობდა გრიგოლი.

მისმა გრძნობიერმა გულმა ღრმად განიცადა საწყალი ეგნატეს ტანჯვა და უზომოდ შეწუხებული ხშირად იგონებდა სიკვდილის წინ მის წაშებას.

განსხვავებული კეთილი გულის პატრონმა, საოცარი რისხვით, მისვლა იცოდა უსაქციელო ადამიანთან. აქ ის პირდაპირ გადარეულივით იყო. მისი გაბედული, უშიშარი მიმართვა სავსე იყო ხოლმე გამანადგურებელი სიტყვებით. არ იცოდა დარიდება, რაც უნდა პიროვნება ყოფილიყო, უმაღლესი, უმდაბლესი ამ ღროს გარჩევა არ ჰქონდა. გაელენიანობით თავისი სიდიადით, მას ვერავინ შეაშინებდა და ვერ ჩააჩუმებდა. სიტყვა ბასრი, ენა მახვილი, იგი მშვენიერი რამ იყო რისხვის წუთებში, უყვარდათ ეს ლამაზი, თავზარდამცემი რისხვა მისი, როცა იგი აცამტკერებდა რომელიმე მაღალ საფეხურზე მყოფ ზვიად პიროვნებას.

აღელვებულ, მოუსვენარ ცხოვრებაში მყოფი მოსვენებას იგი პოულობდა ახლო ამხანაგებში და განსაკუთრებით, ბათუმის საბაჟოს მოხელის პეტრე ღლონტის ოჯახში. ეს ოჯახი განსხვავებულად უყვარდა ვოლსკის, გვიყვარდა ჩვენც, სხვებს, რადგან ოჯახის პატრონები, როგორც პეტრე, ისე მეუღლე მაკრინე, საყვარელი ადამიანები იყვნენ თავიანთი ხასიათის გამო. კვირა დღეს და ყოველ საღამოს იქ იყრიდა თავს ბათუმის მრავ-


ალი ახალგაზრდა, აქ ეცნობოდნენ ერთმანეთს, აქ ენაცვლებოდნენ აზრებში, აქ იმართებოდა ხშირად გაცხარებული მსჯელობა ჩვენი საქმეების შესახებ.

ოჯახის პატრონი, საოცარი ხალისიანი ადამიანი, მეტად უყვარდა ყველას, ამგვარივე, პატივისცემითა და სიყვარულით შემოსილი იყო პეტრეს მეუღლე – მაკრინე. ქეთევან ყურულის წასვლის შემდეგ მაკრინე ღლონტისას ჰქონდა მიკუთვნილი ყოველივე საზოგადო საქმეების მეთაურობა, მაგალითად: როგორც წერა-კითხვის სკოლის სასარგებლოდ კონცერტის გამართვა, ჩამოსული ქართული თეატრის არტისტების ხელისშეწყობა, სხვადასხვა საქველმოქმედო წარმოდგენები და ამდაგვარები. იყვნენ. სხვა ოჯახებიც ამგვარ საზოგადო მუშაობაში ჩაბმული, როგორც მაგალითად გრიგოლ ელიავასი, სეფე მხეიძის, მიხეილ ნაკაშიძის, ივანე მესხის ოჯახები მრავალი საქმის აღმსრულებელი იყო: ექვთიმე ბერძენიშვილი (ქართული სკოლის აღმშენებელი) ნიკო საბაევი, ივანე კაკაბაძე, სარდიონ ქუთათელაძე, გერასიმე სანაძე, მიხეილ ბეთანელი – ადამიანი საოცარი ცოცხალი ბუნების, დაულალავი მომუშავე, ამერიკაში რამდენიმე წელიწადს ნამყოფი, ინგლისური ენის მშვენიერად მცოდნე...

ეს პირები, ეს ოჯახები ეხვივნენ ვოლსკის გარშემო და ყოველნაირად ხელს უწყობდნენ მას მოღვაწეობაში.

ამათ გარდა გვქონდა ერთი ბინა, სადაც მხოლოდ მამაკაცები იყრიდნენ თავს: – საზოგადო საქმეების შესახებ მსჯელობაში იყვნენ: ეს იყო ბათუმის ოლქის უფროსის თანაშემწის მელიტონ ლორთქიფანიძის ოჯახი. ყმაწვილობისას ლორთქიფანიძე გეოგრაფიის მასწავლებლად იყო ერთ სამაზრო სასწავლებელში. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ მიატოვა მასწავლებლობა და შევიდა ადმინისტრაციაში, ბათუმის ოლქის უფროსის თანამდებობაზე. დარბაისელმა, თავაზიანმა, ხალისიანმა ადამიანმა

მრავალი პატივისმცემელი მოიპოვა. საღამოობით მისას ვის არ ნახავდით! დიდად უყვარდათ ადგილობრივ მცხოვრებლებსაც და მის გარშემო იყრიდნენ თავს. აქ ნახავდით მაშინ სიცოცხლით სავსე გულო-ალა კაიკაციშვილს, დედე-ალა ნიჟარაძეს, რომლებმაც შეისმინეს და თავიანთი ვაჟები თბილისში გაგზავნეს სათავადაზნაურო გიმნაზიაში სასწავლებლად, როცა სხვები ამას გაურბოდნენ იმის შიშით, რომ შვილები გაგვიქრისტიანდებიანო. ამათ შვილებს კოწია მუხრანელი ზრდიდა თავის ხარჯზე. ორივემ დაამთავრა გიმნაზია და ოდესის უნივერსიტეტში შევიდნენ. საუბედუროდ, გულო-ალას შვილი, საოცარი ნიჭის პატრონი ყმაწვილი, ავად გახდა და მოკვდა ოდესაში. ნიჟარაძემ კი გაათავა უნივერსიტეტი და დღესაც მოღვაწეობს ბათუმში.



ქალაქ ბათუმის საკრებულოს ძველი შენობა
(შემდგომ ბათუმის ოფიცერთა სახლი)

ხშირი სტუმრები იყვნენ თუფან-ბეგ შერვაშიძე-აჭარელი, ახმედ-ბეგ-ბეჟანიძე, ფერათ-ბეგ ბეჟანიძე, სულეიმან-ბეგ ნიჟარაძე, სანჯაყ-ბეგ აბაშიძე, ხუსეინ-ეფენდი ქათამაძე, ძმები ზიმშიაშვილები და მრავალი სხვა. ამათ მოქონდათ აქ თავისი მწუნარებაც და დალხინებაც, აქ ეძიებდნენ დარიგებას და გზის ჩვენებას თავიანთ გასაჭირში ლორთქიფანიძისა და ვოლსკისაგან, გასაჭირში, რომელიც მძლავრად ჰქონდა გარშემორტყმული. ხანდახან მოდიოდა აჭარელი ალი-ალა სირაძე, უკვე შეხნიერებული კაცი, მაგრამ ჭარმაგი, იყო გასაოცარი მოქართულე, მშვენიერი მოლაპარაკე და საოცარი სიტყვა მოსწრებული“

* * *

როგორც დავით კლდიაშვილიც აღნიშნავდა ამას, გრიგოლ ვოლსკი ჩინებული ჟურნალისტი და ლიტერატორი გახლდათ, ქართული ენის ბრწყინვალე მცოდნე და სტილისტი. იგი აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოში გამოძეველ ლამის ყველა პროგრესულ ჟურნალსა და გაზეთში, რომლებშიც სისტემატურად იბეჭდებოდა მისი წერილები, კორესპონდენციები, შენიშვნები, ლექსები, თარგმანები და ასე შემდეგ.

გრიგოლ ვოლსკის ლექსები ძირითადად „უმწიფარიძის“ ფსევდონიმით იბეჭდებოდა და ალბათ ბევრმა არც კი იცოდა, თუ ვინ იყო ამ ლექსების ნამდვილი ავტორი.

გრიგოლ ვოლსკი – როგორც სამართლიანობისათვის დაუცხრომლად მებრძოლი რაინდი, მუდამყამს და განუხრელად ებრძოდა ყოველგვარ უსამართლობას, ჩაგვრასა და აბუჩად აგდებას.

სწორედ ამაზე მეტყველებს მისი ერთ-ერთი ლექსი, რომელსაც აქვე ვთავაზობთ მკითხველს.


* * *

„მართალია ღღეს ღიღი ზეიმი
აქეთ გამართული მტარვალ ჟალათებს
და ომში ბევრი გმირიც ემსხვერპლა
ორთავე არწივის ვერაგ, ბასრ ბრჭყალებს
მაგრამ მოვა დრო, ხალხი აღსდგება,
ამაყ დროშას კვლავ ააფრიალებს
და მის მახვილქვეშ უსამართლობა
სასიკვდილოთა დაიხრიალებს.

ღიანს! სულ მალე რევოლუციის
მრისხანე ცეცხლი კვლავ აღინთება
და განთიადიც ძლევის გვირგვინით
ლაჟვარდის ცაზე აღიმართება.

* * *

გრიგოლ ვოლსკიმ, როგორც ბრწყინვალე მთარგმნელმა, მართლაც რომ ღიღი შრომა გასწია მთარგმნელობით საქმიანობაში – იგი თარგმნიდა ქართველი მწერლების ნაწარმოებებს ქართულიდან რუსულად და პირიქით, რუსი მწერლების ნაწარმოებებს – ქართულად. მისი ეს თარგმანები სისტემატურად იბეჭდებოდა ორივე ენაზე გამოძეველ ჟურნალებსა თუ გაზეთებში.




ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც
მდებარეობდა ერასა და მელიქიშვილის ქუჩების კუთხეში,
სადაც დასაფლავებული იყო გრიგოლ ვოლსკი

ხანგრძლივმა, დაძაბულმა შრომამ და დუხჭირმა ცხოვრებამ მეტად უარყოფითი კვალი დააჩნია გრიგოლ ვოლსკის ჯანმრთელობას. იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ფიზიკურად ადრე მოტყდა და მობერდა.

გრიგოლ ვოლსკი გულნაკლული, დიდი გულისტკივილითა და წუხილით აღნიშნავდა ამას: „მე დაებერდი, მოვიღალე, ძარღვები სულ აშლილი მაქვს და სრული მოსვენება მჭირია. ბევრი ვიტანჯე, ბევრი გამოვცადე და გამოვიარე, შეყოფა, აწ ველარ გაუქმლებ ამდენ მწუხარებას“¹

ბათუმის ქალაქის თავის, შესანიშნავი ადამიანისა და მზრუნველის – ლუკა ასათიანის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, გრიგოლ ვოლსკის, თავისი უდიდესი გამოცდილებითა და დიდი განათლებით, ნამდვილად შეეძლო, ხელეწიფებოდა და იმსახურებდა კიდევაც ბათუმის ქალაქის თავის თანამდებობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. არ მოხდა სხვადასხვა მიზეზებისა და ერთი, ყველაზე მთავარი მიზეზის გამო: გრიგოლ ვოლსკის დიდი პატრიოტიზმი, ქართველთა ფანატიკური სიყვარული, სიმართლის პირში მიხლა დიდად აღიზიანებდა ბათუმის გენერალ-გუბერნატორს. რაც დრო გადიოდა, გრიგოლი დღითი დღე გარკვევითა და აშკარად გრძნობდა ამ სიძულვილს, ამ ათვალისწინებას გუბერნატორის მხრიდან.

1. ხაქ. ლიტ. მუზეუმი, 8766/2



გრიგოლ ვოლსკის საცხოვრებელ
სახლზე გაკრული მემორიალური
დაფა

ჩასულ გრიგოლს დიდხანს არ უცოცხლია – იგი 1909 წელს გარდაიცვალა სისხლის მოწამელის ნიადაგზე...

მადლიერმა ბათუმელებმა ბოლომდე უპატრონეს თავიანთ დიდ მოამაგესა და იმედს, იგი თბილისიდან ბათუმში ჩამოასვენეს და დიდი პატივით დაკრძალეს ქალაქის ცენტრში არსებულ სასაფლაოზე, სწორედ იმ ეკლესიის მახლობლად, რომლის მშენებლობისთვისაც საჭირო თანხების მოზიდვა-მოპოვების საქმეში გრიგოლს უდიდესი ღვაწლი მიუძღოდა.

საუბედუროდ, მოხდა ისე, რომ ზოგიერთის ამბიციურობამ, მოჩვენებითმა, ურა-პატრიოტიზმმა საფლავშიაც კი არ დააყენა გრიგოლ ვოლსკი. ამ ვაი-პატრიოტთა ბრძანებით, 1929 წელს, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის შენობა, რომელიც

როგორც უაღრესად ჭკვიანი და შორს გამხედავი კაცი, იგი იმასაც გრძნობდა და ამჩნევდა კარგად, რომ აქ, ჩვენში, ბათუმში, მას არავითარი წინსვლა, დაწინაურება, წარმატება და პერსპექტივა არ ელოდა.

ამიტომაც იყო, მან დიდი გულისტკივილით, გულდაწყვეტილმა და დაღონებულმა მიატოვა ბათუმი, ქალაქი, რომლის წინსვლა-აღორძინებისათვის მან დიდი ამაგი და შრომა გასწია და გადასახლდა თბილისში. ეს იყო 1907 წელს.

თბილისში საცხოვრებლად


ერთ-ერთ უნიკალურ ძეგლს წარმოადგენდა, ბარბაროსულად დაანგრიეს, მიწასთან გაასწორეს. ამ ეკლესიის გვერდით კი (დღევანდელი ერა-სა და მელიქიშვილის ქუჩების კუთხეში), არსებული სასაფლაოს მოშლა-გაპარტახების შემდეგ ააშენეს ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

სწორედ იმ სასაფლაოს მოშლის შემდეგ, ჩვენთვის დღესაც უცნობია, თუ სად განისვენებს ამჟამად დიდი მამულიშვილი, დიდი პატრიოტი, პოლონელი ხალხის საამაყო შვილი, ჩვენი კუთხის, ჩვენი ქალაქის უანგარო მზრუნველი – გრიგოლ ვოლსკი.

ლ ა ო ჯ ო ნ - ჯ ა უ

ამ ასი თუ ასოცი წლის წინათ აჭარის შავიზღვისპირეთი, მთელი სანაპირო ზოლი ხშირი, გაუვალი ტყით, ბუჩქნარითა და გვიმრა-ეკალ-ბარდით დაფარულ ადგილს წარმოადგენდა. ამ ზოლში მოსახლეობაც ნაკლებად გახლდათ დასახლებული და აქა-იქ, შორი-შორს, ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული პატარ-პატარა, სულ რამდენიმე კომლისაგან შემდგარი სოფლები ერთმანეთს მხოლოდ და მხოლოდ საცალფეხო, მიხვეულ-მოხვეული და დაკლაკნილი ბილიკებით თუ უკავშირდებოდა. აქაური მოსახლეობა ძალიან გაურბოდა დაბლა, ზღვის მახლობელ ადგილებში დასახლებას და უმთავრესად მაღლა, მთის ფერდობზე, მის მიმდებარედ ცხოვრობდა. ამას თავისი მიზეზი გააჩნდა – სანაპირო ზოლი, რომელიც ძირითადად ჭონჭყო, ნახევრად დაჭაობებულ და ჭაობიან ადგილს წარმოადგენდა, მაღარიის ბუდედ ითვლებოდა და აქ ძნელად თუ გაძლებდა ადამიანი. ამ ადგილებში, სადაც კი ოდნავ ტიალი, ტყისა და ბუჩქნარისაგან გამოთავისუფლებული ადგილები არსებობდა, უმთავრესად ბრინჯი ითესებოდა და აქაურ მშრომელებს სწორედ ამ ბრინჯით გაჰქონდა თავი დიდის გაჭირვებით წლიდან-წლამდე, მოსავლიდან-მოსავლამდე.

ასე იყო დიდი ხნის განმავლობაში, საკმაო ხანს. მაგრამ აი, გამოხდა ხანი და ნელ-ნელა ყველაფერი შეიცვალა. რუსეთ-



ახალგაზრდა ლაო ჯონ-ჯაუ ეროვნულ ტანსაცმელში, თავის მშობლიურ ქალაქში

თურქეთის ბოლო 1877-1878 წლების ომის შემდეგ აჭარა დედასამშობლოს – საქართველოს შეუერთდა და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა.

სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ამ ღეთისანაბარად მიტოვებული ადგილების ნელ-ნელი ათვისება, რომ იტყვიან, მისი სათანადო მოქცევა და საჭიროებისამებრ მისი გამოყენება.

აქაურმა ზღვამ და ნესტიანმა, სუბტროპიკულმა კლიმატმა როგორც ფუტკარი თაფლმა, ისე მიიზიდა ბევრი მოახალშენე როგორც რუსეთის სხვადასხვა გუბერნიიდან, ასევე ევროპიდან და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. როგორც ეს უკვე მოვიხსენიეთ ზემოთ, მაშინ აქაური ადგილები, აქაური მიწები, რომლებიც ზოგიერთებს ყოვლად გამოუსადეგრად და არაფრისმქონედ მიაჩნდათ, მართლაც ნიორისა თუ ჩალის ფასად იყიდებოდა და ოდნავ შეძლებულ, ფულიან საქმოსანს სულ ადვილად შეეძლო მისი შეძენა და ხელში ჩაგდება. აქ, უმთავრესად, მიწებს იძენდნენ სწორედ ისეთი ადამიანები, რომლებსაც კარგად მოეხსენებოდათ, თუ როგორ შეიძლებოდა გაკეთებულიყო ამ მიგდებულ-მიტოვებულ ადგილებში, რა შეიძლებოდა გამხდარიყო იგი სულ ახლო მომავალში. ამ ადამიანებმა ისიც კარგად იცოდნენ, ამ სურვილისა თუ ჩანაფიქრის განსახორციელებლად რა იყო საჭირო, როგორი კატორღული შრომა და როგორი ჯანმრთელობა, რომ ამ შრომისათვის და კიდევ უფრო უარესი – ციებისათვის, მალარიისათვის გაეძლო და ეცხოვრა.

ეს ენთუზიასტები არაფერს უშინდებოდნენ, ისინი დღიან-ღამიანად მკლავებდაკაპიწებულნი შრომობდნენ – კაფავდნენ ტყეებს, ძირკვავდნენ ბუჩქნარს, ეკალ-ბარდს, გაჰყავდათ კვლები, თხრილები, აშრობდნენ ჭაობს, ჭანჭყობს, დღითი დღე, ნაბიჯ-ნაბიჯ იპყრობდნენ სასიცოცხლო სივრცეს და იწყებდნენ მერე

მეურნეობისა თუ საკარმიდამოების მოწყობას. ამ ახალათვის-
ებულ მიწებზე ეს მამაცი მოახალშენეები აშენებდნენ სხვადასხვა
სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, სხვადასხვა სახის,
სუბტროპიკული კლიმატისათვის დამახასიათებელ მცენარეებს,
რომელთა ჩითილები თუ ნერგები სხვადასხვა ქვეყნიებიდან ჩამოჰ-
ქონდათ.

ისინი იწვევდნენ მებალებს, დეკორატორებს, სხვადასხვა
ქვეყნიებიდან ჩამოჰყავდათ სოფლის მეურნეობის დარგების
შესაბამისი სპეციალისტები და სწორედ მათი დახმარებით, მათი
რჩევითა და რეკომენდაციებით, ახდენდნენ ნამდვილ სასწაულს –
აშენებდნენ მინი-ბოტანიკურ ბაღებს, საკარმიდამო მეურნეობას
და ძირფესვიანად უცვლიდნენ ნირსა და სახეს აქაურობას.

ჩვენს კუთხეში იმჟამად ჩამოსულ თუ მოწვეულ სხვადასხვა
ეროვნების სპეციალისტთა შორის ჩვენი მხარის გამშვენიერება-
გაკეთილშობილების საქმეში განსაკუთრებული წვლილი და ღე-
აწლი მიუძღვით შორეული ჩინეთიდან მოწვეულ სპეციალისტებს.

იმ ჩინელ სპეციალისტთა შორის განსაკუთრებით გამოირჩე-
ოდა სუბტროპიკული სამეურნეო კულტურების – ჩაისა და
ციტრუსების დიდი სპეციალისტი ლაო ჯონ-ჯაუ.

მაგრამ, სანამ ამ შესანიშნავი ადამიანისა და ჩინებული
სპეციალისტის დაწვრილებით დახასიათებას შევუდგებოდეთ და
ჩვენი კუთხის მიმართ მის მიერ გაწეულ ღვაწლსა და ამაგს
წარმოუჩინდეთ მკითხველს, მანამდე მოკლედ მინდა გაგაცნოთ
საქართველოში ჩინეთიდან შემოტანილი და ჩვენს კუთხეში
გავრცელებული სოფლის მეურნეობის ცალკეული კულტურების
მოკლე ისტორია.

აღბათ, ყველას კარგად მოეხსენება, რომ მსოფლიო ცივი-
ილიზაციის ისტორიის განვითარების საქმეში უდავოდ დიდია მს-

ოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქვეყნის – ჩინეთის ღვაწლი და დამსახურება. ჩინელებმა თავის დროზე, პირველად მსოფლიოში, აბრეშუმის ჭიის სარგებლიანობის საიდუმლოება ამოხსნეს, გაითავისეს და შექმნეს აბრეშუმის ძაფის მიღებისა და მისი სათანადოდ გამოყენების რთული ტექნოლოგია.

მოგვიანებით ჩინელთა ეს უძვირფასესი ნაწარმი – აბრეშუმი, მთელ დასავლეთ სამყაროში საქართველოს გავლით გაიტანებოდა, სწორედ საქართველოს მეშვეობით ვრცელდებოდა ყველგან. ამიტომაც საქართველოს ყოველთვის აბრეშუმის გზის მონაკვეთად აღიქვამდნენ-ხოლმე. დღეისათვის დასახულია აღნიშნული გზის აღდგენა-ათვისების ახალი პერსპექტივები, რაც, თავისთავად ცხადია, ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლა-აღორძინების უტყუარი და უდავო საფუძველი გახდება.

თავის დროზე ჩინეთიდან შემოტანილმა აბრეშუმის ჭიამ ჩვენშიაც დიდი გასაქანი ჰპოვა და აქ, ჩვენში დამზადებულმა აბრეშუმის ნაწარმმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

ჩვენს მიწაზე ასევე კარგად იხარა ჩინეთიდან შემოტანილმა ბრინჯის თესლმა. იგი ჩვენი ხალხისათვის საკვები პროდუქტის ერთ-ერთ ძირითად და ძვირფას ღირებულ იქცა.

ჩვენს კუთხეში ბრინჯის მოყვანის კულტურას, მის ტექნოლოგიას საკმაო ისტორია გააჩნია. როგორც ჩვენ ერთხელ უკვე მოვიხსენიეთ ზემოთ, ჩვენი სოფლის მშრომელებს და ასევე ბათუმის გარეუბანში მცხოვრებლებს, ბრინჯი საკმაო რაოდენობით მოჰყავდათ და სწორედ ამისი საშუალებით ახდენდნენ ოჯახის გამოკვებას.

ბათუმის შემოგარენში იმხანად მრავლად ყოფილა ბრინჯის ყანები, სანამ ბათუმის გენერალ-გუბერნატორის ბრძანებულებით მისი მოყვანა ამ ადგილებში არ აუკრძალაეთ. ამ აკრძალვის მი-

ზეზი კი გახლდათ ის, რომ ბრინჯის მოყვანა იწყებდა ისედაც დაჭაობებული და ჭანჭყრობი ადგილების კიდეც უფრო დაჭაობებას.

ამ უძვირფასესი საკვები კულტურის სამშობლო კი ჩინეთი გახლავთ. სათანადოდ ჩატარებული გათხრებისას და გამოკვლევების შედეგად, ჩინეთში, ქალაქ სუჯოსთან, იაპონიის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა აღმოაჩინეს დაახლოებით ექვსი ათასი წლის წინათ არსებული ბრინჯის დათესილი ნაკვეთი.

ამ ექსპედიციის მონაწილე იაპონელი მეცნიერების თვალსაზრისით მათ მიერ აღმოჩენილი ბრინჯის ეს. სავარგულები, სულ ცოტა 3,5 ათასი წლით უფრო ძველია და ხანიერი, ვიდრე იაპონიის კუნძულებზე მათ მიერ აღმოჩენილი ბრინჯის ყანები.

საქართველოში კი ბრინჯის კულტურა გავრცელებულა უძველესი დროიდან, ბრინჯის მარცვლების საშუალებით, რომელიც ჩინეთიდან აბრეშუმის გზით იქნა შემოტანილი.

ბრინჯის მარცვალთან ერთად ჩინეთი ასევე ითვლება ჩაის კულტურისა და ციტრუსების ერთ-ერთ უძველეს სამშობლოდ, სადაც საფუძველი ჩაეყარა ამ კულტურებს და სწორედ იქედან იქნა გავრცელებული ლამის მთელ მსოფლიოში, სადაც კი ეს კულტურები ხარობენ. პირველად ჩაის პროდუქციას, რომელიც დიდ იშვიათობას წარმოადგენდა სხვა ქვეყნებისათვის, სამკურნალო თვისებები გააჩნდა და მას მხოლოდ სამკურნალო მიზნით მოიხმარებდნენ-ხოლმე.

ჩინელებმა ასევე პირველად გამოიგონეს ქალაღი. ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე მეთორმეტე საუკუნეში და შემდგომ, ჩინეთში საწერ მასალად აბრეშუმს იყენებდნენ. მაგრამ ეს იყო მეტად ძვირადღირებული რამ და აბრეშუმის გამოყენება ქალაღ-

დად დიდ ფუფუნებად მიიჩნეოდა, რომლის შესაძლებლობა მხოლოდ ერთეულებს თუ გააჩნდა. ამიტომაც იყო, რომ ჩინელები შეუდგნენ უფრო იაფფასიანი საშუალებით საწერი საშუალების მისაღებად ზრუნვას და აი, ქრისტეს შობიდან 105 წელს, მათ კიდევაც მიაღწიეს სასურველ შედეგს – ხის მერქნიდან მიიღეს ქაღალდი. ამ დროისათვის ჩინელებს უკვე გააჩნდათ საწერი ტუში და ფუნჯი, რომელიც შემდგომ გამოგონებული კალამის მაგიერ გამოიყენებოდა.

ჩინელებმა, პირველებმა მთელ მსოფლიოში, ჯერ კიდევ უძველეს დროში შექმნეს ცის გლობუსი, შეადგინეს ენციკლოპედია და ვარსკვლავთა კატალოგი.

ჩინელთა ცის გლობუსზე ბარე 2500 ვარსკვლავი გახლდათ განთავსებული.

ჩინელებმა ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე პირველ ათასწლეულში გამოიგონეს კომპასი, დენთი, სეისმოგრაფი, აღნიშნული პერიოდისათვის პირველად ჩინეთში, ფაიფურისაგან. დამზადებული იქნა სხვადასხვა ჭურჭლეულობა, რომელმაც მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში ჰპოვა გავრცელება და დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

ჩინეთიდან იქნა პირველად შემოტანილი საქართველოში მანდარინი, ჯონჯოლის ხე, ნეკერჩხალი, თხილი, ყურძნისა და იასამნის რამდენიმე ჯიში, ჭვავი, სოიო და სხვა.

სოიოს კულტურა დიდად იყო გავრცელებული ჩვენს კუთხეში. მე კარგად მახსოვს, თუ როგორ იყენებდა ბაბუაჩემი – ილიას ინაიშვილი სოიოს მარცვალს საქონლის გამოსაკვებად. ასევე სოიოს ნაყოფის ფქვილისაგან ბებიაჩემი ამზადებდა სხვადასხვა სახის შეჭამანდს.

მე ისიც მახსოვს, თუ როგორ იტყოდა-ხოლმე ბაბუაჩემი: – სოიო პარკოსანი მცენარეა და იგი მიწას კარგად ანოყიერებსო.

ამიტომაც ბაბუაჩემი სოიოს მიწის განსაზღვრულ ნაკვეთზე თესავდა ხანგამოშვებით – 3-4 წელიწადში ერთხელ, დანარჩენ დროს კი ამ ნაკვეთზე მხოლოდ სიმინდის მარცვალი ითესებოდა.

სოიოს მარცვალი პირველად აჭარაში შემოტანილი იქნა 1896 წელს ჩაქვის საუფლისწულო მამულების მმართველის ვ. სიმონსონის მიერ. მოგვიანებით სოიომ მთელ საქართველოში ჰპოვა დიდი გასაქანი და ეს კულტურა ერთობ პოპულარული გახდა.

საკვებად გამოყენებასთან ერთად, სოიოს სხვა გამოყენებაც გააჩნია – მისი ნაყოფისაგან მზადდება ძვირფასი ზეთი, მის მისაღებად კი განსაკუთრებული შრომა-ჯაფა არაა საჭირო. სოიოს გამოწურული (ზეთგამოცლილი) ნაყოფი კი გამოიყენება სასუქად, მიწის გასანოყიერებლად.

სოიოს მოყვანას ჩვენში, უმთავრესად, მეორე მსოფლიო ომამდე მისდევდნენ. ომის შემდეგ კი რატომღაც, სხვადასხვა, გაურკვეველი მიზეზების გამო, სოიოს კულტურამ დეგრადაცია განიცადა და ამჟამად მის მოყვანას აღარ მისდევენ ხოლმე, რაც, თუკი გავითვალისწინებთ ამ კულტურის მეტად დადებით თვისებებსა და მნიშვნელობას, გაუპართლებლად მიმაჩნია.

ჩინეთიდან საქართველოში შემოტანილ კულტურულ მცენარეთა შორის, ჩვენში ყველაზე მეტად გავრცელდა და პოპულარიზაცია ჰპოვა ჩაისა და ციტრუსოვანთა კულტურებმა.

ფორთოხლისა და მანდარინის სამშობლოდ ითვლება სამხრეთი ჩინეთი, სახელდობრ, მისი ერთ-ერთი რეგიონი – კოხინხინა. ლიმონის სამშობლო კი, როგორც უკვე მოგეხსენებათ, არის ინდოეთი.

ევროპაში პირველად ფორთოხალი შემოიტანეს 350 წლის წინათ, საქართველოში კი გაცილებით გვიან – მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში.

როდესაც აჭარა 1878 წელს ისევ დაუბრუნდა საქართველოს, აღმოჩნდა, რომ აჭარის სანაპიროზე გაშენებული იყო ფორთოხალი და ლიმონი, რომელთა ნაყოფსაც მისი მეპატრონენი საოჯახო საჭიროებისათვის იყენებდნენ-ხოლმე.

აჭარაში ციტრუსოვანთა კულტურების პირველი გამავრცელებლები გახლდათ: სოლოვცევი, კრიშტოფოვიჩი და დალფონსი. სწორედ ამ ადამიანებმა შემოიტანეს აჭარაში პირველად ეს კულტურა იტალიიდან, სიცილიიდან და ალჟირიდან.

მათ მიერ პირველად შემოტანილმა ციტრუსოვანთა ნერგებმა, ჩვენთან არსებული განსხვავებული კლიმატური პირობების გამო, განვითარება-განვრცობა ვერ ჰპოვეს. ცისტრუსოვანთა ნარგავებმა გახარებით კი გაიხარეს, ნაყოფიც გამოიღეს, მაგრამ რადგანაც ზაფხული საქართველოში გაცილებით ხანმოკლე იყო, ვიდრე ამ კულტურების სამშობლოში, ნაყოფი დამწიფებას ვეღარ ასწრებდა.

1897 წელს ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელმა, პროფესორმა ანდრია კრასნოვმა იაპონიიდან ჩამოიტანა უნშიუს ჯიშის მანდარინის ნერგები, რომლებიც პირველად დაირგო ჩაქვის საუფლისწულო მამულში და კარგადაც შეეთვისა ადგილობრივ კლიმატს.

მოგვიანებით იტალიიდან, ალჟირიდან და სიცილიიდან შემოტანილი მანდარინის ნარგავები აღიგავა პირისაგან მიწისა – 1910-1911 წლების ცივმა, უსაშველოდ სუსხიან-ყინვიანმა ზამთარმა ისინი გაანადგურა, ხოლო კრასნოვის მიერ იაპონიიდან შემოტანილი უნშიუს ჯიშის მანდარინის ნერგებმა კი ჩინებულად გამოიზამთრეს.

სწორედ ამ პერიოდიდან – 1911-1912 წლებიდან იწყება ციტრუსოვანთა (უმთავრესად კი მანდარინის) განვრცობა საქართველოში. ჩვენში ამ კულტურის განვითარების საქმეში უდიდესი წვლილი დაღამსახურება მიუძღვის ჩინელ სპეციალისტს ლაო ჯონ-ჯაუს.

ვიდრე ამ ადამიანის შესახებ დავიწყებდეთ საუბარს, მოდით დაჯერ თავად ჩაის კულტურის განვითარების მოკლე ისტორიას გავეცნოთ, რამდენადაც, ეს კულტურა 1893-1899 წლებში პოპოვის სამ მამულში – ჩაქეში (რომელსაც პოპოვი მეტსახელად „სანუგემოს“ უწოდებდა), სალიბაურში („ლალი“) და კაპრემუშში („სანუკვარი“) ლაოს მუშაობასთანაა დაკავშირებული. ამ მამულებში ლაოს ძალისხმევითა და მონდომების შედეგად დაირგო 485290 ძირი ჩაის ბუჩქი, რომელიც გამოყვანილი იყო ჩინური ჩაის თესლისაგან (უნდა აღინიშნოს, რომ თავად პოპოვი სხვებთან შედარებით ჩინური ჯიშის ჩაის აკუთვნებდა უპირატესობას).

ჩინური ჯიშის ჩაის გარდა, ჩვენს კუთხეში, 1901 წლის პირველი იანვრისათვის დაირგო ასევე 7273 ძირი ჩაის ბუჩქი, რომელიც გამოყვანილი გახლდათ ასამის, კიმალაისა და ცეილონის ჩაის ბუჩქის თესლისაგან.

1894 წელს ჩვენს კუთხეში დარგეს 5979 ძირი ჩაის ბუჩქი, რომელიც გამოიყვანეს ორიგინალური ჩაის ბუჩქის კალმისაგან. ჩაქეის საუფლისწულო მამულში ჩაის ბუჩქების დარგვა დაიწყო 1894 წელს. 1910 წლისათვის ჩაის კულტურას უკვე საკმაოდ დიდი ფართობი – 350 ჰექტარი ეჭირა.

1898 წელს ჩაის კულტურამ ფეხი მოიკიდა არა მარტო მსხვილ მეურნეობებში, არამედ წვრილ-წვრილ მეურნეობებშიაც.

თუ რა ტემპით და რა თანმიმდევრობით იზრდებოდა ასეთი მეურნეობების რიცხვი, ამისი გაცნობა მკითხველს ამ ცხრილიდან შეუძლია.

№	წლები	პლანტაციის რაოდენობა
1.	1893	1
2.	1895	2
3.	1898	6
4.	1899	14
5.	1900	17
6.	1901	20
7.	1902	23
8.	1903	28
9.	1904	33
10.	1905	40
11.	1906	50
12.	1907	74
13.	1908	92
14.	1909	94

1910 წლისათვის მთლიანად 94-ივე პლანტაციას ეჭირა 564 დესეტინა მიწის ფართობი.

* * *

1910 წლის მონაცემების მიხედვით ჩაის პლანტაციები განლაგებული გახლდათ შემდეგი სახით:

№	სოფლის დასახელება	პლანტაციის რაოდენობა	დაკავებული ფართ. დესეტინებში
1.	ჩაქვი	7	896
2.	აქყვა	1	1800 კვ. საეენ.
3.	ციხისძირი	7	3
4.	მწვანე კონცხი	11	3
5.	მახინჯაური	16	13
6.	ყარა-დერე (განთიადი)	3	8
7.	კაპრეშუმი	13	31
8.	სალიბაური	5	59
9.	ორთაბათუმი	1	1200 კვ. საეენ.
10.	სოუქ-სუ	8	30
11.	ფერია	12	11
12.	ჭაობი	3	1
13.	სმეკალოვკა (ქობულეთი)	7	1
14.	ხუცუბანი	2	1
სულ			564 დესეტინა

* * *

უნდა აღინიშნოს, რომ ჩაის პლანტაციების ამდენ მფლობელთა შორის მხოლოდ ორიღა გახლდათ ადგილობრივი მცხოვრებნი, ყველა დანარჩენი კი სხვადასხვა რეგიონებიდან იყვნენ ჩამოსულები.

პირველად ჩვენს კუთხეში ჩაის მზა პროდუქციის მიღება განხორციელდა 1895 წლიდან.

გთავაზობთ ცხრილს, ჩაის მზა პროდუქციის რაოდენობისა (ფუნტებში), დაწყებული 1895 წლიდან, 1909 წლის ჩათვლით.

№	წლები	მზა პროდუქციის რაოდენობა
1.	1895	20
2.	1896	37
3.	1897	1200
4.	1898	1300
5.	1899	3740
6.	1900	5930
7.	1901	3372
8.	1902	58 165
9.	1903	63 927
10.	1904	142 160
11.	1905	158 546
12.	1906	114 123
13.	1907	64 422
14.	1908	149 987
15.	1909	188 160 ¹

* * *

რაკილა, ასე თუ ისე, მიმოვიხილეთ ჩვენს კუთხეში ჩაის კულტურის გავრცელების პირველი ნაბიჯები, ახლა უშუალოდ ამ კულტურის გამავრცელებელზეც – ლაო ჯონ-ჯაუზე შევეუდგეთ თხრობას, თუმცა მასზე, გაკვრით, ჩვენ უკვე გვექონდა საუბარი, როდესაც ცნობილი ჩაის გამავრცელებლისა და ვაჭრის – კონსტანტინე პოპოვის მოღვაწეობაზე მოვითხრობდით.

ლაო ჯონ-ჯაუ დაიბადა 1870 წელს ქალაქ კანტონში. 18 წლის ასაკში მას მიენიჭა კაპიტნის სამხედრო წოდება, მაგრამ სამხედრო განხრით მისი სამსახური დიდხანს არ გაგრძელე-

1. ჟურნ. "ბათუმის სოფლის მეპატრონე", 1910 წ. №9.

ბულა. იგი მუშაობას იწყებს ჩაის ფაბრიკაში, ჯერ სამი წლის განმავლობაში პრაქტიკანტად იმუშავა, მერე კი ორი წლის განმავლობაში – 1893 წლამდე, ფაბრიკის დირექტორის თანამშემწედ, შემდეგ, როგორც ვიცით, კ. პოპოვის თხოვნით, სამუშაოდ ჩამოდის აჭარაში, სადაც 30 წელი იმოღვანა. პირველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამი წლის განმავლობაში ლაო ჯონ-ჯაუს ძალისხმევით შესრულდა შემდეგი სამუშაოები: მოეწყო დიდი მოცულობის სათბური ჩაის ბუჩქის ნერგების გამოსაყვანად, ვრცელი მიწის ნაკვეთზე გაშენდა ჩაის პლანტაციები, აშენდა მცირე მოცულობის ჩაის ფაბრიკა, სადაც მესამე წელიწადს დამზადდა ჩაის პირველი პროდუქცია. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამი წლის გასვლის შემდეგ ლაო ჯონ-ჯაუმ კ. პოპოვთან გააგრძელა ხელშეკრულება და მიიღო დავალება, რათა ნახევარი წლით ჩასულიყო მივილინებით



ლაო ჯონ-ჯაუს საცხოვრებელი სახლი ჩაქვში


ჩინეთში ჩაის ნერგებისა და თესვების ჩამოსატანად. ლაომ დავალება პირნათლად შეასრულა და 1897 წლის მაისში აჭარაში დაბრუნდა. მან თან ჩამოიყვანა დედა, მეუღლე, ვაჟიშვილი, ქალიშვილი, 12 ჩინელი სპეციალისტი ოჯახის წევრებთან ერთად კ.პოპოვის განკარგულებით სოფელ კაპრეშუმში ლაოს ოჯახისათვის აშენდა ორსართულიანი კაპიტალური საცხოვრებელი სახლი. ლაომ კ. პოპოვთან მთლიანობაში იმუშავა 7 წლის განმავლობაში. ამ დროის მანძილზე იგი ხელმძღვანელობდა კ. პოპოვის ყველა მამულსა და ჩაის ფაბრიკას. ყოველივე ამას ლაო ბრწყინვალედ ართმევდა თავს. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია რუსეთის ხელისუფალთ, 1901 წელს რუსეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის – ერმოლოვისა და საუფლისწულო მამულების მთავარი აგრონომის ი.ნ. კლინგენის რეკომენდაციის საფუძველზე რუსეთის საუფლისწულო მამულების უფროსის, კოჩუბის მიწვევით ლაო ჯონ-ჯაუ დაინიშნა ჩაქვის საუფლისწულო მამულის ჩაის ფაბრიკის დირექტორად. ამის შემდეგაც ლაოს არ გაუწყვეტია კ.პოპოვთან ურთიერთობა და შეძლების ფარგლებში მუდამ ასრულებდა მის დავალებებს.

* * *

ბათუმის ბოტანიკური ბაღის ფუძემდებელი – პროფესორი ანდრია კრასნოვი დიდად აფასებდა ლაო ჯონ-ჯაუს მოღვაწეობას და მის შრომა-საქმიანობას ასეთ შეფასებას აძლევდა: „ვლავარაკობთ რა ჩაქვზე, მე არ შემიძლია არ ვთქვა რამდენიმე სიტყვა მის ღირშესანიშნაობაზე – ჩაის ფაქტორიის გამგეზე ჩინელ ლაო ჯონ-ჯაუზე, რომელსაც ბათუმელები იცნობენ ივან ივანის ძის სახელით, რომელიც ბათუმელებში სარგებლობს დიდი

სიყვარულითა და პოპულარობით. მე კარგად ვიცნობდი ჩინელს, რომელიც თავიდანვე მსახურობდა პოპოვთან და შემდეგ გადავიდა საუფლისწულო უწყებაში, რომელსაც გაუწია დიდი სამსახური, დააყენა რა ჩაის მოყვანა შესაბამის ფეხებზე.

ამჟამად იგი ღებულობს კარგ ხელფასს, ცხოვრობს სპეციალურად მისთვის აშენებულ სახლში, ჰყავს საკუთარი ცხენები და მოსამსახურე. მან დიდი ხნის წინათ ჩამოიყვანა მეუღლე ჩინეთიდან და ზრდის მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებს ბათუმის სასწავლო დაწესებულებებში. ყველა ისინი ბრწყინვალედ ლაპარაკობენ რუსულად, გერმანულად, მორთულობით და ცხოვრების წესით მთლიანად გარუსებულია – მასში თქვენ აღიქვამთ ჩინურ და რუსულ კულტურას და მის სასარგებლოდ უნდა



**ჩაქვის საუფლისწულო მამულის ჩაის ფაბრიკა,
რომლის დირექტორიც გახლდათ ლაო ჯონ-ჯაუ**

ითქვას, რომ მან შეძლო შეერწყა საკუთარ თავში ორი ერის საუკეთესო თვისებები. დღემდე იგი ატარებს ეროვნულ ტანსაცმელს. გააერთიანა რა თავის თავში ლაპარაკის სიმკვირცხლე, თავაზიანობა, ფხიანობა, ენერგია და ზეციური იმპერიის დაუცხრომელი შვილის თვისებები, მან ამავდროულად აითვისა განათლებული და საქმიანი რუსი კაცის მეთოდები და ქმედითი პრინციპები. მისი ქცევა ჰუმანურია, განკარგულება – ზაქმიანი და მოფიქრებული. მისი ბინა მოწყობილია გემოვნებით, ევროპული კომფორტის შერწყმით თავისებური შორეული აღმოსავლეთის დეკორაციასთან. ეს გულთბილი მასპინძელი, როცა უმასპინძლდება მრავალრიცხოვან სტუმარს, იგი ყოველთვის ინარჩუნებს საინტერესო სალაპარაკო თემას, მისი ცოლი, რომელიც ასევე შემოსილია ჩინური ჩასაცმლით, ბრწყინვალედ ლაპარაკობს რუსულად. რაც შეეხება შვილებს, ისინი ატარებენ რუსულ ტანსაცმელს. მათ ქცევაში და საუბარში ვერ განასხვავებთ ბათუმის მცხოვრებლებისაგან. ქარხნის საქმიანი ადმინისტრატორი – ივან ივანეს ძე (ლ.ო. ჯონ-ჯაუ. – თ.კ.) ბათუმის მხარის მხურვალე პატრიოტია, ბრწყინვალედ შეეთვისა მოსახლეობას. ცოტა მოიძებნება რუსები, რომლებსაც სურს და აკეთებენ იმდენ სასარგებლო საქმეს მხარისათვის როგორც იგი“¹

1905 წელს რუსეთში დაიწყო რევოლუციური მოძრაობა, რამაც გამოიწვია (1909 წლამდე) კ.პოპოვის ჩაის ფაბრიკის დახურვა. მაშინ, როცა ჩაქვის საუფლისწულო ფაბრიკა და მამული აღმავლობის გზაზე იყო დამდგარი, კ.პოპოვის მამული დეგრადაციას განიცდიდა, ამის ძირითადი მიზეზი იყო ლაოს იქიდან წასვლა, არადა, ლაო დიდად განიცდიდა, როცა ხედავდა, რომ მის მიერ დაფუძნებული პოპოვის ჩაის პლანტაციები განა-

1. ეურნ. "ბათუმის სოფლის მეპატრონე". 1910 წ. №12.



ლაო ჯონ - ჯაუ სალიბაურის ჩაის ფაბრიკაში,
1908 წელი

დგურების პირას იყო მისული. ამიტომაც 1908 წელს მოსკოვში ლაომ ინახულა კ. პოპოვი და შესთავაზა თავისი სამსახური ჩავარდნილი საქმის გამოცოცხლების მიზნით. კ. პოპოვმა დიდად გაიხარა ლაოს შემოთავაზებული წინადადებით. ორი წლის განმავლობაში ლაოს ძალისხმევით კ. პოპოვის ჩაის პლანტაციებმა დაიბრუნეს პირვანდელი სახე. 1911 წელს კ. პოპოვმა შეძლო სალიბაურის ჩაის ფაბრიკის ამუშავება. ლაოს დაბა ჩაქვში ზღვის სანაპიროზე აუშენეს რვაოთახიანი საცხოვრებელი სახლი. აღნიშნული სახლი დღესაც ფუნქციონირებს, იქ მომავლისათვის გათვალისწინებულია მოეწყოს აჭარაში სუბტროპიკული კულტურების განვითარების ამსახველი მუზეუმი. 1911 წელს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩელტაში მან შეიძინა 25 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, სადაც მოაშენა ჩაისა და მანდარინის პლანტაციები და მოაწყო სანერგე, სადაც დიდი რაოდენობით გამოჰყავდა მანდარინის ნერგები, რომელსაც დაბალ ფასებში ჰყიდდა ადგილობრივ მოსახლეობაში, რაც ხელს უწყობდა აჭარაში ციტრუსების გავრცელებას. 1918 წელს ლაომ საკუთარ ჩაის პლანტაციაში მოკრეფილი ნედლეულით გამოუშვა ჩაის პროდუქცია, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

* * *

საქართველოში ჩაის კულტურის განვითარების საქმეში გაწეული დიდი შრომისა და ღვაწლისათვის, 1909 წელს ლაო ჯონ-ჯაუ დააჯილდოვეს სტანისლავსკის ორდენით. ლაო ჯონ-ჯაუსათვის გადაცემულ ამ ორდენზე ვკითხულობთ შემდეგ წარწერას:

„ხელმწიფე იმპერატორმა (იგულისხმება ნიკოლოზ მეორე – თ.კ.) გამოთქვა სურვილი, რათა ჩაქვის ჩაის ფაბრიკის დირექტორი, ჩინეთის მოქალაქე ლაო ჯონ-ჯაუ დააჯილდოვოს სტანისლავსკის მესამე ხარისხის ორდენით“

ეს გახლდათ პირველი შემთხვევა, როდესაც ჩინელი ეროვნების ადამიანი დაჯილდოებული იქნა მეფის რუსეთის ორდენით, ეს კი, თავისთავად ცხადია, ლაო ჯონ-ჯაუს დიდ დამსახურებაზე, ღვაწლზე და ავტორიტეტზე მიანიშნებს უდავოდ.

1921 წელს მოხდა აჭარის გასაბჭოება, რომლის შემდეგაც ლაო ჯონ-ჯაუ 1926 წლამდე, აჭარის ხელისუფლების თხოვნის საფუძველზე, სამუშაოდ დარჩა ჩაქვის ჩაის ფაბრიკის დირექტორად, ხოლო მისი ოჯახის წევრები ჩინეთში დაბრუნდნენ.

1924 წელს აჭარაში ჩაის კულტურის დაფუძნების საქმეში უდიდესი ღვაწლისათვის აჭარის მთავრობამ წარადგინა შუამდგომლობა საქართველოს მთავრობის წინაშე ლაო ჯონ-ჯაუს წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.¹ მიმართვაში ვკითხულობთ: „მოქალაქე ლაო ჯონ-ჯაუს მიუძღვის დიდი დამსახურება აჭარაში ჩაის კულტურის გავრცელების საქმეში და დღევანდელ მდგომარეობამდე მიღწეული ჩაის კულტურა მოქალაქე ლაო ჯონ-ჯაუს თავგამოდებული ღვაწლის, ცოდნისა და დაუმრეტელი ენერჯიის ნაყოფია. აჭარის რესპუბლიკის ფარგლებში არსებული ჩაის პლანტაციები, შეიძლება ითქვას, პირმშო შე-

1. აჭარის სახ. ცენტრალური არქივი. ფ. 2. საქმე №182. გვ. 14-15.

ილია უცხოეთიდან ჩამოსული ჩვენი ქვეყნის გულშემატკივარი უმაღლესი სპეციალისტის მოქ. ლაო ჯონ-ჯაუსი“ საქართველოს სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა აჭარის სახკომსაბჭოს შუამდგომლობა და 1924 წლის 13 ნოემბერს ლაო ჯონ-ჯაუ დააჯილდოვა წითელი დროშის ორდენით. ლაო ჯონ-ჯაუმ პირადი დაკვირვებების საფუძველზე, ხელნაწერის სახით, დაგვიტოვა თავისი შეხედულება ჩაის პლანტაციების დამუშავებისა და მზა პროდუქციის მიღების ტექნოლოგიური პროცესის შესახებ,¹ სადაც იგი წერდა: “ბათუმში მე 27 წელი მივუძღვენი ჩაის საქმეს და მრავალწლიანი გამოცდილების შედეგად მინდა აღვნიშნო, რომ ბათუმის ოლქში შეიძლება დამზადდეს ჩაი საშუალო და, მაღალი ხარისხისა, ვიდრე ჩინეთსა და ცეილონში. კერძოდ, შეიძლება დიდი წარმატებების მიღწევა, რისთვისაც ჩაის პლანტაცია საჭიროებს სწორ გასხვლას, გადაბარვასა და, რაც მთავარია, ფოთლის სწორად კრეფას. ორწლიანი ჩაის ბუჩქი მოითხოვს ზედაპირის გაფორმებასა და შესწორებას, ხუთი წლის შემდეგ საჭიროა ზემო უვარგისი ტოტებისა და ჩაის ბუჩქის სიღრმეში გამხმარი ტოტების შეჭრა. ათი წლის ჩაის ბუჩქი საჭიროებს ყველა ხმელი ტოტის ძირში მოჭრას, რაც შეეხება ახალგაზრდა ამონაყარს, ხელი არ უნდა ვახლოთ, რადგანაც იგი ჩაის ბუჩქის შემავსებელი ნაწილია, ჩაის ბუჩქის შეჭრა საჭიროა ყოველწლიურად. დიდი შეჭრა კი სამ წელიწადში ერთხელ. მოსავლის გაზრდა და მაღალხარისხიანი პროდუქციის დამზადება დამოკიდებულია უშუალოდ სწორ და თავის დროზე ფოთლის კრეფაზე;

დაგვიანებით ჩაის ფოთლის კრეფა იწვევს მოსავლის შემცირებასა და ხარისხის დაქვეითებას, რაც განპირობებულია ჩაის

1. იქვე. გვ. 51-61

ფოთლის გაუხეშებით. კრეფის წინ ახალგაზრდა ტოტი უნდა შეიცავდეს 4-5 ფოთოლს, რომელთაგანაც უნდა მოიკრიფოს მხოლოდ ტოტის ზემო ნაწილში განლაგებული 2-3 ფოთოლი. აჭარის კლიმატის ზემოქმედების საფუძველზე უმაღლესი ხარისხის ჩაი მიიღება მეორე კრეფის დროს, რაც განპირობებულია იმით, რომ მეორე კრეფისათვის ჩაის ფოთლის დამწიფებას 2-3 თვე ესაჭიროება – თებერვლიდან მაისამდე.

ჩაის თესლი უნდა დაითესოს შემოდგომაზე. აჭარაში კარგად ხარობს ჩაის ჩინური სახეობა „კანგრა“ და ადგილობრივი ჩაის ბუჩქი.

ლაო ჯონ-ჯაუს რეკომენდაცია დღესაც გასათვალისწინებელია, რადგანაც გამოდევნება ჩაის მოსავლის გასაზრდელად ტექნოლოგიური პროცესის დარღვევის ხარჯზე, იწვევს ჩაის პროდუქციის ხარისხის საგრძნობლად დაცემას. მაგალითი სახეზე გვაქვს, თუ ასე გაგრძელდება, ჩაის კულტურა საქართველოში განადგურდება, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით გაუმართლებელია.

ლაო ჯონ-ჯაუს გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, სხვა სუბტროპიკული კულტურების შესახებაც. მისი სამეცნიერო ნაშრომებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დებულებას – ჩაის პროდუქციიდან კოფეინისა და ტანინის მიღების თაობაზე, რაც პირველად მის მიერ იქნა შესწავლილი. სტატიაში აღნიშნულია: „კოფეინისა და ტანინის მიღება შეიძლება ზამთრის დროს ჩაის ბუჩქების გასხელის შედეგად მიღებული ჩაის ფოთლიდან, რომელთა რაოდენობაც უდრის გაზაფხულ-ზაფხულში მოკრეფილი ჩაის ფოთლის რაოდენობის ნახევარს.“ ამავე დროს ლაოს თავის სტატიაში ჩამოყალიბებული აქვს ჩაის ფოთლიდან კოფეინისა და ტანინის მიღების ტექნოლოგია. მოგვიანებით ლაო ჯონ-ჯაუს წინადადებამ პრაქტიკული განხორციელება კპოვა და ბათუმში გაიხსნა კოფეინის ქარხანა, ხოლო ზამთრის პერიოდში

მოკრეფილ ჩაის ფოთოლს, ლაოს საპატივცემულოდ, მისი სახელით მოიხსენიებენ.

* * *

ლაო ჯონ-ჯაუს მრავალმხრივი განათლება ჰქონდა მიღებული, გახლდათ დიდად ნაკითხი და მეტად ერუდირებული პიროვნება, ამიტომაც, რაღა გასაკვირია, რომ იგი ერთობ მაღალ დონეზე ფლობდა სუბტროპიკული კლიმატისათვის დამახასიათებელი კულტურების სათანადოდ მოვლა-პატრონობისა და მათი ნაყოფისაგან სხვადასხვა დანიშნულების კვებისა და სახალხო მეურნეობისათვის საჭირო ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიას. მან ზედმიწევნით იცოდა, თუ რისგან რისი, რა სასარგებლო პროდუქციის დამზადება იყო შესაძლებელი საჭირო ტექნოლოგიის ზუსტი დაცვით.

ვსაუბრობთ რა მასზე, აქვე უნდა განვაცხადოთ ისიც, რომ ლაო ჯონ-ჯაუს შესანიშნავად ჰქონდა ათვისებული ციტროთი მურაბის დამზადების მეთოდი. ამის შესახებ იგი აცხადებდა: „ციტროსაგან რომ დავამზადოთ ყველაზე კარგი, გემრიელი მურაბა, ამისათვის საჭიროა ავიღოთ ციტროს მწიფე ნაყოფი, რომლის შეფერილობა იქნება წითელ-ყვითელი ფერისა. მურაბა მზადდება შემდეგი თანმიმდევრობით: ციტროს უნდა გავაცალოთ გარეკანი მის სირბილემდე, ნაყოფის რბილი ნაწილი უნდა დაიჭრას ოთხ ანდა კიდევ ხუთ თანაბარ ნაწილად. ნაყოფის ქერქი უნდა ჩავდოთ ცივ წყალში და შევინახოთ 3-ნ დღე-ღამის განმავლობაში, წყალი უნდა გამოვცვალოთ ყოველდღიურად. შემდგომ ნაყოფის კანი უნდა დავჭრათ გრძლივი მიმართულებით და გავახშოთ.

რაც შეეხება შაქრისა და წყლის შემადგენლობას, იგი ასეთ-
ია: ერთ ფუნტ ციტროს კანზე იხმარება ერთი ფუნტი შაქარი
და სამი ჭიქა წყალი, ყოველივე ეს უნდა მოიხარშოს ნელ
ცეცხლზე მანამდე, სანამდე, სიროფი არ გასქელდება“

ლაო ჯონ-ჯაუს მეთოდით დამზადებული ციტროს მურაბა
მართლაც რომ შესანიშნავია მას ჩვენი დიასახლისები ლაო ჯონ-
ჯაუსეული მეთოდით ამზადებენ.

ლაო ჯონ-ჯაუს მეთოდთა შორის ყურადღებას იპყრობს
აგრეთვე ჩაის მწვანე ფოთლის ელექტროგახურებით გახმობის
მეთოდი, რაც, იმ დროისათვის, ჩაის ფოთლის მოცულობის თან-
მიმდევრული გაზრდის საფუძველზე, ერთ-ერთ გამოსაყვალ საშუ-
ალებას წარმოადგენდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ლაოს მიერ ასეთი საშუალების გამოგონე-
ბამდე ჩაის მწვანე ფოთლის გახმობა წარმოებდა ავტომატიზებულ
საშრობ ქურებში, რომლებიც ცხელდებოდა შეშის საშუალებით. ამ
ქურების გახურება შესაძლებელი ხდებოდა 105-110 გრადუს
ტემპერატურაზე. ამ მეთოდით დამზადებული ჩაის პროდუქციის
არომატი შესაძინევად ქვეითდებოდა და იკარგებოდა ხარისხი.

ლაოს მეთოდით ელექტროგახურებით მოქმედ დანადგარებში ტე-
მპერატურა მერყეობდა 40-50 გრადუსის ფარგლებში, რაც საგრძობ-
ბლად ამაღლებდა მზა ჩაის ხარისხს და ამავდროულად არ იკარგ-
ებოდა ჩაის არომატი და სურნელება. მოგვიანებით ლაოს ეს მეთოდი
მთლიანად დაინერგა ჩაის მრეწველობაში და ამის შემდეგ კარგა
ხანს ჩაის მზა პროდუქცია სწორედ მისი მეთოდით მზადდებოდა.

* * *

ლაო ჯონ-ჯაუმ, 1924 წელს, სამშობლოში, ჩინეთში
გამგზავრებამდე ორი წლით ადრე გამოსამშვიდობებელი წერ-
ილით მიმართა აჭარასა და მის მშრომელებს: „30 წლის წინათ

გამოჩენილმა რუსმა ვაჭარმა კონსტანტინე პოპოვმა გადაწყვიტა განეგრძო აქ ჩაის კულტურა, ამ ჩანაფიქრის განხორციელებისათვის, როგორც ამ საქმის სპეციალისტი, მომიწვია მე.

მივდივარ რა აქედან, მივემგზავრები რა ჩემს სამშობლოში, ჩინეთში, მე არასოდეს არ. დავივიწყებ ჩემთვის ამ უსაყვარლეს კუთხეს, ვუსურვებ მას აყვავებას, სიმდიდრეს, დიდ წარმატებებს მრეწველობაში და ტექნიკაში, მაღალ კულტურასა და მშვიდობას.

არასოდეს დავივიწყებ კეთილ დამოკიდებულებას ჩემდამი, რისთვისაც მოგიძღვნით სულიერ მაღლობას.

მიუხედავად იმისა, რომ მე ჩემს ღვიძლად მიმაჩნია ამ კუთხეში ჩემს მიერ დარგული მილიონობით ბუჩქი, პალმები, ცისტრუსები, ბამბუკები, აკაცია და სხვები, ყოველივე ესენი მაინც ვერ გამაჩერებენ აქ, რამდენადაც დიდი სურვილი მაქვს დაებრუნდე ჩემს სამშობლოში და იქ გავატარო სიცოცხლის დარჩენილი დღები“¹

* * *

ლაო ჯონ-ჯაუ სამშობლოში დაბრუნების დღიდანვე ოჯახის წევრებთან ერთად დასახლდა ქალაქ ხარბინში, სადაც ძირითადად დაკავებული იყო საცხენოსნო სპორტით. იგი 1939 წელს გარდაიცვალა ფილტვების ანთებით 69 წლის ასაკში. დასაფლავებულია ქალაქ ჰეკინში.

ლაოს დარჩა ხუთი შვილი, ორი ვაჟიშვილი და სამი ქალიშვილი, რომლებიც აჭარაში აღიზარდნენ და ხუთივეს აქ ჰქონდა მიღებული განათლება რუსულ ენაზე.

1. ა კალანდარიშვილი, "შორეული მეგობარი", ბათუმი, 1953 წ. გვ 100

უფროსი ვაჟიშვილი ლაო სიუ-ჯაუ დაიბადა 1892 წელს ქ.კანტონში. დაამთავრა ბათუმის ვაჟთა გიმნაზია, შემდგომ კი პეტროგრადის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და პოლიტექნიკური ინსტიტუტი მუშაობდა ქ.კუმიანის უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობაზე, მოგვიანებით მუშაობა დაიწყო ჩინეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში. ჰყავს ოთხი შვილი, ორი ვაჟიშვილი და ორი ქალიშვილი. ოთხივე უმაღლესი განათლება რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში მიიღო.

ლაოს მეორე ვაჟიშვილი ლაო ვეი-ჯაუ დაიბადა 1903 წელს ჩაქვში, დაამთავრა ბათუმის ვაჟთა გიმნაზია. დასაწყისში ის მუშაობდა ქაქეინის უნივერსიტეტში დოცენტის თანამდებობაზე, შემდეგ ქალაქ ფუნინის უმაღლეს სასწავლებელში პროფესორის თანამდებობაზე დაქორწინებულია ქართველ მანდილოსანზე, რომელიც მუშაობდა ჰეკინის პედაგოგიურ უნივერსიტეტში დოცენტის თანამდებობაზე. ჰყავს ორი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი.

ლაოს უფროსი ქალიშვილი ლაო ჯონ-ჯოუ დაიბადა მახინჯაურში 1901 წელს, დაამთავრა ბათუმის ქალთა გიმნაზია.

ლაოს მეორე ქალიშვილი ლიუ ა-ლი დაიბადა ჩაქვში 1905 წელს დაამთავრა ბათუმის ქალთა გიმნაზია

ლაოს მესამე ქალიშვილი ლიუ სან-სანი დაიბადა ჩაქვში 1908 წელს, დაამთავრა ქ.ხარბინის რუსული გიმნაზია.

ლაო ჯონ-ჯაუს შთამომავლობა სულიერად იყო დაკავშირებული აჭარასთან. ისინი აქ აღიზარდნენ და აქვე მიიღეს პირველდაწყებითი განათლება.

1995 წელს სამუშაო მივლინებით ვიყავი ჩინეთის რესპუბლიკაში. ჩინელ კოლეგებთან შეხვედრის დროს მათ მოუყვევი ჩინელი სპეციალისტების მიერ საქართველოში ჩაის, ციტრუსების და სხვა კულტურების გავრცელება-განვითარების საქ-

მეში გაწეული უდიდესი ღვაწლის შესახებ. ჩემმა მონათხრობმა დიდად ასიაშოვნა ისინი და იმედი გამოთქვებს, რომ მათი წინაპრების მიერ ჩაყრილ მეგობრობას მტკიცე საფუძველს ჩვენ შემდგომში კიდევ უფრო განვამტკიცებთ.

ოვანეს თუმანიანი

მიმდინარე, 2000 წლის პირველ ნახევარში სომხეთის დედა-ქალაქ ერევანში სომხურ ენაზე დაიბეჭდა ჩემი წიგნი, რომლის სათაური გახლავთ „მეგობრობის ხიდი“, რომელმაც ჩვენს მოძმე სომხეთში დიდი მოწონება დაიმსახურა და სათანადო ყურადღებაც მიიქცია. ახლა მე აქ არ შევუდგები მკითხველისათვის ამ წიგნის შინაარსის გადმოცემასა და გაცნობას, მაგრამ იმას კი ვიტყვი ორიოდ სიტყვით, რომ იგი ორი მეზობელი, მოძმე ხალხის – ქართველთა და სომეხთა ისტორიულ მეგობრობას ეხება და მოთხრობილია ჩვენს კუთხეში, აჭარაში, სახელღობრ კი ბათუმში მცხოვრები სომხების შესახებ, იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც უანგარო შრომა-საქმიანობით თავიანთი წვლილი შეიტანეს ჩვენი ქალაქის აღორძინებისა და ორი მოძმე ერის მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

ზემოთ ხსენებული წიგნის პრეზენტაციაზე ჩემი ოჯახით მიწვეული ვიყავი სომხეთში, ქალაქ ერევანში, ამ მიწვევისა და წიგნის პრეზენტაციის ინიციატორი გახლდათ სომხეთის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა.

და აი, 2000 წლის 5 სექტემბერს, სომხეთისაკენ გამგზავრებულმა სოფელ სადახლოსთან გადაკვეთეთ მოძმე სომხეთის საზღვარი. საზღვრის იქეთა მხარეს ჩვენ გველოდებოდა ჩვენი უპირველესი გიდი და მასპინძელი, სომეხი მწერალი, ფელიქს ბახჩინიანი.



ოვანეს თუმანიანი

მცირედენი მიკითხვ-მოკითხვისა და გულთბილი ყურად-
ღების გამოჩენის შემდეგ, ჩვენ ბევრი არ დაგვიხანებია და პირ-
დაპირ ქალაქ ალავერდისაკენ გავემგზავრეთ. ალავერდში ჩასუ-
ლებს ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლობამ და
მოსახლეობამ გულთბილი, ნამდვილად მეგობრული, ძმური შეხ-
ვედრა მოგვიწვეეს. გულდასმით დავათვალიერეთ ამ პატარა
ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები, ჩვენმა მასპინძლებმა, რო-
დესაც საუბარი ორი ერის – ქართველი და სომეხი ხალხის ის-
ტორიულ მეგობრობაზე ჩამოვარდა, დაუფარავი სიამაყით აღნ-
იშნეს, რომ გამოჩენილი სომეხი მწერალი, საზოგადო მოღვაწე,
ქართველთა და სომეხთა შორის მეგობრული ურთიერთობის გან-
მტკიცების მებაირაღე – ოვანეს თუმანიანი აქედან, ალავერდიდან
იყო წარმოშობით და ამ მხრივ, ალავერდელებს მართლაც რომ
აქვთ სატრაბახო და საამაყო.

ქალაქ ალავერდიდან ჩვენ ქალაქ გიუმრისაკენ (ყოფილი ლენ-
ინაკანი) გავემგზავრეთ. გიუმრი სომხეთის რესპუბლიკაში მისი
დედაქალაქის, ერევანის შემდეგ თავისი სიდიდითა და მნიშ-
ნელობით, სამრეწველო თუ კულტურული პოტენციალით, მეორე
ქალაქად ითვლება.

ქალაქ გიუმრში ჩვენი მასპინძელი გახლდათ გიუმრის პედ-
აგოგიური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ჰორიკ ჰარუ-
თუნიანი თავის თანამშრომლებთან ერთად.

უნდა ვაღიარო, რომ ჩინებული მასპინძლობა გაგვიწიეს და
დაგვეხმარნენ ქალაქის ღირსშესანიშნაობების გაცნობაში.

ის ღამე ამ ქალაქში გავათიეთ, მეორე დღით კი გავემგზავ-
რეთ ძველი სომხეთის სახელმწიფოს ყოფილი დედაქალაქის –
ანისის დასათვალიერებლად. ეს ქალაქი, უფრო სწორად, მისი
ნანგრევები ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზეა
განლაგებული და მასთან ახლოს მისვლა პრობლემასთანაა



ო. თუმანიანის სახლ-მუზეუმი. ქ. ერევანი

დაკავშირებული, მაგრამ იგი აქედანაც, სომხეთის მხრიდანაც კარგად სჩანს და აღიქმება.

ქალაქი ანისი თავის დროზე 1001 ეკლესიის მქონე ქალაქის სახელითაც იყო ცნობილი და, მართლაც, აქა-იქ რამდენიმე ეკლესიის ნაშთი დღესაც არის შემორჩენილი.

ესაუბრობთ რა ამ ქალაქზე, არ შეიძლება არ აღვნიშნო და მოვიხსენიო ისიც, რომ მისი დანარჩუნების საქმეში უდიდესი დამსახურება და ღვაწლი მიუძღვით საქართველოს გამოჩენილ მეფეებს: დავით აღმაშენებელს, გიორგი მესამესა და თამარ მეფეს. ჩვენთვის, ცხადია, დიდად სასიამოვნო გახლდათ ის გარემოება, რომ ამის შესახებ ჩვენ თავად მასპინძლები გვიყვებოდნენ და ხაზს უსვამდნენ ქართველ მეფეთა დამსახურებაზე, რომლებმაც რამდენჯერმე გაუწოდეს დახმარების ხელი დიდ განსაცდელში ჩავარდნილ სომეხ ხალხს და გადაარჩინეს ისინი შემოსეული მტრებისაგან ნგრევა-აწიოკებას.

ნ სექტემბერს, საღამოს, ჩავედით სომხეთის დედაქალაქ ერევანში და მოვეწყვეთ ჩვენთვის განკუთვნილ სასტუმროში, რომელიც ქალაქის ცენტრში, სომხეთის პრეზიდენტის რეზიდენციის მიმდებარედ მდებარეობს.

მეორე დღით სასტუმროში მოგვაკითხა სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, საქვეყნოდ ცნობილმა მწერალმა ჰგრანტ მათეოსიანმა მეუღლესთან – ოვანეს თუმანიანის სახლ-მუზეუმის დირექტორთან, ვირჟინე მოვსესიანთან და გაზეთ „ლიტერატურული სომხეთის“ რედაქტორ ალბერტ ისოიანთან ერთად, რომელსაც თან თავისი მეუღლე ახლდა.

დროის ეკონომიის მიზნით, სასტუმროდან რაც შეიძლება ადრე გამოვედით და შევუდექით ქალაქ ერევანის ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერებას. პირველ რიგში მოვინახულეთ ოვანეს თუმანიანის სახლ-მუზეუმი, შენობა მოთავსებულია



აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილი, ვირჟინე თუმანიანი –
ქ. ერევნის ო. თუმანიანის სახლ-მუზეუმის დირექტორი
და ნარგიზ აბაშიძე


ბორცვზე, ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩის დასაწყისში. ეს სახლ-მუზეუმი, თავისი გრანდიოზულობით მეტად თვალში საცემია და გამძლე-გამომძლეულთა, ქალაქში ჩამოსულ სტუმართა ყურადღებასა და დაინტერესებას იწვევს.

მუზეუმში შინაურული და გულთბილი შეხვედრა მოგვიწვევს და დეტალურად, ძირფესვიანად გაგვაცნეს ოვანეს თუმანიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი საკითხები.

მუზეუმის მრავალრიცხოვანი სათავსოები შევსებულია ოვანეს თუმანიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი აურაცხელი სამუზეუმო ექსპონატებით.

აქვე მუზეუმში, ოვანეს თუმანიანის ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილია ვრცელი დარბაზი, სადაც, გარდა ო. თუმანიანის წიგნებისა, მრავლადაა წარმოდგენილი უნიკალური წიგნები, რომელთა უმრავლესობა სხვადასხვა დროს თავად ოვანესს შეუძენია.

მუზეუმში მოგვიწყევს ბანკეტი, სადაც ბევრი რამ საინტერესო და ანგარიშგასაწვეი ითქვა ქართველთა და სომეხთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის თაობაზე, განსაკუთრებით კი



**ო. თუმანიანის სახლ-მუზეუმის ბიბლიოთეკაში.
მარცხნიდან: ჰგრანტ მათეოსიანი, მუზეუმის თანამშრომელი,
ნარკიზ აბაშიძე, ალბერტ ისოიანი – გაზ. „ლიტერატურული
სომხეთის“ მთავარი რედაქტორი და დავით თედორაძე.**

ხაზგასმით აღინიშნა ოვანეს თუმანიანის ღვაწლი და დამსახურება ორ ერს შორის მეგობრობის განმტკიცებაში.

სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, მწერალმა ჰგრანტ მათეოსიანმა აღნიშნა: „ყველა გამოჩენილი სომეხი მოღვ-

აწე აღიზარდა ქალაქ თბილისში და ამიტომაც მე ვთვლი, რომ ქალაქი თბილისი კავკასიის დედაქალაქიაო.“

ოვანეს თუმანიანის მუზეუმში ყოფნისას იმდენი რამ კარგი, საყურადღებო და ანგარიშგასაწევი მოვისმინე მწერლის კეთილშობილური საქმიანობის შესახებ, რომ იქვე გადავწყვიტე, ჩემი წიგნისათვის – „ღვაწლმოსილნი“, რომლის წერაც დაწყე-



ფელიქს ბახჩინიანი, არტაშეს თუმანიანი – სომხეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის აპარატის უფროსი, ოვანეს თუმანიანის შვილიშვილი, თეიმურაზ კომახიძე და დავით თედორაძე.

ბული მქონდა, სპეციალურად დამემატებინა ვრცელი თავი, რომლითაც მკითხველი დიდი სომეხი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ოვანეს თუმანიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას გაეცნობა.

სომხეთში ჩვენი ყოფნისას ქვეყნის პრეზიდენტი იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და ამიტომაც ჩვენ მიგვიღო პრეზიდენტის ადმინისტრაციის აპარატის ხელმძღვანელმა არტ-

ამეს თუმანიანმა, რომელიც ოვანეს თუმანიანის შვილიშვილია, შეხვედრისას მან გადმოგვცა სამახსოვრო საჩუქრები.

სომხეთში ყოფნისას სხვა ღირსშესანიშნაობებთან ერთად დავათვალიერეთ ასევე ცნობილი საკულტო ნაგებობათა კომპლექსი ერმიადინში, სადაც შეგვხვდა სომხეთის ეკლესიის უმაღლესი სამღვდელთა.

ჩანაფიქრის მიხედვით სომხეთში 15 სექტემბრამდე უნდა დავრჩენილიყავით, მაგრამ, სამწუხაროდ, ერევანში მივიღეთ ცნობა, რომ გარდაიცვალა ქართული ცეკვის დელოფალი ნინო რამიშვილი, ამიტომაც თავი მოვალედ ჩავთვალეთ შეგვემცირებინა სომხეთში ყოფნის დღეები და სასწრაფოდ დავბრუნებულიყავით თბილისში, რათა მონაწილეობა მიგველო ქალბატონი ნინოს დაკრძალვის ცერემონიალში.

გთავაზობთ გაზეთ „კომუნისტის“ 1959 წლის 19 თებერვლის ნომერში დაბეჭდილ იოსებ გრიშაშვილის სტატიას, რომელიც ეძღვნება ოვანეს თუმანიანის დაბადების 90 წლისთავს:

ოვანეს თუმანიანი

პოეტი ოვანეს თუმანიანი იმ კლასიკოს მწერალთა რიგებს ეკუთვნის, რომლებიც თავიანთი კეთილშობილი იდეებით თავიდანვე ღრმად იჭრებიან ხალხში და საყოველთაო სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებენ. შეუძლებელია სომხური ლიტერატურიდან დაეასახელოთ მეორე მწერალი, რომელიც ასეთი პოპულარობით სარგებლობდეს. ეს იმით აისხნება, რომ ხალხის წიაღიდან გამოსულმა პოეტმა თავისი შეგნებული ცხოვრება მთლიანად ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლას მოახმარა.

ოვანეს თუმანიანი (1869-1923) დაიბადა სოფელ დსელში, ძველი ლორის მაზრაში. ბავშვობა მან სომხეთის ამ ულამაზეს კუთხეში გაატარა. ხუთი-ექვსი წლის ბიჭუნა ვლახის სხვა ბავშვებთან ერთად მთელ დღეს ბუნების წიაღში ატარებდა. მას ხიბლავდა ლორის მიდამოების მომჯადოებელი სილამაზე – გყით დაბურული მაღალი მთები, მჩქეფარე ნაკადულები, გიჟი მდინარეები და ყვავილებით ხალიჩასავით აჭრელებული მინდვრები. შეიღი წლის ოვანესი ამ გყესა და ველებში საქონელს მწყემსავდა, მთელ დღეებს თავის ტოლებთან ერთად ცისქვეშ ატარებდა: აწყობდნენ გასართობებს, ამბობდნენ ზღაპრებს, თხზავდნენ შაირებს და სხვ. მაგრამ პატარა ოვანესი მარტო ბავშვების „მხიარული“ ცხოვრების მოწმე როდი იყო! მის თეაღწინ ნათლად იშლებოდა ლორელი ხალხის ცხოვრების შემადრწუნებელი სურათები. იგი ბავშვობიდანვე აკვირდებოდა გლეხების გაჭირებულ ცხოვრებას, მდიდრების მიერ ღარიბების უსამართლო ჩაგვრას. ხალხის სიღარიბესა და მწუხარებას არაერთხელ აუჩუყებია კეთილი ბავშვის გული და ღრმად ჩაუფიქრებია. როცა მის სოფელში (ამჟამად ამ სოფელს თუმანიანი ეწოდება) სკოლა გახსნეს, ხოლო ამ სკოლაში ღარიბთა შეილებს იმის გამო, რომ სწავლის ფულის გადახდა არ შეეძლოთ, მიღებაზე უარი უთხრეს, მომავალმა პოეტმა იგრძნო, რომ „მზე ყველასათვის თანაბრად არ ანათებდა და ერთნაირად არ ათბობდა“.

პოეტი შემდეგში წერდა: „ამ დროს მე პირველად გავიგე, რომ ჩვენს შორის ზოგი შეძლებული იყო და ზოგიც ღარიბი. მე დღესაც მესმის ჩემი ამხანაგის, პატარა ნესოს ღრიალი, რომელიც თავის სახლის წინ მიწაზე გართხმული გიროდა, სკოლაში წასვლა მინდაო! მამა კი უყვიროდა: არა მაქვს,

არა მაქვს, სად ვიშოვნო? სამი მანეთი რომ მიქონლეს, პურს ვიყიდი და მიშვიერები არ მეყოლებითო“. ოვანეს თემანიანი თავისი ბავშვობის ამ მეგობარ ნესოს მედამ გულისტკივილით იგონებდა. პოეტი ამბობდა, ნესო კარგი ადამიანი დადგებოდა, შეიძლება ჩემზე უკეთესიც ყოფილიყო, განათლება რომ მიეღო და ხელშემწყობი ჰყოლოდაო.

ასე შეიძულა ბავშვობიდანვე პოეტმა ძველი უკუღმართი და უსამართლო ცხოვრება, რომლის სიმწვავე თვითონაც არაერთხელ ჰქონდა განცდილი. თვითონ ოვანესსაც, მიუხედავად დიდი მისწრაფებისა, საშუალება არა ჰქონდა ფართო განათლება მიეღო. ცამეტი წლის ოვანესი თბილისში ჩამოიყვანეს სწავლის გასაგრძელებლად. მაგრამ ხელმოკლეობის გამო სწავლას თავი მიანება და სამსახურის ძებნა დაიწყო.

მაგრამ მძიმე ცხოვრებამ მას გული ვერ გაუტეხა. დაბრკოლებამ მისწრაფებაზე ხელი ვერ ააღებინა. იგი მტკიცედ და გატაცებით დაეწაფა თვითგანვითარებას, დღედაღამ წიგნებში იყო ჩაფლული. ახალგაზრდობიდანვე გაეცნო სომხურ, რუსულ, ქართულ და ევროპულ კლასიკურ ლიტერატურას, განსაკუთრებით ბერს სწავლობდა ხალხისაგან, სამწერლო სარბიელზე გამოსელისთანავე ოვანეს თუმანიანის ყოველი ნაწარმოები აღბეჭდილი იყო ხალხურობით, დემოკრატიული იდეებით. მისი გამოსელით სომხური ლიტერატურის განვითარებაში უფრო მაღალი ეტაპი დაიწყო. სომხური მწერლობა ოვანეს თუმანიანმა გაამდიდრა ახალი თემებით და შექმნა ბრწყინვალე ქმნილებანი, რომლებიც სომხური კლასიკური მწერლობის ოქროს საგანძურში შევიდნენ.

სომეხი ხალხის დარდი და სიხარული ჩაქსოვილია თუმანიანის ყოველ სტრიქონში. პოეტმა ვალერი ბრიუსოვმა

კარგად იქცა, სომხეთის გასაცნობად საჭირო არ არის დიდგანიანი წიგნების წაკითხვა, ამისათვის კაცმა მხოლოდ თუმანიანის პოემა „ანუში“ უნდა წაიკითხო.

ოვანეს თუმანიანის მხატვრული ფანტაზია მეტად მდიდარია, იგი წერდა ისტორიულ თემებზე, ძალიან ხშირად მიმართავდა ფოლკლორს და იქიდან იღებდა გმირულ-ეპიკურ სახეებს. ბერს წერდა თავისი დროის ცოცხალ სინამდვილეზე, მაგრამ არასდროს, არც ერთ შემთხვევაში დიდი რეალისტი მწერალი წარსულის ტყვე და ფაქტების მონა არ ყოფილა. იგი მუდამ ფხიზელ ისტორიულ ანალიზს უკეთებდა წარსულის მოვლენებს. თანამედროვე ცხოვრებიდან განაზოგადებდა ყველაზე გიჟიურ ამბებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლას. მწერლის მიერ ისტორიულ თემებზე დაწერილი თხზულებანი, სადაც ხალხის გმირული წარსული სიმართლით არის ასახული, უშუალოდ ეხმაურებოდნენ მშრომელი მასების სასიცოცხლო ინტერესებს.

ოვანეს თუმანიანი, როგორც პოეტი და ადამიანი, უაღრესად მგრძნობიარე იყო. მას შესანიშნავად ესმოდა თავისი ერის ტანჯვა, მისი სულიერი ტკივილები, ამავე დროს ღრმად სწამდა, რომ სომეხი ხალხის ჩაგვრისაგან განთავისუფლება დიდად იყო დამოკიდებული მეზობელ ხალხთა შორის ძმური ურთიერთობის განმტკიცებაზე, ამიტომ იყო, რომ იგი თავგამოდებით, დაუცხრომლად იღვწოდა ქართველი, სომეხი და ამერბაიჯანელი ხალხების მეგობრობისათვის და ამ მეგობრობას მთელი გულით და მგზნებარებით უმღეროდა:

როცა მეფის თვითმპყრობელობამ ამიერკავკასიის ხალხებს შორის მგრობა და შუღლი დანერგა, როცა ამერბაიჯანელები და სომეხები ერთმანეთს შეუსია, – დიდებული

მგოსანი მაშინვე გავიდა ხალხში... იგი არ ერიდებოდა არაერთარ ხიფათს, დადიოდა ამერბაიჯანულ და სომხურ სოფლებში, ოჯახიდან ოჯახში, კარიდან კარად, თვითმპყრობელობის აგენტებისაგან მოგყუებულ უბრალო ადამიანებს ერთმანეთისადმი მეგობრობას შთააგონებდა და ხოცვა-ჟლეტის შეწყვეტისაკენ მოუწოდებდა.

სწორედ ამ ხანებშია დაწერილი მისი შესანიშნავი პოემა – „ერთი წვეთი თაფლი“ (პოეტი ამ დროს მეტეხის ციხეში იჯდა). ეს ნაწარმოები მიმართულია ცარიზმის დამქაშების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ შეერყიათ მემობელ ერთა შორის ისტორიული მეგობრობის ბრწყინვალე ტრადიციები და გაეჩაღებინათ ნაციონალური შუღლი.

ოვანეს თუმანიანი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც მთელი გრძნობით უმღერა სომეხი და ქართველი ხალხის ძმობის იდეას. თავის ცნობილ ლექსში „საქართველოს პოეტებს“, რომელიც დაწერილია 1919 წელს, პოეტი წერდა:

...შემოდამების მიმქრალი შუქი
დე შეუერთდეს ჯანსაღ განთიადს,
აინთოს ძმათა ორი პატრუქი,
გმა გაუნათოს მომავალს ღიადს;
დე, ჩვენი ლექსის ნაზ ცისარტყელამ
მოსკოს ვერავთა სისინი მგრული,
დე, ჩვენი ლექსი მოედოს ყველას,
ბედნიერებით გადაზღაპრული.
კავკასიონის ჭალარა ერებს
ჩვენ მოუწოდებთ საერთო ლხინზე,
ჩემი ქიშანჩაც ტკბილად იმღერებს
თქვენი მგოსნების შემოძახილზე.
დავრჩეთ, ქურუმნო, ძმად და

მეგობრად,
შექქმნათი ოჯახი ამხანაგური
და ხელოვნების ტაძრისთვის
მწყობრად
ყველამ მივბიძგოთ თიითი აგური.

ოვანეს თუმანიანს ღრმად სწამდა, რომ „ერთი ერის უბედურება ვერ გადაიქცეოდა მეორე ერის კეთილდღეობად“. იგი ოცნებობდა იმ ნეტარ ღრომე, როცა აღარ იქნებოდა ომები და მტრობა კარის მემობლებში, როცა დამკვიდრდებოდა მშრომელთა თავისუფალი და საამური ცხოვრება.

პოეტს სწამდა, რომ საკუთარი თვალთ ნახავდა თავის ხალხს თავისუფალსა და ბედნიერს.

და აი, როცა ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთან ერთად მთელი ამიერკავკასიის ხალხებსაც თავისუფლება მოუტანა, ოვანეს თუმანიანის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

„აი მთავრობა, – წერდა იგი 1921 წელს, – რომლის გერბზეც ჩვენ ვხედავთ არა მხეცებისა და იარაღის გამოსახულებას, არამედ ნამგალსა და ჩაქუჩს_ მუშებისა და გლეხების შრომის სიმბოლოს, აი მთავრობა, რომელსაც თან მოაქვს მეგობრობა, მშვიდობიანი ცხოვრება, თავისუფალი შრომა და არა ომები და გადატაცება.“

ოვანეს თუმანიანი სომეხი ხალხის სიამაყეა. იგი თავისი დიდი ადამიანური გულით, რომელიც საკუთარი ხალხის სიყვარულთან ერთად ასე ფაქიზად იტედა ყველა ხალხის სიყვარულს, მარად ცოცხალი დარჩება მაღლიერი საბჭოთა ადამიანების ხსოვნაში.

ი. კრიშაშვილი.

1969 წლის 19 თებერვალს გაზეთ „სახალხო განათლებაში“ „ხალხთა მეგობრობის მედროშე“, დაიბეჭდა ე. შილაკაძის წერილი, რომელიც ოვანეს თუმანიანის დაბადების მეასე წლისთავს ეძღვნება.

გთავაზობთ ამ წერილს:

ოვანეს თუმანიანი...

ეს ერთი იმ სახელთაგანია, რომლის ხსენება უსაზღვრო მოწონებას იწვევს ადამიანში, რადგანაც იგი თვითონ დიდი ჰუმანისტი იყო, უსაზღვროდ უყვარდა, საერთოდ, ადამიანი. მგზნებარე პაგრიოტიზმი სრულებითაც არ უშლიდა ხელს, გულმხურვალედ ჰყვარებოდა ყველა ქვეყანა და ყველა ადამიანი. ამას ასწავლიდა იგი ყველას არა მარტო თავისი თხზულებებით, არამედ ადამიანებთან თავისი ურთიერთობითაც. თვითონვე წერდა: „სამშობლოს სიყვარული იმავე დროს კაცობრიობის სიყვარული უნდა იყოსო“ და კიდევ: „არ არსებობს უფრო დიდი არც წოდება, არც თანამდებობა, ვიდრე ადამიანი.“

როგორც დიდი ჰუმანისტისათვის, ო. თუმანიანისათვის, ცხადია, ყველაზე მთავარი ადამიანი, მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვა იყო. აქედან ამოდიოდა მისი პაგრიოტიზმიც, ბუნების გრფიალებაც, ხალხთა შორის მეგობრობის გრძნობაც. იგი საკუთარ პოეტურ შემოქმედებაზე დიდ მნიშვნელობასაც კი ანიჭებდა ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის პრაქტიკულ მოღვაწეობას. ეს მოღვაწეობა კი ნამდვილ თავგანწირვამდე მიდიოდა: მაგალითად, იგი უშიშრად ჩადგა 1906 წლის დასაწყისში ერთმანეთზე ამხედრებულ სომეხ-თათართა შორის, ხოლო 1921 წელს დაშნაკების მიერ მოწყობილი აე-

ანტიურის გამო საშინლად აღშფოთებული მწერალი თბილისიდან ერევანს გაემგზავრა და ღაჩით, თოვლში ათ კილომეტრზე მოწინააღმდეგეთა ჯვარედინ ცეცხლში ფეხით იარა. ო. თუმანიანი თეთრი ღროშით დადიოდა სოფლიდან სოფელში და ხალხს არწმუნებდა ურთიერთმეგობრობის აუცილებლობაში, და ყველას სჯეროდა მისი. თბილისი, რომელიც ო. თუმანიანის სიყვავს დამაჯერებლობას აძლევდა, მისი სიმართლე, პატიოსნება, გულწრფელობა, ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარული იყო. მას შეეძლო ადამიანის სიყვარულის გამო ყოველგვარი სიმართლე გულწრფელად ეთქვა, რაოდენ მწარეც უნდა ყოფილიყო იგი.

აი, ამ მართალკაცობით, გულწრფელობით, პატიოსნებით, უმწიკველობით, პირდაპირობით და ჰუმანურობით მოიხვეჭა სომეხი ხალხის დიდმა შვილმა ო. თუმანიანმა არა მარტო თავისი მშობლიური, არამედ ყველა მეზობელი თუ არამეზობელი ხალხების გულწრფელი სიყვარული, ცუდი, არც სომეხი მოსწონდა, არც ქართველი. და ამას პირდაპირ ამბობდა. კარგი, პატიოსანი, მართალი კი – სომეხიც მოსწონდა, თურქიც, ქურთიც, ქართველიც და სხვაც...

ქურთის ხსენებაზე მომაგონდა. ო. თუმანიანს ერთი პატარა მოთხრობა აქვს – „სანაძლეო“, რომელშიაც ორი ქურთია ნაჩვენები – მამა და შვილი. შვილი ავაზაკია და ერთ საღამოს სანაძლეოს დადებს, – ხეობის გაღმა მხარეს ვაჟკაცობით განთქმული სომეხი მწყემსის საქონელს გამოერეკავო. ღამით მართლა დაესხმის ეს ავაზაკი თავისი ამხანაგებით სომეხების კარებს, ამ განთქმულ სომეხ ვაჟკაცს კომბლით შემოაკვდება. ერთი თვის შემდეგ კი ამ სომეხ ვაჟკაცთან მოდის მოკლული ქურთის მამა და დალოცავს: ალალი იყოს ჩემი შვილის სისხლი შენგეო... შენ დაგესხა თავს, შენ ხომ არ დასხმიხარო...

სულ იმას ვეჩიჩინებოდი, დაანებე თავი შენს ამფსონებს, პატიოსან შრომას მოჰკიდე ხელი-მეთქი და არ დამიჯერა... ამიგომ მამამ უპატიოსნო შეილის სიკედილი აპაგია მის მკელელს, პატიოსან მუშას. ამ ქურთისათვის და სომეხი მშრომელისათვის ადამიანის საზომია პატიოსნება და არა გვარგომობა. ეს იყო ო. თუმანიანის მრწამსი. ამიგომ კარგად იყო დახასიათებული ო. თუმანიანის მოღვაწეობა გ. ტაბიძის წერილში, რომელიც: დიდი სომეხი პოეტის გარდაცვალების გამო დაიწერა: „მე ვერ წარმომიდგენია უკანასკნელი წუთები ოვანესის სიცოცხლისა; მხოლოდ მწამს, რომ ის ყოველთვის მაღალი, ჭაღარა და განათებული სახით, რომელმაც მთელი სიცოცხლე გაატარა სიყვარულის ქადაგებაში, უკანასკნელადაც, როგორც ცრემლიანი და ღვთიურ მეტყველი დაასრულებდა მოჭრილი, მაგრამ სამუდამო დაჯერების, სიტყვებით ისე, როგორც ღვთისმეტყველი იოანე, რომელიც უკანასკნელად გამოიყვანეს მოწაფეებმა ხალხის წინ სიტყვის სათქმელად და მან ცრემლებით მხოლოდ სთქვა ასე: — „გიყვარდეთ ერთმანეთი!““

სწორედ ეს გვიანდერბა დიდმა სომეხმა პოეტმა ადამიანებს, — გიყვარდეთ ერთმანეთი! მისი მხატვრული თუ პუბლიცისტური თხზულებანი, პრაქტიკული მოღვაწეობა მხოლოდ იქითკენ იყო მიმართული, რომ ადამიანებს შორის სიყვარული დაენერგა. ო. თუმანიანი დარწმუნებული იყო, რომ ხალხებს შორის თუ ხანდახან შეხლა-შემოხლა ხდება, ამის მიზეზი ის არის, რომ ისინი ერთმანეთს არ იცნობენ, ერთმანეთისა არ გაეგებათ. ამიგომ საჭიროა გავიცნოთ ერთმანეთის ლიტერატურა, მწერლობა, ისტორია, კულტურა საერთოდ.

ისიც სჯეროდა ო. თუმანიანს, რომ ხალხები მუდამ მიისწრაფიან ურთიერთმეგობრობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრებისაკენ, მაგრამ მშართელი წრეები და ინტელიგენცია ამღერევენ წყალს. ო. თუმანიანს ყველა ადამიანი გულწრფელად უყვარდა, მაგრამ ამავე დროს იგი მგზნებარე პატრიოტი იყო. მთელი თავისი ცხოვრება თავისი მშობელი ხალხის განთავისუფლებისათვის ზრუნვაში გაატარა.

საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეებში, როდესაც წითელი არმია კოჯორიდან, ახლანდელი დავითაშვილის ქუჩით თბილისში შემოდის, აღფრთოვანებული პოეტი გადმომდგარა თავისი ბინის აივანზე და მისალმებია, – ო. თუმანიანი თავისი სამშობლოს გადარჩენას მხოლოდ და მხოლოდ რუსეთისაგან მოელოდა. იგი განსაკუთრებული გრძნობით იყო დაკავშირებული საქართველოსთან და ქართველ ხალხთან. არც ვასაკეირია ეს ისეთი ადამიანისაგან, როგორც ო. თუმანიანი იყო: 14-15 წლის ბიჭუნა პირველად ჩამოვიდა თბილისში და შემდეგ მთელი ცხოვრება აქ გაატარა. ქართველი ხალხისადმი განსაკუთრებული სიყვარული მან არაერთგმის გამოხატა როგორც მხატვრულ ნაწერებში, ისე პუბლიცისტურ და კერძო წერილებში. რასაკეირველია, საგაზეთო სტატიებში შეუძლებელია ამ საკითხის (და საერთოდ, ო. თუმანიანის შემოქმედებისა და მოღვაწეობის რომელიმე საკითხის) ცოგად თუ ბევრად ფართოდ გაშუქება. ორიოდე შგრიხზე თუ შევჩერდებით. ო. თუმანიანი აღფრთოვანებული იყო საქართველოს ბუნებითაც. 1908 წლის აგვისტოში მას უმოგზაურია საქართველოს სამხედრო გზით და დილის შვიდ საათზე ბუნების სილამაზით შთაგონებული პოეტი გუდაურიდან ასეთი წერილს სწერს თავის ასულს – აშხენს: „ლამაზი გზაა. გავიარეთ საქართველოს ერთი ნაწილი, არც კი ჰგავს ჩვენს

ქეყანას – სომხეთს. საქართველო უფრო მშვიდი და ნაზია, პაერიც უფრო მორიდებული. და ხელად შეიძნობ ქართველის გიჟს: როცა საქართველოს დაბლობები თაელება და კავკასიის მთებზე აღიხარ, – რაღაც მრისხანე და პირველყოფილი სილამაზება! ოთხივე მხრით გაწევა ღიღებული მთები, რომლებიც ზევითკენ მიიწევენ. ბუნების რაღაც საშინელი ბრძოლაა აქ – ნიაღვარი განუწყვეტლივ არღვევს მთებს და უამრავი რაოდენობით დაბლა მიაქანებს ღორღსა და ლოდებს, ყრის ხეებში და გზას კრავს. გზა მიიმართება ხეობაში, რომელიც განუწყვეტლივ ვიწროვდება და ღრმავდება. ორივე მხრიდან გადმოკიდულან მოწყენილი კლდეები; დაყუდებულ მწვანე მთებზე და მთის ფერდობებზე აქა-იქ მიწებებულია რამდენიმე ან ერთი სახლი გახვეული ხეების ფუნჯში...

...ახლა, რომ ვწერ, ჩემ გვერდით აზიდულან მთები თოვლიანი მწვერვალებით, ხოლო მის წინ გდია კაიშაურის ხეობა“.

ო. თუმანიანის ნაწერებში რამდენჯერმე ვხედებით საქართველოს ბუნების ხოტბას, მაგრამ ყველაზე მთავარი ხალხია და ისიც ხალხითაა განსაკუთრებით მოხიბლული. უამრავთაგან ერთ ადგილს მოვიყვანთ იმ სიტყვიდან, რომელიც მან საერთოდ ქართველი ხალხის შესახებ პირველად წარმოთქვა 1913 წ. სომეხ მწერალთა საზოგადოების მიერ გამართულ საღამომზე: „ქართველო ძმებო, ძველისძველო ძმებო, ტანჯულო ძმებო, მაგრამ მუდამ თავისუფალი და მაღალი სულის მქონე ძმებო!“

ხალხის ლიგერატურა თუ ნამდვილად იმავე ხალხის სულის ასახვაა, ხოლო ამ სულის მატარებელი პოეტია, მაშინ მე თქვენთან მომაქვს სომხობის სული, როგორც ყველაზე მაღალი, რაც კი შეუძლია ჰქონდეს ხალხსა და ადამიანს.

აღტაცებით ვადასტურებ, რომ ქართველი სულით არასოდეს არ ძლეულა და კავკასიის ხალხებს შორის მუდამ პირველი

ყო, როგორც მოქალაქე, თავისი პოლიტიკური მოთხოვნ-
ილებით და საზოგადოებრივი ბრძოლით.

თვალი რომ გადაევალოთ მთელ ქვეყანაზე მემობლების
ურთიერთობას, არ შეგვიძლია არ ვაღიაროთ, რომ ქართველი
როგორც მემობელი ყველაზე უკეთესთაგანია და ჩვენს შორ-
ის დამყარება უფრო მჭიდრო, დიდი სულიერი და კულტუ-
რული კავშირი. ჩვენ ბევრი რამ გვაქვს ერთად საკეთებელი.
ჩვენ, კავკასიის ხალხები, ძმები ვართ და სამარადისოდ ერთ-
ად ვიქნებით, როგორც ჩვენი მშობლიური მთები, ყველა რომ
თავთავის ადგილას დგას თავიანთი ლაპლაპა მწვერულებით,
მაგრამ ძირები კი გაერთიანებული აქვთ.

გაუმარჯოს კავკასიის ხალხების ძმობას!”

ო. თუმანიანი ძალიან ბევრი გააკეთა თავისი ხალხისათ-
ვისაც და სხვებისთვისაც. დიდი ილია ჭავჭავაძის შემდეგ იგი
იყო ქართველი და სომეხი ხალხების ისტორიული მეგობრობის
ჭეშმარიტი დამფასებელი და ამ მეგობრობის განმტკიცებისათ-
ვის თავგამოდებული მებრძოლი. იქნებ სიმბოლური იყოს, რომ
ი. ჭავჭავაძის ორი ლექსი („ელეგია“ და „გაზაფხული“) ო.
თუმანიანი ბრწყინვალედ თარგმნა სწორედ ი. ჭავჭავაძის
გარდაცვალებისთანავე, თითქოსდა, ესტაფეტა ჩაიბარა წინა-
მორბედისაგან.

დიდი სომეხი პოეტის ოვანეს თუმანიანის პატივისცემა
გვავალებს ყველას, ქართველებსაც და სომეხებსაც, მტკიცედ
ასრულებდეთ მის ანდერძს, თვალის ჩინივით ვუფრთხილ-
დეთ და ყოველდღიურად განვამტკიცებდეთ ჩვენი ხალხების
ისტორიულ მეგობრობას.

ვ. შილაკაძე

ჟურნალ „ცისკარის“ 1969 წლის მეცხრე, სექტემბრის თვის ნომერში დაიბეჭდა ცნობილი კრიტიკოსის ბონდო არველაძის წერილი „ქართული ხალხის მეგობარი“, რომელიც გამოჩენილ სომეხ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს – ოვანეს თუმანიანს ეძღვნება და რომელიც დაიბეჭდა დიდი მწერლის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

გთავაზობთ ამ წერილს:

ოვანეს თუმანიანი დიდი მამულიშვილი იყო, მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა ხელს ქართველი ხალხის, ქართული კულტურის მოყვარული და უანგარო პატივისმცემელი ყოფილიყო. იგი შესანიშნავად ათავსებდა საქართველოს სიყვარულს თავის სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულთან. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველო თუმანიანის შემოქმედებისა და პოეტური შთაგონების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ იყო ქცეული. ქართველი ხალხის პოეტურ ბუნებას და მის მდიდარ პოეზიას გულისხმობდა ოვ. თუმანიანი, როცა წერდა: „ქართულის წრფელი ბუნება, სულის პატიოსნება, ბუნებრივი სიწმინდე, თავისუფლების და სილამაზის სიყვარული, ეს ყველაფერი სიცოცხლის წყურვილით და ნაზი სევდით დაფერილი, საფუძველია იმისა, რომ ქართულ პოეზიას დიდი მომავალი აქვს. ეს თვისებები საოცარი რელიეფურობით ჩანს შოთა რუსთაველში, რომელიც მთელი თავისი არსებით ქართველია.“

შოთა რუსთაველის შემოქმედება განსაკუთრებულ ინგერესს და პატივისცემას იწვევდა სომეხ პოეტში. მას მუდამ აღუღებდა ეფუხისტყაოსანი და მის თარგმნას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მას განზრახული ჰქონია შეესრულებინა

ამ უკედავი ქმნილების სრული სომხური თარგმანი. „ვეფხისტყაოსნის თარგმნა დიდი საქმეა; კარგი თარგმანი ამ შედეგს ვზას გაუხსნის, დიდ ქვეყანაზე გაიტანს. მაგრამ თარგმანი შემთხვევით ხასიათს როდი უნდა ატარებდეს. ეს საქმე იმ სიმალლეზე უნდა ავიდეს, რომ თარგმნის საშუალებით მემობელი ერები გაეცნონ ერთიმეორის კულტურულ სიმდიდრეს, მწერლობას... ერთი დიდი საქმე განვიზრახე – ვეფხისტყაოსნის მთლიანად თარგმნა, ეს ჩემი დიდი სურვილია“ – უთქვამს ოვ. თუმანიანს ერთ ქართველ პოეტთან საუბარში. სამწუხაროდ, ამ ჩანაფიქრის შესრულება პოეტმა ვერ მოასწრო.

ოვ. თუმანიანი ქართული მწერლობის ყოველ ახალ მოვლენას ცხოველი ინტერესით აღევენებს თვალყურს და აქტიურად ეხმარება კიდევ მათ. 1893 წლის 25 აპრილი იყო. ქართველი ხალხი დამწუხრებული იდგა განჯიდან ჩამოსვენებული ნ. ბარათაშვილის ნეშტის წინაშე. სამგლოვიარო სიტყვა წარმოთქვეს: ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, გიორგი წერეთელმა, ნ. ბარათაშვილის პოეტური გენიით მოხიბლული 24 წლის ოვ. თუმანიანი პირველად წარსდგა ქართველი საზოგადოების წინაშე. მან ათრთოლებული ხმით წაიკითხა ნ. ბარათაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსი:

ჰოი, საქართველოვ მგლოვიარევ,

ნუგეში შენდა!

ვაჟაკის სახე რად მიეცი ავბედით სევდას;

პოეტის ფერფლი თვალებს ცრემლით

ისევ გისველებს?...

ოვ. თუმანიანის ხალასმა პოეტურმა გულმა იგრძნო ბარათაშვილის პიროვნული ტრაგედია და ქართველ პოეტში იმთავითვე შეიძინო მხატვრული აზრის გენიოსი.

ოვ. თუმანიანი თავისი პოეტური თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის მანძილზე საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობის თავგამოდებული დამყვანი იყო. მან, როგორც დიდმა მამულიშვილმა, თავის ერს ანდერძად დაუტოვა.

„Тот армянский деятель, который не становился на защиту Грузии, _ не понимал своего народа и своей истории“

ეს შესანიშნავი პოეტი და მოქალაქე თვითონ აძლევდა თანამემამულეებს ქართული მწერლობისადმი პატივისცემისა და ქართველ თანამოქალაქეებთან სამაგალითო მეგობრობის ნიმუშს.

1915 წელს ვაჟა ფშაველას ავადმყოფობა ელვასავით მოედო საქართველოს. ოვ. თუმანიანმაც ერთ-ერთმა პირველმა რამდენჯერმე მოინახულა ქართველი პოეტი. ისინი დამეგობრდნენ კიდევ. ვაჟა ფშაველას გარდაცვალებით დამწუხრებული ოვანიანი სომეხი ერის სახელით ეჩმიაძინიდან გზავნის დეკლამაციას — „ამ ტრაგიკულ დროს მშრომელმა ხალხმა ღრმად იგრძნო დიდი ადამიანის, უნიჭიერესი და უბადლო პოეტის ვაჟა ფშაველას გარდაცვალება. გულწრფელ სამძიმარს მოვახსენებთ ქართველ ხალხს“. ოვ. თუმანიანის მიერ ქართველი მწერლებისადმი გულწრფელი პატივისცემის საბუთად გამოდგებოდა აგრეთვე, მისი წერილები დ. კლდიაშვილის, იაკ. ნიკოლაძის, ილ. ნაკაშიძისა და სხვა ქართველი მოღვაწეებისადმი.

ქართული პოეზიის დღისადმი მიძღვნილ წერილში, რომელიც 1920 წლის 7 მაისს გამოქვეყნდა, ოვ. თუმანიანი მა მიულოცა ქართველ ხალხს დღესასწაული და საგანგებოდ აღნიშნა, რომ საქართველომ უჭკველად დაიმსახურა ამ ეროვნული გენიის ზეიმი, რადგანაც ქართველები ნატიფი სილამაზის და ლირიული განცდის ხალხიაო. „ჩემთვის ცნობილ ხალხთა შორის არც ერთში არ შემინიშნავს ის, რაც ქართველებს ახასიათებს... ისინი ქალიშვილებს ახლაც მზითვად აყოლებენ რუსთაველის პოემას“.

ოვ. თუმანიანი გულახდილად აცხადებდა: ქართველი კაცი პოეტია, მაგრამ ქართველი პოეტი – ორჯერ პოეტიაო.

პოეტს ჩვენი ხალხების ურთიერთდაახლოების და მეგობრობის ერთ-ერთ გზად მხატვრული სიკვება მიაჩნდა. იგი ამ საქმეში პოეზიას უდიდეს როლს ანიჭებდა.

დე, ჩვენი ლექსის ნაზ ცისარტყელამ
მოსპოს ვერაგთა სისინი მტრული,
დე, ჩვენი ლექსი მოედოს ყველას,
ბედნიერებით გადაზღაპრული.

დღეს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა და მოქალაქეობრივი ღღერადობა აქვს ამ სტრიქონებს, რადგან ხანდახან „ვერაგთა სისინი“ მართლაც ჩრდილავს ქართველი და სომეხი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას. პოეტი ვერასოდეს ვერ ურიგდება აზრს, რომ ვინმემ შეძლოს ჩვენს შორის-მეგობრული ხიდის ჩატეხა. იგი მთელი თავისი პოეტური რწმენით აცხადებს:

ვის შეუძლია, რომ გადაგვთელოს,
ჩვენს სულში ცეცხლი არ იწვის განა?

დე, იგრძნოს ყველამ, რომ საქართველო
არის მგოსანთა წმინდა ქვეყანა.

საქართველოს უპირველესი მეგობრის, ოვ. თუმანიანის ნათელი პიროვნება და მისი მეგობრული დამოკიდებულება გამოჩნდა მის სხვა ლექსებშიც („შერიგება“, „საქართველოს სული“, და სხვა). პოეტი აქაც ჩვენი ხალხების ძმობა-მეგობრობის გულდაჯერებულ მომღერლად გვევლინება.

ერთ-ერთ თავის წერილში, სადაც ოქტომბრის რევოლუციამდელ პერიოდში ამიერკავკასიის ხალხთა შორის მტრული შეხლა-შემოხლის მიზეზებს არკვევდა, ოვ. თუმანიანი მართებულად აღნიშნავდა: „მრავალი წლების განმავლობაში ერთმანეთისადმი ცერად ყურება, ერის სახელით გაღვივებული ბრძოლა, მტრული სიმღერები და ადამიანთა საეჭვო ფუსფუსი. ყოველივე ეს ხალხთა სულში გროვდება, რათა ერთ წყეულ დღეს ამოხეთქოს და გულუბრყვილონი გააკეიროს“. სომეხი პოეტი თავგამოდებით იბრძოდა ქართველ და სომეხ ხალხებს შორის წარმოქმნილი ზოგიერთი უთანხმოების წინააღმდეგ. იგი ხშირად გამოდიოდა სომხური და რუსული პერიოდული პრესის ფურცლებზე წერილებით, სადაც ქართველი ერის კეთილშობილების შესახებ წერდა: „თუ თვალს გადავაულებთ მსოფლიოში მემობელ ხალხთა ურთიერთობებს, დამეთანხმებით აუცილებლად, რომ ქართველები საუკეთესო მემობლები არიან.“

ჩვენ შევექმნით უფრო მჭიდრო, მძლავრ სულიერ კულტურულ კავშირს. ჩვენ, კავკასიის ხალხები, მხარდამხარ და ძმურად ვიყავით მარად, როგორც ჩვენი მშობლიური მთები, რომელთა მწვერვალები ბრწყინვალე ცალ-ცალკე, მაგრამ ერთად არიან, ერთიანი დედაფუძით შეერთებულნი“.

პოეტმა ჭეშმარიტად გულთბილი სიტყვებით მიმართა ქართველ ხალხს 1913 წელს, წერილში „დღეგრძელობა ქართველ ხალხს“, სადაც წერს: „ძმებო ქართველებო, ჩვენო მრავალსაუკუნოვანო ძმანო, მუდამ თავისუფალნო და კეთილშობილნო, ლიგერატურა თუ სულის ჭეშმარიტი ანარეკლია, პოეტი კი ამ სულის გამომხატველი, მაშინ შეთქვენთან მომაქვს სომხობის სული, როგორც მაღალი და კეთილშობილი რამ, რაც შესაძლოა ხალხს და ადამიანს ჰქონდეს“.

როცა ქართველი ერის მოჭირნახულე მამულიშვილებმა ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით ხელი მოჰკიდეს ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეს, ოვ. თუმანიანი ერთ-ერთი პირველთაგანი მიესალმა ამ დიდ ეროვნულ წამოწყებას. ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი სამოგადოების გამგეობისადმი მიწერილ წერილში იგი წერდა: „Только наука, литература и искусство наполняют пропасть, разделяющую народы, и лишь они создадут грядущую лучшую жизнь истинного человека. Вы поймете поэтому мою радость, когда я узнал про открытие грузинского университета.“

Я с восхищением представляю жизнь радостного и благодушного грузина, на родном языке получившего высшее образование.

Когда же мы будем приветствовать открытие и причим народам Кавказа высших учебных заведений, дабы на почви наука и

искусства нам встретится вместе и установить взаимное понимание и уважение.

Прошу вас принять и передать кому следует мой горячий привет поэтому поводу, а также мою скромную лепту, которая может быть послужит одним из камней великого здания расцветающей грузинской культуры“

Глубоко уважающий Вас Ваш Ов. Туманян.

25 окт. 1917 г. Тифлис.

ქართული უნივერსიტეტის სამოგადოების გამგეობამ გულწრფელი მადლობით მიიღო მოძმე ერის საუკეთესო შვილის ეს გულწრფელი მისალმება და პასუხიც დაუყოვნებლივ გაუგზავნა: „Правление Общества Грузинского университета с большим нравственным для себя удовлетворением выслушало Ваше письмо, по поводу учреждения Грузинского университета.

Выраженные вами чувства симпатии к грузинскому народу и вновь зарождающемуся рассаднику высшего национального образования в Грузии, нашли живейший отклик в сердцах членов Правления Общества.

В глубоко прочувствованных ваших, как лучшего сына своей родины и талантливого выразителя ее дум и чувств, мы видим ласку и привет всего армянского народа, тысячелетия добрососедски живущего бок о бок с грузинским народом и находящегося с ним в постоянном взаимодействии на почве культурного развития и духовного совершенствования“.

ეს ორი დოკუმენტი კიდევ ერთი დასაბუთებაა ოვ. თუმანიანისა და ქართველი ინტელიგენციის ურთიერთგაგებისა და ჭეშმარიტი მეგობრობის.

ოვ. თუმანიანის ინიციატივით 1912 წელს თბილისში დაარსდა „ამიერკავკასიის სომეხ მწერალთა ამხანაგობა“. ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ოვ. თუმანიანი.

პოეტიკა ამ საზოგადოებას ერთ-ერთ ძირითად მიზნად დაუსახა ამიერკავკასიის ხალხთა მწერლობისა და ისტორიის შესწავლა და პოპულარიზაცია. ამ მიზნით ხშირად ეწყობოდა ლექციები და ლიტერატურული საღამოები, სადაც მომხსენებლები სომეხ საზოგადოებას აცნობდნენ ქართული მწერლობისა და ისტორიის გმირულ ფურცლებს.

1919 წელს ოვ. თუმანიანის დაბადების ორმოცდაათი წლისთავის იუბილე ხალხთა მეგობრობის ზეიმად იქცა. რა თქმა უნდა, ქართველი საზოგადოება და მწერლები აქტიურად მონაწილეობდნენ ამ ზეიმში: „ოვანეს თუმანიანის იუბილე სანახევროდ ქართველმა მწერლებმა გადაიხადეს თბილისში — წერს გ. ტაბიძე.

ოვ. თუმანიანის იუბილეს განსაკუთრებით გამოეხმაურა ქართული პერიოდიკა; იმ დღეებში სისტემატურად ქვეყნდებოდა სომეხი პოეტისადმი მიძღვნილი წერილები და ლექსები. აი, რას წერს ერთ-ერთი ქართული გაზეთი: „არ ყოფილა არც ერთი ისეთი შემთხვევა კავკასიის ერთა ცხოვრებაში, რომ ოვ. თუმანიანს ხმა არ აემაღლებინა და თავისი სიტყვა არ ეთქვას. თუმანიანის სიტყვა იყო ყოველთვის სამართლიანი და მიუდგომელი და ამიტომ პოულობდა გამოძახილს ყველა ეროვნებათა წარმომადგენლებში და არბილებდა ეროვნებათა შორის შუღლს და მტრობას. მისი სახლი ყოველთვის ღია არის ყველა ეროვნებათა მხატვრების და პოეტებისთვის, რომელნიც მის ოჯახში ხვდებიან

მზრუნველ მასპინძელს და კეთილშობილ ადამიანს და, გამოაქვთ შთაბეჭდილება შერიგების და სიყვარულის”.

ქართველი პოეტებიდან ოვ. თუმანიანის ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი ი. გრიშაშვილი იყო. ი. გრიშაშვილი სომეხ პოეტში საქართველოს და ქართველი ხალხის მეგობარსა და პატივისმცემელს ხედავდა... „ოვ. თუმანიანს უყვარდა საქართველო და მისი ღელაქალაქი. მას გაბრიელ სუნდუკიანივით შეეძლო ეთქვა: ჩვენ, საქართველოში აღზრდილი სომხები, ქართული მიწით ვართ გაზრდილნი, ჩვენ საქართველოს ჭირის და ლხინის თანამოძიარენი მულამ ეყოფილვართ და ვიქნებით.“

ოვანეს თუმანიანი გულწრფელი მეგობარი იყო საქართველოს კულტურისა: „ერთი გზა გვექონდა ძველად, ერთი კულტურა ჰყვალდა ჩვენს შორის და მომავალიც ერთი გვაქვს,“ – იტყოდა ხშირად განსვენებული.

იგი არ იყო საქართველოს უძღები შეილი, ნამდვილ ძეს არ შეუყვარდება ჩვენი თვისება ისე გამძაფრებით, როგორც განსვენებულს უყვარდა, საქართველოს წარსული, აწმყო და მყოფადი, სომეხ პოეტში სერიოზულ გამოძახილს პოვებდა...

ოვანეს თუმანიანი იშვიათი სპეცაკი პიროვნება იყო: სიყვარულის განსახიერება. მისი სიყვარული არ იყო მურმანის ეკალი, რომელიც ორ მონათესავე სულს ამორებს – ასეთ ადამიანად იცნობდა ი. გრიშაშვილი და მთელი ქართველი საზოგადოება ოვ. თუმანიანს.

ცნობილია, რომ ოვ. თუმანიანის ბინა თბილისში ლიტერატურულ სალონად იყო ქცეული. მის ოჯახში საფუძველი ეყრებოდა სხვადასხვა ეროვნების მწერალთა მეგობრობას. მაგრამ ყველაზე უფრო ქართველ პოეტებთან თუმანიანი

მეგობრობდა. რა თქმა უნდა, არც ეს უკანასკნელნი რჩებოდნენ ვალში. სომეხ პოეტს, განსაკუთრებით ავადმყოფობის დროს, არ სტოვებდნენ უყურადღებოდ ქართველი მეგობრები. მისმა გარდაცვალებამ კი დიდად დაამწუხრა ისინი. „მე არ მახსოვს, როდესმე ასე გულწრფელად დაეგირით ვინმე სხეადასხვა ხალხის პოეტებს. ოვ. თუმანიანის ანდერძი, რომ იგი დაემარხათ საქართველოს დედაქალაქ თბილისში, მის საყვარელ ქალაქში, სამარადისოდ აკავეშირებს ჩვენთან ამ პოეტს, რომელმაც მთელი სიცოცხლე ხალხს შესწირა და უმწიკველოდ გამოაგარა ხალხთა მეგობრობის დროშა“ – წერდა გ. ტაბიძის მეუღლე ნინო.

დღეს მაღლიერი ქართველი ხალხი ზემოთ აღნიშნავს ოვ. თუმანიანის დაბადებიდან 100 წლისთავს. ამ იუბილეს განსაკუთრებით გულითადობით მიესალმება ყოველი ქართველი, რადგან მას კარგად ახსოვს ოვ. თუმანიანის შემდეგი სიტყვები:

არა, რუსთველის ოქროს სიტყვები
როდი ხმაურობს მჭლედ და დუნედა,
მის ამაყ აჩრდილს დღეს თქვენ მიჰყვებით,
ვერა გძლევთ განჯეა საუკუნეთა.
ახალმა ხელმა ცამდე აღმართა
ბეული ლოცვები ხანგადასული,
და საქართველომ კელაჲ გაამართლა
მშენიერება უკვდავი სულის.

* * *

ჟურნალ „ხელოვნების“ 1999 წლის 9-12-ე ნომერში სათაურით „წარსულის პოეტურ-მუსიკალური სახეები“, დაიბეჭდა

თამარ ხუროშვილის წერილი, რომელიც ოვანეს თუმანიანის დაბადების ასოცდაათ წლისთავს ეძღვნება.

გთავაზობთ ამ წერილს:

ოვანეს თუმანიანი იმ პოეტთა რიცხვშია, რომელთა მრავ-
აღფეროვანმა მხატვრულმა სახეებმა მყარი ადგილი დაიკავეს
მუსიკალურ ხელოვნებაში და არაერთი კომპოზიტორისათვის
იქცნენ შთაგონების წყაროდ. სიმღერებად, ოპერებად, სიმფონ-
იურ მუსიკად გარდაქმნილმა ოვ. თუმანიანის პოეტურმა ქმნ-
ილებებმა ხელოვნების ამ დარგშიც უკვდავება ირგუნეს. ოვ.
თუმანიანის პოეზიის ასეთი ბედი სრულიად კანონზომიერია,
მისი შესანიშნავი ლექსების მღერადობასთან ერთად, სიკეთისა
და სიცოცხლისადმი სიყვარულის იმ მაღალ იდეებს გავითვ-
ალისწინებთ, რომლებითაც ამეცყველებულია მთელი მისი
შემოქმედება. მის ლექსებსა თუ პოემებს ხშირად „ევიწრო-
ებათ“ წმინდა პოეზიის სფერო; თუ არაფერს ვიგყვით ხალხურ
პოეტურ სახეებსა და ზღაპრულ-ლეგენდარულ თემებზე, მათი
შთაგონების სათავე ზოგჯერ პროზიდან, დრამიდან, მუსიკიდან
მომდინარეობს. შემთხვევითი არ არის, რომ ოვ. თუმანიანის
ბევრ ნაწარმოებს ხანგრძლივი სცენური სიცოცხლე ხედა
წილად, თუმცა იგი სულაც არ წერდა პიესებსა და დრამებს.
თეატრალურობა, ისე როგორც მუსიკალურობა, მისი
შემოქმედების განუყრელი თვისებაა და ბევრი მისი ქმნილება
სიცოცხლეს განაგრძობს ამ ეანრში.

სომხური ლიტერატურის კლასიკოსი ოვ. თუმანიანი რე-
ალიზმის, ხალხურობისა და ეროვნული ხელოვნების დიდი
პროპაგანდისტი იყო. მისი შემოქმედება ღრმადაა გამსჭვ-
ალული თავისი ხალხისადმი სიყვარულით. იგი კარგად
იცნობდა მის ყოფას, წარსულსა და აწმყოს, მთელ თავის

შემოქმედებაში უმღეროდა სამშობლოსადმი ერთგულებას, ადამიანის მაღალ მორალურ თვისებებს, ამხელდა ძალადობას, საზოგადოებრივი ურთიერთობის მოძველებულ ფორმებს. ყოველივე ამით და მრავალი სხვა კეთილი მხარეებით ოვ. თუმანიანი და დიდი გავლენა მოახდინა სომეხ მუსიკოსებზე. როგორც ნამდვილი ხელოვანი ოვ. თუმანიანი ჯეროვან ადგილს უთმობდა მუსიკას, მის მაღალ ზემოქმედების ძალას ადამიანთა აღზრდისა თუ ფსიქოლოგიური ჩამოყალიბების საქმეში. შემთხვევითი არ იყო მისი მუდმივი სიახლოვე მუსიკოსთა წრეებთან, იგი ყოველთვის ქმედით დახმარებას უწევდა მუსიკოსებს, ვინც კი მოინდომებდა მისი ლექსებისა თუ პოემების გადატანას მუსიკალური ხელოვნების სფეროში.

მუსიკისა და პოემის ურთიერთობის საკითხებზე ოვ. თუმანიანს ბევრი საყურადღებო შეხედულება გამოუთქვამს; მოგჯერ იგი მუსიკას თავისი მდიდარი გამომსახველი საშუალებებით პოემიაზე მაღლა აყენებდა. სწამდა მუსიკის – ამ „ჯადოსნური ხელოვნების“ უკედავება. საინტერესოა მისი მიმართვა თბილისში საკონცერტოდ ჩამოსული ალექსანდრე სპენდიაროვისადმი: „პოეტი მხოლოდ ხორცს ასხამს თავის ამრებსა და გრძნობებს, შთააგონებს მარადიულ სიცოცხლეს, მაგრამ მათი აღმაფრენისათვის ფრთები საჭირო, ფრთებს კი იმ ჯადოსნურ სამყაროში შეიძენენ, რომელსაც მუსიკა ეწოდება“. ამ ფრთაშესხმაში ხედავდა იგი პოეტურ ქმნილებათა სრულყოფასა და სასწაულებრივ ძლიერებას.

საყურადღებოა, რომ ოვ. თუმანიანის ლირიკული პოეტიკა უმთავრესად მუსიკალურ-დრამატული თუ სიმფონიური მუსიკის სფეროში აისახა, სომხური სასიმღერო-სარომანსო ლიტერატურა შედარებით ღარიბია მისი მხატვრული სახეებით. აქ ეპოსის ნაწარმოებთა რიცხვი ერთ ათეულსაც არ აღწევს. ეს

მაშინ, როდესაც თვითონ ოვ. თუმანიანის შემოქმედებაში ხშირად გვხვდება „სიმღერად“ დაბადებული ლექსები: „გუთნის დედის სიმღერა“, „სომეხთა სიმღერა“, „ჩემი სიმღერა“, „ტოროლას სიმღერა“, „მომღერალს“ და სხვ. პოეტურ სასიმღერო ფორმებს შეიცავენ აგრეთვე მისი პოემები „ანუში“, „თიმგაბერგის ციხის აღება“ და სხვები.

ოვ. თუმანიანის ლექსზე შექმნილი სიმღერის ერთ-ერთი პირველი ავტორი თვითონ პოეტი იყო. თანამედროვენი აღნიშნავენ მის დიდ სიყვარულს სიმღერა-მუსიკისადმი. ძველი პოეტი-გუსანების მსგავსად არაერთი ლექსი დაუმღერებია პოეტს საკუთარ თუ ხალხურ მელოდიებზე. დრომ ბევრი არაფერი შემოგვინახა ამ პოეტურ-მუსიკალური შემოქმედებიდან. ერთ-ერთი ქმნილება კი ჩვენი თანამედროვე შემსრულებლების რეპერტუარშიც ელერს. მშობლიურ ბუნებას შესტრფის პოეტი სიმღერაში „რა კარგია მთის ფერდობზე“. მისი ლექსით სადა და მეტყველი ჰანგი ხაზგასმითა და სრულყოფილად გამოხატავს პოეტურ-მხატვრულ სახეს. ქალაქური სასიმღერო ფოლკლორიდან მომდინარე მოკლეგალოვანი მღერადი მელოდია ყოველ სტროფში ახალი რიგმ-ინტონაციებით იკაზმება და როგორც ძველი სახალხო მომღერლები იტყოდნენ, სიმღერაც თანდათან „ეშხში შედის“. თუმცა ეს პატარა და მარტივი კომპოზიცია მაღალი მუსიკალური პროფესიონალიზმით არ არის აღბეჭდილი, მაგრამ მისი გულწრფელი სტრიქონები თავისი სადა ფაქტურით, მელოდიის მხატვრული შინაარსითა და სტილობრივი ელფერით ხალხური მუსიცირების საუკეთესო ნიმუშს გვაგონებს.

ცნობილია, რომ სომხური მუსიკის კლასიკოსის, ხალხური სიმღერების დამუშავების უბადლო ოსტატის – კომიტასის დღეს შემორჩენილ მემკვიდრეობაში შედარებით მცირე ადგილი

უკავია საკუთარ თხზულებებს. ზოგიერთ სხვა ნაწარმოებთან ერთად დიდი პოპულარობა მოიპოვა ოვ. თუმანიანის ლექსზე დაწერილმა მისმა სიმღერამ „კაკაბი“.

ამ მშვენიერი ფრთოსნის სახეს, რომელიც ხშირად გვხვდება სომხურ ხალხურ პოეზიაში, მხატვრობისა და არქიტექტურის მოტივებში, ოვ. თუმანიანმა რამდენიმე ლექსი მიუძღვნა საბავშვო ციკლიდან.

როგორც სხვა შემთხვევებშიც, კომიტასის ეს სიმღერა ხალხურ სტილშია დაწერილი და ჩვეულებრივ აქაც ძნელდება მისი მელოდიის მუსტი ფოლკლორული პროტოტიპის მოძებნა.

სიმღერის მკვირცხლი, ადვილად დასამახსოვრებელი და საშემსრულებლო სიძნელებებს მოკლებული თემა კლასიკური სისადავით გამოირჩევა. სიმღერა დაწერილია სოლისტისა (მაღალი ხმისა) და უნისონური გუნდისათვის სტროფული ფორმით. ამ ოთხტაეპიან მინიატურაში ავტორები პოეტური და მუსიკალური გამოსახვის გოლფასოვანი საშუალებებით გადმოგვცემენ ჭრელბუმბულა ლამაზი ფრთოსნის ხოტბას, რაც ნაწარმოების ძირითად აზრს შეადგენს და მშობლიური ბუნების თემას უკავშირდება ორივე ხელოვანის შემოქმედებაში.

ოვ. თუმანიანის ტექსტებზე დაწერილი სიმღერა-რომანსებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ნიჭიერი სომეხი კომპოზიტორის რომანოზ მელიქიანის ორი სიმღერა და საქვეყნოდ განთქმული რომანსი „ვარდი“. ორი პირველი სიმღერის ტექსტი ოვ. თუმანიანის საბავშვო ლექსების ციკლიდანაა აღებული. სწორედ ბავშვებისათვის დაწერილ ნაწარმოებებში აქსოვს პოეტი დიდ აღმზრდელობით სიბრძნეს. პოეტი ბავშვებსაც იმავე სადა და უბრალო ენით ესაუბრება, რომლითაც გამსჭვალული მთელი მისი შემოქმედება. ორივე ნაწარმოებში ავტორისათვის მეტად დამახასიათებელ

გაცოცხლებული ბუნების ამეცყეელებულ სახეებს ვხელებით. მინიატურული პოემა „კაკის გოდება“ ბარტყის დაღუპვით დამგლოვიარებული დედა ჩიტისა და მის ღობილ ფრთოსანთა უსაზღვრო ნალექს გამოხატავს. ამ ლექსზე კომპოზიტორმა თავისი ნათელი, გასხივოსნებული მუსიკით ეოკალური ლირიკის ერთი შესანიშნავი ნიმუში შექმნა. სეველიანი მინორული კილოს მიუხედავად, სიმღერა მოკლებულია პირქვეშ, სამგლოვიარო განწყობილებას.

მეორე სიმღერა „ყმაწვილი და ნაკადული“, ორიგინალური პოეტურ-მუსიკალური დიალოგის ფორმითაა დაწერილი. პოეტური ჩანაფიქრიდან მომდინარე ორი კონტრასტული მელოდიური სახე ამ მინიატურული სცენის პერსონაჟებს წარმოგვიდგენს, ყმაწვილის გულბრყვილო ცნობისმოყვარეობა კომპოზიტორის მიერ მშვენიერად მიგნებული „შეკითხვის“ ინტონაციაშია ჩაქსოვილი: „რომელ მთიდან მოჩუბჩუხებს ნაკადული ანკარა?“, მას ანცი, ანკარა ნაკადულის „პასუხი“ მოსდევს: „მაღალ მთიდან დაეშვი, ყინვამ ვერ შემაკაეა“. ეოკალური პარტია ცოცხალი რიტმითა და სახუმარო სკერცოზული იერით გამოირჩევა, ხოლო სინკოპური ხასიათის საფორტეპიანო თანხლებას ახალი იერსახე შემოაქვს ნაწარმოებში. ასეთი სამუენოვანი ფაქტურა განწყობილებათა სწრაფ მონაცვლეობას იწვევს, ცოცხლად და რელიეფურად გადმოგვცემს მთელ პოეტურ ჩანაფიქრს.

კიდევ უფრო ღრმა კვალი გააელო სომხურ ეოკალურ ლირიკაში რ. მელიქიანმა თავისი შესანიშნავი რომანსით „ეარდი“. მან სიმღერის დიდოსტაგის, ფრანც შუბერტის შემდეგ კიდევ ერთხელ აამეცყეელა მუსიკის ენით ეს შესანიშნავი პოეტური ქმნილება – ყვაეილთა დედოფალი და სომხური სასიმღერო ლირიკის ერთი საუკეთესო ნიმუში შექმნა. აღნ-

იმნული ნაწარმოებებით რ. მელიქიანი აღიარებულია ოვანეს თუმანიანის პოეტური შემოქმედების ერთ-ერთ პირველ და საუკეთესო ინტერპრეტატორად მუსიკაში.

წამყვანი ადგილი ოვ. თუმანიანის პოეზიამ საოპერო ეან-რშიც დაიკაფა. მისი მხატვრული სახეები ორი სომხური კლასიკური ოპერის შთაგონების წყაროდ იქცა. ცნობილია, აგრეთვე, რამდენიმე განუხორციელებელი ჩანაფიქრი ამავე ეანრში. მათ შორისაა კომიგასის მიერ ჯერ კიდევ 900-იან წლებში ჩაფიქრებული და განუხორციელებელი ოპერა „ანუში“.

პოემა „ანუშის“ სიუჟეტზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია თბილისელი კომპოზიტორის არმენ ტიგრანიანის ოპერას. ოდესღაც იგი პირველი ეროვნულ ოპერად იყო აღიარებული სომხეთში. თუმცა ტ. ჩუხოჯიანის ოპერა „არშაკ მეორეს“ დაკარგული და ხელმეორედ აღმოცენებული პარტიტურა თითქმის ნახევარი საუკუნით მასზე უფროსი აღმოჩნდა და კიდევ დაისაკუთრა სათანადო ადგილი სომხეთის ეროვნულ საოპერო ხელოვნებაში, მაგრამ „ანუშის“ მოქიშპედ იგი მაინც ვერ გამოდგა.

„ანუში“ ოვ. თუმანიანის პოეტური შემოქმედებისა და სომხური კლასიკური პოეზიის ერთ-ერთ მწვერვალადაა აღიარებული. „თუმანიანის პოეზია უდიდეს ძალას პოემებში აღწევს, აქ იგრძნობა ხალხის ცხოვრების ყოველმხრივი ცოდნა და ხალხის სულიერ სამყაროში „ღრმად შეჭრის უნარი“ – ეს სიტყვები სომხური პოეზიის მცოდნესა და მოამაგეს ვალერი ბრიუსოვს ეკუთვნის. ამ ამრს საესებით იზიარებდა და კიდევ ეყრდნობოდა მომავალი ოპერის ავტორი.

ვიდრე მუსიკის წერას შეუდგებოდა, არმ. ტიგრანიანმა

გულდასმით გადაამუშავა პოემა. ლიბრეტოზე მუშაობის პროცესში უფრო ღრმად გაეცნო პოეტის შემოქმედლების განუმეორებელ სტილობრივ თვისებებს, მის პოეტურ თვალთახედვას, მხატვრულ სახეებს, დრამატული განვითარების თავისებურებებს და ყველას ეს ელემენტი გარდაქმნა მუსიკალური დრამატურგიის თვალსაზრისით. მაგრამ ოპერა „ანუშის“ შექმნას ხანგრძლივი შრომა დასჭირდა. კომპოზიტორი დიდი სიყვარულითა და თავდადებით მუშაობდა თავის „პირმშობე“ და მასთანაა დაკავშირებული მუსიკოსის ზრდა, შემოქმედებითი ძიებანი, ძნელი და რთული გზა ოსტაგობისაკენ, თვითმოქმედებიდან კლასიკური საოპერო სტილისაკენ. კომპოზიტორის თქმით, პოემის პირველი წაკითხვისთანავე ექსპრომტად შეთხზა სიმღერა „ამაღლების მთებო“. ეს იყო პირველი მელოდია, რომლითაც დაიწყო ოპერის წერა კომპოზიტორმა და რომელიც ნაწარმოებისათვის ერთ-ერთ ძირითად ლაიტ-მოტივად იქცა.

„ჩემი აზრით, პოემა „ანუში“ მარგო ლორის ერთ სოფელს კი არა, მთელი სომხეთის სოფლის ყოფას ასახავს“ – წერდა კომპოზიტორი, მართლაც, ოპერის ვმირები ძველი სომხური სოფლის ტიპური ადამიანები არიან. ხალასი და გულწრფელია მათი გრძნობები, როდესაც მხიარულობენ, პირქუმი და შეუეალია მათი განცდები მწუხარებისას. მძიმე ულლად აწევს ბნელი ადამ-ჩვევები ისედაც მრავალჭირნახულ გლეხკაცობას. პოეტი და კომპოზიტორი ანუშისა და საროს გრავდიასთან ერთად მათი თანასოფლელების უბედურებას გვიხატავენ.

ოპერის ცენტრალური მუსიკალური ეპიზოდები ძირითადი გმირების – ანუშისა და საროს სახეებთანაა დაკავშირებული.

ჩვენს წინაშეა სოფლის რჩეული ვაჟკაცი, მშენიერი ანუშის „ეშხის ალით დამწვარი“, სიყვარულის მომღერლად ქცეული

მწყემსი სარო. ხალხურ-იმპროვიზაციული სტილით დაწერილი მთელი მისი პარტია ყარიბი აშულის ერთ მთლიან სატრფიალო სიმღერას მოგვაგონებს. სერენადაში „ქალო დარჩი კარავში“, სატრფოს ხოტბასთან ერთად გადმოცემულია შეყვარებული მწყემსის კაემანი. უწყვეტ ნაკადად ეღერს მღერადი ლირიკული მელოდია, ფრთას ისხამს ოვ. თუმანიანის სიმღერად ქცეული ლექსი, რომელიც კომპოზიტორმა თითქმის უცელელად გამოიყენა საროს სახის ექსპოზიციისათვის.

ანუშის სახე ოპერის ლირიკული ხაზის სათავეა. ხალხურ-სასიმღერო მოტივების ფართო გამოყენებით ა. გივრანიანი ანუშის ინდივიდუალიზებულ ინტონაციურ სფეროს ქმნის, რომელიც ვითარდება ოპერის მრავალფეროვან სცენებში. პირველსავე არიოზოში იბადება ანუშის ძირითადი ლაიგმოტივი, რომელშიც ოსტატურადაა ჩაქსოვილი ამ სახის ლირიკული საწყისიცა და მისი მწუხარე ხვედრიც, ხოლო ანუშის სიმღერა „ამბობენ, რომ ძველად ძეწნა“ ოვ. თუმანიანის ლექსის მუსიკალური ინტერპრეტაციის შედეგადაა აღიარებული.

ოპერა „ანუში“ ლექსის გამოჩენილი ოსტატის ოვ. თუმანიანის საქვეყნოდ განთქმული პოემის საუკეთესო მუსიკალურ-სცენურ განსახიერებას წარმოადგენს. ეს პოეტურ-მუსიკალური გამომსახველობის ერთ-ერთი ნიმუშია.

ოვ. თუმანიანის მიხედვით შექმნილი მეორე ოპერა „ალმასტი“ სომხური მუსიკის გამოჩენილ კლასიკოსს ალექსანდრე სპენდიაროვს ეკუთვნის. კომპოზიტორი შეჩერდა მის გვირულ პოემაზე „ტიმკაბერდის აღება“. თქმულების სახით საუკუნეებს შემორჩა სომეხი მხედართმთავერის, მამაცი თათულის ბრძოლები სპარსეთის მრისხანე მბრძანებლის შაჰ-აბასის რაზმების წინააღმდეგ ციხე-ქალაქ ტიმკაბერდის დასაცავად. ოპერის სათაური კი მისი ლამაზი და მოღალატე

კოლის, მთავარი გმირის – ალმასტის სახელთანაა დაკავშირებული.

ოპერაზე კომპოზიტორი ხანგრძლივად მუშაობდა და როგორც ცნობილია, მისი დამთავრება ვერ მოასწრო, ოპერა „ალმასტის“ სცენური ვარიანტი კომპოზიტორის სიცოცხლეშივე არ შექმნილა. სწორედ ამიტომ მის სცენურ სიცოცხლეს თავიდანვე დაჰყვა ზოგიერთი ნაკლი, რომელთა ლიკვიდაცია ხანგრძლივად ვერ მოხერხდა.

ოვ. თუმანიანის გმირული პოემა „ტიმკაბერდის ალება“ თავისებური კომპოზიციით გამოირჩევა. მისი გადაგანა მუსიკალურ-დრამატული ენრის სფეროში მეტად საინტერესო და ამავე დროს რთულ ამოცანად დაისახა კომპოზიტორმა, რაც საკმაოდ მაღალ დონეზე შეასრულა და თავის ხალხს საუკეთესო კლასიკური ოპერა დაუტოვა მემკვიდრეობად.

ოვ. თუმანიანის ნაწარმოებთა მიხედვით რამდენიმე საბავშვო ოპერა დაიწერა, რომლებიც მეტ-ნაკლები წარმატებით განხორციელდნენ სცენაზე. ესენია აბ. მანუკიანის „ბოროტების დასასრული“, ა. მაილიანის „ცელქი მიკიჩა“, ს. ბარხუდარიანის „ქერი ქუჩი“ და სხვა.

შედარებით ნაკლები წარმატება ხედა საშემსრულებლო ესტრადაზე ოვ. თუმანიანის პოეტური სახეების მიხედვით შექმნილ სიმფონიურ ნაწარმოებებს. მათ შორის საუკეთესონი – ს. ბარხუდარიანის სიმფონიური პოემა „ანუში“ და ა. გერგეონიდიანის სიმფონიური პოემა „ახ, თამარ“ სომხური სიმფონიური მუსიკის ფონდში დამკვიდრდა.

ქართველ მუსიკოსებს შორის ოვ. თუმანიანის შემოქმედებას სანდრო მირიანაშვილი გამოეხმაურა და შექმნა რამდენიმე სიმღერა მის ტექსტზე: „მელიან“, „ჩემი სამშობლოს ტყეები და ბაღები“, „განშორების ეამს“, „საიათნოვა“.

ოვ. თუმანიანის უკედავი სახეები მრავალგზის აქლერდა მუსიკალურ შემოქმედებაში. მისი შესანიშნავი პოეტური სტროფები, ბევრი მისი საქვეყნოდ ცნობილი ლექსი თუ პოემა, მოთხრობა თუ ლეგენდა სხვადასხვა მუსიკალურ ეანრში დამკვიდრდა და მსმენელთა დიდი სიყვარული მოიპოვა.

ოვანეს თუმანიანის მდიდარი მხატვრული შემოქმედებიდან ნიმუშის სახით გთავაზობთ რამდენიმე ლექსს, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკრის“ 1969 წლის მეცხრე – სექტემბრის ნომერში დიდი მწერლის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

ოვანეს თუმანიანი

6. ბარათაშვილის საფლავთან¹

პოი, მგლოვიარე საქართველოვ, ნუგეში შენდა!
ვაქეაქის სახე რად მიეცი ავბედით სევდას;
პოეტის ფერფლი თვალებს ცრემლით ისევ გისველებს?!
ძველი ტკივილი განგიახლა?! შეგძრა ისევე?!
თუ მისი ღრმა და ასე ბნელი სამარის კარი
შენი ობოლი სულისათვის საშიში არის.

1. ეს ლექსი ოვანეს თუმანიანმა ნ. ბარათაშვილის ნეშტის დიდუბის ეკლესიის გალავანში დაკრძალვის დღეს წარმოთქვა, 1893 წლის 25 აპრილს.

ფერფლს მარხავ, ღიახ, ფერფლს და არა თავად მგოსანსა!
ვინც უკვდავების შარავანდით ასე გმოსაედა -
არ იმარხება, არა კვდება, არ იბინდება,
აწ და მარადის უკვდავია მისი ღიდება,
აწ და მარადის ის იქნება შენი მკურნალი,
რომ მკერდს ჭრილობა მოგიშუშოს ჭერაც მხურვალი.

და შენც მგოსანო, ღალადებავ ერის ბაგეთა,
ტანჯული გული სიდუხჭირის ბნელში დაგენტქა,
მოხვედ მშვიდობით სამარიდან სამარემდისა:
სასუფეველი დაგიმკვიდროს სამარადისო!..

ბრძელი ღამეები

უწყალოდ მტანჯავს უძილო ღამე
და სასომიხდილს მკლავს ღარდი მწველი,
ფიქრით სულს როგორ ვუშველო რამე, -
ღამეა ბნელი, ღამეა გრძელი.

ეპ, იყო ჟამი... ჭერ კიდევ გუშინ
ღეღა მეგონა ჭეყანა მთელი...
გულის ძახილი არ იყო ფუჭი
და არცა ღამე - ასეთი გრძელი.

წარვიდა, განჭრა ტრფობაც, ოცნებაც -
ძალი და ფერი... რაც მჭონდა წრფელი,
ძნელ საზრუნავმა, შავ ღღემ მომძებნა
და ღამეები მიმრავლა გრძელი.

უძილო ღამის ტანჯვამ იმატა,
სასომიხდილი, დაღლილი ველი,
ველი და ველი, ჯღარ ინათა!
...ღამეა ბნელი, ღამეა გრძელი.

1897

* * *

ცა იყო ბნელი; ვერავინ ნახა,
რას ჰქმნიდა ბნელში ბუნების ძალი;
მხოლოდღა, როცა გადმოდგა მალღა
ცისკარი, მინდვრად ბრწყინავღა ცვარი.

სდუმღა პოეტი, ვერ მიხვღა მაშინ
ვერვინ, რა ჰქმუნვღა უკრობღა სახეს;
მხოლოდღა სტრიქონთ მთროლოვარე ხმაში
სათუთი გულის ცრემღებღი ნახეს...

1892

სომხურიღან თარვზღა გიჰი შაჰნაზარღა

გამოჩენიღი მწერღის, ოვანეს თუმანიანის ეგრეთწოდებულღი „ერთსტროფიანღი“ ლექსებღი – ქარიაკებღი – განსაკუთრებღი ცნობიღი და პოპულარულია სომხეთში.

გამომცემღობა „ჰაიასტანმა“ საიუბილეოდ გამოსცა, ოვანეს თუმანიანის „ერთსტროფიანღ“ ლექსთა კრებულღი.

გთავაზობთ რამღღენიმე ნიმუშს.

* * *

ჩემო დღეებო, თქვენ შორს გაფრინდით,
თქვენ შორეთიდან აღმოცენდით და შორს გაფრინდით,
ისევ წამართვით, რაც მომეცით და შორს გაფრინდით,
გული და სული დამიფლეთ და შორს გაფრინდით.

1890

* * *

შენ წახვედი და აღარ დაბრუნდი,
წახვედი, გაქრი, დაიკარგე, აღარ დაბრუნდი.
ამქვეყნად, ძმაო, ვინ გააძღებს მიწას და სიკვდილს,
შენც თურმე მათი ტყვე გახდი და აღარ დაბრუნდი.

1916

* * *

მე სამუდამოდ მიმატოვეთ, ისე წახვედით,
ზურგი აქციეთ მამულის მთებს, ისე წახვედით.
გიხმობდით ყველას ტირილით და ხმა არ გამეცით,
ხმაც არ გამეცით, მეგობრებო, ისე წახვედით.

1916

* * *

ვაი, რამდენი ნალველია ჩემს დაღლილ გულში,
რამდენი მყავდით, მეგობრებო, ჩემს დაღლილ გულში,

ყველა მიდის და ალბათ მალე ჩემი დღეც მოვა,
სიკვდილის შიში შეპარულა ჩემს დაღლილ გულში.

1917

* * *

დაბრუნდით ჩემთან, აღიდებულ მდინარესავით,
დაბრუნდით ჩემთან
სიყვარულის წასულო დროო,
ძველო სიმღერავ და სიმშვიდეც, დაბრუნდით ჩემთან,

1917

* * *

მტერიც, მოყვარეც, ყველა მე მწვავდა,
მეც ვიწოდი და ბნელს ვანათებდი,
აღამიანო, მანამ ვეცადე,
სანამ არ ჩავქრი, როგორც სანთელი.

1917

* * *

სიცოცხლე ჩემი იყო სიზმარი თუ ცხადი იყო, არც გამიგია,
ისე გაფრინდა.
დღე დღეს მისდევდა, მეც დღეს მივდევდი, ვერ დავეწიე,
ისე გაფრინდა.

იგი, რაზედაც ვოცნებობდი, არ ამისრულდა,
ისე გაფრინდა.
ვითომ ნიძლავეში წამიგია მთელი სიცოცხლე,
ისე გაფრინდა.

1919

* * *

ვით შემეძლო, ვმსახურებდი ამ ჩემს ხალხსა,
სამსახურით დავიღალე-
მე ვკურნავდი ადამიანს დარდისაგან
და დარდისგან დავიღალე.
სხვა ვერ ვნახე, ვინც მეგობარს გული მისცა,
ვერ ვნახე და დავიღალე,
მე ჩემნაირ კაცს ვეძებდი
და ძებნაში დავიღალე.

1921

თარგმნა ჯანსუღ ჩარკვიანმა

ბულბულის სქედა

უცხო ფრინველმა შეასწრო თვალი,
ბულბული ცრემლებს ღვრიდა საწყალი.
ჰკითხა: „ბულბულო, რა გჭირს მითხარი?
რატომ ჩამოგდის ცრემლები ცხარი?
რატომ ცახცახებ ნეტავი ასე?
რად ჰგალობ მხოლოდ სევდიან ხმაზე?
მთელი ჭვეყანა შენ გიძღვნის ჭებას,
შენი ტყბილი ხმით ყველა გრძნობს შვებას,
და შენ კი თითქოს გამოიცივალე -
სისხლის ცრემლები გისველებს თვალებს“.

ბულბული უცხო ჩიტს უპასუხებს:
„განა ვერ ხვდები, მე რა მაწუხებს? -
ხედავ დაჰფარა თოვლმა მთლად არე,
გაყინულია მკვირცხლი მდინარე,
მთლად გაძარცულან ხენი არყების,
არც ჟრიამული ისმის ბარტყების,
აღარც ყვავილებს აქვთ აღრინდელი,
არც სილამაზე და არც სურნელი;
როგორ არ ვღვარო მე ცრემლი ცხელი?“

მას უპასუხებს უცხო ფრინველი:
„ნაზო ბულბულო, დამიგდე ყური,
ცრემლებს ნუ იღენ ასე წურწურით;
კვლავ გაზაფხული მოვა ნარნარი,
კვლავ აყვავდება შენი ბაღნარი,
თოვლი გადნება, გადაიდარებს;

შენი სამშობლო კვლავ გაიხარებს;
ყინულს გასტეხენ მდინარეები,
ამწვანდებიან ისევ ტყეები,
ვარდის სურნელი ისევ დაგატკბობს,
შენი ნაზი ხმაც ყველას დაათრობს!”

თარგმნა გრიგოლ ცეცხლაძემ

* * *

1973 წელს გამომცემლობა „განათლება“ გამოსცა ნინო ლა-
იშვილის ანოტირებული ბიბლიოგრაფიული საძიებელი „ოვანეს
თუმანიანი ქართულად“, ეს ბროშურა დაიბეჭდა დიდი სომეხი
მწერლის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად.

ეს ანოტირებული ბიბლიოგრაფიული საძიებელი მიზნად
ისახავს სათანადო დახმარება გაუწიოს ბიბლიოთეკის მუშაკებსა
და ოვანეს თუმანიანის შემოქმედებით დაინტერესებულ მკითხვე-
ლებს საჭირო ლიტერატურის შერჩევაში.

საძიებელი შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან: 1. ოვანეს
თუმანიანის შემოქმედება, 2. ლიტერატურა ოვანეს თუმანიანის
ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

გთავაზობთ ამ საძიებელს:

I. რჩეული ნაწარმოებები

1. თუმანიანი ო., რჩეული ნაწერები. თარგმ, და წინასიტყვაობა ი. გრიშაშვილისა. ო. თუმანიანის სურათი ა. ლიუბობოვისა. ტფ., სახელგამი, 1924. 135 გვ. პორტ. და ავტოგრაფით.

შინაარსი: ჩემი სიმღერა; სომეხთა სევდა; რისთვის; რუბაიები; ძველებური დალოცვა; განშორების ჟამს; სომხეთის მთებზე; საქართველოს პოეტებს; გიქორ; ირემი; საწყალი კაცის პატიოსნება; ახმად; გულადი ნაზარა; ანუშ; ძალღი და კატა; ფარავანა; ერთი წვეთი თაფლი.

2. თუმანიანი ო., რჩეული ნაწერები. ი. გრიშაშვილისა და კ. მაკინციანის შესავალი წერილით: „ოვანეს თუმანიანი“, გვ. V-XI (ტფ.). „სახელგამი“, 1932. XIII, 120 გვ.

შინაარსი: ჩემი სიმღერა; სომეხთა სევდა; რისთვის; რუბაიები; ძველებური დალოცვა; განშორების ჟამს; ორი ღრუბელი; აივაზოვსკის სურათის წინ; სომხეთის მთებზე; საქართველოს პოეტებს; ნაწყვეტი; გიქორ; ირემი; საწყალი კაცის პატიოსნება; ახმად; ქვის აბანო; ანუშ; უბედური ვაჭრები; ბატონი და მოჯამაგირე; გულადი ნაზარა; ძალღი და კატა; ფარავანა; ერთი წვეთი თაფლი.

3. თუმანიანი ო., რჩეული ნაწერები. თარგ. ი. გრიშაშვილისა (ლ. მელიქსეთბეგის შესავალი წერილით – „ოვანეს თუმანიანი“), თბ., სახელგამი, 1937, 107 გვ.

შინაარსი: ჩემი სიმღერა; სომხეთის მთებზე, საქართველოს პოეტებს, ნაწყვეტი: ძველებური დალოცვა; განშორების ჟამს; ორი ღრუბელი; აივაზოვსკის სურათის წინ;

რისთვის; რუბაიები; გიქორ; ირემი; აჰმადი; (მოგონება); ქვის აბანო; ძაღლი და კატა; ფარვანა; ერთი წვეთი თაფლი. ბატონი და მოჯამაგირე; გულადი ნაზარა.

4. თუმანიანი ო., რჩეული ნაწერები. თარგმ. ი. გიშაშვილისა. თბ., „საბჭოთა მწერალი“, 1948, 128 გვ.

შინაარსი: ჩემი სიმღერა; სომეხთა სევდა; რისთვის; რუბაიები; ძველებური დალოცვა; განშორების ჟამს; ორი ღრუბელი; აივაზოვსკის სურათის წინ; საქართველოს პოეტებს; სომხეთის მთებზე; ნაწყვეტი; საიათნოვა; ძაღლი და კატა; ფარვანა; ერთი წვეთი თაფლი; ანუშ; გიქორ; ირემი; საწყალი კაცის პატიოსნება; ახმად; ქვის აბანო; უბედური ვაჭრები; ბატონი და მოჯამაგირე; გულადი ნაზარა.

5. თუმანიანი ო., რჩეული ნაწერები. თარგმ. ი. გრიშაშვილისა (ი. გრიშაშვილის შესავალი წერილით. „ხალხთა ძმობის მომღერალი“). თბ., საქ. სსრ განათლების სამინისტრო, საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახ. გამომცემლობა, 1956. 39 გვ. პორტრ.

შინაარსი: ჩემი სიმღერა; სომეხთა სევდა; რისთვის; რუბაიები; ძველებური დალოცვა; განშორების ჟამს; ორი ღრუბელი; აივაზოვსკის სურათის წინ; საქართველოს პოეტებს; სომხეთის მთებზე; ნაწყვეტი; საიათნოვა; ძაღლი და კატა; ფარვანა; ერთი წვეთი თაფლი; ანუშ; გიქორ; ირემი; საწყალი კაცის პატიოსნება; ახმად; ქვის აბანო; უბედური ვაჭრები; ბატონი და მოჯამაგირე; ყველიერი; გულადი ნაზარა.

6. თუმანიანი ო., ლექსები და პოემები. თარგმ. სომხურიდან. რედ. კ. კალაძე. მხატვრ. ლ. ცუცქერიძე. თბ., „მერანი“, 1969, 194 გვ.

შინაარსი: გამომცემლობისაგან. გვ. 5-6. ჩემი სიმღერა;

რისთვის; სომეხთა სევდა; რუბაიები; ძველებური დალოცვა; განშორების ჟამს; ორი ღრუბელი; აივაზოვსკის სურათის წინ; საქართველოს პოეტებს; სომხეთის მთებზე; ნაწყვეტი; საიათნოვა; თარგმ. ი. გრიშაშვილისა. — ჩემი სიყვარული; ჩემი ნატვრა; ისევ ის ქალი; წარწერა; თარგმ. კ. კალაძისა. — საქართველოს; მომღერალს; თარგმ. გრ. აბაშიძისა. — ძახილი; ყარყატი; გულუბრყვილობებს; თარგმ. რ. მარგიანისა. — ქოხში; ჩემს ბიბლიოთეკაში; მგზავრები; ჯარა; თარგმ. გრ. ცეცხლაძისა. — ღამურა; თოლია და ეკალი; თარგმ. კ. ბობოხიძისა. — სამშობლო; თარგმ. ვ. ჯავახაძისა. — მისადმი; შენს გზას გაჰყვები; თარგმ. ო. შალამბერიძისა. — გოლიათი; თარგმ. თ. ჯანგულაშვილისა. — დაწყვეტილი რძალი; თარგმ. გ. ალხაზიშვილისა. — მრავალთა მგვანი; ბოროტმძრახველებს; „ნულარ დაეძებ“; №-ს; დაო არსად მაქვს თავშესაფარი; თარგმ. ჯ. ფხოველისა. — გუთნის დედის სიმღერა; გახსოვს ბორჯომი; პროლოგი; ნ. ბარათაშვილის საფლავთან; საქართველოს სული; თარგმ. სტ. მხარგრძელისა. — კვნესა; თარგმ. გრ. ჯულუხიძისა. — ანუშ; ბაღლი და კატა; ფარვანა; ერთი წვეთი თაფლი; თარგმ. ი. გრიშაშვილისა. — სასუნელი დავით; თარგმ. ს. ავჩიანისა. — მარო; თარგმ. ზ. მედულაშვილისა.

2. ლექსები, პოემები და ბალადები

7. თუმანიანი ო., აივაზოვსკის სურათთან (ლექსი), თარგმ. ი. გრიშაშვილისა. — „დროშა“, 1932, №5, გვ. 8.

8. თუმანიანი ო., ანუშ (პოემა), თარგმ. ი. გრიშაშვილისა. — „კავკასიონი“, 1924, №3-4, გვ. 166-188.

9. თუმანიანი ო., ანუშ (პოემა), თარგმ. ი. გრიშაშვილისა. თბ., „ნაკადული“, 1966, 54 გვ.
10. თუმანიანი ო., ასვლა-ჩამოსვლა (ლექსი), თარგმ. ა. თევზაძისა. – „კომუნისტი“, 1969, 20 სექტ.
11. თუმანიანი ო., ასთამარი (ბალადა), თარგმ. ვ. გაფრინდაშვილისა. – „მნათობი“, 1938, №4, გვ. 70-73.
12. თუმანიანი ო., ბავშვი და წყარო (ლექსი), თარგმ. ს. მხარგრძელისა. – „ნორჩი ლენინელი“, 1969, 20 სექტ.
13. თუმანიანი ო., ბარათაშვილის საფლავთან (ლექსი), თარგმ. დ. გაჩეჩილაძისა. – „ახ. კომუნისტი“, 1939, 6 აპრ. – „მნათობი“, 1945, №10, გვ. 9.
14. თუმანიანი ო., ბარათაშვილის საფლავთან (ლექსი), თარგმ. გ. შაჰნაზარისა. – „ლიტ. საქართველო“, 1968, 9 სექტემბერი.
15. თუმანიანი ო., ბულბულის სევდა (ლექსი), თარგმ. გრ. ცეცხლაძისა. – „ცისკარი“, 1969, №9, გვ. 4-5.
16. თუმანიანი ო., გაზაფხულის ძახილი (ლექსი), თარგმ. დ. ცაგარელისა. – „პიონერი“, 1955, №4 გვ. 18.
17. თუმანიანი ო., გახსოვს ბორჯომი (ლექსი), თარგმ. ს. მხარგრძელისა. – „მნათობი“, 1969, №9, 102-103; – „ბორჯომი“ (ბორჯომი), 1969, 25 სექტ.
18. თუმანიანი ო., „გემუდარები, საყვარელო, ცრემლი დამალე“ (ლექსი), თარგმ. ხ. ბერულავასი. – „საბჭ. აფხაზეთი“, 1969, 20 სექტ.
19. თუმანიანი ო., გრძელი ღამეები (ლექსი), თარგმ. გ. შაჰნაზარისა. – „ცისკარი“, 1969, №9, გვ. 3-4.
20. თუმანიანი ო., გულუბრყვილოებს (ლექსი), – „ახ. კომუნისტი“, 1969, 20 სექტ.
21. თუმანიანი ო., გულუბრყვილოებს (ლექსი), თარგმ. რ. მარგინისა. – „მნათობი“, 1969, №7, გვ. 119.

22. თუმანიანი ო., ერთი წვეთი თაფლი (პოემა ნაწყვეტი), თარგმ. ი. გრიშაშვილისა. იხ. ბარამაძე გრ., სიხარულიძე ილ. მშობლიური ლიტერატურა. VI კლ. სახელმძღვანელო. თბ., „განათლება“, 1969, გვ. 294-298.
23. თუმანიანი ო., ერთი წვეთი თაფლი (პოემა), თარგმ. ი. გრიშაშვილისა. – „კავკასიონი“, 1924, №1-2, გვ. 176-181.
24. თუმანიანი ო., ერთი წვეთი თაფლი (პოემა), თარგმ. ი. გრიშაშვილისა (ბავშვებისათვის გადააკეთეს თ. ერისთავმა და თ. თუმანიშვილმა. მხატვ. მ. თარიშვილი), თბ., სახელგამი, 1973. 12 გვ.
25. თუმანიანი ო., ერთსტროფიანი ლექსები – ქარიაკები, „ჩემო დღეებო, თქვენ შორს გაფრინდით...“ „შენ წახვედი და აღარ დაბრუნდი...“ „მე სამუდამოდ მიმატოვეთ ისე წახვედით...“, „ვინ რამდენი ნაღველია ჩემს დაღლილ გულში...“, „დაბრუნდით ჩემგან, აღიდებულ მდინარესავით...“ „მტერიც, მოყვარეც, ყველა მე მწვეავდა...“, „სიცოცხლე ჩემი იყო სიზმარი თუ ცხადი იყო, არც გამიგია, ისე გაფრინდა...“ „ვით შემემლო ვმსახურებდი ამ ჩემს ხალხსა...“ თარგმ. ჯ. ჩარკვიანისა. – „ცისკარი“, 1969, №9, გვ. 4-5.
26. თუმანიანი ო., თმკაბრეთის აღება (პოემა ნაწყვეტი), თარგმ. გ. შაჰნაზარისა. – „ლიტ. საქართველო“, 1969, 19 სექტ.
27. თუმანიანი ო., თმოგვის ციხის აღება (პოემა), თარგმ. და შესავალი წერილი ლ. მელიქსეთ-ბეგისა, თბ., სახელგამი, მხატვრული ლიტერატურის სექტორი, 1939, 32 გვ.
28. თუმანიანი ო., „თუ მეგობარო, გულში გაივლებ“ (ლექსი), თარგმ. ს. მხარგრძელისა. – „ოქტომბრის გზით“ (ქარელი), 1969, 27 სექტ.
29. თუმანიანი ო., „თუ რომ შენს სახეს, სევდიანს ასე“...

- (ლექსი), თარგმ. ა. კარაპეტიანისა. – „შუქურა“ (ახალქალაქი), 1969, 23 სექტ.
30. თუმანიანი ო., ისევ ის ქალი (ლექსი), თარგმ. კ. კალაძისა. – „ლიტ. საქართველო“, 1969, 19 სექტ.
31. თუმანიანი ო., მარო (ბალადა). თარგმ. ვ. გორგაძისა, – „მნათობი“, 1938, №4, გვ. 18-24; №7, გვ. 99-103.
32. თუმანიანი ო., მას. (ლექსი). თარგმ. ა. კარაპეტიანისა. „შუქურა“ (ახალქალაქი), 1969, 23 სექტ.
33. თუმანიანი ო., მეგობარს (ლექსი). თარგმ. გ. შანაზარისა. – „ლიტ. საქართველო“, 1969, 19 სექტემბერი.
34. თუმანიანი ო., მე მდიდარი ვარ ხალხს შევწირე ღხენა და გლოვა... (ლექსი. ნაწვეტი). – „წითელი დროშა“ (ახალციხე), 1969, 30 სექტ. – „გამარჯვების გზა“ (ხაშური), 1969, 11 სექტ.
35. თუმანიანი ო., მოვიდა ლექსითა, წავიდა კენესითა... (ლექსი მიძღვნილი საიათნოვასადმი. თარგ. ი. გრიშაშვილისა). – „თბილისის უნივერსიტეტი“, 1963, 1 ნომბ.
36. თუმანიანი ო., მომღერალი (ლექსი), თარგმ. ა. კარაპეტიანისა. – „შუქურა“ (ახალქალაქი), 1969, 23 სექტ.
37. თუმანიანი ო., მომღიმარე თვალები“ (ლექსები), თარგმ. ვ. სამსონიძისა. – „წითელი დროშა“ (ახალციხე), 1969, 30 სექტ.
38. თუმანიანი ო., მუდამ ოცნებით იყო მდიდარი. (ლექსი), თარგმ. ს. მხარგრძელისა. – „მნათობი“ 1969, №9 გვ. 102-103.
39. თუმანიანი ო., ნაკადული. (ლექსი). თარგმ. ს. ჟღენტისა. – „პიონერი“, 1938, №4, გვ. 15.
40. თუმანიანი ო., ნ. ბარათაშვილის აკლდამასთან. (ლექსი), თარგმ. ს. მხარგრძელისა. – „სოც. რუსთავი“, 1968, 24 აპრ.

41. თუმანიანი ო., ნ. ბარათაშვილის საფლავთან (ლექსი), თარგმ. ს. მხარგრძელისა. – „მნათობი“, 1969, №9, გვ. 102-103.
42. თუმანიანი ო., ნ. ბარათაშვილის საფლავთან (ლექსი), თარგმ. გ. შაჰნაზარისა. – „ცისკარი“ 1969, №9, გვ. 3-4.
43. თუმანიანი ო., ნუ გამახსენებთ, ნურაფერს იტყვი... (ლექსი), თარგმ. ა. კარაპეტციანისა – „შუქურა“ (ახალქალაქი), 1969, 23 სექტ.
44. თუმანიანი ო., ნუ მემღერები... (ლექსი), თარგმ. ი. ბაქრაძისა. – „ივერია“, 1899, 2 მაისი.
45. თუმანიანი ო., ნუ მთხოვ (ლექსი, თარგმ. ს. მხარგრძელისა. – „გამარჯვება“ (გორი), 1969, 30 სექტ.
46. თუმანიანი ო., ო, უფალო კვამლივით გაქრა! (ლექსი), თარგმ. ს. მხარგრძელისა – „ბორჯომი“(ბორჯომი), 1969, 25 სექტ.
47. თუმანიანი ო., ორი ბედი (ლექსი). – „ასპინძა“ (ასპინძა), 1969, 25 სექტ.
48. თუმანიანი ო., პოემები. თარგმ. ი. გრიშაშვილისა. ტფ., სახელგამი, 1930. 52 გვ.
შინაარსი: ერთი წვეთი თაფლი; ფარვანა: ანუშ.
49. თუმანიანი ო., პოემები. თარგმ. ი. გრიშაშვილისა. თბ., „ფედერაციის გამ-ბა“ 1939, 63 გვ. პორტრ.
შინაარსი: საქართველოს პოეტებს; ერთი წვეთი თაფლი; ანუშ.
50. თუმანიანი ო., პროლოგი (ლექსი), თარგმ. ს. მხარგრძელისა. – „ლენინის გზით“ (გურჯაანი), 1969, 30 სექტ.
51. თუმანიანი ო., რუბაიები (ლექსი), თარგმ. ა. თევზაძისა – „თბილისი“, 1968, 20 სექტ. „სახ. განათლება“, 1969, 26 სექტემბერი.
52. თუმანიანი ო., საიათნოვა (ლექსი), თარგმ. ი. გრიშ-

აშვილისა, – „მნათობი“, 1948, №4, გვ. 24. „ახ. კომუნისტი“, 1948, 23 მარტი.

53. თუმანიანი ო., სამყაროში ჩაწვდომა (ლექსი), თარგმ. ს. მხარგრძელისა. – „ბახტრიონი“ (ახმეტა), 1969, 25 სექტ.

54. თუმანიანი ო., სასუნელი დავითი (პოემა). თარგმ. ს. ავჩიანისა, რედ. ი. გრიშაშვილი. კრ: „სასუნელი დავითი“ ლ. მელიქსეთბეგის რედაქციით. თბ., თბილისის სახელმწ. უნი-ტის გამოცემა, 1939, გვ. 101-134.

55. თუმანიანი ო., სატრფოს (ლექსი), თარგმ. გრ. ცეცხლაძისა – „მნათობი“, 1948, №4, გვ. 24.

56. თუმანიანი ო., საქართველოს პოეტებს (ლექსი), თარგმ. ი. გრიშაშვილისა – „კომუნისტი“, 1937, 24 მარტი; – „ახ. კომუნისტი“, 1939, 6 აპრ.

57. თუმანიანი ო., საქართველოს პოეტებს, (ლექსი, ნაწყვეტი), თარგმ. ი. გრიშაშვილისა. – თბილისის უნი-ვერსიტეტი“, 1963, 28 სექტ.

58. თუმანიანი ო., საქართველოს პოეტებს (ლექსი), თარგმ. ი. გრიშაშვილისა. – „ლიტ. საქართველო“, 1969, 19 სექტ; – „სოფლის ცხოვრება“, 1969, 20 სექტ; – „სახ. განათლება“, 1969, 26 სექტ; – „წითელი დროშა“ (ახალციხე), 1969, 25 სექტ; – „გამარჯვების გზა“ (ხაშური), 1969, 11 სექტ; – „საბჭ. აჭარა“, 1969, 20 სექტ; – საბჭ. ოსეთი“, 1969, 20 სექტ.

59. თუმანიანი ო., საქართველოს პოეტებს (ლექსი, ნაწყვეტი), თარგმ. ი. გრიშაშვილისა. – „კომუნისტი“, 1938, 23 მარტი; – „კომუნისტური განათლება“, 1938, 24 მარტი; – „საბჭ. აჭარა“, 1938, 26 მარტი.

60. თუმანიანი ო., საქართველოს (ლექსი), თარგმ. ა. კარაპეტციანისა – „ოქტომბრის დროშით“ (ახალქალაქი), 1958, 12 მარტი.
61. თუმანიანი ო., საქართველოს (ლექსი), თარგმ. გრ. აბაშიძისა – „ლიტ. საქართველო“, 1969, 19 სექტ.
62. თუმანიანი ო., საქართველოსათვის (ლექსი), თარგმ. ა. კარაპეტციანისა – „წითელი დროშა“ (ახალციხე), 1969, 25 სექტ.
63. თუმანიანი ო., საქართველოსათვის (ლექსი), თარგმ. ა. თევზაძისა – „სახ. განათლება“, 1969, 26 სექტ.
64. თუმანიანი ო., საქართველოს სული (ლექსი), თარგმ. ს. მხარგრძელისა – „წიგნის სამყარო“, 1969, 10 სექტ.
65. თუმანიანი ო., საქართველოს სული (ლექსი), – „ოქტომბრის გზით“ (ბათუმი), 1969, 16 სექტ.
66. თუმანიანი ო., საქართველოს სული (ლექსი), თარგმ. ა. თევზაძისა, – „კომუნისტი“, 1962, 20 სექტ.
67. თუმანიანი ო., საქართველოს სული (ლექსი), თარგმ. გ. შაჰნაზარისა – „ლიტ. საქართველო“, 1969, 19 სექტ.
68. თუმანიანი ო., სომეხთა სევდა (ლექსი). თარგმ. ი. გრიშაშვილისა – „თეატრი და ცხოვრება“ 1923, №1, გვ. 4.
69. თუმანიანი ო., სომეხთა სევდა (ლექსი), თარგმ. ა. თევზაძისა – „სახ. განათლება“, 1969, 26 სექტ.
70. თუმანიანი ო., სომეხთა სევდა (ლექსი), თარგმ. გ. შაჰნაზარისა – „ლიტ საქართველო“, 1969, 19 სექტ.
71. თუმანიანი ო., ფიცი (ლექსი), თარგმ. ს. მხარგრძელისა – „ლენინელი“ (ქობულეთი), 1969, 27 სექტ.
72. თუმანიანი ო., ღამის პირველი ვარსკვლავისადმი (ლექსი), თარგმ. ა. კარაპეტციანისა – „შუქურა“ (ახალქალაქი), 1969, 23 სექტ.

73. თუმანიანი ო., ღმერთო, კვამლივით გამჟანტე (ლექსი). თარგმ. კ. ჭიჭინაძისა - „თეატრი და ცხოვრება“, 1916, №16, გვ. 3.
74. თუმანიანი ო., ყარყატი (ლექსი), თარგმ. რ. მარგიანისა - „მნათობი“, 1969, №7, გვ. 118.
75. თუმანიანი ო., ყარყატი (ლექსი) - „ახ. კომუნისტი“, 1969, 20 სექტ.
76. თუმანიანი ო., ყველაფერსა აქვს ქვეყნად საზღვარი... (ლექსი), თარგმ. ა. კარაპეტიალისა - „შუქურა“ (ახალქალაქი), 1969, 23 სექტ.
77. თუმანიანი ო., შურისძიება მგოსნისა (ლექსი), თარგმ. ი. ბაქრაძისა - „ივერია“, 1899, 11 აპრ.
78. თუმანიანი ო., ჩემი ნატურა (ლექსი), თარგმ. კ. კალაძისა - „ლიტ. საქართველო“, 1969, 19 სექტ.
79. თუმანიანი ო., ჩემი სიმღერა (ლექსი), თარგმ. ლ. ასათიანისა - „ახალი კავკასიონი 1924, №1-2, გვ. 134; - „ახ. კომუნისტი“, 1939, 6 აპრ.
80. თუმანიანი ო., ჩემი სიმღერა (ლექსი), თარგმ. ი. გრიშაშვილისა - „საბჭ. აფხაზეთი“, 1969, 20 სექტ; - „ასპინძა“ (ასპინძა) 1969, 25 სექტ.
81. თუმანიანი ო., ჩემი სიმღერა (ლექსი), თარგმ. ი. გრიშაშვილისა - „ახ. კომუნისტი“, 1936, 6 აპრ. - „მუშა“, 1938, 23 მარტი.
82. თუმანიანი ო., ჩემი სიყვარული (ლექსი), თარგმ. კ. კალაძისა - „ლიტ. საქართველო“, 1969, 19 სექტ.
83. თუმანიანი ო., ჩემი სიყვარული (ლექსი), თარგმ. ა. თევზაძისა - „თბილისი“, 1969, 20 სექტ.
84. თუმანიანი ო., ჩემი ცხოვრება (ლექსი), თარგმ. ს. მხარგრძელისა - „ბორჯომი“ (ბორჯომი), 1969, 25 სექტ.

85. თუმანიანი ო., ჩემს ბიბლიოთეკაში (ლექსი), თარგმ. რ. მარგიანისა „მნათობი“, 1969, №7, გვ. 119.
86. თუმანიანი ო., ჩენი აღთქმა (ლექსი), თარგმ. გ. შაჰნაზარისა – „ლიტ. საქართველო“, 1969, 19 სექტ.
87. თუმანიანი ო., ძახილი (ლექსი), თარგმ. რ. მარგიანისა – „მნათობი“, 1969, №7, გვ. 118.
88. თუმანიანი ო., წარწერა (ლექსი), თარგმ. კ. კალაძისა – „ლიტ. საქართველო“, 1969, 19 სექტ.
89. თუმანიანი ო., წინასწარმეტყველება (ლექსი), თარგმ. ა. თევზაძისა – „კომუნისტი“, 1969, 20 სექტ.

3. მოთხრობები, ზღაპრები და ლეგენდები

90. თუმანიანი ო., ახმად. (პატარა მოგონება ძველი დღიურიდან) – „ბორჯომი“, (ბორჯომი), 1969, 25 სექტ.
91. თუმანიანი ო., ბატონი და მოჯამაგირე (ზღაპარი), თარგმ. ლ. კარაპეტიანისა. – „წითელი სხივი“, 1925, № 11-12, გვ. 21-23.
92. თუმანიანი ო., ბატონი და მოჯამაგირე (ზღაპარი), თარგმ. ი. გრიშაშვილისა – „დროშა“, 1932, №9-10, გვ. 15.
93. თუმანიანი ო., გაბო ძიას მეაბრეშუმეობა (მოთხრობა), თარგმ. ზ. მელულაშვილისა – „ლიტ. საქართველო“, 1969, 29 გვ.
94. თუმანიანი ო., გიქორ (მოთხრობა), თარგმ. ი. გრიშაშვილისა, ტფ., სახელგამი, 1929, 26 გვ.
95. თუმანიანი ო., გიქორ (მოთხრობა), თარგმ. ი. გრიშაშვილისა, თბ., საბლიტგამი, 1953. 30 გვ.
96. თუმანიანი ო., გიქორ (მოთხრობა), თარგმ. ი. გრიშ-

- აშვილისა. მხატ. ზ. ნიჟარაძე, თბ., ნაკადული, 1961, 20 გვ.
97. თუმანიანი ო., გიქორ (მოთხრობა), თარგმ. ი. გრიშაშვილისა, რედ ნ. ლორთქიფანიძე, მხატვ. ჯ. ლოლუა, თბ., ნაკადული, 1969, 20 გვ.
98. თუმანიანი ო., დედა (მოთხრობა), თარგმ. ა. დავითიანისა - „პიონერი“, 1948, №4, გვ. 14. - „ქუთაისი“, 1969, 20 სექტ.
99. თუმანიანი ო., დედა (მოთხრობა), თარგმ. ა. დავითიანისა. კრ: „სომხეთის დილა“, თბ., სახელგამი, 1955, გვ. 9-10.
100. თუმანიანი ო., ზღაპრები (თარგმანი და შესავალი წერილი - „ოვანეს თუმანიანი“ ივ. ბეგლაროვისა, წინასიტყვაობა - რედაქციისაგან ლ. მელიქსეთ-ბეგისა). თბ., საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურული გამომცემლობა, 1938, 88 გვ.
- შინაარსი: უჭკუო კაცი; ჩახჩახ მეფე; ჩიტი; თიკანი; უკულო მელა; მგზავრები; ქოსატყუილა; ძმობის ცული; მოლაპარაკე თევზი; ჭკვიანი და სულელი; ბატონი და მოჯამაგირე; მამაცი ნაზარა; უხელო ქალიშვილი; უძლეველი მამალი; ყველიერი; ცრუპენტელა მონადირე; ედემის ყვავილი; უსაქმური ქური; კიკოსას სიკვდილი; ხელმარცხი ფანოსას ზღაპარი.
101. თუმანიანი ო., ირმის სიკვდილი (მოთხრობა), თარგმ. ა. დავითიანისა. - „კომუნისტი“, 1968, 15 სექტ.
102. თუმანიანი ო., ირმის სიკვდილი (მოთხრობები და ზღაპრები), თარგმ. ა. დავითიანისა. რედ. ბ. არევაძე. მხატვრები: გ. გიგაური და მეძმარიაშვილი. თბ., „ნაკადული“, 1969, 58 გვ.
- შინაარსი: ირმის სიკვდილი; დედა; მგზავრები; ჩახჩახ

მეფე; ჩიტის; უძლეველი მამალი; კიკოსას სიკვდილი; ძმობის ცული; ჭკვიანი და სულელი; უჭკუო კაცი; ქოსატყუილა; ერთი ქვეერი ოქრო; უკულო მელა; ხელმარცხი ფანოსას ზღაპარი; ჩემი ამხანაგი ნესო.

103. თუმანიანი ო., ირმის სიკვდილი (მოთხრობა), – „თბილისი“, 1969, 20 სექტ.; – „ქუთაისი“, 1969, 20 სექტ.

104. თუმანიანი ო., მგზავრები (მოთხრობა. თარგმ. არტ. დავითიანისა, ილ. ი. გაბაშვილისა – „დილა“ 1953“, №4 გვ. 11-12.

104ა. თუმანიანი ო., მგზავრები (მოთხრობა), თარგმ. ა. დავითიანისა, კრ: „სომხეთის დილა“, თბ., სახელგამი, 1955, გვ. 19.

105. თუმანიანი ო., მხიარული ღამე (მოთხრობა), თარგმ. ზ. მედულაშვილისა – „ლიტ. საქართველო“, 1969, 20 აგვ.

106. თუმანიანი ო., მხიარული ჰასანა (აღმოსავლური ზღაპარი), თარგმ. ლ. ასტვაცატუროვისა – „პიონერი“, 1945, №10, გვ. 12-15.

107. თუმანიანი ო., ოქროს ქალაქი (ზღაპარი), თარგმ. არტ. დავითიანისა. წ-ნში: თუმანიანი ო., და ისააკიანი ა., „ორი ზღაპარი“ თბ., სახელგამი, 1948, 13 გვ.

108. თუმანიანი ო., ოქროს ქალაქი (ზღაპარი), თარგმ. ა. დავითიანისა, კრ: „სომხეთის დილა“, თბ., სახელგამი, 1955, გვ. 19.

109. თუმანიანი ო., ოქროს ქალაქი (ზღაპარი). თარგმ. არტ. დავითიანისა. წ-ნში: თუმანიანი ო., და ისააკიანი ა., „ოქროს ქალაქი“, თბ., საბლიტგამი, 1959, 24 გვ.

110. თუმანიანი ო., პოეტის ავადმყოფობა და მოლას იგავი (ზღაპარი), თარგმ. ი. დავითიანისა – „თრიალეთი“ (დმანისი), 1969, 23 სექტ.

111. თუმანიანი ო., ტყუილის მთქმელი (ზღაპარი), თარგმ. ყ. კ-ისა (ყარამან კარაპეტციანის) – „ნაკადული“ (უმცროსთათვის), 1908, №1, გვ. 24-25.
112. თუმანიანი ო., უძლეველი მამალი (ზღაპარი), თარგმ. ა. დავითიანისა, კრ: „სომხეთის დილა“, თბ., სახელგამი, 1955, გვ. 9-19.
113. თუმანიანი ო., უძლეველი მამალი (ზღაპარი), თარგმ. არტ. დავითიანისა, ილ. ლ. გუდიაშვილისა – „დილა“, 1948, №4, გვ. 10-11.
114. თუმანიანი ო., ქოსატყუილა (ზღაპარი), თარგმ. ა. დავითიანისა – „გამარჯვების გზა“ (ხაშური), 1969, 11 სექტ.
115. თუმანიანი ო., ყველიერი (ზღაპარი), თარგმ. ყ-კ-ნისა (ყარამან კარაპეტციანისა), – „ჯეჯილი“ (საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი), 1911, №2, გვ. 78-81.
116. თუმანიანი ო., ყველიერი (ზღაპარი), თარგმ. ი. გრიშაშვილისა – „პიონერი“, 1955, №7, გვ. 15.
117. თუმანიანი ო., ყველიერი (ზღაპარი), თარგმ. ი. გრიშაშვილისა. წ-ნში. თუმანიანი ო., და ისააკიანი ა., „ოქროს ქალაქი“, თბ., საბლიტგამი, 1959, გვ. 6-8.
118. თუმანიანი ო., ჩემი ამხანაგი ნესო (მოთხრობა), თარგმ. ა. დავითიანისა – „ახ. კომუნისტი“ 1969, 20 სექტ.
119. თუმანიანი ო., ძია ნესოს ქვის აბანო (მოთხრობა, ნაწყვეტი), თარგმ. ი. გრიშაშვილისა – „დროშა“ 1930, №6 გვ. 3.
120. თუმანიანი ო., ძმობის ცული (ზღაპარი), თარგმ. ივ. დავითიანისა – „გამარჯვების გზა“ (ხაშური), 1969, 11 სექტ.

4. ო. თუმანიანი და ხელოვნება

121. თუმანიანი ო., ალმასტი, ოპერა-ლეგენდა 4 მოქმედებად. მუსიკა სპენდიაროვის. ტექსტი ს. პარნაკის, ო. თუმანიანის პოემის მიხედვით. მოკლე შინაარსი-ლიბრეტო, შედგენილი ნ. რიადნოვის მიერ. ტფ., ტფილისის სახელმწიფო ოპერის თეატრი (1932), 57 გვ. 6 გვ. ილ.

122. ანლანი (ღვინიაშვილი ანიკო), „გიქორი“ მოზარდ-მაყურებელთა თეატრში. (ო. თუმანიანი „გიქორი“. თარგმ. ი. გრიშაშვილისა, მონტაჟი მ. დარბინიანის. მუსიკა ვ. შავერზაშვილის. მხატვ. ნ. ყაზბეგი. დადგმა ა. ყიასაშვილის. რეც.) ხელმოწერა: ანლანი – „კომუნისტური განათლება“, 1936, №5, გვ. 15.

123. გვარამე ნ. მოზარდ-მაყურებელთა თეატრის ექსპერიმენტები (ო. თუმანიანის „გიქორი“ – მოზარდ-მაყურებელთა თეატრის სცენაზე). წ-ნში: გვარამე ნ. – „თეატრალური მემუარები“ თბ., ხელოვნება, 1952, გვ. 130.

124. დავითიანი ა., ოვანეს თუმანიანი. – „საქართველოს განათლების მუშაკი“, 1926, №14, გვ. 29.

წერილში გამახვილებულია ყურადღება პოემა „ანუშ“-ზე, რომელიც გადაკეთებულია ოპერად კომპოზიტორ ა. ტიგრანიანის მიერ.

125. ეჭვუნება ოვანეს თუმანიანს (ოვ. თუმანიანის ნაწარმოებთა მიხედვით შექმნილი ინსცენირება „თუმანიანი თავის სამყაროში“, რომელიც წარმოადგინა სტ. შაუმიანის სახ. სომხური დრამის თეატრმა ოვ. თუმანიანის იუბილეს დღეებში). – „საბჭ. აჭარა“, 1969, 20 სექტ.: – „დროშა“ (გულრიფში), 1969, 16 სექტ.

126. „თუმანიანი ხელოვნებაზე“ (სტატიების, წერილების და მოგონებების კრებული, რომელიც სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოსცა გამოჩენილი სომეხი პოეტის ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით). (ცნობა) – „თბილისი“, 1969, 10 სექტ.

127. ოვანეს თუმანიანისადმი მიძღვნილი საღამო (გარდაცვალებიდან 20 წლისთავის გამო). – „ლიტ. საქართველო“. 1943, 25 მარტი.

სამხატვრო ნაწილში წარმოდგენილი იყო პაპარეს მიერ გაკეთებული ლიტ. მონტაჟი თუმანიანის პოემა „ანუშ“-იდან, სადაც მონაწილეობდნენ მსახიობები: ის. ალიხანიანი, მ. ბეროიანი, მ. მოჭორიანი, რ. პოპოვიანი და ბ. ბერსესიანი. მუსიკას ასრულებდა ოპერა „ანუშ“-ის ავტორის კომპოზიტორ ა. ტიგრანიანის შვილი ვ. ტიგრანიანი.

5. ო. თუმანიანი და საქართველო

128. თუმანიანი ო., „აი მთავრობა, რომლის გერბზეც ჩვენ ვხედავთ... ნამგალსა და ჩაქუნს – მუშებისა და გლეხების შრომის სიმბოლოს“ (1921 წ. გამონათქვამი). – „გამარჯვების გზა“ (ხაშური), 1969, 11 სექტ.

წერილი ქართველი და სომეხი ხალხის მეგობრობასაც ეხება.

129. თუმანიანი ო., სამძიმრის დეპეშა ერევნიდან (ვაჟა ფშაველას გარდაცვალების გამო). – „სახალხო ფურცელი“, 1915, 8 აგვ.

„ეჩმიაძინი – ამ ტრადიკულ დროშიაც ღრმად იგრძნო მშ-

რომელმა ხალხმა კარგი ადამიანის, უნიჭიერეს და უბადლო პოეტის – ვაჟა-ფშაველას დაკარგვა.

გულწრფელად მოვახსენებ სამძიმარს მოძმე ქართველ ხალხს“.

130. თუმანიანი ო., საქართველოს (ლექსი). თარგმ. ა. კარაპეტციანისა – „ოქტომბრის დროშით“, (ახალქალაქი), 1958, 12 მარტი.

131. თუმანიანი ო., საქართველოს პოეტებს (პოემა. ნაწყვეტი). თარგმ. ი. გრიშაშვილისა. – „კომუნისტი“, 1937, 24 მარტი; – „კომუნისტი“, 1938, 23 მარტი; – „კომუნისტური განათლება“, 1938, 24 მარტი; – „საბჭ. აჭარა“, 1938, 26 მარტი; – „ახ. კომუნისტი“, 1939, 6 აპრილი; – „თბილისის უნივერსიტეტი“, 1963, 28 სექტ. პოემა „საქართველოს პოეტებს“ ოვ. თუმანიანის ქართველებისადმი დამოკიდებულების საუკეთესო გამოვლინებას წარმოადგენს.

132. თუმანიანცი ოპანეს., სიტყვა ლექსად თქმული სომხეთის გაზეთის „მურჩის“ წარმომადგენლის თუმანიანისა (ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის დასაფლავებაზე. თარგმ. არტ. ახნაზაროვის). – „კვალი“, 1893, №18, გვ. 6. – „ივერია“, 1893, 27 აპრ.

გული დაიმშვიდე და ინუგეშე, მოწყენილო საქართველოვ! რად დაგლონებია ვაჟაკური სახე? განა განსვენებულის პოეტის ნეშტის ხელის შეხებამ განაახლა წყლულნი შენის გულისა? ნუთუ შენს დაობლებულს სულს აშინებს ბნელი სამარე პოეტისა? დიად, შენ საუკუნოდ, ხელმეორედ ესალმები შენს მგოსანს, მაგრამ მისი მგოსნობით გამოწვეული გრძნობა არც სამარეში ჩავა და არც დასასრული მიეცემა. იგი გრძნობა მუდამ ცოცხალი იქნება

და მოვა დრო, როცა განკურნავს შენს წყლულს. შენ კი მრავალტანჯულის ერის საიდუმლო გულისნადების მგოსანი, შენ, რომელიც მუდამ ხწუხდი ცეცხლაგზნებულის გულითა და სულით, საუკუნოდ განგიხვეწოს უფალმა“

133. თუმანიანი ო., ნ ბარათაშვილის საფლავზე (ლექსი), თარგმ. დ. გაჩეჩილაძისა. – „ახ. კომუნისტი“, 1939, 6 აპრ: „მნათობი“, 1945, №10, გვ. 9.

134. თუმანიანი ო., ბარათაშვილის საფლავთან (ლექსი). თარგმ. გ. შაჰნაზარისა. (ეს ლექსი ო. თუმანიანს წარმოუთქვამს ნ. ბარათაშვილის ნეშტის დაკრძალვის დღეს დიდუბის ეკლესიის გალავანში 1893 წ. 25 აპრილს). – „ლიტ. საქართველო“, 1968, 9 სექტ.

135. თუმანიანი ო., (სიტყვა საღამოზე, რომელიც ქართველმა მწერლებმა მოუწყვეს პოეტს 1922 წ. მაისში). წერ: იმედაძე ვ. – „მნათობი“, 1953, №4, გვ. 56-64.

„მე, როგორც ერთ-ერთ პოეტს, უსაზღვრო სიყვარული მამოძრავებს საზოგადოდ ხალხისადმი, განსაკუთრებით ძლიერ მიყვარს ჩვენი მოძმე ქართველი ხალხი, რომლის წიაღშიაც გამიტარებია ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილი და რომელთანაც დაკავშირებული ვარ ძვირფასი, ღრმა და მტკიცე კავშირით... ქართველი მწერლების ეს ღამოკიდებულება უხვად მფენს ქართველის ბრწყინვალე და კეთილშობილ სულს და აღმაფრთოვანებს... უნდა მომავალშიც ვიღვაწო, რათა ღირსი გავხდე ამ პატივისა. ეს სიყვარული, რომელიც მარად მიტარებია საქართველოს მიმართ და რომელიც ბედნიერების უხვი წყაროც ყოფილა ჩემთვის, მომცემს ძალას ვუპასუხო ამ დიდ პატივს“...

136. თუმანიანი ო., სომეხი და ქართველი... (ოვ. თუმანიანის შეხედულება ქართველი და სომეხი ხალხის მეგობრ-

ობაზე). – „კომუნისტური შრომისათვის“ (თბილისის ფეხსაცმლის №1 ფაბრიკა), 1969, 26 სექტ.

137. თუმანიანი ო., ტკბილ-მოუბარი (მოგონება აკაკი წერეთელზე). – „სოფლის ცხოვრება“, 1961, 6 მაისი.

138. ოვანეს თუმანიანი ქართველი ხალხის შესახებ. – „ახ. კომუნისტი“, 1939, 6 აპრ.

„ყველა მონათესავე დიდი სახელმწიფო რომ ერთად შევეერთოთ, იმდენი არ დახმარებია სომხობას, რაოდენი დახმარებაც პატარა საქართველოს გაუწევია უძველესი დროიდან მოყოლებული – დღემდის“

„... მე საქართველოს შესახებ მაღალი აზრები და კეთილი სურვილები გამომიტყვამს... ეს სიყვარული და კეთილი გრძნობები ასევე დარჩებიან... ეს კეთილი გრძნობები აღმოცენებულია ჩვენს უძველეს ძმობაზე და ტერიტორიით განუყოფელი თავისუფლების მოყვარული და მხიარული ქართველი ხალხის სულზე“

„...ზედმეტად მიმაჩნია იმის მტკიცება, რომ საქართველოს თავისუფლება უდრის სომხეთის, აზერბაიჯანის, დაღესტნის და ყველა ხალხის თავისუფლებას“

„ახლოს ვიყო ჩვენს მეზობლებთან – ქართველებთან, თურქებთან, სპარსელებთან, ლეკებთან, აისორებთან... და დიდ სახელმწიფოსთან – რუსეთთან“

ქართველი ხალხი ერთგვარი პოეტური ხალხია, გადაჭარბებული თანდაყოლილი გრძნობებით“...

„... ქართველი – იგი უკვე პოეტია, ხოლო ქართველი პოეტი ორმაგი პოეტი“

„... რამდენადაც ჩვენთვის ძვირფასია და საუცხოოა საქართველოს სული, იმდენად ძვირფასია ის ხალხი, ვინც ამ სულსა და გრძნობებს ატარებს“

139. ოვანეს თუმანიანი სწერდა: (პოეტის შეხედულებანი მწერლობაზე), – „ლიტ. საქართველო“, 1969, 19 სექტ; – „საბჭ. აჭარა“, 1969, 20 სექტ.

140. თუმანიანი ო., „... ძველი ტფილისი საიათნოვას მსგავსად სინთეზია აღმოსავლეთის ბევრ ხალხთა ცხოვრებისა და სულიერი ძლიერებისა, პოეტური ბუნება იმდენად შეთვისებულია ქართველში, რომ ყოველი ქართველი მე პოეტი მგონია... ეს ხდის ქართველს მიმზიდველად თავის მტრებისათვისაც კი“

იხ. თუმანიანი ო., რჩეული ნაწერები. თარგმ. და შესავალი წერილი ი. გრიშაშვილისა. ტფ., 1924, გვ. 13-21.

141. თუმანიანი ო., „... ძმებო ქართველებო, უძველესი დროიდან ჩვენო ძმებო, დატანჯულო ძმებო, მაგრამ ყოველთვის თავისუფალნი და სულით მაღალნი ძმებო! თუ ხალხის ლიტერატურა არის ჭეშმარიტი ანარეკლი მისი სულისა და ამ სულის მატარებელი არის პოეტი, მე მომაქვს თქვენთან სომხების სული, ყველაზე მაღალი, რაც შეიძლება ჰქონდეს ხალხს და ადამიანს. აღტაცებით ვადასტურებ, რომ ქართველები სულით არასდროს არ დაცემულან და კავკასიელთა შორის ყოველთვის იყვნენ პირველნი, როგორც მოქალაქენი თავის პოლიტიკურ მოთხოვნილებებსა და საზოგადოებრივ ბრძოლაში“...

თქვენ, რომ თვალი გადაავლოთ მეზობლების ურთიერთობას მთელ დედამიწაზე, – თქვენ არ შეგიძლიათ არ დადასტუროთ, რომ ქართველები არიან ერთ-ერთი საუკეთესონი, როგორც მეზობლები“

„...ყოველი საერთო უბედურების დროს, როდესაც შემოტევა ყოფილა... სამხრეთით ან აღმოსავლეთით სომეხ

.ხალხს პირველ რიგში საქართველოსაკენ უქნია პირი და საქართველოში უპოვნია თავშესაფარი“

იხ. ოვ. თუმანიანის სიტყვა 1917 წლის 24 ნოემბერს გაზ. „რესპუბლიკაში“, – წიგნში: იმედაძე, ვ. „ქართველ და სომეხ ხალხთა მეგობრობა და ოვ. თუმანიანი“ თბ., 1953, გვ. 37.

142. თუმანიანი ო., წერილები საქართველოზე (ქართული პოეზია. წავიდეთ. დღეგრძელობა. ქართველ ერს), თარგმ. ბ. არველაძისა. – „ლიტ. საქართველო“, 1969, 19 სექტ.

II ლიტერატურა ოვ. თუმანიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ

143. აბაშიძე გ., დიდი ჰუმანისტი (ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავისათვის). – „კომუნისტი“, 1969, 20 სექტ. – „მებრძოლი“ (ზუგდიდი), 1969, 23 სექტ.

144. აბაშიძე გ., მღალაღებელი ერთობისა, სიყვარულისა (ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავი). – „სოფლის ცხოვრება“, 1969, 20 სექტ.

145. აბაშიძე გ., ქართველი ხალხის დიდი მეგობარი (ოვანეს თუმანიანი), – „კომუნისტი“, 1969, 1 ივნ.

146. აბაშიძე გ., ქებათა ქება ოვანეს თუმანიანს (ოვ. თუმანიანის დამოკიდებულება ქართველი ხალხისადმი). – „ლიტ. საქართველო“, 1969, 19 სექტ.

147. აბაშიძე ზ., ხალხთა ძმობის მომღერალი (ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავის გამო) – „ლენინის დროში“ (ორჯონიკიძე), 1969, 23 სექტ.

148. აბაშიძე ი., სიტყვა ოვანეს თუმანიანზე (ოვ. თუმანიანი სომეხთა და ქართველთა მეგობრობის მწერალი), „ლიტ. საქართველო“, 1969, 3 ოქტ.

149. აგაბაბიანი რ., მეგობრობის მოძღვრალი (ოვ. თუმანიანი), „ახ. კომუნისტი“, 1969, 20 სექტ.

150. აგაჯანოვი შ., დიდი ჰუმანისტი, ინტერნაციონალისტი (ოვანეს თუმანიანის დაბადების 100 წლისთავი), – „სოფლის ცხოვრება“, 1969, 19 თებ: – „ახ კომუნისტი“, 1969, 18 თებ.; „საბჭ. აფხაზეთი“, 1969, 20 თებ.; – „საბჭ. ოსეთი“, 1969, 19 თებ.

წერილში გადმოცემულია ო. თუმანიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითადი მომენტები.

151. ალანია ნ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. ბიბლიოგრაფია. 1852-1967 წ.წ. თბ., „ნაკადული“, 1968. გვ. 189.

წიგნის 41-ე, 135-ე, და 153-ე გვერდებზე მითითებულია სიტყვა ლექსად თქმული სომხეთის გაზეთის „მურჩის“ წარმომადგენლის თუმანიანისა (ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის დასაფლავებაზე), რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „კვალის“ 1893 წ. მე-18 ნომერში და გაზ. „ივერიის“ 1893 წლის 27 აპრილის ნომერში.

აქვე 139-ე გვერდზე მითითებულია ოვ. თუმანიანის ლექსი ნ. ბარათაშვილის საფლავზე (თარგმ. დ. გაჩეჩილაძის), დაბეჭდილი „ახ. კომუნისტის“, 1939 წ. №79-ში და „მნათობის“ 1945 წ. მე-10 ნომერში.

152. ალექსანიანი ა., მუდამ კეთილად მოსაგონარი (100 წელი ოვ. თუმანიანის დაბადებიდან), – „წითელი ღროშა“ (ახალციხე), 1969, 30 სექტ.

153. ა. დ-ი. (არტემ დავითიანი), ნაწყვეტი ბიოგრაფიიდან (წერილში მოცემულია ბიოგრაფიული ცნობები ოვ. თუმანიანზე), – „ახ. კომუნისტი“, 1939, 6 აპრ.

154. აეჩიანი ს., შოთა რუსთაველი სომხურ ენაზე – „კომუნისტი“, 1937, 22 ივლ.

წერილი იხილავს ოვ. თუმანიანის მიერ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სომხურ ენაზე თარგმნის საკითხს.

155. აჭიანი ხ., პოქანეს თუმანიანი (გარდაცვალებიდან 20 წლისთავის გამო), – „ლიტ. საქართველო“, 1943, 25 მარტი.

წერილი მოკლედ მიმოიხილავს პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

156. არველაძე ბ., მეგობრობის ტრუბადური (ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავის გამო), – „კომუნისტი“ 1969, 20 სექტ.

157. არველაძე ბ., ოვანეს თუმანიანი (ოვ. თუმანიანის დაბადების გამო). – „დროშა“, 1969, №9, გვ. 8.

158. არველაძე ბ., ოვანეს თუმანიანი და საქართველო. (მონოგრაფია). რედ. ნ. ინასარიძე. მხატვ. დ. გრიგოლია, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1969, 202 გვ.

მონოგრაფია ეხება ქართველი ხალხისა და მისი მრავალსაუკუნოვანი კულტურის უანგარო მეგობარს ოვ. თუმანიანს, რომელმაც თავისი მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველ ხალხს და მის ღირსეულ შვილებთან მეგობრობის განმტკიცების თემას მიუძღვნა. ოვ. თუმანიანის დამოკიდებულება ქართულ სინამდვილისადმი და პირიქით, ქართული საზოგადოებრივი აზრი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ – განხილულია ამ წიგნში და ემყარება მდიდარ ფაქტობრივ მასალას. მონოგრაფია ეძღვნება ო. თუმანიანის დაბადების 100 წლის იუბილეს.

159. არველაძე ბ., ქართველი ხალხის მეგობარი (ოვანეს თუმანიანი), – „ცისკარი“, 1969, №9, გვ. 7-11.

160. ასათიანი ლ., ოვანეს თუმანიანის რჩეული ნაწერები (მე-2 გამოც. თარგმ. ი. გრიშაშვილის. თბ., „საბჭოთა მწერალი“, 1948. რეც.) – „ლიტ. და ხელოვნება“, 1948, 11 ივლ.

161. ასე აფასებდნენ: ა. ისაკიანი, ა. სურკოვი, პ. ტიჩინა, მ. რაპიძი, ი. გრიშაშვილი, გ. ლეონიძე (ო. თუმანიანის შესახებ). – „კომუნისტი“, 1960, 20 სექტ.

162. ასტვაცატუროვი ე., ოვანეს თუმანიანი, – „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1938, №9, გვ. 9-16; – „კომუნისტი“, 1938, 23 მარტი: – „ახ. კომუნისტი“, 1938, 23 მარტი; – „კომუნისტური განათლება“, 1938, 24 მარტი: – „საბჭ. აჭარა“, 1938, 26 მარტი.

წერილში ვეცნობით: ო. თუმანიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითად საკითხებს, მისი პოეზიის სიანლოვეს აკაკი წერეთლის პოეზიასთან. პოეტის მრწამსს – ხალხთა ურთიერთმეგობრობაზე და დამოკიდებულებაზე, კერძოდ, მის აზრს რუსეთის შესახებ. „რომ თავისუფალ რუსეთს შეუძლია სომხეთის ხსნა,... სომეხი ხალხის მეგობრული ურთიერთობის შექმნა მეზობელ თათრებთან და პატიოსანი შრომის გზით სელა ახალი ცხოვრებისაკენ, ახალი რუსეთი ხსნის ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში“

აქვე დახასიათებულია ი. გრიშაშვილის მიერ დიდი ოსტატობით გადათარგმნილი ლექსები, პოემები და მოთხრობები, რომლებიც გადმოგვცემენ თუმანიანის შემოქმედების არსს და გვაგრძნობინებენ მისი პოეტური სუნთქვის ძალას.

163. ასტვაცატუროვი ე., ოვანეს თუმანიანის ლექსები ქართულად (ო. თუმანიანი, რჩეული ნაწერები. თარგმ. ი. გრიშაშვილის. თბ., სახელგამი, 1937. რეც.), – „ლიტ. საქართველო“, 1938, 30 მარტი.

164. ატრიანი ვ., ოვანეს თუმანიანის ლირიკა. – „ლიტ. და ხელოვნება“, 1949, 6 მარტი.

წერილში გარჩეულია პოეტის ოპტიმიზმით გამსჭვალული ლირიული ნაწარმოებები, რომელნიც ღრმად სწვდებიან ადამიანის გულს თავისი მგზნებარებით, ფერადოვნებით, მელოდიურობით, ხალხური სიბრძნით. აქვე ვეცნობით თუმანიანის შეხედულებას ხელოვნებაზე, რომ „ხელოვნება ნათელი უნდა იყოს, როგორც თვალის მხედველობა და რთული, როგორც თვალი“ ოვანესისათვის დამახასიათებელია ლექსის ხელოვნების კლასიკური სინატიფე.

„ო. თუმანიანის ლირიკის შინაარსის სიღრმე და ჰარმონიულობა – წერს ვ. ატრიანი – „მკითხველს ისე ღრმად იპყრობს, რომ იგი სამუდამოდ რჩება მის მეხსიერებაში“

165. ახალი გამოცემები (ოვ. თუმანიანის ლექსებისა და პოემების კრებული. გამ-ბა „მერანი“, – „გიქორი“ – გამ-ბა „ნაკადული“ და ო. თუმანიანის ნაწარმოებთა კრებული სათაურით „ირმის სიკვდილი“ გამ-ბა „ნაკადული“ (ცნობა). – „ლიტ. საქართველო“, 1969, 19 სექტ.

166. ბაბურიანი მ., ოვანეს თუმანიანი და „ვეფხისტყაოსანი“ – „მნათობი“, 1965, №4, 157-158.

წერილში დახასიათებულია ო. თუმანიანი, როგორც ორი მომპე ერის – ქართველი და სომეხი ხალხების საუკუნეობრივი მეგობრობის ამსახველი, ქართული ლიტერატურის დიდ წარმომადგენელთა საუკეთესო ნაწარმოებების მთარგმნელი. მოთხრობილია იმ დიდი სურვილის შესახებაც, თუ როგორ უნდოდა მას „ვეფხისტყაოსნის“ სომხურ ენაზე თარგმნა. საუბარია ამ თარგმნის ისტორიაზე, მოყვანილია შირვან ზადესა და ტერიანის წერილები, რომლებიც იბეჭდებოდა სომხურ გაზეთებში „ვეფხისტყაოსნ-

ის“ სომხურ ენაზე ო. თუმანიანის მიერ თარგმნის შესახებ. 167. ბარამიძე ა., ხალხთა ძმობის მოძღვრალი (ოვ. თუმანიანი), – „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1952, 6 ივნ; – „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1957, 30 მაისი.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს პოეტის შემოქმედების პატრიოტულ იდეებსა და ხალხთა შორის ძმური და მეგობრული დამოკიდებულების საკითხებზე. არჩევს მის ლექსს „საქართველოს პოეტებს“, რომელიც წარმოადგენს ქართველებისადმი მისი დამოკიდებულების საუკეთესო გამოვლინებას.

აქვე ვეცნობით ო. თუმანიანის იმ ნაწარმოებთა განხილვას, სადაც რევოლუციამდელი გლეხკაცის ღუხჭირი ცხოვრებაა ასახული.

168. ბარნოვი ვ., ოვანეს თუმანიანი წ-ნში: ბარნოვი ვ., თხზულებანი. ტ. 10, თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964. გვ. 417-420.

169. ბეგლაროვი ი., ოპანეს თუმანიანი. წ-ნში: თუმანიანი ო., „ზღაპრები“, თბ., 1938, გვ. 5-10.

წერილი მოკლედ იხილავს ოვ. თუმანიანის ცხოვრებასა და შემოქმედებას, მის როლს XIX საუკუნისა და თანამედროვე სომხურ პოეზიაში. გვიხასიათებს მის მშობლებს, როგორც უაღრესად კეთილშობილ, შრომისმოყვარე, მუსიკისა და ბუნების მოტრფიალე ადამიანებს. ჩერდება ო. თუმანიანის მოღვაწეობაზე საქართველოში. არჩევს 1899 წლის „ივერიის“ №79, 91 ნომრებში მოთავსებულ თუმანიანის ლექსებს.

170. ბეგლაროვი ი., სომეხი ხალხის დიდი მწერალი (ოვანეს თუმანიანი), – „ახ. კომუნისტი“, 1939, 6. აპრ: – „ლიტ. საქართველო“, 1939, 10 აპრ.

წერილი მიძღვნილია ოვანეს თუმანიანის დაბადების 70 წლისთავისადმი. გარჩეულია ოვანეს თუმანიანის ცხოვრება და შემოქმედება, საქართველოში მისი მოღვაწეობის პერიოდი. მისი დამოკიდებულება და შეხედულებანი, როგორც ქართველ მწერლებზე და პოეტებზე, ისე ხალხთა ძმობასა და მეგობრობაზე.

171. ბეგლარიანი ი., ოვანეს თუმანიანის ქართულად მთარგმნელები. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1940, №5, გვ. 79-83. აქ ვეცნობით ოვანეს თუმანიანის ქართულ ენაზე მთარგმნელებს: იოსებ ბაქრაძეს, ლაზარე კარაპეტციანს, კ. ჭიჭინაძეს, ი. გრიშაშვილს, დ. კარაპეტციანს, ვ. გაფრინდაშვილს, ვ. გორგაძეს, ივ. ბეგლაროვს, ლ. მელიქსეთ-ბეგს, დ. გაჩეჩილაძეს, ლ. ასათიანს და დ. ცაგარელს.

172. ბეჟანიშვილი გ., ჩვენი სახელოვანი თანაქალაქელი (ო. თუმანიანის თბილისში მოღვაწეობის შესახებ). – „თბილისი“, 1969, 27 სექტ.

173. ბერულავა ხ., სომეხი ერის დიდი პოეტი. (1969 წლის 25 სექტემბერს წითელ ხიდთან, საქართველოსა და სომხეთის საზღვართან შეიკრიბენ ოვანეს თუმანიანის დღეობის მონაწილენი) – „სოფლის ცხოვრება“, 1969, 26 სექტ.

174. ბიოგრაფიული ცნობები (ოვანეს თუმანიანზე). – „კომუნისტური განათლება“, 1938, 24 მარტი.

175. ბობოხიძე ი., ხალხთა მეგობრობის დიდი მოძღვრალი (ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავის გამო). – „გამარჯვების დროშა“ (ლაგოდეხი), 1969, 20 სექტ.

176. ბრიუსოვი ვ., ოვანეს თუმანიანი – „თბილისი“, 1969, 20 სექტ.

177. გაგუა ლ. და გაბრიაძე მ., სომეხი ხალხის დიდი შვ-

ილის ხსოვნისათვის (ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო თბილისში). – „ლიტ. საქართველო“, 1969, 3 ოქტ. – „საბჭ. აჭარა“, 1969. 30 სექტ.

178. გამოიტა საიუბილეოდ (ე. ქარელიშვილის „ოვანეს თუმანიანი“ და ბ. არევადის მონოგრაფიის „ოვანეს თუმანიანი საქართველოს“ შესახებ, რომელიც მიეძღვნა ოვანეს თუმანიანის დაბადების 100 წლის იუბილეს. ცნობა). – „სოფლის ცხოვრება“, 1969, 26 სექტ.

179. გომართელი ი., ოვანეს თუმანიანი (ო. თუმანიანი „რჩეული ნაწერები“ ი. გრიშაშვილის თარგმანი. თბ., სახელგამი, 1924, 135, გვ. რეც.). – „თეატრი და ცხოვრება“, 1924, №17, გვ. 2.

180. გორგაძე ი., ქართული საბავშვო წიგნი. 1961-1966 წ.წ. ანოტირებული ბიბლიოგრაფია. თბ., საქ. სახ. რესპუბლიკური საბავშვო ბიბლიოთეკა, 1968. გვ. 148.

წიგნის 65-ე გვერდზე მითითებულია ოვ. თუმანიანის მოთხრობა „გიქორი“ ი. გრიშაშვილის თარგმნით და ზ. ნიჟარაძის ილუსტრაციებით, რომელიც გამოსულია 1966 წელს გამომცემლობა „ნაკადულის“ მიერ და მოიცავს 20 გვერდს.

ბიბლიოგრაფიაში მოცემულია მისი მოკლე ანოტაცია: „სომეხი მწერლის ამ მოთხრობაში გადმოცემულია სოფელი ბიჭის – გიქორის უბედური ისტორია, რომელიც თავისი ბატონის არაადამიანური სიმკაცრის მსხვერპლი ხდება“

181. გრიშაშვილი ი., ოვანეს თუმანიანი, წ-ნში: თუმანიანი ო., „რჩეული ნაწერები“, თარგმ. ი. გრიშაშვილისა, ტფ., სახელგამი, 1924, გვ. 13-21.

წერილში ვეცნობით ო. თუმანიანის ბავშვობას და სიჭაბუკეს, მის სიყვარულს საქართველოს და ქართველების მიმართ, შეხედულებებს საქართველოს წარსულის, აწმყოს და მყობადის შესახებ. საუბარია ი. გრიშაშვილის, საიათნოვას და თუმანიანის დიდ მეგობრობაზე. გარჩეულია თუმანიანის ნაწარმოებები.

182. გრიშაშვილი ი., ოვანეს თუმანიანი (შეხედულება ოვანეს თუმანიანზე). – „საბჭ. ოსეთი“, 1969, 20 სექტ.; – „წითელი დროშა“ (ახალციხე), 1969, 25 სექტ. – „კომუნისტური შრომისათვის“ (თბილისის ფეხსაცმელების ფაბრიკა №1), 1969, 26 სექტ.; – „თბილისი“, 1969, 20 სექტ.

183. გრიშაშვილი ი., მოგონების ერთი ფურცელი – „ლიტ. საქართველო“, 1938, 20 მარტი; – „ახ. კომუნისტი“, 1938, 23 მარტი.

მოგონებაში საგულისხმოა ი. გრიშაშვილისა და ოვ. თუმანიანის ერთმანეთის გაცნობის მომენტი 1914 წ. 15 მაისს საიათნოვას ძეგლის დადგმის დროს ძველ თბილისში, რომლის ორგანიზატორიც ო. თუმანიანი ყოფილა. ამავე ზეიმზე მიღებული იყო გადაწყვეტილება, რომ ი. გრიშაშვილს უნდა ეთარგმნა საიათნოვას ლექსები და დაეწერა მონოგრაფია. აქვე ავტორი მაღლიერებით იგონებს ოვ. თუმანიანის როლს საიათნოვას ლექსების თარგმნის საქმეში.

184. გრიშაშვილი ი., ხალხთა ძმობის მომღერალი (ოვ. თუმანიანის გარდაცვალების 30 წლისთავის გამო). – „კომუნისტი“, 1953, 22 მარტი.

წერილი ეხება ოვ. თუმანიანის ცხოვრებას და შემოქმედებას. არჩევს მის ლექსს „საქართველოს პოეტებს“, მოჰყავს პოეტ. ვ. ბრიუსოვის შეხედულება ო. თუმანიანზე.

185. გრიშაშვილი ი., ხალხთა ძმობის მომღერალი. წ-ში: თუმანიანი ო., „რჩეული ნაწერები“ თარგმ. ი. გრიშაშვილისა. თბ., საბლიტგამი, 1956, გვ. 3-6.

წერილი გეაცნობს პოეტის ბიოგრაფიულ მონაცემებს, არჩევს მის მდიდარ შემოქმედებას. ახსნიათებს მას, როგორც ჰუმანისტსა და კაცთმოყვარეს, სომეხი, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობის მგზნებარე მომღერალს.

186. გრიშაშვილი ი., ოვანეს თუმანიანი (დაბადების 90 წლისთავის გამო) – „კომუნისტი“, 1959, 19 თებ.

წერილში მოცემულია მასალები სომეხი ხალხის გამოჩენილი მწერლის ოვ. თუმანიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. დახსნიათებელია იგი, როგორც უაღრესად მგრძნობიარე პოეტი და ადამიანი, რომელსაც ესმოდა თავისი ერის ტანჯვა, მისი სულიერი ტკივილები, სწამდა, რომ ხალხის ჩაგვრისაგან განთავისუფლება მეზობელ ხალხთა შორის ძმური ურთიერთობის განმტკიცებაზე იყო დამოკიდებული და ამიტომაც იგი თავგამოდებით, დაუცხრომლად იბრძოდა მეზობელი ხალხების მეგობრობისათვის.

187. გოზალიშვილი შ., ხალხთა მეგობრობის დიდი მგოსანი ჰოვანეს თუმანიანი. – „საბჭ. ოსეთი“, 1939, 16 აპრ.

188. გურული გ., ოვანეს თუმანიანი. (წერილში მოკლედ ვეცნობით ოვ. თუმანიანის ცხოვრებასა და შემოქმედებას). – „სოციალისტური რუსთავი“, 1959, 18 თებ.

189. დავითიანი ი., ასე დაგვლოცა (მოგონება ოვანეს თუმანიანის დაბადების 100 წლისთავის გამო). – „სახ. განათლება“, 1969, 26 სექტ.

190. დავითიანი ა., ოვანეს თუმანიანი – „საქართველოს განათლების მუშაკი“, 1926, №14, გვ. 29.

წერილი მიძღვნილია ოვ. თუმანიანის გარდაცვალებიდან სამი წლისთაეისადმი. გარჩეულია პოეტის ცხოვრება და შემოქმედება, განხილულია მისი საბავშვო ნაწარმოებები.

191. ღავითიანი ა., დიდი სომეხი პოეტი. (ოვანეს თუმანიანის გარდაცვალების 30 წლისთავი). „პიონერი“, 1953, №4, გვ. 22. წერილი მოკლედ გვაცნობს ოვ. თუმანიანის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

192. ღავითიანი ი., მოგონებები ოვანეს თუმანიანზე (100 წლისთაეისათვის). – „გამარჯვების გზა“, (ხაშური), 1969, 11 სექტ.

193. ღავითიანი ა., ოვანეს თუმანიანი – „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948, 21 მარტი; – „ახ. კომუნისტი“, 1948, 23 მარტი.

წერილი გვაცნობს ოვ. თუმანიანის ცხოვრებასა და შემოქმედებას მის პირველ ლექსს „მზე და მთვარე“, რომელიც 1890 წელს დაიბეჭდა სომხურ საბავშვო ჟურნალ „ალბიურში“. გარჩეულია მისი ნაწარმოებები.

აქვე განხილულია ოვ. თუმანიანის როლი 1905-1906 წ. წ. რევოლუციაში, როცა მძვინვარებდა სომეხ-თურქთა ხოცვა-ჟლეტა. ვეცნობით მის ლექსს „საქართველოს პოეტებს“ (თარგმ. ი. გრიშაშვილისა), რომელიც დაწერილია დაშნაკ-მენშევიკთა ბატონობისა და აღვირახსნილი შოვინიზმის წინააღმდეგ.

ვეცნობით თუმანიანს, როგორც პუშკინის, ლერმონტოვის, ბაირონისა და მსოფლიო კლასიკოსთა მთარგმნელს (სომხ. ენაზე).

194. ღავითიანი ა., პოეტი და საზოგადო მოღვაწე. (ო. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავი). – „ქუთაისი“, 1969, 20 სექტ.

195. დავითიანი ა., სომეხი ხალხის პოეტური გენია. (ოვ. თუმანიანის დაბადების 90 წლისთავი) – „თბილისი“, 1959, 18 თებ: – „სახ. განათლება“, 1959, 18 თებ; – „ახ. კომუნისტი“, 1959, 24 თებ.

196. დავითიანი ა. ოვანეს თუმანიანი და ქართული უნივერსიტეტი – „ლიტ. საქართველო“, 1968, 9 აგვ.

197. დავითიანი ი., ხალხთა მეგობრობის დიდი ქომაგი. (ოვანეს თუმანიანის დაბადების 100 წლისთავი) – „ლიტ. საქართველო“, 1969, 26 სექტ; „ალაზნის განთიადი“ (თელავი), 1969, 27 სექტ.

198. დარიაშვილი ა., ხალხთა მეგობრობის მოძღვრალი. (ოვ. თუმანიანის დაბადების 90 წლისთავის გამო)) „სამგორი“, 1959, 22 თებ.

199. დეისაძე ლ., ოვანეს თუმანიანი (დაბადებიდან 95 წლისთავი). – „ალაზნის განთიადი“ (თელავი), 1964, 22 თებ.

200. დიდი პოეტის უკვდავება. (ოვანეს თუმანიანის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგი), – „სოფლის ცხოვრება“, 1969, 27 სექტ.

201. დ. შ. ოვანეს თუმანიანი. – „ჩვენი თაობა“, 1939, №2, გვ. 61-62.

ავტორი ოვ. თუმანიანს წარმოგვიდგენს, როგორც დიდ რეალისტ მწერალს და ლექსის შესანიშნავ ოსტატს. ეხება მის როლს სომხურ ლიტერატურაში, როგორც ახალი ლირიკული და ეპიკური პოეზიის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, მეტად პოპულარულს და ხალხისთვის მახლობელს, რომელმაც შესძლო თავისი პოეტური ჰანგების მჭიდროდ დაკავშირება ხალხის სულიერ განცდებთან. სომეხი ხალხის რეალური განცდები, მწუხარება და სიხარული გაიხადა მხატვრული აზროვნების წყაროდ.

სომეხი მშრომელი ხალხის მძიმე მდგომარეობის, მათი ეროვნული და კლასობრივი ჩაგვრის ასახვით შესძლო ჩაგრულთა მგზნებარე მოსარჩლედ, უკეთესი ცხოვრებისათვის დაულალავ მებრძოლად გამოსვლა.

202. ე. ა. (ერემო ასტვაცატუროვი). ოვანეს თუმანიანის ზღაპრები ქართულად. (ო. თუმანიანი „ზღაპრები“ თარგმ. და შესავალი წერილი ივ. ბეგლაროვის, თბ., სახელგამი, 1938. 88 გვ. რეც). – „ახ. კომუნისტი“, 1938, 23 სექტ.

203. ესიაშვილი ო., მეგობრობის მომღერალი (ოვ. თუმანიანი). – „საბჭ. ოსეთი“, 1959, 20 თებ.

წერილი ეხება ოვ. თუმანიანის ცხოვრებას, შემოქმედებას და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. გარჩეულია ლექსები: „სომხეთის სევდა“, და „საქართველოს პოეტებს“.

204. ერისთავი გ., მან იცოდა მეგობრობა (ოვანეს თუმანიანის დაბადების 100 წლისთავი). – „ლენინელი“, (ზესტაფონი), 1969, 27 სექტ.

205. ერუკიანი უ., პოეტის სიბღიდრე. (ოვანეს თუმანიანი მხატვრული ენის შესახებ). – „საბჭ. აფხაზეთი“, 1969, 20 სექტ.

206. ეძღვნება ოვანეს თუმანიანს (სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტის სხდომა ა. სურკოვის თავმჯდომარეობით ო. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო საღამოს ჩატარების შესახებ. საკლესის ცნობა). – „ლიტ. საქართველო“, 1969, გვ. 15.

207. ეძღვნება ოვანეს თუმანიანს (სამეცნიერო სესია მიძღვნილი ო. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავისადმი ერევანში. საკლესის ცნობა). – „გამარჯვების დროშა“ (ლაგოდეხი), 1969, 18 სექტ.

208. ვართანიანი რ., ძმობისა და მეგობრობის მომღერალი

(ო. თუმანიანი) – „სახ. განათლება“, 1969, 26 სექტ.

209. ზაბაძის ვ., ძალა შემოქმედისა (ოვანეს თუმანიანის დაბადების 100 წლისთავის გამო). – „სახ. განათლება“, 1969, 26 სექტ.

210. თავისუფლებისა და ხალხთა მეგობრობის მოძღვრალი (ოვ. თუმანიანი). – „გამარჯვების გზა“ (ხაშური), 1969, 11 სექტ.

211. თამაზიანი ა., ოვანეს თუმანიანი – „რკინიგზელი“, 1959, 19 თებ.

212. თუმანიანი ქართულად. – „ახ. კომუნისტი“, 1939, 6 აპრ.

ცნობა გამომცემლობა „ფედერაციის“ მიერ ოვ. თუმანიანის „ლექსებისა და პოემების“ კრებულად გამოცემის შესახებ, რომელიც თარგმნილია ი. გრიშაშვილის მიერ.

213. იაშვილი გ., ოვანეს თუმანიანი (წერილი იხილავს პოეტის შემოქმედებას). – „ალაზნის განთიადი“ (თელავი), 1963, 22 მარტი.

214. ილიაძე რ., ოვანეს თუმანიანი (წერილი მიძღვნილია პოეტის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი). – „საბჭ. აჭარა“, 1949, 19 თებ.

215. იმედაძე ვ., ქართველ-სომეხთა კულტურული თანამშრომლობის წარსულიდან. „კომუნისტი“, 1939, 15 აპრ.

წერილი გვაცნობს ოვ. თუმანიანის ღვაწლსა და ამაგს ქართველი და სომეხი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის გაცნობის, დაახლოებისა და ურთიერთობის საქმეში, თუმანიანის შეხვედრას ვაჟა-ფშაველასთან ვაჟას ძმის სანდრო რაზიკაშვილის მეშვეობით. ეხება თუმანიანს, როგორც პუბლიცისტს, რომელმაც ჟურნალ „ბრატსტვოში“, 1920 წ. დაბეჭდა სტატია, სადაც მან ქართველი და სომეხი

ხალხების მეგობრობას საფუძვლად დაუდო უძველესი ისტორიული ცნობები და ძველ ისტორიკოსთა შეხედულებანი. 216. იმედაძე ვ., ქართველ და სომეხ ხალხთა მეგობრობა და ოვანეს თუმანიანი თბ., საქ. სსრ. პოლიტ. და მეცნიერული ცოდნის გამავრც. საზოგადოება, 1953, 37 გვ.

მეცნიერული ნარკვევი საკმაო სისრულით გვაცნობს ოვ. თუმანიანს, როგორც ამიერკავკასიის ხალხთა დაახლოებისა და სოლიდარობის განმტკიცების სულის ჩამდგმელს. აღნიშნავს მის დიდ ღვაწლს ქართველთა და სომეხთა შორის ურთიერთ გაგების, ნდობის, ძმობისა და სიყვარულის განმტკიცების საქმეში. ვრცლად ეხება პოეტის ბიოგრაფიას, მის დამოკიდებულებას საქართველოსთან და ქართულ კულტურასთან.

აქვე ვეცნობით ოვანესის ქართველ მეგობრებს: გ. წერეთელს, კ. მაყაშვილს, დ. კლდიაშვილს, ი. ნაკაშიძეს, გ. ტაბიძეს, ი. გრიშაშვილს.

217. იმედაძე ვ., ქართველ და სომეხ ხალხთა მეგობრობის მომღერალი – „მნათობი“, 1953, №4, გვ. 56-64.

წერილში აღნიშნულია, ოვ. თუმანიანის დამსახურება ამიერკავკასიის ხალხთა დაახლოებისა და სოლიდარობის განმტკიცების საქმეში. მისი დამოკიდებულება ქართველ მოღვაწეებთან.

218. იუბილეს აღსანიშნავად (აჭარის მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ ო. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავს). – „საბჭ. აჭარა“, 1969, 20 სექტ.

219. ისტორიული ამოცანა (ოვანეს თუმანიანის დაბადების 100 წლისთავის გამო. საქდესის ცნობა). – „საბჭ. აჭარა“, 1969, 20 სექტ.

220. კაჭკაჭიშვილი ა., ოვანეს თუმანიანი და საქართველო. (ო. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავისათვის). – „ბორჯომი“ (ბორჯომი), 1969, 16 სექტ.

221. კულტურის მატრიანე. ოვანეს თუმანიანის თხზულებანი – „მნათობი“, 1933, №3, გვ. 169.

ცნობა სომხეთის სახელგამის მიერ კლასიკოსების სერი-
იდან ოვანეს თუმანიანის თხზულებათა სრული კრებულის
გამოცემის შესახებ, ე. ჩარენცის რედაქციით, რომელსაც
დაერთვის პოეტის ქალიშვილის ნ. თუმანიანის მიერ რამდ-
ენიმე წლის განმავლობაში ჩაწერილი საუბრები.

222. კულტურის მატრიანე, ოვანეს თუმანიანის ხსოვნის
სალამო. (გარდაცვალებიდან 10 წლისთავის გამო). – „მნა-
თობი“, 1933, №4, გვ. 157.

ცნობა საქართველოს მწერალთა კავშირში 1933 წ. 2
აპრილს. ოვ. თუმანიანის გარდაცვალების 10 წლისთავ-
ისადმი მიძღვნილი სალამო, სადაც სიტყვები წარმოსთქვეს.
ამხ. ს. ეულმა, ბ. ჟღენტმა, ტ. ტაბიძემ და ა. ვართანი-
ანმა. ი. გრიშაშვილმა წაიკითხა თუმანიანის პოემა „ერთი
წვეთი თაფლი“ და ლექსი „საქართველოს პოეტებს“.
სალამოზე მონაწილეობდნენ სომეხი მსახიობები.

223. ლაიშიელი ნ., მეგობრობის მომღერალი (ოვ. თუმანი-
ანი), – „თბილისი“, 1969, 2 ივნ; – „თეატრალური მოამბე“,
1969, №5, გვ. 36-38.

224. ლემონჯავა ლ., ძმობისა და მეგობრობის მომღერალი
(ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავის გამო). –
„ნაპერწკალი“ (ჩხოროწყუ), 1969, 25 სექტ.

225. ლეონიძე გ., ოვანეს თუმანიანი. – „ლიტ. გაზეთი“,
1953, 27 მარტი.

წერილში გ. ლეონიძე იგონებს ოვ. თუმანიანს. გა-
დმოსცემს იმ დიდ სიყვარულსა და პატივისცემას, რომ-
ლითაც იყო გულსავესე პოეტი საქართველოს, ქართველი
ხალხისა და საქართველოს ბუნების მიმართ. აქვე არჩევს

იმ ლექსებს, რომლებიც უძღვნა პოეტმა საქართველოს.

226. ლეონიძე გ., ოვანეს თუმანიანი. (გ. ლეონიძის შეხედულება ოვ. თუმანიანზე). – „კომუნისტური შრომისათვის“ (თბილისის ფეხსაცმლის №1 ფაბრიკა), 1969, 26 სექტ.

227. ლექსები და პოემები (ო. თუმანიანის „ლექსები და პოემები“ ახალი გამოცემა. ცნობა). – „წიგნის სამყარო“, 1969, 10 სექტ.

228. მაკინციანი პ., ოვანეს თუმანიანი. წ-ნში: თუმანიანი ოვ. „რჩეული ნაწერები“, თბ., სახელგამი, 1932. გვ. V–XIII.

წერილი სრულად წარმოგიდგენს პოეტის ბიოგრაფიას და მის შემოქმედებას. ეხება მის საზოგადოებრივ მოღვაწეობას და ლიტერატურულ შეხედულებებს. არჩევს მის პუბლიცისტურ წერილებს, ლექსებს, მოთხრობებს და ზღაპრებს, რომლებიც სავსე არიან ხალხურობით, მხატვრობით, უბრალოებით, სისადავით, ცხოვრებისეული ყოფით და სოციალურ მუზეუმს უწოდებს მათ.

229. მანველიანი ზ., ხალხთა მეგობრობის მგზნებარე მომღერალი (ოვანეს თუმანიანის დაბადების 100 წლისთავისათვის). – „საქ. აგიტატორი“, 1969, №3, გვ. 17-19.

230. მარგანი რ., დიდი მეგობარი ჩემი ერისა (ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავი). – „ლიტ. საქართველო“, 1969, 19 სექტ.

231. მარკოზაშვილი შ., ახსოვს, იგონებს... (ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავის გამო). – „მცხეთა“ (მცხეთა). 1969, 13 სექტ.

232. მარკოზაშვილი შ. გულთბილად მოსაგონარი. (ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავისათვის). – „სახ. განათლება“, 1969, 26 სექტ.

233. მარკოზაშვილი შ., დსელის ცის ქვეშ (ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავი). – „ნორჩი ლენინელი“, 1969, 20 სექტ.

234. მებუკე გ., ოვანეს თუმანიანი. – „ჩვენი თაობა“, 1938, №4, გვ. 75-77.

წერილი მოკლედ მიმოიხილავს პოეტის შემოქმედებას. არჩევს მის ნაწარმოებებს. იძლევა ვ. ბრიუსოვის შეხედულებას ოვ. თუმანიანზე.

აქვე საუბარია ოვანესზე, რომელმაც თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი საქართველოში გაატარა, საკუთარ სამშობლოდ მიიღო, შეიყვარა იგი.

235. მეგობრობის მოძღვრალი. ოვანეს თუმანიანის სათუბილეოდ (გაზ. „კომუნისტი“ კორესპონდენტის ინტერვიუ სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველ მდივან ედვარდ თოფჩიანთან ოვ. თუმანიანის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს ჩატარების სამზადისის შესახებ). – „კომუნისტი“, 1969, 19 თებ.

236. მეგობრობისა და ძმობის მოძღვრალი (ოვანეს თუმანიანის საიუბილეოდ) (საქდესის ცნობა). – „თბილისი“, 1969, 18 აპრ.

237. მეთვალყურე (იმედაშვილი იოსებ). ოვანეს თუმანიანი – „კავშირი“ (საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალური კავშირის ორგანო), 1925, №1, გვ. 17-18.

წერილში დახასიათებულია ოვ. თუმანიანი, როგორც ერთა დაახლოების თავდადებული ქურუმი. აქვე დიდი შეფასება აქვს მიცემული ი. გრიშაშვილს, როგორც ოვ. თუმანიანის რჩეული ნაწარმოების ქართულ ენაზე მთარგმნელს.

238. მელიქიძე ბ., პოეტი მოძმე სომეხი ერისა (ო. თუმანიანი) – „შუქურა“ (ახალქალაქი), 1969, 23 სექტ.

239. მელქოევი ვ., მრავალ ენაზე (ოვ. თუმანიანის ნაწარმოებთა მრავალ ენაზე თარგმნის გამო). – „საბჭ. ოსეთი“, 1969, 20 სექტ.

240. მელიქსეთ-ბეგი ლ., ოვანეს თუმანიანი წ-ნში: თუმანიანი ოვ. „ჩვეული ნაწერები“. თარგმ. ი. გრიშაშვილისათბ., სახელგამი, 1937, გვ. 3-6.

წერილში დახასიათებულია პოეტის ცხოვრება და შემოქმედება. მისი დამოკიდებულება საქართველოსთან, ქართველ ხალხთან და ა/კ ხალხებთან. დადგენილია ცალკეულ ნაწარმოებთა გამოცემის თარიღები.

241. მელიქსეთ-ბეგი ლ., რუსთაველი და სომხური ლიტერატურა წ-ნში „შოთა რუსთაველი სკოლაში“, თბ., პედ. სამეც. საკვლევ. ინ-ტი, 1937, გვ. 281-291.

288-ე გვერდზე საუბარია ოვანეს თუმანიანის მიერ „ეფუხისტყაოსნის“ სომხურ ენაზე გადათარგმნის შესახებ.

242. მელიქსეთ-ბეგი ლ., რედაქციისაგან. წ-ნში: თუმანიანი ოვ. „ზღაპრები“ თბ., 1938, გვ. 3-4.

ავტორი გვაცნობს პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითად მომენტებს. აღნიშნავს მის შემოქმედებაში ხალხური სიტყვიერების ძლიერ გავლენას. ახასიათებს ივ. ბეგლაროვის მიერ ქართულად გადათარგმნილ ზღაპრებს და დიდ შეფასებას აძლევს მათ.

243. მელიქსეთ-ბეგი ლ., ჰოვანეს თუმანიანი და მისი „თმოგვის ციხის აღება“, წ-ნში: თუმანიანი ჰოვ., „თმოგვის ციხის აღება“ პოემა. თარგმ. სომხურიდან და შესავალი მელიქსეთ-ბეგისა. თბ., სახელგამი, 1939, გვ. 7-19.

წიგნის შესავალში ვეცნობით ოვანესის მიერ საქართველოში გატარებული ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ საყურადღებო მასალებს, კერძოდ მის მიერ ნ. ბარა-

თაშვილის ლექსის „ფიქრი მტკვრის პირას“ თარგმნას, რომელიც პოეტის სიკვდილის შემდეგ იქნა აღმოჩენილი და გამოქვეყნებული ერევნის სომხურ „ლიტერატურულ გაზეთ“-ში. აქვე შელიქსეთ-ბეგი დიდ შეფასებას აძლევს გრიშაშვილის მიერ ქართულად გადმოთარგმნილ ნაწარმოებებს.

244. მესხრიკაძე ნ., ხალხთა მეგობრობის დიდი მომღერალი (ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავის გამო). – „საბჭ. ოსეთი“, 1969, 20 სექტ.

245. მირნელი მ., ხალხთა ძმობის მომღერალი (ოვ. თუმანიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ), – „საბჭ. აფხაზეთი“, 1969, 20 სექტ.

246. შკითხველი (ასათიანი ლევან) ოვ. თუმანიანი – „თმოგვის ციხის აღება“ (პოემა), თარგმ. სომხურიდან და შესავალი წერილი ლ. შელიქსეთ-ბეგისა, სახელგამი, 1939. რეც.) – „მნათობი“, 1939, №2, გვ. 190-191.

247. ნარიძე გ., ხალხთა მეგობრობის მგოსანი (ოვ. თუმანიანი). – „მუშა“, 1938, 23 მარტი.

248. ნაცვალაძე დ., მარად უკვდავი (ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავის გამო). – „საბჭ. აჭარა“, 1969, 20 სექტ.

249. ნებაძე ი., ოვანეს თუმანიანი და საქართველო – „წითელი დროშა“, (ახალციხე), 1969, 25 სექტ.

250. WI-CO ოვანეს თუმანიანი (ოვ. თუმანიანი – „რჩეული ნაწერები“, თარგმ. ი. გრიშაშვილის. თბ., სახელგამი, 1932, გვ. 119. რეც.). – „წიგნი“, 1932, №1-2, გვ. 54-55.

251. ოვანეს თუმანიანი ქართულად – „საბჭ. აჭარა“, 1938, 26 მარტი.

ცნობა სასკოლო ბიბლიოთეკის ხაზით სახელგამის მიერ ოვანეს თუმანიანის რჩეული ნაწერების გამოცემის

შესახებ, რომლის რედაქტორია მელიქსეთ-ბეგი და წამძღვარებული აქვს მისივე წერილი პოეტის ბიოგრაფიის გასაცნობად.

252. ოვანეს თუმანიანი – „საბჭ. ოსეთი“, 1939, 18 აპრ.; – „ლიტ. საქართველო“, 1939, 20 აპრ.

წერილი საინფორმაციო ხასიათისაა, ეხება თუმანიანისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს, გამართულს ქ. ერევნის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრში 1939 წ. 15 თებერვალს, სადაც მონაწილეობა მიიღო მრავალმა საბჭოთა კავშირის მწერალმა და ქართველმა პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა.

253. ოვანეს თუმანიანი „რჩეული ნაწერები“. – „კომუნისტი“, 1948, 23 მარტი.

ცნობა გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის“ მიერ ოვანეს თუმანიანის „რჩეული ნაწერების“ – ქართულ ენაზე (მთარგმ. ი. გრიშაშვილი). გამომცემის შესახებ.

254. ოვანეს თუმანიანი (დაბადების 100 წლისთავი). – „წითელი დროშა“. (მაიაკოვსკი), 1969, 20 სექტ.

255. ოვანეს თუმანიანი (ცნობა ოვ. თუმანიანის დაბადებიდან 100 წლისთავის შესრულების შესახებ). – „კოლმეურნე“ (სიღნაღი), 1969, 23 სექტ.

256. ოვანეს თუმანიანი. იხ. წიგნი: თუმანიანი ო., ლექსები და პოემები. თარგმნილი სომხურიდან. რედ. კ. კალაძე. მხატვ. ლ. ცუცქერიძე. თბ., „მერანი“, 1969, გვ. 5-6.

257. ოვანეს თუმანიანი (დაბადების 100 წლისთავის გამო). – „ახალი კოლხეთი“ (ქუთაისი), 1969, 23 სექტ.

258. ოვანეს თუმანიანი (წერილი მიძღვნილია დიდი სომეხი მწერლის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი). – „ახ. კომუნისტი“, 1949, 19 თებ.

259. ოვანეს თუმანიანი – „კომუნისტი“, 1953, 22 მარტი. ცნობა ოვანეს თუმანიანის გარდაცვალებიდან 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს მოწყობის შესახებ მწერალთა კავშირში 1953 წ. 23 მარტს, სადაც მონაწილეობას მიიღებენ: გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი, შ. დადიანი, ა. აბაშელი, კ. კალაძე, ვ. ატრიანი, გ. ასლანიანი, პაპარე, ს. ფაშალიშვილი, ვ. გორგაძე, გ. ცეცხლაძე, შ. ამისულაშვილი, ნ. კილასონია, ნ. გურეშიძე, მ. მაჭავარიანი და ა. ბეგაშვილი.

260. ოვანეს თუმანიანი (წერილი მიძღვნილია პოეტის დაბადებიდან 95 წლისთავისადმი და განხილულია მისი მრავალმხრივი ცხოვრება და შემოქმედება). – „საქართველოს აგიტატორი“, 1964, №3, გვ. 32.

261. ოვანეს თუმანიანი – „საბჭ. აფხაზეთი“, 1964, 23 თებ.; – „საბჭ. აჭარა“ 1964, 23 თებ.

წერილი მიძღვნილია პოეტის დაბადებიდან 95 წლისთავისადმი და განხილულია ოვ. თუმანიანის მრავალმხრივი ცხოვრება და შემოქმედება. აღნიშნულია მისი როლი ამიერკავკასიის ხალხთა დაახლოებისა და დამეგობრების საქმეში.

262. ოვანეს თუმანიანი „ლაპარაკობს თბილისი“, 1965, 19 თებ.

საპროგრამო რუბრიკაში აღნიშნულია ო. თუმანიანის პოემის „ანუშის“ რადიოდადგმა, რომელიც 1965 წლის 27 თებერვალს 21 საათსა და 55 წუთზე შედგება.

263. ოვანეს თუმანიანი და საქართველო. – „ოქტომბრის გზით“ (ქარელი), 1969, 27 სექტ.

264. ოვანეს თუმანიანი და საქართველო (ცნობა ბ. არველაძის წიგნის „ოვ. თუმანიანი და საქართველო“-ს

გამოცემის შესახებ). „წიგნის სამყარო“, 1969, 10 სექტ. 265. ოვანეს თუმანიანი ქართულად – „ხელოვნების დროშა“, 1924, №6, გვ. 23.

ცნობა ოვ. თუმანიანის ლექსების, პოემების და მოთხრობების ქართულ ენაზე გამოცემის შესახებ. თარგმანი და წინასიტყვაობა ი. გრიშაშვილის.

266. ოვანეს თუმანიანი ქართულად. „მუშა“, 1938, 23 მარტი. ინფორმაციაში საუბარია ოვ. თუმანიანის რჩეული ნაწერების ახალი გამოცემის შესახებ. თარგმ ი. გრიშაშვილის. წიგნს დართული ექნება რედაქტორის ლ. მელიქსეთ-ბეგის წინასიტყვაობა პოეტის ბიოგრაფიული მასალების ჩვენებით.

267. ოვანეს თუმანიანის იუბილესათვის (საქდესის ცნობა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ). – „წითელი დროშა“ (მაიაკოვსკი), 1969, 9 სექტ.

268. ოვანეს თუმანიანის იუბილესათვის. (ქართველი ხალხის მზადება ოვანეს თუმანიანის დაბადების 100 წლისთავისათვის. საქდესი). – საბჭ. აფხაზეთი“ 1969, 17 სექტ.

269. ოვანეს თუმანიანის იუბილესათვის (ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგი თბილისში, ცნობა). – „ტყიბული“ (ტყიბული), 1969, 11 სექტ.

270. ოვანეს თუმანიანის იუბილესათვის (საქდესი) – „ოქტომბრის გზით“, (ქარელი), 1969, 27 სექტ.

271. ოვანეს თუმანიანის იუბილესათვის. (ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავის გამო, საქდესი) – „კოლექტიური შრომა“ (ხულო), 1969, 11 სექტ.

272. ოვანეს თუმანიანის საიუბილეოდ. (ერევანში, სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პი-

რველი მდივნის ა. ქოჩორიანის თავმჯდომარეობით გაიმართა ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავის აღმნიშვნელი რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის სხდომა, ცნობა). – „ლიტ. საქართველო“, 1969, 11 ივლ.

273. ოვანეს თუმანიანის საღამო – „ლიტ. საქართველო“, 1939, 10 აპრ.

ოვ. თუმანიანის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო საქართველოს მწერალთა კავშირის კლუბში, 1939 წ. 7 აპრილს, საღაც მონაწილეობდნენ: კ. ლორთქიფანიძე, ბ. ჟღენტეი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ი. გრიშაშვილი, კ. ჭიჭინაძე, ვ. გორგაძე, ს. ეული, შ. ნათელუღელი და ვ. გაბისკირია.

274. ოვანეს თუმანიანის ხსოვნის საღამო – „საბჭ. აფხაზეთი“, 1939, 18 აპრ; – „საბჭ. ოსეთი“, 1939, 18 აპრ; „საბჭ. მასწავლებელი“, 1939, 18 იანვ.

სომეხი მწერლის გარდაცვალებიდან 15 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო საქართველოს მწერალთა კავშირში.

275. ოვანეს თუმანიანის ხსოვნის საღამო – „ლიტ. გაზეთი“, 1953, 27 მარტი.

საქართველოს მწერალთა კავშირის კლუბში 1953 წ. 23 მარტს ოვ. თუმანიანის გარდაცვალებიდან 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს ანგარიში, საღაც მონაწილეობდნენ: გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი, ალ. აბაშელი, ვ. ატრიანი, მ. ასლანიანი, ს. ფაშალიშვილი, ვ. გორგაძე, გრ. ცეცხლაძე, შ. ამისულაშვილი, ნ. კილასონია, ნ. გურუშიძე, თ. ჯანგულაშვილი, გ. ხუნაშვილი და ს. შამფრიანი.

276. ორი მოძვე ხალხის შვილის ხსოვნისათვის (ოვანეს თუმანიანის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო თბილისში). – „კომუნისტი“, 1969, 28 სექტ.

277. პაპიაშვილი გ., ოვანეს თუმანიანი (გარდაცვალებიდან 25 წლისთავის გამო). – „კომუნისტი“, 1948, 23 მარტი; – „საბჭ. ოსეთი“, 1948, 23 მარტი.

წერილში ვეცნობით პოეტის შემოქმედებას, ბიოგრაფიას, საზოგადოებრივ მოღვაწეობას და მის როლს ხალხთა მეგობრობისა და კერძოდ, ქართველი და სომეხი ხალხების საუკუნეობრივი მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

278. პაპიაშვილი გ., ოვანეს თუმანიანი (დაბადებიდან 80 წლისთავის გამო). – „საბჭ. ოსეთი“, 1949, 19 თებ.

279. პოეტ ოვანეს თუმანიანის საღამო – „ლიტ. საქართველო“, 1938, 30 მარტი.

აქ ვეცნობით 1938 წ. 30 მარტს მწერალთა კავშირში გამართული საღამოს მოკლე ანგარიშს, ვ. გაფრინდაშვილის, ილ. აბულაძის, ა. ტიგრანიანის, შ. დადიანის და ს. ფაშალიშვილის მონაწილეობით.

280. პოეტის დიდება. ოვანეს თუმანიანის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. (მოსკოვში 3 ოქტომბერს სსრ კავშირის დიდ თეატრში გამართული საზეიმო სხდომის შესახებ. ცნობა). – „ლიტ. საქართველო“, 1969, 10 ოქტ.

281. პოეტის საიუბილეო დღეები თბილისში. (ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავი). – „ლიტ. საქართველო“, 1969, 26 სექტ.

282. პოეტის უკვდავება (ოვანეს თუმანიანის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგი, 26 კომისრის სახ. კულტურისა და დასვენების პარკში. საქდესის ცნობა) – „კომუნისტი“, 1969, 27 სექტ.; – „თბილისი“ 1969, 27 სექტ.; – „ლიტ. საქართველო“, 1969, 3 ოქტ.; – საბჭ. აჭარა“, 1969, 30 სექტ.; – „საბჭ. აფხაზეთი“, 1969, 30 სექტ.; – „საბჭ. ოსეთი“, 1969, 300 სექტ.

283. პოეტური გვირგვინი ოვანეს თუმანიანს (ო. თუმანიანისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო ბ. სუნდუკიანცის სახ. სახელმწ. აკადემიურ თეატრში. ერევანი). - „ლიტ. საქართველო“, 1969, 26 სექტ.
284. ჭიქილაშვილი ზ., ღვაწლმოსილი მწერლის პატივსაცემად (ო. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს შესახებ კ. მარქსის სახ. საქ. სახ. რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში). - „თბილისი“, 1969, 20 სექტ.
285. რიბაკი ნ., ოვანეს თუმანიანი - „თბილისი“, 1969, 20 სექტ.
286. რილსკი მ., ოვანეს თუმანიანი - „თბილისი“, 1969, 20 სექტ.
287. ზ. ფ-ლი. (სიკო ფაშალიშვილი). ოვანეს თუმანიანი (რჩეული ნაწერები. თბ., 1924, თარგმ. ი. გრიშაშვილის რეც.). - „ახალი კავკასიონი“, 1925, №1-2, გვ. 133-134.
288. საიუბილეო საღამო (ო. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს ჩატარების გამო ქ. სოხუმში) - „საბჭ. აფხაზეთი“, 1969, 20 სექტ.
289. სამეცნიერო ზესია (მიძღვნილი ო. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავისადმი. მ. აბელიანის სახელობის სომხური ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში. ერევანი. (ცნობა). - „თბილისი“ 1969, 20 სექტ. - „ლიტ. საქართველო“ 1969, 19 სექტ.
290. სამხარაძე გ., ხალხის გულის მესაიდუმლე (ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავის გამო). - „ქუთაისი“, 1969, 26 სექტ.
291. ხოლომონიძე თ., ინტერნაციონალური საღამო (მიძღვნილი ო. თუმანიანის 100 წლისთავისადმი ახალციხის სახალხო

თეატრში). – „წითელი დროშა“ (ახალციხე), 1969, 26 სექტ. 292. სომეხი ერის სახელოვანი შვილი (ო. თუმანიანისადმი მიძღვნილი საიუბილეო მიტინგი 26 კომისრის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში პოეტის საფლავზე და საღამო რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში. საქდესი). – „ლენინის გზით“ (გურჯაანი), 1969, 30 სექტ.; – „ახალი თიანეთი“ (თიანეთი), 1969, 30 სექტ.

293. ხურხატი. (თუმანიანი, არუთინი), ოვანეს თუმანიანი. 1869-1929. (დაბადებიდან 60 წლისთავის გამო). – „დროშა“ 1929, №5, გვ. 9-10.

წერილში განხილულია ლირიკული პოემები და მოთხრობები, დახასიათებულია მისი პუბლიცისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, აღიარებულია იგი არა მარტო სომხეთის, არამედ მთელი ამიერკავკასიის პოეტად.

294. ტაბიძე ტ., ოვანეს თუმანიანი (ნაწყვეტი მოგონებებიდან). წ-ნში: ტაბიძე, ტ. „რჩეული“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1960, გვ. 336; – ტაბიძე, ტ. თხზულებანი სამტომად. ტ. 2., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1966, გვ. 249-252. ●

295. ტაბიძე ტ., ოვანეს თუმანიანი. (ნაწყვეტი მოგონებებიდან). – „თბილისის უნივერსიტეტი“, 1963, 28 სექტ.

296. ტაბიძე ტ., ოვანეს თუმანიანი (შეხედულება ოვანეს თუმანიანზე). – „თბილისი“, 1969, 20 სექტ.; – „წითელი დროშა“ (ახალციხე), 1969, 25 სექტ.

297. ტიჩინა პ., ოვანეს თუმანიანი (მოგონება ოვანეს თუმანიანზე). – „თბილისი“, 1969, 20 სექტ.; – „წითელი დროშა“ (ახალციხე), 1969, 25 სექტ.

298. ფარმანიანი ს., თბილისი, თუმანიანი და ხალხთა

მეგობრობა. თარგმ. ნ. ცისკარიძისა და პ. ტონაკანიანისა – „ასპინძა“ (ასპინძა), 1969, 25 სექტ.

299. ფაშალიშვილი ს., ერთა ძმობის მომღერალი (მოგონებები ოვ. თუმანიანზე). წ-ნში: ს. ფაშალაშვილი „შეხვედრები დაუეწიყარ ადამიანებთან“, თბ., ნაკადული, 1961. გვ. 113-121.

მოგონებები ვრცლად მოგვითხრობენ ს. ფაშალიშვილის შეხვედრებს ოვ. თუმანიანთან, მის დამოკიდებულებას საქართველოსთან და ქართულ ლიტერატურასთან.

300. ფაშალიშვილი ს., ერთა ძმობის მეგობარი (მოგონება ოვ. თუმანიანზე). – „თბილისი“, 1961, 10, 11, 12, ოქტ.

301. ფაშალაშვილი ს., ოვანეს თუმანიანი, – „კომუნისტი“, 1948, 23 მარტი.

ამ წერილში ოვ. თუმანიანი დახასიათებულია, როგორც ახალი სომხური პოეზიის ფუძემდებელი, დიდი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი და ხალხთა ძმობისა და მეგობრობის გამომხატველი. ვეცნობით ოვ. თუმანიანს, როგორც ლერმონტოვის ნაწარმოებთა მთარგმნელს და მისსავე შეხედულებას თარგმნის მნიშვნელობაზე.

302. ფაშალიშვილი ს., შეხვედრები ჰოვანეს თუმანიანთან (ნაწვეტი მოგონებიდან), „კომუნისტი“ 1939, 15 აპრ.

303. ქარელიშვილი ე. ოვანეს თუმანიანი. რედ. ნ. აგიაშვილი. მხატვ. ი. უთურაშვილი. თბ., „მერანი“, 1969. 72 გვ. ეს წიგნი მოგვითხრობს დიდი სომეხი პოეტის ოვანეს თუმანიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მის განსაკუთრებულ როლზე სომხური ლიტერატურის განახლებაში და განვითარებაში. ავტორი მიმოიხილავს თუმანიანის პოეზიის ძირითად მოტივებს, მის სოციალურ და ჰუმანისტურ

იდეალებს, საგანგებოდ ჩერდება ხალხთა მეგობრობის თემაზე და ვრცლად აშუქებს საქართველოსა და ქართველი ხალხის იმ გულითად სიყვარულს, რომლითაც პოეტის მთელი შემოქმედებითი ცხოვრება იყო გამსჭვალული.

304. ქარელიშვილი ე., ძმობის მომღერალი (ო. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავის გამო), – „წიგნის სამყარო“, 1969, 10 სექტ.;

„ოქტომბრის გზით“, (ბათუმი), 1969, 16 სექტ.

305. ქართულ ენაზე. (ოვ. თუმანიანის შემოქმედება ქართულ ენაზე. ცნობა), – „წიგნის სამყარო“, 1969, 10 სექტ.

306. ქართული წიგნები დიდ პოეტზე. (გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა ერემია ქარელიშვილის „ოვანეს თუმანიანი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ – ბონდო არველაძის მონოგრაფია „ოვანეს თუმანიანი და საქართველო“ ცნობა), – „ლიტ. საქართველო“, 1969, 19 სექტ.

307. ქერქაძე გ., საყვარელი მგოსანი. (ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავის გამო). – „სახ. განათლება“, 1969, 26 სექტ.

308. ქორიძე ე., თუმანიანი და საქართველო. (დაბადების 100 წლისთავი). – „საბჭ. აფხაზეთი“, 1969, 20 სექტ.

309. შავლიაშვილი შ., გიორგი წერეთელი, ოვანეს თუმანიანი და „ვეფხისტყაოსანი“, „თბილისი“, 1966, 25 ივლ. წერილი გვაცნობს არუთინ მირიძე-თუმანიანის მოგონებას გ. წერეთლის და ოვ. თუმანიანის შესახებ, „ვეფხისტყაოსნის“ სომხურ ენაზე თარგმნის გამო.

310. შენგელია ა., იცოცხლებს მარად (ოვანეს თუმანიანის დაბადების 100 წლისთავი), – „ლიტ. საქართველო“, 1969, 19 სექტ.

311. შერვაშიძე ა., ქართველი ხალხის გულწრფელი

- მეგობარი. (ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავის გამო), – „საბჭ. აჭარა“, 1969, 20 სექტ.
312. შეშაბერიძე ს., ნ. ბარათაშვილის საფლავთან, (წერილში მოხსენებულია ო. თუმანიანის გამოსვლა ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებასთან დაკავშირებით). – „კოლექტიური შრომა“ (ხულო), 1969, 27 სექტ.; – „კომუნისტური შრომა“ (ლანჩხუთი), 1969, 20 სექტ.; – „ყვარელი“ (ყვარელი), 1969, 13 სექტ.
313. შეშაბერიძე ს., ოვანეს თუმანიანის შეხვედრა ვაჟასთან. (ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავის გამო), – „ახალი შირაქი“ (წითელწყარო), 1969, 1 მარტი.
314. შეშაბერიძე ს., ქართველი ხალხის მეგობარი (ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავის გამო). – „ბახტრიონი“ (ახმეტა), 1969, 20 თებ.
315. შეშაბერიძე ს., ხალხთა ძმობის მომღერალი. (ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავის გამო), – „ახალი თიანეთი“ (თიანეთი), 1969, 20 სექტ.
316. შილაკაძე ვ., ო. თუმანიანი და საქართველო (დიდი სომეხი პოეტი და საზოგადო მოღვაწის ოვანეს თუმანიანის დაბადების 100 წლისთავი) – „თბილისი“, 1969, 20 სექტ, „ნორჩი ლენინელი“, 1969, 20 სექტ.
317. შილაკაძე ვ., ხალხთა მეგობრობის მედროშე. (ოვანეს თუმანიანის დაბადებიდან ასი წლისთავის გამო), – „სახ. განათლება“, 1969, 19 თებ.
318. შილაკაძე ვ., ხალხთა მეგობრობის მომღერალი პოვანეს თუმანიანი (1869-1969). – „საქ. კომუნისტი“, 1969, №9, გვ. 82-86.
319. შილაკაძე ვ., ხალხის სიყვარული. (ოვანეს თუმანიანის დაბადების 100 წლისთავის გამო), – „კომუნისტი“, 1969, 20 სექტ.

320. შულღიაშვილი დ., ხალხთა ძმობის მომღერალი (ოვ. თუმანიანის გარდაცვალების 35 წლისთავის გამო), - „ლიტ. გაზეთი“, 1958, 28 მარტი.

წერილში ვრცლად არის წარმოდგენილი პოეტის ცხოვრება და შემოქმედება. მისი დამოკიდებულება საქართველოსთან და ქართველ ხალხთან.

321. ჩვენი კალენდარი. (ოვ. თუმანიანის დაბადებიდან 100 წელი), - „წითელი დროშა“ (ახალციხე), 1969, 9 სექტ.; - „ლენინის გზით“, (გურჯაანი), 1969, 18 სექტ.

322. ჩიხლაძე ნ., მეგობრის თბილი სიტყვა. - „სოფლის ცხოვრება“, 1968, 23 აგვ.

წერილი მოგვითხრობს ნიკოლოზ ბარათაშვილის განჯიდან თბილისში გადმოსვენების ამბავს და გადმოგვცემს ოვ. თუმანიანის მიერ წარმოთქმული სიტყვის შინაარსს.

323. ცისკარიძე ნ., მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი. (ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავი), - „ასპინძა“ (ასპინძა), 1969, 25 სექტ.

324. ძმობისა და სიყვარულის მომღერალი (ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავის გამო), - „თრიალეთი“, (ღმანისი), 1969, 23 სექტ.; „ბახტრიონი“, (ახმეტა), 1969, 25 სექტ.

325. ჭეშმარიტი პოეტი და ჰუმანისტი. (ოვ. თუმანიანი), - „ახ. კომუნისტი“, 1969, 20 სექტ.

326. ხალხთა მეგობრობის მგზნებარე მომღერალი. (ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავი), - „თბილისი“, 1969, 20 სექტ.; - „ლენინის დროშა“ (მახარაძე), 1969, 18 სექტ.; - „სოციალისტური რუსთავი“ (რუსთავი), 1969, 23 სექტ.; - „ივრის განთიადი“ (საგარეჯო), 1969, 30 სექტ.; - „კომუნისტური შრომისათვის“ (თბილისის ფეხსაცმელების ფაბრიკა №1), 1969, 26 სექტ.

327. ხანთაძე რ., ღრმა ფესვები. (ოვ. თუმანიანისა და ი. ნაკაშიძის მეგობრობის შესახებ), – „საბჭ. აჭარა“, 1969, 20 სექტ.
328. ხარატიანი ა., ძმობის მოძღვრალი (ოვ. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავი), – „ნორჩი ლენინელი“, 1969, 20 სექტ.
329. ხელოვნება (ოვანეს თუმანიანის დაკრძალვა ხოჯივანის სასაფლაოზე. ცნობა), „კომუნისტი“, 1923, 15 აპრ.
- ამავე გაზეთის პირველ გვერდზე მოთავესებულია პოეტის ბეულლის ოლლა თუმანიანის სამგლოვიარო განცხადება.
330. ხელოვნება. ოვანეს თუმანიანის ნაწერები ქართულად (ცნობა ი. გრიშაშვილის მიერ სომხურიდან ქართულად თარგმნილი თუმანიანის რჩეული ნაწერების გამოცემის შესახებ), – „კომუნისტი“, 1924, 16 ივლ.
331. ხუციშვილი ს., პოეზიის რაინდთა მეგობრობა (ოვ. თუმანიანის ქართველ მწერლებთან მეგობრობის შესახებ), – „ლიტ. საქართველო“, 1969, 19 სექტ.
332. ჯალაბაშვილი ლ., შეხვედრები ოვანეს თუმანიანთან – „გამარჯვება“ (გორი), 1969, 30 სექტ.
333. ჯიბუტი ვ., ოვანეს თუმანიანის და ქართველი მწერლები (ო. თუმანიანის დაბადების 100 წლისთავი), – „სოფლის ცხოვრება“, 1969, 20 სექტ.
334. ჯორბენაძე ს. ოვანეს თუმანიანი და თბილისის უნივერსიტეტი. – „მნათობი“, 1969, №9, გვ. 118-121.
335. ჰოვანეს თუმანიანისადმი მიძღვნილი საღამო (გარდაცვალებიდან 20 წლისთავზე), – „ლიტ. საქართველო“, 1943, 25 მარტი.

საღამოზე მონაწილეობდნენ პოეტები და კრიტიკოსები: ბ. ჟღენტო, ლ. მელიქსეთ-ბეგი, კ. გამსახურდია, ი. გრიშაშვილი, ს. აფჩიანი, პაპარე, მ. თუმანიანი, გ. ლეონიძე,

წ. თორგომიანი, ვ. გორგაძე, გ. გრიგი, რ. ალაბაბოვი, ვ. მო-
ესესიანი. სამხატვრო ნაწილში წარმოდგენილი იყო პა-
პარეს მიერ გაკეთებულ ლიტ. მონტაჟი თუმანიანის პოემა
„ანუშ“-იდან, სადაც მონაწილეობდნენ მსახიობები: ი. ალ-
იხანოვი, მ. ბეროიანი, მ. მოჭორიანი, რ. პოპოვიანი, ბ. ბერ-
სესიანი. მუსიკას ასრულებდა ოპერა „ანუშ“-ის ავტორის კო-
მპოზიტორ ა. ტიგრანიანის შვილი ვ. ტიგრანიანი.

III. ლექსები მიძღვნილი ა. ო. თუმანიანისადმი

336. აბაშელი ა., ო. თუმანიანს (ლექსი), – „ბორჯომი“
(ბორჯომი), 1969, 25 სექტ.

337. აბაშელი ა., ტკბილო ოვანეს (ლექსი), – „წითელი
დროშა“ (ახალციხე), 1969, 30 სექტ.

338. აბაშელი ა., ოვანეს თუმანიანის ხსოვნას (ლექსი), –
„ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948, 28 მარტი; წ-ნში:
აბაშელი ა., „თხზულებათა კრებული“, ტ. 11, თბ.,
„საბჭოთა საქართველო, 1960, გვ. 127.

339. ალელიშვილი ნ., ოვანეს თუმანიანს (ლექსი), –
„შუქურა“ (ახალქალაქი), 1969, 23 სექტ.

340. ბრიუსოვი ვ., თუმანიანს. წარწერა წიგნზე (ლექსი),
თარგმ. დ. გაჩეჩილაძისა – „მუშა“, 1938, 23 მარტი.

341. ბრიუსოვი ვ., ოვანეს თუმანიანს წარწერა წიგნზე
(ლექსი), თარგმ. კ. ნადირაძის – „მნათობი“, 1957, №6, გვ.
110; „კომუნისტური განათლება“, 1938, 24 მარტი.

342. გორგაძე ვ., სომხეთის მთებზე, (ლექსი – ოვ. თუმ-
ანიანისადმი), წ-ნში „ორბის სიჭაბუკე“, თბ., საბჭოთა
მწერალი, 1959, გვ. 63-64; – „ლიტ. გაზეთი“, 1953, 27
მარტი.

343. გრიშაშვილი ი., ოვანეს თუმანიანს (ლექსი), წ-ნში: ო., თუმანიანი., „რჩეული ნაწერები“, თარგმ. ი. გრიშაშვილისა, თბ., სახელგამი, 1924, გვ. 2.
344. გრიშაშვილი ი., ოვანეს თუმანიანს (ლექსი) – თბილისი, 1969, 20 სექტ.
345. ეული ს., სომეხ პოეტებს (ლექსში საუბარია ო. თუმანიანზე), წ-ნში: ეული, ს. „რჩეული ლექსები, პოემები“ (1934-53). თბ., სახელგამი, 1954, გვ. 47-48; – ეული, ს. „თხზულებანი“ ტ. 1, თბ., საბჭოთა საქართველო, 1963, გვ. 186-187.
346. იაშვილი პ., ოვანეს თუმანიანი (ლექსი), წ-ნში: იაშვილი პ., „ლექსები, პოემა, თარგმანები“, თბ., სახელგამი, 1955, გვ. 48; – იაშვილი პ., „ლექსები, პოემა, მოთხრობები, თარგმანები“, თბ., საბჭოთა მწერალი, 1959, გვ. 37.
347. იაშვილი პ., ოვანეს თუმანიანი (ლექსი), – „თბილისი“, 1969, 20 სექტ; – „სოფლის ცხოვრება“, 1969, 20 სექტ; – „შუქურა“ (ახალქალაქი), 1969, 23 სექტ.
348. მეტრეველი გ., ოვანეს თუმანიანს (ლექსი), – „გამარჯვების გზა“ (ხაშური), 1969, 11 სექტ.
349. მხარგრძელი ს., ოვანეს თუმანიანს (ლექსი), – „ასპინძა“ (ასპინძა), 1969, 25 სექტ.
350. ზაშხარაძე გ., ჩვენს მეგობრებს (ლექსი მიძღვნილი ოვანეს თუმანიანის იუბილესადმი), – „თბილისი“ 1969, 26 სექტ.
351. ტაბიძე ტ., ახლა ოცნება პოეტებისა (ლექსი მიძღვნილი თუმანიანისადმი), წ-ნში ტაბიძე ტ., ტ. „ლექსები, პოემები“, ტფ. „ფედერაცია“, 1933, გვ. 26-27; – ტაბიძე ტ., „სომხეთში“, ტფ., „ფედერაცია“, 1934, გვ. 10; – ტაბიძე ტ., „ლექსები, პოემები, თარგმანები“, თბ., სახელგამი, 1955, გვ. 59-61; – ტაბიძე ტ., „რჩეული“, თბ., საბჭოთა საქართველო,

1960, გვ. 336; – ტაბიძე ტ., თხზულებანი სამ ტომად. ტ. I, თბ., ლიტერატურა და ხელოვნება, 1966, გვ. 63-69.
352. ფაშალიშვილი ს., ოვანეს თუმანიანი (ლექსი) წ-ნში; – ფაშალიშვილი ს., „ერთტომეული“, თბ., საბჭოთა მწერალი, 1959, გვ. 2-04-205.

გიორგი ჯიბლაძე

აქამდე, ჩემი შედარებით ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, საკმაოდ ბევრი კარგი, ჩინებული ადამიანი შემხვედრია და მათთან მქონია ურთიერთობა, მაგრამ, ცხადია, ამ კარგ ადამიანთა შორისაც არიან, რომ იტყვიან, კარგზე კარგები, მინდა მკითხველს სწორედ ასეთი, ერთერთი დიდებული პიროვნება — გიორგი ჯიბლაძე გავაცნო, რომელთანაც, ვიტყვოდი, ჩემდა დიდად საბედნიეროდ, ახლო, საქმიანი ურთიერთობა გამაჩნდა...

1968 წელს დაეინიშნე საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ფილიალის დირექტორად. ჩემი ძირითადი სამუშაოს პარალელურად ვეწეოდი აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობასაც, რამაც, ცხადია, გარკვეულწილად ძალიან გამიტაცა.

1974 წელს, ქალაქ ბათუმში, იმდროინდელი მოთხოვნილების საფუძველზე (რაც განპირობებული გახლდათ კადრების დეფიციტით მშენებლობაზე თუ მრეწველობის სხვადასხვა დარგებში) ისევ აღსდგა ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი, რომელიც წინათ (1921-1941 წლებში) ჩინებულად ფუნქციონირებდა, ასრულებდა თავის მოვალეობას და საჭირო კადრებს უმზადებდა ქალაქ ბათუმსა თუ აჭარის სხვა რეგიონებს.

ინდუსტრიული ტექნიკუმი აღსდგა სათანადო ბრძანებით, 1974 წლის ივლისის თვეში, როგორც წესი, მისაღები გამოცდები



გიორგი ჯიბლაძე

უნდა დაწყებულიყო პირველ აგვისტოს, ცხადია, დრო მისაღებ გამოცდებამდე ძალზე ცოტა რჩებოდა.

ტექნიკუმისათვის თავისუფალი ფართის უქონლობის გამო, გადაწდა ტექნიკუმი დროებით განთავსებულიყო ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის შენობაში. ინდუსტრიული ტექნიკუმის დირექტორის თანამდებობაზე დასამტკიცებლად თავდაპირველად გაგზავნილი იქნა პიროვნება, სპეციალობით ინჟინერ-მშენებელი, რომელსაც, სამწუხაროდ, არავითარი პედაგოგიური გამოცდილება არ გააჩნდა. მისი კანდიდატურა საქართველოს განათლების სამინისტროში არ მიიღეს ამის შემდეგ, აღნიშნული თანამდებობის დასაკავებლად წარმადგინეს მე.

მაშინ, როგორც უკვე მოვიხსენიე ზემოთ, ემუშაობდი სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. დაცული მქონდა საკანდიდატო დისერტაცია და გამაჩნდა შვიდი წლის მუშაობის პედაგოგიური სტაჟი. ასე რომ, ჩემი სამსახურებრივ-თანამდებობრივი მონაცემები სავსებით აკმაყოფილებდა ყველა იმ მოთხოვნას, რაც ჩემი ტექნიკუმის დირექტორად დანიშვნისათვის იყო საჭირო.

მომცეს რეკომენდაცია—წერილი საქართველოს განათლების მინისტრის სახელზე. იმხანად საქართველოს განათლების მინისტრად მოღვაწეობდა საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე.

მინისტრმა ყოველგვარი ლოდინის გარეშე, მისვლისთანავე მიმიღო, როგორც კი შევალე მისი კაბინეტის კარი, ვრცელი კაბინეტის სიღრმიდან ჩემსკენ გამოემართა სახემოღიმარი, ახოვანი, სიმპათიური გარეგნობის მამაკაცი, მოშეგება, ხელი შინაურულად ჩამომართვა და თავის საწერ მაგიდასთან მიმიპატიჟა. იგი მთელი ერთი საათის განმავლობაში მესაუბრებოდა იმ რთული, შრომატევადი, მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობის

თაობაზე, რაც ტექნიკუმის დირექტორის მოღვაწეობასთან იყო დაკავშირებული. როგორც შევატყვე, მინისტრი ჩემს მიმართ რატომღაც თბილად განეწყო და ამდენად, საუბარი შემდგომ მეტად გულთბილ, შინაურულ ვითარებაში წარიმართა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, გიორგი ჯიბლაძემ უყოყმანოდ მოაწერა ხელი ჩემი ტექნიკუმის დირექტორად დანიშვნის ბრძანებას.

რაკილა დრო არ ითმენდა, იმდღესვე გამოვბრუნდი უკან, ჩამოვედი ბათუმში და, რომ იტყვიან, ხელებდაკაპიწებული შეგუდექი საქმეს.

გასაკეთებელ-მოსაგვარებელი კი, მოგეცათ სიკეთე, იმდენი გახლდათ...

ამის შემდეგ მთელი ექვსი წლის განმავლობაში მომიწია გიორგი ჯიბლაძის ხელმძღვანელობით მუშაობა და უნდა გულწრფელად ვაღიარო, რომ ჩემთვის ეს წლები ნამდვილად გაუხუნარი და დაუვიწყარია.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენ, განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ყველა თანამშრომელი, დიდად ვამაყობდით, რომ ჩვენი მინისტრი სხვა მინისტრებთან შედარებით მთელი ათი თავით მაღლა იდგა არა მარტო, თავისი განათლებით, არამედ თავისი კაცურკაცობითა და დიდი ადამიანურობით. მასთან მოსაუბრე ადამიანი, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, გაცუებული რჩებოდა მისი ერუდიციითა და უბრალოებით. ადამიანებთან კონტაქტის დამყარების დიდი უნარით, ბატონი გიორგი ყველასთან ნახულობდა საერთო ენას. იგი ინტელიგენტთან – ინტელიგენტი იყო, მეცნიერთან მეცნიერი, მწერალთან – მწერალი, სტუდენტთან – სტუდენტი, მუშასთან – მუშა, გლეხთან – გლეხი და ასე შემდეგ ადამიანებთან ურთიერთობაში, მათთან კონტაქტის დამყარებაში ბატონ გიორგის დიდად უწყობდა ხელს უანგარობა, სისპეტაკე და

განწმენდილობა, დამაჯერებელი, ალალმართალი კაცის ლო-
გიკა.

ბატონ გიორგი ჯიბლაძეზე საუბარისას ნამდვილად არ
შემიძლია ხაზგასმით არ აღვნიშნო ისიც, რომ მას გან-
საკუთრებულად უყვარდა ჩვენი კუთხე, აჭარა, იგი მართებულად
აღიქვამდა აჭარის მძიმე, ბედუკუღმართ წარსულს და ყოველნა-
ირად ცდილობდა შესაძლებლობის ფარგლებში, ყველაფერი გაეკ-
ეთებინა მისთვის.

1989 წლის დასაწყისში საქართველოს პოლიტიკური ინს-
ტიტუტის ფაკულტეტი ბათუმში გადაკეთდა ამავე ინსტიტუტის
ფილიალად. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დღის წესრიგში
დადგა ამ შენობაში შემოსახლებული ინდუსტრიული ტექნიკუმის
გასახლება. საბოლოო ჯამში, გადაწყდა ჩვენი ჩასახლება
ამორტიზირებულ, 100 წლის წინათ, შერეული სამშენებლო
მასალებისაგან აგებულ, ყოფილი რკინიგზის სკოლის შენობაში
(დ. თავდადებულის ქ. №61). იმხანად შენობის უმეტესი ნაწილი
დანგრეული გახლდათ. მიუხედავად ამისა, იძულებული შევიქმ-
ენით, 1979 წლის მაისის თვეში გადავსულიყავით აღნიშნულ
შენობაში, რომელსაც არც სახურავი გააჩნდა, არც განათება,
არც წყალკანალიზაცია, არც ეზო-კარი, და რაც მთავარი იყო,
არ გაგვაჩნდა სასკოლო ინვენტარი.

როდესაც ბატონმა გიორგიმ გაიგო ტექნიკუმის სხვა
შენობაში განთავსების ამბავი, არ დაუხანებია და მეორე დღესვე
ჩამოვიდა ბათუმში ჩვენზე გადმოცემული შენობის დასათვ-
ალიერებლად.

შენობის დათვალიერების შემდეგ, ცხადია, იგი დიდად გაკვი-
რვებული და ამავდროულად აღშფოთებული დარჩა. თავისი აღშ-
ფოთება მან ასეთი სიტყვებით გამოხატა: „როგორც ვატყობ,
აჭარის ხელმძღვანელობას ოდნავადაც არ აინტერესებს ბათუმში

ინდუსტრიული ტექნიკუმის შენარჩუნება, ასეთ პირობებში მუშაობა წარმოუდგენელია, ამიტომაც ვფიქრობ, მომიწევს ტექნიკუმის საერთოდ გაუქმება“

მაშინ მე ბატონ გიორგის ვთხოვე, რათა მას სასწავლო წლის დაწყებამდე მოეცა ვადა, მე მიმაჩნდა, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე პირადი ნაცნობობის საფუძველზე წესრიგში მოვიყვანდი შენობას და გაეხდიდი სასწავლებლის ფუნქციონირებისათვის გამოსადეგარს.

ბატონი გიორგი ამაზე დასთანხმდა და მაშინვე შეეუდები საქმეს. შეიძლება ითქვას, რომ საოცრად მოკლე დროის განმავლობაში, შეუძლებელი შევძელით – შევცვალებ კარ-ფანჯრები, სახურავი, იატაკის უმეტესი ნაწილი, გავიყვანეთ ახალი ელექტროგაყვანილობა, კეთილმოვაწყვეთ სასწავლებლის ეზო-კარი, ავაშენეთ სასადილო, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, მოვაწესრიგეთ საკანალიზაციო სისტემა, შემოვიტანეთ ყველა სახის სასწავლო ინვენტარი და სხვა.

პირობის თანახმად, ბატონი გიორგი პირველ აგვისტოს ჩამოვიდა ბათუმში ინდუსტრიული ტექნიკუმის განახლებული შენობის მოსანახულებლად. შენობის დათვალიერების, ჩვენი შრომაგარჯის გაცნობის შემდეგ იგი დიდად კმაყოფილი დარჩა, მისივე ინიციატივითა და წინადადებით ჩვენი საქმიანობა საქართველოს განათლების სამინისტროს მასშტაბით განზოგადდა, პირადად მე კი დამაჯილდოვეს სსრ კავშირის განათლების სამინისტროს წარჩინებული მუშაკის დიპლომითა და სამკერდე ნიშნით.

ყოველივე ამის შემდეგ ცხადია, მე კიდევ უფრო დაეუახლოვდი მას, მაგრამ მიუხედავად ამ სიახლოვისა, შემიძლია თამამად და დაბეჯითებით განაცხადო, ერთხელაც არ მისარგებელია, რაიმე საქმისა და პრობლემის მოსაგვარებლად, პირიქით, ყოველთვის კვდილობდი, რომ ნაკლებად შემეწუხებინა იგი.

მასსოვს, ერთხელ, ბატონმა გიორგიმ დირექტორთა საბჭოს სხდომაზე, შეაფასა რა ჩემი მუშაობა, ყველას გასაგონად აღნიშნა: „მე მინდა თემურ კომანიძის მსგავსი დირექტორები, რომელიც რაიმე წვრილმანი და ადვილად მოსაგვარებელი საქმეების გამო არ შემაწუხებენ“

სამსახურებრივი საქმეებიდან გამომდინარე, ბატონი გიორგი ჯიბლაძე ხშირად ჩამოდიოდა ბათუმში. ყველა ჩამოსვლისას იგი აუცილებლად შემოვივლიდა ჩვენთან, ტექნიკუმში, თავისებურად დაგვარიგებდა, მოგვეფერებოდა და ყოველნაირად დაგვეხმარებოდა რაიმე პრობლემის გადაჭრაში.

უნდა განვაცხადო, რომ ბატონი გიორგი ადამიანის რაობის ამოცნობის უნიკალური უნართა და ნიჭით იყო დაჯილდოებული. იგი ჭეშმარიტად განწმენდილთ, ძალიან დაიახლოვებდა წლოვანებით მასზე უმცროსსაც, „ჩემო შვილო“, მიმართავდა მას. თავს უდავოდ ბედნიერად ვერაცხ, რომ მასთან ასეთ დაახლოებულთა რიცხვს მეც ვეკუთვნოდი.

ბატონი გიორგი არც უღირსთ ექცეოდა უდიერად და მკაცრად, არც მათ მიმართ იჩენდა განსაკუთრებულ სიძულვილს, მხოლოდ ამას კი იტყოდა: „ისინი ისედაც დაჩაგრულნი არიან, ღმერთმა მათ უმადურობის განუკურნებელი სენი არგუნა და ამიტომაც მსგავსნი საზოგადოებისაგან მეტ შეწყალებას იმსახურებენ“—ო.

1980 წელს გიორგი ჯიბლაძე სამუშაოდ გადაიყვანეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, რამაც, სიმართლე გითხრათ, ძალიან დაგეწყვიტა ყველას გული, რამდენადაც, ჩვენ, განათლების სისტემაში მომუშავეთ, მისი მსგავსი და შემცველი არ გვეგულებოდა.

დრო გადის, დროს თავისი მიაქვს, ზოგი რამ დავიწყებას მიეცემა-ხოლმე და კარგად აღარც კი გახსოვს, თუ რა იყო

წარსულში, მაგრამ დროს ყველაფრის დავიწყება და გახუნება, მაინც არ შეუძლია. და აი, დღესაც კი, მთელი ოცი წლის გახუნების შემდეგ, როდესაც მე ჩემს ყოფილ კოლეგებს შევხვდები-ხოლმე, მათთან საუბარს ყოველთვის გიორგი ჯიბლაძეთი ვიწყებ... ჩვენ ვიგონებთ იმ დაუვიწყარ, საუკეთესო დღეებს, როდესაც ჩენი თავკაცი ბატონი გიორგი იყო.

მე ნამდვილად არ მახსოვს, რომ ბატონ გიორგის ვინმე არაობიექტურად და უსამართლოდ დაესაჯოს, იგი ყოველ კაცში, ყოველ ადამიანში დადებით მარცვალს ეძებდა და მუდამ ცდილობდა სიკეთე ეთესა. მისი მსგავსი ქმედება, მისი კეთილშობილება განაპირობებდა კიდევაც საზოგადოების მისდამი განუსაზღვრელ სიყვარულსა და დიდ მოწონებას.

ალბათ გიორგი ჯიბლაძისთან ადამიანზე იტყვიან-ხოლმე: „მოკვდავად დაიბადა, მაგრამ უკვდავის სახელით დაიფერფლა ქართველი ერისათვისო“

გიორგი ჯიბლაძის აკადემიაში სამუშაოდ გადასვლის შემდეგ საქართველოს განათლების სამინისტროს, ჩვენდა საბედნიეროდ მეორე დიდი პიროვნება – დავით ჩხიკვიშვილი ჩაუდგა სათავეში – კაცი რაინდი, უშიშარი და დიდად განათლებული, მისი მინისტრობისას საქართველოში განათლების სამინისტროს მთელი სისტემა ჩინებულად მუშაობდა და ასრულებდა თავის კეთილშობილურ მოვალეობას... სამწუხაროდ, დავით ჩხიკვიშვილი ადრე აღესრულა და აქვე დასრულდა კიდევაც განათლების სამინისტროს აღმასვლის, აღზევების პერიოდიც.

იმისათვის, რომ მკითხველს ასე თუ ისე, გავაცნოთ გიორგი ჯიბლაძის პიროვნება, ვთავაზობთ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მილოცვას მეცნიერის დაბადების 75 წლ-

ისტავთან დაკავშირებით და ცნობილი ქართველი მწერლის გიორგი ნატროშვილის წერილს:

ჩენი მილოცვა

დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერს. მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს გიორგი ჯიბლაძეს. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ იუბილარს მისალმება ვაუცხავნა:

ბატონო გიორგი!

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები, გულმხურვალედ მოგესალმებიან გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს და ცილოცავენ დაბადების 75 წლისთავს.

თითქმის ექვსი ათეული წელია, რაც გრძელდება თქვენი დაუღლე და ღრმად შინაარსიანი შემოქმედებითი ცხოვრება. ამ ხნის მანძილზე შთაგონებული და ნაყოფიერი შრომის შედეგად შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეთ ლიტერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მრავალ სფეროში.

ესთეტიკა, ხელოვნების ისტორია, ქართული მწერლობის ისტორია, სახვითი ხელოვნება, ლიტერატურის თეორია, კრიტიკა, რუსული ლიტერატურული ამროვნება, მხატვრულ-ლიტერატურული ურთიერთობანი, ფილოსოფიური და პედაგოგიური ამრი, კულტურის საკითხები, თეატრი – აი მეცნიერულ შემოქმედებითი ამროვნების ის დარგები, რომლებიც თქვენი ინტერ-

ესების სფეროს განეკუთვნება და რომლებიც ფუნდამენტური ნაშრომებით გააძლიერეთ.

შემოქმედებითი მოღვაწეობა, როგორც ლიტერატურულმა კრიტიკოსმა, თანამედროვე ქართული ლიტერატურის პროცესების შესწავლით დაიწყო. ამ პროცესში ღრმად და საფუძვლიანად გარკვევის მისწრაფებამ ბუნებრივად მოციყვანათ მშობლიური მწერლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების გულმოდგინედ შესწავლისა და ლიტერატურის თეორიის, ესთეტიკის პრობლემათა მეცნიერულად დამუშავების მოთხოვნილებამდე.

თქვენი მონოგრაფიები და გამოკვლევანი შოთა რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯაფარიშვილის, ლალო ასათიანის, რევაზ მარგიანის, იოსებ ნონეშვილისა და სხვათა შესახებ, რომლებშიც მაღალპროფესიულადაა განხილული ქართული მწერლობის კლასიკოსთა შემოქმედებისა და ესთეტიკური შეხედულების საკვანძო პრობლემები, ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ძვირფას შენაძენს წარმოადგენს.

თქვენ დიდი წვლილი შეიტანეთ ესთეტიკის პრობლემების დამუშავებაში, ამ საკითხებს მიუძღვენით, მრავალი საინტერესო ფუნდამენტური გამოკვლევა.

არაერთი საყურადღებო წერილი თუ გამოკვლევა მიუძღვნით ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, კარლო კალაძის, ალექსანდრე გომიაშვილის და თანამედროვე ქართული პოეზიის სხვა წარმომადგენელთა შემოქმედებას.

დიდია თქვენი დამსახურება ქართული პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებაში. საეტაპო ნაშრომებად ითვლება

თქვენი მონოგრაფიები „კომენსკის ფილოსოფია“, „ესთეტიკური აღზრდის პრინციპები“, „პედაგოგია და მეთოდოლოგია“. სწორედ ამ ნაშრომისათვის მოგენიჭათ იაკობ გოგებაშვილის, კონსტანტინე უშინსკის და იან ამოს კომენსკის სახელობის პრემიები.

ვატაცებით იკვლევთ რუს და საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხთა ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლების შემოქმედებას. პუშკინი და ლერმონტოვი, ბელინსკი და ლეე გოლსტოი, ჩერნიშევსკი და ნეკრასოვი, ლესია უკრაინკა და ოვანეს თუმანიანი, ავეტიკ ისააკიანი და ნიკოლოზ ტახტაშვილი, კონსტანტინე სიმონოვი და მიხეილ შოლოხოვი – აი, იმ მწერალთა არასრული სია, რომელთა ესთეტიკურ-მხატვრულ ნააზრევს მონოგრაფიული გამოკვლევანი მიუძღვნით.

წლების მანძილზე ეწეით დიდად ნაყოფიერ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ საქმიანობას, სხვადასხვა დროს მუშაობდით გამეტ „კომუნისტის“ პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილედ, გამეტ „ქუთაისის“ რედაქტორად, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდიანად, საქართველოს სსრ განათლების მინისტრად, უმაღლესი და საშუალო განათლების მინისტრად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდიანად, ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ბრძანდებით და მთელ თქვენს ძალას და ენერგიას ქართული მეცნიერების წინსვლასა და აყვავებას ახმართ.

ჩვენთვის, ქართველი მწერლებისათვის, განსაკუთრებით სასიამოვნოა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელ მდიანად მუშაობდით და ღირსეულად იღვწოდით ქართული მწერლობის პატრიოტული დარაზმისათვის.

თქვენი დიდი ღვაწლი საბჭოთა საზოგადოებამ, ჩვენმა პარტიამ და მთაწერობამ სათანადოდ აღნიშნა.

ქართული საბჭოთა მეცნიერული სკოლის სახელოვან წარმომადგენელს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, სსრკ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელ წევრს მონიჭებული გაქვთ საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ბატონო ვიორჯი!

თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები კიდევ ერთხელ გულმხურვალედ მოგესალმებიან ამაგდარ, ღვაწლმოსილ იუბილარს, გისურვებენ ჯანმრთელობას, კვაბუკურ შემართებას, თქვენს მამულიმეილურ მოღვაწეობაში.

საქართველოს
მწერალთა კავშირის გამგეობა.

მუღმივი ძიების გზაზე

მუღმივი ძიება ჭეშმარიტებისა, სილამაზისა და სიკეთისა, გაუთავებელი და შეუწინაღებელი ბრძოლა მათი დამკვიდრებისათვის, ბრძოლა ბოროტის დათრგუნვისა და კეთილისათვის ფართო ვმის გასაკაფაჟად და გასაწმენდად, დიდი სახალხო სიმართლისა და კუშანიზმის კეთილშობილური იდეალების გამარჯვებისათვის, დასაბამიდან იყო ლიტერატურისა და ხელოვნების საპატიო მოვალეობა და ეს ერთნაირად ეხებოდა როგორც მხატვრულ სიკყეას, ისე ესთეტიკური აზროვნების სფეროს, ლიტერატურის თეორიასა და სალიტერატურო კრიტი-

იქას, ეს ჭეშმარიტება თაყიდასვე კარვად აქონდა შეთვისე-
ბული ციორგი ჯიბლაძეს და მან მტკიცედ ვადაწყვიტა დასღ-
ომოდა ამ გზას სამწერლო ასპარეზზე ვამოსელის პირველი
დღეებიდანვე.

მე არ შეუღვები აქ მისი ბიოგრაფიის მოყოლას, ვინაიდან
მთელი მისი ცხოვრება – მისსავე ნაწერებშია. მის ცხრა
მოზრდილ ტომში და კიღეე სადოქტორო დისერტაციამი
„ხელოვნება და სინამდილე“, რომელსაც ავტორისავე სი-
ტყვიტ, თაყის ღრომე „ცემა-ტყეა არ ასცენია“, მაგრამ მა-
ინც ვაიკელია გზა მკითხველის გულისაკენ და დაამტკიცა თაყ-
ისი არსებობის საჭიროება, როცა მეორე ვამოცემის შემღეე
არაერთგმის მოიხსენიეს კეთილი სიტყვიტ (ეს ჟრაბა ავტორ-
ის პირადი წერილიდან მომყავს). ყოველ შემთხვევამი, იმ
ქარიმხლებმა დიდი ხანია ვადაიარეს, ხოლო ესთეტიკური
ამროვნების ისტორიას კი უმაღლეს სკოლებში დღესაც ამ
წიგნით ასწავლიან. აქვე უნდა დავასახელოთ ციორგი
ჯიბლაძის ვრსელი და საინტერესო მონოგრაფიები – „რუსთა-
ველის ესთეტიკური სამყარო“ და „ნ. ბარათაშვილის პოეტური
გენია“, „ილია ჭავჭავაძე“, და „ვაჟა-ფშაველა“, „აეიცენას სის-
ტემები“ და „რუსოიზმის არსი“, „ფროიდის ფსიქონანალიტიკური
ესთეტიკის კრიტიკა“ და „მოლოხოვის ეპოსი“. ვერ დაასა-
ხეღებთ ვერც ერთ დიდ მოამროვნესა და ვამოჩენილ ოსტატს
ქართულის სიტყვისა, ვახტანგ VI იქნება ეს თუ სულხან-საბა,
გურამიშვილი და ბესიკი, რომ ჩვენს მკელევეარს მისი ღვაწლი
და ამავი ვაჭორჩენოდეს. ამ მრავალრიცხოვან ნაშრომებში
ვადმოცემულია არა მარტო ვრის სულიერი ცხოვრების მართ-
ალი ისტორია, არა მარტო ყოველი შემოქმედის ინდივიდუ-
ალური სამყარო, არამედ, როგორც მემოთ უკვე ვთქვი, ჩანს

თვითონ ავტორი, მისი უგულვითაღესი მისწრაფებანი, მისი ტკივილებიცა და სიხარულიც. ავტორი ხანდახან გადაუხევეს ხოლმე მთავარ თემას და სპეციალური ლიტერატურული ანალიზის ნაცულად იწყება გახსენება ძვირფასი სახელებისა, შკითხველის თვალწინ გაიღებენ თითო-ოროლა შტრიხით მოხატული პორტრეტები იმ მწერლებისა, ვის ნაწერებზეც ახლახან გვესაუბრებოდა ავტორი და ვისთანაც განმორება ასე ადვილად არ ეთმობა მას. აქ გამოჩნდება აჩრდილი გალაკიონისა, შვეიცარიის ალკებში რომ ესაუბრება ავეტიქ ისააკიანს და ვარკეტი მას თავის სურათს უსახსოვრებს. ასევე ლირიკულ გადახვევებსა და წიაღსვლებში გვიჩვენა მკვლევარმა გიორგი ლეონიძე და იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია და ლეო ქიაჩელი, მიხეილ შოლოხოვი და ნიკოლოზ ტიხონოვი...

როცა თვალს გადააუღებთ გიორგი ჯიბლაძის ნაშრომთა თემატიკას, არ შეიძლება არ განგაცვიფროთ ავტორის ინტერესთა მრავალმხრიობამ, პირდაპირ უნივერსალურმა განსწავლულობამ და კვლევა-ძიების უადრესად ფართო წრემ, როცა მკვლევარის მხედველობის არეში მოქცეულია მოელენები და ადამიანები, რომლებიც ხშირად საუკუნეებითა და ხანკიდევ ათასწლეულებით არიან დაშორებული ერთიმეორეს. მკვლევარმა დაინახა იდუმალი გამაერთიანებელი ძაფი, ერთის მხრივ, ანტიკური ეპოქის პოეტების – არქილოქესა და გირგოსის ლირიკულ სიმღერებსა და, მეორეს მხრივ, გალაკიონის „ლურჯა ცხენებსა“ და „მთაწმინდის მთვარეს“ შორის. რა უნდა იყოს მათში საერთო? ვაჟკაცური ჟინი და თავგამეტება, რომელსაც თან ახლავს მთელი მორევი უნაზესი გრძნობებისა – ასეთია ჯიბლაძის პასუხი. შეიძლება სადავოდ

მიგვეჩნია ასეთი შორეული, ათასწლეულებზე გადაწედილი გადაძახილები მსოფლიო პროექტებისა, მაგრამ საქმე სწორედ ის არის, რომ თვითონ გალაკტიონი ლექსად დაწერილ თავის ესთეტიკურ ტრაქტატში, რომელსაც ეწოდება „საუბარი ლირიკის შესახებ“, არაპარტო ულასტურებს, არამედ პირდაპირ კარნახობს მკვლევარს ასეთ მოსაზრებას. მსგავსი მაგალითები შეიძლება მრავლად მოვიყვანოთ ჯიბლაძის ნაშრომებიდან – ეს მისი კონცეფციაა. მკვლევარმა ქართული ამრის ევოლუცია და განვითარება განიხილა მსოფლიო ესთეტიკური ამროვნების, ასე ვთქვათ, კონტექსტში, მასთან მჭიდრო კავშირში, როგორც განუყრელი ნაწილისა, რომელიც მისდევდა საერთო მდინარებას და ხანაც წინ უსწრებდა მას, როგორც მაგალითად, რუსთაველის დროს, როცა აღმოსავლურმა რენესანსმა მთელი საუკუნით დაასწრო დასაქვლეთისას. „ქართული ფილოსოფიური ამროვნება და ლიტერატურული მეტყველება თავისი ესთეტიკური თეორიით მეთორმეტე საუკუნეში წინ უსწრებდა იტალიურ რენესანსს და უფრო ადრე ქადაგებდა იმ საკაცობრიო იდეალებს, რითაც შემდეგ ევროპამ იამაყა“.

– წერდა გიორგი თავის პირველ ნაშრომში, ხოლო შემდეგ უფრო განაერცო და დამაჯერებლად დაასაბუთა ეს თვალსაზრისი სპეციალურ მონოგრაფიაში რუსთაველზე.

ამავე საკითხს ეხება მკვლევარი წერილში „გალაკტიონის პროეტური გენია“. მასში ეკითხულობთ:

„ვანის არქეოლოგიურმა გათხრებმა ნათლად დაადასტურეს, რომ ჩვენი ეროვნული კულტურა წარმართულ ხანაშიაც უტოლდებოდა ბერძნულ-რომაულ ანტიკას, რომ მარტოდენ ქრისტიანულ მუასაუკუნეებსა და რენესანსის ეპოქაში როდი

გამოვიჩქოლით. ასეთ გრძნეულ მიწას ნამღვილად შეეძლო წარმოეშვა გალაკტიონ ტაბიძის პოეტური გენია, მისი ჯაღოსნური ლირიკა, ვპირული და ვაქეაცური ლექსი, რომელშიაც ადამიანის უტეხი ნება, ზღვის ძლიერ დელეასთან დაპირისპირებული, საოცრად მხატვრული სახეებით წარმოგვიდგება: „გადმონგრეი შენი ზვირთები, რომ მხარეებმა მხარეს გაასწროს, იქუხე, გასწყრი, არ ავგირდები, არც შებრალებას ვითხოვ არასდროს“.

ასეთია ქართული კულტურის განვითარების მწყობრი და ღრმა აზრით აღსაესე კონცეფცია, რომელიც ნათელ ზოლად გასდევს ჯიბლაძის ყველა ნაშრომს.

ორიოდე სიტყვა გიორგიზე, როგორც ადამიანზე. მის წიგნთა ტომებში არც ისე იშვიათად წააწყდებით თანამოკალმეთა და მეგობართა მისამართით წარმოთქმულ ეპითეტებს: „როგორც ადამიანი და მოქალაქე – სპეტაკი, გულწრფელი, შრომისმოყვარე და პრინციპული კაცია“, „უზადო, სათნო, თბილი მეგობარი, სიყვარულის განსახიერებაა“ და ა.შ. ყოველივე ეს ერთი ათად უნდა დაეუბრუნოთ გიორგის, ვინაიდან პირველ რიგში ის თვითონ არის ასეთი პიროვნება. ზუსტად 17 წლის წინ, თავის დაბადების დღეს, 10 მაისს გიორგიმ წერილი გამომიგზავნა, რომელშიც აღნიშნული იყო:

„ჩემმა ხანგრძლივმა და თან დაძაბულმა შრომამ პრაქტიკული და თეორიული მუშაობის ხაზით ბევრი რამ შემძინა, მაგრამ ბევრიც დამაკლო. „ის აღარა ვარ, რაც ვიყავ“, თუმცა „გული გვაქვს ახალგაზრდული“... წარსულს რომ ვიგონებ, ბევრი ნათელი სახე დგება ჩემს თვალწინ და ცრემლები მერევა,

რაკი ბევრს ვერ ეხელავ; ვინც ღარჩა, სულით და გულით მიყვარს... ეველრები ბუნებას (როგორც მაგერიალისტი), ცალი თვალთ ევეურებ მისტიკაში ღმერთს (როგორც ათეისტი) და ტრადიციულად ეთხოვ ჩემი ძველი მეგობრების უკელაეებას“.

ბარათი საკმაოდ ვრცელია და ჩვენ აქ მხოლოდ მცირე ნაწყევტი მოეიტანეთ. ეს არის გულწრფელი ადამიანური ღოკუმენტი, აღსაესე მწუხარებით, ადრე წასულ მეგობრებთან განშორების ვაშო. მავრამ აქვე შეხედეთ რაოდენ სახასიათო ღეგალს შეიცავს ეს ბარათი – მინორულ განწყობილებებში, ცრემლებში, სრულიად მოულოდნელად ნაქერწკალივით ვაიელვა ხუმრობამ ფილოსოფიის ისტორიიდან: ჩვენმა ციორვიმ მარჯველ აიფარა სპინოზას ნილაბი – მისტიკოსიკა ვარ და მაგერიალისტიკო.

ნება მომეცით ერთი პატარა, მავრამ საგულისხმო ამბის ვახსენებით დაეამთაეროთ ეს წერილი. ის ღროა, როცა ვიორვი ჯიბლაძე პირველად დანიშნეს განათლების მინისტრად. იმ ხანებში მე ღიტერატურული ვაზეთის რედაქტორი ვიყავი. ერთ დღეს, დილაადრიანად, კარი მორიდებით შემოალო ვილაკამ; შევხედე – ჩემი ძველი ნაცნობია, დიდი ხნის უნახავი. ხანშიშესული კაცი, მავრამ ისეე ჭარმაგად გამოიყურება, თანაც, საგანგებოდ, ახალ კოსტიუმშია ვამოწყობილი. ეს იყო უაღრესად განათლებული და ჭკვიანი კაცი, ძველი სემინარისტი, ადრევე რომ დასწაფებოდა მარტო ბასილი დიდისა და იოანე დამასკელის ნაწარმოებებს კი არა, თქვენ წარმოიდგინეთ, რუსოსა და ეოლტერის წიგნებსაც. დაესხედით და მოეყვით მთისაც და ბარისაც... ის თაეის ღრომე არც ვლექაკურ საქმეს მორიდებია და ახლაც გულწრფელად იხსენებს ფარხაჩიანის ვენახებსა და ოლე-იერის მინდერებს.

ვეუკლებ ყურს მის დინჯ ღარბაისლერ საუბარს და ვაგყობ – ამ ლირიკული წიაღსვლებისათვის არ ჩამოვიდოდა კახეთიდან. მართლაც, ბოლოს შიოხრა: ვიცი, შენ კარვად იცნობ განათლების შინისტრს, მიშუამდგომლე მასთან რუსული ენის მასწავლებლად დამნიშნოს სამუშალო სკოლაში, შენ დაგიჯერებსო.

რად ვეცყოდი უარს შუამდგომლობაზე, ვიცი, რომ ის ბრწყინვალედ იყო დაუფლებული რუსულ ენას. ერთი სიტყვით, საქმეს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ იმ ანდაზისა არ იყოს, ფონი კარგი იყო, მაგრამ ერთ ადგილას ახრჩობდა. უცებ გამახსენდა, რომ ჩემი სტუმარი ყოფილი მღვდელი იყო და მარტო მე კი არა, მთელი ზემო უბნის გოგო-ბიჭები იმის დანათლულები ვიყავით. ჰოდა, ახლა, მძიმე დროს, მოგვიწონებდნენ რომ ახალი თაობა აღსაზრდელად სასულიერო პირისათვის ჩაგვებარებინა? არ მოგვიწონებდნენ, ეს ჩემმა სტუმარმა ეტყობა თვითონაც გაიფიქრა და ამიტომ ხეეწნით მითხრა: შენი ჭირიმე, უთხარი მინისტრს, შიდა კახეთში არ გამამწესოს, იქ ყველა მიცნობს, ოხერსა და ტიალ კაცს რა გამოლევს ქვეყანაზე, მიჩივლებენ და იქნება მინისტრსაც საწყენი შეახვედრონო.

ერთი სიტყვით, რისკი იყო საჭირო. ვუთხარი გიორგის – ასე და ასეა-მეთქი საქმე. თან ისიც დავეუმატე – ეგ კაცი ახლა კი არა, როცა ანაფორა ეცეა, მაშინაც თავისუფალი მოაზროვნე იყო-მეთქი. მაშინ რუსული ენის კვალიფიციური მასწავლებელი ჭირდა და გიორგის ჭკუაში დაუჯდა ჩემი წინადადება. ეგ კი არა, სულაც არ შეფიქრიანებულა. მალე ის კაცი გამამწესეს გარე კახეთში, კაჭრეთის სამუშალო სკოლაში.

აქ მოხდა საოცარი ამბავი: ორ წელიწადში კაჭრეთის სკ-

ოლამ რუსული ენის სწავლებაში ისეთი წარმატებები მოიპოვა, რომ ახალი მასწავლებლის სახელი საკმაოდ ცნობილი გახდა... გაიგეს ეს ამბავი მიგა კახეთშიც, წითელწყაროს რაიონშიც და ერთი ამბავი დააწიეს – როგორ, ჩენი კადრი ჩენ თვითონ გეჭირდება და სხვაგან რად წასულაო. დასტაცეს ხელი და მიგა კახეთში გადაიყვანეს. ჩენს მღედელყოფილსაც სწორედ ეს უნდოდა. ასე მიუმატა გიორგიმ თავის ათასობით კეთილ საქმეს კიდევ ერთი კარგი საქმე.

ეუსურვოთ ჩენს გიორგის დღეგრძელობა და ახალი წარმატებანი ერის სამსახურის იმ სახელოვან გზაზე, რომელზედაც იგი შედგა სიყრმის წლებში და ახლაც ისევე ახალგაზრდული ენერჯით ემსახურება დიდი ქართული კულტურის ახალი აღორძინების საქმეს.

გიორგი ნატროშვილი

1985 წელს გამოქვეყნდა „საბჭოთა აჭარამ“ გამოსცა ბათუმელთათვის კარგად ნაცნობი და ყველასათვის საყვარელი პიროვნების – პუბლიცისტის, მხატვრისა და კრიტიკოსის ლადო შარაშიძის წიგნი „ნარკვევები, გახსენება“ ამ წიგნში მოთხრობილია ბევრი გამოჩენილი პიროვნების შესახებ, მათ შორისაა წერილი, რომელიც გიორგი ჯიბლაძეს ეძღვნება.

ვთავაზობთ ამ წერილს ხსენებული წიგნიდან.

აღაპიანი ღა მუნიერი

ერთსულოვნად აღიარებენ, რომ ჩვენი ღვაწლმოსილი მუცნიერი, აკაღმუიკოსი გიორგი ჯიბლაძე მუქკულია მადალი აღაპიანური თვისებებით, კამორჩევა ღილი მიზანსწრაფით, შრომისმყოფარეობით, თაემდაბლობითა ღა გულისხმიერებით.

ეს თვისებები მას ჯერ კიღეე ყმაწვილკაცობაში ახასიათებღა, რასაც სტუღენგობის წლებში აშკარად ვგრძნობღით მისი ახლო მეგობრები. ეს წლები ღაემთხევა საბჭოთა ქეეყნის ისტორიის მნიშუნელოვან პერიოღს, ოცღაათიანი წლების დასაწყისს, როღესაც უართოდ მუეიღრღებოღა კულტურული რეეოღუციის სოციალისტური საწყისები.

1930 წლის სექტემბერში, როღესაც ჩვენ ახლო გავეცანით ერთმანეთს, გიორგი ჯიბლაძე ყურაღღებას იქეეეღა, როგორც მეგაღ თაემდაბალი, უპრეგენზიო სტუღენგი, თითქოსღა არაფრით არ კამორჩეოღა სხეებისაგან. მაგრამ ერთ ღღეს მოხღა რაღაც მოულოღნელი, რამაც ყეეღა მოგეხიბღა ღა გავგაოცა. გიორგიმ აშკარად კამოამეღღენა თაეისი მანამღე მიყუჩებული ნიჭიერება ღა განათღებულობა. პირეეღ კურსზე სწავღის ღროს, მეორე სემესტრის მიწურულს, ჩაგარღა სემინარული მეცაღინეობა რუსული ღიგერატურის ისტორიის საკითხებზე. ჩემთან ერთაღ მოხსენებით გამოვიღა კიღეე ორი სტუღენგი. ჩვენი მოხსენებები აგებუღი იყო უმთაერესად იმ მასაღებზე, რაც ღეექიების კითხვის ღროს მოგეაწოღა პროფესორმა სერგი დანელიამ. სიგყეა ითხოვა გიორგი ჯიბლაძემ. მან მიმოიხიღა რუსული ღიგერატურის განეითარების ძირითაღი ეტაპები, ცნობიღი მწერღების შემოქმეღება ღა ხაზგასმით აღნიშნა, რით ღამუეიღრღენ ისინი მსოფღიო

ლიტერატურის ისტორიაში. ისე ჩამოაყალიბა ლეზულებს, რომ ყველანი დაატყვევა. ამ შემთხვევის შემდეგ მოწიწებით განეწვეთ მის მიმართ და წინამძღოლადაც ვაღიარეთ.

მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, როლესაც გიორგი ჯიბლაძის თაოსნობით დიდი პატივი დაძლეს – ამირჩიეს სტუდენტთა სამეცნიერო-ლიტერატურული წრის გამგეობის თავმჯდომარედ. მდივანი იყო ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებლის გიორგი ჩუბინიშვილის ქალიშვილი, რუსუდანი. ამ წრის სხდომებზე მოხსენებებით გამოდიოდნენ სტუდენტები, შემდეგში დიდად ცნობილი მწერლები და მეცნიერები: ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეები, ლავით კობიძე, მამია ლულუაძე, ალექსანდრე ლლონგი, ივანე გიგინეიშვილი, ალექსანდრე ჩაველიშვილი და, რასაკვირველია, თვითონ გიორგი ჯიბლაძე.

სამეცნიერო-ლიტერატურული წრის სხდომებზე სტუდენტები დიდი ინტერესით ვისმენდით პროფესორ-მასწავლებლების გამოსვლებს. ჩვენს მებსიერებაში არასოდეს წაიშლება შალვა ნუცუბიძის, კორნელი კეკელიძის, ვახტანგ კოტეგიშვილის, აკაკი შანიძის, სერგი დანელიას, მიხეილ მანდუკელის შემაჯამებელი სიტყვები.

უნივერსიტეტში სწავლის წლებში გიორგი ჯიბლაძემ დაიწყო ჟურნალისტური მოღვაწეობა. მისი წერილები იბეჭდებოდა თბილისის ჟურნალ-გაზეთებში, უმთავრესად კი „ახალგაზრდა კომუნისტში“.

უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ გიორგი ჯიბლაძე ჩარიცხეს ასპირანტურაში, მაგრამ იგი თავის მშობლიურ ქუთაისს დაუბრუნდა და საქალაქო გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ ჯერ პასუხისმგებელ მდივნად, შემდეგ რედაქტორის მოადგილედ და რედაქტორად მუშაობდა.

ლიტერატურის მოყვარულთა დიდი ისტერიის გამოიწვია 21 წლის, უკვე მოწიფული ახალგაზრდის ქუთაისში დაბეჭდილმა წიგნმა „ლიტერატურული საკითხები“. ამით დასაბამი მიეცა მის პრაქტიკულ საკვლევებო და კრიტიკულ მოღვაწეობას ძველი და თანამედროვე ქართული ლიტერატურის საკითხებზე. ამ დარგში მას ფასდაუდებელი ამაგი მიუძღვის. ყმაწვილკაცობაში შექმნილი ამ თეორიული ნაშრომის შემდეგ, როგორც ეს ბიოგრაფებმა დაადგინეს, გიორგი ჯიბლაძემ გამოაქვეყნა 40 წიგნი და 500-ზე მეტი მეცნიერული გამოკვლევა.

ამას წინათ, პარიზში ფრანგულ ენაზე, იუნესკოს გრიფით გაშოვიდა მისი წიგნი „ქართულის, როგორც არამშობლიური ენის, შესწავლის მეთოდები და ხერხები“. ეს წიგნი 156 ქვეყანაშია დაგზავნილი.

ავტორი იგონებს, რომ 1983 წლის დამლევს იგი მიიწვიეს პარიზში, იუნესკოს შტაბბინაში და შემოსთავაზეს დაეწერა მონოგრაფია, რომელიც უცხოელებს დაეხმარებოდა ქართული ენის შესწავლაში. ნაშრომში აღწერილია ქართული ენის ისტორია, მისი ფონეტიკური თავისებურებანი, მოყვანილია ცნობილი ქართული დამწერლობის წარმოქმნის შესახებ. ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეძღვნება იმ მეთოდებისა და ხერხების არსის გამოვლენას, რომლებითაც უცხოელები შეძლებენ დაეუფლონ ქართულს, როგორც არამშობლიურ ენას.

ჩვენს სინამდვილეში გიორგი ჯიბლაძე ითვლება გამოჩენილ მეცნიერად ესთეტიკის თეორიისა და ისტორიის სფეროში. მასშტაბურადაა ჩაფიქრებული მისი წიგნები, დაწყებული საკანდიდატო დისერტაციით „პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშენიერებისა“, შემდეგ კი ცალკე წიგნად გამოქვეყნებული სადოქტორო დისერტაცია „ხელოვნება და სინამდვილე“.

ძნელია ერთ წერილში ვისაუბროთ ესთეტიკის პრობლემებისადმი მიძღვნილ მის ნაშრომებზე, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ისინი მჭიდროდ უკავშირდება თანამედროვე ლიტერატურულ თუ მხატვრულ პროცესს, და ამ პროცესის უშუალო მონაწილეა. ამ მხრივ დამახასიათებელია გიორგი ჯიბლაძის ლექსი ლადო გუდიაშვილის „თაყვანისმცემელ სილამაზით გასაგნებული ხელოვნების“ გამუქებაში.

როგორც ცნობილია, ლადო გუდიაშვილის თვითმყოფადი, მეტად თავისებური შემოქმედება ფორმითა და შინაარსით მკვეთრად გამოირჩევა სხვა ხელოვანთა შემოქმედებისაგან. ბევრი, მათ შორის ბოგეირთი ხელოვნების მოღვაწეც, ლადო გუდიაშვილის ქმნილებებს რეალისტური ხელოვნების მიღმა აყენებდა და მხატვრის ახირებად, ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნევდა.

გიორგი ჯიბლაძემ დამაჯერებლად განმარტა ლადო გუდიაშვილის შემოქმედების თავისებურება, მისი ეროვნული ხასიათი. აი, რას წერს მეცნიერი მონოგრაფიულ გამოკვლევაში „ლადო გუდიაშვილი“: „მისი შემოქმედება რეალისტური მხატვრული წარმოსახვის დადასტურება და გამარჯვებაა. რეალიზმი რომ ტილოზე სინამდვილის მარტოოდენ გადმოტანას ნიშნავდეს, როგორც ეს ბოგეირთს წარმოუდგენია, მაშინ საკითხაჲია, რაღა საჭიროა ხელოვნება, როცა სინამდვილე თვით სინამდვილეში უკეთ შეიძლება დაეინახოს, ვიდრე ტილოზე გადმოტანილი? ხელოვნება იმიტომაა საჭირო, რომ სინამდვილეში ის დაგვანახოს, რაც ჩვეულებრივი ადამიანისათვის შეუძნეელია, ის გვაგრძნობინოს, რასაც შემოქმედის გარეშე ვერ განვიცდით; ერთი სიტყვით, რეალიზმი ხელოვნებაში სინამდვილის დანახვაა და არა სინამდვილის

განსივრება; ამაღლებული რეალობაა, რომელსაც სწორედ ამაღლებულობის გამო რომანტიკული შარაფანდელი თავს დასდგოძია. ვერ დავესახელებთ პარიზიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ გულიაშეილის ვერც ერთ ნამუშევარს, რომელსაც ეს რეალისტური მაჯისცემა არ ქჟონდეს და გვირგვინად რომანტიკული შარაფანდელი არ ედგას“. ცხადია, ხელოვანის იდეურ-ესთეტიკურ მრწამსს მხოლოდ ის ჩაწედება, ვისაც კარგად აქვს გაგებული მხატვრული ძიების არსი და უხარი შესწევს სწორად და მართებულად შეაფასოს ხელოვანის ღვაწლი.

გიორგი ჯიბლაძის დიდი, სახელმწიფოებრივი, სამოცადოებრივი საქმიანობით გადაგვირთვის გამო მისი სტუდენტობის მეგობრები ყოველთვის თავს ვიკაეებდით და ძლიერ ვზღუდავდით მასთან შეხვედრებს, მაგრამ, როცა ამის შესაძლებლობა შეიქმნებოდა, იგი ყოველთვის ისე შეგვხვებოდა, თითქოს საგანგებოდ მოემზადაო საამისოდ.

ამ ერთი წლის წინათ მეცნიერებათა აკადემიაში ვესტუმრე მას. ძმურად მომეხმატკბილა, ყველა საქმე გვერდზე გადადო და გულთბილად ვისაუბრეთ. მას უყურადღებოდ არ დარჩენია ლიტერატურისა და ხელოვნების თემებზე შესრულებული ჩემი შრომები, რაზედაც გულწრფელად მელაპარაკა და მეგობრული რჩევებიც მომცა. მომიძღვნა მისი ბოლოდროინდელი კაპიტალური ნაშრომი „შოლოხოვის ეპოსი“ ავტოგრაფით.

„შოლოხოვის ეპოსი“ მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომია. ეს წიგნი აღიარებულია ისეთ მონოგრაფიად, რომელიც ახლებურად გვაცნობს მიხეილ შოლოხოვს.

გიორგი ჯიბლაძის მეცნიერული მოღვაწეობა ერთი რომელიმე დარგით არ იფარგლებს. იგი არის ახალი და

უახლესი ქართული, რუსული, უკრაინული, სომხური ლიტერატურის მკვლევარი. საგანგებო აღნიშვნის ღირსია მისი მოღვაწეობა ხელოვნების ისტორიაში, პედაგოგიაში, ფილოსოფიაში. ამასთან ერთად იგი მეცნიერულ მოღვაწეობას შესანიშნავად უხამებს საზოგადოებრივ საქმიანობას.

გიორგი ჯიბლაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეიცე-პრეზიდენტია. მიღებული აქვს მთაწკობის მაღალი ჯილდოები, იან ამოს კომენსკის და იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიები, ხოლო ახლახან, დაბადების 70 წლისთავეთან დაკავშირებით, დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

გიორგი ჯიბლაძის მთელი ცხოვრება და შემოქმედება გასხივოსნებულაა მაღალი ინტელექტითა და ადამიანობით.

გიორგი ჯიბლაძის გარდაცვალებამ დიდად დაამწუხრა ქართველი საზოგადოებრიობა.

გთავაზობთ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ნეკროლოგს და ასევე სხვა მასალებს დიდი მეცნიერის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

გიორგი ჯიბლაძე

ქართულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ერთი თავკაცთაგანი, სახელოვანი კრიტიკოსი

და ხელოვნებათმცოდნე, ცნობილი საზოგადო, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1939 წლიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საბჭოთა კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი ნამდვილი წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ნიკოლოზის ძე ჯიბლაძე.

წავიდა ჩვენგან დეაწლმოსილი მეცნიერი, მშობლიური კულტურით შთაგონებული მკვლევარი, მაღალი მწიგნობის მოქალაქე და კეთილშობილური ბუნების ადამიანი.

გიორგი ჯიბლაძე ცნობილი იყო, როგორც მრავალმხრივი მკვლევარი – ლიტერატურისა და ხელოვნების თეორეტიკოსი, ისტორიკოსი და კრიტიკოსი, პუბლიცისტი და ჟურნალისტი, პედაგოგიკური აზრის ისტორიკოსი და მეცნიერების გამოცდილი ორგანიზატორი.

გიორგი ჯიბლაძემ შრომითი საქმიანობა ადრეულ სიჭაბუკეშივე დაიწყო. 1933 წელს, 20 წლისამ, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1931-1941 წლებში მუშაობდა გაზეთების – „წითელი არმიელის“, „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციებში. 1934 წელს გამოვიდა ახალგაზრდა ლიტერატორის პირველი წიგნი – „ლიტერატურის საკითხები“. გიორგი ჯიბლაძის შემოქმედებით ნაყოფიერებაზე ნათლად მეტყველებს მისი ვრცელი მემკვიდრეობა – 500 ნაშრომი და 57 ცალკე გამოცემული წიგნი.

1944 წელს მას ირჩევენ საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნად, 1955 წელს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1960 წელს – აკადემიკოსად და აკადემიის პრეზიდიუმის წევრად. 1953 წელს იგი აირჩიეს სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და ამ აკადემიის პრეზიდიუმის წევრად.

წლების მანძილზე გიორგი ჯიბლაძე მუშაობდა ხელმძღვანელ პარტიულ და სახელმწიფო თანამდებობებზე. იგი იყო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგე, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს განათლების მინისტრი, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი. 1980 წელს იგი აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად. 1988 წლიდან მუშაობდა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველად.

გიორგი ჯიბლაძის შრომებმა ფართო გამოხმაურება პოევს არა მარტო საქართველოსა და საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთის საშეცნიერო წრეებშიც. მისი მონოგრაფიებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „რუსთაველის ესთეტიკური სამყარო“, ფუნდამენტური გამოკვლევები: „ილია ჭავჭავაძე“, „ბარათაშვილის პოეტური გენია“, „ვაჟა ფშაველა“, „მოლოხოვის ეპოსი“, „რუსოიზმის არსი“, „აეიცენას სისტემები“, „კრიტიკული ეტიუდების“ ცხრა ტომი. საერთაშორისო აღიარება პოვა მკვლევარის მონოგრაფიებმა: „ესთეტიკური აღზრდის პრინციპები“, პარიზში ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებულმა მონოგრაფიამ „ქართულის, როგორც არამშობლიური ენის შესწავლის შესახებ“ და მონოგრაფიამ „კომენსკის ფილოსოფია“, რომელიც ჩეხოსლოვ-

აკის მაღალი სახელმწიფო ჯილდოთი – კომენსკის სახელობის ოქროს მედლით აღინიშნა. მას აგრეთვე მინიჭებული ჰქონდა კრუსკაიას სახელობის მედალი.

განსაკუთრებით დიდია გიორგი ჯიბლაძის დამსახურება ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის წინაშე. მან ჩინებული კრიტიკული ნაშრომები უძღვნა გრ. ორბელიანის, დ. გურამიშვილის, გ. ერისთავის, ა. წერეთლის, ა. ყაზბეგის და არაერთი სხვა ქართველი კლასიკოსების შემოქმედებას. მრავალი წერილი მიუძღვნა მკვლევარმა რუსულ და მოძმე ხალხთა ლიტერატურების კორიფეებს და ლიტერატურულ ურთიერთობათა პრობლემებს, განსაკუთრებით ქართული და რუსული ლიტერატურების ურთიერთმომოქმედებისა და ურთიერთგამდიდრების პროცესებს.

გიორგი ჯიბლაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ესთეტიკური აზრისა და პედაგოგიური მეცნიერების განვითარებაში. მისი პრობლემური გამოკვლევები – „პრობლემა ბუნებისა, და ხელოვნების მშენიერებისა“, „ხელოვნება და სინამდვილე“, „ესთეტიკური თეორიის საკითხები“, „ფროიდიზმის ანალიტიკური ესთეტიკის კრიტიკისათვის“ ფართოდაა ცნობილი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი იყო გიორგი ჯიბლაძის პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა ორი კათედრა, რომელთა პირველი გამგეც თვითონ იყო; ჟურნალისტიკისა (1952-1956 წლებში) და ესთეტიკისა (1963-1969 წლებში). გიორგი ჯიბლაძის ხელმძღვანელობით მომზადდა სამ ათეულზე მეტი სადოქტორო და ორ ათეულზე მეტი საკანდიდატო დისერტაცია. გიორგი ჯიბლაძის მოწაფეთა

შორის არიან საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები და ფილოლოგიის მეცნიერებათა მრავალი დოქტორი.

ვიორჯი ჯიბლაძე მრავალჯერ იყო არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად და წევრობის კანდიდატად, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრად. დაჯილდოებული იყო ორი ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის სამი წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და მრავალი მედლით.

ვიორჯი ჯიბლაძის – გამოჩენილი მეცნიერის, ჩინებული პედაგოგისა და დაულალავე საზოგადო მოღვაწის ნათელი სახელი სამუდამოდ დარჩება ქართული კულტურისა და მეცნიერების მაგიანეში.

მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

ქართულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა – 1989 წლის 24 სექტემბერს გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ვიორჯი ჯიბლაძე. ვიორჯი ჯიბლაძე ექვსი ათეული წლის განმავლობაში ემსახურებოდა ქართული კულტურის დიად საქმეს, წარმატებით იკვლევდა ფილოსოფიის, ლიტერატურის კრიტიკის, სახეითი ხელოვნების, ესთეტიკის, თეატრისა და სახალხო განათლების დიდმნიშვნელოვან პრობლემებს.

მის კალამს ეკუთვნის 540-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის ოთხ ათეულზე მეტი ცალ-ცალკე წიგნია: „პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშენიერებისა“, „ხელოვნება და სინამდვილე“, „ესთეტიკური თეორიის საკითხები“, „ესთეტიკური აღზრდის საკითხები“, „კოპენსკის ფილოსოფია“, „არუსთაველის ესთეტიკური სამყარო“, „ილია ჭავჭავაძე“ ორ ტომად, „ვაჟა-ფშაველა“, „კრიტიკული ეტიულების“ რვა ტომი და სხვა.

გიორგი ჯიბლაძეს მეცნიერული კონტაქტები პქონდა ლამყარებული სამღვარგარეთის მეცნიერებთან (კალისტრატე სალია, ვერარ გარტი, მიშელ ვან ესბროკი, ჰანს ფოგტი, ლუიჯი მაგაროტო, დაეით მარშალ ლანგი, რობერტ სტივენსონი, ქეთრინ ვივიანი, რობერ ტრიომფი, ბერნარ უტიე, ჰაინც ფენრიხი, კარლპორსტ შმიდტი, ვინფრიდ ბოლერი, შაბიერ კინგანა, ეან-პიერ მაე და სხვა).

მეცნიერების ბევრი ნაშრომი ითარგმნა ევროპის მრავალ ენაზე, დაიწერა რეცენზიები, საზღვარგარეთის ქვეყნებში მრავალჯერ გამოსულა სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე ლექციებითა და მოხსენებებით ქართული ლიტერატურის, პედაგოგიკისა და ხელოვნების საკითხებზე.

ბატონი გიორგი 1957 წელს მონაწილეობდა ენევის ვანათლების მუშაკთა XX საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში, 1967 წელს საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში მონრეალის საერთაშორისო კონფერენციაზე, სხვა და სხვა დროს იყო პრალის უმაღლესი ვანათლების პრობლემებისათვის მიძღვნილი კონფერენციის, ბერლინის პედაგოგიკისა და ესთეტიკური აღზრდის პრობლემებისადმი მიძღვნილი კონფერენციის მონაწილე, 1972 წელს აესტრიაში მეთაურობდა საქართველოს დელეგაციას. 1982 წელს იუნესკოს რეგიონალურ სემინარზე დრემბენში რამდ-

ენჯერსე გამოსილა ლექცია-მოსხენებით. გამოსულა მოხსენებით ქენეჯაში, პარიზში, ექსაში, პრაღაში, ბერლინში, ბუქარესტში, იასაში, ბრაგისლაჟაში, ვარშაჟაში და სხვა ქალაქებში.

უცხოეთის პრესაში გამოქვეყნდა მრავალი რეზენცია მის ნამ-რობებზე. ურანგული ეურნალის „რევიუ დე კარგელოლოჟის“ 1971 წლის 28 – გომში გამოქვეყნდა სარელაქციო წერილი, რომ-ელიც მიედღნა გიორგი ჯიბლაძის მონოგრაფიას ილია ჭავჭ-აჟაძეზე. წერილში აღნიშნულია, რომ პროფესორმა, გიორგი ჯიბ-ლაძემ პირელაში მოგვცა ილია ჭავჭაჟაძის შემოქმედების ღრმა მეცნიერული ანალიზი, იწონებს ქართული მეცნიერის მოსა-ზრებებს. რეცენზენტი შესღეუ გახაზაჟს, რომ მონოგრაფიის აე-ტორმა ჭეშმარიტად წარმოაჩინა „განღევილში“ ჩაჭოვილი ფი-ლოსოფიური აზრები მსოფლიო ლიტერატურის შეღეერებთან მი-მართებაშიო. ბოლოს გვაძღეეს საგუღისიხიო დასკენას: „გიორგი ჯიბლაძემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მწერლის შემეკიღრეობას, რომელიც დაგვიტოვა სოციაღურ-ესტეტიკურ და კრიტიკული აზროენების ისტორიაში. მონოგრაფიაში მსოფლიო ლიტერატურის შეღეერებთან მიმართებაში ორგანულადაა გაღაწყეეტილი თეორიული და ფილოსოფიური პრობღემები. წიგნი ღიდ ინტერესს აღძრავს XX საუკუნის საქართელოს ის-ტორიისა და სოციაღური ცხოერების სრულყოფიღად შესწავღის საქემში“.

ქ. იენის უნივერსიტეტის სამეცნიერო ეურნალის „გემღელმ-აფტუნღ შპრახეისენზაფტის“ 1977 წლის პირეღლ გომში დაიბეჭღა გ. ჯიბლაძის ერცელი ნამრომი აღექსანღრე ყაზბევის შემოქმედებაზე.

აღნიშნული ნამრომი წაუკითხავს ძეღლი ქართული ლიტ-ერატურის მკეღეეღარს, ურანგ მეცნიერს ბერნარ უტიეს, აი რას

წერს იგი: „ძალიან იშვიათია საფრანგეთში ერთი და იმავე პიროვნება იყოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი, მკვლევარი და მინისტრი. ასეთი კაცია ჩემს საყვარელ საქართველოში ბატონი აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე, რომელმაც თავისი ნაშრომებით აღიარება კპოეა არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთში. მისმა ნაშრომმა ალექსანდრე ყაზბეგზე და, საერთოდ, სხვა ქართველ მწერლებზე მოგვხიბლა. ჩვენ მის ნაშრომებს ყოველთვის ვიყენებთ ჩვენს სამეცნიერო მუშაობაში“ (ბერნარ უტიე – 1983 წლის 29 აპრილის წერილიდან).

ინგლისელი ქართველოლოგი, „ვეფხისტყაოსნისა“ და „ამირანდარეჯანიანის“ ინგლისურ ენაზე მთარგმნელი – პროფესორი რობერტ სტივენსონი ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს, რომ „აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე ნაყოფიერი მკვლევარია, მისი ნაშრომები დაწერილია მაღალ მეცნიერულ დონეზე, გამოირჩევა იშვიათობით ყველა ქვეყნის თაობებს შორის“.

ნორვეგიელი პროფესორი პანს ფოგტი თავის 1983 წლის 26 თებერვლის წერილში აღნიშნავს:

„... შეუძლებელია ყველა იმ ნაშრომის ჩამოთვლა, რომელიც გიორგი ჯიბლაძემ დღემდე გამოაქვეყნა ქართული ლიტერატურის დიდმნიშვნელოვან საკითხებზე. მკვლევარმა ფართო მკითხველისათვის ბევრი უცნობი საკითხი გამოიკვლია. კერძოდ, მისმა მონოგრაფიამ „ნ. ბარათაშვილის პოეტური გენია“ გზა გამიხსნა ამ პოეტის პოეტური სამყაროსაკენ, რომელსაც ნაკლებად ვიცნობდი“.

ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი, ვეფხისტყაოსნის ინგლისურ ენაზე მთარგმნელი ქეთრინ ვივიანი ერთ-ერთ წერილში წერს: „პროფესორი გიორგი ჯიბლაძე ცნობლია საზღვარგარეთ,

როგორც გამოჩენილი ქართველი პედაგოგი, ფილოსოფოსი, ლიტერატურისა და თეატრალური ხელოვნების კრიტიკოსი, აგრეთვე როგორც ევროპული ლიტერატურისა და კულტურის მცოდნე და პატივისცემული. გიორგი ჯიბლაძის ნაშრომებმა შოთა რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ეაქა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძისა და გიორგი ლეონიძის ესთეტიკურ სამყაროზე მდებარეებით დაინტერესება გამოიწვია“.

ცნობილი გერმანელი ქართველოლოგი, იენის უნივერსიტეტის პროფესორი – ჰაინც ფენრიხი წერს: „გიორგი ჯიბლაძემ 50 წლის მანძილზე შექმნა იმდენი ერცელი და საყურადღებო ნაშრომი, თანაც არა მხოლოდ ლიტერატურასა და ესთეტიკაში, არამედ პედაგოგიკასა და ფილოსოფიაშიც. და ასე შემდეგ პირდაპირ მოხიბლული ვარ მისი ბევრი წიგნით, მათ შორის, მონოგრაფიით ნიკოლოზ ბარათაშვილზე, რომელიც ჩემს ბიბლიოთეკას ამშვენებს“.

განსაკუთრებით დიდია გ. ჯიბლაძის დამსახურება პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარებაში. მეტად ფასეულია მისი ნაშრომები: „ესთეტიკური აღზრდის პრინციპი“, „პედაგოგიკა და მეთოდლიკა“, „კომენსკის ფილოსოფია“ და სხვა. „კომენსკის ფილოსოფია“ იმთავითვე გადაიქცა საგანგებო ინტერესის წიგნად. სპეციალისტთა შეფასებით, ნაშრომში პირველადაა გაშუქებული დიდი ჩეხი პედაგოგის იან ამოს კომენსკის ფილოსოფიური თეალსაზრისის მის პედაგოგიურ იდეებთან მინაგანი კავშირის თავისებურებანი, დადგენილია მათი ორგანული ერთიანობა. გ. ჯიბლაძე 1977 წელს ჩეხმა მეცნიერებმა მატეო ლუჩანმა და იარომირ გრებეკმა მიიწვიეს ჩეხოსლოვაკიაში, სადაც ქართველმა პროფესორმა წაიკითხა ლექციები თემაზე: „კომენსკის

პედაგოგიკური ცენია“. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ჩესმა პროფესორებმა სტანისლავ მაჟანმა, ვოიცეხ პაელასეკმა, ვაცლავ ციხამ და ჩეხოსლოვაკიის განათლების მინისტრის მოადგილემ – მიროსლავ ციპრომ. მათ მაღალი შეფასება მისცეს ქართველი მეცნიერის ნაშრომს და უსურვეს შემდგომი წარმატებანი. აღნიშნული ნაშრომი დაიბეჭდა ჩეხურ ჟურნალში.

აღნიშნულ ნაშრომს ყურადღება მიაქცია აგრეთვე ცნობილმა რუსმა ფილოსოფოსმა, აკადემიკოსმა მ.გ. მიტინმა, რომელიც ნაშრომს მიიჩნევს ფუნდამენტალურ მეცნიერულ გამოკვლევად: „გიორგი ჯიბლაძეს მიეკუთვნება უკედავი დამსახურება ჩვენი ფილოსოფიური მეცნიერების წინაშე, რომ მან პირველად მოგვცა იან ამოს კომენსკის ფილოსოფიურ შეხედულებათა სერიოზული მარქსისტული გამოკვლევა, გვიჩვენა მისი ადგილი და როლი ფილოსოფიის ისტორიაში“.

გიორგი ჯიბლაძეს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული კულტურის წინაშე, მისი ხსოვნა მშობელი ხალხის გულში მარად წარუშლელია.

სერგო თურნავა.

რუსთაველის სახელობის ქართული ლიგერატურის

ინსტიტუტის უფროსი მეც. თანამშრომელი,

საფრანგეთის არტურ რემბოს კულტურის ცენტრისა და
კანადის საზოგადოების „ეკრიტიკურ ფრანსეზ დან-ლუ მონდის“

წევრ-კორესპონდენტი.

მეცნიერი, მწერალი, მოღვაწე

სრულიად საქართველო უსაზღვრო მწუხარების ვრცობით ეთხოვება დიდებულ მეცნიერს, მწერალს, მამულიშვილს, გიორგი ნიკოლოზის ძე ჯიბლაძეს.

არავინ ყოლია ახლობელთაგან, ვგას რომ ვაუკაჟაუდა, შე-
ეშეულებოდა სიძინელეთა გადალახვაში, დასახული მალალი მიმწ-
ის განხორციელებაში. მხოლოდ თავისი ნათელი ნიჭიერების,
გაუგებელი ნებისყოფის, შრომისმოყვარეობის წყალობით მიიქცია
გიორგი ჯიბლაძემ საზოგადოების ყურადღება იმთავითვე ჩაღვა
მრავლისაღმქმელ ახალგაზრდა მეცნიერთა და მწერალთა
რიგებში.

მეგობრები და ახლობლები ვერ იხსენებენ გიორგი ჯიბლაძის
ცხოვრების ისეთ პერიოდს, როცა თავის მეცნიერულ და ლიტ-
ერატურულ მოღვაწეობასთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ
საქმიანობაში არ ყოფილიყო ჩაბმული. არც ის ახსოვს ვინმეს,
მასზე დაკისრებული დიდი თუ მცირე საქმე მონღომებით არ
შეესრულებინოს, ან კიდეე ოფლმოუღვრელად, იოლად მიეღწიოს
წარმატებისათვის. როგორც იგყვიან ხოლმე, თავისი დღე და
მოსწრება დაუღალაუად შრომობდა.

1934 წელს გამოიყა გიორგი ჯიბლაძის პირველი წიგნი „ლი-
ტერატურის საკითხები“, ხოლო ორიოდე წლის შემდეგ ჟურნალმა
„მნათობმა“ მკითხველს გააცნო მისი ვრცელი ნაშრომი „ბარათ-
აშვილი და ლერმონტოვი“.

1939 წელს გიორგი ჯიბლაძემ დაიყა საკანდიდატო დისერ-
ტაცია „პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშეენიერებისა“. 1941
წლიდან გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის პირველ მოადგილედ

ლანიშნა, ხოლო 1944 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის პასუხისმგებელ მდიანად აირჩიეს.

სხვადასხვა ღროს გიორგი ჯიბლაძე იყო პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი...

ჩვენმა საზოგადოებამ კარგად უწყის, რომ ყველა პოსტზე იგი თავის მოვალეობას ასრულებდა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, მთელი გულით, ასევე მრავალს უგრძენია მისი საოცარი გულისხმიერება, კეთილშობილება, სამართლიანობა. ნაყოფიერ მეცნიერულ და ლიტერატურულ შრომას იგი ყოველთვის მშვენიერად უთავსებდა დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ამით მოიპოვა საერთო პატივისცემა და სიყვარული.

ვისაც ქართული მწერლობა უყვარს, მუდამ ინტერესით წაიკითხავს გიორგი ჯიბლაძის გამოკვლევებს ალექსანდრე ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტაბიძის, შალვა დადიანის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯაფარიძის, ლეო ქიაჩელის, გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის, ალიო შირცხულაეას, კარლო კალაძის, კოლაუ ნადირაძის და სხვათა შემოქმედების შესახებ. გიორგი ჯიბლაძემ თავისი ერთ-ერთი უკანასკნელი ნაშრომი მიუძღვნა ჩვენს გამოჩენილ პოეტს მუხრან მაჭავარიანს.

1955 წელს გიორგი ჯიბლაძე აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1960 წელს – აკადემიკოსად და აკადემიის პრეზიდიუმის წევრად.

1976 წლის აპრილიდან იგი სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი იყო, 1980 წლიდან – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი...

მეცნიერის მრავალრიცხოვან ნაშრომთაგან 50-ზე მეტი (ჯალ.ი) წიგნად არის გამოცემული. ზოგიერთი მათგანი გამოქვეყნებულია რუსულ, ინგლისურ, ცერმანულ, სლოვაკურ, სპარსულ ენებზე.

მონოგრაფიისათვის „კომენსკის ფილოსოფია“ ჩეხოსლოვაკიის პრემილენტმა ჩეენი თანამეიამულე დააჯილდოვა კომენსკის მედლით.

მონოგრაფიას „ესთეტიკური აღმრდის პრინციპი“ იაკობ გოგებაშეილის სახელობის პირველი პრემია შეინიჭა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მნიშვნელოვანი მონოგრაფიული ნაშრომები: „ბარათაშეილის პოეტური ცენია“ (1968), „რუსთაველის ესთეტიკური სამყარო“ (1966), „ილია ჭავეჭავეაძე“ (1966), „ეაეა-ფშაველა“ (1961).

უაღრესად გულთბილი წერილები მიუძღვნა მწერალმა-მეცნიერმა ბრძენ ერისკაცებს – ექეთიმე თაყაიშეილს, გიორგი ახელელიანს, აკაკი შანიძეს, ღიმიტრი უმნაძეს...

ჩეენი საზოგადოება ღიდად აფასებს გიორგი ჯიბლაძის დამსახურებას პედაგოგიკის მეცნიერებათა განვითარებაში. საგულისხმოა, რომ ქართველი მეცნიერის რედაქციითა და წინასიგყვაობით 1981 წელს მოსკოვში გამოეიდა ეან-ეაე რუსოს პედაგოგიკურ თხზულებათა ორტომეული.

გამოჩენილი მეცნიერის, მწერლის, საზოგადო მოღვაწის გიორგი ჯიბლაძის ნათელი ხსოვნა სამუღამოდ იცოცხლებს მშობელი ერის გულში.

ხუტა ბერულავა

რა რჩება კაცისგან

არ შეგონა, ვერ ვიფიქრებდი, რომ შენი ამ ქვეყნიდან წასვლის ეამს გამოსათხოვარი სიტყვების წარმოთქმა, ამ მწარე სტრიქონების დაწერა მე მომიხლებოდა, ჩემო საყვარელო ძმაო, ჩემო კარგო ვიორცი! არ შეგონა იმიტომ, რომ ის მჩქეფარე ენერჯია და შემართება, გრიბუნაზე და საწერ მაგიდასთან რომ უმაღლეს გამოჩნდებოდა ხოლმე, ეფიქრობდი გაცყვებოდა ძლიერ დიდხანს, გაცილებით უფრო ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე, მაგრამ რას იზამ, ასეთი ყოფილა ბოლო კაცის ცხოვრებისა. ვერავითარი ცრემლი, გოდება ვერ შეამოსუბუქებს ამ მძიმე დასასრულს, მაგრამ თურმე, ვერც ვერავითარი სიკვდილი ვერ ჩააქრობს სულის იმ სანთელს, რომელიც ადამიანს აუწითია ხანგრძლივი თუ ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე თავისი შრომითა და გარჯით.

ჯერ მისი ახალგაზრდობის წლები გაეიხსენოთ. 1938 წელი... ქუთაისი... პედაგოგიური ინსტიტუტი... კათედრასთან ღვას ოცდახუთი წლის ჭაბუკი. დღეს მან აქ ლექცია უნდა წაიკითხოს. თემას არ იკითხა? არც მეტი, არც ნაკლები – არის გოგელეს პოეტიკა. ირგვლივ საქმიანი ფუსფუსია, სტუდენტები ჩვეული ერთმანეთით შემოდიან აუდიტორიაში და ინტერესით შეაუფლებენ თვალს ახალგაზრდა ლექტორს, რომელიც ერთი კაჟანდარა ბიჭია და ხნით მათზე არც ისე დიდათ უფროსია. ლექტორიც, დრო და დრო, ყურადღებით გადახედავს ხოლმე აუდიტორიას. აგერ, დარბაზში ნელ-ნელა შემოდიან ქუთაისელი პროფესორ-მასწავლებლები და თვითონ რექტორიც, რაშია საქმე, რატომ

არის ესოდენ უჩვეულო მზალეა ლექციის წინ, რატომ ღელავენ დამსწრენი და თვითონ ახალგაზრდა ლექტორიც? თურმე ღღეს წყლება მისი ბელი, ღღეს უნდა ჩააბაროს მან ყველაზე მძიმე გამოცდა. თბილისიდან, განათლების სახალხო კომისარიაგის დაეალებით წინა ღღეს ჩამოსულა პროფესორი სერგი დანელია, რათა ლექციას დაესწროს, შეამოწმოს ღონე და ხარისხი, თან სტენოგრაფისტი ქალიც ჩამოუყვანია, რათა ლექტორის არც ერთი სიტყვა აღუნუსხაეი არ დარჩეს. საცაა კარს შემოაღებენ თბილისელი სტუმრები.

რა დასაძალია, და მართლაც მაგარი ნერეები უნდა გქონდეს, რომ აუღელეებლად წაიკითხო ლექცია ამ ურთულეს თემაზე, რომელსაც ესწრება ანტიკური ფილოსოფიის უბადლო და მთელ საბჭოთა კავშირსა და მის ფარგლებს გარეთაც აღიარებული სპეციალისტი; როგორც იქ დამსწრენი იგონებენ, სრულიად გამოუცდელმა ლექტორმა ეს ძნელზე ძნელი გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა და ქებაზე იშეიათად ძუნწ, პირდაპირ სამაგალითოდ ძუნწ ფილოსოფოსს ათქმეინა: – ხომ მოისმინეთ, ბატონებო, რა მშეერიერი ლექცია წაიკითხა, აბა რა გეგონათ, ეგ ხომ ჩემი ყველაზე უკეთესი სტუდენტი იყო! მწყობრად, ცოცხლად და დალაგებით, შესანიშნაეი ლოგიკით გადმოსცა ახალგაზრდა ლექტორმა თემა და ეს იყო მისი მეცნიერული მოღვაწეობის, მართლაც მშეერიერი დასაწყისი.

მუღმევი ძიება ჭეშმარიტებისა, სილაამზისა და სიკეთისა, გაუთაეებელი და შეუწელეებელი ბრძოლა მათი დამკვიდრებისათვის, ბრძოლა ბოროტის დათრგუნვისა და კეთილისათვის ყველაზე უფრო ფართო გზის გასაკაფაუალ და გასაწმენდად, დიდი სახალხო სიმართლისა და კუმანიზმის კეთილმოზილური იდეალების გამარჯეებისათვის – ეს იყო ღელააზრიცა და მთაეარი

მსმანაც გიორგი ჯიბლაძის მრავალრიცხოვანი ნაშრომებისა. მე არ შევეუფლები აქ მისი ბიოგრაფიის მოყოლას, ვინაიდან მთელი მისი ცხოვრება – მისივე ნაწერებშია, მის ცხრა მოზრდილ ტომში და კიდევ სალოქტორო ლისერტაციაში – „ხელოვნება და სინამდვილე“. მის ამ მრავალრიცხოვან ნაშრომებში ვადმოცეპულია არა მარტო ყოველი შემოქმედის ინდივიდუალური სამყარო, არამედ აქვე ჩანს თვითონ ავტორი, მისი უკუვითადესი მისწრაფებანი, მისი ტკივილებიცა და სიხარულიც.

როცა თვალს გადააქვლებთ გიორგი ჯიბლაძის ნაშრომთა თემატიკას, არ შეიძლება არ განცაცეიფროთ ავტორის ინტერესთა მრავალმხრივობამ, პირდაპირ უნივერსალურმა განათლებამ და კვლევა-ძიების უაღრესად ფართო წრემ, მკვლევარმა დაინახა იდუმალი გამაერთიანებელი ძაფი, ერთის მხრივ, ანტიკური ეპოქის პოეტების – არქილოქესა და ტირტეოსის ლირიკულ სიმღერებსა და, მეორეს მხრივ, გალაკტიონის „ლურჯა ცხენებსა“ და „მთაწმინდის მთვარეს“ შორის. რა უნდა იყოს მათში საერთო? ეპეკაციური ენის და თავგამეტება, რომელსაც თან ახლავს მთელი მორევი უნაზესი გრძნობებისა – ასეთია ჯიბლაძის პასუხი. შეიძლება სადაეოდ მიგვეჩნია ასეთი მორეული, ათასწლეულებზე გადაწედილი გადაძახილები მსოფლიო პოეტებისა, მაგრამ საქმე სწორედ ის არის, რომ თვითონ გალაკტიონი ლექსად დაწერილ თავის ესთეტიკურ ტრაქტატში, რომელსაც ეწოდება „საუბარი ლირიკის შესახებ“, პირდაპირ ჰკარნახობს მკვლევარს ასეთ მოსაზრებას. ასეთი მაგალითები შეიძლება მრავლად მოვიყვანოთ ჯიბლაძის ნაშრომებიდან – ეს მისი კონცეფციაა. მკვლევარმა ქართული ამრის ევოლუცია და განვითარება განიხილა მსოფლიო ესთეტიკური ამროვნების კონტექსტში, როგორც მისი

განუყრელი ნაწილი, რომელიც მისდევდა საერთო მდინარებას და ხანაც წინ უსწრებდა მას, როგორც მაგალითად, რუსთაველის დროს, როცა აღმოსავლურმა მთელი საუკუნით დაასწრო დასავლეთისას. „ქართული ფილოსოფიური აზროვნება და ლიტერატურული მეტყველება თავისი ესთეტიკური თეორიით მეთორმეტე საუკუნეში წინ უსწრებდა იტალიურ რენესანსს და უფრო ადრე ქადაგებდა იმ საკაცობრიო იდეალებს, რითაც შემდეგ ევროპამ იამაყა“. – წერდა გიორგი თავის პირველ ნაშრომში, ხოლო შემდეგ უფრო განაერცო და დამაჯერებლად დაასაბუთა ეს თეალსაზრისი სპეციალურ მონოგრაფიაში რუსთაველზე. საერთოდ ქართული კულტურის განვითარების მწყობრი და ღრმა აზრით აღსაესე კონცეფცია, ნათელ მოლად გასდევს ჯიბლაძის ყველა ნაშრომს.

ორიოდე სიტყვა გიორგიზე, როგორც ადამიანზე. მის წივნთა გომებში არც ისე იმეიათად წააწყდებით თანამოკალმეთა და მეგობართა მისამართით წარმოთქმულ ეპითეტებს: „როგორც ადამიანი და მოქალაქე, სპეტაკი, გულწრფელი, შრომისმოყვარე და პრინციპული კაცია“, „უზალო, სათნო, თბილი მეგობარი, სიყვარულის განსახიერებაა“.. ყოველივე ეს ერთი ათად უნდა დაეუბრუნოთ გიორგის, პირველ რივში თვითონ იყო ასეთი პიროვნება. მუსტად თერამეტი წლის წინათ, თავის დაბადების დღეს 10 მაისს გიორგიმ წერილი გამომიგზავნა, რომელშიც აღნიშნული იყო:

„ჩემმა ხანგრძლივმა, თან დაძაბულმა შრომაში პრაქტიკული და თეორიული შეშაობის ხაზით ბევრი რამ შემძინა, მაგრამ ბევრიც დამაკლო“. ის აღარა ვარ, რაც ვიყავი, თუმცა „გული მაქვს ახალგაზრდული“... წარსულს რომ ვიგონებ, ბევრი ნათელი სახე დგება ჩემს თვალწინ და ცრემლები შერევა, რაკი ბევრს ვეღარ ვხედავ; ვინც დარჩა სულითა და გულით მიყვარს. ევედრები ბუნებას (როგორც მატერიალისტი), ცალი თვალით ვუყურებ მისტიკაში ღმერთს და ტრადიციულად ეთხოვ მას, ჩემი ძველი მეგობრების უკვდავებას“.

ბარათი საკმაოდ ვრცელია. ჩვენ აქ მხოლოდ მცირე ნაწყვეტი მოვიტანეთ. ეს არის გულწრფელი ადამიანური ღოკუმენტი, რომელიც ნათლად მეტყველებს, თუ რაოდენ ნაზი, სათნო და კეთილი სული ჩაუდგა დამბადებულმა ჩვენს გიორგის. ქართველი მკითხველი არ დაივიწყებს და მუდამ მაღლიერების გრძნობით გაიხსენებს მის სახელს.

გიორგი ნატროშვილი

ნიჭით და შრომით...

ზოგს ნიჭი ასახელებს, ზოგს – შრომა, ზოგს ორივე ამკობს და იგი უფრო სრულყოფილი პიროვნებაა. ასეთი გახლდათ ჩენი მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1960), სსრკ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-დამფუძნებელთაგანი (1966), მრავალმხრივი სამოგადო მოღვაწე გიორგი ჯიბლაძე. იგი უაღრესად მიზანსწრაფული პიროვნება იყო და მის გოლთ-

ავან საუკეთესოთა შორის წარმოხსნდა, ავტორია 50 წიგნისა და 500-ზე მეტი გამოკვლევის, წერილისა და მოვონების.

ნათქვამია, შრომასა და გზაში გაიცნობ ალაშიანსო. ბატონ გიორგისთან მე საერთო საქსეც მქონია და გზაშიც ბევრჯერ ეყოყილვარ. იგი უალრესალ მომთხოენი იყო როგორც საკუთარი თავის, ისე სხეებისალში, ორგანიზებულობითა და საქმისალში ერთგულეებით სამაგალითო გახლდათ მეგობართა და ნაცნობთაოვის.

გიორგი ჯიბლაძე ქუთაისის ათწლელის დამთავრებისთანავე (1930 წელი) თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი გამხდარა, 1932 წლიდან გამეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაუწვია მუშაობა და შემდეგ ეს სხვა რელაქციებშიც განუგრძია, აქედან დაწინაურდა იგი მეცნიერალ და მრავალმხრივ საზოგალო მოღვაწელ.

გიორგი ჯიბლაძე გამაცნო უფროსმა მეგობარმა, პროფესორმა მოსე გოგიბერიძემ 1933 წელს ეურნალ „მნათობის“ რელაქციაში, რომლის მდივანი ბატონი მოსე ბრძანდებოდა. გიორგი ჯერ კიდეე სტუდენტი გახლდათ. ეგ ყმაწვილი, – მითხრა პროფესორმა, – ფილოსოფოსი მინდოდა გამხდარიყო, გამისხლტდა ხელიდან, ფილოლოგობა ამჯობინა, მაგრამ ისეა შეჭრილი ესთეტიკის სამყაროში, რომ ხელოვნებისა და ამროვნების თეორიას გვერდს ველარ აუელისო.

გიორგი ჯიბლაძემ ეს გაამართლა მონოგრაფიით „რუსთაველის ესთეტიკური სამყარო“ (1960 წ.), ნამრომებით – „ბარათაშვილის პოეტური გენია“ (1968), „კომენსკის ფილოსოფია“ (1978), „პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშენიერებისა“, „ხელოვნება და სინამდელიე“ (1940)...

მოკლელ ისიც გვინდა აღენიშნოთ, რომ გიორგი ჯიბლაძის ხელმძღვანელობით მომზადდა 28 სადოქტორო და 20 საკანდ-

ილაგო დისერტაცია, იგი ახალგაზრდობის გულისხმისერი და მზრუნველი აღმზრდელი იყო.

გიორგი ჯიბლაძის საოცარ შრომისნაყოფიერებას ხელი შეუწყო ოჯახის მოწესრიგებულობამ. მეუღლე ღილი გუგელაშვილი, ასულები – მანანა და მანია მუღამ მისი გამგებნი და ხელისშემწყობნი იყენენ. ეს საშუალებას აძლევდა ბატონ გიორგის სხვათა კეთილდღეობაზეც ეზრუნა. მაგალითად, პროფესორი მიხეილ ზანდუკელი რომ 1947 წელს ციმბირიდან დაბრუნდა და თბილისში არ აჩერებდნენ, გიორგი ჯიბლაძე დაეხმარა ნატანჯ პროფესორს 5 წიგნის გამოცემაში...

პროფესორი სარგის კაკაბაძე როცა გარდაიცვალა, გიორგი ჯიბლაძემ ღამიბარა და მის ოჯახს დახმარება გაუწია. დრო იყო ისეთი, თვითონ მხარდამჭერად ვერ ჩნდებოდა. სახელუკედავი ექვთიმე თაყაიშვილის მღვთმარეობაზე ბატონი გიორგი გაუხმარებლად მეკითხებოდა.

ახლა თვითონ ბატონი გიორგი აღარა გუყავს! ეინ იტყოდა უარს ქართველ მწერალთა საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში მის დაკრძალვაზე, მაგრამ მან დაიბარა 1984 წელს თბილისის ზღვაზე დაღუპული შვილიშვილის გიორგი ჩოგოვაძისა და მისი მეგობრების კახა და გიორგი ჩხაიძეების საფლავებთან დაკრძალულიყო, აქ ბატონი გიორგი თითქმის ყოველდღე დადიოდა დილაობით და სამსახურის შემდეგ..

მსუბუქი იყოს ბატონ გიორგისათვის თავისი მშობლიური მიწა.

იოსებ მეგრელიძე

გიორგი ჯიბლაძის უმთაერესი ნაშრომებიდან მკითხველს უთავაზობთ ზოგიერთი წიგნის ავტორისეულ და ტექსტობრივ შესავალს.

„ედაგოგია და მეთოდია“ (წიგნი დაისტამბა 1974 წელს ქალაქ თბილისში)

წინასიტყვაობა

ეს ნაშრომი არ წარმოადგენს მონოგრაფიულ გამოკვლევას, როგორც იყო ჩენი „ესთეტიკური აღზრდის პრინციპი“,* რომელსაც 1969 წლის ნოემბერში იაკობ გოგებაშვილის სახელობის პირველი პრემია მიენიჭა და „კომენსკის ფილოსოფია.“** ედაგოგიკის ასპექტებსაც რომ მოიცავს.

„ესთეტიკური აღზრდის პრინციპისა“ და „კომენსკის ფილოსოფიის“ წარმატებამ გვაფიქრებინა წინამდებარე ნაშრომის გამოცემა, ვიდრე „ესთეტიკური აღზრდის პრაქტიკას“ გამოვაქვეყნებდეთ. ჩვენ დიდი ხანია გვინდოდა ცალკე დაგვებეჭდა უმთაერესად ედაგოგიკის ან მეთოდ-

* გამოვიდა 1968 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო წიგნთა სერიაში, შემდეგ რუსულ ენაზე. 1971 წელს

** დაიბეჭდა 1973 წელს, რუსულ ენაზე.

იკის საკითხებზე სხვადასხვა დროს დაწერილი გამოკვლევები, თუ ცალკე სტატიები. ეს წიგნი ნაწილობრივ ასრულებს ჩვენი დიდი ხნის სურვილს, ეინაიდან შეუძლებელი იყო ყველაფრის აქ მოთავსება, რაც განათლების, საერთოდ, სწავლა-აღზრდის საკითხებზე დაგვიწერია. მიზანი, რომელსაც ვისახავთ, უაღრესად ლოკალიზებულია: დაეხმაროს მასწავლებლებსა და უმაღლესი სკოლის სტუდენტებს, როგორც პედაგოგიკური მეცნიერების, ისე მეთოდის საკითხების შესწავლაში.

ამგვარი ხასიათის ნაშრომები უფრო მეტად პრაქტიკულ დანიშნულებას ემსახურებიან, ვიდრე საკუთრივ თეორიულს, და მკითხველისათვის უთუოდ გარკვეულ ინტერესს წარმოადგენენ.

განყოფილებაში — „პედაგოგები და მეცნიერები“ — ყველგან არის ლაპარაკი არა მარტო მოგადთეორიულ პრობლემებზე, რომლებსაც განხილულ მოღვაწეთა შემოქმედებითი მემკვიდრეობა შეიცავს, არამედ, სწავლა-აღზრდის, პედაგოგიკისა და მეთოდის საკითხებზეც. ამდენად წიგნში ხსენებული განყოფილების შეტანა გამართლებულია, ხელს უწყობს ნაშრომის მთლიანობას, გარდა ამისა, მოგიერთ საინტერესო ცნობასაც წარმოგვიდგენს.

თანამედროვე პედაგოგიკური მეცნიერების რამდენიმე ახალ პრობლემას ეძღვნება წიგნში მოთავსებული მოგიერთი წერილიც. ავტორს არ შეეძლო გვერდი აეელო სწავლა-აღზრდის ოპტიმალური ფორმებისა და მეთოდების ძიებისათვის. ეს უეჭველად ეხება უმაღლესი სკოლის პედაგოგიკას, როგორც მეცნიერების, პრობლემატიკასაც.

წიგნს დართული აქვს მემორიალი — „განათლების საერთაშორისო ტრიბუნასთან“, რომელშიც ყველგან გვხვდება მსჯელობა პედაგოგიკისა და მეთოდის საკითხებზე.

P.S. ამ წიგნის დაგვიანებით გადაცემამ სტამბისათვის შესაძლებლობა მოგვცა ცალკე თავედ დაგვეერთო ჩვენი ერთ-ერთი ბოლო ღრობის ნაშრომი უმინსკის პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლების შესახებ.

„ესთეტიკური თეორიის საკითხებზე“

შესავალი

„ესთეტიკური თეორიის საკითხები“ თითქმის ოცდაათი წლის მანძილზე იწერებოდა. ამ ხნის განმავლობაში ავტორი აქეყენებდა სხვადასხვა გამოკვლევას ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიულ საკითხებზე,* მაგრამ ის, რაც აქ არის წარმოდგენილი, ესთეტიკის პრობლემათა სამი ათეული წლის კვლევა-ძიების შედეგია. მკითხველი ადვილად მიხედება, რომ ეს ნაშრომი არის მონოგრაფიული გამოკვლევა, თუმცა თვით მისი ძირითადი აზრი ერთიან კონცეფციას გამოხატავს და ამით მთლიანი ხდება წიგნის ხასიათი. შესაძლოა გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს იმასაც, თუ როგორ ყალიბდებოდა ცალკეული პრობლემების ასპექტით ის თეალსაზრისი, რომელსაც ახლა ეხედებით ესთეტიკის დარგში. დამოუკიდებელი პროლეგომენები ამდენად ერთიანდებიან სისტემაში და მათი გათვალისწინება საჭიროა არა მარტო ინტროსპექციის თვალთახედვით.

* „ხელოვნება და ხინამდვილე“. ტომი I, 1955, გვ. 626. „კრიტიკული ეტიუდები“. ტ. I, 1958, გვ. 460. ტ. II, 1955, გვ. 444. ტ. III, 1959, გვ. 456.

ჩვენ ყოველთვის გეწამლა, რომ ზოგადი ესთეტიკური თეორია წინ ვერ წაიწევს, თუ შესაბამისად კონკრეტული პრობლემატიკა შესწავლის ობიექტად არ იქცევა. იხლოდ მათი ბუნებრივი ურთიერთობის ანალიზს შეუძლია დაგვეხმაროს კონკრეტულისა და ზოგადის დასისტემებაში. როცა ყველაფერს მთლიანობაში მოვაქცევთ, უეჭველად განათდება ზოგადი ესთეტიკური თეორიის არსება, რომელშიაც კონკრეტულიდან ზოგადისაკენ სელა თვით ზოგადს კონკრეტულის გარკვევასაც შეაძლებინებს. ამ ფაქტის მნიშვნელობა იმდენად თავისთავადია, რომ აქცენტირების მეტ საზომს არც მოითხოვს.

შეუძლებელია მკითხველმა არ იგრძნოს, რომ „სოციალური ესთეტიკის საკითხისათვის“ და „გრიბოედოვის ფილოსოფიისათვის“ პოლემიკური ტონით არის დაწერილი. 30-იან წლებში იდეალისტურ-ეკლექტიკური კონცეფციების წინააღმდეგ პრინციპული ბრძოლა სწარმოებდა ამროვნების ყველა დარგში, მათ შორის ხელოვნების თეორიაშიც. ორივე წერილი მიზნად ისახავდა ხელი შეეწყო მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პოზიციათა განმტკიცებისათვის. ამით არის გამოწვეული ხსენებული წერილების შედარებით მკაცრი ტონი. ავტორი ცდილობდა გამოეჩინა ჭეშმარიტების სამსახურისათვის აუცილებელი უანგარობა, გულწრფელობა და პირდაპირობა. თუ რამდენად შეეძელით ეს, მკითხველის განსჯას უნდა მიენდოს. ნაწილობრივ ეს ტონია შენარჩუნებული წერილებშიც – „სისადავის პრობლემა მხატვრულ შემოქმედებაში“ და „ამბავი იგორის ლამქრობისა“. რაც შეეხება სხვა ნაშრომებს, ავტორს საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს:

„**პოეტიკა**“ მიზნად არ ისახავს არისტოტელეს თხზულების სრული დახასიათება მოგვეცეს. ნაწილობრივ ეს საქმე გაკეთებულია წიგნში „ხელოვნება და სინამდვილე“. ძალიან ვრცელი

მონოგრაფია იქნებოდა საჭირო, თუ „პოეტიკის“ სრულ დახასიათებას ვეკისრებდით. ჩვენი წერილის მიზანი კი იმდენად მარტივია, რომ საუკეთესო მითითება ზედმეტად იქნებოდა. იგივე შეიძლებოდა გვეთქვა ნაშრომებზე – „თანამედროვე იდეალისტური ესთეტიკა“, „პლექსანოვის ესთეტიკური იდეალები“, „რუსთაველის ესთეტიკური პრობლემატიკა“ და „პოეტიკურ-ესთეტიკურ ტერმინთა კომენტარები „სიგყვის კონაში“. თვითეული მათგანი საკითხის მიმოხილვასა და ძირითადი მოვლენების გარკვევას ემსახურება. მაგრამ თავისებური ისტორია აქვს სხვა წერილებს. „ესთეტიკური პრობლემატიკები“ დაიწერა ჟურნალ „მნათობის“ კასუხად და იქვე დაიბეჭდა, ხოლო თუ წიგნში შევიტანეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ მასში აღძრულია ზოგიერთი ისეთი საკითხი, რომელსაც ზოგადი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. „რენესანსის ესთეტიკური იდეალები“ სრული არ არის. საამისო პრეტენზია მას არა აქვს და არც შეიძლება ექნეს, ვინაიდან რენესანსის ეპოქის ესთეტიკური იდეალები შედარებით სრულად რომ დაახასიათო, გოძებია საჭირო და არა მცირე მონოგრაფიები.

წიგნში აგრეთვე მოვითავსეთ „თეატრალური ხელოვნების სახეები და პრობლემები“, რომელშიაც ქართული თეატრის ისტორიული ნიშანსეგები გააზრებულია თეორიის ასპექტით. შეიძლება ამ წერილს რაიმე მნიშვნელობა მიეცეს თეატრალური კულტურის ზოგიერთი საკითხის გარკვევისათვის.

რაც შეეხება მემორიალს – „ხელოვნების შორეულ ძეგლებთან“, მისი მიზანი შესაეაღმდეგ განმარტებულია.

აღრინდელ ნაშრომებში შეტანილია რედაქციული შესწორებები, ახალი სალიტერატურო ნორმების გათვალისწინებით.

„რუსთაველის მსთიბიკური სემყარო“

წინასიტყვარობა

რუსთაველის ესთეტიკური სემყაროს შესწავლას ჩვენ მამინ შეუღეწით, როცა მხატვრული ცნობიერების ზოგადი პრობლემეტიკის ვარკვევე დავიწყეთ. მონოგრაფიამი – „პრობლემე ბუნებისა დე ხელოენების მშეწიერებისა“, რომელიც 1938 წლის იელისში დავიწერე, ხოლო ცალკე წიგნად 1940 წელს ვამოვიდა, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ზოგადი კანონი ვეაქვს აღნიშნული, რომლებიც „ვეფხისტყეოსნის“ ესთეტიკისა დე პოეტიკის უშუალოდ ეხებიან. შემდეგ, ერთხანს, სხევა საკითხებზე მუშაობამ შეგვანყეეგინე ვანზრახული სურვილის შესრულება – დავეწერე მონოგრაფიული ვამოკვლევა – „რუსთაველის ესთეტიკური სემყარო“, რომლის მიზანი უნდა ყოფილიყო ჩენი უბადლო ეროენული ძეგლის, ქართული პოეტური გენის – „ვეფხისტყეოსნის“ მხატვრულ ღირსებათე თეორიული ცხადყოფე, იმის ჩენება, თუ რამი მდგომარეობს რუსთაველის, როგორც ხელოენის, სიღიადე, რე შეადგენს მისი პოემის უკვლავებს.

„ხელოენება დე სინამდვილეზე“ მუშაობის პარალელურად ჩვენ ვაკვირდებოდით „ვეფხისტყეოსნის“ მხატვრულ სემყაროს დე 1959 წლისთავის რამდენიმე თევი უკეე დავწერილი გვქონდა. ეს თეები, ცხადიე, ვანვითარება დე ვაგრძელება იყო იმისე, რაც ვამოქვეყნებულ შრომებში აღენიშნეთ, როგორც

რუსთაველის მხატვრული საექსპოზიცია. შემდეგ ისევე შეიქმნა მონოგრაფიის წერა და ინტენსიურად განუვადრძოთ იმ დღიდანვე, როგორც კი რუსთაველის იუბილეს საკითხი გადაწყდა.

მართალია, რუსთაველზე იმდენი დაწერილა, რომ ათეულ ტომში ვერ მოთავსდება, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ნაშრომი, რომელიც სრულად წარმოგვიღვენდა „ეფუხისტყაოსნის“ მხატვრულ ღირებულებათა გრანდიოზულობას. თუ რა დაიწერა „ეფუხისტყაოსანზე“ მისი პირველი ბეჭდური გამოცემიდან (1712 წ.) დღემდე, ნაჩვენებია ვაიოზ იმელაშვილის უფრდაშენტურ ბიბლიოგრაფიულ ნაშრომში – „რუსთველოლოგიური ღიგერატურა“, რომელიც 1957 წელს გამოვიდა. ამ წიგნიდანაც კარგად ჩანს, რომ შედარებით ცოტაა ნაშრომი, რომელიც პოემის ესთეტიკურ-მხატვრულ სამყაროს მთლიანობაში შეისწავლიდა. ცალკეულ საკითხზე კი იმდენია დაწერილი, რომ თუ გაეაერთიანებლით, პოეტიკა-ესთეტიკის ტომებს შეაღვენდა. აღარაფერს ეამბობთ უყორო აღრინდელ მასალაებზე. „ხელოვნება და სინამდღილეში“ ჩვენ ვცალეთ, მოყოლებული მე-15 საუკუნიდან და დამთავრებული მე-18 საუკუნით, გვეჩვენებინა, ვინ როგორ აუთსებდა რუსთაველის მხატვრულ ღირსებას. ანონიმი ავტოროების გარდა, წარმოვადგინეთ მეხედულებანი თეიმურაზ პირველის, ეახტანგ მექქეისის („ეფუხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემლისა და მისი პირველი მეცნიერ-კომენტატორისა), მამუკა ბარათაშვილის („ჰამნიკი“), არჩილის („გაბაასება“), ფეშანგის („მაჰნაეაზიანი“), თეიმურაზ მეორის, იოანე ბატონიშვილის („კალმასობა“) და სხვ. მე-19 საუკუნეში რუსთაველის მხატვრულ ღირსებათა ანალიზს ეხებოდნენ ბოლხოვიტინოვი (ეეგენი), თეიმურაზ ბაგრატიონი, სოლომონ დოდაშვილი, ნიკოლოზ ბერ-

ქენიშვილი, ღვეით ჩუბინაშვილი, ივანე ევლახოვი, ლავრენტი არღაზიანი, ბარონი სუტენერი, ლუკა ისარღიშვილი, ნიკოლოზ გულაკი, ჩენი დიდი ოქროპირები – იღია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ეაქა-ფშავეღა. პოეტური თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს განიხიღაღენ: გიორგი საძაღღიშვილი (არქიშანღრიტი კირიონი), გრიგოლ ყიფშიძე, მელიტონ კელენჯერიძე და სხვ. რუსთავეღის შესწავღაში დიდი აშაღი მიუძღვით მარი ბროსეს, ნიკო შარს, ნიკო ნიკოღაძეს, აღექსანღრე ცაღ-გარელს, აღექსანღრე ხახანაშვიღს, კიგა აბაშიძეს, შოსე ჯანაშვიღს, ივანე ჯავახიშვიღს, კორნელი კეღელიძეს, ჰაღღე ინგოროყეღს, შაღღვა ნუცუბიძეს, ექღეთიძე თაყაიშვიღს, იუსტინე აბუღაძეს, არტურ ლაღისტს, ღვეით კარიჭაშვიღს, სარგის კაკაბაძეს, აღექსანღრე სარაჯიშვიღს, სოლოშონ იორღანიშვიღს, ი. მეგრელიძეს. პოემის ფიღოსოფიური, შხატერული, ესთეტიკურ-პოეტური სამყარო სჰეციაღღურად შესწავღღეს ეიქტორ ნოშაძემ, შოსე გოგიბერიძემ, კონსტანტინე ჭიჭინაძემ, აღექსანღრე ბარაშიძემ, აკაკი გაწერელიამ, ეუკოღ ბერიძემ, შაღღვა ხიღაშელმა, დიმიტრი ბენაშვიღმა, შამია დუღუჩაეღამ და სხვ. არაერთი საინტერესო პრობღღემა გაარკეღეს ენათმეცნიერებმა: აკაკი შანიძემ, გიორგი ახეღღელიანმა, გიორგი წერეთელიმა, არნოღღ ჩიქობაეღამ, ვარღღამ თოფურიამ.

რუსთავეღის შხატერული სამყაროს შესწავღღაში ახალი ნაბიღ-ჯი წარსღღვა წინ უღროოღღ დაკარღღღმა გიორგი ნაღღირაძემ თაღისი შმვენიერი გამოკეღღვეით – „რუსთავეღის ესთეტიკა“.

* ღაბღღღღა 1958 წღღის ბიღღოს

მაგრამ თვით ავტორს, საესეებით სამართლიანად, არ მიუჩნევია ეს ნაშრომი დამთავრებულ სიტყვად „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ ღირსებათა შესწავლაში. არც ჩენი გამიკვლევეა ისახავს ამცვარ მიზანს – მხოლოდ ვინღა ერთი ავტორი მანის შექმნათ მონუმენტურ შენობას, რომელსაც მომავალი მკვლევარები აღმართავენ რუსთაველის მხატვრული სამყაროს თეორიული შესწავლის დარგში.

ჩენი მონოგრაფია რუსთაველის მხატვრული სამყაროს მარტოოდენ სამ ძირითად სფეროს მოიცავს: ესთეტიკას, პოეტიკას, ეთიკას. ამ სამი ასპექტით ვუდგებით იმ უმშვენიერეს სინამდვილის დახასიათებას, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური სტროფები გადაგვიშლიან. მაგრამ ამ კალეიდოსკოპიდან ისე ღამამში, ისე მიმზიდველია ქართული პოეტური გენია, რომ მისი მსგავსი მარტოოდენ ერთეულები თუ გააჩნია აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხატვრულ ლიტერატურას. რუსთაველი მათ შორის ღვას, როგორც კონცენია და მსოფლიო ხელოვნების ოლიმპიური მწვერვალებიდან ამაყად გადასცქერის კაცობრიობის მხატვრული შემეცნების დაუსრულებელ სამყაროს.

წიგნის მთლიანობისათვის გამოვიყენეთ „ხელოვნება და სინამდვილის“ ის ადგილი, რომელიც რუსთაველის ესთეტიკისა და ქართული ესთეტიკური აზრის ზოგად დახასიათებას იძლევა მე-19 საუკუნემდე, აგრეთვე „რუსთაველის ესთეტიკური პრობლემატიკა“, რომელიც პირველად დაიბეჭდა „ესთეტიკური თეორიის საკითხებში“ 1961 წელს. დამატებების სახით

წიგნის ღართული აქვს რუსთაველთან დაკავშირებული ჩვენი შემდეგი წერილები: „პოეტური კალენციები რუსთაველზე“ და „რუსთაველის პრემიის პირველი ლაურეატები“ (დაიბეჭდა „Заря Востока“ - ში).

1965 წლის ოქტომბერი. დედაქალაქი.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

რუსთაველის მხატვრული სამყაროს თვალისმომკრული საკვირველებანი განფენილია „ვეფხისტყაოსანში“, რომელიც მსოფლიო კულტურის უდიდესი და უბრწყინვალესი შენაძენია. ეს გენიალური პოემა, რომლის კონცეზიას მარტოოდენ პომეროსისს, შექსპირისა და აღმოსავლეთის ორი-სამი დიდი პოეტის შედევრები თუ წარმოადგენენ, თითქმის რვა საუკუნეა ამშვენებს კაცობრიობის მხატვრულ შემეცნებას, როგორც მისი ხელთუქმნელი გვირგვინი. მთლიანად ეროვნულ ძირებზეა ამომზრდილი, მსგავსად მისივე აეტორისა, „ვეფხისტყაოსანი“, ამავე დროს, ზოგადსაკაცობრიო პიმნია, ხოლო რუსთაველი — მსოფლიო მასშტაბის დიდი ქართველი პოეტი.

შესაძლოა, გენიოსი თვითონ იყოს შემთხვევითობა, როგორც ერთი ბრძენი ამბობდა, მაგრამ მის შემოქმედებაში შემთხვევითი წარმატება სრულიად გამორიცხულია. რუსთაველი ისეთი გენიოსია, რომელსაც თავის პოემაში არაფითარი შემთხვევითობა არა აქვს, ყველაფერი იქ გენიოსის კანონზომიერებას ექვემდებარება, და უდიდესი შეცდომა იქნება, თუ ვინმე განიზრახავს თვითნებურად მიუდგეს დიდი პოეტის ფრაზას ან ცალკე

პარალელურად ჩვენ ყოველთვის ვამჩნევით, რომ რუსთაველის პოეტურ ქმნილებაში მერედ გაცოცხლებული სამყარო საოცრად ლამაზი სახით გამოიყურება, იბალება და იბრლება, ჰკვავის და ძლიერდება; მისი ყოველი ნაწილი მოძრაობს, როგორც უსასრულო პატერიის შემაღგენელი ატომები, რომლებსაც მხოლოდ ერთი პრედიკატი გააჩნიათ – მოქმედება, დინამიურობა, ერთიდან მეორე ადგილზე ნახტომისებური გადასვლა. ქეეყანა ამოდრავებული, აქედრებული და დამშენებული ჩანს თავის განუფენილობაში, სადაც ყველაფერი მოძრაობის ბუნებრივ (ღვთაებრივ) კანონზომიერებას ექვემდებარება. მართლაც გეგონება თითქოს ღვთაება ბუნებაშია გათქეფილი და ბუნება ღვთაებაში, თითქოს პანთეიზმი იყოს რუსთაველის ფილოსოფია, მაგრამ, თუ ღრმად დაეუკვირდებით, შეუძლებელია არ დაინახოთ, რომ მასში ნომინალიზმი უფრო შესამჩნევი ხდება, ვიდრე პანთეიზმი, თუმცა არც ერთი და არც მეორე. არის მხოლოდ რუსთაველის თვითმყოფი ფილოსოფია, რომელმაც თავისი დროის მეცნიერული აზრის მიღწევები შეისისხლხორცა, გადააშუშავა, საკუთარი გონების პრიზმაში გადაგება, რომ თვითეულისათვის ადამიანური სინდისით ნაკარნახევი ანგარიში გაესწორებინა. ამ გზით მივიდა დიდი პოეტი იმ საოცრად ძლიერ კონცეფციასთან, რომელსაც ჩვენ რუსთაველის ფილოსოფიურ სისტემას ვუწოდებთ. მისი საფუძველი არც პლატონიზმია, არც ნეოპლატონიზმი, არც არისტოტელიზმი, არც პერიპატეტიკული სკოლა საერთოდ, მაგრამ არც პანთეიზმია, არც ნომინალიზმი, არის მხოლოდ სამყაროს უთვალავ საიდუმლოებათა ჰუმბარიტ აზრში ჩაწვდომის მისწრაფება, რასაც გენიოსი კაცის დიდი გონება ამჟღავნებს. და ეს გონება ისევე

უსასრულო ჩანს, როგორც მის მიერ გააზრებული, იუ მხატვრულ სახეებში მჭორელ დაბადებული კალეიდოსკოპური სამყარო. მოგანილი შედარება ორივეს ანიჭებს მათთვის დამახასიათებელ ძალას და „ვეუხისტყაოსანი“ ორივე ამ ძალის შემოქმედებითი ჭიდილის უმშენიერესი უენომენია.

ყოველივე ის, რაც ითქვა, მტკიცე საფუძველს ვაძლევს ვიფიქროთ, რომ რუსთაველის გენიალურ პოემაში მხატვრული სახეები მარტოოდენ პოეტურ კადენციებს კი არ წარმოადგენენ, ავტორი მათში აქსოვს თავისი დროის ყველაზე მოწინავე მეცნიერულ აზრებს და „ვეუხისტყაოსანი“ არა მარტო უზადო მხატვრული ძეგლია, არამედ, ხელოვნების ენაზე თავისი დროის მეცნიერულ შეხედულებათა განზოგადებასაც იძლევა. ამიგომ პოემის ესთეტიკურ ანალიზს ვერ დავამორებთ წმინდა მეცნიერულ პრობლემატიკას, ცხადია, ისტორიული პირობების სრული გათვალისწინებით. ამით ისიც ნათელი ხდება, თუ რატომ ვიწყებთ რუსთაველის ესთეტიკური სამყაროს შესწავლას თვით რუსთაველის ესთეტიკური პრობლემატიკით.

„ხელოვნება და სინამდვილე“ (1955 წელი)

წინასიტყვაობა

„ხელოვნება და სინამდვილე“ განიხილავს ესთეტიკური აზროვნების ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას, რომელიც დღიხანია წარმოადგენს ხელოვნების თეორიაში გაცხარებული დისკუსიის

საგანს. ეს სირთულე იმაშიც მდგომარობს, რომ ხსენებული პრობლემის გადაწყვეტაზე მოქმედა ავტორს მოეთხოვება თვით ხელოვნებისა და მისი ისტორიის ცოტად თუ ბევრად საფუძვლიანი ცოდნა. მოვიხიოვება იცოლეს ლიტერატურის და ესთეტიკური აზროვნების ისტორია, იცნობდეს, მეტი რომ არა ვთქვათ, ფილოსოფიას და ფსიქოლოგიას, ერკვეოდეს პოეტიკის საკითხებში; რაც მთავარია, პქონდეს მხატვრული აალო და შეეძლოს დაასაბუთოს ხელოვნების თვითეული ნაწარმოების მხატვრული ღირებულება.

რომ მართლაც ესოდენ რთულია ესთეტიკოსის მოვალეობა, ეს შეპლავიდანაც ჩანს: ცნობილი ესთეტიკოსები ძველ მსოფლიო ლიტერატურას ძალიან ცოტა ჰყავდა, ხოლო ფილოსოფოსები ესთეტიკის საკითხების საფუძვლიან დამუშავებას ჩვეულებრივად ვციან იწყებენ ხოლმე, უმთავრესად საკუთარი ფილოსოფიური სისტემის ცოტად თუ ბევრად ჩამოყალიბების შემდეგ, როგორც მაგალითად კანტი და ჰეგელი, თუმცა ეს არც იმას ნიშნავს, რომ პარალელურად ისინი თითქოს არ არკვევდნენ ხელოვნების საკითხებს.

ეს სირთულე აიძულებდა ხელოვნებათმეტყველ ბერნარდ ბოზენკიტს 1892 წელს გამოცემულ თავის შრომაში „History of Aesthetic.“, განეცხადებინა, რომ ესთეტიკის ერცელი ისტორიის განხილვა იოლი ამოცანა არ იყო, მოითხოვდა დიდძალი მასალის ანალიზს და ამიტომ მას თავის წიგნში მოუხდა გამოყენებინა კომპილაციურ თხზულებებთან ერთად „ბრიტანეთის ენციკლოპედია“ ინფორმაციისათვის (გვ. XIII). ამ გამოყენებამ, ჩვენის აზრით, მართალია მის შრომას ფაქტები მიუმატა, მაგრამ თვით წიგნს ეკლექტიკური ხასიათი მისცა.

რაც შეეხება თვით ესთეტიკის ისტორიას, ამ საკითხში ჩვენ

სრულიად საწინააღმდეგო დებულებას ვანიეთარებთ, ვიდრე რობერტ ციჰერმანი თავის წიგნში – „Geschichteder Aesthetik„ (1858) მაქს მასლერი თავის გამოკვლევაში „Kritische geschichte der Aesthetic„ (1872) და ბოშენკიტი თავის თხზულებაში, რაც გარკვევით ჩაპოყალიბებულია ჩვენს მიერ ესთეტიკის გერმინისა და ზოგადი ისტორიის გადმოცემის დროს.

ვიდრე ხელოვნებისა და სინაპდვილის ურთიერთმიმართების გარკვევას შეეუღებოდეთ, ჩვენ საჭიროდ ვცანით მკითხველისთვის მიგვეცა ხელოვნების საკმაოდ ვრცელი განმარტება; კონკრეტული თეორიული მონაცემებითა და ფაქტებით გვეჩვენებინა, თუ რაში მდგომარეობს ხელოვნების არსობა და რა არის მისი ფუნქცია. ამან გვაიძულა ხელოვნების განმარტება არ შემოგვეფარცლა მარტოდენ უახლოესი საუკუნეების თეორეტიკოსთა ნაშრომებით და გვეცადა წარმოგვედგინა იგი ისტორიულ განასერში, ისე, რომ ისტორია მტკიცედ დაგვეკავშირებინა თეორიასთან, და პირიქით, თეორიას ფართოდ გაელო ჩვენთვის ისტორიის კარები.

ასე წარმოსდგა ჩვენს წიგნში ხელოვნების განმარტების ვრცელი ისტორიული მიმოხილვა, დაწყებული ანტიკური სამყაროდან ვიდრე მე-18 საუკუნემდე, როცა ალექსანდრე გოტლიბ ბაუმგარტენი საფუძველს უყრის გერმინ „ესთეტიკას“ თავის ორტომიან წიგნში, რომელიც 1750-1758 წლებში გამოვიდა და რომლის დამთავრება ავტორმა ვერ მოასწრო, ბაუმგარტენამდე ხელოვნებისა და ესთეტიკის განმარტებებს ჩვენ ვიძლევიით იმისდა მიხედვით, თუ თვითველ ცალკე აღებულ ეპოქაში როგორ უყურებდნენ ან რა დამოკიდებულებაში იყვნენ ხელოვნებისადმი. ამ განასერშია წარმოდგენილი დემოკრიტეს, სოკრატეს, პლოტინის, არისტოტელეს ესთეტიკური შეხედულებანი. ამავე განასერში

წარმოვადგინეთ ლუკრეციუსის ორიგინალური ხელოვნების თეორია და პორაციუსის „პოემის მეცნიერება“. ჩვენ განზრახვრცლად შეეჩრდით ნეოპლატონიზმის ფუძემდებელ პლატონის „ენეადების“ გარჩევაზე, ვინაიდან გვაინტერესებდა გამოგვერკვია სათავე ხელოვნების იმ მისტიკური გავებისა, რომლის საწყისი ჯერ კიდევ პლატონის ფილოსოფიაში გვაქვს, ხოლო უფრო ქვიეგურ სახეს თვით პლოტინის ფილოსოფიაში დებულობს. ამით პირდაპირ ხილსა ედებთ ხელოვნების ქრისტიანული იდეალის კრიტიკული გავებისათვის და საშუალებაც გვეძლევა წარმოვადგინოთ მისი ეგრეთწოდებული „რეალისტური“ ხასიათის კრიტიკა.

ყოველივე ეს ქართულ ლიტერატურაში მიგვაჩნია პირველ ცდად და ამდენად ორიგინალურ მოვლენად.

აგტორი ფიქრობს, რომ თუ ის განიხილავს გერტულიანესა და აგუსტინეს შეხედულებებს, შედარებით უფრო დაწვრილებით, არა იმიტომ, რომ მას სურდეს ქრისტიანული ესთეტიკის სისტემის მწყობრი გადმოცემა, რაც არ შეიძლება ჩვენს წიგნს დავაკისროთ, ვინაიდან იგი არ არის ესთეტიკური ამროვნების ისტორია; აგტორს აინტერესებს მხოლოდ ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით გაარკვიოს ქრისტიანული ესთეტიკის არსობა და წარმოადგინოს მისი კრიტიკა. ეს ცდაც პირველია ქართულ ესთეტიკურ ლიტერატურაში. ამის შემდეგ ჩვენ საშუალება გვეძლევა განვიხილოთ ხელოვნების ის გავება, რომელიც რენესანსმა მოიგანა და რომელსაც დიდი წარმომადგენლები ჰყავდა არამარტო ევროპაში, არამედ საქართველოშიც, კერძოდ, ისეთი გენიალური პოეტისა და მოაზროვნის სახით, როგორიც შოთა რუსთაველია.

რუსთაველის ესთეტიკას ჩვენ საესებით ბუნებრივად გამოვეყ-

ოფთ ცალკე და ვიძლეით დებულებას, რომელიც დამტკიცებულად მიგვაჩნია ჩვენს ნაშრომში წარმოდგენილი ფაქტებით.

ახალი საუკუნის ხელოვნების თეორიული ანალიზი და ლიტერატურული ფაქტების მიმოხილვა ჩვენ სრულიადაც არ გვაინტერესებს, როგორც ამ საუკუნეების ხელოვნების ან მწერლობის ისტორია. ამ მხრივ მსოფლიო ლიტერატურას საკმაო რაოდენობით გააჩნია ისტორიული მიმოხილვებიცა და დიდგანიანი გამოკვლევებიც. ეს ჩვენი საქმე როდია. ჩვენს მიზანს წარმოადგენს მიმოხილვა იმ ფაქტებისა, რომლებიც დაკავშირებულია ბუალოს, კორნელის, რასინის, მოლიერის, დიდროს, ლესინგის, ვინკელმანისა და გოეტეს სახელებთან მხოლოდ ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთმიმართების თეალსაზრისით და სრულიად არა აქვს ისტორიული გადმოცემის პრეტენზია. არ შეიძლება ეს არ იგრძნოს მიუდგომელმა მკითხველმა.

ასევე, კანტისა და ჰეგელის ესთეტიკური სისტემების განხილვა არაეითარ შემთხვევაში არ არის ამ სისტემის ისტორიული მიმოხილვა. ეს საქმე ფილოსოფიის ისტორიკოსებისათვის მიგვინდია. ასეთი ამოცანა ავტორს არც დაუსაბავს. ჩვენი ძირითადი მიზანი ის იყო, რომ ანტიკური ქვეყნიდან მოყოლებული ხელოვნებისა და ესთეტიკის ისტორიული განხილვა ახალ დრომდე, ჰეგელის ჩათვლით, ხოლო შემდეგ რევოლუციური გადატრიალებისა და ხელოვნების თეორიაში მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის სახით ისე გვეწარმოებინა, რომ გამოგვერკვია შემდეგი:

1. ხელოვნების თავდაპირველი განმარტება დაკავშირებული იყო მიბაძვის ცნებასთან, მაგრამ მიბაძვის ეს ცნება განსხვავებულად ესმოდა პლატონს (როგორც ტექნიკურ-მექანიკური პროცესი), არისტოტელეს (როგორც შემოქმედებითი პროცესი, ლუკრეციუსს (აგრეთვე როგორც შემოქმედებითი პროცესი),

მხოლოდ იმ პირობითა, რომ ლუკრეციუსს ამ განმარტებაში შეაქვს ისტორიული ბოძენტი და იგი ხელოვნებას, როგორც მიბაძვას, ვერ წარმოილგენს კაცობრიობის მთელი ისტორიის გარეშე. დედაძინაბე საზოგადოებრივი ცხოვრების წარმოშობის გარეშე). ამავე დროს, ლუკრეციუსს მოაქვს ხელოვნების ახალი, უფრო ცოცხალი, მოქმედი გაცება, ვიდრე არისტოტელეს

2. ნეოპლატონიზმმა და ქრისტიანიობამ ხელოვნების გაცება დაუკაემირეს პირველმა მისტიკურ წარმოსახვას, ხოლო მეორემ – წმინდა რელიგიურ იდეალს;

3. რენესანსი ხელოვნებას უცქერის, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლის საშუალებას, რაც ჯერ კიდევ ენგელსის მიერ იქნა შენიშნული, როცა მან დაახასიათა რენესანსის ეპოქა და მისი ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორც იყვნენ ლეონარდო და ვინჩი, ალბრეხტ დიურერი, მაკიაველი, ლუთერი, ერაზმ როტერდამელი;

4. ახალ საუკუნეებში ხელოვნების ცნება ფართოვდება და ლესინგის მიერ შენიშნული პოეზიის საზღვრების გაფართოება შეიძლება გამოყენებულ იქნას ხელოვნების თვით თეორიის საზღვრების გაფართოების დასადასტურებლადაც, ვინაიდან თუ პოეზია დროთა განმავლობაში დიდად აფართოებდა თავის საზღვრებს, ბუნებრივია, ფართოვდებოდა მისი შემსწავლელი მეცნიერების საზღვრებიც. ამიტომ იყო, რომ მე-18 საუკუნემ ამ მეცნიერების გერმინიცი შემოიღო და მის გარშემო ხანგრძლივმა ბრძოლამ საბოლოოდ იგი მაინც ვერ განდევნა;

5. მიუხედავად ფორმალისმისა, კანტის დამსახურება იყო ეს-თეტიკაში სუბიექტური მომენტის შეტანა და მთელი ხელოვნების ცენტრში სუბიექტის მოთავსება, რითაც მან ძველ ემპირისტულ გაცებას სასიკედილო ლახვარი ჩასცა, მაგრამ ანტიისტორ-

იულობამ კანტს ხელი შეუქმალა საბოლოოდ დაეძლია ემპირიზმი. ეს მან ვერ გააკეთა და ვერც გააკეთებდა;

6. ემპირიზმის დაძლევის საქმეში დიდ ნაბიჯს წინ დგამს პეგელი, რომელსაც ისტორიული თეალსაზრისი შემოაქვს ხელოვნების თეორიაში და მიუხედავად მისი ჩვეულებრივი ტრიალისა – სამი საუფხურის აღნიშვნისა ხელოვნების მთელს ისტორიაში (სიმბოლურის, კლასიკურის, რომანტიკულის), რაც მხოლოდ იმ მხრივია სწორი, რომ განვითარების იდეას შეიცავს და თვითველი მათგანის აღუქვავური სინამდვილე მართლაც შეიძლება მონახულ იქნას, – ძირს უთხრის ემპირიზმს იმდროინდელი ხელოვნების თეორიაში. პეგელი იძლევა ხელოვნების უკვე ისეთ განმარტებას, რომელიც უკავშირდება მხატვრულ სახეს.

მართალია, ამით პეგელი ახალს არაფერს ქმნის, ვინაიდან ჯერ კიდევ ძველ ფილოსოფოსებს (მაგალითად, სოკრატესა და პლატონს, რომ აღარაფერი ვთქვათ არისტოტელემ), ხელოვნება დაკავშირებული აქვთ სახესთან, მაგრამ პეგელის დამსახურება ის იყო, რომ მან ხელოვნების, როგორც მხატვრული სახის, განსაზღვრას უკვე ჩამოყალიბებული ფორმულა მისცა და ამით უთუოდ დაიკავა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში;

7. უდიდესი როლი შეასრულა ხელოვნების იმ ახალმა განმარტებამ, რომელიც ვასული საუკუნის ორმოციანი წლების რუსულ ლიტერატურაში პირველად ბელინსკიმ შემოიტანა და რომელიც შემდეგნაირად გამოითქმის: „ხელოვნება არის ჭეშმარიტების უშუალო შეგრძნება ანუ აზროვნება სახეებში“. მაგრამ ვიდრე ბელინსკი თავის ამ ახალ დებულებას განავითარებდა, რუსეთის სინამდვილეში ნიადაგი უკვე მომზადებული იყო მის შესათვისებლად და შესაყნობად. ამას მოწმობს ჩვენს

მიერ პირველად მოცემული ცდა გაამრებულ იქნას ბელინსკ-ამდელი რუსული ლიტერატურული კრიტიკა თავისი პროგრესული მონაცემებით და აქედან საფუძვლით ნათლად იქნას განსაზღვრული ბელინსკის, როგორც რუსული ლიტერატურული კრიტიკისა და ესთეტიკის შემქმნელის, ადგილი; აგრეთვე ის როლი, რომელიც მან ხელოვნების განმარტების მხრივაც შეასრულა რუსული ლიტერატურული აზროვნების ისტორიაში. ჩვენ ვრცლად იმიტომ ვეხებით ბელინსკის ესთეტიკას, რომ ნათელეყოთ შემდეგი დებულება: ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთმიმართება ბესარიონ ბელინსკიმ სწორედ გაიგო იმ დროს, როდესაც კატეგორიულად უარპყო „წმინდა ხელოვნების“ თეორია და დაიცვა სახელგანთქმული მატერიალისტურ-უტილიტარული პრინციპი — „ხელოვნება ცხოვრებისათვის“. ლიტერატურის, როგორც სამოგადოებრივი ბრძოლის იარაღის გაგების მხრივ ბელინსკი ისე შორის წავიდა, რომ მან ლიტერატურაში უკვე დაინახა ცხოვრების გაუმჯობესების მძლავრი საშუალება. აქედან წარმოსდგა მისი საოცარი ძალით შთაგონებული „წერილი გოგოლს“ და ასევე საოცარი გიტანური გაბრძოლება მეფის მონარქიული სინამდვილის, ბატონყმობისა და მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ;

8. ბესარიონ ბელინსკიმ ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა ლიტერატურაში ჩერნიშევსკის, რომელმაც ალლო აულო გასული საუკუნის სამოციანი წლების სამოგადოებრივ-ეკონომიურ სინამდვილეს და თავის სახელგანთქმულ დისერტაციაში „Эстетические отношения искусства к действительности“ პირდაპირ ჩამოაყალიბა ხელოვნების შემდეგი განსაზღვრა: ა) ხელოვნება არის ცხოვრების, სინამდვილის წარმოსახვა; ბ) ხელოვნება არის ცხოვრების სახელმძღვანელო; ზ) ხელოვნება არის ცხოვრების, სინამდვილის

ვინაიდან ეს ესთეტიკური იდეალები განაეითარეს საბოკიანი წლების მოღვაწეებში.

9. ქართული ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში ჩვენს მიერ თერგდალეულების ადვილის განსაზღვრის ცდა მიზნად ისახავს ნათელის შესდევი დებულება: რუსეთის მოწინავე მოაზროვნეთა შეხედულებანი მე-19 საუკუნის ქართულს ლიტერატურაში ნოყიერ ნიადაგს აოულობდნენ, იმიტომ, რომ თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრესული აზრი ერთნაირი ძალით იტაცებდა როგორც რუსეთის, ისე საქართველოს მოწინავე მოღვაწეებს, რაც გამოხატულებას აოულობდა ორი ხალხის – რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობის განმტკიცებაში;

10. რეალისტური ესთეტიკის მიერ მოცემული ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობის ვრცელი ანალიზის პირველი ყველაზე სრული ცდა ქართულ ლიტერატურაში ეკუთვნის ილია ჭავჭავაძეს, როგორც ბელინსკისა და რაზნოჩინელების პროგრესულ შეხედულებათა ყველაზე მკაფიო წარმომადგენელს გასული საუკუნის სამოციან წლებში;

გამომდინარე აქედან, ჩვენს წიგნში განვითარებულია დებულება, რომ „ჭეშმარიტად დიდი ხელოვნება ყოველთვის თანამედროვეა“. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელოვნებას თანამედროვეობის გარეშე ცხოვრება არც ძველად შეეძლო და მით უფრო არც დღეს შეუძლია; ხელოვნებას არ შეუძლია უარი უთხრას საზოგადოებრივ სინამდვილეს. კლასობრივ საზოგადოებაში ხელოვნება ატარებს კლასობრივ ხასიათს და როგორც იდეოლოგიური მოვლენა, კლასობრივი ხასიათისაა.

ძველი დავა, თუ რომელი დგას მაღლა – ხელოვნებისა თუ ბუნების მშენიერება, შეიძლება გადაწყდეს იმის ვათვალის-

სწინებით, რომ პირველობის, უშუალო სინამდევლის მხრივ ბუნება მაღლა დგას ხელოვნებაზე, მაგრამ იდეალურის, შეგნებული მიზნისა და მიზანშეწონილი ნებისყოფის მხრივ ხელოვნების მშენიერება მაღლა დგას ბუნებაზე;

აეგორი
8/11, 1955

„მთებითური აღზრდის პრინციპი“

წინასიტყვაობა

ყოველგვარი აღზრდა, რომელიც გონივრულად არის მოწყობილი, პირველყოფლისა, „ადამიანში ადამიანის“ ფორმირებას ნიშნავს. ამ მიზანს ემსახურება პედაგოგიკის თეორია და მისივე პრაქტიკა. ამიტომ აღზრდის თეორია პედაგოგიური პრაქტიკიდან უნდა გამომდინარეობდეს, ხოლო პრაქტიკა თეორიით მიიკვლევდეს გზას. ეს სახელმძღვანელო პრინციპია და მას გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი გამოკვლევა, რომელიც დიდაქტიკური აზროვნების სფეროს მიეძღვნება. პედაგოგია ხომ თეორიული მეცნიერებაა და პრაქტიკულიც. ამიტომ ხშირად ძნელი ხდება საზღვარი გააგლო, თუ სად იწყება მისი თეორია და სად თავდება პრაქტიკული ნაწილი, ვინაიდან თეორია პრაქტიკას (პრაქტიკულ გამოყენებას) ემყარება, ხოლო პრაქტიკა – თეორიას. შეიძლება გვითხრან: ამგვარი მიდგომით ყველა მეცნიერება თეორიული და პრაქტიკული აღმოჩნდებაო. მერე რა ვუყოთ: დღემდე არ არსებულა მეცნიერება, რომელსაც პრაქტიკული გამოყენება არ

ქონლეს. მაგრამ პედაგოგთა მათ შორის ერთი ყველაზე ცნობილი მეცნიერებაა, რომელიც თეორიულსა და პრაქტიკულს ერთიანობას ყოველდღიურად ანხორციელებს.

ეს არის ჩვენი ამოსავალი წერტილი, თუმცა წინაპლებარე ნამრომი მხოლოდ პირველი ნაკვეთია – ზოგადი თეორიული ნაწილი იმ წიგნისა, რომლის მთლიანად გამოქვეყნებას ავტორი ახლო მომავალში აპირებს. ამ ნაწილს „ესთეტიკური აღზრდის პრინციპი“ ეწოდება, ხოლო მეორეს „ესთეტიკური აღზრდის პრაქტიკა“. ეს უკანასკნელი მთლიანად მეთოდური ხასიათის გამოკვლევა იქნება და სასკოლო მუშაობის გამოცდილებას დაემყარება.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ სკოლა თვით არის პედაგოგიური თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა. ეს იმდენად ალიარებული, საყოველთაო ჭეშმარიტებად მიჩნეული დებულებაა, რომ დამატკიცებელ არგუმენტებს არც საჭიროებს. ამ ამრით ეხელმძღვანელობდით, როცა განვიმრახეთ ესთეტიკური აღზრდის თეორიული საკითხები პირველ წიგნში მოგვექცია, მისი განხორციელების გზები, საშუალებები და პირობები კი მეორე ტომში გამოვეერკვია. ეს არ ნიშნავს პირველ წიგნში პრაქტიკა მიეწეებული ან გვერდავლილი იყოს, ხოლო მეორეში თეორიას ადგილი არ ეთმობოდა. გაყოფა ამ შემთხვევაში სრულიად პირობითია და მხოლოდ იმას გვანიშნებს, ძირითადად თუ რით განსხვავდება პირველი მეორისაგან.

მკითხველმა გვინდა ისიც იცოდეს, რომ ჩვენს წიგნს პირველყოლისა ფართოდ გამოყენების ამოცანას ვუსახავთ. ამიტომ ყველგან ვცდილობთ პოპულარულ ენაზე გადმოვეცეთ როგორც გამოჩენილ მოღვაწეთა, ისე ჩვენი საკუთარი აზრები და შეხედულებანი. მეცნიერების შედარებით რთულ ფორმულებსაც,

ისტორიული თეალსაზრისის ან ანალოგიისათვის აუცილებელთ, ამავე განასერში ვაქცევთ. ჩენი მიზანია ესთეტიკური აღზრდის თეორია უფრო პრაქტიკულ მიზნებს ისახადეს, ვიდრე განყენებულ თეორიულს, უშუალოდ სკოლას ემსახურებოდეს, ვიდრე უშუალოდ თეორიას. ორივეს ერთიანობა თუ მიიღწევა, ეს ყველაზე სასურველი და სასარგებლო იქნება.

თითქმის შვიდი წლის მანძილზე ჩვენ გვიხდებოდა დაკვირება გვეწარმოებინა, საქართველოს სკოლები პრაქტიკულად როგორ წყვეტდნენ ესთეტიკური აღზრდის საკითხებს და დასკვნები გამოგვეტანა არამარტო რომელიმე ერთი სკოლის გამოცდილების მიხედვით. დაკვირება წარმოებდა საქართველოს რაიონებისა და ქალაქების იმ სკოლებში, სადაც შესაძლებლობა გვექონდა მიესულიყავით და საკუთარი თვალთ გვენახა მოსწავლე-ახალგაზრდობის მხატვრული აღზრდისათვის გაწეული მუშაობის რეალური შედეგი. გავეყანით რუსეთისა და უკრაინის ზოგიერთი სკოლის მუშაობასაც ესთეტიკური აღზრდის დარგში. ვცდილობდით გაგვეთვალისწინებია ესთეტიკური აღზრდის განსხვავებული პირობები, გარემო. პედაგოგიური კადრის მომზადება, თვითეული სკოლის მიღწევა თუ ნაკლი, მაგრამ თვით ცდას იმ მიზანს ეუსახადით, რომ სრულად წარმოგვედგინა ესთეტიკური აღზრდა, როგორც განათლების მთელი სისტემის ორგანული ნაწილი. პედაგოგიური პრაქტიკა ავსებდა ჩვენს თეორიულ მოსაზრებებს და ამოწმებდა მათ რეალურობას.

თანამედროვე პირობებში აღზრდა უკვე წარმოუდგენელია ესთეტიკური საფუძვლებისაგან მოწყვეტით. პიროვნების პარმონიული განვითარება თავისთავად გულისხმობს ესთეტიკური აღზრდის პრობლემათა ფართოდ და ყოველმხრივ დამუშავებას. მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირება,

შრომითი აღზრდა, კომუნისტური მორალის დაჩქეიდრება, მორალური კოდექსის მნეობრივი პრინციპების პრაქტიკულად განხორციელება – ყველაფერი ეს მჭიდროდ უკავშირდება ესთეტიკური აღზრდის თეორიას და პრაქტიკას.

სახალხო განათლების მთელი ისტორიის მანძილზე ესთეტიკური აღზრდის პრობლემათა დამუშაებისათვის არასოდეს იმდენი არ გაკეთებულა, რამდენიც უკანასკნელ ათწლეულებში. ქედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის მხატვრული აღზრდის ინსტიტუტმა, რომელსაც სულ ბოლო დრომდე ხელმძღვანელობდა პროფესორი ვალენგინა შაცაია, ესთეტიკური აღზრდის პრობლემათა მთელი კომპლექსი ვაიხადა კელევა-ძიების საგნად. გამოქვეყნდა ინსტიტუტში დამუშაებული მრავალი ნაშრომი, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ესთეტიკური აღზრდის ძირითადი საკითხების მეცნიერულ გარკვევას. ამ ნაშრომების დიდი ნაწილი ჩვენ გავითვალისწინეთ მუშაობის პროცესში, რაც სათანადო აღვილებზე მითითებული გვაქვს.

*აეტორი
20/V-1965*

„ესთეტიკა, ხელოვნება და სინამდვილე“ (1988 წელი)

აკტორის აგან

ესთეტიკური აზროვნების დარგში ხანგრძლივმა მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ შეუძლებელია მონინახოს ფილოსოფიური მეცნიერება, რომელსაც კელევა-ძიების შემზღულელი საზღვრები

ქონლეს. თითქმის სახეივარი საუკუნის მანძილზე ჩვენ მოგვიხდა არაერთი გამოკვლევა დაგვეწერა ესთეტიკის პრობლემათა გასარკვევად. მაგრამ დღესაც გვგონია, რომ ის, რაც ვაბაკეთეთ, მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი ტალღაა მეცნიერების ამ თვალწელზე ოკეანეში. მაგრამ ეს ტალღა უკვე ორ ტომს მოიცავს და მოხარული ვართ, რომ მათი გამოცემა ხორციელდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით, რისთვისაც ხსენებული საბჭოს წევრებს დიდ მადლობას მოვახსენებ.

ჩვენი „ესთეტიკის“ პირველ ტომში მთლიანად შევა „ხელოვნება და სინამდვილის“ პირველი ტომი, მეორე ტომში, — ხსენებული მონოგრაფიის მეორე ნაწილი. ჩვენი სხვა ესთეტიკური გამოკვლევები, ნარკვევები, წერილები, რომლებიც 1931 წლიდან 1985 წლამდე იწერებოდა და იბეჭდებოდა, მიზანშეწონილი იქნებოდა ცალკე გამოცემულიყო.

თითქმის ოთხი ათეული წელია ჩვენს მონოგრაფიას „ხელოვნება და სინამდვილე“ (პირველი ტომი) უმაღლესი სკოლები სახელმძღვანელოდ და დამხმარე სახელმძღვანელოდ იყენებენ. როგორც პირველი (1947 წელი), ისე მეორე (1955 წელი) გამოცემა დიდი ხანია აღარ იშოვება, მხოლოდ ბიბლიოთეკებს შერჩათ. აღრე, 1940 წელს გამოცემული ჩვენი ესთეტიკური გამოკვლევა — „პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშენიერებისა“, რომელიც წიგნში ორ თავად (III, IV) არის შესული, ამავე მდგომარეობაშია.

ყოველივე ეს გავითვალისწინეთ და ჯერ კიდევ 1965 წელს გადავწყვიტეთ გვებრუნა ახალი გამოცემისათვის, მაგრამ ღროის უქონლობამ განზრახვაზე ხელი აგვაღებინა. შემდეგ გვინდოდა ერთად გამოგვეცა „ხელოვნება და სინამდვილის“ ორივე ტომი

(მეორეს უკვე დაშთაფრებული გვექონდა). ესეც შეეძლებელი გახდა, სამკემოს დიდი მოცულობის გამო.

ახლა ამ გამოცემაში იბეჭდება „ხელოვნება და სინამდვილის“ სრული ტექსტი, შესწორებული და შევსებული სახით. ეს არის ჩვენი მონოგრაფიის პირველი ტომის პირველი სრული და საბოლოო რედაქცია. თუ ოდესმე მოძავალში მისი გამოცემა საჭირო გახდება, ავტორის თხოვნაა მხოლოდ ამ გამოცემის ტექსტი დაიბეჭდოს, როგორც ყველაზე საიმედო ორიგინალისა.

„ხელოვნება და სინამდვილე“ მთლიანად განეკუთვნება ესთეტიკას, როგორც აპროფიტების დარგს, მაგრამ ხელოვნებასთან ერთად აღძრავს ლიტერატურათმცოდნეობის მრავალ პრობლემას, რადგან მწერლობა ხელოვნების ისეთივე დარგია, როგორც მუსიკა, ფერწერა, არქიტექტურა. თუ რა შრომა მოითხოვს ამ წიგნმა, ისე, როგორც მეორე ტომმა, მგონი, ნათლად ჩანს პირველი გამოცემიდან, სადაც 1947 წელს აღენიშნავედით:

„თუ ყოველი წიგნის ბიოგრაფია ადამიანის ცხოვრებას მოგვაგონებს, ამ ჩვეულებრივ წესს ვერ ასცდება ჩვენი ნაშრომიც.

ათი წლის წინათ, სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ავტორი შეუდგა ხელოვნებისა და სინამდვილის პრობლემის გარკვევას, მაგრამ ეს თემა, დიდი მოცულობის გამო, საკანდიდატო დისერტაციისათვის შეუფერებლად მიიჩნია. ამიტომ მისგან ცალკე გამოყო მშენიერების პრობლემა და ამ თემაზე დაწერილი ნაშრომი 1939 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს წარუდგინა საჯარო პაექრობისათვის.

იმავე წელს, სამეცნიერო ხარისხის მოპოვების შემდეგ, ავტორმა განაგრძო არჩეულ თემაზე მუშაობა, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ „ხელოვნება და სინამდვილე“ ყოფილიყო მისი სადოქტორო დისერტაცია, რომლის ერთ თავს მან საკანდ-

ილაგო ნაშრომი უწოდა, ხოლო 1940 წელს ცალკე წიგნად გამოაქვეყნა სახელწოდებით: „პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშენიერებისა“.

ხანგრძლივი შრომის შემდეგ აეგორი თავის განზრახვას შესრულებულად თვლის, რაც უფლებას აძლევს, გამოაქვეყნოს წიგნი „ხელოვნება და სინამდვილე“.

S/X-1947

თბილისი.

ახლა ამ წიგნის ახალი გამოცემა გვაქვს და ვიმედოვნებთ, მკითხველი საზოგადოება ობიექტურ მსჯავრს დასდებს როგორც აეგორის რუდუნებას, ისე თვით მონოგრაფიის ღირსება-ნაკლოვანებებს. ობიექტურ კრიტიკას ყოველთვის გამოარჩევდა სერიოზულობა, ურომლისოდ არც მეცნიერება არსებობს და არც მისი წინსვლის ლოგიკა.

რუსულად ეს წიგნი 1971 წელს გამოსცა „მეცნიერებაში“: იხ.

Георгий Джигладзе, Искусство и действительность, Тб., т. I.

2/1 - 1985

„ილია ჭავჭავაძე“ (1966 წელი)

შენსავალი

ქართველი კაცი მოსწავლის მერხიდანვე ეზიარება ხოლმე ილია ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებას და მთელი სიცოცხლის მანძილზე მას ედარ შორდება. ფილოლოგები ათეულ წლებს ანდომებენ ილიას მემკვიდრეობის, როგორც დიდი ეროვნული განძის, მეცნიერულ ანალიზს. ეს სავსებით ბუნებრივი, კანონზომიერი ფაქტია. „აჩრდილის“ ავტორი ისე ორგანულად ჩაეჭოვა ქართული კულტურის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, ისე დაუკაემირდა თავისი ერის კატაკლიზმებით აღსავსე ქარიშხალიან ყოფას, რომ შეუძლებელი ხდება განიხილო ჩვენი წარსულის საკეანძო პრობლემები და ილია ჭავჭავაძეს გვერდი აუარო. ილია და საქართველო განუყრელია, როგორც რუსთაველის, ბარათაშვილის, აკაკის, ვაჟას, ყაზბეგის დიდ სახელებს მას ვერ დავაშორებთ. ეს ჩვენი გენიოსი ოქროპირები, თავიანთი ერის განუმეორებელი მშენებანი და დიდებანი, ყოველთვის იქნებიან ქართველი კაცის არა მარტო მოძღვარი-შთამავგონებლები, სულიერი გამამხნეებლები და აღმზრდელები, არამედ გულისა და სულის მესაიდუმლენიც. მათი ღრმად შესწავლა ყოველთვის იქნება ქართველ მეცნიერთა ვაგაცების საგანი.

ჩვენც იმ ქართველ ლიტერატორთა ჯგუფს ვეკუთვნით, რომლებიც ათეული წლობით „აჩრდილის“ ავტორს მეცნიერულად სწავლობენ. ეს მონოგრაფია ხანგრძლივი ფიქრის, წლების

ქანდილზე რუქუნების შელეგია – ორ-სამ წელიწადში მისი დაწერა სრულიად შეუძლებელი იყო. ათეული წლების განმავლობაში ჩვენ ისე ვსწავლობდით და ისე ვითვისებდით ილიას მემკვიდრეობას, როგორც არქეოლოგები იკვლევენ გარდასული დროის ძეგლებს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ, თუ ილია ჭავჭავაძე წარსულ ეპოქას ეკუთვნის, როგორც ადამიანი, სამაგიეროდ, როგორც მწერალი, მოაზროვნე, მოღვაწე, ჩვენი წინამორბედი, ჩვენი თანამედროვე.

დიდი ხელოვანი ყოველთვის შეპირობებულია თავისი დროის კონკრეტული სინამდვილით, მაგრამ თანამედროვეობის ასახვასთან ერთად იგი წარსულის მემკვიდრედ და მომავლის მენტორად გვევლინება, როგორც ბუნებრივი პროცესის საფუძვლით კანონზომიერი შედეგი. აწმყო ხომ შობილია წარსულისაგან და მშობელია მომავალისა, როგორც ლაიბნიცის გენია იტყოდა, როგორც ეს სწამდა ილია ჭავჭავაძეს, ვასული საუკუნის საქართველოს 60-იანი წლების ყველაზე დიდ წარმომადგენელს, მეთაურსა და მესიგყვეს.

ილია ჭავჭავაძე ამ მხრივაც თავისი ეპოქის დიდი შეილია. უაღრესად ვრცელი იყო მისი მოღვაწეობის სფერო: პოეზია, პროზა, დრამატურგია, ისტორია, ენის თეორია, სამართალი, ეკონომიური მეცნიერება, პუბლიცისტიკა, ქართული თეატრი, წერაკითხვის გამაერთელებელი საზოგადოება, საადგილმამულო ბანკი, პერიოდიკა – „საქართველოს მოამბე“ და „ივერია“, პედაგოგია, ლიტერატურული კრიტიკა, თარგმანი, – ყველა ამ დარგში ილია ჭავჭავაძემ ღრმა კვალი გააულო, როგორც მოაზროვნემ, მხატვარმა და საზოგადო მოღვაწემ.

სულ ზოგადად რომ გადავავლოთ თვალი ილია ჭავჭავაძის პოეტურ შემოქმედებას, განსაკუთრებით 60-იან წლებში, – ეს

პერიოდი კი ყველაზე ნაყოფიერი იყო, – ვაცვაოცებს ინგერესთა ფართო წრე, დიდი მხატვრული შთაგონება და იდეების სრული გარკვეულობა. ილია ჭავჭავაძე უკვე სტუდენტობის დროიდან იმუშაავებს იმ მსოფლმხედველობას, რომელიც შემდეგ ასე არცლად გაიშალა მის ლიგერატურულ-პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში, იმუშაავებს პროგრამას, საუფუძვლად რომ დაელო მთელ მის პრაქტიკულ მოღვაწეობას. ეს იყო განმანათლებლის პროგრამა, იმდროინდელი საქართველოს კონკრეტულ-ისტორიული პირობების გათვალისწინებით, პროგრამა, რომლის მიხედვითაც წარიმართა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

რა ახასიათებს საერთოდ განმანათლებლობას რუსეთში, ევროპასა და საქართველოში? უმთავრესად სამი ძირითადი ნიშანი: I. ფეოდალიზმის, ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა; II. განათლების, ცხოვრების ევროპული ფორმების, თვითმმართველობის დაცვა; III. ხალხის, უმთავრესად გლეხთა მასებისადმი რწმენა, რწმენა იმისა, რომ ფეოდალიზმის, ბატონყმობის მოსპობას აუცილებლად მოჰყვება საყოველთაო კეთილდღეობა. სამივე ეს ნიშანი მკვეთრად ახასიათებს ილია ჭავჭავაძეს, როგორც განმანათლებელს. მას, როგორც განმანათლებელს, „...სწამს არსებული საზოგადოებრივი განვითარება, ვინაიდან ის ვერ ამჩნევს იმ წინააღმდეგობებს, ამ განვითარებას რომ მოსდგამს“.

ყველა ეს ნიშანდობლივი თვისება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასა, ნააზრევსა და პრაქტიკულ საქმიანობაში სრულიად გარკვეული სახით არის წარმოდგენილი, და ყველაფერი სამშობლოსადმი სიყვარულის, პატრიოტიზმის მხურვალე გრძნობითაა გაშთბარი. სამარცხვინო ბოძზე აკრავდა, დასცინოდა თუ სიძულე-

ილს უცხადებდა ყოველივე იმას, რაც დასაგმობი და უარსაყოფი იყო, მიზანი მდგომარეობდა ხალხისადმი ერთგულ სამსახურში, რაც ასე ოსტატურად გამოითქვა ლექსში – „ჩემო კალამო“, რომელშიაც პოეტი, როგორც განმანათლებელი, ბრძოლას უცხადებს ბოროტებას (აუცილებლად უნდა ვიგულისხმოთ – ბატონყმობა), მზად არის „წმინდა სიტყვა უშიშრად“ მოკუინოს ხალხში (ე. ი. განათლება შეიგანოს), ემსახუროს „ქართელის ბედს“ – მთელ ქართულ ხალხს, და სიყრმიდანვე არჩეულ გზას არასოდეს არ გადაუხვიოს:

„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართელის ბედმა,
და დაე გეძრახონ, – ჩვენ მის ძებნით დავლიოთ ღღენი.
ჩემზედ ამბობენ: „ის სიაყეს ქართელისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“
ბრიყენი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს –
ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია!“

ამ აზრითა და ამ შეგნებით გამოუცხადა სასტიკი ბრძოლა ილია ჭავჭავაძემ ბატონყმობას „გლახის ნაამბობში“ (1859 წელი), „კაცია-ადამიანში“ (1859-1863 წლები), „აჩრდილში“ (1859 წელი), „კაკო ყაჩაღში“ (1860 წელი); მეფის თვითმპყრობელობას და მთელ მის ბიუროკრატიულ აპარატს „მგზაერის წერილებში“ (1861 წელი), „სარჩობელაზედ“ (1879 წელი); ძალმომრეობასა და ადამიანთა ჩაგვრას – მთელ რიგ მხატვრულ ქმნილებებში. რეალისტის ფხიზელი თვალით დაინახა ილია ჭავჭავაძემ სოციალური უსამართლობით გამოწვეული ხიდრატეხილობა და ქართული პროზის შედეგში – „ოთარაანთ ქერივი“ (1887 წელი) ამ ნიადაგზე

წარმოშობილი მძიმე ადამიანური ტრაგედია ვეიჩვენა. მწერალი მიუხედა თავისი ერის ყველაზე მტკივნეულ საკითხებს, ჩასწვდა მათ სიღრმეს, ჩამოაქანდაკა მხატვრულ სახეებში და წინ დაუყენა, როგორც სარკე, თანამედროვეობას. ეს იყო მისი დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობა, უანგარო სამსახური, და ამ მიხედვებაში ერთხელ კიდევ გამელაუნდა ის ჰუმანიტება, რომ გენიოსები ყოველთვის პირველნი შენიშნავენ ხოლმე ხალხის, ერისა და ბუნების განვითარებაში მომხდარ ცვლილებებს. სწორედ ამ ცვლილებებმა დაანახეს ილია ჭავჭავაძეს ლელთ ღუნია, რომელიც მოხევეურ კილოზე მოუქცეულა – „ჩენი თავი ჩენაღვე გვეყუნესო“. ამ ცვლილებებმა ათქმევინეს დიდ მოაზროვნეს, რომ „ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება...“* ამ ცვლილებებმა შეამჩნევინეს, ჯერ კიდევ 1860 წელს, ვანუკითხაველ ტანჯული სახე მუმისა, მისი ნაღვლიანი ხმა, „დღიურ ლუკმისთვის ტანჯვა, შრომა და მწუხარება“.

სინამდვილის ცოცხალი სახეების წარმოსახეასთან ერთად, ილია ჭავჭავაძე, ისევე როგორც აკაკი წერეთელი, ისტორიულ რეალიზმსაც მიმართავედა, უმთავერესად, პატრიოტული გრძნობის გაძლიერების მიზნით. ასეთ ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება ისტორიული პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“ (1878 წელი) და მინიატურული მოთხრობა „ნიკოლოზ გოსტაბიშივილი“ (1880 წელი). ორივე ნაწარმოებში სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლის სახეა ნაჩვენები: პირველი – დიმიტრი მეფე, რომელიც თავს სწირავეს ხალხის კეთილდღეობას, ხოლო მეორე – ნიკოლოზ გოსტაბაბიშივილი მგერზე იმარჯვებს.

* ილია ჭავჭავაძე, რჩული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 269.

რა თემისთვისაც არ უნდა მოეკიდნა ხელი, ილია ჭავჭავაძე ყველაფერს თავისი დროის მოთხოვნებს, თანამედროვეობის საჭიროებას უქვემდებარებდა. ასევე მოექცა იგი ერთი შეხედვით ისეთ განყენებულ თემას, როგორცაა განდევილობა, წარმოშობილი რომის იმპერიის დამლის შედეგად. „განდევნილი“ ილია ჭავჭავაძემ უფრო ღრმა აზრი ჩააქსოვა, ვიდრე ზოლამ „აბაგ მურეს შეცდომაში“, გუსტავ ფლობერმა „წმინდა ანტონის ცდუნებაში“ და ანატოლ ფრანსმა „თაისში“. ეს იყო ძლიერი ხაზგასმა ასკეტური იდეალის აუცილებელი კატასტროფისა, იმის ქადაგება, რომ ადამიანი – საზოგადოებრივი არსებაა, საზოგადოებას ვერ გაექცევა, თუნდაც ბეთლემის მონასტერს შეაფაროს თავი, ხოლო თუ გაექცა, გარდუვალად დაიღუპება.

როგორც რეალისტი მხატვარი, რომელიც საგნებსა და მოვლენებს არა განჭვრეტის, არამედ ცოცხალი სინამდვილის ფორმაში განიხილავს, ილია ჭავჭავაძე ტიპებისა და ხასიათების ბრწყინვალე ოსტატია. ქართულ ლიტერატურასა და თვით ხალხის ცნობიერებაში განუმეორებელ, ცოცხალ სახეებად დარჩნენ ლუარსაბ თათქარიძე, დარეჯანი, დათიკო, გაბრო, კაკო ყაჩაღი, ოთარაანთ ქერივი, არჩილი, კესო, გიორგი, მწირი, ქართველის დედა, დიმიტრი თავდადებული, მოხევე ლელთ ლუნია, გლახა ჭრიაშვილი, პეტრე და მრავალი სხვა. ლირიკული გმირი კი მისი პოემების თვით ავტორის სახით დგას ყველა ქართველის წინაშე. ეს გმირი სულიერად ფაქიზი, ფილოსოფიურად განწყობილი და სამშობლოს ბედზე ღრმად დაფიქრებულია. მისი ლექსები გრძნობებითა და აზრებით, მაგრამ უფრო აზრებით გამოირჩევა, თითქოს აზრი გრძნობას წინ უსწრებდეს. ამ მოვლენას თავისი მიზეზები აქვს, რომლებიც ახსნასა და განმარტებას საჭიროებენ.

თითქმის ყველა ერის პოეზიაში მეტნაკლებად შეინიშნება ის მოვლენა, რომ პოეტების უმრავლესობა ლირიკით იწყებს და ლირიკითვე ამთავრებს. ილია ჭავჭავაძე ამ მხრივ გამონაკლისია. მართალია, მისი ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ლექსი – „ყვარლის მთებს“ ლირიკული განწყობითაა დაწერილი, მაგრამ იგი პირველყოელისა პატრიოტული ნაწარმოებია და არა ლირიკული. ილია ჭავჭავაძის პოეზიაში ლირიკას თავისებური ელფერი დაჰკრავს, განსხვავდება არამარტო ძველი ქართული ლირიკოსების, არამედ მისი თანამედროვე პოეტებისაგან. შესაძლოა ამის მიზეზი ლირიკის იმ თეორიაშიც ვეძიოთ, რომლის მიმდევრადაც ილია გვევლინებოდა. მას სრულიად ორიგინალური თვალსაზრისი აქონდა ლირიკის არსებასა და მნიშვნელობაზე, ფიქრობდა, რომ, მართალია ლირიკის გარეშე პოეზია არ არსებობს, მაგრამ მარტოდღენ ლირიკა მაინც ვერ მოიცავს მთელ პოეზიას, ვერ დაიგვეს მის კიდე-განს. ლირიკა უფრო ვიწრო ჩარჩოა, ვიდრე თვით პოეზიის ბუნება. როგორც ლიტერატურის დარგი, პოეზია გულისხმობს ცხოვრების წარმოსახვას, მაგრამ თუ პოეზია ლიტერატურის კერძო დარგია, თვით ლირიკა, როგორც პოეზიის ეანრი, კერძო დარგს წარმოადგენს, ისევე, როგორც ერთი ადამიანი საზოგადოების მიმართ კერძოა, და არა მთელი საზოგადოება. ამდენად, მარტოდღენ ლირიკას არ შეუძლია ცხოვრების სრულად გამოხატვა, პოეზიაში კი სწორედ ცხოვრება უნდა გამოხატოს.

მაინც რა არის ლირიკული პოეზია, რა არის მისი საგანი და როგორ განმარტებას გვაძლევდა ილია ჭავჭავაძე?

დაუმთავრებელ კრიტიკულ ნაწყვეტებში – „ცისკარი 1857 წლიდან 1862 წლამდინა“ ჩვენ ვპოულობთ ლირიკული პოეზიის საესებით დასრულებულ კონცეფციას, რომელიც

მრავალმხრივ საგულისხმო და სანიშნებელია. ეტყობა, ქურნალ „ცისკარში“ ხუთი წლის მანძილზე დაბეჭდილი პოეტური ნაწარმოებების საფუძვლიან შესწავლას ილია ჭავჭავაძე ვარკვეულ დასკვნებამდე მიუყვანია. ამ დასკვნებს დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა და მათი ანალიზი უთუოდ ლიტერატურულ ინტერესთა ფართო წრის შემცველია, მით უფრო, რომ ლირიკული პოემიის საკითხი მჭიდროდ უკავშირდება ჩვენი მწერლობის დღევანდელ ვითარებასაც.

რას წარმოადგენს, ზოგადი თვალსაზრისით, ლირიკა, როგორც ჟანრი?

ილია ჭავჭავაძე საესებით მართებულად განმარტავს, რომ ლირიკა „... არის ერთი გვარი პოემიისა“ და მას „მუსიკის და პოემიის შუა ადგილი უჭირავს“* ამიტომ „... ამგვარი ლექსი სულ მუდამ თითქმის უფრო სამღერალია; ასე გგონია – მთელი არ არისო, ასე გგონია – რაღაც აკლიაო, როცა არ დაიმღერება; მუსიკა აქ თითქოს კმეელისო პოემიასა, პოემია – მუსიკასა“.** საესებით ნათელია, რომ ლირიკა მართლაც პოემიის ერთ-ერთი გვარია, ერთ-ერთი ჟანრია, როგორც ილია ამბობს, მართლაც უკავია მას შუა ადგილი მუსიკასა და პოემიას შორის, ვინაიდან პოემიისათვის საჭირო სისრულე აკლია, ხოლო პარმონიულობისა და ქლერადობის მიუხედავად, მუსიკის სიმბალემდე მაინც აღწევს. ლირიკული ლექსი მკითხველში ყოველთვის აღძრავს მუსიკალურ გრძნობას და ყოველ ლირიკულ ლექსს, თუ იგი პოეტურად მაღალი და დახვეწილია, საკუთარი მუსიკალური ნოტები აქვს, მათი ამოკითხვაც ისევე შეიძლება, როგორც გენიალურმა

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ტ. III 1953 წ., გვ 459.

** იქვე გვ 459.

გლინკამ ამოიკითხა პუშკინის ლირიკული ლექსების მუსიკა. ლირიკა სულის მინაგან სიმღერას წარმოადგენს; ლექსში ეს სიმღერა მორცხვად იხედება, ხოლო როცა მუსიკის ენით ამეტყველდება, ის მთლიანად გაამჟღავნებს თავის თავს, საკუთარი სახის სრულ ფორმაში გამოჩენით. შეიძლება ჩვენ ისე ხელმესახებად ვერა ვგრძნობთ, მაგრამ უეჭველია, რომ ყოველი ჰემმარიტი ლირიკული ნაწარმოების კითხვის დროს გულში უხმოდ ვიწყებთ იმ სიმღერას, რომლის დაუწერელი ნოტებითაც პოეტს თავისი ლექსი სიტყვების გზით ქაღალდზე გადაუტანია. ასე ავსებენ ერთმანეთს ლირიკული პოეზია და მუსიკა, არაერთი ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს მომენტები აქვს მხედველობაში ილია ჭავჭავაძეს, როცა იგი ლირიკის ადგილს განსაზღვრავს, ლირიკული ლექსის მუსიკალური ხასიათის, უსრულობის, პოეზიისა და მუსიკის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ლაპარაკობს.

აქვეა საძიებელი თვით ლირიკული პოეზიის საგანი. მაგრამ ეს საკითხი ილია ჭავჭავაძემ ისე სრულად განმარტა, რომ მის გასაგებად სავსებით საკმარისი იქნება მოვიყვანოთ შემდეგი სიტყვები: „საგანი ამგვარი პოეზიისა (ე.ი. ლირიკული პოეზიისა — გჯ.) თითონ პოეტის სულის მდგომარეობაა სხვადასხვა შემთხვევებში და გარემოებაში; წუთის გრძნობის, წუთის აღბეჭდილების გამოთქმაა, ერთი სიტყვით, თითონ პოეტი აქ მხოლოდ თავის გრძნობას ხატავს, თავის გულის მოძრაობას და აღბეჭდილებას. გარეგანი ბუნება მისთვის არ არსებობს, და თუ არსებობს, იმის ხელში ის წმინდა სანთელსავეთ ლბილია; გაათბობს თუ არა თავის გულის ცეცხლითა, იმას გამოსახავს ზედ, რაც თითონ უგრძნებია და არა იმას, რაც თვით ბუნებაშია, როგორც აუცილებელი თვისება მისი. ეს მიმართულება ისე გაუფლებულია ჩვენში, რომ არამც თუ ჩვენი სასიქადულო და სახელოვანი პოე-

ტები, არამედ ისიც, ვინც კი უნიჭოდ მოაწყობს ხოლმე ორ რითმას, ისიც კი ამცუარ პოეზიის მიმღევეარია“.* აქედან სრულიად არ გამომდინარეობს ლირიკული პოეზიისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. თუ ილია ჭავჭავაძის ბემობსენებულ სიტყვებს ასე გავიგებდით, მაშინ უთუოდ შეცდომასთან გვექნებოდა საქმე, არა, აქ მხოლოდ ის არის ხაზგასმული, რომ ლირიკული სუბიექტურს წამოსწევს წინ, შემოქმედის სულიერ განწყობას გამოხატავს, ხან გარე სამყაროსთან დამოკიდებულებაში უფრო სუსტად, ხოლო შინაგან „მეს“ – უფრო ძლიერად. ამიტომ, როგორც არ უნდა იყოს, რა მიმართულებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს, ლირიკოსი ამ ძირითად საგანს ვერ გაექცევა, რაკი საგანი უცვლელი რჩება, სხვადასხვა დროის ლირიკოსთა ლექსები ძალიან ემსგავსებიან ერთმანეთს, თუმცა, რა თქმა უნდა, ერთი და იგივე არ არის და არც შეიძლება იყოს რენესანსის ან კლასიციზტური ხანის ლირიკა.

ლირიკული ჟანრი ყველა ერისა და ყველა ხალხის ლიტერატურაში ბატონობდა, გამონაკლისს არც ქართული მწერლობა წარმოადგენს, ქართული პოეზიის ისტორია მრავლად იცნობს ლირიკულ შედეგებს, მაგრამ ილია ჭავჭავაძე ფიქრობს, რომ დიდი პოეზიის შექმნა შეუძლებელია ეპოპეის გარეშე და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი იმითაც იყო დიდი, რომ „მოლექსეთა შორის მარტო რუსთაველის გენიამ შეიძლო შექმნა ეპოპეისა, თუმცა იმის პოემამიაც ურევია ბევრი ლირიკა; უნიჭობაა ჩვენი მწერლობისა, რომელთაც უნდოდათ მის მსგავსი დაეწერათ რამე, მაგრამ მაინც ლირიკაზე გადადიოდნენ“.**

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953 წ., გვ. 459.

** ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953 წ., გვ. 457.

აბგვარად, საესებით ნათელი ხლება, რომ ილია ჭავჭავაძისათვის ეპიკური ნაწარმოები უფრო რთული, უფრო დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა, ვიდრე ლირიკული; ეპოპეა, როგორც ჯანრი, უფრო მეტ ნიქსა და მეტ ოსტატობას მოითხოვს, ვიდრე ლირიკული, როგორც ჯანრი. შესაძლოა აქ ისეთივე მღვობარეობასთან გუქონდეს საქმე, როგორც ბელეგრისტიკისა და დრამატურული ხელოვნებით შეჯერებისას. დრამა ხომ ურთულეს ხელოვნებას განეკუთვნება, რასაც თვით ილია ჭავჭავაძემ მიაქცია ყურადღება წერილში – „ახალი დრამების გამო“, რომელიც უფრო გვიან, 1890 წელს არის დაწერილი, და რომელშიც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ დრამის შექმნა ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელია და ყველა მწერალი – თუნდა ნიჭიერიც – ვერა კბედავს ხელი შეკმართოს“.* თუ ასეა, თუ ეპიკური უფრო რთულია, ვიდრე ლირიკული, ხომ არ შეუცვლია თავისი აზრი ილია ჭავჭავაძეს, ან შემთხვევით ხომ არ წამოუყენებია ეს შეხედულება? არა, მართალია, იმავე წერილში, მაგრამ სხვა ადგილას, იგი კვლავ იმეორებს თავის შეხედულებას, ცოცხალად და მიუთითებს, რომ „ჩვენ მოლექსეთა შორის მარტო რუსთაველის გენიამ შეიძლო შექმნა ეპოპეისა, ასე რომ აქომამდე მის მეტი თითქმის არავინა ჩანს. თუმცა არიან ზოგიერთნიც ჩვენ ლიტერატურაში, რომელთაც მოინდომეს მიბაძვა რუსთაველისა, მაგრამ არც ერთს მათგანს არც ნიჭი ჰქონდა იმდენი, რომ წარმატებით ევლოთ რუსთაველისაგან ნაჩვენებ ვაბაზე და არც განათლება. იგინი ხშირად იწყებდნენ მოთხრობებით (ამ შემთხვევაში იგულისხმება ეპოპეა – გჯ.), და ბოლოს მაინც ლირიკისაკენ გადაუხევედნენ ხოლმე“...**

რა იყო ამის მიზეზი?

* ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული. ტ. III, 1953 წ. – გვ. 457.

** იქვე გვ. 459.

დავეთანხმებით, თუ არ გავიზიარებთ ამ მიზეზების ახსნაში ილია ჭავჭავაძის აზრს, ერთი რამ ცხადი ხდება: ილია თავის შეხედულებას კატეგორიული ფორმით გამოსთქვამს, და აღნიშნავს, რომ „მიზეზი ამისთანა მოვლენისა“ არის „სისუსტე ტალანტებისა“* ეს ეხება ლირიკული პოეზიით გატაცებას, ლირიკულ ნაწარმოებთა სიმრავლეს, და არა საერთოდ ქართულ პოეზიას, რომელსაც თამამად უკავია ერთ-ერთი პირველი ადგილი მსოფლიო პოეზიაში და რომელსაც თვით ილია ჭავჭავაძე ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდა. პირველმა სწორედ მან მოგვცა ძველი პოეზიის არსების ღრმა ანალიზი, განსხვავებით მამუკა ბარათაშვილის პოეტიკური ძიებისა „ჭაშნიკში“, იოანე ბატონიშვილის ეერსიფიკატორული ანალიზისა „კალმასობაში“ და სოლომონ დოდაშვილის ზოგად-რეტროსპექტული ექსკურსისა „მოკლე განხილვაში“. ილია ჭავჭავაძემ თეორიულად პირველმა გამოაჩინა ძველი პოეზიის იდეა და გამოთქმის ფორმა.

რა არის ერთი ან მეორე?

პირველი: „ა) ჩივილი, წუთის-სოფლის მდურეა; კაცის ამაოება, აქაურ ცხოვრების ამაოება და ნუგეშით თვალ-შეჩერება ცისა, სადაც მოელიან საუკუნო განსვენებას და მართლ-მსაჯულებას; ბ) სიყვარული უფრო პლატონური, მუხთლობა სიყვარულისა და დაუდგრომელობა; თუ აქ არ შეეხვდით ერთმანეთს – ცაში და-ძმანი ვიქნებითო; გ) ქალი ან ანგელოზია და უფრო ხშირად – დემონი, წამწყმედი კაცისა; დ) ბუნება წმინდა სანთელია იმათ ხელში, რასაც უნდა, იმას გამოსახავენ; ბუნება თუ არის მშვენიერი, – იმათ გრძნობის მიხედვით; ის, როგორც ობიექტი, არ არსებობს იმათთვის“.** ეს არის იდეა, რომელსაც ძველი პოეზია გამოხატავდა;

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953 წ., გვ. 457.

** იქვე, გვ. 457.

მეორეა: „ფიგურობა და ალლეგორია სპარსულის ლიტერატურის გაელენისა გამო“. ეს არის ფორმა, რომლითაც ძველი პოეზია თავის იდეას გამოხატავდა.

მაგრამ ილია ჭავჭავაძე ძველი პოეზიის მარტოოდენ იდეისა და ფორმის ანალიზზე არ შეჩერებულა. მან სცადა ძველი პოეზიის ფორმების რღვევა ეჩვენებინა ახალ საუკუნეებში დაეით გურამიშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ვრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების მაგალითზე და დაეხასიათებინა თვითეული მათგანი: „დაეით გურამიშვილი, რომელმაც სცადა თითქმის პირველად, ზოგიერთგან რასაკვირველია, ევროპეიზმის შემოტანა ქართულ ლექსის გამოთქმაში; ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელიც უფრო ხშირად ცდილობდა მაგ ევროპეიზმის გავრცელებას; მაგრამ მაგასაც აქვს ფიგურალი ლექსი; ვრ. ორბელიანი, გამგრძელებელი ევროპეიზმისა; ნ.ბარათაშვილი, ბრწყინვალე წარმომადგენელი ევროპეიზმისა; ეხლანდელი მწერლები, რომელნიც ბაძავენ მაგ ევროპიულ გამოთქმასა, მაგრამ თავის ამრების მიმართულებით, იდეებით, ძველებსა ჰგვანან“.* ეს უკანასკნელი მოსაზრება ილია ჭავჭავაძემ კიდევ უფრო მკაფიოდ გაიმეორა იმავე წერილის მესამე ნაწყვეტში, სადაც თავის თანამედროვე პოეტებს უსაყვედურა ძველ პოეტებთან მსგავსება. „რაკი ყურადღებით გადავიხილეთ ექსის წლის ნაწარმოები ლექსები, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — ჩვენ შევინძნეთ, რომ „ცისკრის“ ახალ მოლექსეებს, ზოგიერთ გარდა, დიდი კავშირი აქვთ ძველებზედა, კავშირი ისტორიულ განვითარებისა კი არა, მსგავსებისა. ეხლანდელი მოლექსენი თითქოს იმას იმეორებენ,

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 457.

რაც უწინდელს უთქვამთ, ისეთ-ნაირად ჰგვანან ამათი აზრები იმათ აზრებსა, ამათი მიმართულება — იმათ მიმართულებასა...^{*} ამიგომ ილია ჭავჭავაძეს არ შეეძლო გაეზიარებინა მისი თანამედროვე პოეტების ეს ხაზი, აპყოლოდა მათ გზას. იგი სულ სხვა მიმართულებით წავიდა, მიმართულებით, რომელიც რუსეთსა და ევროპაში რეალიზმად იწოდებოდა, ხოლო ქართულ ღრ-ამაგურგიაში პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმული ჰქონდა. შესაძლოა ძველი და ახალი ლიტერატურის ილიასეული შეფასების ყველა დებულება დღეს აღარ გაეზიაროთ, მაგრამ იგი რომ სწორი გზით წავიდა, ეს სრულიად უეჭველია, მან შესცვალა არა მარტო იმდროინდელი ლიტერატურის მიმართულება, არამედ, ასევე ახალ გზაზე დააყენა ქართული ლირიკა, გააფართოვა მისი საზღვრები, გასწია ეპიკურისაგან მისი წყალგამყოფი საზოგადოებრივისაკენ, ისე, რომ მხოლოდ ერთი კიდე დასტოვა ეპიკურთან მისასვლელად. მაგრამ ამით ოდნაეც არ შეუბღალაეს ლირიკულის თვითმყოფობა. მან ლირიკულს როგორღაც სულის მეტი შინაგანი სიმაგრე მისცა, თითქოს „ვიწრო პიროვნულიდან“ იგი გადაიზარდა “ზოგად პიროვნულში”. ასეთ ლირიკულ ლექსთა წყებას მიეკუთვნება ილია ჭავჭავაძის ორივე „ლოცვა“ (1859 წელი), „უცხოეთში“ (1858 წელი), „მარტო მივცურაე ცხოვრების ზღვაში“ (1858 წელი), „დაე თუნდ მოვეკედე“ (1858 წელი), „ბევრი ვიგანჯე“ (1858 წელი), „ელეგია“ (1959 წეწი), „მტკერის პირას“ (1859 წელი), „ალაზანს“ (1859 წელი), „დაბნელდა სული“ (1860 წელი), „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“ (1861 წელი) და „ჩემო

^{*} ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. III, 1953. გვ. 458.

კალაპო“ (1861 წელი). ყველა ეს ლექსი წარმოგიდგინს ილია ჭავჭავაძის ლირიკულ შემოქმედებას და თუ როგორ გადადის „ეიწრო პიროვნული“ – „ზოგად პიროვნულში“, შეიძლება სა-ილუსტრაციოდ მოვიგანოთ ერთ-ერთი მათგანი, ეთქვამთ, პირველი „ლოცვა“:

„მამაო ჩენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ედგეეარ შენ-წინა;
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურაცხ-ეპყო მე ლოცვა წმინდა-
არამედ შწყურს მე განმინათლეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მგერთათვისაც, რომელთ თუნდ ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შენდუ, – არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“*

ან კიდევ მეორე ლექსი:

„მას აქეთ რაკი შენდამი ვეცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიერთა მე ძილი და შეება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ეუგდებ სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და ღლე ღამდება.
დაეინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გროვდება,
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოურად იძერის ჩემს გულში,
და მე არ ეჩივი, – მიხარიან, რომ ეგრეთ კშერება
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში.“**

* ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. 1. 1937. გვ. 21.

** იქვე. გვ. 72.

ეს პოეზია, მოვალეობის ეს მაღალი გრძნობა გასულ საუკუნეში ახალმა სინამდვილემ წარმოშვა, სწორედ გასულმა მეცხრამეტე საუკუნემ დაბადა „ახალი ქართლი“, როგორც წინა საუკუნეების ბუნებრივი მემკვიდრე.

ამ „ახალი ქართლის“ დაბადებას, ერეკლეს სახელთან დაკავშირებულს, ნიკოლოზ ბარათაშვილმა 1842 წელს ძეგლი აუგო მრავლისმეტყველი ლექსით – „საფლავი მეფის ირაკლისა“, რომელშიც მუხლი მოიდრიკა მხცოვანი გმირის საფლავის წინაშე, ცრემლი დაანთხია ბრძენი მეფის სახელზე და თაყვანი სცა ანდერძს, წინასწარ რომ განსაზღვრა საქართველოს მომავალი. ასე აღსრულდა ერეკლეს ხელმწიფური ამრი, ტკბილი ნაყოფი გამოიღო „ნაანდერძებმა, წინასწარად თქმულმა“, შემოვიდა მამულში „განათლება და ხმა საამო“, შეიცვალა „ქამთ ვითარება“, და პოეტმაც ისტორიული სურათი წარმოსახა, როცა თქვა:

„სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო, მოქალაქის მართავს აწ ხელი!“*

ყველა ეს ცვლილება ბუნებრივი შედეგებით დაგვირგვინდა. სულ სხვა სახე მიიღეს საგნებმა და მოვლენებმა. ახალმა დრომ ახალი მდგომარეობა შექმნა, რომელმაც თავის მხრივ ახალი ამრები და ასევე ახალი განწყობილებები გამოიწვია. სამუდამოდ წავიდა ძველი და

„აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა,
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყველება;
შავი ზღვის ზეირთნი ნაცულად ჩვენთა მოსისხლე მგერთა,
აწ მოგვიგერიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთა“.*

* ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლექსები, 1922 წ., გვ 44

** იქვე.

ასე დაიწყო „ახალი ქართლის“ ისტორია. მაგრამ ეს ახალი არ დაბადებულა უმტკიენეულოდ. ყოველი ახლის წარმოშობა მშობიარობის ტკივილებთან არის დაკავშირებული, ისევე როგორც ძველი უმტკიენეულოდ არ კედება. „ახალი ქართლის“ ეს ტკივილები და მომავლის სახე ღრმად შეიწრო ილია ჭავჭავაძემ, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის დაწერიდან თექვსმეტი წლის შემდეგ, ცენიალურ „ქართლის დედაში“, რომელშიც გასული საუკუნის 60-იანი წლების საბოქმედო მთელი პროგრამა გადაშალა:

„მას ნულარ ესტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით ღანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ეარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩენი ეშუათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსკეთ მომავალი ხალხს“...*

სწორედ ხალხისათვის ამ მომავლის მოსაცემად დაიწყო ბრძოლა ილია ჭავჭავაძემ სალიგერატურო ასპარეზზე პირველი გამოსვლისთანავე 1861 წელს, როცა ეურნალ „ცისკრის“ აპრილის ნომერში დაიბეჭდა მისი წერილი „ორიოდე სიტყვა თაყვად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის-მიერ „შემლილი“-ს თარგმანზედა“. ეს იყო ისეთივე დიდი მნიშვნელობის მოვლენა ქართულ ლიტერატურაში, როგორიც რუსული მწერლობისათვის კქონდა ბესარიონ ბელინსკის პირველ ვრცელ წერილს „Литературные мечты“, რომელიც 1834 წელს „Молва“-ში გამოქვეყნდა. მაგრამ თუ ფართო საზოგადოებრივი

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 30.

მნიშვნელობის სახით ავიღებთ, ილია ჭავჭავაძის წერილს უფრო მეტი როლი დაეკისრა საქართველოს იმდროინდელი ცხოვრებისათვის, ვიდრე გენიალური რუსი კრიტიკოსის ნაშრომს რუსული ყოფის მიმართ. ილია ჭავჭავაძის პირველი წერილი 60-იანი წლების დასაწყისის მთელ ქართულ ლიტერატურას თითქოს გრივადლივით მოველინა, შეურყია ძველი დედაბოძები, გადაუშალა სრულიად ახალი პორიბონტები და ასევე სრულიად ახალი ამოცანების წინაშე დააყენა. დროის ყინული გაიბზარა, ძველი რწმენა შეირყა, წარმოითქვა ისეთი ქადაგება, რომ ძველი კერპების ნაცულად ახალი ლიტერატურული იპოსტასი უნდა გაბატონებულიყო. საჯაროდ გამოტანილ იქნა ახალი ამრებითა და ახლი იღვებით შთაგონებული მთელი პროგრამა. ლიტერატურის მთავარ ამოცანად გამოცხადდა ხალხის უშუალო ცხოვრების, მისი ჰირეარამის გამოხატვა; აღიარებულ იქნა ენობრივი რეფორმაციის აუცილებლობა, როგორც ცხოვრების განვითარების ბუნებრივი რეფორმაციის აუცილებლობა, როგორც ცხოვრების განვითარების ბუნებრივი შედეგისა; თვით ლიტერატურული წარსული და მისი აწმყო სრულიად ახალი სახით წარმოსდგა. არამარტო მწერლობამ, თვით ერმა იგრძნო, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე მოვიდა ცოცხალი, ენერგიით სავსე, ახალგაზრდა თერგდალეული, როგორც რუსეთში კარი შეაღო რაზნოჩინეცმა. გამოჩნდა საზოგადო მოღვაწეთა მთელი ფალანგა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით და ამ პლედაში შედიოდნენ: აკაკი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, ვიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე... გამოვიდა ახალი, სრულიად ორიგინალური ეურნალი „საქართველოს მოამბე“, რომელმაც ხალხის სამსახური თავის დრომზე წააწერა, დაიწყო ქადაგება უტილიტარული ესთეტიკის პრინციპებისა, მეცნიერებისა და ხელოვნების უმჭიდ-

როესი კავშირისა, ბელინსიკისა და ჩერნიშევსკის იდეების გავრცელება, სამოგადოებრივი კუთხით მშობლიური ენის საკითხების დაყენება, და თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყოველივე ამას, შეიძლება ენის გარშემო იმდროინდელი ბრძოლითაც წარმოვიდგინოთ.

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიულ განვითარებაში თანამედროვე ფილოლოგია სამ ძირითად პერიოდს აღნიშნავს: ძველს, სამუშალოსა და ახალს, ან კიდევ ორს – ძველსა და ახალს.* პირველი მოსაზრების წარმომადგენელია აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე, ხოლო მეორე შეხედულებისა – აკადემიკოსი არნ. ჩიქობავა. ძველი პერიოდი მოჰყავთ მეხუთე საუკუნიდან მეთერთმეტე საუკუნის დამლევამდე, ხოლო მეორე პერიოდი – მეთორმეტე საუკუნიდან დღემდე (არნ. ჩიქობავა); ან კიდევ: პირველი პერიოდი – მეთერთმეტე-მეცამეტე საუკუნემდე, მეორე – ამ დროიდან მეთორმეტე საუკუნის დამლევამდე, ხოლო მესამე – მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან დღემდე (კორნ. კეკელიძე). ყოველ შემთხვევაში, მე-19 საუკუნე ახალი ქართულის საუკუნეა, და ყველაზე დიდი წარმომადგენელი, რომელმაც ახალი სალიტერატურო ენის ხალხური საფუძვლები, როგორც თეორიულად, ისე მხატვრული პრაქტიკით განამტკიცა, ილია ჭავჭავაძეა, აკაკი წერეთელთან, ვაჟა-ფშაველასთან და იაკობ გოგებაშვილთან ერთად.

დროთა სელამ, ქართული მეცნიერების განვითარებამ, სავსებით დაადასტურა, რომ ილია ჭავჭავაძე მართალი იყო ანტონ პი-

* დაწერილებით ამ საკითხზე იხ. კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1951 წ., გვ. 27-34 არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დასახიათება (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბილისი, 1950 წ., გვ. 018-028).

რეელის რიტორიკის წინააღმდეგ ბრძოლაში, მართალი იყო, როცა გაილაშქრა „სამი სტილის თეორიის“ წინააღმდეგ, მართალი იყო, როცა მართლწერიდან განდევნა ზედმეტი ასოები, მართალი იყო, როცა ე.წ. „მამებს“ ებრძოდა სალიტერატურო ქართულის საკითხებში და ამტკიცებდა, რომ ენა ერის საუნჯეა. ილია წერდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცი და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან ვასწორებას. ენა საღეთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“.*

ასევე მართალი იყო ილია ჭავჭავაძე, როცა ე.წ. „მამებს“ უმტკიცებდა, რომ „სადაც აზრი არ არი, იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია... აზრი და მხოლოდ აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას“.** „კაცის ენა კერძო პირსავე იმზრდება და ვითარდება; ამ ბრძაში იცვლება, როგორც ჩვენ კაცნი ბრძაში ვიცვლებით ხოლმე; ხშირად იქნება, რომ კანონები ერთს დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე; ამიგომ ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს. როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველ კაცსა“*** „ენას კანონსა თვითვე ენა აძლევს და არა რაიმე თეორეტიკა“**** „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა“***** ეს თეორიული – პრინციპები თვით ილიამ განახო-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953 წ. "პასუხი", გვ 26-27.

** იქვე, გვ 38.

*** იქვე.

**** იქვე.

***** იქვე, გვ 40.

რციელა თავის ნაწერებში, კერძოდ, ეს ახალი ენა გამოიყენა მან უცხოური ლიტერატურიდან თარგმანებშიც.

ქართულ მწერლობაში მთარგმნელობითი გრადიცია მდიდარ სათავეს ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების – ათონელების ლიტერატურული პრაქტიკიდან იღებს, თუმცა, გაცილებით უფრო ადრეც, მეხუთე საუკუნეში, ქართული თარგმანი ცნობილია „საღმრთო წერილის“ სახით, როგორც ეს გარკვეული აქვს აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს.* მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეებში ქართული თარგმანი უდიდეს წარმატებას აღწევს; რელიგიური ლიტერატურის გვერდით ითარგმნება პოეტური და პროზაული თხზულებანი, ძალიან ფართოდ კი ფილოსოფიური წიგნები. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც მარტოოდენ იოანე პეტრიწის თარგმანები მეცამეტე საუკუნეში, მონღოლთა გამანადგურებელი შემოსევის შედეგად, ქართული მთარგმნელობითი მუშაობა ერთგვარად წყდება ქვეყნის საერთო უბედურების მიზეზით, მაგრამ იგი კვლავ ახლდება მე-16 საუკუნიდან, როცა ქართველი პოეტების მთელი პლეადა ხელს კიდეებს ნაციონალური ლიტერატურის აყვავების დიდ საქმეს. ამ პოეტთა შორის შეიძლება საილუსტრაციოდ მოვიხსენიოთ სერაპიონ კედელაური, თეიმურაზ პირველი, ვახტანგ მეექვსე, სულხან-საბა ორბელიანი და მრავალი სხვა. მე-19 საუკუნეში კვლავ გრძელდება მთარგმნელობითი მუშაობა, ითარგმნება როგორც პროზაული, ისე პოეტური და დრამატული თხზულებანი, გავიხსენოთ ალექსანდრე ჭავჭავაძის თარგმანები ვოლტერიდან და პუშკინიდან, ბართაშვილისა –

* კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, თბილისი, 1951 წ., გვ 383-384.

ლემბევიციდან, გიორგი ერისთავისა — მიცკევიჩიდან, ღიმიტ-რი ყიფიანის, სარდიონ ალექსი-მესხიშვილის თარგმანები. ამ საქმეს ხელს უწყობს იმ დროს ერთადერთი ქართული ეურნალი „ცისკარი“. იმავე საუკუნის 60-იან წლებში ქართული თარგმანი კიდევ უფრო ძლიერდება. თერგდალეულები უმთავრესად თარგმნიან რუსული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს. თარგმანის საკითხები ხდება სპეციალური განხილვის საგანი, რასაც მოწმობს „ეფუხისტყაოსნის“ რამდენიმე ნაწყვეტის ის თარგმანი, რომელიც 1846 წელს ივანე ეელახოვს შეუსრულებია და დავით ჩუბინაშვილის გულისწყრომა გამოუწევეია. გაზეთ „კავკაზის“ 1846 წლის ნომრებში ლიტერატურული კამათი ჩუბინაშვილსა და ეელახოვს შორის იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ორივე მხარემ დაიცვა საესებით ჭეშმარიტი აზრი: თარგმანი არ ნიშნავს ცალკეული სიტყვების თარგმნას, ეს უნიჭობის მომასწავებელი იქნებოდა; თარგმანი ნიშნავს ორიგინალის ღირსებათა და განმასხვავებელ ნიშანთა შენარჩუნებას.

ეს ძირითადი თემისი 60-იან წლებში თერგდალეულებმაც დაიცვეს, მხოლოდ მიუმატეს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი პრინციპები, — მხედველობაში გვაქვს თვით თარგმანის ობიექტი. ილია ჭავჭავაძემ თავის პირველ კრიტიკულ წერილში — „ორიოდე სიტყვა თაჲად რევაზ შალვასძის ერისთავის კამლოვის მიერ „შემლილი“-ს თარგმანზედა“ 1861 წელს თარგმანის მთელი თეორია განაწითარა და გახაზა თვით სათარგმნი ნაწარმოების შერჩევაში პასუხისმგებლობის აუცილებლობა, გარდა ერთადერთი შემთხვევისა, ისიც მოგვიანებით, როცა ილიამ თარგმნა ვრცელი რომანი „იზა“, მის მიერ ქართულ ენაზე სათარგმნელად შერჩეული ნაწარმოებნი სწორედ ამ მხრივაც იქცევენ ყურადღებას.

ვის მიმართა ახალგაზრდა პოეტმა?

გოეთეს, შილერს, ეალტერ სკოტს, ბაირონს, ტომას მურს, პუშკინს, ჰაინეს, რიუკერტს, ლერმონტოვს, ანდრე შენიეს. მხატვრული სიტყვის ამ დიდი წარმომადგენლების შემოქმედებიდან მან აიღო ლირიკული ან ეპიკური თხზულებანი, მაგრამ მხოლოდ ისეთი, რომლებიც ყველაზე უფრო მეტად გამოეხმაურებოდნენ, უშუალოდ ან ალევგორიულად, თანამედროვეობის საჭირობორტო საკითხებს. ერთმანეთს თუ შეეუღარებთ ილია ჭავჭავაძის ორიგინალურ ლექსებსა და მის მიერვე თარგმნილ თხზულებებს, შეუძლებელია არ დაეინახოთ ის ერთი დიდი საერთო ხაზი, რომელიც მათ შორის გამაყალიბა, როგორც აკიდოს ძაფი. განა გოეთეს „ბედა მქადაგებელი“, რომელიც ოცი წლის ყმაწვილს 1857 წელს პეტერბურგში უთარგმნია, თავისი იდეური შინაარსით არ ენათესაება პოეტის იმავე პერიოდის განწყობილებას? და რა არის „ბედა მქადაგებლის“ მოკლე შინაარსი? ის, რომ ქვეყნად გამეფებულია მაცდურობა და მატყუარობა, ადამიანები არც კი ისმენენ ღეთიურ ქადაგებას, რომელიც მათივე სიკეთით არის შთაგონებული; რომ ბრმა, მაგრამ კეთილი მოძღვარი ბედა მოტყუებული რჩება, დაცინებულიც, მხოლოდ უსულო ქვები, ადამიანების ნაცულად, მისძახიან მისი ქადაგების პასუხად – „ამინ!“ ასეთივე მარტოობა, კეთილი მოძღვრისა და მასის გათიშვა განჯაყედა ილია ჭავჭავაძის პოეტურ მუზასაც და შემთხვევითი არ იყო მისი ლექსების გოდება:

„მაგრამ, მამულო, ჩემი განჯეა მხოლოდ ის არი,
ის არი მხოლოდ საეალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწამედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ჟიქრი ეანდო, გრძნობა ჩემი განეუზიარო!“;

* ილია ჭავჭავაძე. "შახ აქუო რაკი შუნდამი უკან მე სიყვარული", 1861 წ.

ისევე როგორც მოხუცმა ბელამ თავისი ქადაგება ვერავის მი-
აწვდინა.

ან კიდევ: „თუ კაცმა ვერ სცნო ჩენი გული, ხომ იცის
ღმერთმა, რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩენი“.*

ეს არ იყო მარტოოდენ პესიმისტური მოთქმა-გოდება, ინდი-
ვიდუალისტური განდგომა, ისევე როგორც ელეგიური სიგყეები,
„არსაიდან ხმა, არსით ძახილი!“** „ყოველი პჩუმობს გარშემო
ჩემსა“,*** „როდემდის უნდა ჩვენ არ ვსცნობდეთ სიცოცხლის
ფასსა?“,**** „მარტო მიეცურავ ცხოვრების ზღვაში“,***** „ვეგდე
მარტოკა უცხო ცის ქვეშ ღიდ კლდისა პირსა“,***** „დაბნელდა
სული, გარშემოც ბნელა, სიცივე მკვიდრობს ეხლა ჩემს გულ-
ში“,***** „როცა წუხილი მზაგრავს უწყალო, კაცთან არ ვილ-
გვი მის განქარებულად“.***** ამ სიგყეებთან ერთად ისმოდა
ბედთან შეურიგებლობის ბარათამვილისებური ჰანგი ან კიდევ
ანდრე შენიესებური გონდოლიერის სიმღერა – უშიშარი სიმღერა
– „ცხოვრების ზღვაზედ, სად გრიგალნი შეუბრალებლად მშფოთ-
ვარე ზვირთთა-ზედა ჩემს ნაეს აგრიალებენ...“ ილიასაც ხომ
თავისი თავი წარმოდგენილი ჰქონდა მარტოდმარტო მყოფ
ადამიანად ზღვის ღელვაში, გრიგალთ ქროლაში“, და ამბობდა:

* "ჩემო კალამო..." 1861 წ.

** "ელეგია", 1859 წ.

*** "უცხოეთში", 1858 წ.

**** "როდემდის", 1858 წ.

***** "მარტო მიეცურავ ცხოვრების ზღვაში", 1858 წ.

***** "მწუხარება", 1860 წ.

***** "დაბნელდა ხული"... 1860 წ.

***** "როცა წუხილი მზაგრავს"... 1860 წ.

„ზვირთნი ზვირთზედა ჩემკენა სრბიან,
ჯერ ჩემს მცირე ნაეს ზედ ასკლებიან“.

ეს იყო ბრძოლა, რომელიც ჭაბუკმა პოეტმა ცხოვრების ბევლ ნორმებს გამოუცხადა; იგი უშიშრად გამოვიდა სარბიელზე, რათა ბევრი ტანჯვის მნახველს მომავალშიც ბევრი სხვა ტანჯვა გადაე-ტანა; გაძლო ბედის უკუღმართობისათვის, ოღონდ საზოგადო-ებრივი ცხოვრების სასარგებლო საქმე გაეკეთებინა. ამ გზაზე იგი მზად იყო ყველა და ყოველგვარი განსაცდელის შესახვედრად:

„ყველას გაუძლებ, როგორც კლდე ქვისა,
ბედთანა ბრძოლა ვით მეშინება?!
ხოლო ჩემ თავის არაფრობისა
არ ძალმძის, ძმანო, ვერ რით გაძლება!“

ამ განწყობილებებსა და შეუპოვარი ბრძოლის სურვილს პოეტის არსებაში აძლიერებდა სამშობლო ქვეყნისადმი ზრუნვა, რაც ასე მძლავრად ჯერ კიდევ ჭაბუკობისდროინდელ „ყვარლის მთებში“ გამოიხატა 1857 წელს, ხოლო შემდეგ ლაიგმოტივად დაედო მთელ მის შემოქმედებას. ეს იყო პატრიოტიზმის ქადაგება მხატვრული სიტყვის ყველა საშუალებით, მათ შორის თარგმანი-თაც, და შემთხვევითი არ ყოფილა, რომ თხუთმეტი წლის შემდ-ეგ „ყვარლის მთების“ დაწერიდან, ილია მიაშურებს ტომას მურს, თარგმნის მის პატრიოტულ ლექსს „ირლანდიისადმი“, რომელიც ისევე იწყება, როგორც „ყვარლის მთები“:

„სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენს ხსოვნას ვერ მიეცემ მე დავიწყებასა“.

ტომას მურიც ამავე სიტყვებით მიმართავს თავის სამშობლო ირლანდიას:

„არ ღაგივიწყებ, არა, არა!... ვიდრე ჰყვიიქს გული,
ვიდრე მიდგია ძარღვში სისხლი და პირში სული“.

ანალოგიურმა მოსაზრებებმა უკარნახეს ჭაბუკ ილია ჭავჭავაძეს 1858 წელს ქართულად გადმოელო ერთი ლექსი ბაირონის „ებრაული მელოდიებიდან“ – „სტიროდეთ!“, როგორც ღრმა თანაგრძნობის გამოხატულება ყველა მათდამი, რომლებმაც საკუთარი კარი დაქარგეს და

ვისიყ ტაძარნი ნანგრევ არიან,
ვისიყ მამული სამშობლოისა
არარა არს რა, გარდა სიზმრისა!“

ყოველივე ამით ილია ჭავჭავაძის სახელი მჭიდროდ დაუკავშირდა ახალ ქართულ ლიტერატურას, რომელმაც სრულიად ახალი გზები და ახალი პორიზონტები გადამალა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურის ისტორიაში.

თითქმის ყველა ევროპული ქვეყანა ახალი ლიტერატურის ისტორიას მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ზოგჯერ უფრო ადრეც იწყებს, როგორც მაგალითად რუსული და გერმანული ლიტერატურა. მარტინ ოპიცის შემდეგ (მე-17 საუკუნე), გერმანიაში მხოლოდ ლესინგი ახერხებს ოპიცის საქმე აღადგინოს და გააგრძელოს, საფუძველი ჩაუყაროს ახალ გერმანულ ლიტერატურას, ხოლო 1763 წელს, როცა „ლაოკონი“ გამოდის, მისი გაელენის ქვეშ ექცევიან გოეთესთან ერთად „მტურმ უნდ დრანგ პერიოდეს“ უკვე ცნობილი პლეადის მწერლები. ეს არ იყო მარტოოდენ სტილის საკითხი. გადამწყვეტი მნიშვნელობა მიეცა, პირველყოფლისა, ახალ იდეებსა და ლიტერატურის ახალ ამოცანებს, როგორც, მაგალითად, რუსეთში რადიშჩევისა და კარამზინის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის დროს,

თუმცა ახალმა იდეებმა ბუნებრივად მოიგანეს ახალი სტილი. ქართულმა რომანტიზმმა მარტოოდენ სტილი კი არ შემოიღო, ახალი იდეებიც წამოაყენა და ამით მთელ ლიტერატურას სრულიად სხვა მიმართულება მისცა. ამდენად, უნაყოფო იქნებოდა იმის ცდა, ვინმეს რომ ემტკიცებინა, თითქოს ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი შეიძლებოდა მე-19 საუკუნის 60-იან წლებში გაჩენილიყო. ჩვენი ლიტერატურისათვის ამ უკანდაშხევი დებულების წინააღმდეგ თვით ილია ჭავჭავაძე გაილაშქრებდა, ვინაიდან მისთვის ლიტერატურა და ლიტერატურის სამოგადოებრივი ამოცანები ყოველთვის პიროვნულ ღირსებაზე მაღლა იდგა.

ახალი ქართული ლიტერატურა, რუსეთისა და ევროპის მსგავსად, მე-19 საუკუნის გარიჟრაჟიდანვე იწყება, თუ ცოცხალი უფრო ადრე არა, ყოველ შემთხვევაში, მისი სათავე დადებული აქვს ალექსანდრე ჭავჭავაძეს, როგორც ქართული რომანტიზმის პირველ წარმომადგენელს. ფუძემდებლები კი გენიოსი ნიკოლოზ ბარათაშვილია, რომელმაც ყველაზე უფრო სრულად გამოთქვა ის იდეები, შეხედულებები და განწყობილებები, 60-იანი წლების თერგდალეულებმა რომ განავითარეს, წინ წასწიეს და ახალ სიმაღლეზე აიყვანეს. სწორედ ეს მომენტი აქვს მხედველობაში ილია ჭავჭავაძეს, როცა მაღალ შეფასებას აძლევს ნიკოლოზ ბარათაშვილის დამსახურებას ქართული ლიტერატურის წინაშე და აღნიშნავს, რომ „... ნ.ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულთათქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც

* ილია ჭავჭავაძის "წერილები ქართულ ლიტერატურაზე". თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953. გვ. 219.

თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა“.* ილია ჭავჭავაძისათვის ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთად ერთი მწერალია, რომელიც სხვაზედ უფრო მეტად, სხვაზედ უფრო მკაფიოდ და თვალნათლად ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვილს იმ თვალგადუწვდენელს სფეროში, საცა ზოგადკაცობრიობის დაუსრულებელი საჭირობოროტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არ-რწმენისა, მყოფობისა და არ-მყოფობისა, საცა ღალადებაა ყოველგვარ სულისკვეთებისა და ვნებათა ღელვისა“.* ახალი ქართული ლიტერატურის წინაშე ნიკოლოზ ბარათაშვილის უდიდესი დამსახურება ილია ჭავჭავაძისათვის იმდენად თვალმესადგამი და ხელშესახები იყო, რომ დამტკიცებასაც არ საჭიროებდა. „გზა-კვალი მისი პოემისა, – ამბობდა ილია ჭავჭავაძე, – სიგრძე-სიგანე და სიღრმე მისთა აზრთა დენისა მეტად ღირსშესანიშნავია, რომ დაუსაბუთებლად ადვილად დასაჯერი იყოს. იგი ობოლი მაგალითია, ობოლი იმიტომ, რომ მარტოდ-მარტოა ჩვენს მწერლობაში“.**

ნიკოლოზ ბარათაშვილი ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელია; ეს ადგილი მას თვით ილია ჭავჭავაძემ მიაკუთვნა და ილიას არც ესაჭიროება დაიდგას დაფნის ის გვირგვინი, რომელიც საკუთარი ხელით სხვას დაადგა, სამაგიეროდ მისი დაფნის გვირგვინია ახალი ქართული ლიტერატურის ყველაზე დიდი წარმომადგენლობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, თერგდალეულთა მეთაურობა და ამავე პერიოდში საქართველოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საყოვე-

* იქვე გვ 219.

** იქვე გვ 221.

ლთაოდ აღიარებული ბელადის საეხეობით დამსახურებული სა-
 ხელი. როგორც ჭავჭავაძის, ისე სხვა თერგდალეულთა იდეები
 60-იან წლებში დასაწყისის სწორედ ნიკოლოზ ბარათაშვილის შე-
 მოქმედებაში პოულობენ. საკმარისია დაეასახელოთ „ფიქრნი მტ-
 კერის პირას“ (ქვეყნისათვის პრაქტიკული ბრუნვისა და
 მოქმედების ფილოსოფია; ილიას – „ჩვენ უნდა მივსცეთ მომავ-
 ალი ხალხს“), „სული ობოლი“ (სულიერი მარტოობის გრძნობა;
 ილიას – „ელეგია“ და „შენს მიწაზე, ამდენ ხალხში კაცი არ
 არის, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განუგებარო“), „სუმბული
 და მწირი“ (თავისუფლების იდეა; ილიას – „თავისუფლებაჲ, შენ
 ხარ კაცთა ნათესაყუდარი“), „მერანი“ (ბედთან შეურიგებლობა,
 შთამომავლობისათვის გზის გაკაფუა; ილიას – „გავსწორდეთ
 ბედო“ და „... ჩემი კვალი ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ელიან“),
 „საფლავი მეფის ირაკლისა“, „ბედი ქართლისა“ (ახალი ქართლი,
 მისი კეთილდღეობა; ილიას – „ქართულის დედას“, „ქართულის
 დედა“, „აჩრდილი“, და ა.შ. მაგრამ ვერც ჭავჭავაძე და ვერც სხვა
 თერგდალეულები ვერ დაკმაყოფილდებოდნენ მარტოოდენ ამ
 იდეებით, რომლებიც წინა თაობამ, კერძოდ, ნიკოლოზ ბარათ-
 აშვილმა შეიმუშავა. ცხოვრება წინ იყო წასული, საგლეხო რეფ-
 ორმის საკითხი დღის წესრიგში იდგა, გატარდა კიდეც, ამიტომ,
 ბუნებრივია, ბაგონყმობის გაუქმებისა და ახალ სოციალურ ურთ-
 იერთობათა შედეგად, თერგდალეულთა, კერძოდ, ილია
 ჭავჭავაძის შემოქმედებაში ამ თემას დიდი ადგილი დაეთმო
 (პოეზია, პროზა, დრამატურგია, პუბლიცისტიკა, ეკონომიური
 მოძღვრება). როგორც ჭავჭავაძემ, ისე სხვა თერგდალეულებმა
 შეითვისეს ის იდეები, რომლებსაც რუსეთში ბელინსკი, ჩერნიშე-
 ვსკი და დობროლუბოვი ქადაგებდნენ. სრულიად უეჭველია, რომ
 ისინი მათ მოძღვრებაზე, რაზნოჩინელების შეხედულებებზე

ალიზარდნენ. მათი მრავალმხრივი მოღვაწეობა საქართველოშიც გამოძახილს პოულობდა, კერძოდ, პედაგოგიკის დარგშიც, და შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ილია ჭავჭავაძე პედაგოგიური მეცნიერების საკითხებსაც ფართოდ ეხებოდა, სამაგალიტოდ მიიჩნეოდა რენესანსის ეპოქის, მე-14 საუკუნის გამოჩენილი პედაგოგების – ვიტორინო დე-ფელტრეს, როგორც პრაქტიკოსის, ხოლო პაოლო ვერჟერიოსა და მატეო ვეჯიოს, როგორც თეორეტიკოსების მიერ დამუშავებულ აღზრდის პრინციპებს. განახლების ეპოქის კუმანიზმის ქადაგებაში, კერძოდ, ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელში“ – მე-16 საუკუნის ამ უბრწყინვალეს ლიტერატურულ ძეგლში ილია ჭავჭავაძემ დაინახა მისი დროისათვის საჭირო მრავალი ჭეშმარიტება, სწავლების ძეგლი, სქოლასტიკური წესების დაგმობა, და იმ აუცილებელი კანონის აღიარება, რომ აღზრდა, პირველყოფლისა, აღსაზრდელის კარმონიულ განვითარებას უნდა გულისხმობდეს, მისი შემოქმედებითი ძალების ამოქმედებას, ფიზიკურ წვრთნას, სულიერ ამაღლებას, მეცნიერებასთან ერთად, თვირცხოვრების შესწავლას. ამით ძირი ეთხრებოდა სწავლა-აღზრდის სქოლასტიკურ დოქტრინას, და ილია მართალი იყო, როცა შენიშნავდა, რომ ეს დოქტრინა საბოლოოდ დაამსხვრია მე-16 საუკუნის დასაწყისშივე დიდმა ფილოლოგმა, მოაზროვნემ და სატირიკოსმა, „სისულელის ქების“ ავტორმა დეზიდერ ერაზმ როტერდამელმა.* მან უკუაგდო აღზრდის ეკლესიური სის-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1955 წ., ტ. IV, გვ. 309. ილია შენიშნავს (გვ. 303), რომ აღორძინების ხანის პედაგოგების შესახებ ცნობები "თოქმის ხიტყვა-ხიტყვით" ამოწერილი აქვს წიგნიდან "პედაგოგიური თეორიები განახლების ეპოქისა".

გემა, აღსაზრდელი მიიჩნია „წმინდა ტაძრად“, რომლის სრული გარდაქმნა სკოლასა და ოსტატს შეუძლია: „ამიგომ, როგორც თვითონვე ამბობდა, იგი დიდ ტვირთს კკიდებდა აღ-მზრდელს, სამაგიეროდ, ამითვე უმცირებდა აღსა-ზრდელს:

ამ საკითხებს ეხებოდა ილია ჭავჭავაძე „პედაგოგის საფუძველებში“, რომელიც 1888 წელს მიეკუთვნება. ვარდა ამისა, სახალხო განათლებას მიუძღვნა მან წერილების სერია, რომლებშიც განიხილა არამარტო ზოგადთეორიული, არამედ, სწავლა-აღზრდის უაღრესად კონკრეტული პრობლემები: ქართული საშუალო სასწავლებლების დაარსების საჭიროება, რა მნიშვნელობა აქვს სამეურნეო დაბალ სკოლებს, სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებლებს, ხილნარობისა და მევენახეობის სასწავლებლებს.

1898 წელს ილია ჭავჭავაძემ პირველმა წამოაყენა ქართულ პედაგოგიურ ლიტერატურაში ის იდეა, რომლის განხორციელება მაშინ შეუძლებელი შეიქნა და რომელსაც ჩვენ დღეს პოლიტექნიკურ განათლებას ვუწოდებთ. მან დაიცვა ეს იდეა, ისიც მიუთითა, რომ „...სახელოსნო და სასპეციალო-სატექნიკო სკოლები აუცილებელი საჭიროებაა და ცხოველმყოფელი სახსარია ჩვენის წასულის საქმის ხელ-ახლად გამობრუნებისათვის და ჩვენის ღონემილეულ ქვეყნის გაღონიერებისათვის“*. იმ დროს მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა ამ საქმეზე, მხოლოდ აზრის წამოყენება, მაგრამ ესეც პრაქტიკული როლის შესრულებას უდრიდა, ვინა-იდან ილიას სწამდა, რომ „...აზრი მამაა საქმისა და სურვილი დე-და“.**

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1955 წ., ტ. IV, გვ. 390.

** იქვე, გვ. 391.

ასე მრავალმხრივი მოაზროვნე და დაკვირვებულ მკვლევარი იყო ილია ჭავჭავაძე; ასეთ პროგრესულ შეხედულებებს იცავდა იგი თავის მხატვრულ შემოქმედებასა და ლიტერატურულ-პუბლიცისტურ წერილებში.

რა ეუყოთ, თუ თანამედროვე მეცნიერული აზრი ვერ გაიზიარებს ილია ჭავჭავაძის მთელ რიგ შეხედულებებს, მაგალითად, ვერ დავეთანხმებით ჩახრუხაძისა და თეიმურაზ პირველის ლიტერატურულ ღირსებათა გადაფასებას, საქართველოს ისტორიაში კლასთა და წოდებათა ილიასეულ კონცეფციას, თვითმმართველობის როლის მეტაფიზიკურად გაზვიადებას, „მეოთხედობის“ ზოგიერთ პუნქტს,

ილია ჭავჭავაძის სახით თანამედროვეობის წინაშე დგას ის ადამიანი, რომლის დახასიათებასაც ამ ერთი საუკუნის წინათ თვით ილია იძლეოდა, როცა ამბობდა: „ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თან არ წაიყოლიოს იმ ტალღამ. მარტო გენიოსის მკერდი თუ გააპობს და შემუსრავს მას, თორემ სხვისთვის ძნელია. შორსმხედველობა, დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავის თამამს სელაში შემოიბღერტავს ხოლმე დროების მტერსა, რომელიც ჩვენისთანა კაცსა უფარავს საგნის მნიშვნელობასა, გულ-უშიშრად მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზასა“.*

ამ სიტყვებით ყველაზე კარგად არის დახასიათებული თვით ილია ჭავჭავაძე, მისი ცხოვრებაც და შემოქმედებაც. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ იგი ბუმბერაზივით

* ილია ჭავჭავაძე, „საქართველოს მოამბეზე“, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, გვ. 57.

წამოიშართა გასული საუკუნის 60-იან წლებში და დღესაც ასეთივე სახით დგას ჩვენს წინაშე. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში არც ერთი ჩვენი საზოგადო მოღვაწე ასე მრავალმხრივი არ ყოფილა და ასე ენციკლოპედიური ცოდნით არ გამოირჩეულა. მხოლოდ ასეთ ადამიანს შეეძლო გამხდარიყო მთელი ერისა და მისი განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური.

მაგრამ ასეთი ადამიანის ცხოვრება ყოველთვის უდიდეს განსაცდელთან არის დაკავშირებული. ეს განსაცდელი თან სდევდა ილია ჭავჭავაძეს და საბედისწერო წამმაც არ დააყოვნა მას შემდეგ, რაც ეს ბუმბერაზი, მაგრამ მცირე ერების მოსარჩლე, სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს 1906 წლის აპრილში. ერთი წლის შემდეგ, 1907 წლის ივნისში, საბჭოს მეორე სესიამ მუშაობა რომ დაამთავრა, ილია უკანასკნელად მოემუშრება სამშობლოსაკენ, მშვილობით ბრუნდება ღელაქალაქში, ხოლო ორი თვის შემდეგ იმავე წლის 30 აგვისტოს, წიწამურთან მუზღვახერტილი ეთხოვება სიცოცხლეს.

ადამიანი, რომელიც რამდენიმე დღის წინ სახელმწიფო საბჭოში გამოვიდა სიკედილით დასჯის წინაღმდეგ, სამარელი მკვლელის ხელით იღუპება.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობა დიდხანს საიდუმლოებით იყო მოცული, თუმცა არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, რომ დიდი პოეტი თვითმპყრობელობის მსხვერპლი შეიქნა.

მხოლოდ 34 წლის შემდეგ აეხადა ფარდა წიწამურის საშინელ გრაგედიას. მაგრამ გამოუსწორებელს ვინღა გამოასწორებდა: 1907 წლის 30 აგვისტოს საქართველომ აუნამაღურებელი მსხვერპლი გაიღო, ვინაიდან ილია ჭავჭავაძის გრაგიკულად დაღუპვა

ერთ-ერთი დიდი დანაკლისი იყო, როგორც კი მანამდე ოდესმე განუცდია ისტორიულად მრავალგანჯულ გმირსა და მებრძოლ ქართველ ხალხს. წიწამურის ტრაგედია ქართველი ხალხის ხსოვნაში დარჩა როგორც ძალმომრეობის, ჭეშმარიტების და-თრგუნვისა და ეროვნული უბედურების სიმბოლო, ისევე, როგორც კრწანისის კატასტროფა: ორივემ მძლავრად შეატოკა ხალხის გული და ორივე ერთი სხეულის ჭრილობა იყო, საიდანაც უმანკო სისხლი მოედინებოდა.

მაგრამ არც ერთსა და არც მეორეს ამაოდ არ ჩაუვლია. ერთმაც და მეორემაც ხალხის არსებაში ისეთი ღრმა კვალი გააელო, რომ დააგუბა მრისხანების მღეა. მისი ტალღების მისკდომამ მთელი ხალხი გამოაღვიძა, დასძრა ბოროტებისა და უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად. გამართლდა დიდი პოეტის სიტყვებიც, რომ ძველი ქვეყანა ვერ გაუძლებდა „განახლებულსა გრიგალის ქროლვას“, რომ ჭეშმარიტებით აღძრული ბრძოლა ბოლოს მოუღებდა ქვეყნის მძარცველს; დაიმსხვრეოდა ადამიანთა ცხოვრების შემფერხებელი ბორკილი და ქვეყანა სრულიად ახალ ნერგზედ აყვავდებოდა.

ეს აზრები თითქმის ერთი საუკუნის წინათ იქადაგა ილია ჭავჭავაძემ; თითქმის ერთი საუკუნის წინ, 1895 წელს წინასწარმეტყველებდა პოეტი, რომ მე-19 საუკუნის გვირგვინის განთავისუფლება შეადგენდა, ხოლო როცა ძველი ქვეყანა დაიმსხვრეოდა, მაშინ მოვიდოდა „მრომის სუფევა“, „თანასწორადა ნიჭთა მფენელი“, ადამიანი აღსდგებოდა თავის ადამიანურს უფლებებში, ქვეყნად ძალმომრეობა მოისპობოდა. ეს იქნებოდა ღრო, რომელსაც პოეტი შემდეგი სიტყვებით შესტროფოდა:

„მაშინ, მაშერალო, შენც განკაცდები,
წართმეულთ ნიჭთა კელაე მოიპოვებ.
სხეას ძირს არ დასწევ, თვით აღმაღლდები,
არც ვის ემონეი და არც იმონებ“.*

ამ ღროის მოახლოებას ემსახურებოდა ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი შემოქმედებითა და ცხოვრებით! ამ ღროისათვის მღეროდა მისი პოეტური ჩანგიც ერთი საუკუნის წინათ ასეთ პაგ-რიოგულ, მამულიშვილურსა და ერის წინაშე ღრმად შეგნებული მოვალეობის გამომხატველ სიტყვებს:

„დაე თუნდ მოეკედე, არ მეშინია,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი;
რომ ჩემს საფლავზედ დაყუდებულმან,
ქართველმან, ჩემგან შეყვარებულმან,
გულწრფელობითა და სიმართლითა
მე ჩამომძახოს თუნდ ჩუმის ხმითა
იყაე მშვიდობით შენს მყუდრო ძილში!
შენ გიყოცხლია, როგორც უნდოდა,
თქვას: შენი ქნარი შორს ჩვენგან ჩრდილში
ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა“.

თვით ღრომ დაამტკიცა ამ სიტყვების სიმართლე; თვით ღრომ ცხადჰყო, რომ ამ სიტყვების ავტორს მართლაც არ ეშინოდა

* „არდილი“ XV თავი, იხ. ილია ჭავჭავაძე, თბზულებანი, ტ. I. 1937 წ.,

მომკედარიყო, ოღონდ ბარათაშვილის მერნისებურად კვ-
ალი გაეელო ცხოვრებაში, რათა მოძმეს, ვინც მის შემდეგ გაიე-
ლიდა, ენახა ეს კვალი და ეგრძნო, რომ პოეტს თავისი ვალი შთ-
ამომავლობის წინაშე ნამდვილად მოხდილი ჰქონდა. ამ კვალს
ქართველი ხალხის ყველა თაობა პოულობდა და პოულობს
დღემდე; ამ კვალზე იზრდებოდა და იზრდება დღესაც; თაობები
მიდიოდნენ და დღესაც მიდიან პოეტის საფლავთან, რომელიც
მამადავითის მთას გაკვერია; და იქ, მთაწმინდაზე, სადაც უკვდავ
საეანეს თავს დასდგომია „მწუხარე საქართველოს“ სიმბოლო,
იაკობ ნიკოლაძის მიერ ოსტატურად გამოკვეთილი მგლოვიარე
ქალის სახით, ხელთ რომ დამსხვრეული ჩანგი უკავია, მიდიან
თაობები, და გულწრფელობითა და სიმართლით ეუბნებიან პოე-
ტს, რომ მშვიდობით განისვენოს თავის მყუდრო ძილში, მას
უცოცხლია ისე, როგორც უნდა ეცხოვრა ქართველი ხალხის
უანგარო მოამაგეს, რომლის ჩანგს ჩვენთვის არც დღემდე
უხმაურია ამაოდ და მომავალშიც ამაოდ არ იხმაურებს!

ასე დიდი ადამიანის ლიტერატურული მემკვიდრეობის სრული
გაგება შეუძლებელია, თუ მისი ცხოვრება დაწერილებით არ
გვეცოდინება. ამიტომ, როგორი რთულიც არ უნდა იყოს, ჩვენ
ახლა ხელი უნდა მოვიდოთ ილია ჭავჭავაძის ბიოგრა-
ფიული ფაქტების შესწავლას და თანმიმდევრულად გავყვეთ
უანგარო მოღვაწის სამოცდაათწლიანი ცხოვრების ვრცელ გზას.

სარჩევი

გიორგი წერეთელი	3
დალფონსი	126
კონტ-ადმირალი ალექსანდრე გრევე	143
გრიგოლ ვოლსკი	153
ლაო ჯონ-ჯაუ	198
ოვანეს თუმანიანი	225
გიორგი ჯიბლაძე	327